

၀၁ ဘုရားနတ်၊ ၁၂ . ဘုရားနတ်

I

**შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი**

**თბილისი
2023**

ალექსანდრე ორბელიანი

**თხზულებათა
სრული კრებული
ხუთ ტომად**



ტომი გამოსაცემად მომზადდა და დაიბეჭდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით პროექტის „ქართული ევროპეიზმის სათავეებთან – ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის ოთხტომეულის გამოსაცემად მომზადება“ (FR-19-7480) – ფარგლებში

ალექსანდრე ორბელიანი

თხზულებანი

ტომი I

პოეზია

პროზა

დრამატურგია

თბილისი
2023

სარედაქციო კოლეგია

მაია არველაძე

ჯულიეტა გაბოძე

ნინო ვახანია

ელისაბედ ზარდიაშვილი

როსტომ ჩხეიძე (მთავარი რედაქტორი)

მაია ცერცვაძე

თამაზ ჯოლოგუა

ტომის რედაქტორი

მაია ცერცვაძე

ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, შენიშვნები,
კომენტარები და საძიებლები დაურთეს

მაია არველაძემ და ელისაბედ ზარდიაშვილმა

ტექნიკური რედაქტორი და კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნიკოლოზ ყლენტი

ISBN 978-9941-9865-3-6 (ალექსანდრე ორბელიანი. თხზულებანი)

ISBN 978-9941-9865-8-1 (I ტომი)


© შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი (2023)

ლაივალა



გამომცემლობა
საგომბლო

თბილისი, რეზაშვილის 7; მობ.: 551 95 31 90



ჩემი დილის და საღამოს ლოცვა

ყოვლისა ჩემისა გონებითა და გულით აღმოვალ ზეცად, წინაშე დამბადებლისა ჩემისა! თაყვანს ვცემ ძლიერებასა შენსა! თავსა დაგიმონავებ ჭეშმარიტსა დანესებულსა რჯულსა! სულით მოეფრინდები წმინდასა ცხოვრებასთან! და მოგმართავ ერთსა სამებასა და ერთსა მღვთაებასა!.. რომელმანცა არა არსსა მომანიჭე მე ჯილდოდ სიცოცხლე, რომ გიცნა შენ ვინცა ხარ და ყოველთვის მიკვირდეს ყოველი შემძლებელი საკვირველებანი შენი სადიდებლად შენდა, და ვცხოვრობდეცა ქვეყანაზედ კეთილ-მოქალაქეობით, ამისთვის გულმხურვალედ გევედრები, რათა მოქცეული იყოს წყალობისა თვალი შენი ჩემზე მარადის, რომ ყოველთვის კეთილსა ვიქმოდე და იმის წმინდა მოქალაქურ პატიოსნებით ვცხოვრებდე ამა შენსა დაარსებულსა სოფელსა შინა, და ყოვლისა განსაცდელისაგან მიხსენ მე, ღმერთო!

ქ. ორენბურღში დავწერე 1835-სა.

სარჩევი

| | |
|---|--------|
| რედაქციისაგან..... | 11 |
| ღვანლი და მოქალაქეობა ალექსანდრე ორბელიანისა (ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური მონახაზი)..... | 19 |
| ლექსები | |
| ბაიათი..... | 47-479 |
| უეცარი შეხვედრა..... | 47-480 |
| მშვენიერას ქართველას..... | 48-481 |
| თეჯლიში..... | 49-481 |
| საქართუჭლოს გაზაფხული..... | 49-482 |
| მთოვარე..... | 50-482 |
| ბნელში პყრობილი..... | 51-484 |
| ერთი ვინმე..... | 52-484 |
| შორიდგან..... | 52-485 |
| მონვევა..... | 52-485 |
| მოგონება..... | 53-486 |
| საყუარელს მეუღლეს უცხოებიდგან..... | 54-486 |
| ქ.ტფილისს ჩემ ცოლშვილებთან..... | 56-487 |
| სიყრმით უბედური..... | 56-487 |
| რობესპიერი რევალუციის დროებში, ჯერ | |
| რომ არ ამადლებულიყოს..... | 59-488 |
| არაკი ვირისა..... | 61-489 |
| ექსპრონტი..... | 63-489 |
| ყარიბი ანუ ორენბურღის ღამე..... | 63-490 |
| ღმერთსა..... | 64-490 |

| | |
|--------------------------------------|--------|
| აღმოსავლეთი ანუ სიყვარულისაგან | |
| დაჩაგრული..... | 65-490 |
| კავკაზიის მთები მაშუკის მთიდგან..... | 67-491 |
| სისხლმძებნელი ქართველი..... | 71-492 |
| ცრუს..... | 72-493 |
| ჩემს ქალს დარიას..... | 73-493 |
| ჩემს ქალს მაიკოს..... | 73-494 |
| ვერის სასაფლაო..... | 74-494 |
| რუსთაველ!..... | 74-494 |
| უბედური მაიკო (მარიამ)..... | 75-495 |
| ხუნდი მტრედისა..... | 76-496 |
| შიმშილით გამხრჭვალნი ძალღკაცი..... | 78-496 |
| მოხუცებული ყმანვილკაცს..... | 81-497 |

პოემა

| | |
|-------------------------|--------|
| ქურციკის სიყვარული..... | 85-497 |
|-------------------------|--------|

ეპიტაფიები

| | |
|---|---------|
| ეპიტაფია განსვენებულის ჩემი სიმამრის | |
| დავით დიმიტრის ძის ბარათოვისა..... | 115-498 |
| ეპიტაფია საქართველოს მეფის | |
| ირაკლის მეორისადმი..... | 115-498 |
| [თეკლე ბატონიშვილის ეპიტაფია]..... | 116-500 |
| [მარიამ (მაიკო) ორბელიანის ეპიტაფია]..... | 117-501 |

პროზა

მოთხრობები

| | |
|---|---------|
| უმანკო სისხლი..... | 121-501 |
| არაკი ტარტაროზისა, ანუ კუდიანების ღამე..... | 133-502 |

დაუმთავრებელი მოთხრობები

| | |
|----------------------------------|---------|
| *** („დედმამისაგან ობოლს მე...“) | 149-503 |
| ლამის კაცი | 154-503 |
| უცნობი | 155-504 |

მინიატურა

| | |
|------------|---------|
| სიყვარული! | 159-504 |
|------------|---------|

ჩანახატი

| | |
|------------|---------|
| შემთხუჭევა | 163-504 |
|------------|---------|

პიესები

| | |
|---|---------|
| რომაელი ქალი აარია | 173-505 |
| დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი | 178-506 |
| კეთილი ბერიკაცი | 261-510 |
| ბატონის-შკლის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა | 332-511 |
| ჟამნი მეფობენ | 399-516 |

თარგმანები

| | |
|---------------------------|---------|
| გორაციოსაგან რომაელებთანა | 471-517 |
| თათრულითგან | 471-517 |

ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები

| | |
|--------------|-----|
| ტექსტისათვის | 475 |
|--------------|-----|

საძიებლები

| | |
|-------------------------------|-----|
| პირთა საძიებელი | 519 |
| გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი | 522 |
| თხზულებათა ანბანური საძიებელი | 526 |

რელაქციისაგან

ალექსანდრე ორბელიანის თხზულებების აკადემიური ხუთ-ტომეული არის პირველი გამოცემა, რომელიც განხორციელდა მწერლის გარდაცვალებიდან საუკუნე-ნახევრის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს განელებულა ინტერესი ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედების მიმართ, მას არც ერთ ეპოქაში არ სწყალობდა ცენზურა, ამიტომაც ვერ მოხერხდა აქამდე მწერლის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა.

ალ. ორბელიანის ნაწერების გამოცემას ერთობ ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი ისტორია აქვს. მის სიცოცხლეში, 60-იან წლებამდე, მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოები გამოქვეყნდა, ესენია: **ხუთი ლექსი** („მოთვარე“ ჟ. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1832 წ.; „რუსთაველი“ ჟ. „ცისკარი“, 1853; „მოგონება“, ჟ. „ცისკარი“, 1857; „სიყრმით უბედური“, ჟ. „ცისკარი“, 1857; „ხუნდი მტრედისა“, ჟ. „ცისკარი“, 1857; „ეპიტაფია საქართველოს მეფის ირაკლის მეორისადმი“, ჟ. „ცისკარი“, 1858), **ერთი მოთხრობა** („უმანკო სისხლი“, ჟ. „ცისკარი“, 1857) და **ერთი წერილი** („ქართული ენისთვის“) გამოიცა ცალკე ბროშურად 1857 წელს.

1857 წლიდან ალ. ორბელიანი უკვე ინტენსიურად ბეჭდავდა თავის ნაწერებს ჟურნალ „ცისკარში“, მეტიც, იგი წლების განმავლობაში პატრონობდა ქართულ ლიტერატურულ ჟურნალს. ევროპული განათლების პროპაგანდისტს ძალიან კარგად ესმოდა პრესის როლი და დანიშნულება საზოგადოებრივ წინსვლაში და მომხრე იყო რამდენიმე ჟურნალის ერთდროულად არსებობისა. ამიტომ მიესალმა ილიას „საქართველოს მოამბე“, ხოლო უფრო გვიან, 1869 წელს, თანამშრომლობა დაიწყო ახალდაარსებულ „მნათობში“.

მწერლის გარდაცვალების შემდეგ ხელახლა გამოიცა რამდენიმე თხზულება. ზ. ჭიჭინაძის მიერ თბილისში, 1879 წელს გამოცემულ კრებულში „ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის-ძის ორბელიანისა“. შევიდა 20-მდე თხზულება. ცალკე დაიბეჭდა დრამატული პიესა „დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ 1891 წ. ეს იყო ამ ნაწერების მეორე პუბლიკაცია, ზ. ჭიჭინაძეს ყველა ტექსტი ჟურნალ „ცისკრიდან“ აქვს გადმოღებული. 1895 წლის აგვისტოში ჟ. „მოამბეში“ დაიბეჭდა „ალა-მაჰ-
ბული.

მად-ხანის შემოსევა ტფილისში“. თხზულება იმავე წელს გამოიცა ცალკე წიგნად ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობით (იხ. ამონაბეჭდი „მოამბიდან“, 1895 წ., გამოცემა ქართველთა ამხანაგობისა).

მე-20 საუკუნეში, 1914 წელს, სარგის კაკაბაძემ გამოსცა კრებუ-ლი: „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისთვის“, წიგნი I, ტფილისი, 1914, რომელშიც მწერლის რამდენიმე ისტორიული თხზულება შევიდა: „საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან“, „მეფის ირაკლის მეორის დროის ცოცოტა ანბები ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი“; „თ. გივი ამილახვარის გაქცევა ტფილისიგან“, „მეფე ირაკლის მეორის მეუღლე დარია ანუ დარეჯან (ალ. ჯამბ. ორბელიანისა)“. იმავე წელს სარგის კაკაბაძემ ცალკე წიგნებად გამოსცა „დალისტინდგან ლეკების გამოსვლა ახალციხეში“ და „მოგონება (მამიჩემისაგან ლალატი მეფის ირაკლისა)“.

1935 წელს გ. გოზალიშვილმა გამოსცა „1832 წლის შეთქმულე-ბა“, პირველი წიგნი, რომელშიც ალ. ორბელიანის რამდენიმე ჩვენ-ებაც გამოქვეყნდა. 1959 წელს კი ალ. ორბელიანის წერილი „დარ-თულს დართულ“ გამოქვეყნდა „ცისკარში“ (№6), ჯ. ჭუმბურიძის პუბლიკაციაში, მისივე გამოკვლევით.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა დაიწყო ალ. ორბელიანის თხზულებათა სამტომეულის გამოსაცემად მომზდება. 1973 წლის თებერვალში დამტკიცდა სარედაქციო კოლეგია ირაკლი ანთელა-ვას, სოლომონ ყუბანეიშვილის, შალვა გოზალიშვილის, ნოდარ ალ-ანიასა და ამბერკი გაჩეჩილაძის შემადგენლობით. თხზულებები გამოსაცემად მოამზადა ტექსტოლოგმა ლუბა მეფარიშვილმა. 1974 წლის 28 აპრილს გაიცა დაბეჭდვის ნებართვა: „რედაქტირებულია, აიწყოს, ა. გაჩეჩილაძე“. მაგრამ საბოლოოდ, საბჭოთა ცენზურ-ამ ტომების გამოცემა შეაჩერა გაურკვეველი მიზეზებით. მოგვი-ანებით, როგორც ჩანს, ცენზურისავე მითითებით, გამოცემიდან ამოღებულ იქნა 700 გვერდი და საბოლოოდ გადაწყდა ალ. ორბე-ლიანის ნაწერების რჩეული ერთტომეულის გამოცემა. ლ. მეფარ-იშვილს საგანგებოდ ჩამოუწერია აკრძალული თხზულებები და დარჩენილი ტექსტები სტამბაში გაუგზავნია, თუმცა არც ამ ერთ-ტომეულს ელირსა დღის სინათლე. სამწუხაროდ, ალ. ორბელიანის თხზულებების გამოსაცემად მომზადებული მასალა დაიკარგა და გამოცემის მცდელობის მთელი ეს ისტორიაც მხოლოდ იმდროინ-დელმა ოქმებმა შემოგვინახა.

1991 წელს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდე-ბლობის აღდგენის შემდგომ, მკვეთრად შეცვლილმა პოლიტიკურმა ვითარებამ შესაძლებელი გახადა, ღიად გამოხატულიყო ინტერე-

სი ალექსანდრე ორბელიანის პიროვნებისა და მისი შემოქმედების სრულყოფილად შესწავლისადმი. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, რომლის თაოსნობით გამოიცა მწერლის რამდენიმე კრიტიკული წერილი კრებულში „სიტყვა მამულის ტრაპეზზე“, ლომისი, თბ., 1996; ასევე, გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა სამი წერილი როსტომ ჩხეიძის მიერ. მწერლის ერთი პუბლიცისტური წერილი „თელავი“ გამოქვეყნდა ასევე ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ (ლომისი, თბ., 1997; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო გიორგი ჯავახიშვილმა). ჩატარდა მწერლისადმი მიძღვნილი ხუთი სამეცნიერო კონფერენცია, დაიწერა საკვალ-იფიკაციო შრომები და გამოქვეყნდა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ, თანდათანობით დაიწყო მისი ისტორიული ქრონიკებისა და მემუარული თხზულებების ბეჭდვა, თუმცა ამჯერადაც ვერ მოხერხდა მისი ნაწერების სრულად გამოცემა, რადგან ეს რთული და შრომატევადი საქმე დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსს საჭიროებდა.

აღ. ორბელიანის ჩვენამდე შემორჩენილი მრავალფეროვანი შემოქმედება რამდენიმე ათეულ მხატვრულ ტექსტსა და უფრო მეტ კრიტიკულ, დოკუმენტურ-საისტორიო და მემუარული პროზის ნიმუშს ითვლის. მისი პუბლიცისტური წერილების გარეშე წარმოუდგენელი იქნება XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო სურათის აღდგენა.

ალექსანდრე ორბელიანი იყო ევროპეისტი. იგი მხარს უჭერდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების, საზოგადოებრივი აზრის, კულტურის ღრმა და ყოვლისმომცველ ევროპეიზაციას. **„ევროპა არის ლამპარი მთელი ქვეყნისა, განმანათლებელი კაცის გონებისა, მეცნიერება – მოსწავლეთა, სიბრძნე – გამგეთა, და სიკეთილე – კაცობრიობისა“** – წერდა იგი.

სწორედ ამიტომ საშური იყო ამ ნაწერების თავმოყრა და გამოშეურება სათანადო მეცნიერულ-ტექსტოლოგიური კვლევების საფუძველზე, შესაფერისი კომენტარებითა და შენიშვნებით.

2020 წელს რუსთაველის სამეცნიერო ეროვნულმა ფონდმა დააფინანსა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ წარდგენული სამეცნიერო პროექტი **„ევროპეიზმის სათავეებთან – აღ. ორბელიანის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადება ოთხ ტომად“.**

თხზულებათა აკადემიური გამოცემა მეცნიერულ-კრიტიკუ-

ლი გამოცემის უმაღლესი სახეა და იგი სრულად მოიცავს მწერლის შემოქმედებით მემკვიდრეობას. ამიტომ შესწავლილ იქნა ალ. ორბელიანისა და მისი თანამედროვეების პირადი არქივები, მოიძებნა მწერლის შემოქმედების გაბნეული ნაწილი, მიმოწერა და დოკუმენტური მასალა, 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებო კომისიისთვის ალ. ორბელიანის მიერ მიცემული ყველა ჩვენება. ალ. ორბელიანის ხელნაწერები ინახება კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს ეროვნული არქივის, ქართული ლიტერატურის მუზეუმისა და სხვა არქივების ფონდებში. მოძიებულ იქნა მისი ნაწერების ყველა ნაბეჭდი წყარო, მწერლის სიცოცხლისდროინდელ პერიოდულ გამოცემებში: „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, „ცისკარი“, „მოამბე“ და „მნათობი“. სამწუხაროდ, ბევრი ნაბეჭდი წყაროს ავტოგრაფული ხელნაწერი არ შემორჩენილა. როგორც ჩანს, წესისამებრ, რედაქცია წერილებს ავტორებს აღარ უბრუნებდა, მწერლის არქივს კი მათი შავი პირები არ შემოუნახავს.

საბოლოოდ, ჩვენ მიერ მოძიებულმა მასალამ **ოთხის ნაცვლად ხუთი ტომი შეადგინა.**

აკადემიურ ხუთტომეულში ალ. ორბელიანის თხზულებები განლაგებულია ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით, თანდართული სამეცნიერო აპარატით (ვარიანტები, კომენტარები, შენიშვნები და მრავალფეროვანი ანოტირებული საძიებლები) შემდეგი თანმიმდევრობით:

I ტომი – მხატვრული ნაწერები (ლექსები, პოემა, ეპიტაფიები, მოთხრობები, დრამატული პიესები, თარგმანი)

II ტომი – პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები

III ტომი – დოკუმენტური პროზა (ისტორიული თხზულებანი)

IV ტომი – მემუარული ნაწერები

V ტომი – ალექსანდრე ორბელიანის მიერ 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემული ჩვენებები, ეპისტოლური მემკვიდრეობა და განყოფილება „სხვადასხვა“; ალექსანდრე ორბელიანის თხზულებების ბიბლიოგრაფია.

I ტომში სრულადაა თავმოყრილი მწერლის **მხატვრული შემოქმედება**: ოცდათერთმეტი ლექსი, ერთი პოემა, ოთხი ეპიტაფია, ხუთი მოთხრობა, მინიატურა, ჩანახატი, ხუთი პიესა და ორი თარგმანი. ამათგან, ტექსტების დიდი ნაწილი პირველად იბეჭდება.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში მიკვლეულ იქნა ალ. ორბელიანის პიესის – „ბატონი-შკლის ირაკლის პირველი დრო“-ავტორიზებული ნაბეჭდი წყარო. პიესა გამოქვეყნდა 1864 წელს ჟ. „ცისკარშიც“. თუმცა, მუზეუმში დაცულ სტამბურ ეგზემპლარში

ავტორის მიერ გაკეთებულია შენიშვნები და ჩასწორებები, რაც მითითებულია ტექსტის პასპორტში..

II ტომში წარმოდგენილია 32 პუბლიცისტური წერილი, რომელთა ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი პირველად იბეჭდება. შემორჩენილ ავტოგრაფულ ხელნაწერებში ხშირად ვხვდებით ავტორისეულ სწორებებს. ნაშლილია ცალკეული სიტყვები ან წინადადებები და ხშირად ტექსტის საკმაოდ დიდი მონაკვეთიც. ჩვეულებრივ, ტექსტოლოგიური პრინციპის გათვალისწინებით, ეს გადახაზული ადგილები ვარიანტულ სხვაობებს ქმნის და ტომის პასპორტში ჰჰოვებს ასახვას, თუმცა, ამ შემთხვევაში, სრულიად არაორდინალური ვითარება დაგვხვდა: ალ. ორბელიანი შლის სტრიქონებს უმეტესად არა მისი ვარიანტული სწორების მიზნით, არამედ კონიუნქტურის გამო. ამიტომაც სარედაქციო კოლეგიის გადანყვეტილებით, ადგილები, რომლებიც ავტორმა კონიუნქტურული მოსაზრებით წაშალა, აღვადგინეთ და ძირითად ტექსტში ისინი დახრილი შრიფტით იბეჭდება. იგივე პრინციპი დაცულია სხვა ტომებშიც.

როგორც აღვნიშნეთ, გამორჩეულია ალ. ორბელიანის ინტერესი ევროპისადმი. მან საქართველოში პირველმა დაწერა ესეი ნაპოლეონ ბონაპარტეზე. ის იმავდროულად, თვალს ადევნებდა სხვა ქვეყნებში მიმდინარე ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლებს და თავისი თხზულებებით პოპულარიზაციას უწევდა მათ. მისი „სიტყვა იტალიისათვის“, რომელშიც ბრძოლის ცეცხლს საქართველოშიც ნატრობს, დაწერილია უფრო ადრე, ვიდრე ჯუზეპე გარიბალდის მორიგი გამარჯვებით შთაგონებული ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსი „მესმის, მესმის“. ალ. ორბელიანის შემოქმედება მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ქართული ფოლკლორის შესახებ. საყურადღებოა ამ მხრივ მისი ნაშრომი „ივერიელთა სიმღერა-გალობა, ლილინი“, რომელიც ეხება ქართულ სიმღერას. მწერლის თხზულებების მიხედვით შესაძლებელი იქნება, აღვადგინოთ საქართველოს ზოგიერთი რეგიონისა და ძველი თბილისის ცალკეული უბნების ისტორია (მაგ.: თხზულება „თელავი“).

III ტომში იბეჭდება დოკუმენტური პროზა (ისტორიული თხზულებანი). საგულისხმოა, რომ სამოციანელთა თაობა მხოლოდ ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებიდან ეზიარა სიმართლეს ჩვენი სამეფო კარის დამხობისა და საქართველოს დაპყრობის გარემოებებზე. ნაწილი თხზულებებისა იბეჭდებოდა მწერლის სიცოცხლეშივე, თუმცა ბევრის გამოქვეყნება შეუძლებელი იყო კონიუნქტურული მოსაზრებით. სწორედ მისი დოკუმენტური პროზით ხდება შესაძლებელი ისტორიული ვითარების აღდგენა – თუ რო-

გორ მიზანმიმართულად მოამზადა რუსეთმა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ოკუპაცია და დააფინანსა 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთი არ მოერიდა პოლიტიკურ მკვლევლობასაც. განირეს ლევან ბატონიშვილი, რომელიც იყო შემქმნელი მუდმივი ჯარისა. ამ მკვლევლობის ნამდვილი შინაარსი და მისი პოლიტიკური სარჩული არ გვეცოდინებოდა, რომ არა ალექსანდრე ორბელიანის თხზულება “საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან”. პირველად ალ. ორბელიანისგან გავრცელდა ცნობა სამასი არაგველის გამირობის შესახებ. გრიგოლ ორბელიანი თავის „სადღეგრძელოში“ არაერთგზის მოიხსენიებს ალექსანდრე ორბელიანს, როგორც სანდო წყაროს.

IV ტომი მოიცავს მემუარებსა და საგვარეულო გადმოცემებს. მთხრობელის ჩანაწერებიდან შესაძლებელი ხდება ორბელიანთა გენეალოგიის შესწავლა – ყაფლანიდან დაწყებული თვით ალექსანდრე ორბელიანის თანამედროვეებამდე.

ალექსანდრე ორბელიანი არის ნოვატორი ქართულ მწერლობაში – მის შემოქმედებაში ჩნდება ერთ-ერთი პირველი **ლიტერატურული ზღაპარი** (სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ); მანვე გამოიყენა პოსტმოდერნისტებისთვის დამახასიათებელი ხერხი – საკუთარ თავზე მესამე პირში თხრობა მაშინ, როცა პირველ პირში მოსაუბრეც (ნარატორი) თხზულების პერსონაჟია. საყურადღებოა მწერლის შეხედულება საოჯახო აღზრდის შესახებ. უაღრესად ღირებულია მთელი მხატვრულ-დოკუმენტური პროზა. რამდენიმე თხზულება („ჭეშმარიტი სიყვარული“, „ჩემი ტფილისის ქალაქიდან გამოსვლა“ და „ნიგნი მშობელთან“) ფაქტობრივად, ერთ ბიოგრაფიულ რომანს წარმოადგენს. მათში საგულისხმო ეპიზოდებია 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის დაპატიმრების, გადასახლებისა და ორენბურგსა თუ რუსეთის სხვა ქალაქებში ცხოვრების შესახებ. მოგონებებში ვეცნობით არამარტო მწერლის ოჯახსა და მემუარისტის პირად თავგადასავალს, არამედ აქვე იხატება ქვეყნის სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ყოფის ნამდვილი, შეულამაზებელი სურათი. ამ თხზულებათა უმრავლესობაც ქვეყნდება პირველად.

V ტომში სრულად ქვეყნდება ალექსანდრე ორბელიანის მიერ 1832 წლის შეთქმულების საგამოძიებო კომისიისთვის მიცემული 174 ჩვენება. ტომში პირველად იბეჭდება ალ. ორბელიანის 89 უცნობი ჩვენება. როგორც ცნობილია გ. გოზალიშვილმა გასულ საუკუნეში გამოაქვეყნა 1832 წლის შეთქმულების საგამოძიებო კომისიის მასალები სამ ნიგნად „1832 წლის შეთქმულება“ (ტ. I-III).

თბ., 1935-1976). მათ შორის დაიბეჭდა ალ. ორბელიანის ჩვენების მხოლოდ ნაწილი. V ტომში ასევე იბეჭდება ალ ორბელიანის **ეპისტოლური მემკვიდრეობა – 52 კერძო წერილი**, ამათგან პირველად ქვეყნდება 46 წერილი. განყოფილებაში „სხვადასხვა“ შეტანილია ავტორის ჩანაწერები, განცხადება და სამედიცინო რეცეპტები. გამოცემას ბოლოში ერთვის ალ. ორბელიანის **ნაწერების ბიბლიოგრაფია**.

სრულიად გამორჩეულია ალექსანდრე ორბელიანის როლი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეის ჩასახვა-განვითარებაში. ის იყო 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური. საქართველოში 1832 წლის შეთქმულებაც ხომ ერთ-ერთი ეპიზოდია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების სერიისა, რომელიც განვითარდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: პოლონეთში, ბელგიაში, იტალიაში, ბალკანეთში, ეგვიპტესა და სამხრეთ ამერიკაში სიმონ ბოლივარის განმათავისუფლებელი მოძრაობის სახით. ამრიგად, 1832 წლის შეთქმულებით საქართველო იქცა უშუალო მონაწილედ საერთაშორისო, დასავლური პოლიტიკური პროცესებისა. ამდენად, მკითხველისთვის უადრესად მნიშვნელოვანი იქნება ამ საკითხთან დაკავშირებული მასალების გაცნობა.

ტომებში ტექსტები იბეჭდება ავტოგრაფებისა და პირველნაბეჭდების მიხედვით, ხელნაწერები შედარებულია დედანთან, როგორც აღვნიშნეთ, ნაბეჭდების უმრავლესობის ავტოგრაფული ხელნაწერი არ შემონახულა. ალ. ორბელიანის ტექსტები უმეტესწილად დათარიღებულია და ხელმოწერილია. უთარილო წერილები პირობითად თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით ან კვლევით, ორივე შემთხვევაში თარიღი ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში და კომენტარებში მითითებულია, რის საფუძველზე მოხდა მათი დათარიღება.

ტექსტების პასპორტებში წარმოდგენილია ტექსტების ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროები სათანადო შენიშვნებით, ტექსტოლოგიური, ლიტერატურულ-ისტორიული კომენტარებით. იქვეა ინფორმაცია ტექსტებსა და კომენტარებში მოხსენიებულ პირთა შესახებ.

ტექსტებში ძირითადად დაცულია მწერლის ორთოგრაფია, ნასწორებია მხოლოდ პუნქტუაციის ნიშნები, ცალკეული გამონაკლისის გარდა.

ტომებს ერთვის მრავლისმომცველი კომენტარები და პირთა ანოტირებული საძიებლები, გეოგრაფიულ სახელთა, პერიოდულ გამოცემათა და მხატვრული ნაწარმოებების ანბანური საძიებლები.

აღ. ორბელიანის შემოქმედების აკადემიური ხუთტომეული ხელშეასახებად გადაგვიშლის თვალწინ XVIII-XIX საუკუნეების მიწის საქართველოს ცხოვრებას და ძვირფასი მასალაა ლიტერატურულ-მცოდნეთათვის, ისტორიკოსებისთვის, პოლიტოლოგებისთვის, ეთნოგრაფებისთვის, პედაგოგებისთვის, სახელმძღვანელოთა შემდგენლებისთვის და ყველა დაინტერესებული მკითხველისთვის.

ღვანელი და მოქალაქეობა ალექსანდრე ორბელიანისა (ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური მონახაზი)

აი, ძველი ქართველი:
ნმინდა, პატიოსანი.

აკაკი წერეთელი

|

– როზკა, აბა, როგორ გაიცინებ, როცა რუსები აქედან წავლენ?!

ამით მოცულიყო ალექსანდრე ორბელიანი, ამ განცდაში ჩაფლულიყო თხემით ტერფამდე, ამ ნატვრას შეჰხაროდა, ამ იმედს ებლაუჭებოდა და... ფინიასაც ამ სწრაფვით მსჭვალავდა:

როგორ გაიცინებ, როზკა...

და ისიც აყეფდებოდა მხიარულად, ისიც ასდევდა პატრონის სულისთქმას და ალექსანდრე, გულში სიამე და ნეტარება რომ ეღვრებოდა, მაშინვე შაქარს ჩაუდებდა პირში.

როცა რუსები აქედან წავლენ...

არ მიდიოდნენ, არც ეპირებოდნენ, სულ უფრო მტკიცედ იკიდებდნენ ფეხს, სულ უფრო მიზანდასახულად ახორციელებდნენ გარუსების პოლიტიკას და ბევრს ამიტომაც ჩაექნია ხელი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე, ერთი იმდენი, კულტურული ავტონომია მოეპოვებინათ და როგორმე შეენარჩუნებინათ, თორემ სახელმწიფოს ამოგება ამო სწრაფვადღა მოჩანდა, და ეს – თვით ოცდათორმეტის შეთქმულთა თვალშიც, კარგა ხანია რომ ჩამოსცილებოდნენ არამცთუ აჯანყებაზე ფიქრს, არამედ სულაც რუსთა სამსახურში ჩამდგარიყვნენ – მოერგოთ სამხედრო თუ ადმინისტრაციული კარიერა და პირად წარმატებაშილა ჰპოვებდნენ შვებას, თავს კი იმით ინუგეშებდნენ – რალაცას ასეც ვარგებთ ჩვენს ქვეყანასო...

სადღაც დარჩენილიყო 1832 წლის იდეალები.

ის ამბობებულნიც სადღაც დარჩენილიყვნენ, ან უკვე შეცვლილნი, გადასხვაფერებულნი, შეგუებულნი ძალმომრეობას.

მაგრამ ერთი მაინც ხომ არ უნდა შეგუებოდა უმძიმეს ყოფას, ერთს ხომ მაინც არ უნდა მიეჩნია რუსთა მფლობელობა გარდუვალ და სამუდამო მოვლენად, ერთს ხომ მაინც უნდა ესულდგმულა დაკარგული თავისუფლების დაბრუნების იმედით, ერთი ხომ მაინც არ უნდა შესულიყო სახელმწიფო სამსახურში და ერთი ხომ მაინც უნდა დარჩენილიყო ახალთაობისათვის გაუტყენლობისა და შეუდრეკლობის სიმბოლოდ, დროიდან ამოვარდნილ და მისაბამ

პიროვნებად, საუკეთესო მოძღვრად და შთამაგონებლად დამოუკიდებლობის ამოგების მღელვარე, დრამატიზმით აღსავსე, ტრაგიკულ და ჰეროიკულ გზაზე.

და ეს ერთი კაცი უნდა ყოფილიყო ალექსანდრე ორბელიანი.

II

ჩამოვივლიდა ტფილისის ქუჩებში და ჯერ მარტო თავისი გამორჩენილად აღვივებდა თავისუფლების სულს ლაღად მხრებგაშლილი. რაოდენ შეჭირვებულიც უნდა ყოფილიყო, არ შეიტყობდა, რადგანაც იცოდა, ყველა მას მისჩერებოდა იმედისა და მოლოდინის თვალთ და იმედს კი ვერ გაუფერმკრთალებდათ, მოლოდინს ვერ ჩაუწუტავდათ, არამცთუ ჩაეკლა და ჩაეფერფლა.

ბაგრატიონთა შთამომავალს ეს მეფური ჩვევაც რომ მოსდგამდა:

სადღესასწაულო დღეებში ყოველთვის და ხან სადაც დღეებშიც გლახაკთა და ქვრივ-ობოლთა განკითხვა რომ წესად დაედგინა და არასოდეს გადაუხვევდა.

შინ დაბრუნებულს კი ხშირად უნდა სტუმრებოდნენ ახალგაზრდები, რათა მოესმინათ მისი ენაწყლიანი და მღელვარე ნაამბობები საქართველოს უახლოესი თუ შორეული წარსულიდან და თანადროული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდინარების გულისგულშიც ჩაეხედათ.

ანკი უკეთესი მოძღვარი და მეგზური ვინ უნდა გამოსჩენოდათ?!

ჯაშუშებით რომ დაქსელილიყო ალექსანდრე ორბელიანის ეზო-კარის შემოგარენი და ნაბიჯ-ნაბიჯადაც ასდევნებოდნენ?

მოსვენებას რომ არ აძლევდნენ და ისედაც მიძიმე, გაუსაძლის ყოფას კიდევ უფრო უმწარებდნენ?

მის ფანჯრებსაც რომ უთვალთვალებდნენ და ლამობდნენ შორიდან მოეკრათ თვალი მისი მოძრაობებისათვის, რათა შესაფერისი დასკვნაც გამოეტანათ მისი ლაპარაკის შინაარსზე და „დანოსებადაც“ აღებეჭდათ ხელისუფლებისათვის წარსადგენად?

იცოდა ალექსანდრემ ამ ქსელის მთელი ავან-ჩავანი, იცოდა და ფრთხილობდა, ფრთხილობდა და თვალს როგორ მოაკვრევენებად მსტოვრებს.

ამიტომაც იყო:

დარაბებსაც რომ ჩამოაფარებდა, სანთლებსაც ჩააქრობდა და ასე ბნელში უყვებოდა ახალგაზრდებს, როგორ მოეხდინა რუსეთის იმპერიას საქართველოს ოკუპაცია და ანექსია.

მოგვიანებით ეს სურათი აკაკი წერეთელს უნდა გამოეტანა მასპინძლის საცხოვრისიდან, ავტობიოგრაფიულ რომანში „ჩემი თავგადასავალი“ კანთიელ და ტევად პორტრეტს რომ ჩახატავდა ალექსანდრე ორბელიანისა. სხვა პუბლიცისტურ თუ მემუარისტულ ჩანაწერებშიც კვლავდაკვლავ რომ დაუბრუნდებოდა ამ დიდებულ სახეებს, რათა გულს არაფერი დაკლებოდა და შთამომავლობისათვის დაეტოვებინა სრულქმნილი ხატი კაცისა, ვისაც რაღაც განსაკუთრებულად, მონამებრივად უყვარდა თავისი ტანჯული ქვეყანა და თავს არა ზოგავდა სახელმწიფოებრიობის აღსადგენად.

ეს კაცი რომ არა:

ამ ახალგაზრდებს ვინ ეტყოდა, რუსეთი მფარველად კი არ მოვლენოდა საქართველოს, არამედ დამპყრობლად, მანამდე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, აგენტურული ქსელი რომ გაეშალა და მიზანმიმართულად ამზადებდა ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას; მერე კი, როდესაც თავის ორ გუბერნიად გამოგვაცხადებდა, აჯანყებას აჯანყება მოჰყვებოდა და სასტიკად ახშობდა იმპერია, ხოლო 1832 წლის შეთქმულებს მანამდე წამოკრეფდნენ, ვიდრე არამცთუ მთელს საქართველოში, არამედ მთლად კავკასიაში აბრიალდებოდა ამბოხების ცეცხლი...

ვინ ეტყოდათ, ამ დამდორებულ ყოფას რომ არ უნდა შეგუებოდა ქართველობა და ყოველი ღონით ეძია თავისუფლება და დამოუკიდებლობა – შეენარჩუნებინა თვითმყოფადობა და არ შერწყმოდა რუსეთს სხეულითა და სულით, ენითა და კულტურით, წარსულითა და მომავლით...

ოჯახებიდან ეს ყოველივე თითოთოროლას თუ ეცოდინებოდა.

გიმნაზიებში ამას არავინ გაუმხელდათ.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ვინ რას ეტყოდათ.

ალექსანდრე ორბელიანი კი ამ ყოველივეს ხელისგულზე უდებდათ მთელი სიგრძე-სიგანით, გარდასული დროის ამბები რომ არ ელეოდა და ცოცხლად და სახიერად წარმოუსახავდათ ისტორიულ ეპიზოდებსაც და პერსონაჟებსაც; და იმ სიმართლით, ჭეშმარიტ მემატრიანეებს რომ ევალებოდათ და სჩვეოდათ: შეუფერადებლად, შეულამაზებლად, ღირსებისა და ნაკლის თანაბრად წარმომჩენად.

დიდი, დაუმცხვრალი განცდები ტრიალებდა დარაბებჩამოფარებულ, სანთლებჩამქრალ ოთახში.

როგორ გაიცინებ, როზკა...

ელოლიავებოდა ამ ნატვრას, თვითონაც მოსწრებოდა, როგორ აიკრავდნენ რუსები გუდანაბადს საქართველოდან ერთხელ და სამუდამოდ, და მის უზომო სიხარულს როგორ შეერთვოდა გახ-

არებული ყეფა როზკასი, მაგრამ დღე დღეს მიჰყვებოდა, ალექსანდრეს სულ უფრო ეპარებოდა სიბერე და გული უნუხდა: ვაითუ ვერ მოვესწრო ამ სანეტარო წუთებსო!..

და ანდერძად უტოვებდა ოჯახის წევრებსაც და ყველა ახლობელსაც:

ჩემი ცოდვა გქონდეთ, თუ არ მოხვიდეთ და არ ჩამომძახოთ საფლავში, როცა გათავისუფლდება საქართველოო...

ჯერ მაინც როზკას გამოეთამაშებოდა.

ჯერ მაინც ახალგაზრდობას უნდა მისჩერებოდა იმედის თვალთ და მთლად მარტოსულადაც აღარ ეგრძნო თავი:

ჩემს გარდა ჩვენი ქვეყნისათვის თითქმის აღარავინ აღარ არისო!..

ჯერ მაინც სული უნდა შეხუთვოდა ჯამუშ-დამსმენთაგან, ორად ორ წელს რომ ამოისუნთქებდა მშვიდად, მაშინ, როდესაც მეფისნაცვლად გრიგოლ ორბელიანი წარმოდგებოდა და ალექსანდრეს დევნა-თვალთვალს აკრძალავდა.

რაც უნდა ყოფილიყო, მაინც ქართველი კაცი გახლდათ გრიგოლი, მათი ბიძაშვილობაც რომ არად ჩაგვეგდო.

მიიღეოდა მისი ცხოვრებაც, ჩაიფერფლებოდა რუსების განდევნის ოცნებაში და... ერთ დღესაც მისი სახლის შემოგარენი გლახაკებს უნდა აეცსოთ, მათ მოთქმით გოდებას:

ვილა მოგვხედავს, ვილა გვიპატრონებს, ჩვენი მფარველი ანგელოსი აღარ არისო...

და გამოსათხოვარი სიტყვა სერგეი მესხს რომ უნდა წარმოეთქვა მის საფლავთან, ზუსტად მიგნებული ორიოდე შტრიხით თვალნათლივ უნდა გამოეკვეთა ალექსანდრე ორბელიანის გამორჩეული სახება, ძველ კაცებში მგონი ერთადერთისაც, რომელიც, ვით ნამდვილი შვილი, ზრუნავდა საქართველოს ბედზე, დასტიროდა მის უბედურებას და დაჰხაროდა ბედნიერებას.

ბედნიერებას რა:

აქა-იქ გამომკრთალ სანუგეშო ყლორტებს.

ეჭვიც არ ეპარებოდათ არც სერგეი მესხს და არც სხვა მის თანატოლთ და თანამოაზრეთ, ალექსანდრეს ის დროებაც რომ უნდა ენახა ქვეყნისა, როდესაც ჯერ არ ჩავარდნილიყო რუსულ-იმპერიულ კაბალაში და სამეფო ერქვა, სახელმწიფო.

ანკი ეჭვი როგორ შეუვიდოდათ, როდესაც ალექსანდრეს ხელშესახებად მოჰქონდა მათთან თავისუფლების სული და ისე თვალნათლივ უცოცხლებდათ გარდასული ხანის მოელვარე დღეებს, როგორც უშუალო თვითმხილველი.

თვითმხილველი დროებისა, რომელსაც არ მოსწრებოდა, რაკი-

ლა 1802 წელს დაბადებულიყო, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების მეორე წელს.

არადა ისე აღედგინა ჯერ საკუთარ წარმოსახვაში XVIII საუკუნის მიმწეხრი თავისი ათასგვარი ხვეულითა და ლაბირინთით, ისე გაემთლიანებინა და ისეც გადმოსცემდა ყმანვილკაცებს, ისე დეტალ-დეტალ და ნიუანსობრივად, ისეთი კოლორიტულობითა და ფსიქოლოგიური ჩაღრმავებებით, ისეთი სიმძაფრითა და სახიერებით, უმუშალო მომსწრეთა და თვითმხილველთ შუეხარბებოდათ.

სიყმანვილიდანვე გატაცებულიყო ძველი ამბების გამოკითხვითა და შეგროვებით.

ვის აღარ მიაკითხავდა, ვის აღარ გამოჰკითხავდა – არამარტო ერეკლე მეორის მომხრეთა და ერთგულთ, არამედ მათაც, რომელნიც დაპირისპირებოდნენ, ზოგნი ანგარებითა და პირადი გამორჩენისათვის, რუსული ოქრო რომ აუბამდათ თვალს, ზოგნიც – გულწრფელად აყოლილიყვნენ ოპოზიციურ მოძრაობას, და ახლა არაერთი მაშინდელი მოწინააღმდეგე აღექსანდრეს რომ შესტიროდა და თავზე ნაცარს იყრიდა:

პაპაშენის მტრობით საქართველო დავლუპეთო!..

მოყოლით უყვებოდნენ, მაგრამ იმასაც დასძენდნენ:

თუ ვინმეა სანდო მეგზური იმ დროში, დედაშენია, თეკლა ბატონიშვილი, ყველაფერი მოესხენება მეფის სასახლის ირგვლივ და პატიოსანი დედაკაციც არის, არას შეცვლის, არას მოაკლებს და არც გადაამეტებსო.

ეს ის თეკლაა, მეფე ერეკლე ამ სიტყვებით რომ გამოარჩევდა და შეამკობდა:

ეგ რომ ვაჟად დაბადებულიყო, სამეფოში ყველაფერი რიგზე იქნებოდაო!..

დედისაგან შთაგონებოდა აღექსანდრეს პირუთვნელობაც და სიმართლის ძიებაც ისე, რომ არავის და არაფერს მორიდებოდა და ყოველივე წარმოსახვა იმგვარად, სინამდვილეში როგორც გახლდათ.

მემატიანეს რაც მოეთხოვება!..

აღექსანდრე ორბელიანისაგან შევიტყობდით:

რუსეთს ჯერ კიდევ 1770 წელს რომ განეზრახა ქართლ-კახეთის ხელში ჩაგდება და ამისათვის გამოეგზავნათ ტოტლებენი, ვითომდა მეფე ერეკლეს დასახმარებლად ასპინძის ბრძოლაში, უეცრად რომ უნდა ჩამოსცილებოდა და, ვიდრე ერეკლე მეორე ასპინძის ომს გადაიხდიდა, მანამდე რუსეთის ჯარს ტფილისი აეღო... ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ მათ დაუხმარებლად ქართველებს გაუძნელებოდათ ლეკ-ოსმალთა გაერთიანებულ ლაშქართან ბრძოლა და

გარდუვალი მარცხი ელოდათ. ასე რომ, დედაქალაქს სრულიად უმტკივნეულოდ დაეუფლებოდნენ... მაგრამ ერეკლე მეორეს ასპინძის ბრძოლაც უნდა მოეგო და რუსთა ლაშქრისთვისაც ჩამოესწრო ტფილისში.

ალექსანდრე ორბელიანისაგან შევიტყობდით:

მარკოზაშვილების დარბაზის შექმნა-არსებობის ამბავს, რუსთა მეხუთე კოლონისა, რასაც უნდა დაყრდნობოდნენ აქ შემოსვლისას.

ალექსანდრე ორბელიანისაგან შევიტყობდით:

ლევან ბატონიშვილის ტრაგიკული აღსასრულის საიდუმლოს, დეტექტივის მიზანსწრაფვით რომ გახსნიდა რუსების მიერ დაგეგმილ პირველ პოლიტიკურ მკვლელობას საქართველოში, რადგანაც ჯაშუშთა მეშვეობით მოეხსენებოდათ, რომ ლევან ბატონიშვილი თავისი რეგულარული ჯარით დიდ დაბრკოლებად გადაექცეოდათ ქართლ-კახეთის დაპყრობის გზაზე.

ალექსანდრე ორბელიანისაგან შევიტყობდით:

ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა რუსეთის ინსპირირებულიც რომ გახლდათ და დაფინანსებულიც... ხოლო საგარეჯოში მდგარი ქართველთა ლაშქარი, ვახტანგ ორბელიანის მეთაურობით, არც გაინძრეოდა, არამცთუ კრწანისის მცირერიცხოვან მებრძოლებს ჩამოშველებოდა.

ალექსანდრე ორბელიანისაგან შევიტყობდა გრიგოლ ორბელიანი სამასი არაგველის გმირული თავდადების ამბავს კრწანისის ბრძოლისას, „სადღეგრძელო“ რომ შემოგვიწინაზავდა.

უამრავი მსხვილმანი თუ წვრილმანი უნდა გადაგვრჩენოდა ალექსანდრესაგან ჯერ კიდევ იმ დროისა, მის დაბადებამდე რაც მომხდარიყო, თორემ რასაც თვითონ შესწრებოდა და რაშიც უშუალოდ მონაწილეობდა, იმ ამბების სანდო ქრონიკებს შეუქმნელად რას გაუშვებდა.

დიდი ეპოსის სიუჟეტადაც მოჰყვებოდა:

თუ როგორ მიიღებდა მონაწილეობას ვახტანგ ორბელიანი აჯანყებული კახელების წინააღმდეგ ბრძოლაში, თავის მართლებას იმით რომ მოჰყვებოდა ორსული მეუღლის წინაშე:

რუსებმა მკაცრად მოგვთხოვეს მათ მხარეს ბრძოლა და ყველა ქართლელი თავადის სახლთან ზარბაზნები ამიტომაც მოაგორეს, თუ ვინმე ამბოხების ჩაქრობაში არ მიიღებს მონაწილეობას, დედაბუდიანად ამოჟლეტენ, და ჩვენს ოჯახსაც ეს ბედი მოეღის, თავიც რომ არ ვინაღვლო, შენც, ჩვენი ორი ვაჟიც და ეგ მესამე, მუცელში რომ გყავს, მათი წერა შევიქნებითო.

პასუხად თეკლა ბატონიშვილს სხვა რა შეიძლებოდა ეთქვა, თუ

არა მისი გვარიშვილობისა და ღირსების შესაფერისი:

სჯობს აჯანყებულ კახელებს მიუდგე, მე და ჩემი შვილები კი დაე ჩვენი ქვეყნის სანაცვლო ვიყოთო.

ვახტანგ ორბელიანი, როგორც რუსთა მომხრე, ვითომდა რომ ნანობდა, კრწანისის ბრძოლაში თავის სიმამრს რომ უღალატა, ამჯერადაც ძალმომრე რეჟიმს დაუდგებოდა გვერდით, თავსაც ძალიან გამოიღებდა და ამ ბრძოლაში დაიღუპებოდა, რუსები პატივს რომ მიაგებდნენ პოლკოვნიკ ორბელიანს: გმირულადო.

მამის არჩევანს რომ გაჰყოლოდა ალექსანდრე, ისიც იმპერიის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო და ადმინისტრაციული თუ სამხედრო კარიერა გაეკეთებინა რუსთა გასაძლიერებლად კავკასიაში.

მაგრამ გაჰყვებოდა დედის არჩევანს და სიცოცხლეს გადააგებდა საქართველოს გამოსხნისათვის ბრძოლასა და გარჯას.

1832 წლის შეთქმულებაში მის აქტიურ მონაწილეობასა და სულაც ერთ-ერთ მეთაურობას განსაზღვრავდა ის ფსიქოლოგიური მოტივიც, მამის ცოდვის ჩამორეცხვასაც რომ ესწრაფოდა ოჯახისთვისაც და გვარისთვისაც, ისევე როგორც ელიზბარ ერისთავის თავგამოდებასაც განაპირობებდა ის ფსიქოლოგიური სარჩულიც, სოლომონ დოდაშვილი ნახევრად ხუმრობით რომ ნააკეცავდა:

ერისთავებმა შემოიყვანეთ რუსები საქართველოშიო!..

იგულისხმებდა ელიზბარის მამა-ბიძების დაპირისპირებას ერეკლე მეორესთან და ხელშეწყობას რუსთა დასამკვიდრებლად ჩვენს ქვეყანაში.

პასუხად ელიზბარი ჩვეული შეუპოვრობით რომ მიუგებდა:

ერისთავებმა შემოიყვანეთ და ერისთავებივე გავრეკავთო.

მაგრამ მანამდე ჯერ ადრეა.

ჯერ თეკლა ბატონიშვილმა მწარედ უნდა დაიგმინოს, როდესაც ქმარიც და სხვა ქართველი თავადებიც აჯანყებულ კახელთა დამსჯელ ექსპედიციაში აპირებენ მონაწილეობას:

ახლა რაღა გვეშველება, საუკუნო მონად დარჩა საქართველო რუსებისაო.

ჯერ ალექსანდრე უნდა მონაწილეობდეს გრანდიოზული კრიგის ასპარეზობაში, მთელი ტფილისი რომ გახლდათ ჩარეული, და შინ რომ ბრუნდებოდა ნაცემ-ნაბეგვი და ტანსაცმელშემოხეული, დედა არამცთუ უწყრებოდა, პირიქით – უნონებდა ვაჟკაცურად ჩართვას ამ მეტად სარისკო სპორტულ-სახალხო სანახაობაში.

ჯერ ალექსანდრემ ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შესვენებისას ტამის კვრის თამაშში უნდა გაიმარჯვოს და დირექტორი რომ ეტყვის:

შენა ხარ რომაელი პუბლიუსიო.

და სამუდამოდ უნდა შერჩენოდა ეს მეტსახელი, ყველა პუბლიკად რომ იხსენიებდა, თვითონ კი ფსევდონიმიდაც გამოიყენებდა.

ჯერ 15 წლის ალექსანდრე სამხედრო სამსახურში უნდა შევიდეს კარაბინერთა მე-7 პოლკში, და 1817 წლის დეკემბერში უნდა გაამწესონ იუნკრად პირველი ბატალიონის პირველ გრენადერთა როტაში, რომელიც იმერეთის აჯანყებისას 1820 წელს ამ მხარისაკენ უნდა გაესტუმრებინათ არეულობის დასამშვიდებლად.

ჯერ იმერეთი უნდა გავლოს რუს სალდათ-ოფიცერთა გვერდიგვერდ ისე, აჯანყებულთაგან ერთი კაცის სისხლიც რომ არ დაეღვაროს.

ჯერ ყაზარდოს დამორჩილებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა და იქ ერთი ჩერქეზი რომ შემოაკვდებოდა, სამუდამოდ აიღოს ხელი სამხედრო ლაშქრობებზეც, გამოეცალოს იქ სამსახურს, ეს უნებლიე მკვლელობა კი შემორჩეს ყველაზე დიდ ცოდვად და სინდისის მტანჯველად.

ჯერ ჯვარი უნდა დაინეროს ეკატერინე ბარათაშვილზე – 1824 წლის 8 ივნისს, მათი პირველი შეხვედრა რომანტიკულ ეპოსს რომ დაამშვენებდა, ალექსანდრე ერთი შეხედვითვე რომ მოიხიბლებოდა ისე, რომ ამ ქალის გარდა ცოლად სხვა ველარც ველარავინ წარმოედგინა... და რაოდენ გასაკვირი უნდა ყოფილიყო მისთვის, რომ: ეკატერინე აღმოჩნდებოდა სწორედ ის გოგონა, რომელზეც ალექსანდრე ბავშვობისას დაეწინდათ.

ჯერ სპარსელები უნდა შემოიჭრნენ ამიერკავკასიაში და საქართველოსაც დაემუქრონ, ალექსანდრე მილიციაში რომ უნდა შევიდეს და მონაწილეობა მიიღოს თავდაცვით საომარ ოპერაციებში – 1826-27 წლებში.

ჯერ ტფილისის მაზრის თავადაზნაურობამ უნდა აირჩიოს მარშლობის კანდიდატად 1827 წელს, ხოლო მარშლის გარდაცვალების შემდგომ შეასრულოს მისი მოვალეობა ახლის არჩევამდე.

ჯერ საქართველოს უმაღლესი მთავრობის სააღმსრულებო ექსპედიციის მრჩეველად უნდა აირჩიონ და ამ თანამდებობაზე იმყოფებოდეს, ვიდრე დაატუსაღებდნენ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

ეს მოხდებოდა 1832 წლის 11 დეკემბერს.

და მოხდებოდა მანამდე, ვიდრე აჯანყება მოედებოდა მთელს ქვეყანას.

III

თუმც ეს ეპიზოდის ნუ გამოგვრჩება:

საშიში ხმები სულ უფრო გახშირდებოდა და გაძლიერდებოდა, საშინელი სნეულება, ხოლერად სახელდებული, ინდოეთში რომ იფეთქებდა, მერე ყიზილბაშებსაც დაერეოდა და ყარაბაზშიც ამოაღწევდა.

ზაფრა დაუვლიდა ტფილისს, ჩვენც არ მოგვაკითხოსო.

და ვერც გადაურჩებოდნენ.

და კიდევ უნდა ატეხილიყო ქალაქში გნიასი და ყვირილი, განწირული გადაძახილები, ეპიდემია უკვე აქაურობასაც რომ დაატყდებოდა და, აივანზე გადმომდგარი ალექსანდრე ამ საზარელ ამბავს რომ შეიტყობდა, მაშინვე შინ შეიკეტებოდა და კარ-ფანჯრებსაც დაგმანავდა.

თეკლა ბატონიშვილი თავის რძალთან ერთად შინ რომ დაბრუნდებოდა, რაკილა გნიასი მის ყურს არ მიწვდომოდა, გაკვირდებოდა, გაგანია სიცხეში კარ-ფანჯარა ჩაკეტილი რომ დახვდებოდა.

ალექსანდრე აუხსნიდა მიზეზს, მაგრამ დედა უნდა განყრომოდა:

რაზე გეტყობა ვაჟკაცობა, სიკვდილის შიში როგორ გეკადრება კაცსაო?

და კიდევ გაფეთქავდა სახლს.

თეკლა ბატონიშვილის ამ შემოძახებას სრული გარდასახვა უნდა გამოენვია ალექსანდრეს არსებაში და, არამცთუ კარ-ფანჯრების გაღებას დაყაბულდებოდა, თათრის მოედანზეც გაეჩქარებოდა, რითაც პოლიცმეისტერის გაოცებას გამოიწვევდა:

ასეთი ღვთისრისხვისას აქ რამ მოგიყვანაო?..

მაგრამ ალექსანდრეს უკვე ველარაფერი შეაკრთობდა და უფლის ნებას მინდობილი მთელს მოძრაობას უნდა ჩადგომოდა სათავეში სნეულთა გადასარჩენად თუ მიცვალებულთა დასამარხად...

რალაც საოცარი შთაგონების წყალობით ერთ ისეთ ახალგაზრდასაც დაიხსნიდა შავი ჭირისაგან, გადარჩენა რომ არავის ეიმედებოდა.

დღედაღამ მუხლჩაუხრელად იტრიალებდა კუკიაზეც და ავლაბარშიც, ხარფუხშიც და გარეუბანშიც და მზრუნველიც ის იქნებოდა და პატრონიც ქალაქისა, თავგამოდებული და თავგანწირული...

IV

ვიდრე აჯანყება მოედებოდა მთელს ქვეყანასო...

ჰეროიკისა და ტრაგიკული აღსასრულისთვისაც მზადყოფი შეთქმულნი უეცრად კომედიაში უნდა აღმოჩენილიყვნენ, რაკილა ხელის განძრევასაც ვერ მოასწრებდნენ, ისე ამოჰყოფდნენ თავს ავლაბრის ყაზარმებში.

არადა იატაქვეშა მოძრაობა ისე მიედინებოდა და მის მონანილეთ ისე ჰქონდათ გააზრებული აჯანყების პროცესიც და დამოუკიდებლობაღდგენილი საქართველოს სახელმწიფოებრივი მონყობაც, ისტორიის პარადოქსს რომ არ ეჩინა თავი, მოვლენები სულ სხვაგვარად უნდა წარმართულიყო.

ისტორიის პარადოქსი იასე ფალავანდიშვილს უნდა ეტვირთათ, ალექსანდრე იუდად რომ მოიხსენიებდა და შემდგომ უკვე ნიკოლოზ ბარათაშვილიც, გამცემს ფარული საზოგადოებისა, მოგვიანებით რომ შემოუერთდებოდა დამოუკიდებლობის მაძიებელთ და... ერთბაშად მეთაურთა შორის ჩადგებოდა:

სოლომონ დოდაშვილის, ალექსანდრე ორბელიანისა და ელიზბარ ერისთავის -

სამეულისა, რომელთაც უნდა განეხორციელებინათ უმნიშვნელოვანესი მისია, რასაც აღარ ღირსებოდა საქართველო დავით აღმაშენებლის შემდგომ ანუ შვიდი საუკუნე ამ მოვლენის გარეშე გადაფურცლულიყო ჩვენს წარსულში.

რა მოვლენაა, რა მისიაა და:

დავით აღმაშენებელი თავის ბრძოლებს საქართველოს გამოსახსნელად უშუალოდ გადააბამდა ჯვაროსანთა ლაშქრობას აღმოსავლეთში ანუ თავის ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანდა და გლობალური ისტორიული მოვლენების შუაგულში მოაქცევდა.

და შეთქმულებრივი მოძრაობის მეთაურნი კვლავ შეიძლებდნენ ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე გაეყვანათ და გლობალური ისტორიული მოვლენების შუაგულში მოექციათ.

ეს კი ნიშნავდა:

მსოფლიო პროცესი დეკოლონიზაციისა, რომანტიკულ აჯანყებათა ციკლი საქართველოსა და მისი ეროვნული მოძრაობის გარეშე რომ არ მოხდებოდა.

რომანტიკული ჩვენს ამჟამინდელ წარმოდგენაში რატომღაც გაიგივებულია უნიადაგო ოცნებასთან, ამაო სწრაფვასთან, არარეალისტურ მცდელობასთან, სინამდვილეში კი რომანტიკა ნიშნავს ნების სიმტკიცესა და შეუპოვრობას და თავგანწირვით ჩაბმას

უთანასწორო ბრძოლაში, რასაც ხშირად მოჰყოლია გარემომცველი რეალობის ძირფესვიანად გარდაქმნა.

ხოლო იმჟამად თუ ვერ აღწევ საბოლოო გამარჯვებას, შექმნით ხომ ჰქმნი მყარ საფუძველს შთამომავლობისათვის, რათა აქ დაწყებული რომანტიკული სწრაფვა შესაფერისადაც დაგვირგვინდეს.

და 1832 წლის შეთქმულება პოლიტიკურ რომანტიზმად პირველად კიბა აბაშიძეს უნდა მოეხსენიებინა და ამ ჭრილში გაეაზრებინა მის მონაწილეთა დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე თავგადასავალი.

ხოლო ციკლი რომანტიკულ აჯანყებათა, რომლის სრულფასოვან რგოლადაც წარმოგვიდგება ჩვენი ფარული შეთქმაც, ამგვარ პანორამად გადაგვეშლება:

1821 წელს დამოუკიდებლობა უნდა მოეპოვებინა საბერძნეთს, თუმც ოსმალეთი ცოტა მოგვიანებით აღიარებდა მის გათავისუფლებას;

1829 წელს სერბეთი და რუმინეთი და, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქრისტიანი ერები, გარდა ბულგარელებისა, უნდა გამოხსნოდნენ ოსმალთა ბატონობას;

ბელგია გათავისუფლდებოდა ჰოლანდიისაგან;

სწორედ იმხანად ეგვიპტესაც უნდა მოეხერხებინა მამლუქთა აღაგმვა და თავდაღწევა ოსმალეთისაგან.

ეს – ევროპა და ახლო აღმოსავლეთი.

ხოლო სამხრეთ ამერიკაში ეროვნულ მოძრაობათა გაძლიერებას უნდა მოჰყოლოდა:

მექსიკის გათავისუფლება – 1823 წელს;

ბრაზილიისა – 1831 წელს;

და კიდევ რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფოც უნდა შექმნილიყო სიმონ ბოლივარის მიერ წამოწყებული ბრძოლების შედეგად – ესპანელი კოლონიზატორების უღელს რომ გადაიგდებდნენ.

მარცხიც რომ არ ასცდებოდათ აჯანყებულთ?

იტალიელ კარბონარებს ავსტრიელთაგან თავდასაღწევად – 1821 წელს და პოლონელებს რუსთა ბატონობის მოსათავებლად – 1831 წელს.

თუმც ეს ორი გაბრძოლება დროებით წარუმატებლობად უფრო წარმოდგება მოვლენათა ერთიან ჯაჭვში, ისევე როგორც ქართველთა მარცხი ზედ ამბოხების წინ – თვითმყოფადობის შენარჩუნებას, დაუმორჩილებლობის სულის უწყვეტობას ხომ შეიძლებდნენ, თავისუფლების წყურვილს რომ უფრო გააღვივებდნენ და ერთხელ კიდევ და თვალნათლივ დაამტკიცებდნენ:

მონობაში სულის მოთქმას თავგანწირვა სჯობდა და ნების შეუდრეკლობის წარმოჩენა, რათა თავიანთი ღვაწლი დაედოთ მომავალი გამარჯვებისათვის.

ესეც მსოფლიო-ისტორიული პროცესი.

და ესეც ქართული ფარული საზოგადოების ადგილი ამ უვრცესი არეალის ფონზე.

საზოგადოების, რომლის სათავეც... მოსკოვსა და პეტერბურგში უნდა ჩასახულიყო და იქიდან აბმულიყო ის იატაკქვეშა მოძრაობა, რომლითაც რამდენიმე წლის განმავლობაში ისუნთქებდა ტფილისიც, მთელი საქართველოც და ჩრდილო კავკასიაც.

ოქროპირ ბატონიშვილი, ძე გიორგისა, და დიმიტრი ბატონიშვილი, ძე იულონისა, უნდა გამხდარიყვნენ შთამაგონებელნი ამ დიდი წამოწყებისა.

ოქროპირ ბატონიშვილი, თბილისში ჩამოსული, ალექსანდრესაც რომ დაელაპარაკებოდა ამ წამოწყებაზე, მასაც იმავეს ურჩევდა, რასაც სხვებს:

ერთდროულად ნურავის შესთავაზებ ფარულ საზოგადოებაში შემოსვლას, თუნდ შენი ძმებიც იყვნენ, ყველას ცალ-ცალკე მოელაპარაკეო.

ერთი მონმეც არ უნდა დასწრებოდა საიდუმლო განზრახვის გამხელას.

ეს სიფრთხილე მერეც იჩენდა თავს, როდესაც ფარულ საზოგადოებას სამეულებად დაჰყოფდნენ, რათა შეთქმულთ სცოდნოდათ მხოლოდ ორიოდ კაცის ვინაობა და არა ფარული საზოგადოების მთლიანი შემადგენლობა, და რომელიმე ჯგუფის ჩავარდნის შემთხვევაში პოლიცია ადვილად ვერ მიწვდომოდა დანარჩენებს; ხოლო ვიდრე გამორკვევას შეუდგებოდნენ, სხვა შეთქმულთ შესაძლებლობა მისცემოდათ თავის დაძვრენისა.

მთლიანი ქსელი საიდუმლო შეთქმისა ერთ კაცს მაინც უნდა სცოდნოდა და ეს ერთი კაცი ალექსანდრე ორბელიანი უნდა ყოფილიყო.

და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ შეთქმულების გაცემის შემდგომ იქ ჩაიკეტებოდა მონაწილეთა რაოდენობა, სადამდეც იასე ფალავანიშვილს მიუწვდებოდა მზერა.

წესდებასაც შეადგენდნენ – „აქტი გონიურის“ სახელით ფილადელფოს კიკნაძე რომ მოამზადებდა.

აღდგენილ სახელმწიფოს წყობას პარლამენტურ სამეფოდ განსაზღვრავდნენ – ორპალატიანად.

ალექსანდრე აბსოლუტური მონარქიის მომხრე გახლდათ, სოლომონ დოდაშვილი პარლამენტური მონარქიისა და... საბ-

ოლოოდ სოლომონის არჩევანი გადასძალავდა დიდი კამათისა და დაპირისპირებების გარეშე ამ ორი იდეის მომხრეთა შორის.

გამარჯვების შემთხვევაში ჯერ თამარ იულონის ასული უნდა აერჩიათ მეფედ, ვიდრე სპარსეთიდან მოინვევდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს და მას დაადგამდნენ სამეფო გვირგვინს, ერთ უპირველეს მოთავეს ამდენწლიანი ბრძოლისა რუსთა განსაღვენად საქართველოდან, მასთან ფარული ძაფის გაბმას ალექსანდრე ორბელიანი რომ ითავებდა თეკლა ბატონიშვილის დახმარებით, მთელს კავკასიაში გმირობის სიმბოლოდ აღიარებული და უკვე ლეგენდებში გახვეული ტახტდაკარგული უფლისწული რომ მოსწერდა დისწულს:

შენ როგორ უნდა გენდო, მამაშენი ჩემს პირისპირ დაიღუპა კახეთის ამბოხებისას, მაგრამ მაინც უნდა გენდო, რაკილა მე მოვხუცდი და აღარ შემიძლია, და ახლა თქვენმა საზოგადოებამ იცის, როგორ მოიქცევაო.

გარდა სპარსეთისა, ოსმალეთის თანადგომისაც ეიმედებოდათ, მათ ელჩთანაც ალექსანდრე რომ გააბამდა ფარულ ურთიერთობას.

საფრანგეთის კონსულთან ლეტელიესთანაც ექნებოდა საიდუმლო მოლაპარაკება.

პოლონელებთან უფრო მეტიც და ქმედითიც – ამას უკვე ელიზბარ ერისთავი ითავებდა, პოლონეთის ამბოხების მონაწილეთ ტფილისში რომ გადმოსახლებდნენ, ელიზბარს არტილერისტებად უნდა განემწესებინა აჯანყების ბაირალის აფრიალებისას.

ევროპაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამბების მოკრება ალექსანდრეს დაევალებოდა და ისიც ყოველდღიურად აცნობდა თანამზრახველთ იქაური ქვეყნების ცხოვრების მდინარებას.

მომავალი მთავრობის სიას რომ შეადგენდა სოლომონ დოდაშვილსა და ელიზბარ ერისთავთან ერთად:

არც ზედა მმართველობაში:

მეფის გარდა სამხედრო, იუსტიციის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა და განათლების და საგარეო საქმეთა მინისტრებს რომ შეარჩევდნენ.

და არც ქვედაში:

მაზრის დეპუტატები რომ შეადგენდნენ და საჩივრის საქმეების განხილვა ევალებოდათ –

თავიანთ თავს არ გაითვალისწინებდნენ მეთაურები.

მათთვის მთავარი გახლდათ დაკარგული დამოუკიდებლობის ამოგება და არა ხელისუფლების ხელში ჩაგდება, საამისოდ სხვებს

რომ უფრო ამჯობინებდნენ, ალექსანდრე ჭავჭავაძე კი არსებითად პრემიერ-მინისტრად ესახებოდათ.

ამბოხი თათრის მოედანზე უნდა დაწყებულიყო.

და წინასწარვე შეარჩევდნენ იმ შეთქმულთ, რომელთაგანაც:

ვის ციხეზე შეტევა ევალეობდა, ვის ყაზარმებზე, ვის არსენალზე, ვის საველე-სასურსათო კომისიაზე, ვის ხაზინასა და ორდონანს-ჰაუზზე, ვის ნავთლულის კომისიაზე, ვის პურის მაღაზიაზე.

შესაკრებ ადგილას ორი დროშა უნდა აფრიალებულიყო:

ერთი ღვთისმშობლისა და წმინდა ნინოს გამოსახულებებით და მეორე – წმინდა გიორგისა, რომელსაც ალექსანდრე თავის მეუღლეს შეაკერინებდა – კატინას.

აზიური მუსიკა დაუკრავდა და მის ხმაზე უნდა მოეყარათ თავი შეთქმულების იმ წევრებს, რომელნიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ იერიშებში.

ეკლესიებში უნდა ატეხილიყო ზარების რეკვა და სიონის ტაძრიდანაც გამოესვენებინათ ღვთისმშობლის ხატი და სომეხთა ფეთხაიმის ეკლესიიდანაც.

საერთაშორისო ვითარებასაც რომ ითვალისწინებდნენ და იმპერიის შიდაცხოვრებასაც, ამიტომ შეაგულიანებდათ პოლონეთის აჯანყება, მაგრამ რუსეთმაც იცოდა, თუ დროულად არ ჩაახშობდნენ იმ ამბოხს, მოსალოდნელი გახლდათ იმპერიის სხვადასხვა მხარეშიც დაძრულიყო წინააღმდეგობის ტალღა. და ამიტომაც მთელს სამხედრო ძალებს იქით მიაყრიდა და ოთხ დღეში აიღებდა ვარშავას.

ვარშავის დაცემა ქართველ შეთქმულებსაც შეაფიქრიანებდათ და აჯანყებას უკეთესი დღისათვის გადადებდნენ.

და აქ უნდა მომხდარიყო პროვოკაციული გამწვავება.

პროვოკაციას კი სხვა ვინ მოაწყობდა, თუ არა იასე ფალავანდიშვილი, რომელიც ბრალს დასდებდა სოლომონ დოდაშვილსა და ალექსანდრე ორბელიანს ლაჩრობაში, თავის მხრივ კი განუცხადებდათ:

თვით ჩემს ძმას არ დავინდობ და ჩემი ხელით მოვკლავო.

ეს იმ ნიკო ფალავანდიშვილს, ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი რომ გახლდათ და ალექსანდრე ორბელიანი შემდგომ ასე შემოგვინახავდა ფარული ორგანიზაციის გაცემის ფსიქოლოგიურ სათავეს:

იასე ძმას გამოუტყდა, აჯანყება რომ მზადდებოდა და იმან აიძულა დასმენის წერილის დაწერაო.

ამ ჩანაწერის კვალს გაჰყვებოდა მიხეილ ჯავახიშვილი და რომანში „არსენა მარაბდელი“ ასეც წარმოსახავდა შეთქმულების გა-

ცემის ამბავს.

თუმც უფრო მოსალოდნელია, რომ:

იასე ჯაშუშად წინასწარვე ყოფილიყო შეგზავნილი შეთქმულთა წრეში, რასაც გვაგვარაუდებინებს ის გარემოებანი, რომ:

დაანერინებდა და გამოართმევდა ალექსანდრე ორბელიანს ფარული საზოგადოების ძირითად სიას, და თუმც ის არ დაანებებდა ეს ფურცელი თან წაელო, იასე თვალის ერთი გადავლებითაც დაიმახსოვრებდა ყველას გვარ-სახელს და... საბედისწეროდაც აუხდებდათ იმათ იასეს ეს იშვიათი მეხსიერება.

ინერდა საიდუმლო თავყრილობებზე ნალაპარაკევს, თითქოს ოფიციალური თათბირის ოქმებს ადგენდეს, იმ ჩანაწერებზე დაყრდნობით რომ დაამზადებდა დასმენის ბარათს.

და ასეთი მშიშარა თუ იყო, ჯერ ძმას რომ გაუმჟღავნებდა შეთქმულების ამბავს და მერე იმისი ძალდატანებით დასაბუზღებლად გაიქცეოდა, რაღას ცდილობდა მინავლებული ცეცხლი ამბოხებისა ხელოვნურად აღეგზნო და უსაყრდენოდაც დაეტოვებინა, რაკილა საერთაშორისო ყოფა აღარ უწყობდა ხელს ჩვენს საზოგადოებას და პოლონელთა ბედს თუ გაიზიარებდნენ?!

გაბრძოლება რომ არ დასცალდებოდათ და... მაშინაა, კომედიაში რომ ამოჰყოფდნენ თავს ჰეროიკისათვის შემართულნი.

კიდევ ლოგინებიდან წამოკრეფდნენ შეთქმულებს, ალექსანდრე ორბელიანს 1832 წლის 11 დეკემბერს რომ მიადგებოდნენ შინ სალდათები კომენდანტსა და პოლიცემისტერთან ერთად და გაუყენებდნენ ტუსაღის გზას. ხიდზე გადასვლისას ალექსანდრე მეტენის ციხისაკენ რომ შეტრიალდებოდა, მაგრამ ოფიცერი ავლაბრის ყაზარმისაკენ შეაბრუნებდა, სადაც მოუყრიდნენ თავს ფარული საზოგადოების წევრებს და შეუდგებოდნენ გამოძიების პროცესს, აქაური პატიმრობა ყაზარმობის სახელით რომ შევიდოდა ისტორიაში.

ალექსანდრე თავს დაისუსტებდა და თანამოაზრეთაც შეუთვლიდა, თქვენც ასე მოიქეცით და ეგებ ამგვარად შევიმსუბუქოთ მოსალოდნელი სასჯელი.

აჯანყებისათვის სამზადისი იქნებ თავქარიანულ ლაპარაკად გაესაღებინათ, დროსტარებისას შეღვინებული ახალგაზრდების უქმ, უნიადაგო სიტყვისფრქვევად და გულის მოხებად, რეალურს რომ არას იზრახავდნენ.

ცხადია ეს მცდელობა ვერას უშველიდათ, ისეთი დაჭედილი დასმენის წერილი არსებობდა და ისე გაიხლართებოდნენ ჩვენების მიცემისას, მაგრამ საიმპერატორო კარი თავისას გადაწყვეტდა:

არა სასტიკი დასჯა მემამბოხეთა, არამედ ერთგვარი შეწყალება, სიკვდილის განაჩენის ნაცვლად გადასახლებას რომ აკმარებდნენ.

სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ძალიან დააზარალებდა რუსეთის იმპერიას ევროპის თვალში, ისედაც სახელგატეხილი ამ ცოდვასაც რომ დაიდებდა.

ამასთან:

ოთხად განწვალვა სოლომონ დოდაშვილისა, ალექსანდრე ორბელიანისა და ელიზბარ ერისთავისა და სხვათა ჩამოხრჩობა წამებულებისა და გმირობის შარავანდით შემოსავდა მათ სახელებს ხალხში და კიდევ უფრო გააღვივებდა წინააღმდეგობის მოძრაობას, რაც შესაძლოა უმართავი გამხდარიყო.

ახლა ამ ახალგაზრდების შეწყალება იმთავითვე გააცამტვერებდა ამგვარ შარავანდს და იმპერატორისადმი მადლიერებით გამსჭვალული ქართველობა სრულიად დეზორიენტირებული აღმოჩნდებოდა, ბედს შეგუებული და დამორჩილებული და მხოლოდლა მომლოდინე იმპერიისაგან ახალ-ახალი ნაწყალობევისა.

და დატუსაღებიდან 14 თვის თავზე ალექსანდრე ორბელიანს სოლომონ დოდაშვილსა და ელიზბარ ერისთავთან ერთად მოაქცევდნენ დამნაშავეთა მეორე კატეგორიაში, რაც ნიშნავდა:

შეთქმულების წამქეზებელნი, რომელნიც ხალხს ალაგზნებდნენ შეთქმულებისათვის და თვით აჯანყებისათვის...

ალექსანდრეს გადასახლებდნენ ორენბურგში, სადაც დაინიშნებოდა პრაპორშჩიკად ერთ-ერთ სახაზო ბატალიონში. გაიგზავნებოდა 12 წლით, მაგრამ ადვილად მერეც ვერ უნდა გათავისუფლებულიყო: კავკასიის მთავარმართებელს უნდა გაეცა ნებართვა, შეიძლებოდა თუ არა მისი დაბრუნება სამშობლოში.

გარდა ალექსანდრესი, გადასახლებას მიუსჯიდნენ მის ძმებსაც – დიმიტრისა და ვახტანგს, იმათ – კალუგაში.

და კალუგაშივე გაამნესებდნენ თეკლა ბატონიშვილსაც, თუმცა ალექსანდრეს ეიმედებოდა, რომ მეფე ერეკლეს ასულს ხელისუფლება ასე არ გაიმეტებდა.

თეკლა გულმშვიდად შეხვდებოდა ამ განაჩენს და შვილებსაც გააფრთხილებდა:

მნუხარება არ შეიმჩნიოთო.

1834 წლის 14 ივნისს ალექსანდრე დაადგებოდა შორეულ გზას ორენბურგის გუბერნიისაკენ, გზას, რომელიც დაუსრულებელი მოეჩვენებოდა და აღმოხდებოდა:

ამტოლა ქვეყანა აქვს რუსეთს და სხვის ცოტას რაღად ეჭიდებოაო?!

1838 წლის ოქტომბრის მინურულს მთავარმართებლის ბრძანებით კავკასიის სახაზინო ბატალიონში გადმოიყვანდნენ, საქართველოსთან მოახლოება ჩაფერფლილ იმედს ხელახლა რომ გაუღვივებდა.

იმპერიის პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები რომ მოხდებოდა, 1840 წლის 21 იანვარს იმპერატორი ხელს მოაწერდა ნებართვას შეთქმულების ყოფილი მოთავის გამოსვლაზე სამხედრო სამსახურიდან და საქართველოში დაბრუნებაზე.

ნახევარ კაცადლა გრძნობდა თავს, მაგრამ შინისაკენ მომავალს ნელ-ნელა უბრუნდებოდა რწმენაც და სიმხნევეც და, საქართველოს ძველ საზღვარს რომ გადმოლახავდა და დარიალის ხეობაში შემოვიდოდა, გული ველარ გაუძლებდა, სხვებს წინ წასვლას სთხოვდა, თვითონ კი ეტლიდან გადმოვიდოდა და ხიდსქვემოთ თერგის პირზე ჩავიდოდა.

იქ დაიჩოქებდა.

ერთ ქვას მოეხვეოდა და კოცნით მოლოკავდა.

იშვიათი ექსტაზი რომ სჩვეოდა, სად უნდა ამოეხეთქა დაგუბებულ გრძნობებს ასეთი ძალით, თუ არა მშობლიურ მიწაზე ფეხის დადგმისას, თავი კარგა ხნის გამოტირებული რომ ეყოლებოდა.

V

სიჭაბუკის გატაცებანი ლიტერატურითა და თეატრით ახლა უკვე პროფესიად უნდა გადაქცეოდა და მისთვის შეეფარებინა თავი. შეთქმულების დროს სოლომონ დოდაშვილსაც რომ აგულიანებდა ჟურნალის დასაარსებლად და ყოველმხრივ დახმარებასაც პირდებოდა და თეატრის მოყვარულთა წრეშიც გარეუღიყო, რათა სპექტაკლი მოემზადებინათ, ეს ყოველივე უპირველესად მაინც თვისტომთა გასათვითცნობიერებლად და ეროვნული თვითმყოფადობის გასაცნობიერებლად ესაჭიროებოდა, თავისუფლების მუხტის გასადვივებლად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ამოსაგებად, ეს ოცნება ძალიან რომ გადაინეცდა და სადღაცლა კიაფობდა შორეულ ჰორიზონტზე.

მაგრამ შენარჩუნება სულიერი ძალებისა და სწრაფვა ადრე თუ გვიან რუსთა კაბალიდან გამოსხნისა მოითხოვდა მთელი საქმიანობის გადატანას კულტურის ფრონტზე, ალექსანდრე ორბელიანი მთელ ენერგიას უკვე აქეთ რომ მიმართავდა.

გააგრძელებდა წარსული ამბების გადატანას ფურცელზე, საბოლოოდ დოკუმენტური პროზის შესანიშნავ ნიმუშებს რომ უნდა მოეყარა თავი.

მოსინჯავდა ისტორიულ დრამებსაც, ერთი მხრივ დავით აღმაშენებლის დრო რომ აღელვებდა და მეორე მხრივ ერეკლე მეორისა, უფრო მაინც იმისი სიჭაბუკე და პირველი გამოსვლა საომარ ასპარეზზე. და ამ პიესებში შემოიტანდა 1832 წლის მოგონებებსაც და მხატვრულ ქსოვილში გაჰხვევდა, თუმც არც რეალური დიალოგების ამოცნობა გაძნელებოდა და არც ზოგიერთი პერსონაჟის პროტოტიპისა.

ლიტერატურული ზღაპრის ნიმუშებიც მასვე უნდა შეექმნა, ერთს კიდევ რომ გამოაქვეყნებდა: „არაკი ტარტაროზისა“ – პოლიტიკურ სატირას, მეორე კი – „ამბავი სიყვარულისა“ – ჩარჩებოდა მის არქივში უფრო ვრცელ თხზულებაში – „ჭემმარიტი სიყვარული“ – ჩართული, გამოცალკევების დროც რომ დაუდგებოდა ოდესმე, თავისი წინაპრის სულხან-საბა ორბელიანის წამონწყებულ მცდელობას ლიტერატურული ზღაპრის შექმნისა – „სიბრძნე სიცრუისას“ იგავთა კრებულში ეს ნიმუშებიც რომ უნდა გამორეულიყო – ალექსანდრე გააგრძელებდა და კიდევ ამის შემდეგ ამ ჟანრითაც უნდა გამდიდრებულიყო ქართული ბელეტრისტიკული პროზა, ჯერ მარტო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, შიო არაგვისპირელის, ნიკო ლორთქიფანიძისა და სხვათა ამ ყაიდის თხზულებანი რად ღირს.

ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებსაც დანერდა და საკმაოდ მწვავესაც, ისტორიის გადაკეთება-გადასხვაფერებას რომ არ აპატიებდა გრიგოლ რჩეულიშვილსაც, განსაკუთრებით კი მაინც დანიელ ჭონქაძის ყალბისმქნელობას ამხელდა, ბატონყმობის წარმოსახვას პროპაგანდისტული პათოსით და არა სიმართლის აღდგენის წრფელი სურვილით.

პუბლიცისტური წერილების დანერაც მოუწევდა, რაკილა ეს ჟანრი ქმედითი და აუცილებელი გახლდათ განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ორ გუბერნიად – ტფილისისა და ქუთაისისა – სახელდებული ყოფილი საქართველო არ უნდა ჩათრევილებოდა იმპერიულ ძალმომრეობასა და გარუსების პოლიტიკას და კვლავაც ეძია 1832 წლის იდეალები, რომელთა განმასახიერებლადაც ალექსანდრე ორბელიანილა შემორჩენილიყო, ყმანვილკაცთა მეგზური, სანთლებჩამქრალ ოთახში ხმის კანკალით რომ ინარჩუნებდა იატაკქვეშა ისტორიას და, თუკი მის ნაწერებს ჯერჯერობით გამომზეურება არ ეღირსებოდა, ასე ზეპირად მაინც გადარჩენილიყო ნამდვილი ამბები გარდასული დროისა.

მხოლოდ ზეპირმეტყველებით კი არ შეეშველებოდათ, ლიტერატურულ ასპარეზსაც მოუმზადებდათ „ცისკრის“ სახით, ეს ჟურნალი გიორგი ერისთავს რომ უნდა დაეარსებინა, კიდევ ერთ

მონაწილეს ფარული საზოგადოებისა და სოლომონ დოდაშვილის მონაფესა და ამ მხრივაც მისი გზის გამგრძელებელს, მაგრამ ორი-ოდე წლის შემდეგ რომ დაიხურებოდა ეს ჟურნალი, ალექსანდრე ორბელიანის სახლში უნდა გადაწყვეტილიყო მისი აღდგენა და პატრონობაც ალექსანდრეს უნდა ეთავა – კიდევ შეეკედლებინა და ყოველთვის, როდესაც გამოცემას განსაკუთრებული გასაჭირი დაუდგებოდა, არ მორიდებოდა ძვირფასი ნივთების გაყიდვას და ჟურნალის ფეხზე წამოყენებას.

რატომ იცი, ბატონო, ოჯახის აკლებაო, – საყვედურობდა კატინა, გულზე რომ ხვდებოდა ძვირფასეულობის გამეტება, თუმცა ალექსანდრეს რომ ვერ გადაათქმევინებდა განზრახვას, ესეც მოეხსენებოდა.

ქართველობა – ალექსანდრეს ძველი თანამზრახველნიც და ახალგაზრდებიც – ძალიან რომ ემადლიერებოდა მიხაილ ვორონცოვს, როგორც ახალი ტიპის მმართველს, ხელს რომ შეგვიწყობდა ჟურნალის დაფუძნებაშიც, თეატრის დაარსებაშიც და არც შექცევა-დროსტარებას მოგვაკლებდა და არც ჩინებას და ჯილდოებს, ერთადერთი ალექსანდრე ორბელიანი უნდა ყოფილიყო მამხილებელი მისი ვერაგული პოლიტიკისა, ბიბლიური წინასწარმეტყველივით მარტო დარჩენილი რომ უმტკიცებდათ თვისტომთ:

ეს ყოველივე ჩვენს მოსატყუებლადაა, მისი ვითომ კაიკაცობა, ღვთიურ მოვლენად რომ გეჩვენებათ, ერთიანად რუსეთის ინტერესებითაა ნაკარნახევი და გარეგნულ წყალობათა მიღმა უფრო მყარად მკვიდრდება გარუხების პოლიტიკა და, ასე თუ გაგრძელდა, კიდევ უფრო გაძნელდება მისგან თავის დაღწევაო.

მარტო დარჩებოდა ალექსანდრე, როდესაც იმედით მიაჩერდებოდა იმამ შამილის ბრძოლებს, მის კავკასიურ ეპოპეას, რათა ჩეჩნეთ-დაღესტანი მაინც აერიდებინა იმპერიის სტომაქში შთანთქმისაგან. ბარათსაც რომ მისწერდა, აღარ გაითვალისწინებდა, ჯაშუშთა ქსელის შუაგულში მოქცეული, ამ წერილს ადრესატამდე მისვლა რომ არ დასცალდებოდა და მეფისნაცვლის ხელთ აღმოჩნდებოდა...

ემხობოდა შამილის მთავარსარდლობა და მასთან ერთად დიდი ხნით სამარდებოდა ქართველთა სწრაფვაც დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად, სამარდებოდა ჩვენი ხელითაც, არაერთი ქართველი რომ შეიქნებოდა მონაწილე ჩეჩნეთ-დაღესტანის დამორჩილებისა, გრიგოლ ორბელიანი კი სულაც გადამწვეტ დარტყმას მიაყენებდა შამილს, თუმცა გამარჯვების დაფნას მას მაინც არ არგუნებდნენ...

მეფისნაცვლის ხელთ აღმოჩნდებოდაო...

გაიმეტებდა დასაპატიმრებლად?

არ გაიმეტებდა?

და თუ კრთომა შეუდგებოდა ალექსანდრე ორბელიანს, თავისას არა ჩიოდა, ის ალელვებდა და აშფოთებდა:

არა შემამთხვიონ რა და ჩემი მშობელი ქვეყანა უმზრუნველო არ დარჩესო.

დაიჭერდნენ და... საქართველოსათვის მზრუნველი ვილა შეიძლება ყოფილიყო?..

მის გაფრთხილებას იკმარებდა მეფისნაცვალი, რადგანაც ალექსანდრეს დატუსაღებით ნაუხდებოდა და გაუშიშვლდებოდა ფარისევლური პოლიტიკა.

ამასობაში კი უნდა წამოსწრებოდნენ ახალუხლები, მათ პირველივე ნაბიჯებში რომ უნდა გამოჭიატებულიყო იმედი სასიკეთო ცვლილებებისა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში, ალექსანდრე გულმხურვალედ რომ უნდა აჰყოლოდა მათ ყოველ წამონწყებას.

ნიშანდობლივია:

როდესაც ილია ჭავჭავაძე წამოიწყებდა ენობრივ რეფორმას და ძველთაობელთაგან ბევრი დაძრაბავდა ამ მცდელობას, ალექსანდრე ორბელიანი იმთავითვე მხარს დაუჭერდა რეფორმის აუცილებლობასა და უფუნქციოდ დარჩენილი ასოების ამოღებას ქართული ანბანიდან, ერთადერთი იოტას შენარჩუნებას მოინდომებდა, მოგვიანებით მიხეილ ჯავახიშვილი და გალაკტიონ ტაბიძეც რომ მოსურნენი იქნებოდნენ ამ ასოს აღდგენისა ანბანში.

თანადგომას რომ დაუფასებდა ილია ჭავჭავაძე, ამიტომაცაა, მძაფრ პოლემიკურ „პასუხს“ ალექსანდრე ორბელიანს რომ მიუძღვნა.

VI

და თუმცა ძალიან სჯეროდა თავისი უფროსი მეგობრისა ილიას, მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებოდა ალექსანდრე ორბელიანის მტკიცება:

საქართველოში ბატონყმობა განსაკუთრებული გახლდათ, ცალკე მდგომი სხვა ქვეყნების ბატონყმობისაგან, ჩვენში თავადებსა და გლეხებს შორის სულ სხვაგვარი, მართლაც რომ მამამვილური ურთიერთობა არსებობდა და ამ ერთსულოვნებამაც გადაგვარჩინა მტერთა შემოსევა-თარეშს, ორივე ფენას თავთავისი უფლება-მოვალეობა კარგად რომ ესმოდა და ფუნქციებიც ჰარმონიულად გადაენაწილებინათო.

ეს მტკიცება ბევრ სხვასაც მოჭრიდა ყურს, მაგრამ ილია „კაცია-ადამიანის?!“ ფურცლებზე ირონიულადაც მოიხსენიებდა ამ შეხედულებას ლუარსაბ თათქარიძისა და მისი მოურავის დიალოგისას...

თუმც „ოთარაანთ ქვრივში“ უკვე სხვაგვარად უნდა შეეხედა ამ პრობლემისათვის და როდესაც ხიდჩატეხილობის ირგვლივ ალაპარაკებდა არჩილსა და კესოს, ეს ხიდჩატეხილობა სხვა რა არის, თუ არა მამაშვილობის თეორიის თავისებური გაგრძელება, მისი დადასტურება და შესაფერისი გზის ძიებაც იმ დაკარგული ურთიერთობის აღსადგენად.

როდესაც მარქსიზმი სულ უფრო მკვიდრად იკიდებდა ფეხს კაცობრიობის ცხოვრებაში და საქართველოშიც შემოაღწევდა, კლასობრივი ბრძოლის არსიც, თავადაზნაურობისა და გლეხკაცობის ერთმანეთზე გადაკიდება-გადამტერებაც სულ უფრო რეალური გახდებოდა და მარქსისტული პროპაგანდა რაც შეიძლება აღვივებდა ადამიანის ბნელ ინსტინქტებს, რასაც გარდაუვლად მოჰყვებოდა სისხლისღვრა – ჯერ აქა-იქ თავჩენილი, მერე დამერე ეს პროცესი უმართავიც რომ შეიძლება გამხდარიყო.

და ამ პროპაგანდას უნდა დაპირისპირებოდა ალექსანდრე ორბელიანის მამაშვილობის თეორია – არა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება თავადაზნაურობასა და გლეხკაცობას შორის, არამედ მათ შორის შემაკავშირებელი ძაფების განმტკიცება, მხურვალე ლაღადისი, რაც აგერ „ოთარაანთ ქვრივის“ ფურცლებზეც ასე გამოკვეთილად ითქმოდა.

და საერთოდაც:

მხოლოდ სხვადასხვა ფენის შეკავშირებასა და ერთიანობას უნდა მოეგანა ის სასიკეთო გზასავალი, რაც ქვეყნის გამოსხნით უნდა დაგვირგვინებულებოდა, ხიდჩატეხილობის პრობლემა არჩილ ჯორჯაძის ხელთ საერთო ნიადაგის თეორიად რომ უნდა ჩამოყალიბებულებოდა, მომავალი საქართველოს სახელმწიფო მოწყობის მოდელად.

ეს ის ნიადაგი გახლდათ, რომელსაც უნდა შეეკავშირებინა საქვეყნო მისწრაფებით გამსჭვალული დასები, რაოდენ განსხვავებულნიც უნდა ჰქონოდათ ცალკეული შეხედულებანი.

საერთო ნიადაგი კი უნდა შეექმნა ქართული ენის დაცვას, ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნასა და ქართული მეურნეობის, მინა-წყლის შერჩენას ქართველთა ხელში.

VII

ალექსანდრე ორბელიანიც ასე მასშტაბურად უყურებდა ჩვენი ცხოვრების მდინარებას, მის ყოველი მხარის მოძლიერებას და ალტაცებული ამიტომაც შეეგებებოდა საადგილმამულო ბანკის დაარსებას.

ძლივს ერთი კარგი რამ იფიქრა ჩვენმა კეთილშობილმა საზოგადოებამო.

ხოლო ვაჭრობას რომ ამცირებდნენ:

ქართველთა რაინდულ ბუნებას ეს არ შეჰფერისო.

ალექსანდრე ორბელიანი იმ მცირე გამონაკლისთა შორის უნდა ყოფილიყო, რომელნიც მიიჩნევდნენ, რომ:

ქართველობას არანაკლებ მომადლებოდა ვაჭრობისა და მრეწველობის უნარი და, კი არ უნდა დაგვეცინა ვაჭართათვის, რაც ასე მომრავლებულიყო კომედიებში, არამედ ამ მხრივაც მიგვემართა ჩვენი ნიჭი და ვაჭრობისა და მრეწველობისთვისაც დაგვეჩნია სასიკეთო კვალი.

ამიტომაც ალექსანდრეს ის მიმართვა კახელი მევენახეებისადმი 1857 წელს კერძო რჩევად კი არ წარმოგვიდგება, არამედ ძალდაუტანებლად იძინს განზოგადებას, როდესაც ღვინოს გამოუხცადებდათ გასაყიდად ძვირფას განძად და მამ გულმოდგინედ უნდა მოჰკიდებოდნენ ვენახების გამრავლებასაც და ღვინის უფრო კარგად დაყენებასაც.

სიბერე ეპარებოდა, მაგრამ მაინც აგულიანებდა როზკას:

როგორ გაიცინებ, როცა რუსები აქედან წავლენო?

და ჩაინიშნავდა „აღსარებაში“ გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე:

– მე რუსები საქართველოში არ მიყვარან, მინდა აქედგან ისე გადაიკარგნენ, რომ საქართველოს სუნიც იმათ ველარ მიედინოს და რუსეთში კი ბედნიერად იყვნენო.

გამოეცლებოდა ხელიდან კალთით ნატარები „ცისკარი“, მის რედაქტორს ივანე კერესელიძეს რომ ველარ მოურიგდებოდა, და „მნათობს“ შეაფარებდა თავს...

თუმც დასასრულისკენ მიექანებოდა ამ დიდებული კაცის ცხოვრებაც და სულ ხშირად წამოცდებოდა:

ჩემი ცოდო გქონდეთ, თუ არ მოხვიდეთ და არ ჩამომძახოთ საფლავში, როცა გათავისუფლდება საქართველოო...

VIII

მიიკუნნებოდა 1869 წლის დეკემბერი და... ალექსანდრე ორბელიანიც უნდა შეერთებოდა თავის ერს, ბიბლიურ პატრიარქებზე როგორც სწევოდათ თქმა, მათ გარდაცვალებას ამ მხატვრულ სახეში რომ გაჰხვევდნენ.

ზაფხულის თაკარა ბევრ ტფილისელს რომ გაარიდებდა დედაქალაქს, მარიამ შერვაშიძეც, შვილიშვილი ალექსანდრესი, მარტო უნდა მჯდარიყო აივანზე შიშით შემკრთალი, შუალამე გადასულია და სახლში არავინ შემოიპაროსო. და კიდევ მოესმოდა, ერთი ახალგაზრდა როგორ ეტყოდა ჭარმაგ კაცს:

კარი ღიაა, მოდი შევიდეთ, მგონი მდიდრები დგანანო.

ის ძალიანაც რომ გაუწყნებოდა:

იქ ასვლა არ შეიძლება, ეგ ალექსანდრე ორბელიანის სახლია, პუპლიასი, ჩვენი მფარველი ანგელოსი რომ იყოო.

უფროსთაობელთაგან გადმოსცემოდა ანდერძად, რომ მის სახლში და მის შთამომავლებთან არაფერი მოეხდინათ, ნება არა ჰქონდათ ამ კეთილი ოჯახის გაქურდვისა.

და მარიამს პირჯვარი უნდა გადაეწერა და პაპის სულისათვის მადლობა შეეწირა:

კვლავ ჩვენი მფარველი ანგელოსი ხარო!..

ჩემი ცოდო გქონდეთო...

ის დღეც უნდა დამდგარიყო, ნაოცნებარ-ნანინანატრი, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გამოცხადებოდა და მთანმინდიდან ზარების რეკვა მოეფინებოდა ქალაქს.

და მარიამ შერვაშიძეს სასწრაფოდ უნდა მიეშურა სიონის ტაძრისათვის და ალექსანდრე ორბელიანის საფლავისთვის ჩაეძახებინა:

– ჩემო ძვირფასო პაპა, აღარ არიან მტარვალები, მოგვშორდნენ, ახლა თავისუფლები ვართ!..

და კიდევ უნდა შეჟღერიალებულიყო ძვლები სამარეში.

მაგრამ მაისი უნდა დაესამარებინა თებერვალს და ალექსანდრე ორბელიანის სახელი სადღაც მიფარებულიყო და მიჩქმალულიყო. და თუკი ახსენებდნენ, როგორც რომანტიკოსთა რეაქციული ფრთის წარმომადგენელს, რაკილა მარქსისტული აზროვნება განასხვავებდა რომანტიკოსთა ორ მიმდინარეობას: რეაქციონურსა და პროგრესულს.

ახსენებდნენ როგორც ყოვლად მიამიტ ადამიანს, რომელიც იმასაც კი ვერ მიმხვდარიყო, რომ ყოვლად წარმოუდგენელი გახლდათ თავადაზნაურებსა და გლეხებს შორის მამაშვილური ურთ-

იერთობა ყოფილიყო ოდესმე, რადგანაც დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლისა არა გაეგებოდა რა.

რჩებოდა არქივში მისი ნაწერები, საგულდაგულოდ ჩაკეტილი... და გვაკლდა სანდო მეგ ზური XVIII საუკუნის მიწურულის რთულ და აბურდულ რეალობაში გასარკვევად.

1832 წლის შეთქმულების მეთაურობაც განა რა ბედენა იყო, როდესაც ეს გაბრძოლება ყოვლად დაკნინებულად იხსენიებოდა ოფიციალური ისტორიის ფურცლებზე.

თუმც კვლავ უნდა დამდგარიყო ნაოცნებარ-ნანინანატრი დღე, ან უკვე 1991 წლის 9 აპრილი, კიდევ ერთხელ რომ გამოცხადდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა და...

ახლა მე უნდა მედო თავს ალექსანდრე ორბელიანის ანდერძის შესრულება.

გავჩქარებულიყავი სიონის ტაძრისაკენ.

და ჩამეძახა ძვირფასი საფლავისათვის:

თავისუფლები ვართ, თავისუფლები, თავისუფლები!..

და იჟღერიალებდა ძვლები სამარეში.

IX

გადაინმინდებოდა მტვერი მის სახელზე და თანდათან ამოიზიდებოდა წკვარამიდან ალექსანდრე ორბელიანის მონუმენტური ფიგურა. 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ფონზე – მსოფლიო-ისტორიული მოვლენების შუაგულში რომ უნდა დაეკავებინა თავისი ადგილი და რომანტიკული სულის უწყვეტობის ნიშანსვეტად გამოკვეთილიყო ქართველთა მოდგმისა და კაცობრიობის ცხოვრების მდინარებაში.

მისი სახელობის საზოგადოებაც დაარსებულიყო.

მონოგრაფიებიც დაწერილიყო მასზე.

ბიოგრაფიული რომანიც შექმნილიყო.

მისი ნაწერებიც ნელ-ნელა დატრიალებულიყო სამეცნიერო-ლიტერატურულ მიმოქცევაში.

მაგრამ რაოდენ ჩახედულნიც უნდა ვყოფილიყავით მის არქივში, მაინც ვერ წარმოგვედგინა, ამდენი მასალა თუ მოიყრიდა თავს, თავდაპირველი განზრახვა ოთხტომეულისა ხუთტომეულად რომ გადაგვექცეოდა.

ახალაღმოჩენილი საგამოძიებო მასალებითაც ბლომად უნდა შეესებებულიყო.

და მისი ისტორიული და პუბლიცისტური თხზულებანიც უფრო რელიეფურად წარმოჩენილიყო მას შემდეგ, რაც გადავწყვეტდით, რომ:

ალექსანდრე ორბელიანის ხელითვე გადახაზული მცირე თუ საკმაოდ ვრცელი მონაკვეთები ვარიანტებად კი არ გაგვეტანა სამეცნიერო აპარატში, არამედ განსხვავებული შრიფტით აგვეწყო ძირითად ნაწილში, როგორც სრულფასოვანი ტექსტები, იძულებით ამოღებულნი ავტორისაგან, რაკილა გრძნობდა და იცოდა, რომ ცენზურა მაინც არ იყაბულებდა.

ეს თვითიძულება უნდა გამოსწორებულიყო და გამოსწორდებოდა კიდეც.

ესეც ორი ეპოქის მიუკერძოებელი, მართალი სურათები, რელიეფურნი და სახიერნი, შეულამაზებელნი და შეუფერადებელნი, დაუფარავი მხილება ყოველგვარი ნაკლისა და ზადისა და კანთიელი წარმოსახვა ყოველი ღირსებისა და მიღწევისა, რაც ჩვენი ერის თავგადასავალს შეადგენდა.

ეს სულიერი მონაპოვარი, თავისთავადი ისტორიულ-დოკუმენტური მნიშვნელობის გარდა, არის ქრესტომათიული ნიმუშიც და შეგონებაც, თუ როგორ უნდა ინერებოდეს მატთანენი თუ ქრონიკები:

ყოველივე მხოლოდდამხოლოდ ისე, როგორც სინამდვილეში იყო, არც რა მიემატოს და არც რა მოაკლდეს მიკერძოებით თუ შეფერადებით.

და ამიტომაც არის ალექსანდრე ორბელიანის მხატვრულ-დოკუმენტური პროზა:

სანდო გზამკვლევი წარსულში

და

გონიერი მრჩეველი მომავალში.

როსტომ ჩხეიძე

შედეგები

გაიათი

თვალნო ველსა ვინახე,
იგი სიდგან ვინახე!
რომ რალაც სულსა მოსცა,
უკვდავებად ვინახე.

თავსა დავგმოზ რიდედა,
მას მშვენს ქალს რათ რიდედა?
სიცოცხლეს მიაართმევდი,
გულს საფენად რიდედა.

მას შეემკო ედემად,
ბუნება ის ედემად,
სიყვარულს მოინვევდი,
ცრემლით სთხოვდი ედემად.

ნუგეშათ მაქვს საამო,
ვიტყვი, სად ხარ საამო?
ცხოვრების მპკურებელი,
სასურველი საამო.

საგნად თვალთ რა ისურვა?
რომ წამსვე მცა ისურვა,
სურვილი ძალას მატანს,
გავს ჩემთვის ეს ისურვა.

თა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი
1821-სა წელსა. მაისის დამდეგს.

უეცარი შეხვედრა

შეხვდნენ ჭვრეტა ქალყმათ თვალნი,
ორთავ ეცათ ტრფობის ძალნი,
თქვეს მათ: გული გვეუბნება,
ერთმანეთი გვეკუთვნება.

[1821]

მშვენიერას ქართულას

ახ, თუალის ჩინო, შენ ჩუწნო ქალო,
ქალო ქართულავ, ეშხის ანთებავ,
დაანთე აგრე სურვილი, მნათო,
სიყვარულისავ გამღვიძებელავ.

აბა, ვით ქალო, არ მღელდე გლახ გულს,
ოდეს შენ ასე წარმამიდგები?
აბა, შენზედა მაგ შუწნებას სრულს
რომ ვხედავ ხოლმე, სულ გავხელდები.

როს ვხედავ შავსა მბზინვარეს დალალს,
როს განცისკრულს მკერდს დაედინება,
მაშინ მას ვყნოსავ, მაგრამ ვთქამ ვით აღს
და ცით ვით ტრფობა დამებკურება.

თვალნი მოშავნი მოჟუჟუნარნი
მომკვლენ თვს წინა გაუკითხავნი,
ეგ ფუჩქვნილ ბაგე ტკბილ მოუბარნი
და მიდნობს გრძნობას სულზე მღიმავენი.

პირბადრსა შენსა და ტანს ნაგებსა
მონარნარ ნაზსა ვეტრფიალები,
წელსა, დიახ წვრილს, წამს გულთ მტანებსა
უეჭველადა შევემსხვერპლები.

ვგონებ, ხატება რაჟაილს შენი
უხატავს ედემს ყვავილებთ შორით,
როს კარს გამოხვალ უკვდაებრ მდენი,
ვითა გადმოგცემ სიცოცხლეს შორით.

1821, აგვისტო

თაჯლიზი

განსაცვიფროს წამსა შეეხვდი, მფრინავსა,
წინათ სული გრძნობდა, ვნახე სინამეს,
ვსასწაულობ მას დღეს მარად, მფრინავსა,
ჩამოდგომილს ცისკრის ზღუდით, სინამეს.

გადმოეცა სავსე მადლი, ღმერთასი,
მოჰფენოდა ვრცლად შვენება, ღმერთასი,
სიყუარული დამდის სულზედ ღმერთასი,
უძღვნი, ვაძღვე ჩემს სიცოცხლეს, სინამეს.

სერაბინნი დაჰგალობდენ სამოთხედ,
ნისლმოსილნი მის გარს მდგომნი სამოთხედ,
სატრფიალოს ჴმას დაჰჴმობდენ, სამოთხედ,
ზედ აჰკურდენ სასუფევლის, სინამეს.

კვლად ბუნება წურვილს სიტკბოს ამცვრევდა,
აქ ჩემს ძალსა წვრილად ჰკრეფდა, ამცვრევდა,
გულს კუფხვლიდა ვითა მარცვლად, ამცვრევდა,
ას ჭოდელსა მე ეს მახსოვს, სინამეს.

[1821]

საქართუზლოს გაზაფხული

ნიმფნი რხევით სეირობენ
ასჴოდელსა დარაზმულნი,
ყვავილთ სწყვეტენ, ნაზათ სტროფობენ,
ყნოსვენ სუნთა სიხარულნი.

ნორჩებზედა გაზაფხული
დასწრწის სუფთად ხანდაზმული,
დააკვდებათ შეკონილი
მღელვართ სიოთ სიყვარულნი.

ეჴირ მდელს მოეფინვის,
სიამითა შეეხვევის,
იქ ფოთლებში მოიზინვის
შარავანდი მხიარული.

კარგნი ჩიტნი ჭიკჭიკობენ,
ხმის წყაროთი მოეშხობენ,
წვრილად, წყნარად გულთ იდნობენ
სურვილითა შელაშქრულნი.

მუზნი ეთერთ ცეცხლთ ისვრიან,
საწყალთ ამურთ გულს აყრიან,
სულს შენირვით კვლად შესტრფიან,
ტრფიალებით გაბასრულნი.

ცა, ქუწყანა, სულიერი,
გაზაფხულსა შეეხარვის
ამ დროს რომე კაცი ბერი
მოკვდეს, ვფიცავ, ცოდო არის.

თ. აღ. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი
1824 წელსა

მთოჰარა

ჩგუწლებრივ მთვარე ნათლით ნისლს სვლიდა,
ხან მიჰფარა ვსილი დისკო, ხან ბრწყინდა,
ჟამთა რავდენს სძარცვდა, ნიავი სცვლიდა,
შემდგომ ჰსჩანდა სრულ მშვენად, სფერა მოჰფინა.

არ მიხილავს ღამე მისთანა თვალით,
მის სინათლეს ვტრფოდი გულისა ძალით,
როს სხივი მზის ვიდა ჰაერთა ალით,
მთვარემ ჰფარა თჳსი დისკო თვალთ წინა.

კულად ლოდინი მქონდა ეგრეთ ღამისა,
დღე დაბინდდა, ვჭვრეტდი ადგილსა მისსა.
ცას შეეხედე, – ჰფინა შუქნი ნათლისა,
სიხარული ჰქროლა, ზეფირ მოჰფინა.

აღმოვიდა თუმცაა მისი შვენება,
მსწრაფლ ღრუბელნი ესხნენ, შავნი შინება,
მით დაჰფარეს მისი შუქი შვენება,
ვნატრი წარსულს, არ ყრით ღრუბელნი გრგვინა.

გარდიყარა შემდეგ დროთა ღრუბელი,
ვნახე მთვარე მოშლილ, იყო სულ ბნელი,
მელეოდა მშვენი სახე ნათლმსვლელი,
ვსთქვი – ვნახე რა ესე იგი თუ ვინა.

ა. ...
[1832]

ბნელში ჰყრობილი (ბონებაში თქმული 1833-სა წელსა)

ღმერთო ჩემო, რა ყოფილა კაცისათვის საჰყრობილე!..
ნამეტნავად, სადაც არის მარტო ყოფნა და სიბნელე.

სადაც მკვიდრობს მხოლოდ ერთი ყრუ სიჩუმე და დუმილი,
სადაც შენს გულს გრძნობისაგან ესმის მწარე მას წუხილი.

სად კაცთაგან გესეოდეს ტანჯვა ძნელი შეუწყალი,
სად ფიცხელი კაცთ სიმკაცრე გარს გეხვიოს დაუნყნარი.

სადაც შფოთის გვემა ძილსა არ აძლევედეს მოსვენებას,
წამოხტება, ნახავს წყვიდადს, უფრო იგრძნობს მეტს ვაებას.

მხოლოდ გარეთ ხმაურობას ყურს უგდებდეს კაცებისას,
ამ ნუგეშსაც მოჰკლებოდეს, არ ასმენდნენ მცირესაც ჴმას.

მარტო შორით მამლის ყივილს გაიგონებს, იამება,
ან ზარს რეკენ ეკლესიას, მის ხმით მხოლოდ სული ტკება.

ვინ აღრიცხავს, ვინა დასთვლის ჰყრობილის ფიქრს რამდენს
გვარსა,
ამით იშვებს, ამით ნალვლობს, ამით აბნევს ცრემლსა მწარსა.

ვინ იმედი უბედურის? სიმაგრე და მოთმინება,
ვინც ამ განძთა იქონიებს, ვნებას არას გაუტყედა.

1833

ერთი ვინაი

თავი აქვს გიჟი,
ფეხებიც გიჟი,
უფრო სწორეთა –
სულ თვითონ გიჟი.....

[1833-1835]

შორიღბან

სოფელმან მიმაგდო ყარიბობასა,
გარნა, სახე შენი ვით ვცე თმობასა?

სავანედ გულს ვიმყოფ შენად სამკვიდროდ,
ვისულდგმულეშ შენგნით, ყოველს წამს და დროდ.

დავეხარბი სურვილს, სურვილით მშვერალი,
გაუქრობლად მცვივა სულთქმისა ალი.

სული ჩემი დასწვეთს გულზე სიყვარულს,
ნაზსა, უცხოს, წმინდას, უზადოსა, სრულს.

გემღერები სახეს ანგელოზებრივს,
მონარნარეს ედემს მომფრინარობრივს.

[1834]

მონევა

ჩემო სიცოცხლევ და
კვლად მარადა.
ეგ შენი სახე
ვით დავივინყო,
რომ სადაცა ვარ,
ყოველთვის თან მდევს?
ანუ ვის შევამზავსო
ეგ ზეცის სახე!
რომელშიაცა

სული გამიბამს
და ქამანდისგან
ველარ მიხსნია?
ამისთვის თხოვით
შენა მოგმართავ,
და ჩემს სანყალსა
ამ ჩემსა გულსა;
შენსა ლამაზთა,
თეთრთა ჴელთაზედ
სიხარულითა
მსხვერპლად მოგართმევ,
რათა მოხვიდე,
და მაგ შენისა
გამომხსნელის ჴმით,
ეს ჩემი სული
შენვე საუკუნოდ
მე დამავალო,
და ამ სოფელსა
შენგნით ვიცოცხლო.

1834

მოგონება

ჰსცემდა მაისი ერთს ლამეს
ნიავესა მქროლსა ჯგუფადა,
ზეცით ღრუბელნი სიამეს
აფენდნენ თალხად ტურფადა.
ამა ლამემან გასწია
გული და სული ჩქარადა,
სწრაფად წამოვდექ, გასწია
ფეხებმან ჩემმან წყნარადა.
ვეხეტებოდი მდუმარე
ქუჩად უგრძნობლად სრულადა,
სულს ეხვეოდა სიმწარე
და გულს რაღაცა სწყლულავდა.
ამ დროს უეცრად მესმა ჴმა
უცხო რაიმე გალობა,
მეგონა ცისკრით გადმოთქმა
ვით სასუფეველის გიმნობა.

თურმე დამლერდა მნათობი
ფორტოქიანსა ჳმა ნაზი,
მამცნო მელოდმა დამტკობი
ჳმა ვისიც იყო ნეტარი.
ფორტოქიანსა აკლავდა
გრძნობას სულიდგან სრულადა,
სჩანდა, სურვილი სძალავდა
მოკიდებული გულადა.
ჩემი გრძნობაცა აღელდა,
უცხოს ნაზისა ჳმოვნებით,
გული გვეკრთოდა, გვიელდა
ტრფიალებისა მონებით.

[1834-1835]

საყუარელს მიუღღას უცხოეზიდგან

მახსოვს შენი ნაზნი ჳმანი შენთა ბაგეთ ნაზ მლიმარი,
ყურთა მესმის იგივე ჳმანი ჩანგებრ უცხო ვით მხმოზარი,
შენი სავსე თეთრი გული მიდგას თუალთნინ ის მკრთომარი,
გეტყვი ამას, სიცოცხლეო, უშენოთ ვარ, ვით დამდნარი.
გახსოვს, ბინდსა ვსხედით წყალს პირს სიყუარულის მომთხრობელი,
ამდროს მთუარემ მოგუაფინა საამოთა თვს ნათელი,
ვარსკვლავნიცა მკრთოლუარენი ბჭყვრიალებდნენ ცით
მჭვრეტელი,
ნიაჲ სიო ნიავებდა ჩუწნგნით არა მონყენილი.
ვაქეთ ბრძნული სიყუარული მართლა უთქუამსთ გონიერებს,
მხოლოდ ტრფობა, ბაგეთ ტკობა ტკბილს ასხამდნენ შარბათს
სულეებს,
ვალსრულებ[დ]ით ბრძენთა თქმულებს, ძლიერ ვტკეცდით
მკერდებს გულეებს,
ამდროს ნამი ეწინკლოდა ყუავილებსა მშუწნიერებს,
ახლა ვთქუა ეს, სად იყო ნალკოტი აჳყუაებული,
ხეხილით, ვაზით, ხეივნით ყოვლისფრით იყო შემკული,
ამის გუწრდითა მთა იდგა ყუავილებითა ბნეული,
ზედ იგი წყალი ჩანჩქარით მოსჩქეფდა მოლელებული.
ჩუწნ მთისა ძირში ვისხედით, წყალი ჩუწნ წინა რბოდა,
წყალს იქით ნალკოტს ნორჩები ჳფენოდა გადაფუჩქნოდა,
მთუარისა შუქი მასზედა სცემოდა, გადასცემოდა,

გუშგონა კარი ღია არს, სამოთხე იხილვებოდა.
შემდგომ ვთქვთ, ახლა მით ავდგეთ, ვპოვოთ სხუა უცხო ბუნება,
მეტის ტრფობითა ვტკბებოდეთ, მეტი მივიცეთ ჩუჴნ შუჴბა,
ავდექით ჴელი ჴელს მომე, მერე მკლავები გაგვება,
ასე წავედით ხეივანს, ასე ჩუჴნს სურვილს ენება.
მივხვდით საყუარელთ ბუდესა, იყო ვაზები ხუჴული,
მომალლოთ ტოტნი ეფარა, ფოთლებით დაშუჴნებული,
ყუავილნი დაბიბინებნენ ლამაზად გარიგებული,
ვარგსა ხელოვანს შეემკო ბუნება ესე ქებული.
შევედით მორთულს თალარში, შევხედეთ ცხედარს მდიდარსა,
ტურფას დოშაქსა, საბანსა გაშლილსა გამომჩინარსა,
ბალიშსა დარსა ფარჩისას, მოხდომილს გამომჭვირულსა,
ვჭვრეტ[დ]ით იმისსა ნაზავსა სნეულებისა მკურნალსა.
ორხუა სტავრა ეფინა შეხამებითა არესა,
სხუა და სხუა ესხა ყუავილი, როგორც ჴფერობდა სახესა,
მათ უხდებოდა ქეჩები გაშლილი ადგილს სწორესა,
ზედ ეგო იგი ცხედარი, კვლად ვაქებ დაუდარესა.
ამ დროს სიამით მამხედე, გაჩნდა ლალს ბაგეთ ღიმღიმი,
ვიგრძენ, შევიტყე რაც იყო გარონიები კარს ჩემი,
გაველ, შემოველ გნახე რა, ცხედარში წოლა ვიმ შენი,
მეც განვაქერი სანთელი, გახსოვს, რა იყო ის წამი!
ფოთოლნი თრთოდნენ, შრიალდნენ, ნიავი მათზე ფრინვიდა,
მთოვარის შუქი მათ შორის ციალად კრთოდა, ბზინვიდა,
ზეფირი სუნელს მინდორში ჴკრეფდა, მოჴქონდა გუაყრიდა,
ბუღბული გარეთ ხეზე ჴჯდა, გალობით თავსა იკვდიდა.
ყოველი ესე ყოფილი მარადის წარმამიდგების,
სადაც დავდივარ, ანუ ვარ მე სატრფო შემეფეთების,
ხან ამათრთოლებს ძრწოლითა, ხან თუალთა ცრემლი მდინდების,
განშორებულსა მე სანყალს, მე შენი ცეცხლი მედების.

შენი ალექსანდრე.
17-ს აგვისტოს 1835-ს წელსა. ქ. ორენბურღს

ქ. ტფილისს ჩამ ცოლშვილებთან

მანდ დავმღერ ნაზ ნიკნიკა ტინაბანს,
ვიტყვი, მოვედ სად არია ჩემსა ბანს,
რას და, ვით ვჭვრეტ სავსით გულსა, წამს გაბანს,
ხმაი ამის მცემს ცხოვრების ნაბანს,
და, გულს მღელე ნეგო, მოვედ სოფლის ბანს. –

შენი ალექსანდრე
24 სექტემბერს. 1835-ს. ქ. ორენბურლით

სიყრბით უბადური

უმაღლეს მთასა ორბი კლდეზედ ჰსჯდა
ხეობას და ზღუას გადამჭვრეტელი,
და აქ მიდამოს დაჰნადირობდა,
მალშავარდენი მიმომფრენელი.
ამ ზღვს პირს ხეს ქუჭშ მოვიდა, დაჰსჯდა,
ვილაც თეთრის თმით დახავსებული
და ამას მწარის ხმითა უბნობდა
სახით გამხდარი, გაყვითლებული:
„იქ განჰსჯის, და ჰსჯის სოფლის ცულილებას,
რომელსაც შორს ჰსჭურეტთ მიუნთომლებას;
რომელიც ჩუწნს ფიქრს თავისში ინთქავს,
ულრმეს ულრმესსა ცისა ჯურღმულში!
იქ განუწილავს მას ერთს ბუნებას,
სადაც სამართლობს და განჰსჯის ზეცას,
უფსკრულს თავს მჯდომსა, მოღერებულსა;
მოდიდურგულსა; გამდიდრებულსა!
მას ფარულებას და მას ლუთაებას;
მას მსაჯულებას და მას უფლებას.
ჰგავს, რომ ჩემს ბედსა წილში რგებია
უბედურება ასე მხლებია.“
„შენ, თავო ჩემო! რა არ გარდაგხდა,
ყოველი ვაჟ ამა სოფლადა!
ესე სოფელი თვითონც წუთია,
მასაც მწარედ ვჰკლავ ჩქარსა მიფრენას“.
„ეს მზე უებრო! ეს ცა განბრძნული;

ეს ზღუა ამაყი და დიდებული;
 ეს მზე ზოდიაქ მიმჩანს არადა,
 ფუჭებრივ საროდ გამოთხრილადა.“
 „სად მთუარე სრული, გამოზადრული;
 სადა ვარსკულავნი გამოკეკლულნი,
 სადა ჰაერი გადმოარეი;
 სადა ნიავი მონაზებული;
 სადა სოფელი და მის ნათელი;
 სად ქუწყანანი და ცხოვრებანი?
 ესენი ჩემთვის მკვდარია სრულად,
 ვარ ასე სანყლად მე მოსპობილად“ .
 „ესე ბუნება მიემზგავსება,
 ვით მშუწნიერს ქალს მდიდრ მორთულება.
 ხედავთ ეს ჩემთვის? ჰგავს კუბოში მკუდარს
 ამძოვრებულსა და დარღვეულსა,
 „როს ღრუბელს გრგვინვა ეთახთახება
 და ელვა შორის დაეძუალდება,
 და ამ დროს ოდეს როს გამოსქდება
 გასატვინარი მეხი, ჭექება,
 აქ მე მიხარის, ეგება მამწყლას,
 რომ ამთენს ჩემსას მოვრჩე ვაებას;
 მაგრამ ჯერ ღმერთსა არ უთქუავმს ზეცით
 ჩემი სიკუდილი დამხამულ სოფლით“ .
 „როს მღერა მესმის სიმხიარულის,
 როსა გალობა დღესასწაულის,
 ოდეს ჩანგთა ხმა დამატკობელი,
 ოდეს მუზიკის ხმა სანატრელი,
 აქ ჩემთ ყურთ სმენას გარსა ევლება
 რაღაც საამო გულს მოთხრილობა.“
 „როს ბულბული ჰსტუწნს გაგიჟებული,
 გაზაფხულთ ყუავილით მოარშიყული,
 რომ ნაზნი ჩიტნი ნაზათ მთხრობლობენ,
 ფურჩქუნილს ბუნებას მომიფრინობენ,
 აქ ჩემი გრძნობა სრულად ირყევა
 შეძრწოლებითა, გაშფოთებითა.“
 „სასმელს საჭმელსა ვგემებ ოხვრითა,
 რომლისაგანაც ვცხოვრებ მისითა,
 რომელიც ჩემთვის არის სამსალად
 სისხლის შემწეულად მოსათუთქარად“ .
 „ჩემი ნუგეში არს მწუხარება,

ამითი სული სინაღულით სტკებება,
ვცურავ ამაში, ვით ოკეანში,
ხან მღველარეში და ხან მყუდროში.“
„შენ თავო ჩემო, უდედ უმამო,
ვინ ვარ, ვისა ვჭრეტ მე უმშობელო,
ალარც თავს ვიცნობ, ალარც მშობელთა,
ანუ ვინა ვარ, ან სად ვარ ველთა,
ალარც ეს ვიცი, ვარ სადაური,
მინის, წყალთაგან, თუ ჰაერული“.
„მოდით ჩემს გარე თქუცენ, კაცნო, ჩემთან,
დღე ყოველ მნარეთ დაბერებულთან;
გატიალებულ, გაოხრებულთან,
დასნეულებულ და დავრდომილთან;
მოდით საწყალთან, ძულეზზედ დამჭკნართან,
და ჩამოლეულ, ვით ჩამომდნართან:
მნახეთ თქუცნ, კაცნო, რა ძნელადა ვარ,
ბედკრული კაცი, მეტად ყრმობითგან.“
„ვაჰმე, თავო, კაცთ შეუბრალო,
ვით არ გულთ მქონეთ, მათ შეუწყალო,
არც შენსა ბედსა სულ არ ვინ ჰგრძნობენ,
არც რამ მცირედით განუგეშებენ;
გესმის? რა გითხრათ თქუცნ კაცნო, კაცნო?
კაცნო უგრძნობნო და უწყალონო!..
იქნება, ღმერთო, ზეცისა კარი
მანდაც დამეხშა უკუდავი, მტკბარი,
იქნება, ვიყო მანდედგანაცა
გამოკლებული, გამოგდებული.“
„შენ, მუზო, მგრძნობო! მოდი შენ მაინც
ჩემსა საფლავზედ სავალალოზედ
და გთხოვ ვედრებით, მხოლოდ ესა ჰსთქვა,
ჩვილი გულითა და კეთილითა“:
„ვაი, საწყალო, სიმნარით მკუდარო,
აი, მე მუზი შენს საფლავს ვცრემლობ,
მაშინვე იგრძნობს ჩემი ეს ძვლები,
სიხარულითა და მადლობითა...

13-ს აპრილის 1835 წელსა

როგანსიერი რეპალუციის დროებში, ჯერ რომ არ ამაღლებულიყოს

ოდეს დილით გაიღვიძა ბოროტმა,
სულით, გულით ჩამთქმელ კაცთა, მეოტმა,
მაშინათვე ამოუშო კვნესანი,
ვით ხაროში დამწყვედულმა სევდითა.

უსულთქმიდა სული ღვარძლის კომლითა,
გული სძგერდა შავი ხაფისის ზაფრითა,
მოსწამლიდა თვს გარეშე ჰაერსა,
გამაძლარი ჯადოს ხვანჯის სუნითა.

რა მოიკლა მანქანური კვნესანი,
ღრმათ დაფიქრდა, შემოანვა სევდანი.
რას ფიქრობდა? ყოველს გეტყვით განძრახვას
მისის გულის და სულისას, ბოროტსა!..

„არცა ერთი დღე არ მნათობს ჩემთვისა,
თუ არ მოვკლავ კაცთ ბუნებას არვისა,
„ამისთვისა შემოვირტყავ ზოსტერსა,
„დაფარულსა და მოქარულს, დაშხამულს“.

„პირველ მე კაცთ ვეჩვენები კეთილად,
„რომ იტყოდენ ჩემსას დიახ კარგ შვილად,
„მე ჯერ ამით პირველობას ვიშოვი,
„რათა ჩემგნით მოქმედებდნენ ქალაქნი.“

ჭრანციელთა მოვატყუებ სიტყვითა,
„მლიქვნელისა ფარისევლის პირითა,
მათ შევასმენ წრფელთა ერთა ყოველთა,
ამოსათხრელ სულკეთილთა მართალთა“.

„ჯერ აქ დავცემ წრფელთა ერთა ვინც არი,
„ესე მცირედ მანუგებებს ვიხარი,
„მაგრამ ხალხში დავაგდებ ხმას ესრეთა,
„ვითომც სხვებსა შეესმინოს იგინი“.

„რა საფუძველს ამა მკვიდრსა ჩავისხამ,
„ძლიერს, მაგარს ფრთებსა მხრებზე შევისხამ;

„ესე უფრო მომცემს ძალსა, მხნეობას,
„გასანყვეტად კაცთ ბუნებას მიუხილობით“.

„დავბოც, მოვსრამ ჩემ წინაღმდეგთ ფარულად,
„ზოგჯერ შხამით და ხან ენით გველურად,
„რომ მე დავრჩე კვლად მზგავსნი ჩემებრი,
„მაშინ ამით რასაც მინდა, შევიძლებ.“

„კვლად მოვახდენ დიდსა შეთქმას ძლიერსა!
„მივცემ მახვილს მოსისხლეთა, ჩემს ერსა;
„გაუკითხად მიუხდები ჩემს მეფეს,
„გასანყვეტად ცოლშვილითა ტანჯვითა“.

„ასპარეზსა ვინც მამხვდება შემოვკრებ,
„იმათ თავებს ჯალათებითა მოვკრებ
„დავცემ, მოვსრავ სიხარულით კეთილსა,
„ამით მე დიდს განცხრომასა მივიღებ.“

„ქალაქს, სოფლებს მოვწვამ ცეცხლის ალითა!
„მათ უყურებ მხიარულის თვალითა,
„შიგ ჩვილ ყმანვილთ ჩავყრი, ჩავწვამ, ჩავხრაკამ,
„მერე იმათ ფერფლებს საცერში გავცრი“.

„სად არსება, ერთი ღმერთი ძლიერი?
„განთქმულია, ვითამც ზეცას იქ არი?
„მე არა მწამს მისი ძალი, დიდება,
„ამისთვის რომ სულ ცრუობენ მომგონნი“.

„ქრისტეს ხატთა და ტაძართა შევმუსრავ,
„იმის მოსავს სისხლით შევღებ, გავმუსრავ,
„შემდეგ იმათ მკვდრებსა სრულებით გავლენ,
„ჩემთვის ეს სიცოცხლეა, სიკეთე“.

„ინეტარე და იშვებდი შენ, სულო!
„იხარებდი ნუგეშობდი შენ გულო!
„რომ თქუწნს ვნების სანადელს სულ მიიღებთ
„სავსებითა განძლომითა უკლებლივ“.

გთხოვ ავტორი დიდსა ღმერთსა უძლეველს!
ამ გვარს ძალი აღარ მისცე მას წყეულს,

თუ რომ ვინცა კიდევ ასე იფიქროს,
ამოაგდე ქუცყნის ძირით სრულად ის.

21-ს დეკემბერს, 1835-სა წ.
ქ. ორენბურღს

არაკი ვირისა

თუ გნადსთ არაკი? გეტყვით გიანბობთ,
ამისთვის სიტყვათ უხვად ვიაბკობთ.

ერთს ვირსა ჰქონდა ტურფა ადგილი.
მამა-პაპურად აქვნდა ძახილი.
მცოდნე აფთარმა, რა ნახა ვირი,
მივიდა, უთხრა: „აცა, ნუ ჰყვირი,
მოდი, ნაგიყვან, ვირო, ჩემს სახლსა,
გასწავლი თათრულს, ეგრეთ სპარსულსა.
მე შენ პირობას გაძლევე, რომ გარგებ,
დაგგემ მწევრულად და გაგაძალღებ,
ამაზე მეტი ვირს რაღა გინდა?“
აფთარისა რჩევა ვირს არა ესმა,
არც ჩაგონება, არც ძახილით თქმა,
რადგანაც ვირი მარად ვირია,
ანჩხლსა აფთარსა სახრე ეჭირა,
მაშინვე ვირსა ტანსა უჭირა,
ძლივ მაშინ ვირმა ცემა ტანს იგრძნა,
ისიც მცირედა.
ვით ოხერს თოკი ყელზე გადუგდო,
დაჰკრა, გადაჰკრა და გამოიგდო.
ვირმა რო ნახა თავისი გაბმა,
აფთარის ქამანდში მაგრადა შებმა,
მერეთ კუნტრუშსა ნაზრეხვით მოჰყვა,
შემდეგ ყროყინით აფთარს გამოჰყვა.
თურმე ეს ვირი ჭკვასა ჰფარევედა,

რადგანც თვისება,
ძველ ჩვეულება,
მხეცს დატევება
არ ესურვება

ამისთვის ვირსაც თვისი უყვარდა.
შინ მოიყვანა ვირი აფთარმა
უთხრა ჭკვიანად: – „შენმა მშობელმა
მთხოვა დიდათა და ესრეთა თქო,
რომ ჩემი სწავლა გულს ჩამოგსუნთქო,
აბა, ნუ ჰყოფნი, ჩქარა ისწავლე“.
რა სპარსულს, თათრულს ენათა მიხვდა,
ქართულს, რუსულსაც შემდგომათ შეხვდა,
და ესენიცა ჩქარა ისწავლა.
სწერდა, უბნობდა ამა ენათა,
სომხურს ადრითვე ჰფლობდა ნმინდათა,
ნახე, ამ ენათ ვით გაამაყეს?
ბოლოს გაძვერით აქ და იქ სკუპდა,
ჩოქითაც მუხლნი ვირს დაუშუპდა,
ხვეწა ძალლობა მისი რა იყო?
ნადირთ მთავარმა დათვმა მიიღო,
ვირმა თანგძნობა კისრათ აიღო,
მაგრამ ჩუმათაც ვეზირმირზობდა.
მირზამან შენმა, დათო ვეზირმა,
ჯან ბარაქალა გვაძახა ვირმა.
შენთან ეგ ვირი მელა შეიქნა,
ოჰ, ყოჩაღ, ვირო!
იცით ეს ვირი, ცოცხალა ვითა?
ეშმაკის სულით და სატანითა.
ახლა ამათგან სული ვირს უდგას.
გეტყვით ამ არაკს, რასა მოგვითხრობს?
ვირმა რომ ესა სრულად შეიძლოს,
გონება ჩემი დიდათა ჰკვირობს,
მაგრამ სოფელსა ვინც რომა უძლოს,
მაშინ უთუოთ ის მიხვდეს ბედსა.

ქ. ორენბურღს. – 1835-სა წელსა.

ექსპონატი

სიყვარული? ერთხელ გხუდებათ,
გხუდებათ, წამს გულს დაგაკვდებათ,

სული გულშივ დაასაფლებს,
შემდეგ ცრემლით გარს უარებს.

[1835-1839]

ყარიზი ანუ ორინებურლის ღამე*

ეს ღამე
განისვენებს
წყნარს მღელვარეს
ეჭირ ქვეშა;
ნაზს სისუფთეს
გადმოუშვებს
გაატლასულს
სინმინდით სრულს,
მოჰფენს, მოშლის
ზარმაცულად
ვით დაღალვით
და დაქანცვით,
და ბუნებას
უთავაზებს
ნიავეს, სიოს
და ზევირას.

დანმენდილი
ცის სამყაროც
ძნელად, სუსტად
დაკამკამებს,
მრავლად ზეცის
ვარდნი ზედა

* 1836-სა წელსა ერთს ივნისის შუალამისას, მარტო რომჩაში ვიყავი და მაშინ გონე-
ბაში გამოვთქვი ეს რომანსი, დაბურვილიანს ფოთლებში ერთს ხეს ქვეშ მჯდო-
მარემ, სადაც ჩემს მოახლოვოდ მონიო ურალის მდინარე მიმდინარეობდა.

ჰკრთიან, ხან ვით
ილევინ,
იქით მთვარის
შუქი ცოტად
აღმონათობს
და საამობს,
და ამ ჭალებს
დაშრიალებს
ხეთ ფურცელნი
მონარნარედ.

ესე ღამე
მოსეირეს.
გალტოლვილსა
ყარიბობა.
მოსურვება
მონყურვითა.
სანადელი
შეტრფობითა.
ნეტარება
სიტკბოებით.
სიყვარული
სურვილითა.
სულთქმა ცრემლით,
ოხვრა კვნესით,
ფიქრი სევდით,
და ურვილნი
ეს სულ ჩემს გულს დამწყვდეულან.

1836-სა წელსა ერთს ივნისის შუალამისას

ღმერთსა

რაოდენ ვფიქრობთ...
უფროსად ვკვირობთ!!!....

[1836]

აღმოსავლეთი ანუ სიყვარულისაგან დარაბრული

ადექი, ნახე, ვით მკვდარო,
აღმოსავლეთის სამყარო,

ვით იწვის ზეცის უფსკრული
განუქრობელი ჰგზნებული,

სხივნი ენთება ზედზედი
ალიონს შარავანდედი,

მზე მოლაპლაპობს მკრთოლვარე
ბრწყინვალეებითა ელვარე.

ადექ, ებრძოლე სიყუარულს,
გაფიცხებულს და გაჩარხულს.

ადეგ, რას ფიქრობ, ჩქარადა
მას უძღუე თავი მსხუწრპლათა,

რადგან უმისოთ სოფელი
არ მინდა არც მის ნათელი,

არცა სიცოცხლე, ცხოვრება,
არცა ნუგეშათ თმინება.

ან, მზეო, გჭვრეტავ თვალითა,
თითქმის სრულებით მქრალითა,

გული მერღვევა, მეშლება,
ძალი სულ დამისუსტდება.

ძარღვთ შორის სისხლი წყნარადა,
მიშრება მძაფრად მწვარადა,

ძვალნიცა გრძნობენ სიყვარულს
სავსე დოსტაქნით სავსეს, სრულს.

მიხმობს, მეძახის სიკვდილი,
შავით ჯავშნილი, მოსილი,

თავს მადგას სულთა მხუთავი,
მოსისხლე ბასრის მჭირავი,

ჩამძახის ხშირათ სეული:
მომეცი სული ეული,

შენ, სიყვარულო, სულ შენა,
ჩემი მტანჯველი ხარ შენა!

შენ, მზეო, მარად დილითა
შემოგჭვრეტ ტრფიალებითა,

გეტყვი, მოგივლი ციერსა
სიყვარულს ჩემსა ძლიერსა.

შენ წინ მოგართმევ ჩემს გულსა
ცეცხლებრივ განხურვებულსა,

ნაღველში წუხილს, ჩამდგარსა,
ამოვადინებ დამწვარსა.

შენ, სიყვარულო, ნეტარა,
რახარ, ცხოვრება? ანუ რა?

ან თუ რა სიბრძნე! ან ძალი!
ან თუ რა წამი და მალი!

რომ მოჰკლავ, მოსრავ, მოისპობ
სწრაფათ, ვით კლდე გულთ მოიდნობ!

შენ დაგმღერ, დაგლოვ, დაგნატრი,
ცრემლით და სულთქმით დამტკბარი.

დამქროლე სიო მღელვარო,
წყნარო ნიავო ნარნარო;

ცივათ დამქროლე სულზედა
სურვილით დადაგულზედა

შენ, სიოვ, ჩემი სურვილი
ნაილე კვალად ურვილი.

მივედ, და მის ყურს შთაბერე,
რომელიც მომწყლავს და მომკლავს.

შენ, სიყვარულო, ძლივ მიგხვდი
გულის გზაზედა სულს შეეხვდი,

მითხრა, სად ეძებ, რაშია?
გეტყვი, აქვია, გულშია.

მიგხვდი, გულთ მეფავ! ბედკრული,
ულრმესი დასევდებული,

თუმცა მაჭლექებ და მახმობ,
მაგრამ კვლავ გიმნით შეგამკობ.

1836-სა წელსა. ქ. ორენბურღს.

კავკაზიის მთები მაშუკის მთიღვან (ქანტაზია, როცა ახლად გათენღება)

„აგერ საგულოვნო, რა მზე ამოელვარღება!
ანუ საასპერეზო დღე, ვითარ მოემზადება,
მაგრამ აღარავინ არარიან შეჯავშნიღ-შეზოსტრიღნი,
და მოოქროვიღის მუზარადებით მოხდენიღნი,
რათა ძველებრივ მეწოგნეობა ასტყდებოდეს,
რომ ცხენთა ნქრევა გადმოესიამოვნებოდეს,
ვით ფრიაღოს ქუჭმ მჯდომარესა, დამგრიაღებდეს ქარი,
და მეორის მხრით ჩარდახიღაღამა მშუწნიერი ქალი,
დამარცხებისა ჯიღდოსა გაიღებს,
და ჭაბუკს ყელზედ გადაავლებს დამღიღარი.

მაშინ მითხარი,

ვითარ ბედნიერი იქნები შენ, ჭაბუკო?
დღეს დიღით, ამ გაკამკამებულს, ცის მოღაჟვარდუღობაში,
დავინახავ იქით შორსა, იმ ჰაერობაში,
კავკაზიის ბორცვთ მოკიდურთა, თავის ქედებთ;

თავის დახავსებულის თეთრის ნვერებით,
რომელზედაც მზის შარავანი დანებიერობს,
და ლუთაების გამოსახული დიდება,
მეტის დაშვენებით, ზედ რო განისვენებს.

ბრუტოს, ბრუტოს! შემოვყურებ შენს თოვლიანს
სპეტაკოვნებასა:
შენს გამომჭურეტს მობზინვარობასა და შენს ამაყად
მოღერებასა!

კავკაზიის მთებს შორის თვით მოყელყელოდ,
და გმირ-ფალავნებრივ რო შემოგიცრცვა ღრუბელი,
ვით ვილასაც შეერკინო ტიტველი!
„იქით მოძმე შენი, მყინვარე მთა ანოდვილი,
წელსა განვდენს მკლავ გაშლილი,
შენთანა სწორად – შენებრ უშიშრად –
შენებრ აღმართული, და სდგას შენებრ განძნებული,
რათა თოვლების ზვაები შეიგლიჯოთ,
და ღრილოვანს ღრანტევებში გადმონარცხოთ,
ზარ ახდილის გრგვინვის შეძრწუნებით,
რომ შკლნი თქუწნი წარმოსთქმიდნენ გაკვრვებით,
და იტყოდნენ თავიანთ სახლეულობაში,
რომელთ გაშტერებით შეჰყურებდნენ მათ მონახეთა,
ვით შეიხეთქეთ ზვაენი, ანუ ხეობაები როგორ ჩამოახერგეთ.
„აგერ ბორცვთ კლდეები, კავკაზო, და ფრიალონი,
მდუმარ დაყმენდილნი სვაენი, ზედ რომ დაჰფართოებენ,
და გაფაციცებულის თვალთ მძოვრსა ეძებენ,
რათა ჩაილუკმონ და ჩაიგემონ.

„აგერ შორს შეღრმავებულნი შენი ხეობაები:
სადაც ყურთ წმა აღარ ისმის მკვირცხლთ მდინარეთ
ვარვარებით,
რომელ მათში თავს მოიკვლენ ზვრთი ზვრთზე ქაფთ
ჩქარებით.

„შენი არ თანასწორი, გრძლად გადაჯაჭვილება,
შავ ზღვთ კასპადმდე, იმისი მოფერხულება,
მოიტაცებს გონებას, განოლილო კავკაზო!
რომელზედაც მისნი ქალნი დათამაშობთ ნაზნო,
და შექცევით დასეირნობთ.
მე, თქუწნს ძმასა, გადამიტანთ, მის შეკრულებაში
და მის შეჭმუხვნილებაში:
ჯერ მე თქუწნთან ვმუსაიფობ, ლამაზ ახალ მოლზე:
მოლზე მსხდომარენი და წმინდას მონანწკარეს წყაროს პირზე,

მესმის თქუწნი სანუგეშო სიტყუანი.
 მიაშობოთ თქუწნსა ამბავს აქამომდე.
 კარგო ქალეხო, ვინ გითხრათ ეგ? –
 არის მამაპაპის სიტყუაო ეს.
 შემდგომ მიბძანეთ და თქუწნი ნებისამებრ
 თქუწნგნით ნავალ კავკაზის ბორცვების ქედებზე;
 თუ ნება მეცით, მამ რალათ გამამატნთ ცრემლსა,
 ცრემლსა გულის საკულავსა? –
 სდუმთ, ქალეხო? მაგ დადუმებამ ხომ სულ გამიქრო,
 ვაი ჩემს თავს, ახლა გამინყრებით და მიბძანებთ:
 ნადი, ნადი, ეხეტე იმ მთებზედა, რას დასდეო,
 მამ, ასე, მამ, ნავალ ისევ, ნავალ მის კლდეებზე,
 რომელზედაც დავნადირობ ჯიხვთ რქიანთა;
 ეგრეთა ვდეენი დიდრონთ ირმებს ქორბუდიანთა,
 და ნებისამებრ მიმოვიარები, მთით მთაზედ,
 მთის ზეფიროსის, მორბედობის სიამოვნით...
 „მიყუარს შენი შენზედ შეკმაზულნი ღრუბელნი,
 როდისაც არაზმულებრივ შემოგემართების,
 და წყნარ-დაზანტებით, რო გცოცავს ზედ და განგერთხმის.
 „მიყუარს შენი დაგუნდებულნი ბნელნი ღრუბელნი,
 უფრო მაშინ, – მალანაზნი ელვარებანი რო დაგეგრაგნება.
 „მიყუარს, კავკაზო, შენი ესრეთი ცეცხლებრ აღლაშქრულება,
 და შენი ძახილით ადრტვნებული ღალადება,
 ნამეტნავად მაშინ, ოდეს ცის საყვრნი დაგყვივის შენ,
 „სად ერთ საყდრად სუფევ, კავკაზის თან შეზრდილო,
 და ერთი მუცლის ძმა, არარატო!
 გემდური და შემოსძახე, – სად განშორებულხარ? –
 შუბ დარდნობილს, თეთრ დევსავით რო გაველებულხარ,
 რათა უამხანაგოთ იდგე და უმეგობროდ?
 სტირდე, სტირდე, დაობლებულო შენ, არარატო;
 შენსა ძმასა მხარს არა უშვენებ და სნუხ მარტო,
 გადმობუკე მაინც, არარატო, და აღძარი
 იგი წარღვნის მოწამე, არარატზედ დამდგარი,
 ნოეს კიდობანი იგი,
 რომელიცა გადმოვიდეს ჩემთან, სწრაფის ქროლვით;
 ჩემს მშობელს ქუწყუნად, ჩემს გადასაყვანად,
 რომ მისი ჰაერი, ბუნება, წყალი კიდევ განვიცადო,
 და კეკლუცნი ქალიც ვნახო:
 სულზედ უფრო სულის სულნი იგინი!..
 თორემ ბედმან მომწყლა, აღარ მახსოვან ისინი მე,

შენ არარატო! წმინდა იაკობის ტარბნი
მაინც გამოგ ზანე, ჩემი სულისაგან მკალნი,
შემუსრონ და მოსპონ, არარატო, არარატო!
„ახ! ჩემო საყვარელო კავკაზო!
არა წადილით საყუარელო,
არამედ ძლიერის ვნებით სასურუწლო!..
კავკაზო მშუწნიერო, და კავკაზო განსაცვფრებელო!
შენ თეთრ ფრთოსანი ორბი გამომიფრინე,
და თან შენი საუცხოება გამოატანე;
რაოდენის წლების მკუდარს გულზედ, ფრთებით დამნიაოს:
უკვდავებად მივიღო და კუალად გამაცოცხლოს...
გესმის, ძუჟლთ უძველესო კავკაზო,
და პირუჟლ ქმნულ კაცათ ბუნებათა ბუდეო!
მე ვარ ძე შენი, – ძე შენი, კავკაზო,
და ძუჟლ ივერიანელი ქართველი,
რომელიცა ამით მოვამაყობ!

შენ გემგოსნი,
შენ გინეტარებ,
შენ შეგამკობ,
შენ შემოგტრფი,
შენ თაყუანსა გცემ მონინებით,
და ახლა ველარცკი ვიჭერ, რომ არ შემოგტირო,
საცოდავად და მწარად!..

ახ! ვის უთხარ? – ესე ცრემლი რას ჩაიტანს თვს უფსკრულში...
რომლისაც მის აზრი გალობს გლოვითა,
მარად ღუთის წინა დაობლებული.
ხომ ჩემი გესმის. – მაშ, გუღს არ იღმოზ? ზი, შენ, ღმერთო!

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.
1839-სა წელსა. 15-ს სეკტემბერს. ქ. პიატიგორკს.

**სისხლმკაცრელი ქართველი
(გაჟის თეიმურაზის მეორის ღრმინდელია, ოსმალებს
ქიზიყი რომ ეჭირათ)**

მწუანოვანსა ველს ქართველი იდაყვს ეყრდნო წამოწოლით.
კავკასს სჭვრეტდა, შენაცვლოდა სულით იმას თვალშეყოლით,
რომელს ვითა გამოსწოვდა ძუძუს მის ბორცვთ გემოვნებით,
დედას თვსსა შვილი იგი.

მას ყმანვილსკაცს შავნი თვალნი აენტოდა, ასინათლდა,
გულზე რისმე ნალვერდლები დაანყო და აუაღდა,
მსწრაფლი სისხლი მას ყმანვილსკაცს აურქარდა, აპრიალდა,
ვითა ფიცხსა, მას შვენოდა.

„თურქა ხალილ, ჩემ ძმის მკვლელი, მოსისხლეო, მომელოდე,
„ვფიც, მუხთალო, ავო კაცო, შემოგხვდები, ადრევე გრძნობდე,
„სისხლს ან შენსას ვინაცვალეზ და ან მე კვლად გევალოდე,
„ხმალხმლის ტკეცით, არა თოფით.“

დაუყოვნად შეჯდა ცხენსა, უნაგრიანს, შევერცხლილსა,
ცხენი რაშებრ ლამაზობდა, ვითა გუანდა ფრთებ შესხმულსა,
თვთ მხედარიც განგებ რასმე გვანდა მართლად ამწყაზრულსა,
დილით მისულ, მიქრორვილი.

მესრის ბოლოს ხეს ქვეშ თურქსა თავს წაადგა, ღრმათ მძინარეს,
სახეს მისა ზედ ეწერა, რომე გვანდა ლამ მთევარეს,
თვალი ოდეს დააკვირვა, მნოლს გულაღმა, მომფშვინვარეს,
მართლა მიხვდა, რაცა სურდა.

„დროვო, დროვო, წინმორბედო, ვით შიკრიკებ დიახ მალედ,
„მომიძეხი და მომეცი მსხვერპლი ესე უზრუნვარედ,
„მაგრამ, ბედო, ქართველნი ჩვენ არვართ ქმნილი ღვთისგან არედ,
რომ მძინარე მტერი მოვკლათ.“

„არა ერთგზის მედა შენა შეექცეულვართ ჩვენს სოფელში,
„ნაცვლად ამის პურმარილის მომიკალ ძმა მუხთლად ტყეში,
„რომ მის ჯიბით ამოგელო, რაც რამ ჰქონდა მას ქისაში,
ოქროს მონავ, მყრალო, მძოვრო.“

ძმა რომ ძმასა მოაგონდა, იგი მისი სისხლი თვისი,
მკვირცხლის ფეხით, არა ცხენით, წადგა მისკენ გულმრისხველი,
და [ნარაებრ] შემოსძახა: „ადეგ, გპოვე ჩემ ძმის მკვლეელი;
დაუნდობო, ცუდო კაცო.“

ვით ფიალა სისხლით სავსე, აახილა იმან თვალი,
მაშინათვე იცნა იგი, ვინც რომ იყო სისხლმძებნელი,
მსწრაფლვე მასცა ღალატითა ხტყოცა თოფი უეცარი,
მაგრამ გასცდა, გაზუზუნდა.

ანაზღჩქარა ხმალმოსმულმა შეუტია, მან უნდობმა,
მაგრამ მაჯას შემოსტაცა მარჯვე ჯელი მხარძლიერმა,
ქვეშაც მალე ამოიღო ხნით ჭარმაკი ბაზიერმა,
ქორავაზთა მეფისამან.

დაყმენდილის მგლებისათვის დარჩა იგი გაგმირული,
წითელ სისხლსა სცურდა თურქი, გაბანილი, გაბასრული,
მისი ლეში ყორანს, ყვავსაც უხაროდათ დაავდრული,
ზედ მომლხენტა მომყრიანტლეთ.

7-ს ნოემბერს 1839-ს. წ. ქ. პიატიგორსკს.

ცრუს

მესმის ეგ სიტყვა და ეგ რწმუნება,
მაგრამ სულ სტყუი, არ გეკატრება.

[1840]

**ჩემს ქალს დარინას
(ბაუთხოვარი იყო, გადიღბან მორთული მოდიოდა
სალამოზე)**

აი, ძლივ-ძლივა მოვა ნარნარად,
თან მოაქვს ღმერთას შუწნება წყნარად,
მით დაღალულა.
თურმე, ნუ იტყვთ, ედემს სწვეოდა,
სტუმრად მას ღმერთას მეტად ლხენოდა,
ასე რომ, სხუანიც ღმერთნიც ისტუმრა.

[1840-იანი]

**ჩემს ქალს მაიკოს
(ეს ყმანვილი იყო. დილის გამოღვიძებაზე კარზე
მოაჯირზედ რომ გამოვა)**

შროშნებო, ამ დილით, აბა, რა გინდათ,
არ დამაძინებთ, ი შეგარცხვინათ,
რასა [ტიკტვებთ?] –
შროშნები.
მინდვრიდგან მოვალთ პირდაპირ შენთან
ყვავილებისგან მოციქულათა,
შემოგითუალეს: მოდით ჩუწნთან,
შეექეც ჩუწნში ყმანვილურათა,
შენის ნახვითა ჩუწნც გვანუგეშე.
მაიკო (პატარა დაფიქრების შემდგომ).
წადით, უთხარით ლამაზ ყუავილებს,
უჩემოთ ვარდი ტირის, არ მიშუშბს,
ისევ ზეჭირით მათ ინუგეშონ.

[1840-იანი]

პერის სასაფლაო

წავა, წაიღებს სოფელი დროსა,
მზის ჩალხებს ზედა მიმომტრიალსა,
იმის მზგავსვე დროს გადმოსცემს კაცზედ,
კვალად ისევა დაუნდობელზედ.
ამ საწყალთ სული, მაშა, სჯობს განცხრეს,
იქ იმ სოფელში, აქ დატანჯული,
სადაც უკვდავი არს სიხარული,
ცას შიგნით ვრცელსა გაბრწყინებული!..

1848-სა წელსა

რუსთაველ!

ყოვლის ზეციურის მადლით გაბრწყინებულო,
და ანგელოზებრ წმინდათ ამომსუნთქმელო.
ნეტავი, მითხრან, ანუ ზეცითგანა გადამამძახონ,
ვინ გადმოაქცია შენზედ, მეტათ კარგი უცხოება ნეტარებისა!..
ვინ მოგიტანა დიდსულოვნობის რტო სასუფეველიდგან?
ვინ გადაიპო თავისი გული ლესულ აღმასითა,
და იმაში ანთებული სიყუარული ვინ გაჩუშნა?
ვინ გაჩუშნა მომფრინავი სული დავნებული სურვილითა.
ვინ გაურია შენს მტკინვარეს ცრემლში აუარებელში სიტკბო...
ის ცრემლი, რომელს მაღაროში შეგუბებული მეტათ წმინდა,
განბროლოვილი?
ის ცრემლი, რის ემბაზით მიაქვს ცის კამარის მოსარწყავათ
მთვარე სრულსა?
რომელს მინდორზე ილოცავდი, რომე ცთომილთა მოგაფინეს
მზის პოდირი?
რომელს მდინარეს მოუთხრობდი შენს გულის წადილს?
რომელ მკურნალმა გასო წამლად უკვდაება შენ?
როგორ, საიდგან ტკივილი სცან სოფლის გულისა?
ნეტა, რად ილმე ტკინვა მისი დაუდგრომლისა?
რომლის სამოთხისა ყვაველების სურნელებით ავსილი ხარ?
რომელ მხრის ედემისა წყარო გისომს?
რომელს სანუგეშოს წალკოტში ხარ აღზდილი?
რამდენი გვარი მფრინველები ყოფილან შენთან მოსაუბრედ?

რამთენი ბრძენისაგან დალოცვილიხარ?
რომელს ზდილობიანს საზოგადოს ეკუთვნის შენ?
ვინ მოგართო მხედრობისა გამკვეთელი ბასრი ძრიელი!
ის რა ტყე არის, შენგნით მოღბენ მხეცნადირნი გააფთრულნი?
ის რომელი გველი იყო, შენ წინ კრძალვით ამონკრიტა გესლი
თქსი?
იყო სადა, და ვინ გითხრა? – „აგერ ხედავ? ცა პატივს გცემს
ღრუბლის გრგვინვით!“
იმ დროს სიგრილის ცვარიც მოვიდა გულსა შევბელი?

ვინ გასწავა ცხოვრებისა წესი, – მეგობრობა, – და ზნეობა?
სიხარულით და სიკეთილით მოზღუდული, – სცურავ სიამოვნე-
ბასა შინა!...

სიმდიდრე და დიდება სულ არა ჩანს არად შენთან.
ჩანგებნები და ყოველი სამუსიკო შეგამკობენ,
მგალობლები და მომღერალნი შემოგრტფიან.
რა უნდა იმ შენსა მტერსა დავითს შენგნით?
შენი შურით თავისი ქნარი უკიანეს ზღუაში გადაუგდია,
და მწარეთ დასტირის საწყალი ზედა...

აი, ეხლა მესმის მთელი ქუწყნის ლექს-მგოსნების ლაღდება,
მარამ რუსთაველის ჳმოვანება უფრო აღმატებული და სატრ-
ფიალოა იმაზე!

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.
9 ივლისს 1852-სა წელსა.
აღგეთის ხეობაში წ. სამების მთაზე.

უხადური მაიკო (მარიამ)

ქალო კეთილო, კარგო და მოციმციმო,
უმანკო სძალო, ზეცისა სათნოვ, ღმერთისაო,
დიდსულოვანო, უშიშარო სიკვდილისაო,
ქალო, შენიო გული-სული ანღელისაო.

შენსა სიცოცხლეს, ვით კარგს ყვავილს, სჭვრეტდი, ხარობდი,
ხან ამ ღვთის ჯილდოს, მის ბოძებულს, გრძნობდი, მადლობდი,
ხან ჭორტუპიანს ტკბილის ჳმას სცემდი და ხან გვრიტობდი,

მაგრამ უფრო შენ ეპყარ სევდას, ნაღვლიანობდი.

თურმე, ეს იყო სევდა შენი, ესე სოფელი,
რომ არ გიყვარდა ეს საწუთო, დაუნდობელი,
ამას გამცნევდნენ ტოლნი შენი ნაზნი ქალები,
სწუხდნენ, გიგლოვდნენ ადრითვე შენ გულ-ლმობილები.

მართლა ეს მოხდა, მიეგებე სიკვდილს სიამით,
ვისგანაცძრნიან კაცნი გმირნი ძლიერნი ამით,
მარამ მას სტუმარს შენს სიცოცხლეს უძღვნიდი გულით,
გულით სრულითა დიდსულითა ბრძნულის გონებით.

ჴე, შვილო ჩვენო, სიხარულო მშობლებისაო,
ჩვენო სიცოცხლევ, საყვარელო სატრფოვ დისაო,
ვარდო გაშლილო ჩვენი გულის და სულისაო,
თუმც, ასე ჩვენო, ბოლოს ჩვენო გამწარებელო.

ოჰ! ეს სოფელი სავანეა მწუხარებისა,
კარი განხმულა მისი სრულად ვალალებისა,
სიდგანაც ისმის საშინელი ჴმა გოდებისა,
კენესა, ძახილი და კივილი შეზარებისა.

მშობელი.
[1855-1862]

სუნდი მტრედისა

საბრალო კოლო დიდ გალახული, მომყმარი ფრინვით, ფრთა
განლექული
მოვიდა, სადა ჴეტსა მას ღმერთას, ჴელთ ეპყრა ნეკტარ
კრონოსეული,
რა გათბა იგი, უძალო, უღირს, უცნო, უღონო, ჴკუა რეული,
ინყო წივილი, ბრუალი, ოხურა, კბენა ფრინველთა, ძვირი
ჴმეუილი!

ფრინველთ ინუნეს, მაგრამ მართუჴმან, რომელი არის მტრედის
წრფელი,
უნდო, უმანკო, მზე გონებითა, ფრინუჴლთა შორის გუარისა
მთვლელი,

იგრძნო მან ზეცით, კოლოსა ხმისა, ოხურა უხამსი და საკიცხელი,
ენყინა ფრიად, დაილულუნა, მშუწნიერი და გასაგონელი.

ობ! ჩემო კოლო, ჯერ შენ ვერ გიცნობს, ვერც ჩემებრ ხუნდი,
ვერცა არწივი;
ვერც ერთა ღმერთა, ვერცა სხუა ვინმე, ვერცა მნათობი, ვერცა
მზის სხივი,
იყავი შენთვის, ნუ გამოჩნდები, აგრე ხმიანად ნუ ზღაპარ-წივი,
სად შეგიძლია, დაია შვილობას, რიკაობა და ჯირითი, კრივი.

ობ! ჩემო კოლო, შენ ხომ არ იცი, ცა და ცას შინა რა ამბავია;
შენ რომ გგონია, თოვლი და წვიმა, მზის არე მარეს მაშინ დარია,
კი არ გენყინოს ეს ჩემი სიტყუა, დღეს მკერდი შენი რომ გამთბარია,
მისთვის არ უნდა, კივილ წივილი, დაია შკლობამ, ცუდი გუარია,

ჩემსა კუთხესა, შენ რომ მოფრინდი, ყოვლთა მიგიღეს, ვითა
ფრინველი,
თსება არის, ღმერთა ტრედასა, გული ოქროსა შემწყნარებელი,
გილმო დედამან და შეგინყნარა, ვითა ღარიბი გამოსაზრდელი,
ან შენცა იგრძენ, ნუ ჩხივი, კივი, ხო არა გაქუს რა გასაყოფელი?

ფრინველი ფრინველთ მოურიგდება, აქუს თავისი დრო ყოველსა
ქმნულსა,
შეხვთება კარგი და ბევრი ავიც, სოფელსა შინა მყოფსა სულ
დგმულსა,
ოდესმე გულნი, აწყენინებენ, განსაკუთრებით თავისა სულსა,
მაგრამ განგება მათ დააზავებს, კოლო ვერ მისცემს რჩევას და
სჯულსა.

თუმცა მიიღე ან, ჩემო კოლო, ჩემი ღულუნი, ჩემი გალობა,
ჩამოეთხოვე კუნესა, წივილსა, ჩუწნიდ არ არის გუარის
ზრდილობა,
შენც იცი ჩემი სინრფელე გულის, უმანკოება, შთამომავლობა,
ჩემსა სახესა არ ეკადრება, ფრინველთა ჩემგან უყუარულობა.

ან თქუწნდა ვგალობ, ჩემნო ფრინუელნო! მნადიან თქუწნთვს
ყოვლი კეთილი,
თქუწნთვის ვგრძნობ ბედსა, მე, თქუწნის სახლის მართუწ, ვარ
უმანკო ჩჩვილი,
თქუწნ გამომზარდეთ, ობოლი, წრფელი, რას ქვიან ოხურა, კბენა,

არწივთან მე ვარ თქუჴნი ნამრდგენი, ვის ეკადრება კოლოს
ნივილი.
ნივილი.

სთქუა და დადუმდა გულ-სანატრელი, მართალი გული, მკერდი
ცის-ფერი,
სიმართლის მათზედ, ბუნებით მლუჴლი? სინრფოებიტა აღმაზე
მზეერი,
მარადის მარჯულ, გალობის მთქმელი, მართუჴ მტრედისა,
გულის-ხმიერი,
ვინც არ ერწმუნოს, მან დაინუნოს გული უმანკო და გონიერი.

N.
[1857]

შიმშილით გამხრჴვალი ქალკაცი

ერთი უბანი დამდაბლებული
იყო ძალისგან გაფუჴებული,
ბევრი სხუჴბს ჰქონდათ, იმათ ძლივს ცოტა,
მაინც მადლობდნენ უფალსა ღმერთსა!
ამ უბნის ზოგ კაცთ ნახეს ერთს ადგილს
გამხრჴვალი ძალლი ეგდო ხრიაკს მწირს,
ყელი აქლემებრ გაჴგრძელებოდა,
თავი და ტანი დასწვრილებოდა,
შიმშილით ხვნეშდა და კვნესით ისა
ქერტლი ეყარა კეთროვანისა,
მათ შეიბრალეს და შეინყალეს,
პატივიც იმას ასე მიაპყრეს,
რომ ის გახადეს სრულს რეკტორობით,
მაგრამ დაინყო ყეფა ღმუილით.
ჴყეფდა, ღმუოდა უვარგოსა ხმით,
ხმით საზიზღარით და კაპასობით,
კაცი არაფრად აღარ მიაჩნდა,
იმის მყრალ კბილნი ბევრსა დააჩნდა,
მითამ ის ძალლი შეიქნა კაცათ?
მაგრამ გადიქცა სულ ერთს ძალლკაცათ,
ასე რომ, თავი დარჩა ძალლისა,
ტანს კი მიეცა ჴორმა კაცისა,

განათლდა მითამ ძალლი კაცობით?
მაგრამ დაინყო კბენა გველობით,
ჰკბენდა, შხამავდა სიმართლეს ბევრსა,
ათს, თუ დღეში ოცს და კვალად მეტსა:
ვინადგან ბოროტს სიმართლე სძაგის,
მისთვის ბოროტი სიმართლეს სდევნის,
ამიტომა, რომ იმის გულს მძრომნი
გარსახვევია შაშრებით შავნი.

აქ სულ რაც ითქუა, მას არ ასვენებს,
მაგრამ მით სტკბება, მას ანეტარებს,
მის ამთენ გესლმა მას მისცეს აზრი,
ესეც სწორეთა, იმის ზნის გვარი,
იმან დაინყო ანგაარობა,
ფულების, მინის მეტი ხარბობა,
ამაზედ იგი გახელებული
არის სწორეთა გადარეული;
ლამისა გასქდეს თავმოყვარობით,
ვითა მახარე ცეტი-ცეტობით*
დაბრმავებული გონებით ისა,
არ იცის, რას იქს თავხედობითა,
მტკნარი სულელი, ის ბურბუშელა,
აქა-იქ ძვრება, როგორც რომ მელა,
თქუფს: არსად მართალს იტყვის არაოს,
მთელს წელს კი ერთხელ ქრისტე აღსდგაო.**
ამით რას იქს კარგს ის მატრაბაზი,
ურცხვი, ცრუ პლუტი და აზარქარი?
აკი ვერარას, აკი მის თავში
ქარნი უბერვენ, სულ ზევით ფარდში,
და ჭკვას კი სჩემობს ის ვირეშმაკა,
ის წუნკი, მყრალი, ფინთი წუნკალა?

რა მის მოკეთეთ, ქოფაკ ძალთ ნახეს,
მის თავში ქარნი სტვირს ძალზედ სცემდეს,
ღრღინდენ მის თავსა, გარეკოს ქარნი,

* ერთი მახარე ყოფილა, უზომო თავმოყვარული, რომელსაცა თავისთავი იმას რალაც საკვირვლად მიაჩნდა და ამის გამო ასეთი ატაცებული ყოფილა, რომ თავის თავის გამოსაჩენად რამთენს სიცრუს თურმე იტყოდა, ბოლოს შეუტყვიათ იმისი იმთენი სიცრუე, დაურქმევიათ ცეტი-მახარე.

** ამ ორი სტრიქონის აზრი დიდი ხანია ნათქვამია ცრუკაცებზე.

ქარნი მტვრიანი კუდ ანეულნი,
მაგრამ ვერარა გაანყეს მაზედ,
რადგან შემჯდარა ეშმაკის ცხენზედ,
თურმე ძალუკაცი, ის სულ ასეა,
ჯოჯოხეთისა ყაფჩიბაშია,
თურმე, ის ქვეყნით, სულ გასულია
ამ სოფელს, იქაც წანყმენდილია.

მისთვის თქვეს: იგივე, ის ძალუკაცია,
თუნდ მოასხანო შაჰის შალია (!).

თუ ეს, ძალუკაცი, სწორე არ არის
და ოსტატობას სჩემოზ მეჯღანის?
მაშ, შენს წევრთათვს შეკერე სელი
ძერა, ბუეზის დასაჯდომელი,
რომ მის დორზედ თქვენ განისვენებდეთ
და ხან თხელს კრემსა, იქ მიირთმევდეთ,
აი, მაშინ შენ გინოდთ ძალუკობას,
თუ რომ არა და, მაშ, ძალუკაცობას.

აბა, შენ მაშინ იქნები წინა,
ეშმაკებშია იმათი სვინა,
შენ განუსვენე, სატანავ, ძალუკაცს,
რა შენს წიაღში გენვიოს პალატს.
ხედავთ, უხუარის ყოველი ესა
ბოროტ ჟამს ნასხლეტს იმ ძალუს კაცჰსა?
ამისთვის იმას ერიდეთ ფისსა,
ვინც რომ შეეხოს, გაშავდეს ისა.

29-ს თებერვალს 1866-ს წელსა. ქ. ტფილისს

**მოხუცებული ყმანვილკაცს
(ექსპრონტად)**

რას დამცინი? რას კოხტაობ? რას ტრაბახობ? რას ბაქბუქობ?
ნუ დამცინი, ნუ კოხტაობ, ნუ ტრაბახობ, ნუ ბაქბუქობ.
მეც დავცინე, ვკოხტაობდი, ვტრაბახობდი, ვბაქბუქობდი,
მაგრამ ახლა დრომან კრულმან გამტეხა და მოუძღურდი.

ՀՄԾՑ

ქურციკის სიყვარული

ცის საქანელი კასპიის ზღვასა
დასჭვრეტდა მშვიდად დასუენებულსა
და მის პირს ვინმე იჯდა ერთს ქვაზე
გაშტერებული
გაოცებული.

მის წინ ციმციმდა წყარო მლიმრებით
ბროლებრივ ბრმად მიწანწკარებით,
ზღვასა საამოდ წყნარად ერთოდა
ჩასეინებით
და ჩაღეღვებით.

თუ ვის ენახა ის ასე ჭმუნვით,
იტყოდა ამას გულშეჭირვებით:
„ეტყობა, ესე მოუკლავს წყეულს
სურვილს ტრფობასა
ტრფიალებასა.

მის გვერდით ჩანგი მოვარაყული
ეგდო მიწაზე მტვერ დადებული
სჩანდა ჩანგიცა აღარ ახსოვდა
რომელიც არის
გრძნობის ნეტარი.

დრო ესე იყო მაშინ, როდესაც
ტოროლა ბნელში ცას შეჭიკჭიკობს,
ესე ბინდ ბანდი ზეცას შეღიმდა
მთოვარ მზის ბუდეს
და ვარსკვლავთ ბუდეს.

მცირეს ჟამს შემდეგ განითლდა სრული
აღმოსავლეთი, ვით ცეცხლის ღვერფლი,
ზედ მიღეულმა მთოვარემ იწყო
წყნარად ამოსვლა
ცისკარში შესვლა.

მოუთავაზა ქვეყანას მცირე
საამო სუფთა სინათლე ტურფა,
რამან, ზღვის პირთან ქვაზე მჯდომელმან,

შესჭვრიტა ზეცას
განათლებულ მას!

მისი გონება და მისი ფიქრი
დაჰფრინდა ვისმე ვით სერაბინი,
გარსა უგარდა დალულუნებით
ზმანება სრული
და კვალად სული.

ოხვრა და სულთქმა ეწვია გულსა,
ღრმასა ღვიძლებსაც, იქ შორსაც სულსა
და მაშინ ჩანგი ძლივს მოაგონდა
ღრმად დადუმებულს
და დაფიქრებულს.

ინყო ჩანგობა და ზედ მღერობა
თაღს სამწუხარო სევდის ჳმოვნება,
მთანი კლდენიცა ვით დამღეროდენ
გარმონიურად,
მელოდიურად.

მისი სიმღერა ზღვას მოერთოდა,
ვით ვარდთა ფუცვლა მოიფენოდა,
შორსა მეთევზეთ ტებილად ესმოდათ
როგორც ედემით
მღერა ბუზსავით.

მის ახლოს იყო მთის თავს ქალაქი
ხალხით მორთული და შემკობილი,
იმის ჳმაზედა გადმომდგარიყვნენ
მცხოვრებნი ერნი
მრავალნი ბევრნი.

მთაში უსიტყვოდ ჩვილგულნი ქალნი
აბნევენენ მისთვის ნაზ ცრემლსა წყნარნი,
გარნა კაცები, გულით მამაცნი,
ამბობდნენ ამას შეწუხებულნი.

„ოთხი წელი არს, ის გალტოლვილი,
არის თვის ქვეყნით აქ მოყვანილი,

რაც რომ აქ არის, ზღვის პირზედ ჩავა,
ამდროს ყოველთვის ერთს ქვაზედ ავა“,

„რომელსაც ჩანგი მას თან აქვს მარად,
დაჯდება, დაჰკრავს და მღერის მწარად,

ჩვენ სრულად მისი ენა არ გვესმის,
რომლის ენითა იგი იმღერის;
მინამ გათენდის, ამ ამბავშია
ბოლოს ამოვა თავის სახლშია.“

„არ ერთგზის ჩვენმა ხანმა კეთილმან
სთხოვა, რომ წყენა დაივიწყოს მან,
მაინც ის ზღვასა ფიქრით მოცული
არა ეშვება შენუხებული.“

„მას ყმანვილ კაცსა პატრონობს ერთი
თავისი მონა და კვალად ღმერთი,
ამასთან ითქმის, დიდ ერთგულსა გავს,
ესრეთა, რომელ ანაცვალებს თავს“.

ხშირათა ნახვენ გულმხურვალეთა
მუხლთა ეხვევა, ხან ჰკოცნის ფეხთა,
მერე დაუნყებს რაღაც ვედრებას,
სჩანს, რომ ტანჯვისას სთხოვს დავინყებას.
მაინც ის ზღვასა ფიქრით მოცული
არა ეშვება შენუხებული.“

მათ შეკრებილში ვინმე ჭარმაგმა
დაინყო მბობა ჯოხ დაბჯენილმა:

„გუშინ ფარულად მიველ მის ახლოს,
დაუნყე ქვრეტა გორიდგან ამ დროს
ამისთვის, რომელ შემეტყო სწორეთ,
რისთვის მნუხარებს საწყალი მწარეთ.
ვნახე ამ ჟამსა ქურციკი კლდიდგან
კარს გამოვიდა ღრმას მაღაროდგან,
მას ყმანვილკაცთან მოურიდადა
მივიდა კრძალვით ის მონურადა.
და რა მივიდა, მის წინ მონურად

შესჭვრეტდა ჩოქით თვალმოუშორად.“

„ოდეს ქურციკი დაჩოქებული
მან დაინახა გაოცებული,
უთხრა ნელიად ჩვენისა ენით
სპარსული ესე ალერსის სიტყვით.

– „მგონია, იყოს მეოთხე ნელი,
რომ შენ იყავი პატარა მშველი?
გახსოვს, შენ ნუკრი მოურიდადა
ერთხელ მიხვედი გარიჟრაჟადა

– „ჩანგისა ჳმასა ყური დაუგდე,
ვით სმენა ჩანგსა სრულად დაუგდე,
მერეთ მის შემდეგ მოხვალ ჩემთანა
დილის ვარსკვლავის ამოსვლასთანა,
რომელიც თითქმის ჩემს მწუხარებას
მიქარვებ შენა და კვლად ვაებას.“

„ამასთან დაჰკრა ჩანგსა ტკბილის ჳმით
თალხათ უცხოთა დაჰგოსნა მღერით
და ჩვენის ენით ასე იტყოდა,
რომელს ამ ლექსსა ეტრფიალოდა.“

– „რად განმაშორე სულის ცხოვრებას,
სპარსთა ჳელმნიფევ, სიცოცხლესა წყნარს?
ვითლა ველირსო კვლად ნეტარებას,
ვინცა მასმევდა ნუგეშის ნეკტარს?“

– „მომსპე ქვეყანას, ედემის მზგავსა,
სადაც ვიშვებდი ჩემ ცოლშვილებით,
ახლა ჩამაგდე ბედკრულსა შავსა,
რომელსაც დღენი მაქვს დაღონებით.“

„მერეთ დაიწყო თავისის ენით
სიმღერა წყნარად და მოზარებით,
ასე გასინჯეთ, ეს ჩემი გული
ამემღვრა მის ჳმით გაქვაებული,
მაგრამ ქურციკსა ასე ესმოდა,
მის სიმღერაში სულ ჩატკებოდა!“

„რადღა და რისთვის მოვყვე და ვთქო გრძლათ,
სიმწარე ძნელი მისი რა გითხრათ?
მაგრამ მიკვირს მე, ასე სტკიოდა
გული მას, მაგრამ არ სცრემლეოდა.“

„ოდეს ცამ შექნა მოკაშკაშობა,
ლაჟვარდის ფერად მოიკმაზოდა,
მაშინ იგიცა მღერასა სწყვეტდა,
რომლით სტკებებოდა და დადნებოდა,
გარნა ქურციკი გრძნობდა და ლოკდა
წელ-ფეხებს ტკბილად, ვგონებ, მადლობდა,
მასუკან თვს გზას მიემართოდა
არა ჩქარადა და უგულოდა,
მეცა ჩემს მხარეთ მიფარებითა
ნაველ გასწრაფით გაფთხილებითა.“

ჭამა ჭარმაგმა რა დაასრულა
ამბავი, როგორც ვთქვი ზევით სულა,
მერე ნავიდნენ თვისად ყველანი
დაჩუმებულნი დაღონებულნი.

მთვარეს ნათელი მოაკლდებოდა,
ძლივლა ვარსკვლავი ცას ბჭყვრიალებდა,
იქ შორი ზეცა მოლიბზინვიდა,
შარავანდედით მოიღიმიდა,
მერეთ სინათლე დაწყნარებულსა
ზღვას მოერთოდა გასწორებულსა.

იქით, შორს, ზღვაზე იდგა ხომალდი,
როგორც ასპარეზს გმირი გულადი,
ზღვისა პირიდგან პატარათ მოჩნდა,
ვით ჩამოჰფრინდეს ორბი ველზედა,
თურმე, ის იყო იგი ხომალდი
დარბანდიდგანა სახელით: მარდი.

აქა ზევესამ ახსნა დროშები.
მეტად ძლიერნი ქარიშხალები!
ამ დროსვე ის ზღვა აღელებასა
მოჰყუა ძლიერად გახელებასა.

ხომალდში მსხდომთა ზოგთ ჰქონდათ გული
მართლა მაგარი, გაკერპებული,
მაგრამ გულჩვილებს თუმც ეშინოდათ,
გარნა გულს შიშით დაეფაროდათ.

მათი უფროსი თუმცა ხედვიდა,
მოგზაური მათ ქარი ბერვიდა.

ესრეთი ქარი ღუზით ახსნილსა
ხომალდს დასთქმიდა აფრა გაშლილსა,
ამისთვის ისევ იგი ღუზაზე
ხომალდი იდგა მრყეველი ზღვაზე.

დრო რა რომ განვლო, მოსწყვიტა ქარმა
ღუზით ხომალდი გაჯავრებულმა,
ჯერ შეჩოჩქოლდნენ, მერე შეშფოთდნენ
ხომალდში მსხდომნი, ბოლოს შენუხდნენ

მალლად შესძახა მეხომალდემა
მყარის სიტყვითა მენავეთ თავმა,
– „ეხლავე გაშალეთ მცირედი აფრა
შუა იალქანს მსწრაფად და ჩქარა.“

ზედ ეკვეთოდა ხომალდს ლადონი
გაქანებულსა ვით გატყორცილსა,
თან მიარღვევდა ზღვას აღელებულს,
გაშფოთებულსა მას გადარეულს

აღარ დასცალდა, მოუხდა ქარი
ხომალდს მეორე დაუდგომარი,
აფრები სრულად იალქნებზედა
ჩამოაფხრინა ფარაფარადა.

კიდევ არ იქნა, კვლად დაეძგერა
ნუ იტყვით, იყო ხომალდის წერა,
აი, თუ არა იალქანი წამს
მოსტეხა, სტყოცნა გარდავადა ზღვას.

მეხომალდემან ძლიერი გული

არა დაჰკარგა, ეგრეთივ სული,
მაგრამ მოსტეხა ამ დროს ლადომან
პიდალიც მკვიდრი შეხეთქებულმან,
ვაი აქ, ყოველთ თავი საკვდავად
გასწირეს სანყალთ დასალუპავად.

ხომალდმა იწყო რყევა ზღვაზედა,
მიმორწევიტა აკვანურადა
დაძრწოდა ზღვაზე ზვირთზე ხეთქებით
და ლელვა ხუთდა სიამოვნებით,
მას თეთრნი ქაფნი გარსა ებრძოდენ,
ფალავნურათა ეჭიდებოდენ,
და ზღვა ფიცხელად დუღდა სრულია
წყალის გორებათ გადაქცეულად.

ხომალდის ცხვირთან იდგა ზექალი,
ვით ანგელოზი ჩამოფრენილი,
იმის ცოტა შორს, ხომალდის ვარცლში,
ისხდნენ ყმანვილნი მცირესა ნავში;
ეს ორნი წვრილნი, ვით ზეცის შვილნი
შიშსა ვერ გრძნობდენ და ჭიკჭიკობდენ,
ხან ბულბულ ბლარტებს დედასა სტროფობდენ
და ხან კუკებთან დასთამაშებდენ.

დედამ მოხედა, ჩასტრიფალა მათ
ბუნების ლამაზთ მშვენიერებათ,
მაგრამ წამს ცრემლით აევსო თვალნი
მარგალიტებრივ გიშერში მსხდარნი.

მერე მოხედა ზღვის მღელვარებას
მის საკმაოსა საზაროებას;
იგი სანყალი ასე ჰგონებდა,
ქვეყანა სრულად დაიქცეოდა.

მან ზეცას თვალნი სულთქმით აღახვნა,
მისი ვით სულთქმა ცას შეეფინა,
ბოლოს დახედა ზღვასვე ცრემლითა
და შემდგომ იწყო გულჩათუთქვითა.

„ჰე, ზღვაო, ზღვაო! ზღვაო, უწყალო,

„ზღვავ საშინელო შეუპოვარო;
„დილის ჯალათებრ ამდგარხარ მძლავრად,
„კაცთა სიცოცხლის ჩასაგემებლად.“

„უბრალო სულნი, ზღვაო, რად გინდა,
„შენსა სიღრმეში უფსკრულს ჩაინთქა?
„რა აქვთ შენთანა შემცოდებობა
„ამ საცოდავთა ხომალდში მსხდომთა?“

„არც ჩემნი შვილნი არ გებრალისა
„ეს ანგელოზნი სასუფეველისა?
„ზღვავ, მოიგონე ღმერთი ძლიერი
„ქვეყნის მფლობელი ის ზეციერი.“

„ნუ ჰყოფ შენ, ზღვაო, უსამართლობას
„ამ ხომალდს მსხდომთვის სავალალობას,
„თუ რომა გწყუროს კაცთა სიცოცხლე,
„ამათ მაგიერ, გვედრებ, მე დამთქე.“

„ახ, გუშინ, ზღვაო, ეყუდე მყუდროდ
„სარკებრ კრიალით და საუცხოვოდ!
„და მე მაშინა ტკბილად ვზმანობდი,
„ჩემს ნუგეშს ტრფობით შევფოფინებდი.

რა დაასრულა მან მშვენიერმა,
შემდეგ დუმილმა მოიცო ღრმამა,
ის ასე გვანდა გამზებულსა
ყვავილსა უცხოს ნამით მცვრეულსა.

არეულს ამ დროს მთაზედა იდგნენ
ქალაქის ერნი და ზოგნი ისხდნენ,
სჭვრეტდენ ხომალდსა, მათკენ მიქროლულს,
ზღვის ვაებისგან მას შეჭირვებულს,
და არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ,
რომ მათ ხომალდი ვით გამოეხსნათ.

ზღვის ნაპირიდგან ნახევარ ვერსზე
იდგა მცირედი კლდის ბორცვი ზღვაზე,
მისკენ ხომალდი ჩქარა მიჰქონდა,
არსად ცოტა ხანს დაიყოვნა.

ოდეს ხომალდში მსხდომთა მიხედვს,
ხომალდი კლდესთან ახლოს იხილეს,
საწყალთ ყოველთა მათ დაჩოქება
ძლივსლა მოასწრეს და ღვთის ვედრება,
რომელთ ამ დროსა, ვაი, რა გითხრათ,
ხომალდი კლდეზედ სრულად დაემსხვრათ.

ოდეს მოჩანგემ ზღვისა პირიდგან
ნახა ხომალდის დამსხვრევა ზღვისგან,
ესეცა ნახა, ვინცა ხომალდზე
იყვნენ, ყოველნი შეცვივდნენ კლდეზე,
მართლა ამისთვის გამხიარულდა,
საწყალს ტუჩები ძლივს გაულიმდა,
რა იცი, კაცო, მიიღებ რასა
დღეს თუ ხვალზეგა, კარგს თუ ავს ბედსა.
მის წინ ზღვის პირზე მცირე რამ ნავი
ება წყალშია მობნელო შავი,
ვიკითხოთ, იყო ეს ნავი ვისი?
ზღვის სასეინო ხანდიხან მისი.
იგი მოჩანგე ზღვისა აფუტკნას
გადაატროფობდა გულსა ცოტათ მას,
ამ დროს იმის გულს უთხრა წინ გრძნობამ:
„მარჯვნივ მიხედე, რასა იხილამ?“
მართლა მიხედა, ნახა ზღვაშია
საგანი რამე მიმომღელშია.

ნახა სწორეთა ფიცარზე ქალი
ჩაბოჭვილებრივ მაგრად შემჯდარი,
შავნი დაღალნი ჩამოსწეწოდენ,
მშვენიერს პირსა დაებზინვოდენ.

ზღვისა ლადონი ეჭიდებოდენ,
ზღვაშია ჩქარად გადენოდენ,
გაკერპებულსა უნდოდა ზღვასა,
मित მოეოხა სიყმილე ავსა.

ოდეს მოჩანგემ იგი საწყალი
დაინახა მღელს ზღვაშია ქალი,
თვისი სიმნარე განირულისთვის

სულ დაავინყდა უცნობისათვის.

წამოხტა სწრაფად, ფიქრ აუჩქარად,
ზღვასა მიმართა დაუხედავად,
და თქუა ეს სიტყვა: „ან მას მოვარჩენ,
ანუ ზღვაშია თავსა დავიარჩენ.“

მალის ზვირთიდგან გადასჭვრეტდა ქალს
ცეცხლებრის თვალით ანთებულთ მას,
და შესძახოდა მამაცის სიტყვით,
– „ნუ იშიშვ, ქალო, გამოგიხსნი ზღვით.“

ქალი მოიციო სიამოვნებამ,
როგორც ჩანგისა ხმოვანებამა,
გული დასდალა მისმა ძახილმა,
მარამ დაუტკბო, ვით სული ხილმა.
ამისთვის ჴელით მისცა ნიშნება,
რომ მისთვის იგი ნუ ილუპება.

ნავი კეკლუცად მინარნარობდა,
ზღვის ქვედთა ქედზე მითამაშობდა,
გარნა ზღვა მღელი ელადრებოდა,
რომ უზმო სადილას ჩაჰკემებოდა.

მშვენიერ ქალმა ჴელი გადმოვლო,
ყმანვილსა კაცსა მხარზე შემოვლო,
ქვითინით ყელსა გადმოეხვია,
ფიცრიდგან ნავში გულზედ ეწვია,
და სიამოვნოთ შემოსტირებდა,
– „ახლა თუნდ მოვკვდე, არ მენალვლება.“

იქნა და იგრძნა გულის დამწველი,
ვინც რომა იყო ცრემლით მომთქმელი;
აქ ჟუჟუნურის თვალებით ცრემლსა
აბნევენ ჩქარად ნეტარად მცვრევსა,
იმათი ცრემლი გაცისკრებულსა
ეკუთვნის მდელოს სიოებულსა.

აყეფებულ ზღვამ უნიჩხო ნავი
ჩაიგდო შუა მიმობრუნავი,

დაგეშილ ზვირთებს იგი ვერ გრძნობდენ,
მხოლოდ ერთმანეთს შეიკონებდენ.

ამ დროს საყვარელთ ლადო დაეცათ,
რას ყოფით თვალნი აღახვენეს იმათ,
მაშინ მენავემ ლელვა გვემული
მუხლს დაინვინა შესუსტებული,
და ზღვისა პირსა ნავი გაზიდა,
არა მცირესაც დაიყოფნიდა.

ვინ იგი უმღვთო არა გასწირავს
თავ საყვარლისთვის სასურველისთვის?
ვინ იგი უმღვთო არა მიაართმევს
თავის სიცოცხლეს გულის სიამეს.

ზღვისა პირს ისხდნენ გადახვეული
ზღვის ლელვისაგან განრინებული,
ამ დროს რალაცა ქალს მოაგონდა,
რომლითა მისი გული დაღონდა,
და ესრეთ ძლიერ ამოიოხრა,
რომ გვამით სული ვითა ამოჰქრა.

ესე ყმანვილს კაცს დაეცა გულზედ
მართლა მძიმეთა და არა მცირედ,
მოუთმენლადა კითხვა დაუნყო
მას სასურველსა, მას სანყურველსა:

„ჩემო მეუღლევ, მითხარ, ელენავ,
რად სულთქმ, სიცოცხლევ და ან რად ოხრავ?
მიკვირს, ან აგრე ზღვის მღელვარებას
რად სჭვრეტ, რომ შენი თვალნი ებრძვის ზღვას?..

– „ჩემო ნოშრევან, როს ზღვამ შფოთება
აუშო ჩქარი და მძლე ქოთება,
მაშინ ვარცლშია ჩვენი შვილები
ჩავსხი იგინი ზეციერები,
იქნებ, დანთქმის დროს განეგდო ზღვასა
ვარცლი მშვიდობით სადმე ნაპირსა.“

– „ოდეს ხომალდი დანაყა ბორცვზე

წყეულმა ამ ზღვამ მაგარსა კლდეზე,
ჯერაც არ ვიცი ფიცარსა გძელსა,
შევრჩი როგორღაც განიერ პტყელსა.“

– „მეორეს მხარეს რა მოვიხედე,
ვნახე ზვირთებზე ნავი მხეთქარე,
შიგ ერთმანეთსა ჩვენი შვილები
გადახვეოდნენ შეკონილები,
რომელნიც საწყლად ჯმით იძახოდნენ.

„დედავ, გვიშველე“ და სცრემლოდენ
ვაიმე, დედა, ამ ზღვას ჭირვეულს
მოურჩა, ხედავ, ბესაბ წყეულსა;
ასე და ძმანი ნენე და თიკა
თვალთ მიმეფარნენ ზვირთებსა შინა“.

ესე ამბავი ძნელისა სიტყვით
მან დაასრულა გულშენუხებით,
მარამ ნოშრევან ნახა, სიმწარით
ვერას უშველის, თუ არ სიმაგრით,
მისთვის მხნეობა გულსა მაიცა,
ცივის წყალისთვის მალე გაიქცა,
და წყალი მუჭით მოარბენინა
მოაპკურა პირს, მსწრაფლ მოაბრუნა.

უნვა მკლავზედა მინაზებული
ნოშრევანს ქალი დასუსტებული,
ამ დროს იქიტკენ, მათ მოშორებით,
სპარსი ნავიდა ორ ყმანვილებით.

რა მიიხედეს, იხილეს სპარსთან
მომტირალეები ყმანვილნი მასთან,
წამსვე ელენა ჴელებ გაშლითა
წამოხტა გიჟებრ დაძახილითა.

– „ახ! ახ! ნოშრევან! ესენი არის
შენი შვილები საყვარელები;
მოდით, შვილებო, თქვენგნით უცნობსა
გადაეხვიეთ მამასა თქვენსა.“

აქა შეიქნა ოთხთა ღვთიერთა
ხვევნა, მოხვევნა და გადახვევნა,
აქა შეიქნა ცრემლი ციური,
ვით ვარსკვლავთაგან გადმოზნეული.

აქ ერთმანეთსა ტკბილად ეძახდნენ
დედმამავ, შვილო და ტრფიალებდნენ,
აქ სიხარული მართლა იშვებდა,
ვითა ნეკტარში მოიზანებდა;
იქით სხვა მხარეს სპარსი ამბობდა
განცვიფრებული! განკვირვებული!
– „ეს ყმანვილები ჩემთვის მიმყვანდა,
ნეტა, ვიცოდე, რას ვხედავ ახლა?“

დასცხრა და ჩაქრა სურვილთ ტრფობანი,
ვითა მძლე ცეცხლის ალის ბრძოლანი,
მაშინ ნოშრევან ჰკითხა მას სპარსა:
– „ესე ყმანვილნი მიგყავდა სადა!“

– „აგერ, აიქა ზღვის პირს ვიჯექი
ზღვის მღელვარების მიმომჭვრეტელი,
რომელიც ზღვისა ძახილი მისა
მესმოდა, ვით ჴმა საყვირი ცისა!“

– „ამდროს ზღვის პირსა ნავი მოსცურდა
მღელვარებისაგან უპატრონოდა,
მიველ, ჩავხედე, ვნახე ეს ორნი
მმარგალიტ ცრემლთა გადმომფრქვეველნი;
ვთქვი, ღმერთმა მამცა უძეოს მოხუცს
ეს ანგელოზნი ვით ზეცის შვილნი.

რა ნოშრევანმა უანბო სპარსა,
რაც გადახლოდათ ამბავი თავსა,
უსიტყოდ სპარსი იქით მიიქცა
და ქალაქისკენ სწრაფად გაიქცა,
მაგრამ ნოშრევან სპარსა მისძახდა
მადლობისათვის მისაღებადა,
ის ქალაქისკენ უფრო მიიბოდა,
ნიაებრივა ვითა მიჰქროდა.

ნახეს სხვა კაცი ამდროს ზევიდგან,
მოარბენდა თეთრს ცხენს ქალაქიდგან,
მარჯვენას, ჳელსა რაღაც ეჭირა
თეთრი, სპეტაკი, ვინ იცოდა რა,
და იმათ ახლოს გადახტა ცხენით
რასმე ძახილით მხიარულ სახით.

შეხედეს, იცნეს ტეტია მონა,
რომელიცა ვთქვი ამისა წინა,
ნოშრევან ხმა ჰყო და დაიძახა:
„ტეტია ჩვენი ხედავთა, აჰა?“

მონა ერთგული შეკრთა, გაშტერდა
ამ უეცარსა ვით ოცნებასა,
ერთსა ადგილსა დარჩა დასმული
ხიშტებრივ მიწას ვით გავლებული,

ერთხელ რომ უთხრეს ამბავი სწორეთ,
არ დაიჯერა, ფიცეს მეორეთ,
მანამდისინა ფიქრ დაბნეული
იდგა ერთს ადგილს გაკვირვებული.

ოდეს ტეტია ცნობას მოვიდა,
ზდილობით მათკენ სწრაფათ ნავიდა,
ქალბატონის წინ მიწას აკოცა,
მერე მაღლობით ღმერთს თაყვანი სცა,

შემდეგ ყმანვილებს გულამოფსკვნილმა
დაუწყო ჳელებს კოცნა ერთგულმა

მან, ერთგულ მონამ, მათ მოახსენა
სიხარულითა მოუთმენითა.
– „ღმერთო, ოდესცა კაცზე უხვი არს,
მოავლებს მასზედ სიხარულს მრავალს,
მისცემს და მისცემს მას მომატებით,
ამისთვის მეცა ბატონსა ჩემსა
მოგართვი წიგნი თქვენ გამოხსნისა.“

აბა, რა გითხრათ და უნდა ვთქუა რა
მათი სიამე და ანუ სხვა რა?

მხოლოდ მგრძნობელო გულსა მიართვი
სასიამოვნოდ მათი ანბავი.

ტეტია მონა დადგა ზდილობით
ბატონების წინ განკრძალულებით,
მათ მოახსენა ნახევარ ჳმითა
სიტყვანი ესე სიხარულითა.

– „ეხლა ეს არის, ვიყავი ხანთან,
რალაც ჩაფარი მოვიდა მასთან,
რას ვიფიქრებდი? იყო ფარვანი
შაიყაენის ფიცხელი წიგნი;

მაშინვე შიშით ზოგნი გაყვითლდნენ
და უფრო ბევრი დიდათ შეწუხდნენ;
ასე ყველანი მყისვე ჩაჩუმდნენ,
რომ იქა მყოფნი ძლივლა ქმინავდნენ.“

– „რა დაასრულა ხანმა წაკითხვა,
რომელიც წიგნი გიჭირავთ ეხლა,
მაშინვე ჩემკენ გადმოიხედა
მხიარულითა მან სიცილითა;

და თქო: „ტეტიავ, ნავედ ამ წიგნით
ნოშრევანთანა ეხლავა ჩემგნით..

ნოშრევანს სურდა იმა წიგნისა
წაკითხვა სწრაფად არაბულისა,
ამაო იყო მისი სურვილი,
რომ წაეკითხა მას არაბული,
ამ დროს ამ ჟამსა ხანიც ცხენითა
ნადგა იმათ წინ მხიარულ ჳმითა.

გადაეხვია ნოშრევან ხანსა,
ვით საყვარელი შვილი მამასა;
ხანმაც ეგრეთვე ვითა სალბუნი
ჩაიკრა გულში არდასანუნი,
შემდეგ ნოშრევანს სნადდა, რომ ეთქო
ამბავი თვისი, მაგრამ მან ასწრო.

– „რაცა, გინდა, სთქუა შენი ანბავი
გულის საშვები და არა ავი,
აქ თან რომ მახლავს ესე მოხუცი,
ამან მიანბო, ამისგან ვიცი.“

ხანმა ელენაც მოიმშვიდობა
როგორც აწვევდა უცხო ზდილობა,
მერეთ ჩაიჭკობო სულში ყმანვილნი
ვით გვრინტი ზეცით გადმოფრენილნი,
მაგრამ თვალთაგან აბნია მალე
ცრემლი, ვინ იცის, რად იყო მწარე.

– „მოდით, აქ დავსხდეთ ამ ადგილს მწირსა,
ამ მწვანოვანსა, ამ წყაროს პირსა,
შემდეგ ამბავი გიამბოთ ჩემი,
რად ასე ვსტირი სანყალობელი.

დასხდნენ და მოჰყვა საცოდავის ხმით
ანბავი ესე წყნარისა სიტყვით.

– „მახსომს მინდორი მთანი ჴეობა,
ფრიალო კლდენი და აჰერობა,
მახსოვს მდინარე ხეობას მსვლელი
და მთით წყარონი აღმასთ მზნეველი,
მახსოვს ტყე ჭალა მიმომრხეველი
და ნიავექარი ზედ მიმომსვლელი,
მახსოვს ორბები მთით მთაზე მფრენი
და შავარდენნი მონავარდენი,
მახსოვს მწვანე ველს არვედი მსვლელი
და მწყემსი საკრავზედ დამლერელი,
მახსოვს მთის ძირში სოფელი მცირე
და კვალად ქოხი სრულეებით მდარე,
მახსოვს იქ ჩემნი მშობელნი გლეხნი
და მათ გულზედ მე მოთამაშე.
მახსოვს იმათ ვით ვუყვარდი მტკბარათ,
რომელთაც დღისა სარჩო ძლივს ჰქონდათ.“
„ერთხელ მამამა ჩამამიყვანა
ერთს დიდ ქალაქში მე სოფლიდგანა,
იყო მამა ტურფანი ერნი,
ნუ იტყვიოთ, იყვნენ მხიარულ მღერნი,
მაგრამ ქალაქში ამ დროს თქვეს, მოდის

ქალაქზედ ჯარი დიადი სპარსის,
მაინცა მამა სპარსისა ჯარსა
არა დასდია და საშიშს წმასა
კიდევ ქალაქში დაჰყო ამისთვის
დღე რამდენიმე ვაჭრობისათვის.“

– „დღე ცისკრდებოდა, დღე ნათლდებოდა,
დღე კაცთ სისხლ მღვრელად ემზადებოდა,
აქა სპასპეტნი რაზმს განანყობდენ,
იქ გუნდი გუნდსა ეფარებოდენ,
იქით სპარსები მოამაყობდენ
და თითქმის ომსა არ კადრულობდენ,
აქეთ ეს ჩვენი მცირედი ჯარი
იდგა სპარსთ სწორად მოუთმენარად.“

– „სჯობს“, მამამ მითხრა, „წავიდეთ ჩვენა
ჩვენისა მხრისკენ სოფლისაკენა,
ამისთვის რომა დამარცხდებიან,
სპარსელები სულ გაიქცევიან.“

– „ქალაქის გარედ იდგნენ ვრცელს მინდვრად
ეს ორნი ჯარნი პირის პირ სწორად,
სპანი ესრეთა პირის პირ ორად
დარჩენ, ვითა ვთქვი სწრაფ საბრძოლველად.“

– „სალამოს ჟამსა ვნახეთ სპარსები,
ვიდოდნენ შორით გაბნეულები,
ზოგნი აქეთა, ზოგნი იქითა
ეხეტებოდნენ სულ დაფანჩვითა,
ჩვენ ვაჟკაცთ ჯარსაც კელი აელოთ
სპარსთ დევნისაგან, სისხლ თხევისაგან.“

– „ასე გასინჯეთ, ჩვენც შეგვეფეთნენ
ოციოდ სპარსნი ცხენოსნიანი,
დაუყონებლივ მათ დამარცხებულთ
შემოგვიტიეს გულ აღრინებულთ,
მაგრამ მამამან წარჩოქებულმან
შემოსძახა თოფ მოღერებულმან,
და მე კი თვის ზურგს ამომიფარა
სიკვდილისაგან შეუშინარმა.“

– „რა სპარსთა ნახეს მამის მხნეობა
მისი ესრეთი შეუპოვრობა,
შორით შესძახეს, – დაგვნებდი ჩქარად
თორემ უბრალოდ მოიკვლიი ცუდად.“
– „სპარსებს შესძახა მამამან ჩემმან
სიკვდილისაგან შეუშინარმან
„ვფიცავ მაღალ ღმერთს, არ მოგცემთ არას
უსიკვდილოთა არც ერთსა ფარას.“

– „ეს რომ სპარსთა ესმათ, შეჰფიცეს მამას,
სულ არას გავნებთ მცირესაც არას,
ეს არის მხოლოდ, რომ გკითხოთ ჩვენა
ნუ თუ ომის რამ იცოდე შენა!“
– „მამა ამაყად წამოდგა ზეზე
მეტად ძლიერის ღვთის ხსენებაზე,
თოფი ყირიმის მიწაზე დადო,
და ხანჯალი კი წინ შემოიგდო.“

– „ცხენები სპარსთა სამს მხედართ მისცეს
და სხვებმა ალყა გარს შემოარტყეს,
ვითომც ზოგ სპარსთა კითხვა დაუნყეს,
მაგრამ ზოგთ ჩუმათ მკლავს ჳელი სტაცეს.“

ახლა სწორეთა მან დაინახა
სპარსელებისგან ფიცის გატეხა,
ხანჯლით მაშინვე შემოიბერტყა
მისით, რომელიც წელზედა ერტყა.“

– „მე საცოდავმა შორიდგან შვილმა
შევტირე მამას მე განირულმა,
მაგრამ მან მითხრა „შვილო, ნუ სტირი,
მე მარტო ღვთისას დავცემ მათ რისხვას.“

– „სჯობს შევამოკლო, ხანჯლით მამამა
ექვსი ძირს დასცა გახელებულმა,
მეშვიდემ პარვით ხანჯალი მასცა
მუხთლად უკანით ბეჭმია დასცა.“

– „მე რომ ეს ვნახე, წამს გავექანე,
ჩემს მშობელს გულსა გადვეთაყვანე;

ჩემი ტირილი ცას შესწვდებოდა,
უფრო გული მიკვერცხლდებოდა.“
ხედავთ, ამ დროსვე უსულოს ერთმა
ყელიც გამოსჭრა უწყალომ სპარსმა.“

– „მამის გვერდითა სისხლ შეღებილი
ხანჯალი ეგდო განითლებული,
მაშინვე იგი მუცელში სპარსსა
შევეცი სწორეთ ყელგამოჭრელსა,
რომელი იგიც გაგმირებული
დავეცი სისხლში გაბასრებული.“

– „თუმცა უნდოდათ ზოგთ ჩემი მოკვლა,
მაგრამ უარჰყო მათმა უფროსმა;
მანვე შვილობა მითხრა, შემიტკბო,
„ნუ სწუხ, ყმანვილო, ვით ჩემო შვილო.“

– „შევხედე მალალს სპარსსა ახოვანს
არა სქელს, წვლილსა მას სახე გამხდარს,
მისი თვალეზი შავად ელავდენ
და თმა წარბწვერი გიშრად ციალდენ,
მას ცხვირი კოზაკს ემსგავსებოდა
და ტუჩნი სქელნი ელიმებოდა,
გვანდა შუა კაცს და არა ხნიანს,
ვგონებ, კვლად გვანდა გულკეთილიანს,
აქ მამაჩემი ჰაეროვანი
ეგდო მიწაზე თმა თეთრიანი.
მას ნაბლის თვალნი ჰქონდა გამქრალი
და სახე სავსე ყვითლად ჩამკრთალი,
ვაი, მამაო, დავტირე მწარეთ,
მაგრამ მან სპარსმა თქო, მიაფარეთ;
მაშინვე ერთს ბორცვს მიმსვეს ფარულად
და ორი ჩემთან რჩენ ყარაულად.
ამ დროსვე ამ ჟამს დამენო გული,
დედა რა იყო დაქვრივებული.“

– „ნეტა, ჯელფეხი მოეჭრათ ჩემთვის,
არ ვინაღვლებდი არაფრისათვის,
ოღონდ ესრეთა ჩემს ქვეყანასვე
დავეგდეთ იქა მიწას მშობელსვე.“

რომ მშობელს მინას არ გავშორვოდი,
უხელფეხოთა კვლად დავრჩებოდი,
მის ქვასა ვჭამდი, მის მინას ვლოკდი
და ამით იქა ტკბილად ვიშვებდი.“

– „დავტყვევედი, ასე თერთმეტის წლისა,
სპარსების ჴელში და სპარსეთს ვრცელსა,
მაგრამ შემთხვევამ უაღრესობას
ამნია ჩქარა ბედნიერობას,
რომელსაც მომცეს ოცის წლის ბიჭსა
სახანო დიდი, აი, ამისა,
და შემდგომდა აქა დავბერდი
ამ ზღვისა პირსა, ამ ქვეყანასა.“

– „ჩემი ადრით ვერ ვთქვი ვინაობა,
ანუ მე ჩემი სადაურობა;
მე ვარ, ეს მახსოვს, ძველად ქართველი
სახელით გლახა და ენაგელი,
მახსოვს კვლად ციხე ბირთვიზი მყარი
მძლე ბრძოლელთაგან აუღებარი.“

რა მოისურვეს მემამულობა,
ხანმა ეგრეთვე დაინყო მბობა.

– „ჩემო ნოშრევან, ხედავ ჩემ ბედსა?
ჩემ სიმდიდრესა და საუნჯესა?
ვფიცავ, რაცა მაქვს გავცემ ყველასა,
მხოლოდ თვინიერ ცოლს და შვილებსა;
ოღონდ მშობელი ქვეყანა ვნახო,
ჩუჭნი მტკვრის წყალი ვსო და ვთქო, ახო!
ამაზედ მეტი სრულად არა რა
მინდა სიმდიდრე, არც საუნჯერა,
მაგრამ ყაენი ოდეს შეიტყობს
ცოლშვილს გამინყვეტს, დიდათ ავგულობს.“

– „ჩემი ცოლშვილნიც, აი, მოდიან
ამ გორას იქით შორს არ არიან!
თუმც ვარ მაჰმადის სარწმუნოებით,
მაგრამ მყავს ერთი მე ცოლი სიყრმით.“
უცხო მოხუცმა თვალადმა ქალმა

ნოშრევან მკერდზე მიიყრდნო ნაზმა,
შემდეგ ელენას დაჰკოცნა ტკბილად,
ყმანვილები გულს ჩაიკრა შვილად,
ამ დროსვე შორით ჰკადეს სალამი
ორ ყმათ ნოშრევანს ზდილი, მდაბალი,
ესენი იყვნენ ხანის შვილები,
ტანად და თვალათ მშვენიერები,
ესენი სრულად მამასა გვანდნენ,
რომელნი კრძალვით მშობელსა სჭვრეტდნენ.

აქ მეორეთა ხანს მოუვიდა
ყაენის ნიგნი, ვითა მოჰფრინდა,
რომელშიაცა ენერა კვალად
ნოშრევანისა გაგზავნა ჩქარად.
ამისთვის, რომა მეფეს ქართველთა
შერიგებოდა სარგებელითა.

– „ვნუხვარ ნოშრევან“, ხანმა მას უთხრა,
„რომ ეხლავ უნდა გამშორდე ჩქარა;
თუმცა მე შენი მაქვს გაყრა ძნელად,
ახლა რომ უფრო გაგიცან ჩემად,
მაგრამ ბრძანებას რა გაენყობა.
ესე არს მკაცრი მონერილობა;
განგებ ქარიცა კეთილად მიჰქრის
საქართველოსკენ დრო მინისათვის.“

თუმცა ნოშრევანს ტუჩნი უღიმდა
სიხარულითა, სიამოვნითა,
უცებ ქურციკმა ვით დაუძახა,
„ნოშრევან მართლა დამაგლებ აქა?“

რა მოაგონდა თანა მის მოძმე
ავდენი დროის და სიტყვა მძიმე,
მაშინვე გულზედ დასალონარი
რალაც დაანვა მძიმე, მაგარი,
მაგრამ დამკრთალმა სულ ვერა თქორა,
რა უყოთ მორცხვსა, შეირცხვენს თავსა.

დრომინზე იდგა ნოშრევან ცოლით
და პატარებით, ლამაზ შვილებით,

რომელთაც ცრემლი სდიოდათ მწარეთ
ზღვის პირისაკენ გადმოსჭვრეტარეთ,
ზღვის პირსაც ხანი ცოლშვილით სტირდენ,
ერთმანეთს იმედს მრავალსა ჰპირდენ.

ზღვაში დრომინი დიას ჩქარობდა,
კეკლუცი მკვირცხლი უცხოთ მგ ზავრობდა,
იქ შორს იქითა მოჩადრებული
დრომინი მოჩნდა გათეთრებული.

ნოშრევან ცოლით თავის შვილებით
ისხდნენ ხომალდზე ეგრეთ მხლებლებით,
ამ დროს ნოშრევან ცოლსა მოხედა
წყნარის სიტყვითა გაღიმებითა.

– „ჩემო ელენავ“, თქო ნოშრევანმა
მრავალი მოგვცა ამ ჩვენმა ხანმა,
ეს ჯავარინი, მარგალიტები,
მიკვირს, რად გვინდა ეს აღმასები?
ან ეს ზურმუხტი, იაგუნდები,
რად გვეჭირვება ან ეს ლალები,
ან ეს ავდენნი ვერცხლ ოქროები.
ნეტა, რად გვინდა ან ეს სტავრები,
ან რად ავდენი მოგვცა მონანი,
ან რად ავდენი ეს მოახლენი?
მაშინ, ოდესცა ყოველთვის შენა
განუშორებლად იყო ჩემთანა?“

– „მოვინადინე, თუმცა, მაშინვე
არცა მცირედი მიმელო რამე,
მაგრამ ამათის წესით ვაწყენდი,
დიას დიდათა ვითა მოკვლავდი.

ელენამ ტუჩთა აკოცა გულით
შეზაებული შაქრით და ცეცხლით,
თუმცა ბაგენი დაენოთ ჩქარა,
მაგრამ სიტკბომან გაუნეტარა.
კოცნისა აზრი იყო ვითომ რა!
აჰა, თანხმობა კოცნით მიუთხრა.

– „ჩემო ელენავ“, მას უთხრა კვალად,
„მიკვირს აქვითა შემხვიდი უეცრად?
არც ვფიქრობ კარგსა, არცა რა ავსა,
რომ ერთი მონა თან არა გყავსა?“

– „სიცოცხლევ ჩემო გახსოვს თუ არა?
რომ განგვირისხდა ყაენი ჩვენა!
მაშინ ოდესცა ჩვენ, ქართველებსა,
აუარებელს სთხოვდა ფულებსა?
შენ ხომ ამაზედ უთხარ ამხანაგთ,
სჯობს ჩვენს დაჩაგვრას შევეხოცნეთ მათ,
ამისთვის შენმა სპარსთა ყაენმა
აქ გადმოკარგა მან მრისხანება,
მაგრამ კეთილი გარემოება
ქართველთ მოგვეცა ღვთის მოწყალება,
არცა ფულები გავიღვეით რა,
არცა მცირედი მამყული თვარა,
იგი მძვინვარე ყაენი ჩვენად
მოიქცა მძლავრი დიახ გულუხვად,
მაგრამ ჩემს ცრემლსა ვინ შემიშრობდა,
თუ არ ისევ შენ, გული კვდებოდა.

– „რას ყოფით ოთხი წელიწადები
განვლო ჩემთვისა დიახ მწარები,
არც დღის სინათლე სულ არად მჩანდა,
არც ღამე ძილი რიგ ზედა მქონდა;
ვიყავ უშენოთ, ვითა სნეული,
ცეცხლის სურვილში მე დამწყვედიული,
თუმცა მშობელნი შენნი და ჩემნი
ნუგეშსა მცემდენ მოხუცებულნი,
მაგრამ ჩემს გულსა ვერ ამოხოცეს
შენი სურვილი, ვერც მცირედ მოსპეს.“

– „ერთხელ თავს უთხარ, სთხოვე ჩვენს მშობელს,
რომ წმინდა ნინოს ვალოცებ შევილებს,
მაგრამ განზრახვა ეს იყო ჩემი,
უთუოთ შენა გადაგხვეოდი.“

– „მართლა რომ უთხარ, გამხიარულდენ
არცა ერთს მინუტს დააყოვნიდენ;

ნუ იტყვი, ჩქარა ყოვლის მზადებით
გზას მივდიოდი ჩვენის შვილებით,
უნცროსი ძმაცა მომდევდა თანა
ერთ გუნდ მამაცით და მოახლებით.“

– „რომ წმინდა ნინოს საფლავი ვნახე,
მაშინვე მისწინ მიწას დავემხე,
მის ზეციურს მადლს მოვიგონებდი
ღვთისგან ბოძებულს და მონიჭებულს,
ასე დავცრემლდი საფლავსა წმინდას
ჩვენ ქართველების განმანათლებელს.“

– „ოდეს ვილოცეთ, ვთხოვე ჩემს ძმასა,
მსურს ნახვა ზღვისა საკურველისა,
სულ არ მეგონა, მოეწონა მას
მითხრა, გულს მაგიტ მოიოხებ გზას,
ამისთვის ზღვისკენ გავემართენით
მოჯირითობით და მოლხინობით.“

– „ოდეს ზღვა ვნახე, გულს გადმეფინა
აუარები სიამოვნები;
იქ ხომალდს ვჭყრეტდი, აფრა გაშლილსა,
სხვებსა ღუზაზე დაყუდებულსა,
და ჩემთვის გულში ვიტყოდი ამას,
„ახ, ოდეს ვნახავ ჩემსა ნოშრევანს!“

– „ერთს დილას ჴელი უტვირთე ჩემს ძმას,
ზღვისა პირისკენ წავიყვანდი მას,
იქ შორს არავინ უშლიდა მსწრაფსა
ჩემსა სურვილსა, სახმილის მსგავსა.“

– „ამ დროს ჯიბიდგან მცირე ხანჯალი
ამოვინოდე გაშიშვლებული,
უთხარი, ზაალ გეფიცები ძმას,
გულში დავიცემ, თუ არ მცემ ნებას“.
ჯერეთ ეგონა ჩემგნით ხუმრობა,
მაგრამ შემატყო წამსვე ცვლილობა,
ამისთვის ჩქარა მითხრა მაშინვე:
„რას მთხოვ მისთანას, რომ არა მოგცე!“

– „ტირილით უთხარ დაჩოქებული,
გულხელ დაკრეფით შენუხებული,
გთხოვ, ნება მამცე, ძმას გევედრები,
ქმართან წასვლისა, თორე მოვკვდები.“

– „პირველ კარგა ხანს დაფიქრდა ღრმათა,
შემდეგ ამზიდა, მითხრა კოცნითა;
ვიცი, როგორცა შენ ქმარს შენთვისა
აქვს შენირული გული და სული,
ამისთვის ნადი, მისს მწუხარება
შენ განუქარვე, თორემ მოკვდება,
და მშობელს ჩვენსას, მათ მოხუცებულთ,
ნუგეშსა მე ვცემ მათ, გათეთრებულთ.“

– „მეორეს დილას იმის გაყრითა
შენუხდა გული ძმის სურვილითა,
მაგრამ სპარსთ ხომალდს ჩქარა ავედი,
შენი შვილებით, ვთხოვე ღმერთს ბედი;
თან მყვა სვიმონა, სხვა მონა არა,
ერთი მოახლეც – ნარგიზ სახარა,
რასაკვირელი, საკმაო იყო
ორნი ესენი, ჩემი შემწენი
ხედავ შუა ზღვას ორნივ საწყალნი,
ავათ შეიქნენ სიკვდილის წილნი,
ნუთმა სოფელმა ხედავ ჩემს ნაცვლად,
წარიტაცა მან ჩემს მაგიერად.

– „იგი მონანი ხომალდს მოგზაურს
როს დამეხოცნენ ჩქარს მისწრაფებულს,
მენავებისგან ძლიერ შევშინდი
ასე, რომ სრულად დავილეოდი,
მაგრამ იგინი მონებენ ჩემსას
დამკრთალსა სიტყვას, ვით მბძანებლისას.“

ტფილისის გარეთ წალკოტის პირთან
იყო სასახლე მომალლო მთასთან,
მის ღია სარკმელს ნიავსა ნაზსა
სცემდა წალკოტით გაზაფხულისა;
სარკმელთან მჯდომნი ნოშრევანისთვის
სწუხდნენ მოხუცნი და ელენასთვის,

მათა შვილებსაც, წვრილთა ყმანვილთა,
მოიგონებდენ ედემის გვრიტთა,
მაგრამ ზაალი ანუგეშებდა
უცხოს ენითა მხიარულითა.

ამა ბანზედა ნოშრევან ცოლით
მათთან შევიდა თვისის შვილებით,
იციოთ, რალა ვთქო, რა იქნებოდა,
იმათ შეყრაში რა იგრძნობოდა;
რას ყოფილ იგი ორნი მხარენი
გაბედნიერდენ უიმედონი.

თვემან რომ განვლო, მეჯლიში სრული
მომზადეს მათ გაბრწყინებული;
მოხუცი სრულად აღარ ნაღვლობდენ,
თვინიერ მხოლოდ სიხარულობდენ;
ელენა მზეებ მკრთოლვარეობდა,
მაგრამ ნოშრევანც ელვარეობდა,
შვილები მათნიც იმა მეჯლისში
რბოდენ კომეტებ ნათესაებში.
აქ ერთმა მონამ ნოშრევანს წიგნი
მოართო კრძალვით ძაფდახუჭული,
სწერდა ვილაცა იმას ესრეთა,
„ნოშრევან, შვილებრ ვაკოცებ თვალთა,
შენ ცოლშვილს ეტრფის მშობლივებრ გული
რომელთ ვაკოცებ მოხუცებულნი,
ჩემ ცოლთ და შვილთა გიძღვნეს მდაბლათა
მოკითხვა შენა და შენ ცოლშვილთა,
თქვენ მოხუცებულს მშობელთაც თქვენსა
აუარებლივ უთვლით სალამსა.
სადაც სხვათ შორის ესეც ეწერა,
გაკვრით ანბავი ვნახოთ იყო რა?
განვლო შენ წასვლის რა ათი დღენი,
მკვდარი ეპოვნათ ქურციკი შენი,
წავედი, ვნახე მას ქვაზედ მკვდარი,
სადაც იჯექი ზღვის პირსა მწარი;

ლუსკუმა უცხო იქვე მდიდარი
მას შეუმზადე დაუვინყარი,
მაგრამ გთხოვ ამას, რომ არ შენუხდე,

თუ მცემ პატივსა იბრეიმ „ხანსა“.
თურმე ეს წიგნი იყო გილანით
უცხო ნაწერი კარგის მელანით.

ნოშრევანს თვალნი ქურციკისათვის
ცრემლით აევსო საყვარელისთვის,
მაგრამ ელენა ყელზედ მივარდა
და ზაალ მარჯვნივ ანბავს ჰკითხავდა;

მოხუცი მხრებსა გადაეხვივნენ,
ნათესავნიცა გარს მოეხვივნენ,
და სუყველანი ამბავს კითხვიდა
ჩქარის გულითა მოუთმენითა.

რა უნდა ექნა, ველარ დამალა,
თავის ანბავი დაინყო ნელა,
აქა ყოველი წარმოსთქო სრულად,
რაც თავს გადახდა სიმწარე ძნელად.
ელენა მაგრა ტუჩთა დაეწყლო,
ბაგე ერთმანეთს ძლიერ დაეფლო,
და სხვა ყველანი ქურციკისათვის
დიდათ შენუხდნენ სანყალისათვის,
მაგრამ მგოსნები ამ დროს აღხინდნენ,
მათთან ყველანი აღსიხარულდნენ.

1834. კასპიის ზღვისპირი, კაიდაკის ყურე

ეპიტაფიები

ეპიტაფია განსვენებული ჩემი სიამარის ღვაპით ღიმიტრის ძის გარათოვისა

მკვიდრო ბირთვიზო, ვინ იცის, რავდენ
მონმობ ძველ დროებს, მათ ცვლილებასა?

ვინ იცის, რამდენს დროსვე ნახავ შენ
კეთილს თუ, ანუ კვლად ვაეზასა.
დღესა ძე შენი დავით მანდ შენთან
გვერდთ გიმარხია შენს ფრიალოსთან,
ვისაც მაგისტვის, კეთილ კაცისთვის,
გული შეგვტკივა საცოდავისთვის,
მოვალთ შენთანა თხოვით მკვიდრთანა,
შენც სტირდე ძესა მწარეთ ჩვენთანა.

1840-სა წელსა. ს. ალგეთს.

ეპიტაფია საქართველოს მეფის ირაკლის მეორისაღმ*

ჴმა რამ კეთილ ჴმით მღერს ტროადის მთას,
კაცობას, სიმჴნეს, ძალს ლექტორისას!
და აქ მეც საფლავს კარგის მეფისას
მოვრთავ, შევამკობ ჩვენს ირაკლისას!
მოგინვევ, დიდო ლორდო ბაირონ,
მეფის საფლავზე ჴეცის მგოსნებით,
და გთხოვ, ეს ლექსი ჩანგით დამღერონ
მგოსნებთ მის საფლავს ცის ჴმოვანებით:
„მაშინ ყმანვილსვე გეკრთა, გებრწყინა
ჴკვისა ვარსკვლავი და ვაჟკაცობა,
ეს ორივე ესე ნადირშამ იგრძნა,
მისთვის თავისთვის დაგიმშვიდობა,
„ღმერთმანი მართლა არა დამტკიცდა
ინდოეთს შენგნით ძნელი ადვილად,
ნადირ ხშირადა ასე იფიცდა:
ვალი ირაკლი მიყვარს, ვით შვილად.“
„შენს სიმარდესა, სინავარდესა,

* მეფის ირაკლის ასულს – დედა ჩემს თეკლე ბატონიშვილს მივართვი ეს ეპიტაფია.
12-სა თებერვალს, 1845-სა წელსა.

ვითა ნიავე ფრთებს ქვეშ, უშლიდა,
 ცა გგვირგვინობდა შენს მოდარდესა,
 შენს მტერს ყველასა მარჯვეს უშლიდა.
 „ქართველნი კრულნი, შენი ერთგულნი,
 შენ გეკაფოდნენ, გემსხვერპლებოდნენ,
 მათითა რაზმით, მტერნი ეულნი,
 გარს გაიყვანე, რბოდენ ჩქარობდენ.
 „ოთხკუთხივ სროლა, თოფთ ცემა, სროლა,
 გქონდა მარადი მამულის დარდი,
 რაგინდ საქმეში არ იმცნე ძრწოლა,
 გული გულადი გქონდა ფოლადი.
 „ორმოც-ათ-თოთხმეტს წელსა შენს წელსა,
 თუმცა, მეფობა მძიმედ ეტვირთა,
 მარამ ყოველგან შენსა სახელსა
 აქებდენ ცამდის, ქართველთაც გმირთა.“
 „კეთილ კაცობა შენი ილიას
 დაჰქონდა ზეცას ნათლისა ღრუბლით,
 გარნა დავითი შენს დიდს სულობას
 დაჰმობდა ქნარსა სიხარულის წმით.
 „ყოველთვის ღმერთსა, თავისა სვეტსა
 ირაკლი მეფე ჰყავს დიდებასა,
 იქაც ბძანებლობს ათს გუნდსა მტერსა,
 მწნე ქართველებსა, თავის დასებსა.“

თ. ალ. ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.
 12-სა თებერვალს, 1845-სა წელსა.

[თქალე ხატონიშვილის ეპიტაფია]

აჰა, ამომან და ტკბილმწარემან სოფელმან, ნასესხი ვალი თვისი მე, სამეოცდა ათსა წელიწადსა მყოფსა მთხოვა: რომელიცა სწრაფათ და განსვენებულის გულით მივეცი, გარნა მონიჭებული სული ღმერთსავე მივართვი სიხარულით და უკანასკნელი ხორცი ამა საფლავსა დავმინე საუკუნოთ.

კაცო წარმავალო, ნურარაჲთა ნუ გაამაყდები: სიმდიდრე, პატივი და დიდება ყოველი სიკვდილთანვე ჩაგივლის ამაოდ, უკეთუ კეთილად არ მოიხმარებ მათ. კეთილითა შეიძინებ კაცთა და უფროს ღმერთსა მისის ზეციურის უკვდავების დიდებითა!

[1846]

[მარიამ (მაიკო) ორბელიანის ეპიტაფია]

ტრედთა და ყუავილებთა შორის, კეთილ უმანკოება გიგალობ
შენ, ღმერთო!

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე, რამეთუ შენ გესავეს სული ჩემი. მიძელუმე ჭეშმარიტებითა შენითა და მაუნყენ მე გზანი შენნი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მაცხოვარი ჩემი. ვინაჲდგან უჟამოდ განჩინებამან მომსხლა ბუტკთა შორის ყვავილოვანი სასძლო და მოვართვი სული მისი უკვდაებასა მას მღვთაებასა მე გულმყუდროებით, თავადის ალექსანდრე ვახტანგის ძის ჯამბაკურიანის-ორბელიანის ასულმა მ ა რ ი ა მ, რომელიცა პირველ მოველ სოფელსა შინა 1833-სა წელსა ივნისის 13-ს დღესა და ბოლოს მძვინვარე სენმან ხოლერამან მოსპო დღენი იგი ჩემი ყმანვილქალობისანი 1855-სა წელსა ოკტობრის 3-სა დღესა. ხოლო დაუტევე მშობელნი და სატრფო, დაა ჩემი, მწუხარედ და მწარედ მფრქვეველნი ცრემლთა. აჰა, სოფლის მოვალეობა მემართა დღე ერთი და გადვიხადე იგი, მაღლობელმან მღვთისამან. გევედრებით ყოველთა მოყვასთა ოხუას ნუ დაიშურებთ ჩემთვის უზენაესისა მიმართ, რომელთაცა გულმდულარედ მიქმნეს ლოდი ესე ჩემ სახსოვრად, ჩემ მშობელთა და მეც ამ სენაკში დავესახლე საუკუნოდ, ყოველთ მშვიდობით, გევედრებით, ნუ შეიჭირვებთ ჩემთვის, მიწა მიწადვე მივიქეც.

[1855]

პროზა

მთხრობები

უმანკო სისხლი

ვინიცის, რავდენი ამბავი მომხდარა ჩვენს ქუწყანაში, დიდი, ანუ მცირე; მგონია, ერთი მცირედი ადგილი არ იყოს ჩვენს ქუწყანაში, რომ ჩვენს წინაპართ სისხლი არ დაეღვაროთ იმ ადგილზედ თავის მამულისთვის. ამაზედ ბევრი სათქმელია, მაგრამ ლაპარაკის გაუგებლობისათვის ეს ვიკმაროთ და ამის შემდგომი ნავიკითხოთ, ამ უმანკო სისხლის ამბავი.

ერთს ქართველის დიდის კაცის სახლში აღიზარდნენ სამნი ყმანვილნი ქალები: საღმრთო, საერო წერილები დაასრულეს, კერვა, ხელ-საქმეში გავითარდნენ, წყნარი, მშკდობიანი ქცევა მიიღეს, უფროსების პატივის ცემა დაიხსოვეს, დედ მამისა მორჩილება დაიმარხეს, კრძალული ყოფა ცხოვრება შეიძინეს, თანა სწორის პირებისათვის შესაფერი ზდილობა ისწავლეს და დარბაზობის საუბარსაც უცხოდ მიმოხვრიდნენ, სადაცკი ადგილი ექმნებოდათ უბნობისა. ერთის სიტყვით: მართებული ხასიათი დაიმკვიდრეს და ყოვლის კეთილის ზნეობით შეიმკნენ. აი, ძველი სწავლა ჩვენი ქართველებისა.*

იმ ქალებს ერქვათ: ანა, ბარბარე და მართა. სამნივე იყვნენ მშვენიერები, სამნივე პირ გვალნი, სამნივე შავთუალ-წარბანი, სამნივე ტანადობით სრულნი, მაგრამ ერთმანეთს კი არა გვანდნენ სახით. ანა იყო იმ სახლის თავადის ქალი და ის ორნი იყვნენ იმისი აზნაურებისა, რომელნიცა იმ თავადის ცოლმა გააზრდევინა თავის ქალთან სიყმანვილითვე ერთად და დებისავით სიყვარულით.

ამ ქალების გამდელი იყო მოხუცებული ფერია (საწელი), მშკდობიანის სახის მქონე და სრულებით თეთრი თმიანი. ამ მოხუცებულს გამდელს თავის დროზედ მოეთხოვა ხარკი სოფლისა, იმანაც მისცა დამყუდროებულს გულით.

იმ თოთხმეტ თოთხმეტ წლის ქალებმა, თუმცა წესისამებრ თავიანთი მზინვარე შავი ლულამბრები და გძელი დალალები არ დაიშალეს თავიანთის ნაზის თითებითა, რადგანც ყმანვილები იყვნენ, მაგრამ გულმოსაწყველელის სიტყვებით დასტიროდნენ წყნარის მოთქმით და გულსაკლავათა ცრემლთა დააფრქვევდნენ თავიანთ მოჭინახულეს ცხედარზედ, იმათ მაცურებლებს გული უდუღდებოდათ და შორიდამ ჰქვითინებდნენ იმათ.

იმის დასაფლავების შემდეგ, იმ ღამეს ის ქალები ისხდნენ თავიანთი

* თუ ვისმე შინაურობაში არ შეეძლო აღზდა შეუძლებლობისა გამო, სადაც კარგი დედაკაცი იყო და კარგათ გაზდილი, იმას მიაბარებდნენ თავის ქალს, რომელიცა დიდის ყურადღებით აღზდიდა სწორეთ ისე, როგორც ზევით ითქვა.

ვიანთს ოთახში შეწუხებულები, სადაც ამდროს არავინ არ იყო და ამას ამბობდნენ:

ანა. – ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს ჩვენს გამდელს ფერეას.

ბარბარე. – ოჰ, ჭეშმარიტად.

მართა. – ახ, რა კარგი რამ იყო. აბრაამის წიაღში განუსვენოს ღმერთმა.

ანა. – ჩემო უსაყუარლესო დებო; იმისი სწავლა კარგათ გვახსოვს, ეს სოფელი კეთილისათვის არის დაარსებული ღუთისაგან, მაგრამ როგორღაც ბოროტად არის შეცვლილი; ამისთვის, იმისი სწავლისამებრ, გვმართებს ეხლანდელს მდგომარეობას მოვშორდეთ სოფლისასა და ღმერთსა შეუდგეთ.

მართა. – დიად კარგი იქმნება, ჩემო სოცოცხლე დებო.

ბარბარე. – მართლა, დიად კარგი იქმნება, ჩემო მანუგეშებლებო დებო, მარამ სად და რომელს ადგილს შევიდეთ?

ანა. – ქ. თბილისის მახლობლად რომ ეკკლესია არის მთაწმინდის შუა გულს მთაში, წ. დავითისა, იქ შევიდეთ; იმ ეკკლესიის მღვდელი და იმისი ცოლი მეტად კეთილები არიან ორნივე. მე დარწმუნებული ვარ, კარგათ მიგვიღებენ ის სანყალი უშულოები.

მართა. – ბევრჯელ ვყოფილვართ ქალაქში. შარშანაც ხომ იქ ბრძანდებოდნენ შენი დედამა, და ჩვენც იქ ვიყავით? ერთხელ რომ წავედით სამნივე ჩვენ, იმ წ. დავითის ეკლესიაში სალოცავათ, მაშინ ეგ აზრი წარმომიდგა გონებაში, რაც ეხლა ჩვენ განზრახვა გვაქვს.

ბარბარე. – როგორც იქნება, იქამდინ მივალთ, მაგრამ იმ მღვდელმა რომ გაგვამჟღავნოს?

ანა. – რას გვიცნობს, ვინა ვართო? თუნდა გვიცნოს, მღვთისთვის შეგვიწირავს თავი და მისთვის დიდათაც უნდა იამოს.

კარგად მოლაპარაკების და ვახშმის შემდეგ, როდესაც ფეხის ხმა მისწყდა კარზე, და ამ ჟამად იმათ ოთახში არ ავინ არ იყო, ამ დროს ღვთის სახელი ახსენეს, სამნივე მამაცურად წარმოდგნენ ფეხრზედ, პური და ყველი ხელსახოცში შეახვიეს, კარებში გაიხედეს, ნახეს, ყველას ეძინათ, გარდა იმისა, რომ თექვსმეტი დღის მთვარე იყურებოდა მონმენდილის ზეცითგან და ვითომცა ტალარს სწევდა უმანკოთა იმათთვისა, გზა ეჩვენებინა.

ტრედები ბუდითგან გამოფრინდნენ და სასუფეველის კარები-საკენ წასულა ისწრაფეს. იმათ არც აბზარავის ფრინველებისა ეშინოდა, არც მტაცებელის მწყეტებისა.

გამოიარეს სახლის ეზო, – გაიარეს სოფლის ორღობე და დიდ შარას გზაზედ გავიდნენ მხნედ ის პატარა ფეხებიანები განყობილს წითელის ნულებით; ასე ჩქარა მიდიოდნენ უქოშონი, რომ კარგი

შიკრიკიც ვერ მიჰყვებოდა იმათ. კარგი ის იყო, რომ გზა კარგათ იცოდნენ ქალაქისა და არც მგზაური შეხვდათ ვინმე.

გარიჟრაჟზე მცხეთის ხიდზე გავიდნენ; შარას გზაზე ველარ გაბედეს წასვლა მგზავრების შიშით და ამისთვის მალაღს მთასა შეუდგნენ იქვე ხიდის მოახლოვოდ მტკვართან; მინამ კარგათ ინათლებდა, მთის წვერზედ ავიდნენ, და იქიდან ქალაქის მთები დაინახეს დიდის სიამოვნით. ახლა მთა-მთა იარეს ტყის პირს, ქალაქი არ დაჰკარგოდათ თვალითგან, და ბინდზე დიდმის ხეობაში შევიდნენ წყალის პირზე; ამ დროს მთვარეც ამოვიდა.

მცირეს ხანს წყალის პირზე დასხდნენ, ცოტა დაისვენეს, პური იგემეს და მას უკან გზასვე შეუდგნენ. ახლა სწორეს გზაზე იარეს, შუალამეზე ადრე მთაწმინდაში ავიდნენ, წ. დავითის ეკლესიას თაყვანი სცეს, იქიდგან გამოზრუნდნენ და მღვდლის სახლის კარი დაარაკუნეს.

იოსებ მღვდელსა და იმის ცოლს ანასტასიას ჯერ არ ეძინათ, ლოცვის წიგნი ხელში ეჭირათ და გულ მხურვალედ ილოცვიდნენ. უდროო კარის დარაკუნება არც ერთს არ იამა, მაგრამ მაშინვე მივიდა მღვდელი, კარები გააღო და ანთებული წმინდა სანთელი გაანათა კარებში, შეხედა, იცნა სამნივე და გაკვირვებით ჰკითხა:

– ანა. რა ამბავია ასე უდროოთ თქუწნი მოზრძანება?

ცნობისათვის თუმცა დიდად შეკრთნენ ქალები, მაგრამ ანამ თავიანთი განძრახვის ყოველივე უთხრა გადანყვევით მღვდელსა და სახით საუცხოვოს, იმის ტან წვრილს და ტანადს ცოლს, თუმცა დიდად იამათ, მაგრამ კიდევაც შეშინდნენ.

რასაკვირველია, იმ ღამეს დიდი პატივი მიაპყრეს სამსაგ. მეორე დღეს მღვდელი ქათალიკოზთან წავიდა მოადრეოდ და ყოველივე მოახსენა, რომლებთანაც ორი ეკლესიის დიაკონები დარჩნენ, ერთი ორმოცი წლისა და მეორე ორმოცდა ათისა. ეს დიაკონები დიად უცხო მოსამსახურენი იყვნენ ეკლესიისა და მღვდლისა დიდი მორჩილნი. ორმოცის წლისას ერქო პეტრე და ორმოცდა ათისას – თევდორე.

უკეთილესმა ქათალიკოსმა რომ მოისმინა მღვდლისაგან, დიდად მოიწონა, მაგრამ იქით ზევის მხარეს ბევრი აძებნიდეს ის ქალები ანნას მშობლებმა; ბოლოს შეიტყეს, როგორც იყო და ქართლის მეფეს ლუარსაბსა წიგნი მოართვეს. ამაში ორი, სამი დღე აღარ გამოვიდა, ანასთან აბძანდა მეფე; ამ დროს ეს ქალები ეკლესიაში იყვნენ დაჩოქილნი ამბიონის წინ და გალობით ქებას შიასხავდნენ ღმერთსა.

მეფე დიად ახლო ნათესავი იყო ანასი; ერთმანეთს რომ არ მოშორდებოდნენ ის ქალები, მოინდომა სამნივე გამოეყვანა და ანა

დედამამასთანვე დაებრუნებინა. ყოველს მეფის ბრძანებაზე დიად კრძალავით მოახსენებდნენ სამნივე და გადანყვებილის სიტყვით, რომ უთუოდ იქ უნდა დამკვიდრებულ იყვნენ ერთიმეორეს განუშორებლად. ვერას ჩაგონებით ვერ შეიძლო მეფემ იმათი გამოყვანა, ამისთვის მთანმინდაში დაემკვიდრნენ ღვთის შვილებად.

ერთი თვე აღარ გასულა, ქალაქში განითქვა: „ხვალ სამი ქალი უნდა იკურთხნენო მოლოზნებად.“ ამაზედ მთელი ქალაქის მცხოვრებნი შეიძრნენ რალაც საამოს ფიქრითა: ზოგი რას ამბობდა და ზოგი რასა. მეორეს დღეს მრავალნი ქალნი და კაცნი შეიყარნენ სიონთა ღვთის-შობლის ეკკლესიაში მოლოზნების კურთხევის საყურებლად. მცირე ხანს უკან ის ქალები მოიყვანეს და ქათალიკოზის ჴელით იკურთხნენ მოლოზნებად. როდესაც მოლოზნების კურთხევის დრო მოვიდა, ქათალიკოზი ამბიონზე გამობრძანდა თავისის სამღვდელოთი, აქედგან მოლოზნები მივიდნენ და იმის წინ დაიჩოქეს; ქათალიკოზმაც იმათ შავი მაზარები გადააფინა. მასუკან მოლოზნები მოჰყვნენ და ღმერთს მადლობას შესწირვიდნენ გალობითა. ამბიონიდგანაც ქათალიკოზი და მისი სამღვდელონი მოსძახოდნენ, ზოგი თქმასა, ზოგი მოძახილსა, ზოგი ბანსა და უცხოდ შეწყობილს გალობას დიად მშვენიერად გალობდნენ.

აქამდისინ ეკკლესიაში მდგომნი სურვილის თვალთ უყურებდნენ იმით; ახლა ამ სახეზედ და ამ გალობაზედ საერთო შესაბრალისი ქვითინი შეიქმნა: იმ მოლოზნების დედა-მამებმა ხომ ვეღარ მოითმინეს, თითქმის გულ შეწუხებულები გავიდნენ კარზე. ეგონათ, მომკვდარანო და ჩვენსა მკვდრებსა ვმარხამთო. რალათ გავაგრძელო ლაპარაკი, მხიარულის ტანისამოსებით შევიდნენ ის სამი ქალი ეკკლესიაში და მძიმის შავებით გამოვიდნენ მღთის მადლობელი გულმხიარულად.

ორი წელიწადი დიად მშვიდობიანს ცხოვრებაში იყვნენ ის ზეციური ქალები. ყოველთვის ღმერთს ევედრებოდნენ თავიანთი ქუჭყნის ბედნიერებას და ხშირადცა შეჰგალობდნენ ზეციერებასა. მღვდელი თავის ცოლით დასტრფიალებდა იმ მოლოზნებს, როგორც საკუთარს დებს. მეტის სიხარულით აღარ იცოდნენ, სად იყვნენ, ასე ბედნიერათ მიაჩნდათ თავი. ის მოლოზნებიც დიდ პატივსა სცემდნენ იმათ.

ბევრჯელ შუალამეზად, წინ თუ უკან, ის მოლოზნები გადმოსახლდებოდნენ ეკკლესიის წინა მთაზედ; აქეთ მღვდელი მოუჯდებოდა იმათ გვერდით და იქით იმისი ცოლი, რომლებზედაც უწმინდესი ჰაერი გადმოჰფენოდა და ვარსკულავნი მკრთოლვარებდნენ ზეცაში.

ამ დროს საქართველოზედ თვალს გადაავლებდნენ, საიდგა-

ნაცა დიდი სივრცე დაინახება საქართველოსი. საქართველოს მყუდროს მშვიდობიანობას რომ წარმიდგენდნენ იმ დროსას, მეტის სიამოვნებით სასიხარულოს გალობას მოჰყვებოდნენ ეს ხუთნი წმინდანი და მაშინვე ის გალობა მოიცავდა თავისის საუკეთესოს ხმოვანებით იმათ გარემოს არეთ.

ვინც ამ გალობას გაიგონებდა, ქალი იყო თუ კაცი, ყველანი ყურს მოუპყრობდნენ იმ ტკბილ ხმოვნებას; ყველანი ძლიერ იგძნობდნენ იმ საუცხოვოს მელოდიას და ყოველთა სანატრელად მიანდათ იმათი განშორებული ტკბილი ცხოვრება სოფლისაგან.

ერთს ჟამის შემდგომ გასწყდა ის მიმოქცეული გალობა მთანმიდის შუა მთაში, თავისი გაძახილი ჰყო და ისინიც გულმობლი, მადლობელი დაშთებოდნენ, ვინცა კარგს ხმას ყურს უგდებდნენ გალობისას.

ზეციურისა ამის ცხოვრებითა ასე გაატარეს ორი წელიწადი იმ ხუთთა წმინდათა. რაც მისართმევი მიუვიდოდათ საქართველოს ერისაგან, თავიანთ სარჩოს გარდა, სხუას სულ სანყალსა, დავრდომილსა და გლახაკთა აძლევედნენ.

ორი წლის დასრულებისთანავე სპარსეთის ჳელმწიფე აღიძრა საქართველოზედ ძლიერის ჯარებით და განმძვინვარებული წამოვიდა უსამართლო შაჰთაბას.

გმადლობ, ღმერთო! რა შეედრება ახლანდელს სწავლის.... განვითარებას.... და განათლებას..... განათლებამ დასცა სიბრყვე და ველარ აღსდგება იმისი მხეცური ყოფა-ქცევა.

მშვიდობიანს, მოსვენებულს, ტკბილს და კეთილ-ცხოვრებაში მყოფნი, ახლა ერთს დილაზედ მთანმინდიდგან დაინახეს იმ ხუთთა წმინდათა შათაბაზის ძლიერი მხედრობა, მრავალ ტოტებად დაყოფილი; სხუასა და სხუასა ადგილებში მოვიდნენ, დროშებ გაშლილები, და საქართველოს ნაყოფიერნი მინდვრები წაელეკათ იმათ ნიაღვრულს მომდინარეობას.

ეს ხუთნი წმინდანი ამითი სიხარულობდნენ, რომ საქართველო მშვიდობიანს ცხოვრებაში იყო და მცხოვრებნი თავიანთს ნაყოფიერს მამულებს აკეთებდნენ გულმოდგინედ, ღვთისაგან მომადლებულის კეთილის ჯილდოს მისაღებად. ნაცულად ამისა, ახლა საქართველოზე ამხედრებული სპარსელები დაინახეს უეცრად, – და, გულ-ლმობიერო, იგრძენ, იმათი სული რა საშინელს ბორგვაში ჩავარდებოდა! სპარსეთის ცხენოსანნი ჯარები მოვიდნენ გაამაყებულნი, ისინიც მთანმინდიდგან დაჰყურებდნენ მეტად დაღონებულები, რა იცოდნენ, რა ომი მოხდებოდა.

მონინავე ჯარი ქ. თბილისს რომ დაახლოვდნენ, აქ თფილისელების საქონელი დახვდათ სპარსელებს, რომელიცა რამ-

დენსამე ყმანვილ ბიჭს დაუდიოდათ საძოვარზე. ბრძანებისამებრ შათაბაზისა: – „ცოცხალს ნურავის ნუ გაუშვებთო“ – სპარსელებმა ხმლებს ჴელი გაისვეს, ის მწყემსები იქვე აკუნეს და საქონელი გამოირეკეს. ამათ მახლობლად რამდენიმე დედაკაცი მოვიდოდნენ ზევით სოფლისაკენ, წინდა-პაჭიჭის ქსოვითა და მხიარულნი მიმგზავრობდნენ, რომელიცა ისინიც სპარსელების ხმლებით დაიხოცნენ და იმათი სისხლით შეილება იმ ადგილის მწვანოვანი მოლი.

ამ დროს ქ. თბილისში უეცარი ამბავი მოხდა, რომ ვაების ხმა გამრავლდებოდა, დედაკაცებისა და კაცებისაგან. რა იცოდნენ, რა ამბავი იყო; ამ ჟამს ქ. თბილისში შემოცვივდნენ სპარსელების ცხენიანი ჯარი და დაერივნენ მცხოვრებში, დაუნყეს კაფა დედაკაცსა და კაცსა: ჴკაფდნენ გამხეცებულნი სპარსელები უიარალოს თფილისელებს, როგორითაც შესეულნი კაცები ტყესა, და თფილისელების სისხლი იღვრებოდა უსამართლოდ.

ქ. თბილისში ასეთი წივილისა და ძახილის ხმა შევარდებოდა ჴაერში ქალისა და კაცისაგან, რომ სრულიად მოიცო ჴაერი იმათმა შესაბრალისმა ხმოანებამ, მაგრამ ვინ გაიკითხავდა იმათ?

რამდენიმე მშვენიერი ქალები მამაცად და უშიშრად წინ წამოუდგნენ მოღერებულს სპარსთა ხმლებს: ჴელები განუჴყრეს და სთხოვეს საღმობიერთა ჴმითა, არ დასთხოონ იმათი უმანკო სისხლი. რა ბძანებაა, ვერც იმათმა მშვენიერებამ ღმობილჴყო სპარსელების გული და ვერც იმათმა ვედრებამ. მხეციც მოღებოდა იმათის ვედრებითა, მაგრამ სპარსელებს სულ არ მიეკარათ იმათი ვედრება და არც იმათი მშვენიერის თვალებიდგან მომდინარე ცრემლი. დაუყოვნად ის მშვენიერი ქალები დახოცეს და იმათი სისხლით შეისვარეს ჴელები მტარვალებმა. შემდეგ დაერივნენ შიგნით თბილისელებში, დაუნყეს სვრა გაუკითხავებმა ქალისა, კაცისა და წვრილთა ყმანვლებს. იმათი საცოდაობის სისხლი შჩქეფდა იმათის ხორცისაგან, რომლისაგანაც სხუასა და სხუასა ადგილებზე მიდიოდა დარუებულისავით იმათი უმანკო სისხლი. წივილ ძახილის ვედრება და გულ-მტკივნეული ხვენწა ვის ესმოდა? ვინ იყო ამ საშინელების სახის მონაფე? თუ არ დამშვიდებულიცა, მყუდროდ მაყურებელი იმათზედ.

ამ ვაების დროს ნახეს ერთი ჴაეროვანი, უცხო სახის ყმანვილი კაცი მორბოდა სიონთ მღვთის მშობლის ეკკლესიის წინ ქუჩაში და ძლიერის მუშტით იგერებდა თანამომდევართა სპარსელებსა, მაგრამ ოთხსავე კუთხივ მოასწრეს ხმლიანმა მკვლელებმა; ის იყო, უნდოდათ, აეკუნნათ ის ყმანვილი კაცი, ამ დროს ასეთი კივილი მოისმა, რომ მოღერებულნი ხმლები ისე დარჩათ სპარსელებს. შეხედეს, ერთი მშვენიერი ყმანვილი ქალი მოვარდა, ამ ყმანვილს

კაცს ყელზედ გადაეხვია და სურვილით უთხრა:

– შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, მეც შენთან მოვკვდები, ჩემო გიორგი.

ამ სიტყვებზედ იმ ყმანვილმა კაცმა შეხედა, ნახა, რომ იმისი ცოლი იყო, რომელიც გიჟისავით გადაეხვია და ეგრეთისავე სურვილით უთხრა:

– მოდი, ჩემო ნინუცი, ორნივე ერთად დავიხოცნეთ მტარვალების ჴელისაგან.

ერთის კვირის ჯვარ დანერილები და გაგიჟებით მოყვარულნი ერთმანეთისა, უწყალოებმა ზედ ეკკლესიის მახლობლად ჩაკაფეს ის უმანკოები და იმათი წმინდა სისხლით მოისხურა ის ადგილი.

ის იყო, მოღერებულთ ხმლიანებსა უნდოდათ შესვლა სიონთა მღვთის მშობლის ეკკლესიაში, ამ დროს ერთი მაღალი ხმა მოესმათ უკანდგან: „წელი შეინახეთ, ეკკლესიაში უჩემოთ არავინ არ შევიდესო“. შეხედეს, შათაბაზ მობრძანდებოდა ოქროს დარახტულის თეთრის ცხენითა, რომელიცა ყოველი სპარსი განკრძალული დადგა.

შათაბაზ ცხენიდან გადახტა და ეკკლესიაში შებრძანდა. იქ შესულთ ქალებმა შემობლავლეს და კაცები კი გაჩუმებულნი იყვნენ. აქედგან მბრძანებელმა ანიშნა, დაჩუმებულ-იყვნენ. თუმცა დაჩუმდნენ, მაგრამ თრთოლით მოელოდნენ: „სადაც არის, უბრძანებს ჩვენს განყვეტასაო“.

შათაბაზ მივიდა და შუა ეკკლესიაში დასდგა. ამ საუცხოვოდ შემკობილს ეკკლესიას თვალთ რომ შემოავლო, დაიძახა: „ღვთის სახლს რომ იტყვიან, ნორედ ეს ის სახლი არისო“. მერე მკაცრი ბრძანება გასცა: „არავინ არა ავნოსრა ამ მღვთის სახლსაო. იქ შესული ქალი და კაცები აღარ გაანყვეტინა, იმ ეკკლესიის პატივის ცემისათვის.“

ამ თბილისელების საცოდაობის კივილ-ძახილის ხმა ესმოდათ იმ ხუთთა წმინდასა მთანწმინდაში, რომლებსაცა შეეძლოთ გაქცეულ-იყვნენ, მთაზედ გადაევლოთ და ერთს მიფარებულს ადგილს თავი მოერჩინათ, მაგრამ თქვეს: „რაც თბილისელებს მოუვიდათ, ჩვენც ის დაგვემართოსო და მტარვალების ჴელით დავიხოცნეთ, ჩვენი მამა-პაპურის სახელოვანის სიკვდილით, ვინაჲდგან სასუფეველი მიგველის ზეცაში სარწმუნოების გამვო.“

ამ სიტყვაზედ დადგნენ და, დედა-მინაზედ დამხობილნი, საცოდავთ ბლადნენ თბილისელებისათვის ის ოთხი ქალი და მწარესა ცრემლსა აფრქვევდნენ გულამოსკვნილები. გულგანხურვებულს მღვდელსაც მოეხადა ქუდი, ზეცად ჴელები განეპყრა და გულმტკივნეულად შესძახოდა ღმერთსა. ამ ვაებაში და ამ მწუხარებაში

რომ იყვნენ, ქ. თბილისს ავარდა ასეთი საშინელი ალი, რომ მთელი ქალაქი ცეცხლად გადაიქცა და იმისი ალი უმაღლესსა ჰაერ შესწევდა. ამის მნახველთ უდიდესი მწუხარება და ვაება გაამრავლეს, ვინ იცის, რამდენი წვრილი ყმაწვილები დაწვეს იმ საშინელს ცეცხლში?..

რამდენ გუნდგუნდს მიიყვანდნენ დედაკაცთ და კაცებს; ეტყოდნენ: – „გათათრდით! ნაცვლად პასუხისა, ესენი თავს მიუშვერდნენ საწმუნოებისათვის და სპარსელებიც აყრევინებდნენ შეუბრალოდ გალესილის ხმლებით. ამდენი თავები დააყრევინეს, რომ ბეზარს მოვიდნენ და შაჰთაბაზმა უბრძანა, მხოლოდ ტყვედ ჰყონ დანარჩენნი. არა მხოლოდ თბილისში იყო ეს ამბავი, არამედ, სადაცკი სპარსელები შევიდნენ, ყველგან ეს საშინელება ასტეხეს“.

ამ ვაებაში რომ იყვნენ ის ხუთნი წმინდანი, ამ დროს ერთი მცირედი გუნდი დაინახეს იმათზე მიმავალი სპარსელებისა.

აქამდისინ დავრდომილებმა, სპარსნი რომ დაინახეს იმათზე მიმავალი, მაშინვე გული დაიმშვიდეს და როცა იმათთან მივიდნენ, ისინიც შეურყეველი გულით დახვდნენ და ანამ უშიშრათ უთხრა:

– „მოდით, მტარვალეხო. მაინც არ გენყალვისთ ჩვენი სისხლი სპარსელებსა და ჩვენც ისე დავხოცეთ, როგორც თბილესელები“.

ერთი ხნიანი თეთრ-წვერა კაცი ერია; ის იყო იმათი ათასის თავი, რომელსაცა დიად კეთილი სახე ჰქონდა. ის ცხენიდგან გადახდა სვანიც იმისთანა. იმ ათასის თავსა ბრძანება ჰქონდა, თბილისის მიდამო ადგილები დაეარა და თუ ენახა ვინმე, უნდა გაენყვიტა, ამისგამო იმასთან მიჩენილი იყო ერთი, საქართველოში გაზდილი, სპარსი, კარგათ მცოდნე ქართულისა. ანას სიტყვაზედ იმ ათასის თავმა მიჩენილ სპარსსა ჰკითხა: „ის შაოსანი ქალი რას ამბობსო?“ იმან გადუთარგმნა და ათასის თავმა გალიმებით უთხრა:

– იქნება უარესის სასჯელით დაიხოცნეთ თქვენ, მინამ თფილისელები.

– ჩვენ არ გვეშინიან, რომელის სასჯელითაც გინდოდესთ, დაგვხოცეთ.

ანამ უშიშრათ უთხრა ეს სიტყვა და ამ თქმაზე ამის ამხანაგებიც შეუპოვრად მოუდგნენ ანას გვერდით. ათასის თავმა იმათი შეუპოვრობა რომ ნახა, ლმობიერის გულით უთხრა:

– ვითომ რა უნდა ჰქნათ? – აჰა, მიიხედეთ ამ ქვეყანას. როგორ აივსნენ ჩვენის ჯარებით. აბა, რასა იქეთ? – ბრძანება არის შათაბაზისაგან, ზოგი უნდა განყვიტონ და დანარჩენნი ტყვედ წაიყვანონ.

– მითხარ, რა ბრალი აქვსთ ქართველებს სპარსელებთან?

– „უკუ-უდექით შათაბაზს.“

ანას პასუხი უნდა ეთქვა, მაგრამ ათასის თავმა აღარ დააცალა და უთხრა:

– მშვენიერო ქალო, ნება არა გვაქვს, რომ ბევრი გელაპარაკოთ. ამისთვის მოკლეთ გეტყვი; ჩემი რჩევით მრავალნი გაბედნიერებულან და თქვენც ისე გაბედნიერდებით, თუ ჩემს რჩევას დაიჯერებთ. მოდიდურის და მრისხანის სახით მიუგო ანამ:

– აბა, თქვი, რა გაქვს სარჩევი?

– ჩვენი სარწმუნოება მიიღეთ. – დაუყოვნად უთხრა ათასის თავმა, ეგონა, ამით ასიამოვნებდა.

– მგონია, უფრო მაგისტუს ჟღერს ჩვენ ქართველებს, რომ ჩვენ ქრისტიანები ვართ და თქვენ განძლიერებული მაჰმადიანი, თორემ მაგისტან ტყუილს რათ მოგვიგონებდით? – „უკუგვიღეპითო?“ აბა, ვინ აღვიდგათ წინა? მაგრამ არა. რადგანაც ქრისტიანები ვართ ჩვენ, ამისთვის ტყუილი მიზეზი გიპოვნიათ და უსამართლოდ ჟღერს ქართველებს, ნამეტნავად უიარალოდ. მე დედაკაცი ვარ და თქვენ მაგიერათ მე მრცხვენნიან.

მართლა, ყველას ასე შერცხვათ სპარსელებსა, ვინც იქ იყვნენ, რომ თვალი ველარ გაუმართეს ანასა.

ერთი გულ ფიცხი სპარსი წამოდგა წინა. ეს იყო ათასის თავის თანა შემწე, და გაფიცხებულმა უთხრა:

– თუ გათათრდები, დიად კარგი, თუ მარადა, ეხლავ უნდა დაგხოცოთ. ბევრი ლაპარაკი აღარ უნდა.

ანამ დიახ დამშვდების და თაკილობით უთხრა:

– ნუ გვაშინებთ სიკვდილით ჩვენ, ოღონდ იმთენი დრო მოგვეცით, ჩვენის სარწმუნოების წესი შევასრულოთო და მას უკან თქვენი სურვილი აღასრულეთო.

თუმცა სპარსნი თანახმანი შეიქმნენ, მაგრამ გაკვირვებულნი იყვნენ იმათ უშიშრობაზედ. ისინი რომ თანახმანი შეიქმნენ, ესენი დავით გარეჯელის ეკკლესიაში შევიდნენ და კარგახანი დაჰყვეს. იქ მღვდელმან ლოცვები წაიკითხა. შემდეგ გულ მხურვალეს ცრემლით წმინდა საიდუმლო მიიღეს და მერე გამოვიდნენ. შეხედეს, ამ ოთხს მშვენიერს ქალს თავები მოხდილი ჰქონდათ; თავიანთი გძელი, შავი ბზინვარე თმები შუბლზევიდგან თავზე შემოებორბლად და განსპეტაკებული თეთრი ყელი სრულიად უჩნდათ მხრებამდისინ. ეს ის ნიშანი იყო: „უფრო ადვილად გაგვაგებინებენ თავსაო“. ასე და ამ სახით უფრო მომეტებული შვენება მოჰფენოდა იმათ სახეს და ერთი მეორეს მეტად აშვენებდნენ, ეტყობოდათ, ზეციური ნათელი სწვეოდათ იმათ.

ამათ მოუძლოდა ჯვარით მღვდელი ანთებული წმინდა სათელით, დიად მაღალი ტანისა. სახე ამისი იყო მედიდური, თმაცა

დიალ შავი ჰქონდა და ხუთნივე დაწყნარებულის სახით მოვიდოდნენ მტკიცის ნაბიჯებით.

მოვიდნენ, ჯვარი მწვანოვანსა ადგილსა დაასვენა მღვდელმა, წმინდა სანთელი წინ დაუნთო; მერე ხუთთავ დაუჩოქეს ჯვარსა და შეწყობილი გალობა აუშვეს, უუმშვენიერესის ხმით.

ის ხნიანი ათასის თავი ამ დროს ერთს საფლავის ქვაზე იჯდა იმათ მახლობლად; ასე ეცოდებოდა ისინი, და ასე ელმო იმათი გალობა, რომ შესაბრალისად ატირდა, წამოხტა მოუთმენლად და წელგაპყრობით ზეცას შესძახა.

– ოჰ, ღმერთო! რა ბრალი აქვსთ ამ საცოდავებს?

ამ თქმაზედ გულადი ცეცხლმა თანა შემწემ დაიძახა:

– არ იქნა, ესეც გაქრისტიანდა!

იმიშვლეს ხმლები; გაცეცხლებულებმა ექვსნივე ერთად დაკაფეს ის წმინდანი და იმათი სისხლით განითლდა ყვავილ შერეული ის მწვანოვანი ადგილი.

ასე დაიხოცნენ ის ხუთნი სული სარწმუნოებისათვის და მეექვსე-სინყალულისათვის.

მიმავალი სპარსელებს ტყვეები რომ მიუდიოდათ ჩვენის ქვეყნიდგან, გუნდ გუნდად, ჯელებ გაკრულები, ქვევითები, ფეხ-შიშველანი და დაძენილი ტანისამოსით, ზოგი დედმამას ტიროდა, ზოგი ძმებსა, ზოგი დებსა, ზოგი შვილებს და ამ სავაგლახოს მწუხარებით თავიანთს ქვეყანასა ესალმებოდნენ საუკუნოდ, მაგრამ უფროსი ერთი მოთმინების მდუმარებით იყვნენ და ხმას არ იღებდნენ.

იმ დიაკვნების აღარა ითქვარა აქ; ამისათვის, რომ მინამ ის უწყალოება შეემთხვევოდათ, იმის წინა დღეებში მახლობელს სოფლებში გაგზავნეს სარჩოს მოსაკრეფად. საშაბუროში რომ მივიდნენ, იქ ბარბარე მოლოზნის დას შეხვდნენ, იქვე გათხოვილსა; ეს ქალი უფრო მინაზებული ლამაზი ქალი იყო სუსტის საიმსა, ახლად დაქვრიებული და არც შკლი ჰყავდა, რომელმანცა დიაკონები კარგათ მიიღო.

მეორეს დილას ესეც დიაკონებს გამოჰყვა, შკდი ცხენოსანის მოსამსახურით, საუცხოვოს საგზლით და სთქვა:

– რახანია, დაჲ არ მინახავს, წავალ და მცირეს ხანს იმასთანა დავყოფო.

ქ. თბილისზედ ცოტა მოშორებით რომ მოვიდნენ, ვერის ხეობაში, იქ რამდენიმე კაცები და დედაკაცები მორბოდნენ თავიანთის შკლებით და ამას მოიძახოდნენ: „არ იქნა, თქვენს თავს უშველეთო; ქალაქელებს ყიზილბაშის ჯარი შემოგვესია, ქალაქელებს წყვეტა დაგვიწყეს და აქაც ჩქარა მოვლენო. მინამ ზევით პირში ჩვენს მხ-

არეს ამოვიდოდნენ, გიჟისავით გამოვცვივდით და ამ ჭალისაკენ გამოვიქეციითო.“

ამათ გაკვირვებით მიუგეს:

– რას ამბობთ, როგორ თუ ყიზილბაშები?

ამ სიტყვაზე იმათ ამოიხრეს და უპასუხეს:

– უეცრად შემოგვესივნენ, თორემ თუ შეგვეტყო, თავიანთ ყოფას ნახავდნენ.

ეს რომ სთქვეს, მაშინვე ვერის ხეობაში შეცვივდნენ ხშირ ჭალაში და წვრილმალიანში დაიმაღლნენ. გაკვირვებულები ესენიც ჭალაში შევიდნენ და წყნარ-წყნარა შეუდგნენ ხეობას ამ ლაპარაკით:

თქო თევდორე დიაკვანმა:

– ღმერთო, შენ დაიფარე ლუარსაბ მეფე; დღეს დილას მე ვნახე, თავის შულს რომ მარხევდა მცხეთის ეკკლესიაში, სადაც თავიანთი მამა-პაპის სასაფლაოა; თუ ეს შეჩვენებული ყიზილბაშებიც იქ წავიდნენ, სახლეულობით დატყვევდება ლუარსაბ მეფე. შულის სიკვდილზე მეტად შენუხებულია მეფე, ასე რომ, გონება დაკარგული აქვს, ამისთვის ამ ყიზილბაშების შემოსვლის ამბავი სრულებით არა იცისრა და მეშინიან, არ დატყვევდეს.

პეტრემ უპასუხა:

– იმისთანა კარგს მეფეს ღმერთი დაიფარავს და იმედი მაქვს, რომ ყიზილბაშები იქ აღარ წავიდნენ.

– ღმერთმა ინებოს – თევდორემ მიუგო.

თუმცა იმათი ლაპარაკი ქვრივს ქალს ესმოდა, მაგრამ მეტად დაღონებული იყო, ისე უეცრად ყიზილბაშების შემოსვლაზე.

მწყნეთის მთიდგან ქ. თბილისს რომ გადმოხედეს, ნახეს ქალაქი ცეცხლად იყო გადაქცეული, რომელნიცა მწუხარებამ აიტაცა და ქვრივმა ქალმაც თავი გაინენა საცოდავმა.

სადაც სპარსელები ველარ შევიდენ, ეს საშინელი ხმა მაინც ჩქარა მივიდა იმათთანა, საიდგანაც მცხოვრებნი გამოვცივდნენ და ტყიანს მთებს მიმართეს საჩქაროდ, რომელთაცა ქონება სულ სახლებში დარჩათ, ასე სწრაფად გამოვცივდნენ.

სპარსელების დაბრუნების შემდეგ, ორი დღის დახოცილები იყვნენ მოლოზნები, რომ ესენი მივიდნენ. დახოცილს მოლოზნებს და სხვებს რომ დახედეს, გულმტკივნეულად ატირდნენ, ნამეტნავად ბარბარეს და. ტირილით რომ გული მოიხნეს, მინა გასჭრეს ეკკლესიის მახლობლად და ხუთნივე ერთათ დასაფლავეს. იმ მოხუცებულის სპარსის სიკვიდილიც შეიტყეს, როგორც იყო, და იმასაც იმათ გვერდით დაუმკვიდრეს საუკუნო განსასვენებელი. ამ ამბავში კიდევ დაღამდა.

იმ ღამეს ის დიაკონები და ის ქალები ისხდნენ საფლავებთა-

ნა გულ-ჯელ დაკრეფილები; ხანდისხან შესაბრალის კვნესას ამოუშვებდნენ და თან მწარეს ცრემლს აბნევედა დაქვრიებული ქალი. ამ მწუხარებაში იმ დიაკონებმა განიძრახეს ბერად შედგომა, რომლებიცა მეორე დღეს შიო მღვიმის უდაბნოსკენ წავიდნენ, სადაც მტერი აღარ შევიდა შიშის გამო; არც იქ და არც მცხეთაში.

ეს დიაკონები შიო მღვიმის წმინდა კრებასთან, ძმათა მოვიდნენ და მონაზონად შედგნენ იქა, სადაცა ბოროტებისა აღარა ისმოდა რა, თვნიერ ძმოებისა, სინმინდისა და სიკეთილისა.

ბოლოს იმ ქვრივის ქალისა თქვეს: სამს თვეს უკან მწუხარებით მოკვდაო.

თ. აღ. ვახტანგის – ძე ჯ. ორბელიანი
[1857]

**არაკი ტარტაროზისა, ანუ კუდიანების ღამე
(მოხუცი კაცისაგან ნაამოვნი 1859-სა ნელსა, ერთს
ღამეს ვახშმის შემდეგ)**

იყო და არა იყორა, ლუთის უკეთესი რაღა იქნებოდა, იყო ერთი კაცი, ეს კაცი მივიდოდა, ერთს სოფლის მახლობლად, თავის სოფლისაკენ მიმავალი, დიდ ოთხშაფათის საღამოზე, ცივს ქარიანს დროს, მივიდოდა და მიეშურებოდა: დროით მივიდე ჩემს სახლშიო, მაგრამ ღამემ უსწრა, ამ დროს მგლებმა ღმუილი დაინყეს ტყის პირში, იმ კაცმა თქო: – „თოფი მე არა მაქუს თან, დამბაჩა, ხმალი, არც ხანჯალი, ასე უიარალოთ ჩემს დღეში არ მივლია, არ ვიცი, ეს დაყმენდილი მგლები შემამხევივნენ, რით მოვიგერო ეს შეჩვენებულები; ისევ სიფრთხილეს თავი არ ასტკივა, სჯობია, ამ სოფელში შევიდე, აქ დავრჩე ამ ღამეს, ჩემ ნათლის მამასთანაო. ესა სთქუა და სოფელში შევიდა. სოფელში ნახა, გოგობიჭებს ჭიაკოკოლა დაენტოთ, ზედ ძახილ სიცილით ხტებოდნენ, მითამ კუდიანი აღარ მიუდგებოდა, ვინც ჭიაკოკოლაზე გადახტებოდა. ასე გასინჯეთ ზოგიერთმა უფროსმა კაცებმა და დედაკაცებმაც გადახტომა დაინყეს.

ამ კაცმა ამათ ყური არ ათხოვა, გაიარა, თავის ნათლიმამასთან შევიდა დარბაზში, მარამ ამ დროს ამის ნათლიდედა ბანზე იდგა, დიახ გაჯავრებული, ვინც ჭიაკოკოლაზე ხტებოდა, ეს აქ სწყებოდა ასპიტსავით.

იმ დროს იმ კაცს, თავის ნათლიმამა შინ არ დახვდა, მიიხედა, მოიხედა, რომ ვერავინ ვერა ნახა, გამოვიდა, ყვირილი შექმნა: „ნათლიმამ, ნათლიდედა: ბიჭებო, ჩემო ნათლულებო, სადახართ? – ეს თქუწნი სახლი, რომ აიკლონ ვერას გაიგებთ“.

ეს წმა, ამ კაცის ნათლისდედამ გაიგო, იცნა ის წმა, მაშინვე გამოტრიალდა, ბანიდგან ქვემოთ ჩამოვიდა და საჩქაროდ სახლში შევიდა, ამ სიტყვით:

– ქა! გენაცვალოს შენი ნათლიდედა ნათლია დავითას; უკაცრავათ დაგრჩი, ეს რაღაც ჭიაკოკოლა მოუგონიათ სულელებს, ზედ ხტიან ბრიყვები, ასე ჰგონიათ კუდიანი ველარას ავნებდეს იმათ. –

– შენ რა გრჯის, ნათლიდედა. ნათლიამ უკმაყოფილოდ უთხრა.

– ქა! გენაცვალე.

– არა, არა, გენაცვალე; უნდა ამაღამ კუდიანები შეიკრან და ბურთსაბმელზე ველარ წავიდნენ.

– არა, თქუწნმა მზემ, ეს ჭიაკოკოლა კუდიანებს ვერას დაუშლის.

ამ სიტყვაზე ნათლია როგორღაც ეჭუში შევიდა და მასუკან გარდუსხვადგა.

– მაგას თავი დავანებოთ, ერთი ეს მითხარ, ან ჩემი ნათლიმამა

სად არის, და ან ჩემი ნათლულები?

– ქა, გენაცვალე, დიდი ხანია, თავის და არ ენახა თქუჴნს ნათლი-
მამას, იქ სანახავად გავისტუმრე, თქუჴნი ნათლულებიცი იმას გავა-
ტანე; ამთენი ხნის უნახავს, იამებოდა იმათი ნახვა.

– ოთხნივ იქ წავიდნენ?

– იქ წავიდნენ, გენაცვალოს ნათლიდედა.

– შენ მარტო დარჩი?

– რა მიშავს, ბევრჯელ დავრჩომილვარ მარტო.

ამაზედ უფრო ეჭვში შევიდა ნათლია.

იმ ღამეს კარგი პატივი მიაპყრა ნათლიდედამ ნათლიას. ლობიო,
ზეთით ფლავი გაუჴკეთა ვახშმათ; სუფრაზედაც ქარქუჴტა, ჯონჯო-
ლი მიართო, ნახევარ თუნგი ნითელი ღვინო გვერდთ მოუდგა და
ნათლიაც კარგათ შეექცა იმ ვახშამს. ვახშმის შემდეგ იქვე ცეცხლის
მახლობლად ქვეშსაგები გააშლევირა ნათლიდედას, ნათლია დავი-
თამ, რომელშიაც ჩანვა, მარამ ტანისამოსი არ გაიხადა, ისე წაიხურა
საბანი, ნათლიდედამ უთხრა:

– გენაცვალოს შენი ნათლიდედა, ტანისამოსის გახდა რატო არ
ინებე?

– მეზარება, რალა გავიხადო, ხვალ აღრიან მინდა, წავიდე შინათ-
კენ, რომ ისევ გეძინება შენ. ესა სთქუა და თავზე საბანი წაიხურა.

ამ საბან წახურულმა ნათლია დავითამა თქო, ეს დედაკაცი, ჩემი
ნათლიდედა, კუდიანსა გავს, მე არ დავიძინებ, ვნახოთ, რა იქნებაო.

ესა სთქვა, საბნიდგან გამომზირვა დაუნყო ნათლიდედას და
მცირე ხანს უკან ხვრინვაც ამოუშო ტყუილად.

ნათლიდედამ ამის ხვრინვა რო გაიგონა, დიახ ფრთხილად სან-
თელი გააქრო, ცეცხლის მუგუზლები ნაცარში ჩაფლა; კერის ძირში-
აც რალაც ამოთხარა და იქიდგან პრტყელის ქვით დახურვილი კოჭ-
ობი ამოილო და დარბაზის კუთხისკენ წაილო.

ეს ღამე დიად ნათელი ღამე იყო და ბანიდგან საჩენი სინათლე
ანათებდა იმ დარბაზსა.

იქ კუთხესთან იმ დედაკაცმა გოდრითგან კატა გამოიყვანა,
რომელსაცა გადააჯდა ზედა და მარცხენის ჴელით მაგრა დაიჭირა.
მარჯუჴნეს ჴელითაც კოჭბის პირი გადახადა, საიდგანაც რალაც
ამოილო ჴელით და ფეხებზე მოისო კარგად. ამასთანავე კატაზე
გადამჯდარი, დარბაზის ბანში ავარდა და, ვინ იცის, საითკენ გა-
დიკარგა.

ამ ანბავს, ამ დედაკაცისას თვალით უყურებდა იმის ნათლია
დავითა და გაოცებული გამოჴყურებდა საბნიდგან. ჯერ პირველად
იფიქრა: მოდი წამოვდგები, ვკითხამ, რასა შვრებაო. მაგრამ ბოლო-
სა სთქუა არა, კიდევ მოვიციდი, ვნახოთ, რა იქნება! ამ ფიქრში დედა-

კაცი ბანში ავარდა კიდევ, ის რომ ბანში ავარდა, ეს ზეზე წამოხდა; პირჯვრის წერას მოჰყვა და თან ანბობდა, დაგწყევლოს ღმერთმა, ემშაკო, დაგწყევლოს... რამდენჯერმე ამ თქმით დაიმშკდა გული, ბოლოს ის კოჭობი მოიტანა კერასთან, იქ მახლობლად დადგა და მერე სანთელი აანთო. კოჭობში ჩაიხედა: კუპრსავით შედედებული დაინახა შავად და სთქვა: ნეტა, რა უნდა იყოს ეს კუპრისავით შედედებული შავი? ეს რომ სთქუა, კოჭობში ჯელი ჩაყო; ოთხი თითით ის შავი შედედებული ამოიღო სანახავათ; დახედვასთანვე დაიძახა. კუდიანების კვინტილას რომ იტყვიან, სწორეთ ეს ის უნდა იყოსო. ოჰ, ღმერთო, დამიფარე ემშაკებისაგან. ესა სთქუა, ქალმინის ფეხებზედ და შალვარზე გაინმინდა ჯელი, მარამ მაშინვე ტოკვა შექნა, ლამოდა ჰაერში აფრენას, ამ დროს იმის მახლობლად ერთი დიდი ცოცხი იდო, იმას წამოავლო შიშით ჯელი, უნდოდა, იმით მოენმინდა კვინტილა. ამ დროს ის ცოცხი ლაჯებში შეუჯდა ნათლია დავითას და მაშინვე აიტაცა ბანში.

ნათლია დავითამ ნახა, მალლა ჰაერში მიფრინავს კავკაზის ბურთსაბძლის მხრისაკენ, ასე სწრაფად; ვერა ფრინველი ისე სწრაფად ვერ გაფრინდება. რავდენიმე მთა რო გადაფრინდა, ტფილისის ქალაქზე გადმოვიდა, სადაც ეგრეთსავე ჭიაკოკოლაზე ხტებოდნენ ხალხნი და მცხოვრებნი თოფს ისროდნენ მალლა ჰაერში: კუდიანებს ტყვას მოვახვედრებთო, მარამ შეჩვენებულებს რა მოხვდებოდათ?

ნათლია დავითა ქ. ტფილისს რომ გასცილდა, ეს მალალი ჰაერი ნახა, მოცული იყო საქართველოს კუდიანებით, კაცით და დედაკაცით: ზოგი ძალზე იჯდა, ზოგი ღორზე, ზოგი კატაზე, ზოგი მამალს ქათამზე, ზოგი მოკაკულს ჯორზე და სხუა და სხუას რალაც სასაცილოებზედ ისხდნენ, თავთავისად ყველანი.

ესენი სულ დარაზმული ნყოფით მივიდოდნენ, რომელთაცა უფროსები, ერთი მელაზე იჯდა, მეორე ტურაზე, მესამე მგელზე, მეოთხე დათვზე, მეხუთე გარეულ თხაზე და მეექვსე აფთარზე. ვინც შემჩნევა იცოდა და სახის მეტყველობას გაუჩხრეკდა, ამ უფროსებს სახე, როგორღაც თავის ნადირებს უგვანდათ და ხასიათიც ეგრეთვე. თუმცა ეს უფროსები, პირათ ერთი ერთმანერთთან, დიახ მეგობრულათ იყვნენ, მარამ დიდათ ეჯავრებოდათ ერთი ერთმანერთი და ერთმანერთის სიძულვილსა გულში იკლავდნენ დიდის მოთმინებით.

ეს ამთენი კუდიანები მივიდნენ და ბურთსაბძელზე ჩამოხდნენ; ვისაც სულიერი საჯდომები ჰყვანდათ, დააბეს და ვისაც უძრავი, ჯელში ეჭირათ.

ეს დავითა ხალხში გაერია. რავდენი დედაკაცი და კაცი ნახა მცნობი და ნათესავი, მარამ არავინ ხმას არ სცემდნენ ერთმანერთს. ამ დავითას სიარულში თავისი ნათლიდედა შეხვდა, დანახვასთანვე

ცალკე გაიყვანა და გაჯავრებულმა უთხრა.

– შე მეხ დასაცემო, რაგინდა შენ აქა?

– ღმერთმა ნუ იცის შენი თავი და ტანი, შე შეჩვენებულო, მე სულ გიყურებდი, ის კვინტილა მეც უნებურად მოვისვი და უკან გამოგიდეგ მსწრაფად.

– მითხარი, გინდა, ჩუწნს საზოგადოებაში გაერიო და ჩუწნი ამხანაგი შეიქნა?

– ჯერ მიამბე, რა არის თქუწნი საზოგადოება და ან რა სარგებლობა შეუძლიან?

– ჩუწნი წელობა არის: სიპლუტე, სიცრუე, ცბიერობა, მოტყუება, ბოროტება და ფარულად ვსცდილობთ სხვებსაც ეს ვასწავლოთ, რომ კეთილი აღარსად აღარ იყოს გარყვნილობის მეტი.

– შე ღუთის პირისაგან ნყეულო: ის არა სჯობია, კეთილი იყოს ყველგან?

– რას ამბობ, შე გამომტერებულო დავითავ, სიპლუტით, სიცრუით, ცბიერობით და გარყვნილობით ყოველთვის სიხარულში და დღესასწაულშია კაცი და ფულიც გამოუღვეელი აქუს, მარა კეთილი უძრავს მოხუცებულსა გავს, რომლისაგანაცა არაფრისთანა ნაყოფი არა იქნებარა იმისაგან.

– ოჰ! შეჩვენებულო! – შუა გულს ჯოჯოხეთში ჩაგადებენ.

– არა, ვინც ჩუწნს დასში არიან, იმათ არ ჩაადებენ, იმათ სხვისა და სხვის შესაქცევით შეაქცევენ საიქიოს. ეგ რომ გაგიგონია, ვინც ჩვენს დასში არ არიან, იმათ ჩაჰყრიან ჯოჯოხეთის ცეცხლში.

ეს რომ სთქუა, ამ დროს ერთი საშინელი გრგვინვა მოისმა; დავითამ ჰკითხა – ეს რა წმიანობა იყო?

დედაკაცმა მიუგო. – აგერ იმ დიდს ჯურღმულს ხედავ? იქიდგან არის ეს ხმიანობა; მცირე მოიცადე, შენის თვალით ნახავ, რაც იქნებაო; ეს სთქუა და საჩქაროდ ხალხში გაერია. ამასთან მეორე უძლიერესი გრგვინვა ამოვიდა იმ ჯურღმულიდამ, მესამეც თან დაჰყვა და ამასთანავე რალამაც ლურჯმა სინათლემ ამოანათა ლილის ფერმა.

ამაზედ, ვინც იქ იყვნენ, ყველას თვალი იქითკენ დარჩათ გაოცებულებს, საიდგანაც ის ძლიერი გრგვინვა ამოდიოდა და ლურჯის ფერი სინათლე.

მაგთენი ხანი აღარა გამოვიდარა, რამდენიმე ეშმაკების დასნი ამოვიდნენ იმ ჯურღმულიდგან, საარაყე დიდრონი ქვაბები ამოიტანეს გარს შემოხვეულით: ზოგი ოქროსი და ზოგი ვერცხლისა; მოიტანეს და ერთს გორას წინ გაამწკრიეს ერთი ერთმანერთზე ცოტა მოშორებით. ის ლურჯის ფერი სინათლე იმ დიდრონის ქვაბებიდგან ამოდიოდა, რომელიცა იმათი მალალი ალი უმალლესად

ჰაერსა წვდებოდა და იმის გარეშემო მიდამო არე, სრულიად ლურჯის ფერად ლაპლაპებდა.

მე იმ გაშავტყავებულთ და დიდრონ კუდიანების სახეს და ტანადობას არას აღვსწერ ეშმაკებისას, ამისთვის, რომ ყველას ენახება ის უმსგავსო დახატული ეშმაკები და ნახშირსავით შავნი, მაშა, სადამე იმათი თვალტანადობა იქით გადავდოთ და სხუას ვიტყოდეთ.

ამ დასიდგან რამდენიმე ეშმაკები გამოვიდნენ, ამ საქართველოს კუდიანებში შემოვიდნენ და თავისი ადრინდელი მცნობები ნახეს ყველანი სიამოვნით. მცირეს ხანს უკან ამ დავითის ნათლიდედამ ერთი ეშმაკი მოიყვანა დავითასთან ამ სიტყვით.

– ჩემო მწყალობელო, ჯოჯოხეთის ჯელმნიფის ტარტაროზის, მზარეულთ უხუცესო ზანდარ! ეს გახლავთ ჩემი შვლების მომნათლავი დავითა, ამასა სურს ჩუწნს დასში გარევა: მაგრამ ეშინიან, ნავწყმდებო და ჯოჯოხეთში ჩამაგდებენო.

ამ სიტყვაზე დავითამ თვალი გაუმართა მზარეულთ უხუცესს ზანდარს, მეტად ეზიზლა, მარამ მოთმინებას მისცა.

ზანდარმა სიამოვნით შემოხედა დავითას და მასუკან ბოხის ხმით უთხრა.

– არა, დავითავ, ნუ გეშინიან, შენ მართალს კაცსა გეცხარ, შენ კარგს ნალკოტში შეგიყვანთ და შენი შესაქცევი ის იქნება, ოლონდ ჩუწნს დასში გაერიეო. დავითამ თავი დაუკრა, მარამ ჯმა არ გასცა. პატარახანს უკან რამდენიმე ეშმაკები მოვიდნენ ამათთან, ერთი ერთმანეთზედ საზარლები და ზანდარს ჰკითხეს:

– მზარეულთ უხუცესო ზანდარ, ეს დედაკაცი და ან ეს კაცი ვინ არიან?

– ეს დედაკაცი ჩემი კარგი მცნობია, რომელსაცა ეს პატიოსანი კაცი მოუბირებია და ჩუწნი კერძი შექნილა.

იმათ ერთ პირათ დიდი მადლობა უთხრეს ამ დედაკაცს და მასუკან ზანდარს სთხოვეს. – ჩუწნც გაგვაცანი ამ პატიოსანს დედაკაცსაო.

ზანდარ დედაკაცისაკენ. – ეს გახლავთ ჯოჯოხეთის მსაჯულების თავი ვაება, ეს გახლავთ ჯოჯოხეთის კარების მცველების თავი ჩაბუგე, ეს გახლავთ ჯოჯოხეთის წესის დამცველი მყრალია, ეს გახლავთ მესუფრეთ თავი პარია, ეს გახლავთ ჯოჯოხეთის საკრავების დამკვრელების თავი ხრუტუნა, ეს გახლავთ ჩუწნი ხაზინადარი ფხოჭია, ეს გახლავთ სალაროთ უხუცესი კრეფია, ეს გახლავთ მგალობელთ თავი ტუხია. რაღა გავაგრძელო, ყველანი თავთავისად გააცნა და დედაკაცი დიდი კმაყოფილი დარჩა იმათის გაცნობით. ბოლოს დედაკაცმა ჰკითხა ზანდარს.

– ის დიდრონი ანთებული ქვაბები რო ამოიტანეთ, იმისი ალი არა

გნვამს თქუწნ?

ზანდარმა მიუგო.

– როდესაც ჩუწნ იმის ალში ვიმყოფებით, მაშინ სრულს განცხრომაში ვართ ხოლმე. ის ალი მხოლოდ იმათ სულსა სტანჯავს სიკუდილის შემდეგ, რომელიც ჩუწნი მხარე არ შეიქნება.

ამ სიტყვაზედ დედაკაცმა უთხრა დავითას.

– გესმის, დავითავ? – დავითამ კიდევ თავი დაუკრა, მაგრამ თავის გულში იფიქრა: თურმე, ეს საცოდავი, ჩუწნი წრფელი, ხალხი, ამ ეშმაკებისაგან, ასე მოტყუებულნი ყოფილან. საიქიოდგან ხომ არავინ არ მოსულა, სწორეთ ანბავი ვიცოდეთ რამე. მხოლოდ ეს ვიცით, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება ქრისტიანობრისა დაგვარწმუნებს: ცუდის საქმით საიქიოს წაწყმდებითო. სწორეთ ვიტყვი, ამ უკანასკნელზე მტკიცე ვარ და ნამდვლთაცა მჯერა. ეს შეჩვენებულები კი, თურმე, ასე გვატყუებენ. თავის გულში დავითამ რომ ეს დაასრულა, იმ ჯურღმულიდგან კვალად გრგვინვის ხმა ამოვიდა პირველზე უფრო საზარელი; ამ საზარელს ხმაზედ, რაც ეშმაკნი იყვნენ, სულ იმ გორს აქეთ იქით გვერდებზედ დაუდგინ ქვეით დაბლა, თავთავისად დაწყობილნი დასდასად. რომ ასე გაიმართნენ, მეორე გრგვინვამაც დაიგრიალა იმ ჯურღმულიდგან და მცირეს ხან უკან მესამეცა. ამასთან ერთი ეშმაკთ დასი ამოვიდა, რომელთა თვთოულთ ყოველს ეშმაკს თვთო ოქროსი და ვერცხლის ქვაბები, ტაფები და სხუა და სხუა საჭმლის მოსახარშები ეჭირათ, ერთი ერთმანერთის მომდევნო; იმათ მიეგება მზარეულთ უხუცესი ზანდარა, ნაიყვანა და ერთს ქედის ძირში დააყენა მწკრივათ. ამასთანავე სხუა ერთი, დიდი დასი ამოვიდა მათ უკან, რომელთაც ოქროსი და ვერცხლის თვთო ყუთი ეჭირათ და კეცილი. იმათ წინ მიეგება ხაზინადარი ფხოჭი, მოიყვანა და ეს ყუთები სულ ერთიან განათლებულს გორას წინ დააწყობინა. მესამე ეშმაკთ დასთა ცხოველის მოქნილი ტყავები, სხუა და სხუა გვარად შეკერილი შავი ტანისამოსები ამოიტანეს, საკვირველი ძვრფასის თვლებით შემკობილი; ასეთის თვლებით, რომ არვის არ უნახამ იმისთანა ძვრფასი თვლები და არც ქვეყანაზედ იქნება ოდესმე. რომელთაცა ამათ მიეგება სალაროთ უხუცესი კრეფია, მოიყვანა, სპილენძის ყუთების უკან გაამწკრია. მესამე ეშმაკთ დასთა დიდროანი რკინის კლიტეები და დიდროანი რკინის გასაღებები ამოიტანეს, ამათ წინ მიეგება ჯოჯოხეთის კარებების მცველის თავი ჩაბუქე; მოიყვანა და გორს უკან გაამწკრია. ამათ მოჰყვა მეოთხე ეშმაკთ დასი, რომელთაცა დიდრონი შავი კეტები და დიდრონი შავი მათრახები ჴელში ეჭირათ, ამათ მიეგება ჯოჯოხეთის წესის დამცველი მყრალია; მოიყვანა და ესენიც კართა მცველების უკან დააყენა. კვალად ამათ მოჰყვა მეხუთე ეშმაკთა დასი, მათ ჴელში ეჭირათ დი-

დრონი დაკეცილი შავი ტყავები, ამათი ფორი იყო, საკვრველი ბრწყინვალე დიდი აღმასებისა: ასეთი აღმასებისა, რომ იმათ გამოკრთომილს ბრწყინვალეებას ადამიანი თვალს ვერ გაუმართავდა რიგიანათ, რომელთაცა ამ დასს მიეგება მესუფრეთ თავი პარია, ამოიყვანა და წესის დამცველების უკან დააყენა. მცირეს ხანს უკან ერთი რალაც საშინელი ღრიალი, ძახილი, ყვირილი და უცნაური ხმიანობა ამოვიდა ჯურღმულიდგან, ამ ხმასთანავე ერთი ეშმაკის დასი ამოვიდა გუნდგუნდებით დანყობილნი, თვით ეშმაკს დიდრონი და ძვრფასის თვალ მარგალიტით მოჭედილი საკრავები მოეყუდათ პირზე, სხუა და სხუა უცნაური სახისა და უკრავდნენ საზარელსა რალაც ხმასა, რომელთაცა ამათ მოსდევდა სხუა ერთი დასი და დაღრენილის პირებიდგან ჰყვიროდნენ რალასაც ხმებს საშიშარსა. ამ ორს დასს მიეგებნენ ხრუტუნა და ტუხია, წაიყვანეს და ერთს დიდს მალალს ბორცვზედ დააყენეს, საიდგანაც გამოხდებოდა იმ მოსაკრავეთა და იმ მგალობელთაგან, ზარ ახდომილი ხმები უსაზარლესი! მცირეს ხანს უკან ერთი მცირედი დასი ამოვიდა იმ ჯურღმულიდგანვე, რომელთაცა თვითოეულად ჳელში ეჭირათ დიდრონი საწერლები და კალმები იაგუნდისა; იმათ მიეგება მსაჯულების თავი ვაება, მოიყვანა და განათლებულს გორას აქეთ იქით გვერდებზე დააყენა ეს დასი. ამის შემდეგ მაგთენი ხანი აღარ გამოსულარა, თორმეტმა ეშმაკმა ერთი დიდი სავარძელი სკამი ამოიტანეს, სრულიად ძვრფასის თვლებითა შემზადებული, მოიტანეს და იმ განათლებულს გორის თავზე დადგეს, რომელმაც სრულიად ბჭყვრიალი დაინყო სხუა და სხუა ფერად. ამასთან ოც და ოთხნი ეშმაკნი ამოვიდნენ სამსამი ერთად და მონინებით მოდიოდნენ. ამათ უკან მოსდევდა მოშორებით ერთი კუპრსავით შავი საზარელი რალაც ცხოველი: თავი ჰქონდა დიდი, ყურები სახედრისა, შავი დიდროან თვალები გაეჭყიტა საშიშრად, სახე ჰქონდა მეტად განიერი და დამრგვალებული, ცხვირი გაჭყლეტილსავით გადღვრენილი, ტუჩები მსხვილი პროშიანი და გრძელი კბილები გარეთ გამოეყარა დაღრენილი.

ამ ცხოველს ექნებოდა ექვსი ადლი სიმაღლე, ჳელები ჰქონდა თავის შესაფერი და ბრჩხილები თვით მტკაველი; ფეხები თავის ტოტებს მიეგვანებოდა, რომელიც წყნარის ნაბიჯით მოდიოდა, აქეთ იქით იხედებოდა თვალების ბრიალით.

ტანზედ ესხა ამ ცხოველს შავი ტყავის ტოლომა, საკვრველი ძვირფასის თვლებით შემკობილი: ანგარების გონების მომტაცებელი და ჭკუის გადამრეველი.

ეს ცხოველი წინ წამომდგარი რო დაინახეს, ყველანი იქვე დაეცნენ და ძრწოლით თაყვანი სცეს; ისიც შედგა და თვალები გარდამოანათა ამ შეყრილობას.

ლუთის უსიამოვნოს ამ ანბავს სჭვრეტდა დავითა: ხან საკვრველებით, ხან მწუხარე და ხან დიდის ზიზლით. ამ დროს ერთი მშვენიერი, თეთრ ბრწყინვალე ტანისამოსიანი, ყმანვილი კაცი მოვიდა დავითასთან და ალერსით უთხრა.

– დავითას გაგიმარჯოს. დავითავ! რას გაშტერებულხარ? – გონებაზედ მოდი, მართალო დავითავ. ეგენი სულ მოჩვენება არის მაგ წყეულებისგან.

დავითამ მოხედა, მეტად მოიწონა ეს მშუწნიერი ყმანვილი კაცი და გაკვრვებით უთხრა.

– ოჰ! პატოსანო ყმანვლო კაცო! ეს რა ანბავია! რასა ვხედავ ამაებსა!

– დავითავ, მამყევ, შენ გაჩვენებ ამათ ეშმაკურს საქმეებს.

– ამ წყეულს ეშმაკებს სად დავეხნევით, რომ ამთენს შეყრილობაში დავიაროთ?

– ნუ გეშინიან, შენ მე მამყევ, ესენი ჩუწნ ვერ დაგვინახვენ, ასე გავივლით.

– მითხარ, თქუწნ ვინა ბძანდებით?

– ლაპარაკის დრო არ არის, მამყევ ჩქარა.

ამ სიტყვასთან, ჳელი დაუჭირა დავითას და სწრაფად წაიყვანა. ასე გატარ გამოატარა ამთენს ეშმაკებში, რომ არავის არ დაუნახამს და არცარა ვის შესჯახებია. მიიყვანა, სადაც დიდი სავარძელი იდგა, იმაში შევიდნენ და შიგ დასხდნენ თავისუფლად, საიდგანაც ყველას ხედავდნენ თვალები და ყოველი იმათი ლაპარაკი ყურით ესმოდათ.

– ეს სავარძელი, იმ საზიზლარ ცხოველის საჯდომია, რომლის წინაშე დამხობილ არიან დედამინაზე ყველანი. დავითას უთხრა იმ ყმანვლმა კაცმა.

– ნეტა, ვინ უნდა იყოს ეს საზიზლარი ვილაც? დავითამ ჳკითხა.

– ჯოჯოხეთის უფროსი და ყოველთ ეშმაკების ბძანებელია, რომელსაცა ჳქვიან ტარტაროზი.

ამ ანბავში იმ მოსაკრავეთა და მგალობელთა განყვიტეს ჳმა, და ეს ყრილობაც ადგნენ ზეზე, რომელთაცა განკრძალულებით დაუნყეს ჳვრეტა ამ საზიზლარს ცხოველსა.

– მშუდობა თქუწნთანა. გრგვინვის ჳმაზედ გარდმოსძახა ტარტაროზმა საქართველოს კუდიანებს. ამათაც მოწინებით თავყვანისცეს დაბლა.

– დღეს სწორედ წელიწადი შესრულდა, აღარ მინახვიხართ, აბა, წამოდექით და ვინც უფროსები იყვნეთ, ანგარიში მომეცით, ვის რავდენი შეგიძინიათ ჩემთვის, რომ საიქიოს დიდი ჳილდო მოგეცეთ ჩემგნით და აუარებელის სიმდიდრით აგამსოთ. ამ სიტყვასთან იმ

ოქროს ყუთებიდგან წამოყარეს ეშმაკებმა აუარებელი ოქრო და ვერცხლი; გასაშტერებელი თვალმარგალიტები, რომ არცავის უნახ-
ამს და არც იქნება ოდესმე ქუწყანაზედ.

– ვინც მე კარგად მემსახურება, ტარტაროზმა თქო, ასი ათასი გა-
მოუღვევლი დიდრონი მანძები მაქვს, ამისთანა სიმდიდრე საიქიოს,
აბა, ვინც ჩემი ერთგული იქნებით და როდესაც საიქიოს მოხვალთ,
დიდრონს ქალაქებს გაჩუქებთ და ყოვლის სიმდიდრით აგამსებთ.
ახლა წამოდექით და ყველამ თავთავისი მითხარით, ვინ როგორ ან-
გარიშს მომცემს? – ამასთან მივიდა და სავარძელზე დაჯდა.

მელაზე რომ იჯდა, ის წადგა; დამხოზით თაყვანისცა და მასუკან
მოახსენა.

– გავლილის წელიწადებისა ხომ მოგეხსენებათ, რა ერთი მყავს
შეძინებული?

– დიახ, ვიცი, ჩემო გონიერო და ქვებუდანო მელიავ, აბა, ახლა
წრევანდელისა მიანბე, რა ერთი შეიძინე?

– წელსაც შევიძინე ათას შვდასი.

ამ სიტყვაზედ კინაღამ გასქდა სიხარულით ტარტაროზი.

– ქვებუდანო მელიავ დიდად, დიდად გმადლობ, – გმადლობ, ქვე-
ბუდანო!

მელიამ თავის ანგარიში რომ გაათავა, ტურაზე მჯდომი წადგა
და ეგრეთისავე ძრწოლით მოახსენა.

– მეც, შევიძინე, ექვსას სამი.

– ოჰ, გმადლობ, ტურიკო, მარამ ჩემი მელიასთანა არ იქნება არ-
ავინ.

მესამეთ წადგა მგელზე მჯდომი და მოახსენა.

– ბატონო ჩემო ჴელმწიფევ! ჯერკი არ დამითვლია, მეც შევიძინე
ლამაზი ქალები თქუწნი სასიამოვნო.

– გმადლობ, გმადლობ, ჩემო მგელიავ, მართლა რა კარგი რამა
ხარ.

ახლა ტახზე რო იჯდა ის წადგა.

– მე შევიძინე შვიდი ბრიყვი კაცი.

– ეგ სულ არაფერია, ტახუნავ.

მასუკან წადგა აფთარი.

– მეც შევიძინე ცხრა თავხედი კაცი.

– ეგეც ფუჭი საქმეა, აფთრიავ. ამ ამბავში, მსაჯულის თავი უკან
იდგა და სიას სწერდა, ვის რავდენი შეეძინა.

ბოლოს წადგა დათვზე მჯდომი და დაღონებით მოახსენა.

– მე ვერავინ შევიძინე, ტარტაროზო.

ტარტაროზმა თვალეზი გადმოუბრიალა მრისხანებით და
ჰკითხა:

– რატომ დათუნავ?

– ყველანი ამას მეუბნებიან, შენ ღრიალის და ყვრილის მეტი არა ხარო, ამისთვის არავინ არ მენდობა არაფერში.

ტარტაროზი აღმულით აენთო; გაჯავრებულმა მეჯობე ეშმაკებს დაუძახა, მიაყენა და ცემა დაუნყეს საცოდავს დათუნას, რომ იმისი ღრიალით ის მთები აიშლო.

ამ ანგარიშებს, რომ მორჩნენ, ტარტაროზმა ბძანა.

– თქუენ ექუსი იმისთვის ამოგარჩიეთ, უფროსებათ რომ ეცადნეთ ბევრის შეძინებას, თორემ თუ ამას იქით ასე არ იქო, ჩემს რისხვას მიიღებთ თქუენ უფროსები, ამას იქით გაფრთხილდით, აღარ გამაჯავროთ.

კიდევ მელაზე მჯდომი წადგა და დანყნარებით მოახსენა.

– ჩემო ბატონო, ჩემო ჴელმწიფე! რად სწუხართ მაგაზედ, დიახ ბევრნი გახლავან საქართველოს ხალხნი დედაკაცნი და კაცნი ჩუჭნი კერძნი.

– მერე აქ არიან ისინი სულ?

– დიახ, შენი ჭირიმე, აქ გახლავან.

ტარტაროზმა თვალი გარდაავლო შეყრილობას, ქალისას და კაცისას, რომელსაცა დიდად იამა და ღიმილი შექნა მყრალის პირით. მერე ჴკითხა.

– ეს დიახ კარგი; მარამ მონასტრებში და უდაბნოებში ბერები რო არიან, ისინი ვერ მოიბირე?

– ბერები და მოლოზნებიც სულ ავრიე; ჯერ ერთმანერთში, დიდი უთანხმოება და შფოთები ჩამოუგდე, ახლა იმასა ვსცდილობ, რომ ჩუჭნი კერძნი შეიქნენ და აქ გაახლო თქუენ წინარე ყველანი. საქართველოს საქმე ახლა ისეა: როგორც ბერიო, იმისთანა ერიო, ახლა ყველას შევიძლებთ საქართველოში, როგორც გვინდა, ისე, ტარტაროზო!

– დიდად გამადლობ ქვებუდანო მელიავ, ეცადე, თუ საიქიოს შენი თავის ბედნიერება გინდა, ეცადე.

მელიამ დაბლა თაყვანისცა და თავის ამხანაგებში ჩადგა შუაში.

ამ მელიას ამხანაგებს დიდად შეშურდათ მელიასაგან ეს ანბავი; იქვე შეითქუნენ მელიაზე: უთუოთ თავის ადგილიდგან გადმოვადოთ და წავახდინოთ, თორემ ყოველი ჩუჭნი გზა მაგან დაგვიხშა ტარტაროზთანო.

ამის შემდეგ ყველა დალოცა ტარტაროზმა და მასუკან ნება მისცა, თავთავის სახლებში წასულ იყვნენ სულ ერთიან.

მცირე ხანს უკან აღარავინ აღარ იყო საქართველოს კუდიანები ბურთ საბძელზე. თავთავის გზაზე გაიფანტნენ ყველანი.

ამ კუდიანების წასვლასთანვე ტარტაროზმა და სხუა ეშმაკემა,

შექნეს უცნაური კასკასი და სიცილი და თან ანბობდნენ.

„დაგიდგათ თვალი, საქართველოს კუდიანებო, ვინც თქუზნ-განი მოკვდება, ასეთს ჯოჯოხეთის ჯურღმულში ჩაგადგებთ, რომ მართლა საშინელებაში! მოტყუვდით, რა გვენალვლება, თუ საქართველოს კუდიანები არ იყვნენ, ჩუშნს ჯოჯოხეთს ბევრი დააკლდება; გამრავლდით საქართველოს კუდიანებო, გამრავლდით!“

ასე ანბობდნენ და ასე იძახდნენ ბურთსაბძელზე ეშმაკები სიცილით.

ამ ანბავს თვალთ სჭვრეტდა დავითა და ყურით ესმოდა ყოველი, მასუკან იმ მშუჭნიერმა ყმანჯღმა კაცმა ნაიყვანა კარგა მოშორებით და ერთს გორის ძირში დასო ამ სიტყვით.

– დავითავ, აქ ამ ადგილს მოიცადე, რას ნახავ შენის თვალთ?

ამ სიტყვასთან გასნია და იმ გორს იქით გადავიდა; მცირეს ხანს უკან დავითამ შეხედა, რომ ამ გორის თავზე რაღაც ნათელი გაჩნდა, რომელშიაც თვთ ის ყმანჯღი კაცი იდგა მრისხანედ და ცეცხლის მათრახი მარჯვენეს ჯვლში ეჭირა მოღერებული ეშმაკებისაკენ.

ეს რომ ეშმაკებმა დაინახეს, შიშის ზარმა აიტანა ყველანი, თავის ტარტაროზი ფეხ ქვეშ გაიტანეს და საშინელის ღრიალით ჩაცვიფდნენ თავის ჯურღმულში ასე სწრაფათ, რომ რაც ამოტანილი ჰქონდათ, სულ იქ დარჩათ.

ამისი მნახველი დავითა მივიდა, დედამინამდინ თაყვანისცა და ახლა მიხვდა, ვინც ბძანდებოდა ის ყმანჯღი კაცი.

ყმანჯღმა კაცმა ზე ასნია დავითა ამ სიტყვით.

– მართალო დავითავ, ნამოდი აქ, ქვემოთ დავსხდეთ და მცირედ ვისაუბროთ.

ამასობაში ზეცა განათლდა, ქვეყანას გადმოაფინა მცირე საამო დილის სინათლე, რომელნიცა გორიდგან ძირს ჩამოდგნენ და ქვე დასხდნენ დედამინაზე.

– დავითავ, ხომ ნახე, როგორ ყოფილხართ მოტყუვებული მაგ ეშმაკებისაგან?

– რასაკვრველია, ყველა ვნახე, მარამ ახლა ამას გვედრები, რაც გკითხოთ, არ გენყინოთ?

– არა, არ მენყინება, თქუ, დავითავ.

– ადამიანებზე რად აძლევთ ავდენს უფლებას, რომ ავდენს ცუდს გვაქენვინებენ ეშმაკები?

– ღმერთს მოუცია თქუშნთუს გონება, ვინც გონიერად მოიქცევა, იმას ეშმაკები ვერ მიუდგება და ვინც უგუნურად, იმასკი შეიპყრობს. ასეა ნათქვამი: პირველი არის გონიერებაო, მეორე სვინიდინიო და მესამე ჭემმარიტებაო. ვისაც ესენი აქუს, იმას არ მიუდგებარა ეშმაკებისა არაფერი. ესეები ხომ გითხარი? ახლა თქუშნი ივ-

ერიის ანბავი მიაბზე, რა ანბავია? რაც იმ მელაზე მჯდომმა უანბო ტარტაროზსა, მართალია თუ ტყუილი?

– ოჰ! რალა მოგახსენო ჩუწნი ივერიის ანბავი! მოკლეთ ვიტყუ: ივერიაში ტრიალებს შვიდი მამაკვდინებელი ცოდვა, თავის საშინე-ლის შტოებითა! გააქუსთ და გამოაქუსთ ერთმანერთი გარყვნილე-ბას და ქვეყანა ველარ იტევს იმათ დაუნდობლობას. აი, ეს გახლავთ ეს ანბავი ივერიისა.

– ოჰ! სოდომგომორი? მამ, ნავალ, ღვთის ბძანებით ცეცხლს ვანვიმებ და მთელს ივერიას აღვსპობ ძირიანათ.

– არა, შენი ჭირიმე, ნუ ინებებ, თუმცა ბევრნი არ არიან, როგორი-ცა ვსთქვ, იმისთანანი, მარამ შიგა და შიგ მართალნი და კეთილნიც ურევიან.

– მადლობა შესწირეთ უფალსა, რომ იმის რისხვისაგან გამოიხ-სენით. მიუგო პასუხად დავითას, მაგრამ, აბა, ახლა წამოვდგეთ; აგერ ეშმაკების სიმდიდრესთან მივიდეთ, ვნახოთ, როგორი სიმ-დიდრეა?

მივიდნენ, ნახეს, ასეთი სიმდიდრე იყო, რომ ანგარსა ცნობას მი-ულებდა, არც გაგონილა და არც იქნება ოდესმე ქვეყანაზედ.

კარგა რო გაჩხრიკეს, მასუკან იმ ყმანჯლმა უთხრა დავითას.

– კარგად გამცნევ, არაფრად არ მიგაჩნია ეს სიმდიდრე: ნეტა-ვი, შენ დავითავ! სასუფეველი მიგელის ცათა. აბა, ახლა ნახავ, რაც არის ეს სიმდიდრე. ეს რო სთქუა ერთი ღრუბელი წამოვიდა – თან წკმა მოჰყვა და ის სიმდიდრე სრულიად დანაცრდა.

დავითამ გაიკვრვა და კითხვა დაუნყო.

იმან მიუგო.

– ეს არის ჯოჯოხეთის ცეცხლის ნაცარი, იმათ კუპრის წყ-აროებში აზელილი; იმ ეშმაკების ჯელით გაკეთებული სხუა და სხუა გვარათ: ზოგი ვერცხლათ, ზოგი ოქროთ და ზოგი სხუა და სხუა ძკრფას თვლებათ. ეშმაკებს შეუძლიანთ ყოველი საქმე ცხადად მოაჩვენონ, მაგრამ როდესაც დამტკიცებაზე მივარდება, ის ამათი მოჩვენებული საქმე სულ ჩაიშლება და ამოდ გაივლის; აი, ეხლა, როგორც თვთ თვალითა შენითა ნახე, წელან ეს ნაცარი რა იყო და ახლა რა არის? ყოველი ოქრო, ვერცხლი და ყოველი განძი, სულ ადამიანისათვის არის ბოძებული ღვთისგან, იმათ ხასიათის და იმათ ყმაყოფილებისათვის. მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ბოროტად ხმარო-ბენ იმ ღუთის ბოძებულს ჯილდოს და არ იცინან, როგორ მოიხმარონ ის საუნჯე, როგორის წესით.

– მამ, რა ეშველება, ანუ როგორ უნდა მოისპოს ის ივდენი სოდ-ომგომორის სცხოვრება საქართველოში?

დავითამ კითხა იმ საკვრველს ძალას.

– მითხარ, მოქადაგენი არიან, რომ ჭეშმარიტება უქადაგონ და კეთილი ასწაონ?

– როგორ არ არიან. დიახ, გახლავან, მაგრამ სასაცილოთა ჰყავთ აგდებული ისინი, რომელთაცა ეძახიან იმათ: გიუებო, სულელებო, თავებდებო, თავჩერჩეტებო და სხუანი და სხუანი და სხუანი...

ამ სიტყვაზე მცირე დაფიქრდა ის საკვრველი ძალი და მასუკან უთხრა.

– მე ეხლა ავალ მამისა ღუთის წინაშე, ყველას მოვახსენებ და დიდს მონყალებას მოელოდეთ იმისგანაო უთუოთ; ეხლაც შენის გულისათჳს მოვედი, ჩემო დავითავ, აქა. შენ რომ აქ მეგულვებოდი, თორემ არ მოვიდოდი ამ წანყმენდილებში, ამ სოლომგომორის ხალხში. ეს რომ სთქუა, ის თეთრ ბრწყინვალე ტანისამოსიანი მალლა შევარდა და ტყორცილ ისარსავით წავიდა ზეცაში. მინამ თვალი სწვდებოდა, უყურა დავითამ, მასუკან თავი ჩაღუნა დაღონებულმა და თავისთჳს ანბობდა. – მე ხომ იმ კვინტილიანს ცოცხზედ აღარ გადავჯდები, თუნდ საუკუნოდ ამ მთაზე დავრჩე და აქ მოვკუდებოდე.

ამ ფიქრში რომ იყო, უეცრად უხილავმა ძალამ აიტაცა დავითა და ერთს წამში თავის სოფლის გვერდით გადასო უვნებელი.

თვალებზე ჳელი მოისო დავითამ, ღმერთს მადლობა შესწირა და განკვრვებული წავიდა თავის სახლისაკენ!

შინ რომ მივიდა, თავის ცოლმა ჰკითხა.

– კაცო! აქამდისინ სად იყავ?

– ჩემს ნათლი დედასთანაო.

იმის მოკლე სიტყვაზე დედაკაცმა აღარა ჰკითხარა და დავითაც გაჩემდა. ამასთან მორაკემაც გათავა ეს არაკი.

კითხუა. – მერე, პატიოსანო მოხუცო, კაცო?

– მერე, შენი ჭირიმი, ეს არაკი ასე დასრულდება, რომ ჭირი იმ ეშმაკების ჯურღმულში ჩავარდეს და ლხინი აქ მოვიდეს.

თუ ეს არაკი გასაგონად კარგი იყოს, მადლობა უთხარით იმ მოხუცსა კაცსა, თუ არა და ღამე მშვდობისა, რადგან კარგა ღამეც გავიდა შუალამეს იქით, და ვნახოთ, ახლა სიზმარი რალა იქნება?

ელათა მელათა, ჭიქა გვკიდია ყველათა, მთქმელთა და გამგონებელთა ძილი გვაამოს ხელათა.

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.
[1860]

დაუმთავრებელი მოთხრობები

დედამამისაგან ობოლს, მე, არც დაე მყვანდა და არც ძმა, თვნი-
ერ ერთი მოხუცებული ქვრივი მამიდა, რომელსაცა ორი ყმაწვი-
ლი კაცი შვილები ჰყუანდა, სოფლის გუარხედ კარგათ გაზდილი
ღვდელთან და მე კი ერთს მონასტერში, ბერებს მიმაბარა შაგირ-
დათ, სადაც კარგახანი დავრჩი იმათში და ვისწავლე მართლა კარ-
გათ, სამღთოსასულიერო სწავლა.

ერთს დღეს ჩემი მოხუცებული მამიდა მოვიდა იქ მონასტერში
ბერებთან და ჩემი ამბავი გამოჰკითხა. უნებეს ჩემი ნიჭი და სწავ-
ლა. იმან ეს რომ გაიგონა, მაშინვე გამამიყვანა და გზასაც ჩქარა
მოვიდოდით ჩვენის სოფლისაკენ.

ჩვენს სოფელში შემამეხვივნენ დედაკაცნი და კაცნი სიხარუ-
ლით, მე იმათი ნახუა დიდათ მეუცხოა, ამისთვის, რომ შვიდი წელი-
ნადი მე ისინი არ მენახა და რიგიანად აღარ მაგონდებოდნენ არც
ერთნი.

ამ სოფლის ღვდელს ვეხმარებოდი ეკლესიაში, უფრო დიდს
დღესა-სწაულებში, რომელნიცა ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ
ჩემს წიგნების კითხვაზე: ასე კარგად და ჩინებულად ვკითხულობ-
დი.

მამიდაჩემი მე, ასე მანებივრებდა, ასე მიფრთხილდებოდა თავ-
ის შვილებზე მომატებულად, მაგრამ ამ უცხოს ჩემს ნიჭთან, ერთი
ვნება დამემართა და არ ვიცი სასაცილოდ გეჩვენებათ, თუ არა?

იმ ჩუენს სოფელში ერთი საუცხოვო მესტვირე იყო, აყვევ იმას
და ასე კარგად ვისწავლე, მართლა საუცხოვოდ. მე ეს იმისაგან არ
ვიკმარე, გავსწიე და მთელი ქართლ-კახეთი შემოვიარე; სადაც
გამოჩენილი მესტვირე ვნახე, ანუ მომღერალი, იმათი ხმები სულ
ვისწავლე და ბოლოს ჩემი საკუთარი ბევრი დაუმატე. ასეთი მომ-
ღერალი და მესტვირე შევიქეენ, რომ საკურველი!

ამ ყოფით ოთხი წელიწადი შემოვიარე ქართლ-კახეთი, მასუკან
იმერეთში გადავედი; იქაური ღიღინები და სიმღერაც სულ ვისწავ-
ლე. სულ სტვირზე ვანობოდი ყველას: ასე მშვენივრად, რომ მართ-
ლად გაკვირვებულნი იყვნენ ყველანი.

იმერეთშიაც ერთი წელიწადი დავყავი, მერე ვთქვი: „წავალ
ჩემს სოფლისაკენ, სადაც დავბადებულვარ, სადაც ჩემს მშობელს
დედას თავის ძუძუს რძით გაუზდივარ და სადაც მე ობოლს, მამი-
დაჩემი მანებივრებდა მეთქი.“

ნამოვნი ორასი თუმანი ფული ცხენს ავკიდე, შევჯეგ ჩერქე-
ზულს საუცხოვოს იაბოზე, რომელიცა იმერეთის მეფე სოლომანმა
მიბოძა და ჩუენი სოფლისაკენ გამოვნიე.

ჩუენ სოფელს რომ დაუახლოვდი, იმის დანახვა ასე მიამა, უკე-

თესი სიამოვნე თავის დღეში ჩემს გულს არ უგვრძნია; მეტის სიამოვნით ავიღე სტვირი, მოვამზადე, ამასთან დაკვრას მოვყევ და ზედ ჩუენი სოფლის სიმღერა დავდახე მშენიერის ჳმითა.

ჩუენი სოფელი მაღლობზე იყო დასახლებული, საიდგანაც იმის წინ დაცემული მამულები სრულიად ჩნდა. ეს დღე იყო კვირა, ახალი წირვა გამოსული დილისა და სოფლის ხალხი ეკლესიის გარეთ იდგნენ, დედაკაცნი და კაცნი სულერთიან. ჩემა სიმღერამ და ჩემა სტვირის ჳმამ, იმ სოფლის მიდამოადგილები სრულიად მოიცო და სოფლის ხალხის ყურამდისინაც მიხნევილიყო, რომელთაცა ჯერ ყური დაეგდოთ, მასუკან ჩემს მოხუცებულს მამიდას დაეკივლა: „ჩემი ძმისწული არისო.“ ამასთან გიჟსავით გამოქცეულიყო, თან მთელი სოფლის ხალხი დავინახე, ერთიანათ წამოვიდნენ, დედაკაცნი და კაცნი, ამ დროს მეც სოფლის ვენახებს დაუახლოვდი ორლობის მახლობლად.

ამ ორლობეში შევხედე, მოხუცებული მამიდაჩემი ქეთევანი, ჳელებ გაშლილი, თვალებზე სხვილი ცრემლით მორბოდა და უკან სოფლის ხალხი მოსდევდა, დედაკაცნი და კაცნი, დიდნი და პატარანი სულერთიან. ეს რომ ვნახე, გული ამიდულდა, ამისთვის, რომ დედა რომ მყოლოდა, მომატებული სიყვარული არ მექნებოდა იმისი, როგორც მამიდაჩემი მიყვარდა მე. დიდი ჭინახული ჳქონდა ჩემზე. იმის ფიქრით, ღვდლად მამზადებდა ჩუენი სოფლისათუსა, ამისთვის რომ იმ ჩუენი სოფლის ღვდელსა ერთი ქალის მეტი არა ჳყვანდა და ის ქალი ადრითვე დაენიშნათ ჩემთვის, რომელიცა ორის წლით ვიქნებოდი იმაზე უფროსი, მაგრამ ჯერ თვალითკი არ მენახა ის ქალი.

რალა მოგახსენოთ, მეც ცხენიდგან გადავხტი გულდადულებული, სტვირი შორს გავტყოცნე, იქიდგან. მოხუცებული მამიდა ჩემი და აქედგან მე გადავხვიენით ერთმანეთს გიჟსავით; საწყალმა გულში ჩამიკრა ნახევარ სათი მეტი და ორნივ ვქვითინებდით საცოდავად. რასყოფით ჩუენმა ნათესავებმა და ხალხთა ძლივს გაგვყარეს ერთმანეთს. შემდგომ მოვიდნენ და ყველანი მამესალმნენ სიხარულით.

წამოვიდნენ და წამამიყვანეს მხიარულ-სიცილით, სოფლის თავში სოფლის ღვდელი მამეგება თავის ცოლით, რომელთაცა დიდის სიამოვნით მიმიღეს; ღვდელმა გულმხურვალეთ დამლოცა და მეც გულმობიერად ჳელზე ვემთხვიე. მეტის სიამოვნით ღვდელმა, ერთიან სოფელი სადილათ მიიპატიჟა მაშინვე და თავის დიაკვნებს და ნათესავებს უბძანა. – „ეხლავ ორი ჩემი ძროხა, რამდენიმე ცხვრები, ქათმები დაკალით და მარანის ქვევრები დახადეთ ღვინისა, დღეს დიდი ღვინი უნდა გადვიხადოთ, ამისთვის რომ ჩემი

სასიძო მშვიდობით ვნახეო.“ არც სიმდიდრე აკლდა არაფრისა იმ ღვედელს.

მამიდაჩემა თავის სახლში მიმიყვანა, ამისი ვაჟიკაცი უცოლ-შვილო ხუთი შვილები გარს მეხვეოდენ სიამოვნით, სადაც ჩემი სასიამაო და სასიდედროც შემოვიდნენ და სხვანიც ბევრნი. მიმიყვანეს და ხალიჩაგაშლილს ტახტზე დამსვეს. მამიდაჩემა ჩითის ბალიში მომიტანა: ჩემო სიცოცხლე შვილო, დაეყუდე, დაღალული ხარო. მაგრამ მაშინ მე თვრამეტის წლისას რა დამღალამდა. ამასთანავე მამიდაჩემმა საყვედურსავით, მითხრა: რა იყო შენი მაგისთანა თვით რჯულობა, რომ არ დაიშალე, გაიკალ თავი და ნახვედიო?

ამის პასუხათ მეც ეს უთხარ:

– არა დამიკარგავსრა, ჩემო უსაყვარლესო მამიდავ და დედიჩემის მზგავსო. მთელი იმერეთი, ქართლი, კახეთი შემოვიარე. მეტად მამეწონა ის ქვეყნები. მოხუცებულს მეფე ირაკლის ვახლდე; იმერეთის მეფეს ვიახელ და ბევრი სხვა დიდრონი კაცები ვნახე და ორასი თუმანი ფულიც მოგიტანე, მამიდავ.

ეს სიტყვა მამიდას ეწყინა. – არა, შვილო, მე ანგაარი დედაკაცი არა ვარ. შენ რომ აგტეხოდა რამე, წყალში გადავიგდებდი თავსა. რად მინდა შენი ორასი თუმანი, ღმერთმა მოგახმაროს, შვილო. ჩემი შვილებიც ასე იტყვიან, შენმა გაზდამ.

მასუკან ღვედელმა გადაასხვაფერა:

– ჩემო სასიძო ზაქარიავ, მეფე ირაკლი სად ნახე? – ან მეფე სოლომონ?

– მეფე ირაკლი ვნახე თელავს. ამ ჩემს სტვირს თორმეტი სხუა ხმა ჩაუმატე, რომელიცა სულ თოთხმეტი იყო: ზოგი სალამურისა და ზოგი სხუადასხვა ჯმის საკრავი, მალალი და მდაბალი, შეწყობილი ხმები, რომელსაც, ვინ მოსთვლის, რომ რავდენსა შეწყობილსა ხმებსა დავაკრევეინებდი ხოლმე მეტად საუცხოვოდ. ეს ანბავი მეფის ირაკლისთვის მოეხსენებინათ, მაშინვე ებძანებინა ჩემი მიყვანა. მიმიყვანეს, მაგრამ დიდად დამკრთალად. პატივცემულსა ბატონს თაყვანი ვეც, დამკრთლობა რომ შემატყო, მიბძანა: ყმანვილო კაცო, ნუ იშიშვი, მეც შენსავით კაცი ვარ. მე უფრო თაყვანი ვეც მდაბლად. ჩემი სადაურობა და ვინაობა გამამკითხა. მე, რაც ვიცოდი, მოვახსენე. მასუკან სტვირის დაკვრა მიბძანა, მოვეყე; საუკეთესო ხმები დაუკარ და ზედ დავძახე. ასე მოეწონა ბატონს მეფეს, რომ სიამოვნის ცრემლები გადმოყარა. კარგახანი დაუკარ და ბატონსაც დიდად იამებოდა. ბოლოს გავწყვიტე; ბატონმა დიდი მადლობა მიბძანა და ეს შევერცხლილი თოფიც მაჩუქა ყირიმისა. ჩემი გამოსვლის დროს მიბძანა: ბევრი საქმე მაქს, თორემ არ გავ-

იშვებდი, მაგრამ მაგ ჩემს თოფს გაუფრთხილდი; როცა საჭირო იყოს, მოდი და მამულისთვის მემსახურე მე.ეს რომ ბძანა, თაყვანი ვეც და წამოველ. იქიდგან შემოვიარე ყოველი ჩვენი ქვეყნები; ბოლოს იმერეთში გადაველ და ქუთაისს მეფე სოლომონს ვიახელ. იმასაც ისე მოეწონა ჩემი სიმღერა და სტვირის დაკვრა, როგორც მეფე ირაკლის, რომელმაც ეს საუცხოო ლურჯი ჩერქეზული იაბო მიბოძა და ჩემს საჯდომად მყავს. გარდა ამისა, ყოველს დიდს კაცს ვეახლებოდი, რომელნიცა დამასაჩუქრებდნენ და კარგად გამისტუმრებდნენ. ბევრმა დიდმა კაცმა მთხოვეს, ვხლებოდი, მაგრამ ეს ჩუენი სოფელი რომ მაგონდებოდა, ვერსად ვერ დავდეგ და ვმადლობ ღმერთსა, რომ ერთი კიდევ მეღირსა ამის ნახვა.

იმ დღეს ჩემი სასიამამრო საუცხოოთ დაგვხვდა. რომელსაცა მთელი სოფელი სულ იქ ჰყვანდა სადილად მიპატიჟებული, დედაკაცნი და კაცნი: კაცნი ერთს დარბაზში ისხდნენ და დედაკაცნი მეორეს დარბაზში. რალა მოგახსენოთ, ასეთი ლხინი გადიხადა ღვდელმა, მართლა მოსაწონი. სიმღერა, ღლინები და გალობა საუკეთესო და საუკეთესო იყო ხოლმე.

სადილს უკან ჩემი სტვირი მიმატაინეს, გავმართე, მოვამზადე და დაკვრას მოვეყე. მთელი სოფლის დედაკაცნი და კაცნი თავს მამეხვივნენ, რომელთაცა ყველამ გაიკვირვეს: ეს რა მოუგონია ამისთანა საკურველი საკრავიო. თვითონ აღარც სიმღერა თქუეს, აღარც ღლინი და აღარც გალობა. სულ ჩემს სტვირში გამამყვანდა ყოველი ჳმა. ბოლოს ფერხულისთვის დაუკარ, ჩემგნით გაკეთებული ახალი ჳმა, რომელშიც მოძახილი, ბანი, დვრინი, თქმა და სხვა წვრილი ხმები სულ სტვირში გამამყვანდა ასე კარგად, რომ გეგონებოდათ ბევრი დედაკაცი და კაცი ერთად იმღერის, სულ თავთავის შეწყობილს მშვენიერს ჳმას ამბობენო.

ეს დღე მეტად მხიარულად გავატარეთ და სალამოჟამზე ყველანი თავთავისად წავედით.

მეორე დღეს, ორშაფათსა, მთელი სოფელი სამუშაოდ გავიდა. მეც დილაადრიან ავდეგ, ეკლესიაში ღვდელს ცისკარზე მივეხმარე და შემდეგ წირვაზედაც, რომელმაცა დიდი მადლობა მითხრა: კიდევ კარგად გხსომებია და კარგად მამეხმარეო.

– „რად დამავიწყებოდა, რომ გარდა შექცევისა სამხთო წერილსაც ვკითხულობდი ხშირად და ღვდლებსაც ვეხმარებოდი, სადაც მივიდოდი, იმ სოფლის ეკლესიაში. ამისთვის უფრო მადლობა მითხრა ჩემა სასიამამრო ღვდელმა, რომელიცა სადილათ მოვიწვიე, მობძანებულიყო ჩემთან, მაგრამ უარი მითხრა: „მე და შენი სიდედრი ეხლა ცხენებზედ უნდა შევსხდეთ; ჩემს დედიდაშვილთან წავიდეო, აგერ ახლო სოფელში და ხვალ ისევ მოვალთო შინ.“ ამასთან

ჯელზე ვემთხვიე და შინისკენ წამოველ. გზაზე ვიფიქრე: ჯერ ხომ სადილის დრო არარის. აქ, ამ სოფლის ტყეში ერთი მშვენიერი წყარო რომ გამოდის მუხის ძირში. წავალ იმ მშვენიერს ადგილს, ვნახ-ამ და იმ წყაროს წყალსაც დავლევ მეთქი; ეს ტყე თითქმის სოფლის პირში იყო მახლობლად, უკან მხრივ და სხუა ტყიანი მთაც ზედ მოებმოდა. შინ მოველ, ჩემი სტვირი ავიღე და იქითკენ გავწიე.

[1858]

ღამის კაცი

ამ ღამის კაცსა ჩუწლებათ დასჩემებოდა ღამით სიარული, ქ. ტფილისის მიდამოს ადგილებში, არც შეცდენილი იყო ის ამით ამიტომ, რომ ბევრს ამბავსა ტყობულობდა და ბევრს შემთხუწლობასაც ხედავდა ხოლმე, რომელიცა ღარიბს ქოხებში თუ სადა, წვიმანუნუნუხს და ყინვებში მიეშურებოდა იქა, სადაც ღარიბები სწუხდნენ სიღარიბით. იქ, იმათთან მივიდოდა ნუგეშინის საცემათა, სადაც ისინი თავის სიღარებზედ ცრემლსა ღვრიდნენ გაჭირებულ ცხოვრებისთვის. მე ამას კარგახნის ამბავს ვანბობ, იმ ღამისკაცის ქველისმოქმედებასა, როგორი ნუგეში იყო ღარიბებისათვისა.

ის, რომ ქუჩებში დადიოდა, ანუ სადმე, ყოველს მცირეს ხმაურობაზედ, ყური მახვილათ ჰქონდა, შეიტყოს: ის რა ხმიანობა უნდა იყოს? – საითკენაც ჩქარის ნაბიჯითა გასწევდა, შეიტყოს იმათი ანბავი.

აი, ყურმახვილათ დადის ბნელს ღამეში ისა, ამდროს ორი ხმები ერთი მეორესა ერხუბება და მეორე პირველს, საითკენაც გაეშურა, რა მივიდა, ნახა, ორს ყმანვილს კაცსა ყვირილით დავა ჰქონდათ ერთს აბაზედ, ერთი ამბობდა, მოგეციო და მეორე, არაო, რომლებსაცა გარს შემოხვეოდა ერთი ჯგუფი კაცი; ზოგი ეუბნებოდა: შემოჰკარით, რალა, ერთმანეთსა. ზოგი: ბიჭებო, არ შემოჰკრათ, გაბრიყვებენ, უნდათ, თქვენს ცემაზედ გაიცინონ, ზოგი რასა და ზოგი რას ეუბნებოდა.

ბოლოს ისინი გაფიცხებულები ერთმანეთსა მისწვდნენ გულისპირში, აქამდისინ ეს ღამის კაცი უყურებდა იმათ დავას, მამინ, როდესაც რომ მისწვდნენ ერთმანეთსა, ამან ხელები გადულობა იმათ მკლავების შუაში და გაბედვით დაიძახა:

– მოიცადეთ, მე მოგარიგებთ.

აქეთ იქიდგან ხმებმა დაუძახეს: მოიცადეთ, ბიჭო, მოგარიგებსთ, მოგარიგებსთ და ხელები გაუშვეს ერთმანეთის გულისპირიდან.

უცნობი

ჩემს ყმანვილკაცობაში, ერთს პირუშლს ღამეს გარეთუბნი-საკენ მარტო შესაქცევად დავიდოდი ძუშლს ქართუშლების სამხედროს სათამაშოს ასპარეზსა ყაბახზედ, მშვენიერს ნათელს მთვარიანს ღამეში, სადაც გაზაფხულის სიონიავი მოჰბერავდა წმინდას სიგრილესა და აქ ამისთანას ჟამში ვიგონებდი ზოგს რას და ზოგს რასა... ამდროს ერთი მოკლე თეთრწვერიანი, უცხოთ მოყუანილი შუა სიმაღლის კაცი მამენია, პირმრგუალ შავთუალნარბიანი, სახე ჩათეთქილი და დაღონების ხმითა დაიძახა.

– ა... გაუმარჯოს.

დავდეგ, შევხედე იმ სახე ჩათეთქილს კაცსა და ვკითხე.

– ვის ეძებ, კაცო? –

– თქუჴნ გეძებთ.

– ვინა ხარ და ან რა გუარი? –

– უბედური-უბედური ქვეყნის შვილი. ეს არის ჩემი სახელი და გუარი? მე ასე მითხრა იმან და აღარც მე იმის ვინაობაზედ გამოვეკიდე და ვკითხე:

– რა საქმე გაქუს ჩემთან?

– ვიცი, წერილების კითხუა გიყუარს თქუჴნა. როცა მოცლით იყოთ, ეს ჩემი დანერილი რუჴული წაიკითხეთ, თუ რომ არ გასიამოვნებსთ, არც გენყინებათ ეს წერილი. ამასთან მამცა ხელში, თვთონ თავი დამიკრა, გატრიალდა და დაიძახა: მშვიდობით, სიკვდილს მივეშურები. გასნია, ასე ჩქარა, რომ ველარა უთხარირა, ისე დავრჩი დასორსალებულის ქალაღდებით ჴელში. ამის შემდგომ აღარ მიამა სიარული, შინათკენ წამოველ; ანთებულს სანთელს სტოლთან გვერდით დავჯექ, ის ქალაღდები გავშალე და გულდაღდებით კითხუას მოვეყევე, აი, ის ანბავი.

მე ბევრი გამამიცდია, ბევრი მინახავს და ბევრი გადამხედია, ამიტომ მე საკვირვლად აღარა მიმაჩნიარა. ჩემს ყმანვილობაში, როდესაც ხუთის წლისა ვიყავ, ასეთი მეხსიერი გონება მქონდა, რასაც წამაკითხებდნენ, ანუ ვნახამდი რასმე და ან გავიგონებდი, მაშინვე დავიხსომებდი.

ခဝဲၤတၢ်တၢ်

სიყვარული!

რა ხარ ასეთი, რომელ ხან მაცოცხლებ? ხან მაცხოვრებ? ხან დამატკობო?. ხან განმისვენებ! ხან მასიხარულებ? ხან ნეტარებით აღმავსებ? ხან აღმაგზნებ?. ხან აღმათროლოებ?. ხან ხელსავითა აღმაშფოთებ?. და ხან მწყლავ?. სიყვარულო! სიყვარულო! გარნა ყოველი ესე შენი სურვილნი ამ გულსა ზედა ერთათ იკრიბებიან, და ამის სიღრმესა შინა მხოლოდ ერთ შეკმეშვილ; ბოროტად შიგა ინთქმის.

ოდეს სიყვარული! განგიცადე, მაშინვე გონება შენს მალნიზას გარს შემოეხვია, არა დროებითა, არამედ ყოველს წამსა გარსა გახვევია. გული შენ ლამაზ ფეხებთა ქვეშ; ძირსა გაგიფინე, რომელსაცა შენსა სავანესა შინა, მაგ შენი ტიტველას თეთრ სპეტაკის ფეხებით მარადის შესაქცევად ზედ ნაზობით მონარნარეობ. სული განუყრელს წუთს შენა შემოგხარის; სურს, რათა სიხარულით ზედ შემოგელიოს. მაშა, ჩემი ცხოვრების დღენი შენთვის შემომინირავს, და ცხადაც ჰჩანან სიყვარულო! რომელ მარადის შენი უუმორჩილესი მონა უნდა ვიყო. გარნა სიყვარულო? უკეთი შეიძლ[ება... ..ლით] აღმოგილო, მაშინ სიყვარულს! [... ..არ,] და მრავალსზედ ცრემლსზედ [დაგა... ..] ვიოხო გული.

[...] გაგიძლო, ავდენი სულთქმა, [... ..ს] მდუმარეობა, ავდენი [თვი... ..] მიმოხეტება, ავდენი [უნე... ..] [საყვარელნი] ხურვილნი. აბა, სიყვარულო! შენს დაუსრულებელს უფსკრულებასა. შინა შთაგვიგდივარ, შენნი მღელვარებანი გარს მარტყია, და შენს [ლაღოებას] შეუპყრივარ; უნდათ, რათა საუკუნოდ დამთქან. ნუ თუ, სიყვარულო! არა მოხვალ შემწედ ჩემდა? და ამ ჩემ საცოდავს გულს უკვდაებას; არა დასახავ?

ჩემო ბედნიერების ვარსკვლავო! როდის მეღირსება; ესე რომელ შენ მკლავსა ზედა თავი მედოს, და მასზედ სული აღმომდიოდეს. უკეთუ იცოდე, მაშინ ვითარი ნეტარებითი აღსასრული მექნება უთუოთ ამა ჟამსა ჩემთვის ინატრებდი.

ა. ორბელიანი

ჩვენსადი

უამისუჭვა

ოდესმე ვიყავ ჩემს მეგობართან შუადღიდან თორმეტ სათი[ს] შესრულებამდე, შემდეგ წარმოველ მისგნით, ოდეს გამოველ გარედ, ვიხილე ვარსკვლავთ მოცული ცა და განმწმედილი ჰაერი, მის მარსკვლავთ ბჭყვრიალნი აჩვენებდენ კეთილსა ჟამსა, ცთომილნი მნათობდენ ნათლითა თვისითა და ნიაფნი ჰჭრიდნენ ნეტარებითა, ყოველნი ესე ბუნებანი მომცემდნენ სიხარულსა, დროსა ესრეფთსა მოვიდოდი ქუჩათა შორის შინად ჭვრეტითა ცის სიმგრვლეთა და მისთა დანყობილობათა.

დროსა მომავლობისასა დავინახე ორნი შილნიანი კაცნი, და ჩემი ჩქარის სიარულით ახლოდ მოვენიე მათ. იგინი უბნობდნენ რუსულად, მომესმა ხმა ერთისგან, რომ მეორეს ეუბნებოდა ესრეთ: ნუხელის ერთსა აქაურსა კამპანისასა მეცა მონანილე ვიყავ მათთანა განცხრომისა, ოდეს მე ესე მესმა ნელიადის სიარულით შორი ახლოს მივყევ ყურს მიგდებით, კულად უბნობდა ისივე. კაცნი და ქალნი ერთათ იყვნენ აღრეულნი, ერთი მეორისა თამამობით მოცინარნი. იმა შეყრილობისა ერთი ქალთაგანი მოვიდა ჩემთან და ჩემი მცნობის პირით მელაპარაკა, რომლისაგანაც მიწვეული ვიყავ მე. როგორ მშვიდობით ბძანდებით, მე ღვთის მადლობით მივითვალე. მიბრძანა: ახლა ჩუწნ ევროპიულად ვიქცევით.

- მე მოვახსენე, დიახ კეთილი არს.
- მიპასუხა, ვითარ მოგწონთ ჩუწნი შეყრილობა?
- მე დიახ მოუწონე.

- სთქო, სწორეთ მიბძანეთ, ჩუწნ ევროპიულად ვიქცევით, უკეთუ არა.

- მე მოვახსენე, სრულებით ევროპელთათვის მიგიმზავსებიათ ქცევა, რომ განრჩევა არა გაქუთ, გარნა ვიფიქრე: გამოვცდი მშვენიერსა ამასა, უკეთუ ვითარ იქცევინა ევროპიულად, მოვახსენე: დღეს რომ ქართული გაზეთი იყო და მას შინა ამბავნი ენერნენ სხვადა სხვა სალიტერატურონი, იგი უცხო ამბავნი იყო.

- სთქო: მე გაზეთებს არა ვკითხულობ.
- მე მიზეზი ვკითხე ნაუკითხველობისა.
- მიპასუხა, რა საჭირო არს ნაკითხუა მისი.

- მე გამიკვირდა, გავილიმე და ვკითხე: თქუწნი ისტორია მოუთხრობს თქუწნთა წინაპართა ცხოვრებასა, ვითარნი მამაცნი, ანუ თვისის მეფის ერთგულნი ყოფილან და ან რაოდენჯერმე სხვასა შინა სისხლნი დაუნთხევიათ თვისის მშობლის მამულისათვის.

- მიპასუხა, მე არა ვკითხულობ წიგნთა და დამიწყო კითხუა წინაპართა თვისთა ცხოვრება. მე განვცვიფრდი, მოვყევ, რაცა

ვიცოდი, გარნა სრულებით ჩემკენ არა ჰქონდა აზრი სმენისა. დაუბრუნე უბნობანი და ვკითხე:

– მაშ, ვითარ ატარებთ დროსა?

– სთქო, როცა შინა ვარ, თუ შესაკერი მაქუს რაამე, მაშინ მას ვკერავ, თუ არა და უსაქმოთა ვარ, და მარტო შევწუხდები ხოლმე.

– მე უპასუხე, მართლად ნამდვილ ევროპიელი ეგრეთ იქცევიან და ეგრეთ ატარებენ დროს, ვითარცა თქუჴნ, კიდევ ვკითხე: სხვანიც ეგრეთ ატარებენ დროს, ვითარცა თქუჴნ?

– ყოველნი ესრეთ ვატარებთ დროს.

ამა უბნობისა შემდეგ დავასრულეთ ჩუჴნი განსჯითი უბნობანი, ხოლო მე მოთმენა ველარ მივეც თავსა ჩემსა, გამოვეთხოვე სახლის პატრონს და წარმოველ შინად.

მეორე ამხანაგმა ჰკითხა, რატომ კიდევ არ მოიცადე, რომელ ყოველი იმათი ქცევა და თვისება გეცნა, სრულებით აღგვეწერა მათი კამპანია და აღწერილი გაგვეგზავნა, მოსკოვის ტელელრაფში დაებეჭდათ, ყოველთ ევროპიაში წაეკითხათ, დიახ საუცხოო იქნებოდა.

– პირველმა უპასუხა: რას ამბობ! ასე მეგონა, გარეულთ ამერიკანელთ ხალხთა შორის ვიმყოფებოდი და ამისთვის ველარ მოვითმინე.

– მეორემ ჰკითხა მათი შეყრილობა, ვითარ შეექცეოდნენ, მცირედი მაინც სთქვი.

მოჰყუა პირველი:

– ხუთნი ყმანვილნი კაცნი იდგნენ ერთს ადგილს, რომელნიცა რუსულს ენას და აქაურს ერთათ განყოფით ლაპარაკობდნენ, ხან პირველს და ხან მეორეს, ვითარცა ევროპიასა შინა ფრანციცულს და იმათ შორის ერთმა სთქო ესრეთ: პირველს სასამართლოსა შინა წარმოებს საქმე: ჩემი, ვგონებ თხუთმეტი წელიწადი არს, გარნა ესოდენ აღმგზნია გული ჩემის წინააღმდეგისა მიერ, რომელ, უკეთუ შემემთხუა სიკვდილი, მაშინ ჩემს შვილებს დაუგდებ ანდერძს, რომ სამოცი წელიწადი განაგრძელონ დავა და უკანასკნელი ცხოვრება შესწირონ მას საქმეს.

– სთქო მეორემ. ჩემი ერთი საქმეც წარმოებს ათის თუმნისა ორი წელიწადი იქნება, ჯერეთ შვიდის თუმნის ქალაღი მიყიდნია, მაგრამ ესრეთ ვჯავრობ, რომ ამ შვიდს თუმანზე კიდევ შვიდს თუმანს დავაყრი და ჩემსას აღვასრულებ.

– სთქო მესამემ: ჩემი საქმეც წარმოებს ოცდაერთი წელიწადი არის, თუმცა ჩემი წინააღმდეგი მართალია და მე მტყუანი, უბრალოთაც ვანამებ, მაგრამ ამისთვის უფრო, რომელ უკეთუ სიყვარულით მოურიგდე მას, ყოველნი ასე იტყვიან, ვითომც მე დავა

ველარ შევიძელ და კიდევ შემეშინდა, ამისთვის ოცს წელიწადს კიდევ ვანამებ და ვერც არას მიიღებს სურვილსა თვისსა.

– სთქო მეოთხემ: გუშინ დილით საღამომდისინ ვიარე ერთის კაცის წინააღმდეგობასა ზედა მშვიერი, ხოლო ვფიცავ ასე გავცე-ცხლებულვარ მას ზედა, რომელ ვგონებ ერთი კვირა ვივლი მშვიერი, ოღონდ მას მცირედი რამ დავაკლო და ვავნო. ამისთვის, რომ იმას ჩემი მეგობრისათვის ეთქო: შენი მეგობარი ცოტათ კარგად ვერ იქცევა, უთხარ პატარა რიგიანად მოიქცეს, იმის კაცისშვილობას არ ეკადრებაო, თუმცა მე იმისი შორი კაცი ვარ, მაგრამ მე იმას, იმის მზგავსად რომ ვხედავ, ამისთვის დიდათ მტკივა გული იმისთვისაო.

– სთქო მეხუთემ: თუმცა მეც საქმე მაქუს და თერთმეტი წელიწადი არის, რაც საქმე ჩემი წარმოებს სასამართლოსა შინა, გარნა ვფიცავ, ჯერეთ სასამართლოს კარი არ მინახამ და არც გავივლი, როგორც უნდა გადანყვიტონ. ყოველთვის ეს ფიქრიცა მაქუს, ყოველს კაცს ვასიამოვნო და პატივი ვცე, სხვათ, ვისაც რაც სურდეთ ჩემთვის ბოროტი იმოქმედონ, თუნდა ბევრიც დამაკლონ, არად მივიჩნევ, მე ჩემთვის თავისუფლად ვიმყოფები ჩემს სახლსა შინა, ყოველი გხედავთ, ვითარ იქცევით და ან რა წარმოდგება თქუწნი მაგვარის ქცევით.

იმ ოთხთ ჰკითხეს ამ უკანასკნელს მეხუთეს, ოდეს შინა ხარ, რას აკეთებ მარტო?

– სთქო მეხუთემ: წიგნთ ვკითხულობ, მით შევექცევი.

– უპასუხეს ოთხთ დიდის ჩხუბით და ტამ გამოკვრით, აბა, რა გითხრათ, სასამართლოთათვის და შენი საქმისათვის თავი დაგინებებია და წიგნთ ვკითხულობ, ოჰ, განათლებას აპირებ, აბა, რა უნდა შეიმატო, ან რა უნდა გაირიგო, რუსეთიდგან მოსულნიც არიან, რომ წიგნის კითხვის მეტნი არა არიან რა. აბა, რა უჭირავთ ცარიელი პრაკაპრუკის მეტი.*

– შენ სულ გიჟი ყოფილხარ და სულელი, თუ მალადეცი ხარ, ერთი რჯულის ქალაღდი დანერე, ან მცირე ბარათი. ამ ხუთთ უბნობა ესე სრულებით რუსულად წარმოთქუს, შემდეგ თვისი ენავე დაიწყეს დიდის ჩხუბით და ყვირილით. სხვას ადგილს, სხვანი მუშკას და ლოტოს თამაშობდნენ, გარნა ესრეთი ყვირილით ლაპარაკი და სიცილი ჰქონდათ კაცთა და ქალთა, რომელ ერთი მეორესა სიტყუასა არ უგონებდა, ეხლაც იგი ყვირილი ყურთა მიდგას, საშიშარის ზრიალით. – კვალად იხილვებოდა ყურთა უბნობანი ერთიმეორის თავ გადაღებ-გადმოღებით და ხშირათ თავს პირსა მიახვედრებდ-

* სწორედ ამ სიტყვით წარმოსთქო პრაკაპრუკი მან პირველმა მოუბარმა.

ნენ სიჩქარისა გამო. ამასთანავე კაცნი პატიოსანს ქალებთან ჩიბუხთ სწევდნენ, რომელიცა მათის კვამლისაგან მოცული იყო იგი სახლი. ქალნი მოეცვა მას კვამლს და მას შინა მკრთოლვარებდნენ, ვითა ღრუბლით მნათობნი ვარსკვლავნი, ვგონებ თვითო ქალის ტანისამოსი თითოს ლიტრს კვამლს წაიღებდნენ, სახლისა თვისისა დასაკმეველად.

ერთი კვალად უეცარი საკვირველება დავინახე პერედნასა შამოსული, უეჭველად მეგონა, ნამდვილ საფლავით არს აღდგენილი ვინმე, შემდგომად ვნახე, რომე ჩადრიანი ქალი იყო. ოდეს მოიხსნა იგი, შემოვლო ზალა, პოლსა ზედა მისი სვლა ხმასა რასმე გამოახდენდა, შუა ზალასა უცებ წაუსხლტა ფეხი და გავარდა ქოში. ვთქვი: ესე ნეტარი ხმა ამის მიერ ისმოდა, მოუბრუნდა ასაღებათ, მარჯვენას ხელით კაბის წინა კალთა აინია, კალთის ქვეშ გამოატარა ფეხი წითელი წულიანი უცხოთ განყობილი, ოდეს სრულად გაეჩხრიკე, ვნახე, ესრეთ მალლად ანეული იყო კალთა, რომელ ამოჭრილი ჰქონდა კოჭთან იგი წულა, კოჭი გამოკრთა სპეტაკი, თეთრი და მას წულას დასასრულს ზეით მორთული ჰქონდა საცმელს წითელსა ზედა ყვავილნი ოქრომკერდისანი. როს სრულად ვიხილე ესე მორთულებანი მას თეთრ კოჭსა ზედა, მასვე წამს ყოველი ჩემი ძლიერება ძალისა მიჰზიდა, ვითა ანდამატმა რკინა, ოდეს სცნეს მისი მისვლა, ყოველნი მიეგებნენ დიადის ტრფიალებით, მიწვივეს და დასვეს დივანსა ზედა, ყოველნი მასთან უბნობდნენ, მე ვჭვრეტდი მას. იყო მშვენიერი და მრავალ მოცინარი ხმითა მალლითა, გარნა ესრეთ განითლებულიყო, ვითარ განგებ რაჟმე განითლოს ადამიანმა. შემდგომად ვთხოვე ჩემს მცნობს, გთხოვთ, მიბძანოთ, იგი მშვენიერი რათა არს ესრეთ წითელი? და ანუ რად დაიგვიანა აქამომდე.

– მითხრა, დილას წასულა აბანოში და ეხლახანს გამოსულა, – ვკითხე, აქამდისინ, ვითარ მოითმინა. მითხრა: ჩვეულება აქუთ აქაურთ ქალთ დიდხანს ყოფნა, კიდევ მრავალს მეუბნა მათ ქალთ ჩვეულებას, ვითარ წავლენ აბანოსა შინა, გარნა მე ვერც ერთი ვერ დავისწავლე და ამ სიტყვის დასრულებასთან განმეშორა. კვალად ერთს ადგილს ისხდნენ მომღერალნი და მალლისა ხმითა იმღერდნენ, რომელიცა ხერუვიმისა ხმათა მიემგზავსებოდა სიმღერა მათი, იმათ შორის უპირველესი მომღერალი უფროვე მალლად იმღერდა, გარნა ხმა წასვლოდა ძლიერის ყვირილით, სიმღერით ძახილის დროს ხმასა ედებოდა ხრინნი. მრავალჯერ გაანყვეტინებდა ძახილსა და საბრალოს ხმასა მალალსა დაბამდა ყელსა შინა, ოდეს გაუშვებდა სიმღერასა, შემდგომად მრავალსა ახველებდა. ვცან, რომელ ყელსა სწმენდდა მალლისა ხმისათვის, ოდეს დაასრულებ-

და ხველებას, კიდევ გაალებდა საშინელსა პირსა სიმღერისათვის, შევხედვედი, რომელ ყოველს მის შინაგანის პირის დადგენილებას დავინახედი მრავლის ენის ტრიალით და მრავლის თავ გადარყევადმორყევით. ვთქვი გონებასა შინა ჩემსა: ღმერთო, დამიფარე, აქედგან მშვიდობით გავიდე, რომ მომღერალმა არ ჩამყლაპოს ამ საშინელის პირით და ყოველთ მგრძნობლად ესმოდათ სიმღერა მისი, ზოგნი სულთქმიდნენ, ზოგნი ოხურიდნენ, ზოგნი დაეფიქრებინა და ნელიად თავთ ირყევდნენ, ზოგთ ცრემლით ამსებოდათ თვალნი და ერთი ჩემი მცნობი მოვიდა ჩემთან, – მითხრა: ახ, ნეტარ გესმოდეს, ვითარ ლექსს ამბობს ესე მომღერალი. მე ვკითხე, გთხოვთ, მითარგმნოთ. – თათრულად მღერობს ესრეთ. მიაბზო:

მე მოვშორდი საყვარელსა,
დღე, ღამ ვსტირი ცხელსა მწარედ,
დაგმობ მბრუნავ შენ სოფელსა,
რომელ ვეძებ წამალს არედ.*

მე დიახ განვიკვირვე, ვთქვი: დიახ საუცხოვო არის, კვალად ვკითხე: გთხოვთ მიბძანოთ ეს მომღერალი რომ ესრეთ ძლიერად მაღლად მღერობს, ესე რა ნიშანი არს? დაბლის ხმით ვერ იმღერებს? – სთქო, ოდეს მაღლად დაიძახებს, ხმა ესე შორს წარვალს, მსმენელნი ქალნი თუ კაცნი გამოვლენ კართა, ყურთა უპყრობენ და დიახ სასიამოვნოდ მიიღებენ ხმასა მას. უპასუხე: დიახ საუცხოვო მოგონება არს და განმეშორა. – ერთსა კუთხესა ვნახე, კიდევ ერთი აქაური პატიოსანი ვინმე, ჩემი ახლო მცნობი, მჯდომარე სკამსა ზედა, მაბოლებელი ჩიბუხისა, მრყეველი თავისა და თვალთა მტრიალებელი. მე დიდხანს ვჭვრეტდი მას განკვირვებით, ვთქვი, უთოთ სნეულება სჭირს მას, მიუახლოვდი, ვკითხე: ნება მქონდეს, რათა გკითხოთ, უკეთუ თავი და თვალეზი ხომ არა გტკივათ?

- მიპასუხა: არა, მე არა მტკივარა.
- მიუგე: მაშ, თავს რად არყევთ, ანუ თვალთ რად ატრიალებ?
- წარმოდგა და ერთი გულთაგან შესაბრალისი ამოიოხრა.

სთქო: მე ვკვდები, მე მოთმენა აღარა მაქუს და მე მეშინიან, არ გავგიჟდე, გთხოვთ, მეტს ნუ მკითხავთ, ეს იკმარეთ, ჩემო მეგობარო, – მე აღარა ვკითხე რა, გარნა სჩნდა, რომ სწუხდა რისთვისმე და განვეშორე. ამა სიტყვის დასრულებასთანავე მოჰყვნენ სიცილს და სთქვეს, ხვალ ჩვენნი ამხანაგნი მოვიწვიოთ სტუმრად, ყოველი ესე ყოფილი მათაც მოუთხრათ, იგინიცა ვაცინოთ.

* აზრი ესე წარმოთქო მან მოუბარმა და მე, მწერალმან მისმან, ლექსათ შევანყე.

მე ამისა გამგონეს აღარა ძალმედვა მოთმენა, აღმეგზნა გული, ავიღე უდიდესი ქვაჲ, ამისთვის, რომელ ვითარსიცრუევით მოუბნობდნენ ესე გვართა უბნობათა და შევცყორცე პირველსა მას, რომელ იცა უბნობდა, ხოლო აჩქარებითა ჩემითა დასცდა, სწრაფად მამიბრუნდნენ, მითხრეს, რად გვესროლეო, მე უპასუხე: სირცხვილი არ არის თქვენთვის, რომ ტყუილად უბნობთ. ამა სიტყვის თქმასთანვე ორთავ ერთათ შემამკრეს, თუმცა ისინი ორნი იყვნენ, გარნა არც გავექეცე და არც შეუშინდი, მეც იმედულმა უძლიერესი ერთსა შემოვკარ, მოგვივიდა ძლიერი ჩხუბი. ორთავ ჩემი საყელო ეპყრათ და მე იმ ორთ საყელო თითოს ხელით მეჭირა, ვნევდით ერთმანეთს მინუტსა ოთხთა. ცდილობდნენ ჩემს ნაქცევას, გარნა ვერ ენივნენ სურვილსა თვისსა, მაგინებდნენ და მელრინებოდნენ. გაგვქონდა და გამოგვქონდა ერთმანეთი. ჩემი ტანისამოსი სულ ზედ შემამახიეს, უკეთუ შესძლებოდათ, ვგონებ დამახრჩობდნენ და ხშირათ ხანჯალს იგონებდნენ. ამა ამბავსა შინა მე დიახ გამიჯავრდა გული, მას პირველსა ესრეთ ძლიერად დავნივე, რომელ დედამიწასა დავანარცხე და ზედ ნიხლი დავაზილე, კიდევ წამოხტა, მეორემაც გამიშო, ახლა მამიხდნენ, მუშტები დამიშინეს და მე მათ ვიგერებდი, რაც შეგვეძლო, ვიცემებოდით, თუმცა, ისინი ორნი იყვნენ, გარნა მე მათ ვძალევდი. ვგონებ, ეს ჩვენი ჩხუბი, ვიდრე ოცს მინუტადმდე განგრძელდა.* სამნივ დიდათ მოუძღურდით, მე ვთქვი, ვითარ დავილაღე, სირცხვილი არ არის ჩემთვის, კვალად ძალი შემოვიკრიბე, ახლა მე განვაახლე უძლიერესი ჩხუბი, მიუხედი მათ, ისინი მაგრად დამიხვდნენ, მაგრამ ესრეთ ძლიერი მუშტი შემოვკარ მას პირველსა, რომელ წამს ქვე დაეცა. მეორემ საშინლად დაიყვირა, ყარაულ, ყარაულო. მე ამისა გამგონემ მსწრაფად გავიქეცე, გამომიდგა იგი მეორე, მამენია, სურდა ჩემი დაჭერა, მიუბრუნდი, ესრეთი მუშტი ვეცი თავსა, რომელ თავს მოწყვეტილ კაცსავით დაეცა, მე სწრაფად მივრბოდი და მივედ ჩემს სახლად, რომელიცა მომდევარი ველარავინ ვერ ვიხილე. თუმცა, მე არა მსურდა ესრეთი წარწერა, გარნა ვიფიქრე, რომელ ის ორნი გვამნი მრავალთა ადგილთა განუცხადებდნენ და ამისათვის მეც ამა სალიტერატუროსა განუცხადე, ვინაიდგან მრავალნი ესე გვარნი მოიხსენებიან მას შინა.

ვგონებ, მოკრიტიკეთ ისურნონ ამა შემთხვევასა ზედა კრიტიკისა წარწერა, რომელისამე შენიშვნითა, პირველად ვიტყვი, რომელ ის ორნი გვამნი ხანდაზმულად ვიდოდნენ და შეექცეოდნენ ქუჩათა შორის ესრეთ მოუბარნი, და მე შორი ახლოს დავდე-

* საკურველი იყო, რომელ ახლო მცხოვრებნი, ქუჩათა არავინ არ გამოვიდა ჩვენ გასაშველებლად და არც არავინ თვალთ იხილვებოდა, თვისთა ეზოთა.

დი, საკურველი იყო, ვერ მიხილეს, მინამ ქვაჲ არა ვტყორცე და მე
ყოველი მათი უბნობა ცხადად მესმოდა.

მეორე, არამც თუ მხოლოდ ესენნი ეუბნოსთ მათ, რაცა აქა
წავწერე, არამედ მრავალთა სხვა გვართა უბნობდნენ, რომელიცა
არა შაიძლებოდა მოხსენიება ამასა შინა, ამისთვის დაუტევე მათი
უგვანი უბნობანი.

[1832 წლამდე]

პიქსელი

რომაელი ქალი აარია

უუსაყვარლესო ჩემო მშობელო, საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ასულო, თეკლავ!

უუმდაბლესად მოგართმევთ ამ ჩემს თხზულებას. გარდა რომაელს ქალს აარიას, თქვენს შეურყეველს და მყარს ხასიათსაც ეკუთვნის ეს თხზულება.

თქვენი ძე თაალექსანდრე ჯ. ორბელიანი.

17-ს იანვარს. 1840-სა წელსა.

ქ. პიატიგორსკს თბილწყალზე.

რომაელი ქალი აარია.

(დილის გაღვიძებისთანავე გულშერყეული.)

აარია.

აი, კიდეც გათენდა. – მითამ მეძინა? – გული ჩემი დაჩვეულია განსვენებას და ტკბილ ქშინვას სული, ნაცვლად ამისა, გვამი ჩემი ჩავარდნილი იყო ამ ღამესა, დიახ სატანჯველში, და გამოვიარე ვაებასა ქვეშე! – ოო ღმერთო, ვითარ გამოვიხატო ჩემთვის ესე ღამე და სასიხარულო ჩვენის მტრებისა.

(ამ სიტყვასთან რაღაც ხმას გაიგონებს და წამოიძახებს გულმყარად).

გესმის ყურო ბუკთ ზრიალი? – ზედ დაფების ცემის გრიალი? – და ხალხთაცა ღრიალი? – ნუ შეძრწუნდები, გულო, ისწრაფე, სულო; მისკენ, რომელნიცა დღესასწაულობენ შენს ქმარზე, რომ ეგება მიუსწრა და ჯალათს ველარ მისცენ. – ადექ და შეირტყი მხნეობისა ზოსტერი; – ასპარეზზე ნახე, ვით გულოვნობენ თავისუფლობის მტერნი, ანუ ვით შეყრილა ხალხი სხვადასხვა აზრის მქონებელნი, და შენსა ყრმობაზე აშენე დაუფინყარი საყდარი, რათა არა დამდაბლო პატიოსანი გვარი შენი. – ჩემს პეტის და ჩემს საუკუნოს მეგობარს გამოიყვანენ საპყრობილედგან, ამ დილით შებოჭვილსა და წარადგენენ, მითამ დიდ მართალს სამჯავროში, მაგრამ ჭეშმარიტების დამთქმელების წინაშე და განიკითხვენ იმას. იმათი სამართლის გადანყევით ბილწ ჯალათს მისცემენ; ჯერ მათრახით უნდა სცემოს, მან, სისხლისამსმელმა კაცმა, და შემდეგ თავი წარკვეთოს. – ოჰ, როგორ უნდა დასთმო ესე, აარიავ. – იმას სწყურდა კეთილშობილს მოედანზე და რომაელთ ხალხში სისხლის დაქცევა რომაელთა თავისუფლებისათვის, და დღეს ასე უნდა დამ-

დაბლდეს, რომ ჯალათმა მოკლას? – ჭუ-თუ მოითმინო ესე არიავ. – ადექ, ნუ ჰყოფნი და წარვედ გალიად.

(ამ სიტყვასთან საჩქაროთ ხანჯალს კაბის ქვეშ ნელზე შემოირტყამს უჩინარათ, სწრაფათ კარზე გამოვია და ახალს ამოსულსა მზესა შეხედავს უსიამოვნოდ.)

ოო, მოსისხლეო მზეო! შენი სინათლე, როგორც აქამდისინ მესიამოვნებოდა, დღესამ დილით ეგოდენ მეზიზღები, ასე რომ, სრულებით სხვა გვარათ მეჩვენება შენი ელვარება. ნეტავი, ნუხელის, რომ ჩახველ, ჩასვლასთანავე გამქრალიყავ და ქვეყანა ჩაგეტანა; მეფე კლავდი, თავისი მინისტრებით და სულერთიანათ იმათის მომხრენით ჩაჰყოლიყვნენ ხალხსა ერთათ გასაწყვეტათ: ეს მღვრიე სოფელი აგებოცა შენი შარავანდედის ბურჯიდგან. – იგი დიდი კაცნი? – თავის დიდებისა და პატივისმოყპრულობისთვის; რომაელთ კეთილმდგომარეობასა ლუპენ პარვით და იმათ ბედნიერებას იტაცებენ უსვინიდისოთ.

(საჩქაროთ მივა თვალცრემლიანი და ვედრებით სთხოვს მოსამართლეთ, უკანასკნელად ნება მისცენ ქმრის ნახვისა საპყრობილეში, რომელსაცა მის მხურვალეს ვედრებასა პატივის სცემენ და ქმართან შეუშვებენ. იმის ქმარი ცეცინიპეტი მარტო ზის ნოტიო მინაზე, აქვს გამხდარი სახე, გაყვითლებული და საშინლად არის ჩაფიქრებული.)

აგრეთვე აარია. *(გულგამაგრებული თვალზე უცრემლოთ.)*

ჩემო სიცოცხლეო, პეტი! რასა ფიქრობ?

ცეცინი პეტი. *(დაღონებით აიხედავს.)*

ოჰ, ჩემო არიავ! შენი დანახვა ჩემთვის, ახ! რა ნუგეშია და საამო! ღმერთს ვმადლობ შენის ნახვისათვის და გულიც ამიდულდა ცრემლით.

აარია. *(მძიმეთ ამოიკვნესამს, მაგრამ გულშივე დაიბრუნებს და [მასუკან] მაგრად ეტყვის.)*

ცეცინი პეტი. სით და სადაური გგონია თავი? – აბა, მითხარ, რას უხმობენ ამ ქალაქს? – რა ეწოდება? – ვითარ განთქმული არის ამისი სახელი! – რატო გულში დანერგილი არა გაქვს, ჩემო უუსაყვარლესო პეტი! რომ ძველი და საკვირველის რომის შვილი ხარ! – არ იცი, ამით რა სიამაყე გემართებს ყველას! – ჩვენ არ გვეკადრება ცრემლი; სწორეთ გეტყვი, მე შენ სანუგეშოთ არ მოვსულვარ, ჩემ მიერ ისიამოვნორა; მე მოვსულვარ მისთვის, რომ შენი სახელი ადილო და დაგრჩეს კაცობის ნიშანი!

ცეცინი პეტი. *(ცრემლს მოიწმენდს და განცვიფრებული ჰკითხამს.)*

აარია. – რას მეუბნები? – რა გინდა თქო?

აარია. *(ვაჟკაცურის გაბედვით.)*

ნუ მიმაღავ, რაცა წაიკითხეს დღეს, ამ დილით, შენთან, ბუკ-დაბაბის ზრიალი მოვიდა ჩემს ყურამდინ წინმორბედად და საზარო ამბავი გამიმულავნა. – „შენს საყვარელს ქმარს გიკვლენო.“

პეტი. *(დაღონებით.)*

საყვარელო აარიავ! იცი ჩემი უბედურება, რომ თავი უნდა მომსხლან, ამ სისხამსა ცივს დილაზე და იმ ასპარეზს მოედანში? – ღმერთსა ვმადლობ, უშენოთ არ მომკლეს და ჩემა თვალებმა ერთი კიდევ გნახეს.

აარია. *(განსვენებულის გულით.)*

დიახ ვიცი, ჩემო სიცოცხლეო, რომ დღეს უნდა წაიქცეს ჩვენი სახლის სვეტი და თავი უნდა გაგაგდებინოს საზიზღარმა [მეხლმემან], მტარვალეების ტრაპეზზედა, მაგრამ უბედურათ რადღა ხადი თავსა? როდესაც რომაელთა თავისუფლება; რაცა არის იმის სიტუბო, რომ გამოიხატე შენს თავში და შეუდექ საქმეს ძნელსა, რა იცოდი, რა მოსდევდა შენს განძრახვას? – საქმეს ძნელსა ჯერ მრავალი ფიქრი უნდა, ანუ იმისაგან რა მოხდება. – ოდეს შეუდგეს იმ საქმესა; უშიშრად უნდა მისცეს თავითვისი მსხვერპლად, მაგრამ დიახ ფრთხილად, მაშინ თუ ბედი თავზე დაედგა გვირგვინად და იქიდგან ღიმილით გადმოიყურება, უთუოთ თავის საწადელს შეასრულებს, თუ არადა, ნუ ინანებს იმ საქმისა წახდენისთვის; თუ საწადელი შენი შეგისრულდებოდა, განა მარადის იდღესასწაულებდი? – მარამ ეს რომ არ მოხდა და ახლა სხვას მოელი, მისთვის სწუნარ და იგლოვ თავს? – ან რა გგონია, კაცთ სიცოცხლე რა იყოს? – ზოგიერთი ცხოვრების მოყვარული და, უფრო სწორეთა ვთქოთ, უგვანი კაცი იტყვის გაკვირვებით ღრმას მოხუცებულზე. – „ოჰ, ის კაცი ას ხუთი წელიწადი არის, რაც ცოცხალია, ახ, ნეტავი, მეც იმთენი ვიცოცხლო.....“ ახლა იმ დაბერებულს კაცსა ვკითხოთ, თუ ნუთად არ მიაჩნდეს ეს სოფელი და გავლილი ამბავი სიზმარსავით არ ახსოვდეს? – მხოლოდ რასაც ვგრძნობთ, მაშინ ვიტკობთ და როცა წავა? – სულ ამოდ შეიქნა. – რასაც ვანბობ, მართალია, ჩემო პეტი?

პეტი. *(გულითადის დამონმებით.)*

რაცა თქვი, დიახ ჭეშმარი არის, საკვირველო აარიავ!

აარია.

თუ ეს ჩემი აზრი მოგწონს, მამ ახლა ამაზედ ვილაპარაკოთ. – კაცის სიკვდილი ერთის ელდით და ერთის წამით სჯობია, თუ ხანგძლივ გრძნობის ტანჯვით?

პეტი.

რასაკვირველია, ერთის ელდით და ერთის წამით სჯობია.

აარია. *(სიხარულით.)*

მაშ, რა გითხრა. – სადაც არის, მტარვალნი მოვლენ და ასპარეზზე გაგიყვანენ, თავი მოგჭრან, რომელიცა ცხადად დაინახება შენს სახეში, როგორა გრძნობს შენი სული ამ მინუტსა; ეხლანდელი ეგე შენი მწარე გრძნობა, დიახ ცოტა არის იმ გრძნობასთან, როდესაც ნელად გამოგიყვანენ საპყრობილედგან და დაწყნარებული მიგიყვანენ მტარვალების შესაქცევსა ადგილს. იგი გრძნობაც დიახ მცირედია იმ გრძნობასთან, როდესაც ჯალათი ხმაღს მოგიღერებს და მასკვან შენს თავს მოუქნევს. მაშ, არა სჯობია, რომ ეს უკანასკნელი და წამს მალი იკისრო და მაშინვე მოკვდე, მინამ ბევრის და საშინელი ფიქრის ტანჯვით?

(ამასთან გაშიშვლებულს ხანჯალს ამოიღებს უკან კალთიდგანა და შეუმკრთალი ეტყვის.)

ხედავ ამ შიშველსა და გალესილს ხანჯალს?

პეტი. *(გაკვირვებით.)*

მიკვირს, რათ გინდა და ანუ რაჲსათვის?

აარია. *(დამშვიდებით.)*

სწორეთ გეტყვი, შენთვის მოვიტანე; იქამდისინ არ დამდაბლდე და საძაგელსა ჯალათს თავი არ მისცე. გარნმუნებ, რომ წამსვე იქნება და აღარ დაგტანჯავს ხანგრძლივ გრძნობა, მეორეც ესა, რომ შენი სახელი ადიდე და რომაელებს ათქმევინე შენზე. – „სწორეთ რომის შვილობა ეკადრება იმას!

პეტი. *(გადანყვეთის სიტყვით.)*

რასაც მირჩევ, შეუძლებელია, რომ ჩემი თავი მოვიკლა ჩემის ჯელით.

აარია. *(ცოტა უკმაყოფილოს სიტყვით.)*

არა, – შენის ჯელით აღარ გირჩევ სიკვდილს.

პეტი. *(კიდევ გაკვირვებით.)*

მაშ, ვისი ჯელით გინდა, მოვიკლა თავი?

აარია. *(მამაცის ხმლით.)*

ვაჟუცაურად დადეგ; მკენდი იჩინე, – წარბს ნუ შეიხრი და გული მოსვენებული გქონდეს, აი, მე შენ დაგცემ მკერდზე ხანჯალს, თვალის დაუხამხამებით. ფეიცავ პატიოსნებას, ადვილია, ასე რომ, სულ ვერ იგრძნობ, არა ტკივილს და არცა წვას.

პეტი. *(გულშევიწროებული.)*

სწორეთ გეტყვი, ეგეც შეუძლებელია.

აარია. *(შურის ეჭვით.)*

მაშ, ჯალათ მისცემ მაგ ჩემს სასურველსა და მიერსა საყვარელსა თავსა!....

(ცეცნი პეტი მწარეთ ატირდება უსიტყოდ.)

კვალად აარია. (უშიშრად.)

სიცოცხლეო! ტირილის დრო არარის; აი, მაგალითი მიიღე ჩემგნით სწრაფი.

(ამასთანვე გულში დაიცემს ხანჯალს და ხანჯლის ამოთების დროს ეტყვის სიყვარულის ალერსით.)

აარია.

აჰა, პეტი! მცირედიცა არ მატკინა.

(ამასთანვე ნაიქცევა, გულიდგან სისხლს ამოასხამს და თან ხანჯალს მიაწვდის პეტის).

ცეცინი პეტი. (გიჟსავით ნამოხტება.)

აარიაჲ! მამიცადაე, მეც ნამოვალ.

(პეტიც სწრაფად დაიცემს გულში ხანჯალს; ხანჯლის ამოღების დროს სისხლს ამოასხამს, შემდეგ ერთმანეთს გადაეხვევიან და ორნივე ამას იტყვიან სიხარულის ხმით.)

აარია და ცეცინი პეტი.

ერთათ წავიდეთ; ის სოფელიც ვნახოთ და იქაური ცხოვრება ვიგემოთ, მაგრამ გულმხურვალედ ღმერთსა შევევედროთ, თუ ჯოჯოხეთი გვეკუთვნის რომელსამე, იქაც ნუ განგვაშორებს და ერთათ ვიყვნეთ იმის საშინელებაში!

1840

დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჭამი საქართველოსი

ისტორიული ღრამა ოთხ მოქმედებად

მოქმედნი პირნი

აბულელი – ქ. ტფილისის მამასახლისი და ამის ამხანაგნი ორმოცნი.

ანასტასია – ამისი ცოლი, პირველი სახლის ქალი სომხისა და ამის ამხანაგივე ორმოცი ქალი.

ელენე – ამათი ქალი და დანიშნული.

ლიპარიდ – ელენეს საქმრო და ამის ამხანაგნი სამოცი. ამ სამოცში ერთი აბესალომ, ლიპარიდის მეგობარი, ესეც პირველი სახლის შვილი სომხისა. ლიპარიდის ძიძისშვილი.

ზურაბ – და ამის ამხანაგნი.

სერაფიმ ბერი – აბულელი მამასახლისის ძმა, უდაბნოს ბერი და ოცი სხვა ბერი.

ოთარი – აბულელის ერთგული მოსამსახურე.

არიშიანი და ბარამ – საქართველოს პირველი კაცის შვილები.

ივანე – ლიპარიდის მამა, გამოჩენილი კაცი საქართველოში და ამის ცოლი სარა.

ოცი – პირველი სახლისშვილები, კავკაზიის მთებიდგან და ამათგანი ერთი ბემკენ. თურქებისაგან თვალებ დათხრილნი: ქალნი და კაცნი და მათი ხელის დამჭერნი წვრილი-ყმანვილები.

დავით მეფე – ანუ აღმაშენებლად წოდებული და **დედოფალი გურანდუხტ**.

ნინია კახაბერის ძე და კლდე კარელი თევდორე – საქართველოში გამოჩენილი კაცნი.

ნინო – ლიპარიდის დედიდაშვილი და ამის ამხანაგნი ორმოცნი, ყმანვილი ქალები.

ოთხი ობოლი ქალი – სერაფიმ ბერის ყურადღებით გაზრდილნი.

ბურდული, ნადიბაიძე და ზაქაძე, და ამათი ამხანაგნი ოცდაათი. სულ თეთრწვერა დიდათ მოხუცნი. დაჭრილი ბერი.

თურქების ბრძანებლობის ქუეშე, პირველი არაბი ასის თავი. მეორე არაბი ამაღის პირველი კაცი, მესამე არაბი ორმოცდაათის თავი. მეოთხე არაბი ათის თავი და სხვა ჯარის კაცი, ასი არაბი.

**ჯვარდაუნერელი გაუთხოვარნი ქალნი. ბებუმ, როდამ, ბა-
ზიყა, სასანა და მანიჟა, არიან დანიშნულნი. გორჯასპი.**

ოჰანეზა – ინდოეთელი სომეხი, ამის ამხანაგნი ცხრამეტი და
ამათში ორნი მახარობელნი. **ქართველების კათალიკოზი იოანე,
სომხების პატრიარხი გიორგი და მაჰმადიანთ პირველი ახუნდი.**
პატარა ყმანვილების დასი ვაჟებისა და პატარა ყმანვილების დასი
ქალებისა.

ომში დაკუნვილნი კაცნი და დამახინჯებულნი. კიდევ ომში და-
კუნვილნი ქალნი: ეგრეთვე გამთელებულნი და იმათში **ნინოც**, ლი-
პარიდის დედიდაშვილი.

მგალობლები, ქალნი და კაცნი, ორს მოაჯირზედ.

დედოფლის გურანდუხტის **მახლობელი ქალი მაია.**

კავკაზიელების ოთხი მხედართ მთავარნი შავი ზღვიდამ
კასპამდისინ: **მანზა, არდიშ, დავლე და სავარ.**

საქართველოს სამნი მახარობელნი.

მომღერალნი, სამი ქალი და სამი კაცი.

თარგამოსის ერნი და ექვსი დროშა.

თორმეტი ეპისკოპოსი.

დავით აღმაშენებლის კრება: **ამის მოძღვარი არსენ იყალთო-
ელი. ფილოსოფოსი იოსებ. თეოფილე. ივანე ტაიჭის ძე. ეფრემ
მცირე და პეტრიცი ჭირჭიმელი.**

მცხეთის ეკკლესიის კედელზე: თარგამოსის სურათი, ამის რვა
შვილისა და ამათი სახლის მომავალნი, ქალებისა და კაცებისა.

დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი

პირველი მოქმედება

*(ვინრო გრძელი ოთახია ორხუებით მოფენილი; ერთ მხარეზე
ტახტი დგას. აქეთ იქით სკამები უდგას. საფენით მოფენილს
შუა ოთახში მუთაქაზე წამონოლილ-დაყრდნობილია მკლავზე
აბულელი მამასახლისი. ამ ოთახს წინ სულ რუსები ახსნით აქუ-
ეს, და მტკვრის მომდინარეობა სრულიად ჩანს, აბულელი ღრმათ
ჩაფიქრებულია და როდესაც ფიქრიდგან გამოვა, თავს აიღებს
დაღონებულის სახით; ნელად წამოდგება, მტკვარს მიხედავს, შეს-
აბრალსა ოხრას ამოუშვებს და მასუკან გულმტკიცენულად მო-
ჰყვება).*

ა ბ უ ლ ე ლ ი. ოჰჰ! ავდენ დაღონებას ვინ უნდა გაუძლოს მტკუარო. უფრო სწორეთა ვსთქუათ: მტკუარო მდინარეო! სამოთხის მზგავსი საქართველოს რომ ჩამოეველები კანკლედად: მშვენიერი ქართველი ქალი: სპილოს ძვლის სავარცხლითა, გრძელ შავ-მომბზინვარეს, ნანულ გაშლილს დალალებს რომ ჩამოივარცხნის, თეთრ, სპეტაკის, საუცხოვოს თითებით და გაატლასულს ყელს-მკერდებზე დაღელვარობს, იმისთანა სიამოვნება გაქვს შენა. შენს მონარნარეობას შევამსგავსებ. გაზაფხულ გაფურჩქენილს, უმზეოსა დილის ნალკოტში; მორთულ მოკაზმული, მშვენიერ მონიფული ქართველი ქალი, რომ შევა, წყნარის სიარულით ყვავილებთა შორის და ვაზების ხეივნებში დანარნარებს, სწორეთ იმის კმაყოფილება გაქვს შენცა. – შენი მოხმაურობა შეეადარება ჩვენის ლამაზის ქალის სალილინარსა ხმასა, როდესაც წინნილსაზედა დალილინობს, და გაშლილ ვარდებთან მჯდომარე, ვარდებს ელულუნება: ეგრეთ ელულუნე, საამოდ ეკმაყოფილები, შენს საქართველოს. ღმერთსა თავისი მდიდარი ყოვლის კეთილით სავსე კალთა, ჩვენი დიდის მამის თარგამოზის, ერთიანს ამ კავკაზიის ქვეყანაში ჩამოუბერტყავს... მაგრამ ამთენი შენი საუცხოვებით ვინ ნუგეშობს მტკუარო? ვის მონებას ქვეშ იმყოფები? მითხარ, ვერა გრძნობ? სამოთხის მგზავსი შენი საქართველო თურქთა წარიტაცეს, შენსა სასიცოცხლოს ჰაერსა იგინი ჰყლაპვენ? შენსა დამტკობელსა იგინი სვამენ? შენს მიმომცურავსა გემოვანსა თევზსა იგინი სჭამენ? და ყოველი რააცა არის შენს საქართველოში სულ თურქებისაა. ქალნი და ძენნი შენნი, საქართველოვ, სულ ერთობრივ თურქთა თაყვანს ვცემთ მონინებით, იმათ წარბებს შევცქერით გაფაციცებით. რა ვასიამოვნოთ და იმათი სასარგებლო რა ვქნათ. – ოჰ! რა უსამართლოდ ილუპება ბარბაროსებისაგან, ჩვენი შვილების საკურველი გონების ნიჭი, მთელი ქვუწყნის და კაცობრიობის, დიდი შესამატი კეთილი! – აჲ, რა არის დაჩაგრული კარგი კაცი, მტარვალი ძლიერის კაცისაგან? – რა გაენყობა მონებას! ჩემო მშობელო საქართველოვ! ადევ, ჩემს მახლობლათ მოდი, დაჯექ! *(მუთაქაზე დაჯდება)*. სამგლოვიარო ხმა გაიგონოს და იმ დალოცვილმა ღმერთმა შეგვიბრალოს. *(აქ ღრმა დუმილშივე ჩავარდება, მაგრამ დიახ ცოტას ხანს; შემდგომ აიხედავს და თავის ქალს ელენეს დაუძახებს)* შვილო, შვილო ელენე!

ე ლ ე ნ ე. *(დიახ კრძალვით შემოვა და ეგრე მოახსენებს)*. რა გნებავთ, ჩემო ბატონო, მამავ?

ა ბ უ ლ ე ლ ი. რაღა რა მნებავს, ჩემო ელენე, ი დედი შენი საქმე მიკვირს; სად წავიდა?

ე ლ ე ნ ე. შენი-ჭირიმე მამავ, თავის სამშობლოში გიახლათ,

თავის დედას, ბებია ჩემს, დაებარებინა, და იქ წავიდა. ეხლავ მოსამსახურეს გავგზავნი, საჩქაროთ დავიბარებ *(ამასთანავე გავა; აბუღელი თუმცა თვალს გაადევნებს, მაგრამ ისევ თავ ჩაკიდებით ჩაფიქრდება. შემდგომ ახედავს და შეწუხებით იტყვის)*.

ა ბ უ ლ ე ლ ი. ამბობენ: ქალაქ ტფილისის მამასახლისი აბუღელი ფიქრიანი არისო. გამიკითხეთ ლუთის გულისათვის, აგრე ჩქარანუ მკიცხავთ, აბა ფიქრიანი როგორ არ ვიყო? რომ ჩუწნი ქუწყანა თურქთა აქვთ მიტაცებული. და ეს ფიქრნი სასიკვდილოა ჩემთვის. – ჩუენი ქუეყანა თურქებს უნდა ჰქონდეს მიტაცებული? არ ვიცი, რა სამართალია? ოჰ, დადუმდი ენავ, და მოკვიდი, გულო! ჩემო ფიქრო, ჩემი ფიქრი ეს არის, რომ ჩემი უსაყვარლესი და უპატივცემულესი მოხუცებული გამდელი მზისა ხარ! როგორ დამავინყდება ის იმისი თეთრი თმანი, მედიდური თავი და გძელი კავები, თოვლსავით მხრებზედ გადაფენილი, ის იმისი გაბრწყინებული პირმრგვალი თეთრი სახე შე სანყალო მზისა ხარ, რა იყო, რომ მცირე წლოვანს ყმანვილს ამიყვანდი ხელში ხშირად; შენს პტყელს მკერდზე მიმიკრავდი ორის ხელით მაგრა, შენც ატირდი და მეც ავტირდი საცოდავით ასე. რა გულს მოიკლავდი ტირილითა, მასუჟკან მოჰყვებოდი და საშინელის სიტყვებითა თურქებს სწყევლიდი ჩუწნის მამულის მიტაცებისათვის. გარდა ამისა, ყოველს ღამით გათენებას, პირველს ყვილის მამლისა, შენ რომ ძილით ადგებოდი შეღონებულის გულით, სადაც ბნელი სიჩუმის მეტი, სხვა ხმა არა იყორა, თვინიერ ხან გაშვებული ყვილი მამლისა. იმ სასიკვდილოს ჟამს რომ წამოიჩოქებდი ხელ განპყრობილი ლუთისადმი, მწარეს ცრემლით, გულ მტკივნეულის ძლიერის სიტყვებით და სთხოვდი თურქებისაგან განთავისუფლებას. იმ ვედრებით დაქანცული, ბოლოს დროს რომ კვნესით ნაიქცეოდი და რას ყოფით დატანჯული ძილი მოგივიდოდა. მართალია, მე მაშინ ყმარწვილი ვიყავ! მაგრამ სულ მესმოდა შენს მახლობლად მწოლიარეს, ეგ შენი მწუხარება ჩემი გულის დასადადი ძლიერ! არა, არ დამავინყდება ეგ შენი ლოცვა ლუთისადმი, და ეგ შენი სიმწარე მამულისათვის. არამცთუ დამავინყდება, უფროს და უფროს გაუჯდის ეგ შენი საცოდაობა ამ გულს. ჩაუვლია გაბორჭღვლილსა მამულის სიყვარულის ფესვებს ხელი, ჩემი სრულის აგებულებისათვის, და იმავ ყმანვილობითვე ვიტანჯები, დაფარულად მამულისათვის. ეს იყოს შენგნით სახსოვარი, ჩემო გამზდელი მზისახარ, ან ბედნიერო საფლავში, რომ მტარვალს თურქებს აღარ უყურებ. აჰა, ჩემი ფიქრი, აი, ჩემი მდუმარება *(აქ ისევ ღრმით დაფიქრდება, ამასობაში ოროეც ჩადრ წამოსხმული სწრაფად შემოვა, ანასტასია საჩქაროდ ჩადრ გადასტროყორცნის და აბუღელს შესძახებს მხიარულის ხმით)*.

ანასტასია. ჩემო სიცოცხლე, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, რათა ხარ აგრე დაღონებული?

აბულები. *(შეხედავს უკმაყოფილოდ)*. სადა ხარ, შენ გაზდას? ხომ იცი მშობლის მამულის სიყვარულით დაჩაგრული ვარ. კიდევ შენი სიყვარული მათმენინებს, თორემ აქამდისინ ოცჯერ მოვკვებოდი.

ანასტასია. შენ რომ აგრე ამბობ, ჩემს გულს რაღას ეუბნები? როდესაც შინ არა ხარ ხოლმე, როგორ ვიტანჯები მამულისათვის უშენოთ? *(აბულები მეტის კმაყოფილებით სურვილით შეხედავს ანასტასიასკე)*. რა ვქნა, მოხუცებულს დედას დავებარებინე, იქ წავედი.

აბულები. როგორა ბრძანდება, შეუძლო ხომ არ არის?

ანასტასია. *(გვერდით მოუჯდება და ალერსით)*. ლუთის მონყალებით, კარგათ გახლავთ. სამღურავი მითხრა: ეს სამი დღეა შენის უნახაობით შევწუხდიო. ესეც მკითხა თვალ-ცრემლით მოხუცმა დედამ: დავით მეფის წიგნი აღარ მოსვლია შენ ქმარსაო და ან თურქებისა რა იცისო?

აბულები. ჩქარა კაცი გაუგზავნე, საშინელი დიდი ძალა დაუმარცხებია მტრისა თავრიზთან, რომელიცა მცირე ხანს უკან, თვით მე ვიახლები და ყველას მე მოგახსენებ *(ამ დროს სერაფიმ ბერი შემოვა და დაიძახებს)*.

აბულები. შენი შეუძლებლობა არ ვიცოდით, თორემ როგორ არ გნახამდით, მეც და ეს შენი რძალიც. როცა მოკითხვის მოსამსახურეს გაახლებდით; გვითვლიდი: კარგათა ვარო.

სერაფიმბერი. მე ბერი ვარ, შეუძლებლობა რათ უნდა იცოდეთ და ჩემი გულისათვის შეწუხდეთ *(ამ სიტყვასთან სამნიე გაჩუმდებიან, ბოლოს)*.

აბულები. შორს, შორს ლაპარაკს, მაგრამ, შენს მადლს, მამაო სერაფიმ, ჩემი სასიძოსთვის პარაკლისს არ იხდი ხოლმე?

სერაფიმბერი. არამცთუ ერთხელ, ყოველს ცისმარეს დღეს ვდგავარ მეტეხთა ღვთის მშობლის ეკლესიაში, ვთხოვ და გულ მხურვალეს ცრემლით ვევედრები შენი სასიძო ლიპარიტის მშვიდობისა გამო.

აბულები. ევედრე შენს მადლსა, შენს წმინდას ლოცვას ღმერთი გაიგონებს და თურქების ხელიდგან გამოგვისნის. ღმერთო, როდის გვეღირსება.

ანასტასია. მშობლის ქვეყნიდგან თავისუფლება, ოჰ, რა კარგია, მაგრამ ის ყმანვილი კაცი, ჩვენი სასიძო იმ საშინელებაში რომ არის ჩავარდნილი, ყველგან თურქები ეძებენ: დავით მეფესთან მიწერ-მონერა აქვსო. ამის გამო სადღაც რომ დამალულია, აბა

რა ვქნათ, თუ იპოვნეს, ხომ თავს გააგდებინებენ უწყალო თურქები.

ა ბ უ ლ ე ლ ი. ჩემო ანასტასია, მშობლის ქვეყნის განთავისუფლებას ვინც მოინდომებს იმას ბევრი განსაცდელი სდევს, მაგრამ როგორც მე ლიპარიტს ვიცნობ, თუ მძინარე არ დაიჭირეს, ვერავინ ვერ შეეხება იმასა: საკურველი, – ღონე აქვს ძლიერი და ვაჟკაცობისა ხომ რაღა გითხრა!

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი. მშვიდობა თქვენთანა (ნამოდგებიან ცოლქმარი და სიამოვნით ხელზე ემთხვევიან).

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი. როგორა ხართ? ხომ კარგათ იმყოფებით ყველანი? (აქ ანასტასია ვაჟა).

ა ბ უ ლ ე ლ ი. შორსა ვდგევარ და ცოტათი დავილაღე.
(ამასთან ანასტასია ისევ შემოვა, მივლენ ტახტზედ დასხდებიან. შუაში ბერს ჩაისმენ და აქეთ იქიდგან ცოლქმარნი მოუსხდებიან).

ა ბ უ ლ ე ლ ი. მეტეხის დეკანოზი მეტათ გიყვარს, სერაფიმ? სერაფიმ, როცა ჩამოხვალ იმასთან დადგები ხოლმე?

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი. ჩემსავით ხნიანია, ეკლესიაც – ახლო. მომიტევეთ, ეს მესამე დღეა, აღარ მინახავხართ, ცოტად როგორღაც ვიყავ, ახლა ისევ მოვლონიერდი და მაშინვე წამოველ თქვენთან.

ს ე რ ა ფ ი მ. საიდგან?

ა ბ უ ლ ე ლ ი. თავრიზიდგან.

ს ე რ ა ფ ი მ. როგორ? ის კაცი ჰფრინავს თუ რა, ანბავია? როგორც შავარდენმა წაეყაროს ფრინველი დასი წინა, იმას მიემსგავსება თურქების გამლალველი ჩვენის მამულიდგან.

ა ბ უ ლ ე ლ ი. მართლადა აგერა. რა ანბავია, თქვენი ჭირიმეთ, იმისაგან: ვერ მიმხვდარვარ. არ ვიცი, როგორ მოხდა, ვითარ შეიძლო?

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. მითხარი, მაშ, რისთვის არის ქ. ტფილისში და მეფე დავითთან არ მიდის?

ა ბ უ ლ ე ლ ი. როგორ გავიდე, ყველგან დარაჯები უყენიათ თურქებს და ლიპარიდს ეძებენ; ისევ ჯობიან დამალული იყოს დრომდინ, ვნახოთ, ღმერთი რას ინებებს. მამაო სერაფიმ, ხომ იცი, მეფე დავითს მიწერ მოწერა აქვს საიდუმლოთ ჩემთან; ეს არის, იმის წიგნი კიდევ მომივიდა, იცი საიდგან? მოხდა ვითარ შეიძლო? უნამეტნავესი ნაწილი საქართველო გაოხრებულია თურქებისაგან, საიდგან როგორღა გააშენა საფუძველამდის დანგრეული, ის გატყვევებული, სხვა და სხვა ნადირით სავსე? – მერე რითა? სულ პიტალო ქართველები. ამაში და ამ ამბავში თურქებისაგან დაცემული ქართველები წამოაყენა; თავიანთ მამაპაპის ხმლის კალაზე ხელი

დაადებინა კიდეც და ამ დაუნყნარებელს საშინელებაში ჩავარდნილი: იბრძოდა, აშენებდა, იბრძოდა, რომელმაც – ქართველების ზრდილობიან თათბირში გადაწყვიტა, თუმცა სხვა სარწმუნოებისა. მაგრამ წარჩინებულის ყივჩაღის სახლისა, ათრაქა შარალანის ძის ქალი გურანდუხტ, მოიყვანა ცოლათ და იქორწინა ჯვარდებულის გვირგვინითა. ამ გაბრწყინებულის შეუღლებით, აღძრა ყივჩაღელები სულ ერთიან და დიდრონის მხედრობითა, ერთად ქართველებით გადულახავს ანატოლია, ჩაუვლია ანტიოხი და ალეპოში შესულა, თავ-მონონებული იგი დავითი! რაღა გითხრა? იქიდგან გამოტრიალებულა და თავრიზი აულია,* საიდგანაც მებოძა წიგნი ყოვლისათვის ანბით. ჩვენს ქვეყანას ემზადება სვეტი დიდებისა, დავითისა, დავითისი დავითისაგან?

ს ე რ ა ფ ი მ. რა განსხვავებული უებრო მეფე დავითი. ღმერთო, შენ განუგრძელე დღენი იმას. – ვერ შემიტყვია, მე უდაბნოს ბერი, სადღა მიპოვნა? ჩემთანაც აქუს მიწერ-მოწერა გამოქვაბულს კლდის ბერთან მამასახლისო აბულელო.

ა ბ უ ლ ე ლ ი. როგორ არ მითხარ, შენს მაღლს, ეგ ანბავი აქამდისინ?

ს ე რ ა ფ ი მ. გაჯავრებული ვარ მე იმაზე.

ა ბ უ ლ ე ლ ი. რათა, სერაფიმ?

ს ე რ ა ფ ი მ. რას ელის და ქალაქ ტფილისზე არ მიდის ასაღებად, სადაც თურქების და არაბების ჯარი ჩასწოლია ბევრი; ვინ იცის, რამდენი. მინამ ჩუენს დედა ქალაქს არ აიღებს, საქართველოს განთავისუფლება არა მგონია.

ა ბ უ ლ ე ლ ი. დროს ელის, იმან უფრო კარგად იცის. მეც აგრე მეგონა; სწორეთ აგრე მივსწერე, მაგრამ მოინერა: მე უფრო კარგად ვიცი, როცა ავიღებო.

ს ე რ ა ფ ი მ. ჩემთვის არ მოუწერია არც ერთი ეგა, მე სულ ამას მწერდა: შენ უდაბნოს ბერები მოამზადე და როცა შენმა ძმამ გითხრას, მაშინ ამხედრდითო.

ა ბ უ ლ ე ლ ი. ჰოო, აბა, ეგ არის, სერაფიმ. დღევანდელის წიგნით, კიდეც წამოსულა ქალაქ ტფილისის ასაღებად (დადის ალტაცებულის ამბით).

ს ე რ ა ფ ი მ. აბა, ახლა არის ნამდვილის დრო მამულის გამოხსნისა, აბულელო, ეხლა ჩემი გული რამთენს რაებს მოუთხრობს, სული სატრფოს ეტრატზედ ჩვენის მამულის სიყვარულისაგვით მერცხალი ჭიკჭიკით ჩაბჟირებული თავის ბუდეში. მოიცადე, ჩემო

* მაშინ დავითმა ბევრი ქალაქები აიღო. მხოლოდ საცნობლად მე აქ თავრიზი დავენერე.

გულო, რა გეშურება, შენს სერაფიმს ჩქარა, ჩქარა ელირსება მამულისათვის სიკვდილი, გესმის, სიკვდილი, და ბედნიერი!

ს ე რ ა ფ ი მ. *(მოუთმენლობაში შევა)*. ოჰ, ასე მგონია, ჩემს აგებულობას რაღაც შეუკეთეს მეთქი: როგორათაც კვარის მუგუზლები ცეცხლსა. ამიტანა ერთიანათ სირცხვილის მოუთმენლობამ. რძალო, რა გამტერებული მიყურებ? ჩქარა მოიტანე ცივი წყალი, დამალევიწე, თორემ სადაც არის ნალველა გამისქდება მოუთმენლობის ოხშივარით. ხომ მხედავ თავი ველარ დამიმალავს, ვკვდები *(ამასთან გადესვენება და ბორგავს, აბუღელი მივარდება, ხელი ხელში დაჭერთ აბრუნებს და ანასტასია იქვე ტახტიდგან ვერცხლის ჩარეკით წყალს გამოიღებს და თავის ხელით დაალევიწებს საჩქაროთ. დალევის შემდგომ გულზე ხელს ჩამოისომს)*.

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი. ია! რა გრილად გადიარა ჩემს შინაგანს აგებულებაზე ამ ცივმა წყალმა. რა კარგი რამახარ, ციო წყალო. მოუთმენლობის განმქარვებლო და სინყნარის მშვიდობაო. აბა, რა ვქნა, როგორ არა ვსთქვა? ახ, ღმერთო ჩემო, რას გადაგვეკიდნენ ის ბარბაროსი თურქები, რა უნდათ ჩვენგნით? დასანთქმელნი ისინი, მათლად დასანთქმელნი. ვინც იმათ ხელს აშველებს, კაცობრიობასთან შემცოდება და თუ კიდევ განუგრძელებს ხელის მიშველებას, უფროს შემცოდე იქნება!.. *(ახლა დამშვიდებით)* გაიგონეთ, ახლა რა გითხრათ? ეს ჩვენი ქვეყანა, როგორც უნდა მოინდომონ თურქთა თავისად არ შეიძლება არ განთავისუფლდეს. – მე რომ უდაბნოში ვიმყოფები, ჩემს გამოკვეთილს კლდეში ვილოცამ, არ დაიჯერებთ, ჩემი სულის ცხონებისათვის მე აღარასა ვთხოვ ღმერთსა *(ამ უკანასკნელ სიტყვასთან აბუღელი გულხელ დაიკრეფს და თავს ჩაიღებს დაბლა, მეტად დალონებული, ანასტასიაც ბაღდადის ხელსახოცით ცრემლს იწმენდს თვალებიდან და თავიც ცოტა დახრილი აქვს, სახე დალონებული და ხანდისხან ცრემლიანსა თვალებს იწმენდს)*. ჩემი ვედრება და მწარე ცრემლი ეს არის ღუთის წინაშე: ავდენი ჩვენი მონებისათვის ბარემ მე წამწყმიდე და თურქების ხელისაგან კი განგვათავისუფლე მეთქი. *(აქ გაშვოთებული)* ოჰ, ღმერთო! რისათვის დამბადე? თუ დამბადე, რისთვისა მამეც მშობლის მამულის სიყვარული? განა არ შეგეძლო ისე დაგებადე, როგორც ზოგიერთი ჩემი მამულის შვილები ესათნობიან თურქებს, ისე მე დაგებადე? ეს განხურვალეული გული და სული რისთვის მომეც; ასეთი სურვილი, ანუ სიყვარული რათ ჩამიდე მამულისა: რა იქნებოდა, მეც სხვებისათვის სათნო კაცი ვყოფილიყავ და მამულისათვის ცივის გულით მეყურებინა: თავს რომ მოვესწარ და სწორეთ თავი ვიცან? ვნახე საქართველო თურქების მონების ქვეშ იყო. მაშინვე საზიზღრათ მეჩვენენ იგინი.

გარემოების გამო. თუმცა, მიდევნ-მოდევნა დაუნყე მე იმათ, მაინც ჩემი გული იმათთან ვერ დაეჩვია; უფრო და უფრო საზიზღრათ ამინდნენ თურქები. ამ დროებში, საბერძნეთში გაზრდილი, ჩინებუ-ლი ყმანვილი კაცები მოვიდნენ, ჩვენი მამულის ძენი; მე მნახეს და თურქების გარეკა მითხრეს; მე ასე მეგონა თორმეტი ფრთა შემასხეს მეთქი. მეტი მამულის სიყვარულით საქმის განუჩხრე-კელად გულ მოდგინედ შეუდექით საქმეს; მოვინდომეთ, თურქები გაგვერეკა და საქართველო გაგვენთავისუფლებინა, მაგრამ შეგვიტყვეს, დაგვიჭირეს და თურქეთში გადაგვყარეს. რას ვიფიქრებ-დიდი? ამ დროებში ხელმწიფეთ იჯდა დიდი გონიერი კაცი, ვინმე, დიდი მონყალე? ყოვლის მხრით ძლიერი! – და თავისი სახემწიფო მაღალ ხარისხში რიგზედ დამყარებული ჰქონდა. იმისმა ლმობიერ-მა გულმა უთხრა იმის დიდ ხელოვნობას. თავის მშობლის ქვეყნის განთავისუფლებისათვის, რომ გყვავო ზოგიერთი ქართველები ტყვედ, დაითხოვეთ თავის ქვეყანაში წავიდნენო, მაგდენი ხანი აღ-არა გამოვიდარა, – ჩვენს საქართველოში მოვედით და მეორედ გაცოცხლდა გული მშობლის ქვეყანაში მოსვლით. ბევრი ვეცადე, მინდოდა, გულის გრძნობა დამეთრგუნა და მშობლის ქვეყნისათ-ვის არა მეფიქრა რა, რავდენიც მოვინდომე, უარესი და უარესი ვნების ცეცხლი მომეკიდა მამულის სიყვარულით! ამის მეტი ველ-არა მოვიფიქრე რა, ბერად შევდექე, კაცს განვშორდი და უდაბნოში წავედი. იმ კლდეში, როდესაც ძლიერი სიყვარული მამივლის მამუ-ლისა, უნდა იცოდეთ, რა საშინელებით მოეჭიდება იმის ძალი ჩემს გულსა? – ახლა ველარ დავმაღავ თქვენთან და სწორედ გეტყვით, თუნდა დამძრახოთ მართლად, მაშინა ვარ მე შესაბრაალისი, – მე საცოდავი, – მე ესე მწირი ბერი კლდისა. მაშინ აღიმატებს ხოლმე: ხან სიგიჟე განშფოთებული, ხან გულ შენუხებული დავეცემი დედამინაზედ უწყალოდ დასუსტებული, და ხანდისხან ცრემლსა ვაფრქვევ ცხელსა, თურქების მაცურებელის ამ ჩემის უბედურის თვალებიდგან. ახ! მამულის ღვერფლში გახვეულო გრძნობავ! *(ხელს გულზე დაიდებს)*. იქ, იმ კლდეში, ჩემს ბედნიერებას არავინ უშლის, ჩემს საცოდაობას ვერავინ ხედავს, თვინიერ ღვთისა. გამად-ლოზ ღმერთსა! ამ სიმწარეში ამამივიდეს სული, ვნახოთ, ღმერთი-სათვის რა შესამატი იქნება, მაგრამ საკვირველს რასმე გეტყვით: *(აქ აბუღელი და ანასტასია თავს აიღებენ, გასწორდებიან)* ამ ერ-თის კვირის წინათ, ლოცვის შემდგომ ჩამეძინა ჩემ კლდეში, დილა იყო, მზეც მაღლა იყო ამოსული, სიზმარი ვნახე, ზეცას შევხედე; განმენდილის ზეციდგანა თეთრ მოსილი ბრწყინვალე ანგელოზი წამოვიდა ფრენით: ამ დროსა მე ერთს მწვანოვანს ადგილზე ვი-ჯექი და ეს ჩვენება მაკვირვებდა? ის მშვენიერი ანგელოზი ჩემთან

მოახლოვდა, ჩამოფრინდა; მინდოდა, წინ მივგებებოდი, მომასწრო და მიბრძანა: „ნუ ადგები, როგორც ხარ, აგრე იჯექიო.“ მე იმის ბრძანებას დავმორჩილდი. მოვიდა და მითხრა: მამაო სერაფიმ, შენი მხურვალე ვედრება ღმერთმა შეისმინა; მომილოცავს; თურქების ხელისაგან გამოიხსნებით ზეცის სასწაულის ძალითაო! ამ სიტყვასთან აფრინდა და ზეცაში მიიფარა, მეც მაშინვე გამომეღვიძა და ღმერთს მადლობა შევნიერე. მასუკან ვთქვი: რამდენი წელიწადია ამ გამოქვაბულ კლდეში ვიმყოფები, თუმც ყოველ წელიწადს ერთხელ ჩავალ, ჩემს ძმასა და რძალს ვნახამ ხოლმე, რაც აქ ქალაქ ტფილისში იმყოფებიან, მაგრამ ამ ერთს წელიწადს, ამითი მეორეთ ჩავალ და სიზმარს უამბობ ჩემს ძმასა მეთქი. ჩამოვულ და თქვენი სასიძოს ანბავი მიაბზეთ, რისთვის დამალულა *(ამასთან წამოადგება, კუნკულას მოიხდის, ზეცაში აიხედავს და სავადრებელის ხმით დაიძახებს)*. ღმერთო, მოწყალეო! შენ შეენიე; შენ დაიცვე ივინი, ვისაც ჩვენი მამულის განთავისუფლება უნდოდეთ. შენის გამოსხნისათვის, ჩემო მშობელო მამულო: რასაც-კი გონება წარმოიდგენს, ავსა თუ კარგსა, სუბუქს თუ მძიმეს, ერთის თქმითა ყოველს ღონისძიებასა, ყველას ვიკისრებ, არაფერს არ დავერიდები, ოღონდ გნახო გამოსხნილი და შენს თავისუფლებასა კიდევ ხმაურობდნენ ერინი, შენნი, ძველებურად, ძველის გრძნობით!.. *(სერაფიმის ამ უკანასკნელს უბნობაში აბუღელი და ანასტასია გაკვირვებით ისმენდნენ ამის ლაპარაკსა, მასუკან აბუღელი)*.

ა ბ უ ლ ე ლ ი. შენმა მადლმა, მამაო სერაფიმ, ყოველი შენი სიტყვა ძვირფასია, ეგ სიზმარიც სასწაულია, მაგრამ იმ ანგელოზს ვერა ჰკითხე, როდის ეღირსება საქართველოს განთავისუფლება?

ს ე რ ა ფ ი მ. აღარ დამცალდა, საჩქაროთ აფრინდა *(ამაზედ სამნივ შენუხდებიან და ანასტასია იტყვის)*.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. იმ დალოცვილს ანგელოზს, რა იქნებოდა ებრძანებინა, საქართველოს განთავისუფლება როდის იქნება?

(ამ ლაპარაკში ოთარა მოსამსახურე შემოვა და დიახ გაბთხილებით მოახსენებს).

ო თ ა რ ა. შენი ჭირიმიე; თქვენი სიძე ლიპარიდ გახლავსო, თქვენს ნახვას ისწრაფის, მაგრამ ტანისამოსი სისხლით შესვრილი აქვს და დაღალვაც ეტყობა *(სიძის მოსვლაზედ ცოტათი შეკრთებინ, მაგრამ დიდათ იამებათ)*.

ა ბ უ ლ ე ლ ი. ოთარავ, წადი; გაფრთხილებით შემოიყვანე *(ოთარა რომ გავა)*. გაბრთხილებით ვიყვნეთ. თურქებმა არ შეგვიტყონ.

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი. ვერას შეიტყობენ, ნუ ატოკდი აგრე, აბუღელო.

(ამ დროს ოთარა შემოიყვანს, შეხედვენ მკლავებზე, გულზე და კალთებზე სისხლი გადასდის. სამნივ გაკვირვებით შეხედვენ, უნდათ უთხრან რამე, მაგრამ ლიპარიდ მოასწრობს. ოთარ კუთხეში დადგება ხანჯალზე დაბჯენილი).

ლიპარიდ. ჩემს სიმამრს გაუმარჯოს, ჩემს სიდედრს მშვიდობას მოვახსენებ, და მამაო სერაფიმ, შენდობა, ბატონო *(მივა და ხელზე ემთხვევა. სერაფიმიც სიყვარულით აკურთხებს და შემდგომ გაოცებით ჰკითხამს).*

სერაფიმ. შვილო ლიპარიდ, რა ანბავია შენს თავზე, სისხლით შესვრილი ხარ?

ლიპარიდ. მეტად დაღალული გახლავარ; სამი თვეა, ტანისამოსი არ გამიხდია, ხან სად ვგდივარ და ხან სადა, – ბევრჯერ ორი დღე და ღამე გავა, ჩემს თვალს ლული არა აქვს. დღეს მესამე დღეა ჩემს პირს პურის ნაწილი არ უნახამს. თურქები თავ გადაგლეჯილი მეძებენ, მაგრამ ჩემი კვალიც ვერ გაიგეს: ამ დალოცვილს ქალაქის გარემო, ბევრი სამალავი ადგილებია. თუ შეიძლებოდა, მაჭამეთ რამე, დანარჩენს მასუკან მოგახსენებ.

აბულელი. ოთარავ, საჩქაროთ მოართვი რამე, იგემოს. *(მასუკან თავს სიძეს ეტყვის)* შვილო, მინამ საჭმელს მოგართმევენ, მოდი, დაჯექ და დაისვენე.

(ოთხნივ დასხდებიან. ცოლ-ქმარნი სიძეს შუაში ჩაისმენ ტახტზე და სერაფიმ პირდაპირ დაუჯდება სკამზე, გულ-სინძინდით მოჰყვება).

ლიპარიდ. კარგათ იცით თურქების ძლიერება! თუ ღვთის განგება არა დაეცათ რა იმათ, მარტო ჩვენ რა შეგვიძლიან, ამიტომ ღმერთზე უნდა მიგვეგდო და იმათი წინააღმდეგი არა გაგვევლო რა გულში *(ამ უკანასკნელ სიტყვასთან ოთარამ ვახშამი მოართვას, მინამ ვახშამს არ იგემებს, ხმას არ ამოიღებს. მაგრამ მცირედა სვამს და საჩქაროდ. ვახშამს რომ მორჩება, ოთარას ეტყვის).*

ლიპარიდ. ოთარავ! მეყო, დანარჩენი ვახშამი აიღე. *(მაგრამ ნახევარ პურს აიღებს და ხელში დაიჭერს, სიდედრი ეტყვის):*

ანასტასია. ჩემო სიძევ, რა ცოტა მიირთვი?

ლიპარიდ. ჩემთვის ბევრიც გახლავს; რაც გიახელ, ორ დღეს მეყოფა; ნახევარ პურსაც გაჭირვებისათვის შევიწინახამ *(ჯიბეში ჩაიღებს).*

ანასტასია. ჩემო სიძევ, რას გეყოფა ეგ ცოტა პური?

ლიპარიდ. ჩემო სიდედრო, კაცს რომ უჭირდეს, უნდა იკმაროს. ახლა გაიგონეთ, რაც მე გიანბოთ? მხოლოდ ამისი ნება მქონდეს, ჯერ ეს გკითხოთ? ამ რამდენისამ წლის წინათ, თქვენ და მამაჩემი რომ შემოურიგდით თურქებს და იმის შემდეგ აქ ქალაქში

იმყოფებით, მიზეზი რა არის, ჩემო სიმამრო!

ა ბ უ ლ ე ლ ი. მეფე დავითის ნებით, საიდუმლოთ დავეხმაურენით თურქებს: მითამ იმათ ძლიერებას დავმორჩილდით და ამიტომ შეგვირიგეს, მაგრამ ჩვენს საკუთარს მამულში კი აღარ დაგვაყენეს არც ერთი; მე ქალაქ ტფილისის მამასახლისობა მამცეს და მამამ-ენს რამდენიმე სოფლები. ჩვენც ეს გვინდოდა.

ლ ი პ ა რ ი დ. და რა შეიმატა დავით მეფემ თქვენის პერიგებით თურქებისაგან?

ა ბ უ ლ ე ლ ი. აი, რა შეიმატა? – ასე დავიახლოვეთ თურქები მე და მამაშენმა, რომ ყოველი იმათი საიდუმლო წვრილათ ვიც-ით. ჩვენც საიდუმლო კაცებს უგზავნიით ჩვენს მეფეს დავითს და ამათ ამბავს სულ ვაცნობებთ ხოლმე, პირველი საქმე ეს არის, რომ მტერმა ამბავი შეიტყოს, ნამეტნავათ დავით მეფისთანა კაცმა, და-ნარჩენი იმან იცის.

ლ ი პ ა რ ი დ. მერე, გენდობიან თურქები თქვენ?

ა ბ უ ლ ე ლ ი. სულელ ერთგულად ვაჩვენებთ თავი და საქმი-თაც ასე დაუმტკიცეთ; სულელ ერთგულს უფრო ენდობიან ესენი, მინამ გონიერსა. ასე დაგვარიგა ჩვენმა მეფემ: ასე მოიქეცითო და მართლა რომ ასეც იყო.

ლ ი პ ა რ ი დ. ყოვლის ფერით სრულია მეფე დავით, რომ იმაში ნაკლულევანება არა არის რა ჭეშმარიტად.

ა ბ უ ლ ე ლ ი. ეგ დიახ მართალია, მაგრამ ამაზედ-კი ვნაღვლობთ მე და მამა შენი, რომ შარშან რამდენიმე ჩვენი ქალაქის ვაჭრე-ბი წავიდნენ თურქებთან შიშის გამო; მეტი ღონე არ იყო, ჩვენც მოუმართეთ იმათ ხელი და დავით მეფეზე შესჩივლეს თურქების სულთანს, მაგრამ მალე ვაცნობეთ ყოველი იმათი ანბავი მეფეს, რომელისგანაც შეიშუსრა საშინელი მოსული თურქების ძალა და გამოგვიხსნა უკანასკნელის უბედურებისაგან მეფე დავითმა!

ლ ი პ ა რ ი დ. ეგ კარგი და კეთილი, თვენმა მზემა! აბა ახლა ჩემი ამბავიც გაიგონეთ *(სამნივ ყურადღებით ყურებას დაუნყებენ)*. ჩემი ამბავი წვრილად რომ გიაბოთ, გაგრძელდება, ამიტომ შევიმოკ-ლებ, თავი არ გეტკინოთ: მე თურქების წინააღმდეგი არასდროს არ გამივლია გულში, მაგრამ ყარყუმიძე რომ არის, ჯერ დამიმეგობ-რდა, მასუკან მთელი სამი თვე მდია, საქართველო გამოვიხსნათ თურქების ხელიდგანო. მე ყოველთვის კარგს ვეუბნებოდი. ერთხ-ელ სადილათ დამპატიჟა, სადილის შემდგომ მაცხოვარზე შემომფი-ცა: არ გიღალატეფო. მე მაინც ვარი უთხარ: მეორეთ კიდევ დამპატიჟა; პურის შემდგომ კიდევ მაცხოვარის ხატზე შემომფი-ცა: თავს შემოგწირავ, ოღონდ შეუდგეთო. სწორეთ მოგახსენოთ, კაცობაში ჩავარდი: შემდექ გულ მოდგინედ დავით მეფეს ვაცნობე

თურქების ამბავი, რასაკვირველია, იქილამ ამბავი მოგვივიდა; მადლობა ებრძანებინა ჩემს მეფეს დავითს ჩემთვის და ესეც მოენერა: ჩემს ყოველ ამბავს, ჩემი მეორე წიგნით შეიტყყოფ. მხოლოდ მანამდისინ ეცადე მამულის ამხანაგები გაიმრავლო – თურმე რათ იყო იმ შეჩვენებულის ყარყუმიძესაგან. მამაცყუა, წამაცდინა, თვითინ წავიდა, თურქების უფროს შეატყობინა ყოველი ჩემი საქმე, მითამ დიდი რამ საქმე გამოაჩინა თურქების წინააღმდეგი საქართველოში და ამით გააბედნიერებდნენ. რალა მოგახსენოთ, ერთ საღამოზე ჩემი მეგობარი სოლომან მოვიდა ჩემთან, ყარყუმიძესაგან ვაცემამ მიამბო. და რასაც ამბობდა, სულ მენიშნა. რალა უნდა ვსთქვა, კაცობაში ჩავარდი და უკან როგორღა დავდგებოდი. გიჟსავით წამოვხტი, ხანჯალი შემოვიკარ, კარზე გავარდი, ვთქვი: მუნიან ძალსავით დავაკლამ ყარყუმიძესა მეთქი. კარზე გავედი, ოთხი თურქი დამხვდა და ჩემი დაჭერა მოინდომეს, მალე მტერი თქვენ მოგაკვდესთ, მალე მე იმათ დავეხნიე. მე ამით ღმერთს ვმადლობ, ამ დროს ჩემი დედმამანი სოფელში იყვნენ, თორემ დაიჭერდნენ.

ა ბ უ ლ ე ლ ი. შენ რომ გავარდი, იმის მეორე დილაზე თურქების უფროს დავებარებინე და შენი ამბავი მიამბო. მე არ ვიჯერებდი, ფიცით დამაჯერებინა. რალა გითხრა, მეორე დღეს შენი გავარდნის ხმა გამოვიდა; იმ დროს დავით მეფეს წიგნიც მოვიდა, სულ ერთიანათ ჩურჩული დავინყეთ ქალაქელებმა.

ს ე რ ა ფ ი მ. ჰგავს, რომ ჩვენი განთავისუფლების დრო მოახლებულა, ამისთვის ხომ ზეციურის მადლის ნიშნები ჩანს.

ა ბ უ ლ ე ლ ი. ღმერთი; იმისმა მადლმა, კაცისაგან დაცემულს კაცს ღმერთი აღადგენს.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. მეც ღმერთს აღარ მოვასვენებ. ყოველთვის შევევედრები საქართველოს განთავისუფლებასა.

ლ ი ჰ ა რ ი დ. ჩემო სიდედრო, თქვენს გულმხურვალე ვედრებას ღმერთი გაიგონებს; ევედრეთ, შენი ჭირიმი; მაგრამ თუ ჩემი დედმამის ამბავი იცოდეთ, რამე მიბძანეთ.

ა ბ უ ლ ე ლ ი. შენი გავარდნის ამბავი მე მაშინვე მივიწერე. მამაშენს მოენერა: რაც საქმეები ყოფილა, დიახ მოსაწონია, მართალია, ერთი შვილის მეტი არ მყავსო, მაგრამ მშობლის მამულისათვის გამომიტეზია; ან მამული გამოიხსნას, ან არა და მსხვერპლად დაედოს მამულსაო. ჩემი ცოლიც ამ ჩემი ჰაზრის თანახმაა და ღმერთმა მშვიდობის გზა მისცესო.

ს ე რ ა ფ ი მ ი. აი, სწორე მამულის შვილობა აგრე უნდა.

ლ ი ჰ ა რ ი დ. მე იმათი ჯავრი მქონდა; რადგან ჩემი გულის სასიამოვნო ამბავი გავიგონე, ახლა კი მე ვიცი.

ა ბ უ ლ ე ლ ი. ყველა ითქვა, შენი ანბავი კი არ დაგისრულებია,

ჩემო სიძევ!

ლ ი პ ა რ ი დ. მართალია. – მე რომ გავარდი, იმ ღამესვე მინდოდა ბატონიშვილ დავითთან წასვლა, მაგრამ ვთქვი: რა კაცობა იქნება, მინამ ყარყუმიძეს არ მოვკლამ, აქედამ წავიდე მეთქი. ეს სამი თვეა, იმას ვდევ. – დღე ქალაქის გარე კლდეებში ვარ, ღამე შემოვდივარ, ყარყუმისძეს ვეძებ და ჩემ საქმესაც ვსაქმობ. ამ საღამოზე ქალაქის პირში რომ შამოველ, უეცრად ყარყუმიძე შემხვდა, მიველი და უკითხე:

აბა, შემომხედე, მიცნობ თუ არა? რანამს შემომხედა, მაშინვე სატევარი გაიძრო, უნდოდა, უეცრად გულში დაეცა, მკვირცხლავ მივწვდი, სატევარი წავართვი, მოვიქნე, გულ აღმა წავაქციე; უნდოდა, სახვენარი ეთქო რამე, მე იმას სიტყვის თქმა აღარ დავაცვილე; ზედ დავაჯეგ და გაუკითხავათ თვისი შიშველი სატევარი მკერდში დავეცე. ასე დავგმირე ბოროტი სული, მეც გული მოვისვენე. ამაზედ კი ვწუხვარ, იმის საზიზღარის სისხლით შევისვარე *(სამთავ დიახ კმაყოფილებით ესმოდათ და ამ უკანასკნელ სიტყვასთან დაიძახა)*.

ს ე რ ა ფ ი მ. იმისთანა კაცის სიკვდილი, თუ ცოდვა იყოს, ღმერთმა ჩემი სული ჯოჯოხეთში ჩააგდოს.

ა ბ უ ლ ე ლ ი. ეგ მარჯვენა შეგრჩა, ჩემო სიძევ, როგორ არ იცოდა იმ შეჩვენებულმა, ცუდს კაცს, გამცემელს, მამულის მოღალატეს კეთილი არ ექმნება. მაგას თავი დავანებოთ, ახლა ეს მითხარი, ვინ გაჭმევდა პურსა?

ლ ი პ ა რ ი დ. ორდღეში, ან სამდღეში ერთხელ ჩვენს საქართველოს მწყემსთან მივიდოდი, ისინი მაძლევდნენ.

ა ბ უ ლ ე ლ ი. მერმედ შენს ვინაობას კითხულობდნენ!

ლ ი პ ა რ ი დ. დიახ კარგადაც მიცნობდნენ და სიხარულითაც მაძლევდნენ.

ა ბ უ ლ ე ლ ი. მე მიკვირს: ყოველი მხრის გზები და ბილიკები რომ აქვთ თურქებსა, როგორ შემოხვიდოდი ქალაქში, ან როგორ გახვიდოდი?

ლ ი პ ა რ ი დ. რომელს მხარეს მე შემოვიდოდი და გავიდოდი, თურქებს არ უდგათ დარაჯები.

ა ბ უ ლ ე ლ ი. ქალაქში რომ შემოხვიდოდი, შენს მახლობლებს არ ნახამდი?

ლ ი პ ა რ ი დ. როგორ არა. დიახ ცოტა ხნობით. ისიც ჩემის საქმისათვის, მაგრამ მახარობელი ვარ, ამ ახლობანებში დავით მეფე დიდ გორისთავს გამოივლის ჯარებით და დიღმის მინდვრის თავში, დიდი ომი მოუხდება თურქებთან. ეს ებძანა წიგნით ჩემთვის და თვითონაც ზევით ხეობაში შემომხვდა ჯარებით.

ა ბ უ ლ ე ლ ი. ყველა ვიცი ეგენი, ახლა ჩვენც სამზადისი გვმართებს.

ს ე რ ა ფ ი მ. ჩვენ ბერები სულ მზათა ვართ.

ლ ი პ ა რ ი დ. ჩემი ამხანაგი ყმანვილი კაცები სულ გავიფიცენ-ნით *(აქ ლიპარიდ გაჩუმდება, რალაც სათქმელი აქვს, ვერ გაუბედ-ნია და ტოკამს; ბოლოს რის ყოფით იტყვის და ძლივს წამოსთქომს)*.

ლ ი პ ა რ ი დ. ერთი სავედრებელი მაქვს, გთხოვთ, აღმისრუ-ლოთ.

ა ბ უ ლ ე ლ ი. რა გინდა, შვილო, მითხარ!

ლ ი პ ა რ ი დ. ვაიმე, თუ არ აღმისრულოთ?

ა ბ უ ლ ე ლ ი. დიდის სიხარულით.

ლ ი პ ა რ ი დ. ჩემი დანიშნული, თქვენი ქალი ელენე მაჩვენეთ და საუკუნეთ დამავალეთ *(აბულებლი დალონდება)*.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. როგორ იქნება, შვილო ლიპარიდ, ჯვარ დაუნ-ერელი, მაგისტანა უკადრისი საქმე ვიკისროთ *(ლიპარიდ დალონ-დება)*.

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი. აბულებლო, რას დალონდი?

ა ბ უ ლ ე ლ ი. არ ვიცი, რა ვქნა, შენმა მადლმა.

ს ე რ ა ფ ი მ. რალა უნდა ჰქნა? ჩემო რძალო ანასტასიავე, ადექ, გამოიყვანე. – მე დამგმევით, თუ ეგ ურიგო იყოს.

ლ ი პ ა რ ი დ. *(წამოიჭრება დაჩოქებით, ორსავ ხელებზე ემთხ-ვევა და მასუკან)*. თუ მაგთენს მონყალებას მოიღებთ, გევედრე-ბით, მარტო მაჩვენოთ, ორიოდ სიტყვა უთხრა, მასუკან ისევ შემო-ბრძანდით.

ს ე რ ა ფ ი მ. აგრე იყოს, შენმა გაზრდამ. ჩემო ძმაო და რძალო, გთხოვთ გამობრძანდეთ, მე უნდა დამიჯეროთ, მე ურიგოთ არას გირჩევთ *(ერთ ხელს თავის ძმას დაუჭერს, მეორეს თავის რძალს და სამნივ გავლენ; ისინი რომ გავლენ, ლიპარიდ მოვა კარების პირდაპირ, შუა ოთახში დადგება, შემოსავალს კარებს ყურებას დაუწყებს და დაჯდება)*.

ლ ი პ ა რ ი დ. ამბობენ, საკვირველი მშვენიერებაა ელენეო! არ ვიცი, როგორ გამოვხატო? ანგელოზათ: თუ ზეციურის რასმე საკვირველებათ! რა ვქნა, მე ჯერ ის არ მინახამს; ასე ვძრნი, როცა იგი მშვენიერება ვნახო, რა დამემართება? უნახავმა სიყვარულმა ჩემი მაგარი და ჩემი ამაყი გული დაიმონა და იმის თაყვანის მცემე-ლი შემქნა. – კარებო, კარებო, როდის იქნება მაგ შენ შემოსავალ-ში გამოვიდეს, რომ რალაცა დიდებად მოველი! არა ვიცი, ეს ერთი წამი, ჩემთვის რამდენი დროებია! *(კარებისკენ დარჩება თვალი. – ამ დროს მეორე კარებიდაგან შემოვა, დიახ წყნარის რხევით, ტანზე თეთრი ფარჩა აცვია; ფეხებზე ნითელი ნულეები და სრულად უჩანს*

ფეხები. ნელზედ პირისფერი სარტყელი არტყია, გულისპირათ ეგრეთვე, ვინრო თავსაკრავი აკრავს, თეთრი ოქრომკედიანი ნაკერი წითელ ხავერდზედ და ლეჩაქი ფანცი რამე არის. შავნი დალაღნი მუხლებამდინ გადმოშლია; რხევით მოდის და ჯერ ვერ ხედავს).

ლიპარიდ. რა იქნა იგი მშვენიერება! იქნება რომელიმე ანგელოზი ჩემი მეტოქე შეიქნა და ზეცაში ალიტაცა სასუფეველისა დასამშვენიებლად? იტყვიან: მეტი მშვენიერი ქართველი ქალი, ანგელოზსაც უყვარს და ძილში თეთრს მკერდზე ესიამოვნებაო. ოჰ, იმ დროს რა იქნება ჩემი ელენეს ძილი, ანუ იმისა ნეტარებითი ქმენა! არა; დამეხსენ, ანგელოზო, დამეხსენ, ანგელოზო, დამეხსენ, შენი ჭირიმე, ელენე ჩემია, ჩემი დიდება! ჩემი სიცოცხლე და ჩემი სიკვდილიც (ამ დროს კაბის შრიალს გაიგონებს შემკრთალის სახით. რა წამს ლიპარიდ დაინახამს, დაიბარბაცებს, მაგრამ საჩქაროთ ისევ გასწორდება და ამასთანავე დაიძახებს). ოჰ, ეს რომელი საკვირველება დავინახე! ჭეშმარიტად მოლოდინად ღირდა! (გაქანდება და იმას წინაშე თაყვანსა სცემს და შემდგომ დაიჩოქებს ერთს მუხლზედ). ზეციდგან მოწყვეტილო მშვენიერებავ! მე შენ მარად თაყვანს უნდა გცემდე და შენს მშვენიერებას ვილოცვიდე! მართლა რომ ზეცის ტახტსა ზედა უნდა იჯდე! შენს მშვენიერებას შემოჰსტრფიდნენ ანგელოზნი! – ზეციერო მშვენიერებავო! მაიტა, შენს ფეხს ადგილას ვენთხვიო, შენი მშვენიერება მფარველად იყოს ჩემდა მარადის. (მივა და იმას ფეხის ადგილას ემთხვევა კრძალვით, ელენე დიდათ შემკრთალია და არ იცის, რა უნდა ქნას. ლიპარიდ კიდევ იტყვის) ღვთაებისაგან დახატულო! იმასაგანვე გადმოვლენილო ჩემად გვირგვინად! დამხოვით გევედრები, მაგ შენი სარტყლის ნაკუნნი მცირედი მიბოძო, თაყვანის საცემელად მქონდეს და ჩემს ხატად ვისვავდე. – გევედრები, შენი გასპეტაკებული თითებით გადამიხიო, თორემ მე როგორ შევეხები შენსა სამოსელსა, შენ სანყენად. შენმა სიცოცხლემ, ელენე. შენმა და ჩემა მშობლებმა, მე ექვსის წლისას, შენ გულზედ ხელი რომ დამადებინეს შენს აკვანში ჩაძირულსა შენ, მე და შენი ცოლქმრობისა, მაშინვე მენვია მაღლი ზეცისა, სიყვარული შენი, შენმა გაზდამ (ელენე დამკრთალი დგას გულხელ დაკრეფილი და ვერ გაუბედა, ამ დროს სერაფიმ აბულელი და ანასტასია შემოვლენ, სერაფიმ ელენესთან მივა, სარტყელის წვერს მოუხევეს და ელენეს ეტყვის).

სერაფიმ. აჰა, ჩემო ელენე, ეს ნაკუნნი შენის ხელით მიეც შენსა ქმარსა ლიპარიდს.

(ელენე უნებურათ გამოართმევს და გაუბედავთ მისცემს. ლიპარიდ იმის წინაშე აკოცებს, მასუკან წადგება და სერაფიმს ორსავე

ხელებს დაუკოცნის. შემდგომ მამაცურის სიტყვით დაიძახებს).

ლიპარიდ. ეს ნაკუნჩი ჩემი მფარველი უნდა იყოს; ეს რომ უბეში მქონდეს, ვილასი მეშინიან? ბრძოლაში რომ ერთი ათათ მომიმატებს ვაჟკაცობას. (აქ გაჩუმდება, ნაკუნს უბეში ჩაიდებს და მასუკან შენუხებით იტყვის) მაგრამ ახლა წყალობას ვითხოვ დამითხოვეთ, საჩქაროთ მინდა, ნავიდე: მშობელი მამული მიწვევს და ველარ დავიგვიანებ.

აბულელი. რას ამბობ, შვილო, საით უნდა წახვიდე?

ლიპარიდ. ჩემთვის ნუ სწუხართ, ამ მტკვარში შევალ და საჩქაროდ გავცურდები.

ანასტასია. შვილო, შენი ჭირიმი, არ დაიხრჩო.

ლიპარიდ. არ დავიხრჩობი, ჩემო სიდედრო; შიში სად არის ეხლა ჩემთვის?

სერაფიმ. ნადი, შვილო, ღმერთი იყოს შენი შემნე და წინა მორბედი (მოშორებით დგას ელენე, სიყვარულს აუტაცნია და შიშით ცოტათ კანკალებს და ცდილობს არავინ შეამჩნიოს).

სერაფიმ. მშვიდობით, რომ გახვიდე, როგორ შევიტყვოთ შენი გასვლა!

ლიპარიდ. სამ ნიშანს მოგცემთ. პირველი მტკვარში რომ გავალ, სამჯერ დაუშტვენ, მეორე, აგერ იმ მთაზე ავლაბარს რომ ავალ, ათჯერ დავაკვესებ ტალკვესს; იმისი ცეცხლი ნიშნათ იყოს, სამშვიდობოში გავედი და მესამე, ამ ათს დღეზე, აგერ დიდ გორის ეკლესიის დღესასწაული რომ მოვა, სადაც საქართველოს მლოცავნი მრავალნი შეიყრებიან. იმ დღის შუალამისას, ამ დიდგორის მთაზე, ერთი დიდი წითელი სინათლე ამოვარდება, რომელიც ყოველ არე მარეს განანათლებს. ეს ის ნიშანია, მთელი საქართველო აღიჭურვება. გავარდნილი ვიყავი, მაგრამ ჩვენის მეფის დავითის ბრძანებით და იმისი წერილის დაგირებით: ასე და ასე მოიქეც და ასე ისაქმეო. მეც თვითეულად აღვასრულე იმისი ბრძანება და ყოველს მხარეს ვსაქმობდი. რაღა მოგახსენოთ, სულ მზათ არის, ჩვენი ერნი და იქ ცეცხლის მახლობლად გადანყდება ჩვენი და თურქების საქმე.

სერაფიმ. მაშ, პირდაპირ რატომ არ მიდიხარ და მტკვარში უნდა გაცურდე?

ლიპარიდ. არ შეიძლება, პირდაპირ ნავიდე; თურქებს ყოველგან კაცები უჩენიათ; ყოველ თვითეულად სჩხრეკენ მგზავრსა და მე მეძებენ. ჩემთვის ნუ სწუხართ, რაკი იმ ავლაბრის მთაზედ ავალ, იმას იქით ხევში, ჩემი რავდენიმი ამხანაგი დამხვდება ცხენიანები და მასუკან ჩვენ ვიცით, როგორც ავალთ დიდ გორზედ.

სერაფიმ. შვილო ლიპარიდ, გაეშურე, გაეშურე. მეც მოხ-

უცებულ ბერსა ჩქარა მნახამთ თქვენს რაზმებში მოქადაგედ. ბერი, – მოხუცებული, ყმანვილი და დედაკაცნი, სულ ერთიან უნდა გავიდეთ; ან ჩვენს ლეშზე ვატაროთ თურქები, ან არადა თურქებისაგან გამოვიხსნათ თავი. ახლა ჩემთან მოდი ჩემო შვილო, (ლიპარიდ მივა) ქუდი მოიხადე. (მოიხდის). სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ (ჯვარს დასწერს). საჩქაროთ წადი, ღმერთი იყოს შენი შემწე და მფარველი (და ხელზე ამთხვევინებს, მასუკან ლიპარიდ გამობრუნდება, სიდედრი და სიმამრიც გადაეხვევიან, მერე ელენეს თავყანსა ცემს ერთის მუხლით და სწრაფ მტკვრის პირისაკენ წავა, მაგრამ ამ ოთახს რუსები რომ აქვს და სრულიად ახსნილია, ზევითაც ითქვა, რომელსაც მტკვარი ჩამოუდის წინა; მტკვარის მომდინარეობა სრულიად სჩანს ოთახიდგან. ამ ოთახს მდაბალი მოაჯირი აქვს, რომელზედაც გადავა და მტკვრის პირზედ დადგება, ამ ამბავში ელენე კუთხისაკენ დგას და ციებასავით აკანკალებს სიყვარულსა და შიშსა ქვეშ მყოფი. მტკვრის პირს რომ დადგება, ესენი მოაჯირთან მივლენ და იქიდგან ყურებას დაუწყებენ).

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. ქა! გენაცვალოს ჩემი თავი, ჩემო სიძევ, ხომ ხედავ, როგორ მოდის მტკვარი, დიდი ზვირთების სროლით? საიდგან როგორ უნდა გახვიდე ამ მოჩანჩქარეს მდინარეში?

ლ ი პ ა რ ი დ. ჩემო უძვირფასესო სიდედრო! მამულის სიყვარულის სასწაული გამიყვანს. მამულის მოყვარულმა შიში არ უნდა იცოდეს არას დროს, ხოლო, რასაკვირველია, ყველა გაფრთხილებით უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი თავი არის მსხვერპლი მამულისა და სიცოცხლე იმისა ბედნიერება. ვინც თავის მამულს ცივის გულით უყურებს და მხოლოდ ანგარებას მისდევს, ანუ პატივის მოყვარულობას, იმისი საამო დიდება ჰგავს ქლექის მადას საქმლისათვის.

ს ე რ ა ფ ი მ. შვილო ლიპარიდ, სწორედ აგრე უნდა გრძნობა მამულისა, ვისაც მაგისთანა გრძნობა ექნება, უთუოდ მამულს გამოიხსნის, რაც უნდა დიდი მტრებისაგან იყოს დაპყრობილი.

ა ბ უ ლ ე ლ ი. მართალია, ამისთვის, რომ იმას სიკვდილისა არ შეეშინდება არას საშინელებაში: მართალია, ამისთვის, რომ იმისი სვინდისი ყოველთვის და ყოვლის ფრით წმინდა იქმნება და პატიოსნებით სავსე. ნეტავი იმას, ვინც თავის მამულზე წმინდა სვინდისით არის (ამასთან ისე ტანისამოსით შევა ლიპარიდ და თან ამას იტყვის).

ლ ი პ ა რ ი დ. რაც ითქვა, მართალია. ღმერთო, დიდო, შეგვენი. (ის რომ მტკვარში შევა, ესენი აქ დაიჩოქებენ, სერაფიმ კუნკელას მოიხდის და მასუკან სულ ერთიან ხელ აპყრობით ღმერთს

ვედრებას დაუნყობენ ჩუმათ. ელენეს ყველას უკან დაუჩოქნია და ღმერთს ევედრება მწარეთ შენუხებული ზეცაში შეჭვრეტით. ლიპარიდ მტკვარს მიარღვევს და თამამათ მიცურამს: ბოლოს მშვიდობით გავა; მტკვარის ნაპირზე სამჯერ დაუშტვენს და საჩქაროდ წავა მთისკენ. აქ ესენი წამოდგებიან, ამ დროსვე სრული მთვარე უეცრათ ღრუბელს გადაიყრის და სრულის სინათლით გამოჩნდება).

ანასტასია. კარგი ნიშანია, მთვარემ ღრუბელი გადაიყარა. უეცრად და ლიპარიდიც მშვიდობით გავიდა მტკვარში.

აბულელი. მაგრამ ჯერ სამშვიდობოში არ გასულა.

სერაფიმ. ღვთის მოწყალებით, იმ მთაზედაც მშვიდობით ავა. თვალს ნუ მოაშორებთ, იმ მთას ათი დაკვესება დავთვალოთ (მცირე ხნის შემდეგ).

ანასტასია. მამაო სერაფიმ! – ხედავ, იმ მთის შესავალზედ, მგონია სიგანა გამოსჩნდა კაცისა! (სერაფიმ და აბულელი შუბლზე ხელის ვადმოფარებით).

სერაფიმ. ვხედავ, ძალიან სწრაფათაც მიდის, მაგრამ ძლივ მოჩანს.

აბულელი. მგონია, ის საგანი მთის წვერზედ ავიდა?

ანასტასია. სწორედ მთის წვერზედ დადგა, ვნახოთ ახლარა იქნება? (ამ დროს მთვარეს ღრუბელი ისევ გადაეფარება; აქ ხმას აღარ ამოიღებენ და ყურებას დაუნყებენ. ელენე ისევ ისე დაჩოქებულია და ისევ ისე ევედრება ღმერთსა, მარამ ამ ქალს სრულებით არ უყურებენ ბიძა და დედ-მამა და სამთავ თვალი იქითკენ აქვთ დარჩომილი. – აქ ლიპარიდ დაკვესებას მოჰყვება და სერაფიმ თვლას).

სერაფიმ. ერთი, – ორი – სამი. ოთხი – ხუთი. ექვსი – შვიდი – რვა – ცხრა – ათი (ეს რომ ათს იტყვის, ელენე მინაზე დაემხება; ღმერთს მაღლობას შესწირავს და საჩქაროთ ადგება, რომ ვერ შეამჩნევენ და მეორე მხრიდგან გავა, მასუკან მობრუნდებიან და სერაფიმ იტყვის).

სერაფიმ. აქ ჩემი დადგომა აღარ შეიძლება, დიდად საჭიროა საჩქაროდ გავემურო. ოცი ათასი მეტი ბერია უდაბნოებში განდევნილი; ყველას დაუყოვნად შევატყობინებ იმ ეკლესიის დღესასწაულში წავიდნენ. ხუმრობა არ არის ოცი ათასი ბერი; სულ მომზადებული ვართ; ერთი მოხუცებული ბერი უდაბნოში აღარ დარჩება და გულმოდგინეთ წავიდენ. დიდი ხანია, ჩვენ ბერები ვემზადებით (მასუკან კარებისკენ წავა და კარებთან რომ მივა, დაიძახებს). მშვიდობით (საჩქაროთ კარებში გავა, აბულელი თავის ცოლს ხელს დაუჭერს, მივლენ და ტახტზე დაჯდებიან).

აბულელი. ჩემო ანასტასიავ, მართალია, შენ სომეხი ხარ,

მაგრამ სულ ერთიანი ვართ, ერთი დედამამის შვილები. აბა, ეხლა გამოგიჩნდებათ თქვენ, სომხებსა, თქვენი მამულის სიყვარული და ერთგულება. შენ ხვალ დილაზე პირველი სახლები დაიარე სომხებისა და ჩვენიც. ყველანი შეაგულიანე იმ ეკლესიის დღესასწაულში წამოვიდნენ, იმათაც შეაგულიანონ, როგორც შენი კეთილგონებისაგან ვიცოდე: ისე მოიქეც, მარამ გაფრთხილებით.

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. მალე მტერი შენ მოგიკვდეს, მალე მე ისინი აღვძრა, ოო! საქართველოს ქალებს ნუ გვეხუმრებიან, ჩვენი მამული გულით გვიყვარს; ვგრძნობთ და დრომდისინ დაჩუმებული ვართ.

ა ბ უ ლ ე ლ ი. დიახ, კარგად მოდის საქმე, ახლა მეც ჩემს საქმეს შეუდგები. ასე უნდა მოვაგვაროთ, რაც ამ ქალაქში ჩვენი ერნი არიან, დედაკაცი თუ კაცი, თავის შვილებით, სულ იქითკენ წამოვიდნენ: ერთი აღარ დარჩეს ამ ქალაქში თურქების მეტი: ვინ რას იტყვის, ეკლესიის თავყვანის საცემლად მივდივართ დღეობაში *(ამასთანავე ორნიც დადგებიან და გავლენ პატარახანსუკან, ელენე შემოვა, ნელიადის გავლა-გამოვლით მოჰყვება ლაპარაკს; ლაპარაკში ხშირად შედგება და ისე ლაპარაკობს)*.

ე ლ ე ნ ე. რა ჩვეულება აქვთ ამ ჩვენს ქართველებს? მინამ ეკლესიაში არ შეიყვანენ ქალს ყმას ქორნილისათვის, მანამდისინ ერთმანეთს ვერ ნახვენ. არ ვიცი, რა ჩვეულებაა – ქალი ყველგან ხედავს თავის საქმროსა დაფარულის ადგილებიდან და საქმროსათვის სრულებით დაფარულია, ამის გამო ზეციური რალაც საკვირველი შვენიერება ჰგონია თავის დანიშნული თავის საქმროს, ამისთვის ატაცებულისათვის არის უნახავის სიყვარულისაგან! – მე რომ გონჯი ვყოფილიყავი, მაშინვე ხომ წამოხტებოდა ჩემი საქმრო და გაიქცეოდა, რომელიც ათასი მაგალითი მომხდარა – კარგი იქნებოდა ამისთანა უმსგავსო საქმე! – აბა, რა იყოს? – ჩემი საქმრო ჩემს წინაშე სრულს სიყვარულს მიფენდა და მე ვერც კი შამეხედა, მაშინ, როდესაც ჩემი გული კვდებოდა ძრიელის სიყვარულის გრძნობით! და სულ ერთიანად ვკრთოდი ვნების სურვილით! აბა, რა არის ამისთანა უმსგავსო ჩვეულება? – არა, ვერ შემიტყვია! ვის ვეკრძალებოდი? და მეც იმისთანა მსგავს სიყვარულს არ უფენდი საქმროსა? – არა, ეს ჩემი წმინდა სიყვარულიანი გრძნობა კაცის წინაშე რომ დაფარული იყოს, ღმერთთან ხომ ვერ დაიმალება, ან ჩემს სვინდისთან? არა, ეს ჩემი წმინდა და უმანკო სიყვარული უბრალო ხომ არ არის, ჩემი ჩრდილისაც მეშინოდეს? რათ უნდა დამალული იყოს ეს ჩემი მომბზინვარე და გაბრწყინებული სიყვარული! რომელიცა ამისი სინათლე ჩემს სულს ანათებს, გულსაც ათასობით აცოცხლებს! არა, – არა, – მე ველარ დავმალავ. მე ქართველი ქალი

ვარ და ჩვენი მზის სიცხით გამაძლარი!.. თუ ერთი კიდე ვნახამ ჩემს საყვარელ საქმროს, ჩემს წინაშე აღარ დავაჩოქებ, მაშინვე მივალ, ხელით ყელზე გადავხვევი, თავს გულზედ დავუდგებ და სურვილით ვეტყვი: „აი, შენი საუკუნო საყვარელი ელენე.“ კარგია, გავათავო, მასუკან მე ვიცი და ჩემმა ცხელმა გულმა! ახლა სხვა ვთქოთ. – ჩემი საქმრო ლიპარიდ გააჯავრა ყარყუმიძემ და მაგიერი მიაგო, ჩემი საქმრო მშვიდობიანი ყმანვილი კაცი იყო, არავის საქმეში არ ერეოდა; ახლა ძალათ შეიყვანეს ძნელ საქმეში. მაგრამ ადვილად მოქმედებს და მრავალნი ამხანაგნი იშოვნა მამულის მოყვარულეები. ზიდა ჩემი ბერი გიჟისავით გაიჭრა ოცი ათასი ბერის შესაჭურველად – დედა ჩემი ხვალ დილით აპირებს პირველი კაცების ცოლების ნახვას და უთუოთ მხარს მოაბმენ მამულის განთავისუფლებისათვის. მამა ჩემს ადრითვე ლაპარაკი ჰქონდა პირველ კაცებთან და ეხლა რომ მამაცურათ მოემზადებიან ყველანი – აქ რომელია დარჩა მშობლის მამულის შეუნეველი? – აი, ჩვენ, ყმანვილი ქალები: ჩემო უსაყვარლესო დებო. ყმანვილო ქალებო; ქმრიანებო, ანუ გასათხოვარნო. აბა, ჩვენ რალას ვაპირებთ? ეს ხნისანი ადამიანები, რომ აღიძრნენ, ჩვენს ყმანვილ სისხლსა და გაცეცხლებულს გულსა რალა მართებს? წავიდეთ, წავიდეთ და სისხლი დავღვაროთ. ვინც მამულისათვის მოკვდება, ზეციდგან ანგელოზნი გადმოეგებიან იმის სულს გალობით; მონინებით მიიყვანენ და ზეცის ტახტსა ზედა დაამკვიდრებენ. – აბა, ახლა ჩვენ ყმანვილი ქალები მეტოქენი შევიქნათ ყმანვილის კაცებისა, ვნახოთ, ვინ უფრო ვაჟკაცობას შევიძინებთ? წავიდეთ, – ჩვენ წაუსწრათ; იმათზე ადრე შევიდეთ მტრის გუნდებში საომრათ და მაგალითი ჩვენ შევიქნათ ყმანვილის კაცებისა! მშობლის მამულის სიყვარული ჩვენი მაგალითად დავიდოთ და ყოველთვის ვიქებოდეთ ქვეყნისაგან. ამდენი ჩვენი დამდაბლება ვიკმაროთ შემოსულის უცხოთ თესლისაგან და დრო არის მტერსა ხელი მივყოთ. ამ ჩვენი წმინდის გიორგის ნაწილის მადლმა *(ოქროში ჩამჯდარს ამოიღებს უბიდგან და დაანახებებს ყველას)*. რომელიცა დავით მეფეს გამოეგზავნა მამიჩემისათვის: შენს ქალს მიეცი ჩვენი ქალების მამულის სიყვარულის ნიშნათ ჩემაგიერთო: ამისმა მადლმა, ასე წვრილ წვრილ ნაკუნათ უნდა დავეკუნნეთ ჩვენს მშობელს მამულს და ზედ სამკურნელოს წამლათ დავედოთ. ეს იქნება არა მსხვერპლი, არამედ მოპოება მამულისა *(ამასთანავე ერთის მუხლით დაიჩოქებს, ორსავე ხელის თითებს ერთმანეთში გაუყრის. ასე ნიკაპს ქვეით გულთან დაიჭერს და მასუკან გულმტკივნეულად მოჰყვება)*. რალა ბევრი შეგანყინოთ; – უსამართლოდ დაცემული, უბედურებით შენუხებული გვედრებათ ივერია, თავო შვილებო, მუხლ დადრეკით და შეინრუებულის გულით, მონყალება

მოილოთ; თურქების ტყვეობიდან გამოიხსნათ და საუკუნოდ დას-
დოთ ვალი თქვენს მშობელსა ივერიას! მთელი ხმელეთის ერნო!
თქვენც გულმობიერად მოიხედეთ და ჭემმარიტი კეთილ სვინ-
დისიერი სამართალი მოახდინეთ, ივერიასა და თურქებს შორის.
ადულებულის გულით და გამწარებულის ცრემლით გვედრებათ
თურქებისაგან მოტყუებით დატყვევნილი ივერია! (ამ უკანასკ-
ნელ სიტყვასთან უწყალოდ შენუხებული, მარცხენას ხელს გულ-
ზე დაიდებს და მარჯვენას გაიშლის სათხოვრისას. კარგახანი ასე
იქნება და მასუკან ფარდა ჩამოეფარება).

დასასრული (პირველი მოქმედებისა)

მეორე მოქმედება

*(დიდი მთაა და მთის წვერზე ცეცხლი ეკიდება დიდის ალით.
ქვემოთ ტყის პირია და დიდ გაფოთვლილ ხეებს ქვეშა სხედან
ყმაწვილი კაცები, წითელის ტანისამოსით, დიდრონს ხის კუნძებ-
ზე, მედიდურის სახით. იმათ კარგა მოშორებითა დგას ლიპარიდ).*

ლ ი პ ა რ ი დ. სწვდება ზევით ჰაერს, ამ გაშანთლულის ცეცხ-
ლის უმწვერვალესი ალი, ნაპერნკლებ შეტყორცილი გაციებულს
წმინდას ჰაერში, შენ, ცივო ჰაერო, მიიღე და განიხურე თავი, მაგ
მძაფრისა ალით და უფრო მაღალსა სფეროზედ აიტანე მაგის
სინათლე. მართლად, კარგ სიმაღლეზე ავარდა და იქიდგან ანათებს
ყოველს არე მარეს ჩვენს მიდამოს გარემოსად, ეხლა ჩვენი ბატო-
ნი, იმ ზეცის საგებზედ, პირველ ჩვენდა მოსწავება ღვთაებისაგან?
მოდის ჯარით, იმხელგამომვალას ქართველობით და მოაქვთ თა-
ვიანთი გათამამებული ვაჟკაცობა! კარგი ოსტატი გვყავს ეხლა
ჩვენ; ისეთი მასწავლებელი და წინა-მორბედი, რომ მთელი ხმელე-
თი ჩვენზედ შეიძრას, ბუხსაც ვერ აგვიფრენენ, ჩემო ხელმწიფეო
დავით. შენ რომ გებძანა ჩემთვის: ვინმე ლიპარიდი, კარგი დიდი
ცეცხლი დაანთეო და დიდ გორის წვერზედ, ბრძოლის სამი დღის
წინათო, რომელმაც მისმა შუქმა, თურქთა ზარი დასცეს და ქა-
რთველთა გულთა ეჭრათ სიხარულიო. ოჰ! ღმერთო! ახლა ჩვენის
ბატონის გული, გაღვიძებულია რამდენიმე სიამოვნით, ამ ცეცხ-
ლისა შეცქერითა. მოდიან და მოუხარიათ ერთობ იმა ქართველებ-
თა, ეს აპრიალეებული, სამი დღე და ღამის ცეცხლი, ჩვენი ხვალის
ბრძოლის ნიშანია, თურქებთან. ჰაი, ჰაი, კაცთა სისხლის ღვრაო;

რა იქნები ხვალე! კარგი მომავალი კარგია ხვალ. ეტყობა, ცხელ დღეს ამზადებს ზეცა! შენ დიდო სანათო დიდგორისაო! ნათლად გაუნათე ჩვენ მეფესა გზანი, რომ ერთი მცირედი დაყოვნება არსად არ მოუხდეს და ერთი ბენოდ არ დაულონდეს გული იმას (ახლა თავს ქართველებსაკენ).

ლიპარიდ. ზურაბ, (ერთი იმათგანი, კუნძებზე რომ სხედან, წამოდგება) ეგ უკანასკნელი ხის კუნძები წაიღეთ და ცეცხლსა მიუმარჯვეთ, არ უკლოს იმისმა სინათლემ. გესმის ზურაბ, იმისმა აღმა არ უკლოს, რომ ხვალ სიკვდილის ქორწილი გვექნება; სიკვდილი დიდებული და სიკვდილი სადღესასწაულო!

ზურაბ. პირველად მე ჭირის სანაცვლო, ხვალ ჩინებულს დღესა!

(აიღებენ კუნძებსა და გავლენ).

ლიპარიდ. რა კარგი რამ არის ეს ჩემი ზურაბა, ჩემს ძუძუსთან ერთად გაზრდილი, ჩემი ძიძის შვილი. რა ვიცი, მე და იმან თხუთმეტ თხუთმეტის წლისა, მარტო ჩვენის ხლებით მეტათ მოვანონეთ თავი თურქებზედა ჩვენს მეფესა დავითსა და ეხლა რალა ღმერთი უნდა გაუნყრეს ჩვენს კაცობას?

(ზურაბ ისევ შემოვა).

ზურაბ. თქვენის ბრძანებით, ლიპარიდ, ამაღამ ამ ცეცხლისა სინათლესა, მოფენილი ბრწყინვალება არ მოაკლდება, მაგრამ ვილაც ცხენიანები მოვიდნენ ჩვენ წინამე ჯარში; აი, ცხენიდგან გადმოხტარა და კიდევ მოდიან. ბარამ, მეფე დავითის პირველი საყვარელი. როგორ დასწვია სიციხით პირი იმ ცხელს ქვეყნებში?

(ბარამ შემოვა თხუთმეტის შუა-ხნის კაცებითა წითლად შემოსვილნი).

ბარამ. ლიპარიდ, გაგიმარჯოს (ლიპარიდ მძიმედ თავს დაუკრავს).

ლიპარიდ. ღმერთმა გაგაძლიეროსთ, სახელოვანო ბარამ!

ბარამ. ლიპარიდ, რა კარგი ვაჟკაცი შექმნილხართ. გახსოვთ? თურქები რომ წაიყარე წინა: ვით ლომმა ველურნი ნადირნი და ხმაღ მოსეული, გადმოხვედი მთელი ისევ? – თხუთმეტის წლისამ ის რომ შეიძლე, ეხლა რა დაემართება შენს მოპირდაპირე მტერსა.

ლიპარიდ. თავს ნუ მომანონებინებ აგრე, პატივცემულო ბარამ, მაგრამ გთხოვ, მიბრძანოთ, ჩვენმა მეფე დავითმა ხომ არა დაგაბარათ რა ჩემთან? იმის ბრძანება ჩემთვის ღვთის წყალობაა.

ბარამ. შენთან და სხვებთანაც ბევრი...

ლიპარიდ. ჩემთან რაო, შენი ჭირიმე?

ბარამ. მამულის სამსახურისათვის ბევრი, ბევრი მადლობა გიბრძანა. ეგ იმისი საჩუქარი წითელი ტანისამოსი, ოქრომკედით

ნაკერი, რომ ზედ გაცვია, და ესეც შემოგიტვალა: „მეც ჩქარა გნახ-
ამო.“

ლიპარიდ. *(სიხარულით)* სად და რომელ ადგილს ბრძანდება
ეხლა?

ბარამ. რად გინდა, სადა ბრძანდება, ამ ცეცხლს უყურებს და
მოდის ალტაცებულის გონებით. ამაღამვე მობრძანდება აქ უთუ-
ოთ.

ლიპარიდ. მიაბზეთ იმის ამბავი, მეტად მიაბება, თავრიზში
რომ შებრძანდა გამარჯვებული, რა ქნა ნეტა, მითხარ?

ბარამ. ჭეშმარიტად ღვთის განგებაა, თორემ კაცისაგან რო-
გორ შეიძლება, რაც დავით მეფემ შეიძინა! ჯერ ეს უნდა გითხრა,
ღვთის მოშიში და მლოცავია საკვირველი! იმის პირი ღვთისადმი
ვედრებისაგან არ დასცხრება და იმის ვედრება ეს არის: „ღმერთო,
თურქების ხელიდგან განგვანთავისუფლეო.“ ერთს დილაზე მო-
ბრძანდა ჩვენთან, შენი წიგნიც თან მოიტანა და სიამოვნით ბრძანა:
„უნდა ჩვენც ვეცადნეთ და ღმერთი შემწე იქნებაო.“ ამ დროს ალე-
პო აღებული ჰქონდა, მაგრამ ბრძანა: მინამ თავრიზს არ ავიღებ,
ქალაქ ტფილისის აღება არ ვარგაო. ეს ხომ შენც იცი. მასუკან ალე-
პო დაადგო, ალეპოს გარემო თურქები გათელა და თავრიზისაკენ
მიმართა პირი. დღე და ღამე გასწორებულმა, იქაც გარეკა მტერი
და ახლა სადაც არის, აქაც დაუკრავს თავსა თავის მტრებსა.

ლიპარიდ. ბრძენი პლატონ უნდა იყოს, რომ იმან გამოთქვას
იგი, თორემ ვის შეუძლიან სხვასა. მაგრამ ახლა ეს მიბრძანეთ, ბევ-
რი ქართველები ხომ არ დაგეხოცათ ომებში?

ბარამ. როგორ არა, მაგრამ – კანონათ დავდევიტ და კიდევ
გავიფიცენით: ვინც ომში მოგვიკვდეს, არ შევწუხდეთ და დიდის
სიხარულით გადავიხადოთ იმისი სიკვდილი!

ლიპარიდ. დიას ჩინებული პირობა და კანონია, ჩვენც აგრე
აღვასრულებთ.

ბარამ. ძმაო ლიპარიდ, აბა ეხლა შენ იცი, ანბავი მიაბზე დავით
მეფეს მოვახსენო.

ლიპარიდ. დავით მეფის ბრძანებით, ეს დიდი ცეცხლი ის
ნიშანია, რომ მთელი საქართველო აღიჭურვება, სულ ერთიანათ
აქ მოიყრიან თავსა, რომელთაც ამ ცოტა ხანში ნახამთ მათ. ეს ასე
მოახსენე, ამის მეტი არა ფერი.

(ამასთანავე ერთმანეთს თავს დაუკვრენ და გავლენ).

ლიპარიდ. *(მარტო რომ დარჩება, ცეცხლს მიხედავს, მასუ-
კან მოიხედავს და მოჰყვება).* არ ვიცი, ჩემისთანა ბედნიერი კაცი
იქნებალა სადმე? – მიყვარს საუცხოვო სატრფიალო ჩვენი მშობე-
ლი მამული და მშვენიერი ქალი ელენე! ამ ორს საგანში გართული

ვარ მარადის და ჩემი სრული გონება ამათ მიერ არის მიზიდული. ამ წუთის სოფლის ბედნიერება ეს არის!.. ვისიც გული ამ ორისა საგნით სავსეა, იმის სული განწმენდილია ყოვლის მნიშვნელობით და ბევრს კეთილსაც აქმევინებს კაცობრიობისათვის. საქმე მშობლის მამულის სიყვარული და ქალისა. ჩემგნით ქალის სიყვარული, ამ ცეცხლსა ჰგავს, ჩემს აგებულებას ასე ეკიდება ელენეს სიყვარული! ჩემს გულს ასე ანათებს ამასავით! და ჩემი სულიც ამ გაბრწყინებულს ამღზნებარესა ჰგავს! – ეს ჩემი მნათობელი სიყვარული, ზეცის დიდების ფრენასა ჰგავს (*სიყვარულის განცვიფრებაში შევა*). აგერ, ზეცის კარი განალო, ექვს ფრთოსანმა ბრწყინვალე ანგელოსმა; რა ნელად გამოაქვსთ ბუდესავით მოზინვარე ჩასაჯდომი სიყვარულისა, ერთსა გუნდას თეთრთა მტრედთა მოაქვთ: უკან რავდენი დასნი გვრიტნი მოსდევენ. ამან უმანკოთ ფრინველთ დასებთ, რა სიყვარულის მოღუღუნებით მოაქვთ, იგი ანგელოზთა მიერ შემზადებული ბუდე! – აგერ, ჩემს მახლობლად მოიტანეს, მიველ და შიგ ჩავჯექ. ნებას გაძლევთ, მატარედ, გვრიტებო, წამიღევით და სადაც გინდოდეთ, დამატარეთ. წაველ, წაველ ზეცას! ოჰ, რა საკვირველებაა! ნიავ სიო აღუშვიათ განსაცვიფრს სიყვარულის საკრავების ხმებზე და მანათობელ ვარსკვლავთაც – სიყვარულის ღვინო მოუფენიათ! აი, მიმიყვანეს და მეც მანათობელ ვარსკვლავთ შუა ჩამსვეს, რანამს დამინახეს, ეს ამაყი ვარსკვლავნი, მესყეულად წამომიდგნენ და კრძალვით თაყვანს მცემენ. იგი წვრილი ვარსკვლავებიც ჩემსა ზედა ფრიალებენ და განათლებულსა სიყვარულს ზედა მაყრიან. – ავივსე! ავივსე სიყვარულით! ამ დროს რასა ვხედავ! იგი გაბრწყინებული ვარსკვლავი სიყვარულისა, მოდის უმაღლესის ზეციდგან, ვითარცა ტყორცვილი ისარი; აი, მოვიდა, მოვიდა, ხელი მომავლო, გამიტაცა და ერთს ნალკოტსა შინა ჩამაგდო ედემსავით მშვენიერში. რა მიმოვხედავ, ვხედავ, ერთს ბროლის აუზში ვგდივარ; ეს აუზი სიყვარულის ნეტარებით სავსეა! – აჰა, დავენაფე და უტკბილესის სურვილით დავლიე მისი ძლიერება... (*ამ დროს საშინელი ღრუბლები აღიმართება დაუცხრომელის ელვა ჭექით და ჰაერიც ქარიშხალით ღელვას შეიქს*).

ლიპარიდ. ესეც ჩემი მეორე მაგალითი; აი, ასე ირევა ჩემი სისხლი მშობლის მამულის სიყვარულით. აი, ამ ელვასავით ასე დაკრთის ჩემი გონება და მშობელს ქვეყანას გარს ევლება. აი, ასე გრგვიანავს ჩემი ვედრება ღვთისადმი მშობლის მამულისათვის. გრგვიანვიანო ჭექავს!.. ეგ ქუხილი წინ მორბედი სიმღერა იყოს ზეციური განგების მახარებელი და გვიღალადებოდეს მშობლის ქვეყნის განთავისუფლებას. ჩვენო მშობელო ქვეყანავ, შენ რაღას აპირებ? ძენი შენი წამოვდექით, ვითარც მეორედ მოსვლისა მკ-

ვდარნი საფლავით. გაფიცებულნი ვართ, ან თურქები გავიყვანოთ აქედან, ან არა და სულ ერთიანად გავსწყდეთ, მშობელო ქვეყანავ, განა გამოგვიმეტებ, შვილნი შენი მოისპენ აქედგან და ჩვენს ნაცვლად უცხო თესლი დაისახლო. – ოო, მშობელო, მშობელო ქვეყანავ, ამას ნუ გვათქმევინებ. შენ შენი სიმაგრეები მოამზადე და ბრძოლა ჩვენზედ მოაგდე *(ამ დროს ბატის კვერცხის ტოლა რამ-თონიმე სეტყვა ჩამოვარდება აქა-იქ)*.

ლიპარიდ. ოჰო, ახლა კი აღარ ხუმრობს ზეცა, თუ ეს ღრუბელი აქვე დატრიალდა, დიდი ვნებასა მოგვცემს ეს სეტყვა *(ამ დროს ღრუბელი გატრიალდება)*. ღრუბელი სწორეთ თურქებისაკენ წავიდა და ღმერთსა თავისი რისხვა იმათზე მიაქვს. მოიცადე, თურქეთო, ჯერ შენს უსამართლოების ქცევასა უჭვრეტს ღმერთი; თავის მგზავრებისამებრ ითმენს, ეგება მოიფიქრო და სამართლის გზაზე დადგე, მაგრამ თუ როგორმე მოთმინებისაგან გაიყვან, მაშინ თავის მრისხანებას გამოგზავნის თქვენს თურქეთში და წამსვე დაგცემს. არ იციოთ, რომ ბევრი თქვენისთანა მაგალითი ყოფილა ქვეყანაზე, თურქეთო *(ამ დროს წერო მოფრინავს ყივილითა)*.

ლიპარიდ. წეროვ, მესმის შენი მაღალი ყივილი, მცირედი მოიცადე, ჩვენი და თურქების ბრძოლის მოწამე იყავი, კაცების სისხლის ღვრა ნახე, როგორ გამხეცებულები მივესევით ერთმანეთს და წყვეტას დაუწყებთ ურთიერთსა. ამ უბედურის მიზეზნი თურქები არიან, თორემ შენზე მაღლა ხომ ვერა ფრინველი ვერ აფრინდება, აბა, მიდი და ყოვლად უზენაეს მოსამართლეს კითხე, თუ მე ამას ვტყუი?

(წერო, რომ გაფრინდება, მასუკან სვავი მოფრინავს ყროყინით და ამ დროს მგლები დაღმუილებენ).

ლიპარიდ. ოოოო, ეს რა საზიზღარი ხმები მესმის; მგლები ღმუვიან და სვავი ყრიყინებს. აი, გულ-ღვიძლიანო და პატივის მოყვარულო კაცო; ამ მტაცებელს მფრინველს და ამ დაყმენდილ მგლებსა რა საუცხავოს ნადიმს გაუშლით... მაშინ მზვერავი უნდა იყოს ვინმე, რა ტკბილ გემოვნებით დაუნყებენ ჭამას ჩვენსა მკვდრების ხორცსა და ან როგორ განსცხრებიან ჩვენის მუცლიდგან გამოთრეულის შინაგანებზე, ღმერთმა ხომ იცის ამ საცოდაობის მიზეზნი, თურქები იქნებიან გაუმაძღარნი პატივის მოყვარულებითა. საიდგან სად მოვიდნენ? ვისი ქვეყანა დაიპყრეს? რისთვის და ან რომლის კაცობრიობის ბედნიერებისათვის – თურქები სიცრუით ამბობენ – საქართველო მტრის ხელითგან გამოვიხსენითო? საქართველოს მფარველნი შევიქენითო! საქართველო გავაბედნიერეთო! და სხვანი, ამას კი აღარ ამბობენ: საქართველო მოტყუებით წარვიტაცეთო. საქართველოს მემკვიდრე მეფის ჩამომავლობანი

თურქეთში გადავყარეთ გაუკითხავათო, ქართველები ჩვენი ფეხის მონანი არიან და დასალახავათა გვყვანან იგინიო, ქართველების მაგივრად თურქები გვინდა დავასახლოთ საქართველოში და თურქების ქვეყანად გავაკეთოთ, რომ ქართველების ხსენება აღარსად იყოს საქართველოში და სხვანი. კარგი გაბედნიერებაა ქართველებისა. ოჰ! დასთრგუნე, ძლიერო, კაცის უსამართლება! ძირში მოსაჭრელო ცრუ ენავ კაცისა და მჭევრად მოლაპარაკეო, რომელიცა ტყუილათა აჯერებთ სხვებსა და დასასრულო? დიდების სურვილითა დაყმენდილო თურქებო, თქვენ გარე მიმოიხედეთ, რა ხართ? ერთი იგრძენით, რა ხართ თქვენ, სანყალნო თურქებო, რომ თქვენს პატივს დიდებასა საზღვარი არა აქვს. თუ ქართველების ნაკლუვანებასა ხედავდით რასმე, არ შეგეძლოთ, თქვენის ძალით და ძლიერებით გაგესწორებინათ, ამით უფრო ბევრს კარგს შეიძინებდით და არა წარგეტაცნათ?.. განა, საქართველო წარიტაცეთ, პატივის მოყვარულო თურქებო? ბოლო, ვნახოთ, რა იქნება თქვენი? თუ დაღალული ვარ. და ახლა მცირედ დავისვენებ *(უბიძგან ელენეს სარტყელის ნაკუნს ამოიღებს, მერე ყურებას დაუწყებს და ასე მოჰყვება)*.

ლიპარი დ. შენ, სარტყელო, ვის წელზედ ეხვიე, რომელს მოხდენილობას? – იმის თითებს აუღიხარ შენ, სარტყელო – როგორ დავიჯერო, რომ არ ათრთოლდები იმის თით შეხებით! იმის თვალებს დაუნახავს უცხო სიჭრელე შენი სახისა? თუ დაუნახავს ჭვრეტის გრძნობა ხომ დააჩნდებოდა ამ სარტყელზე, აბა, ერთი კარგად გავჩხრიკო სინათლეზე? *(სჩხრეკავს სინათლეზე)*. აი, ახლა კარგად გამოჩნდა: წითელი პატარა ჩიტი აზის ზედა და ერთი წითელი ვარდის ფურცელი უჭირავს პატარა თეთრის ნისკარტით, უკაცრავათ, წითელო ჩიტო, ველარ დამეხწევი მე. *(საჩქაროთ უბეში ჩაიდებს და ორსავე ხელებს უბის გარედგან მაგრად დაადებს და ამასთანავე ეტყვის)* მანდ სიყვარულის ბუდეში ჩაჯექ. აღარ შეიძლება, ველარ წამიხვალ. ჰოო, აბა, აგრე იყავ მართლად უცხოთ და იბანაკევი, ამის შემდეგ, ეხლა რა კარგად დამეძინება *(შემდგომ წამონოლით ერთს ხეზე მისდებს თავსა და განსვენებით დაიძინებს)*. – პატარა ხანს უკან ელენე შემოვა თავიანთის ძველის სამხედრო ქალის თეთრი ტანისამოსით და მახვილებით შეჭურვილი. მოვა, თავზე დაადგება, მასუკან გაფრთხილებით გადავა და ცოტა მოშორებით დადგება და გაოცებული შეხედვით მოჰყვება).

ელენე. ახ! რა მშვენიერი ხარ მაგ წითელ ტანისამოსში; მიკვირს ამისთანა დიდ საქმეში ხარ გაბმული, ასე განსვენებით როგორღა გძინავს? ვინ მოიგონებდა, მაგისთანა მშვიდობიანი და კეთილი ყმანვილი კაცი, ამ საშინელს საქმეში შეხვიდოდი და ამთენ

ყმანვილ კაცებს აღძრავდი? გასაშტერებელია შენი ყმანვილ-კაცობა და შენი სახელი მარადის დაუვიწყარი იქნება, ჩემო ლიპარიდ. რა ვქნა, სიყვარული თავს მართმევს, მინდა, მოვიდე და სურვილით გადაგეხვიო მაგ მამაცურს მკერდსა, მაგრამ ეგ განსხვებებული ძილი, როგორ მოგიშალო, ჩემს სიცოცხლესა და ჩემის გვამის სულსა? *(ამ დროს ლიპარიდ გაიღვიძებს; წამოჯდება და თვალების ფშვნივით იტყვის).*

ლიპარიდ. კაცი რომ დიდ საქმეში ჩავარდეს, უნდა ცოტა საქმლის ჭამა იკმაროს და ცოტა ძილსაც დასჯერდეს. ჩემს მესამე ღამის უძილობასთანა, ეს მცირედი ძილიც საკმაოა. ვისაც მშობელი მამული უყვარს და იმის კეთილ მდგომარეობა სურს, დაუცხრომელად უნდა ცდილობდეს იმის გაბედნიერებას! კაცი თავის თავისათვის არარის დაბადებული, კაცი დაბადა ღმერთმა კაცის საზოგადოების ბედნიერებისათვის, ახლა ავდგე და საქმეს შეუდგე *(წამოდგება და ელენეს გულ ხელ დაკრეფილს რომ დაინახავს, ხანჯალზე ხელს დაიდებს და გულ-განსვენებით ეტყვის).*

ლიპარიდ. დაუყოვნად მითხარ: ეშმაკი ხარ თუ ანგელოზი? – მითხარ, თორემ ეხლავ მოგკლავ!

ელენე. აბა, სწორეთ შემომხედე, ვინ ვარ? *(ლიპარიდ თვალს რომ დააკვირვებს, განკვირვებით დაიძახებს).*

ლიპარიდ. ჩემო ზეციერო ნუგეშო! *(გაექანება და იმის წინაშე უნდა დაემხოს, მაგრამ ელენე ხელს სტაცებს სატრფიალოს სიტყვით).*

ელენე. ჩემო სიცოცხლეო, ლიპარიდ! მე ხომ ხატი არა ვარ, ჩემს წინაშე მეტანიას იყრი და თავყანსა მცემ?

ლიპარიდ. ახ! რა ანგელოზებრ, განმენდილის ხმით მითხრა – ჩემო სიცოცხლეო ლიპარიდ. მართლა შენი სიცოცხლე ვარ, საკვირველო მშვენიერებაო ქალო!

ელენე. ადექ და ეს ჩემი გული გეტყვის სიყვარულსა, რომ საუკუნოდ შენ გეკუთვნის და შენს სიყვარულს მოუთხრობს მარადის.

ლიპარიდ. ხედავ, ღვთაებაო! რა ბედნიერი კაცი ვყოფილვარ: ამისთანა ქალს ასე ვყვარებივარ!

ელენე. მაშ, რა გეგონა? ჩვენი ქართველი ქალების გული აგრე ადვილად არ აღიძვრის სიყვარულით. როცა აღიძვრა, ვერაფრისთანა წინააღმდეგი ველარ დაიჭერს. იმას შეხედე ამ სასიცოცხლო კარგსა ჰაერსა!.. შეხედე ამომჩქეფარეს ბროლებრ წყალთა! – შეხედე ამ განსაცვიფროს ბუნებასა! შეხედე უებროსა ჩვენსა მზესა!.. ამათ შორის დაბადებულს ქალებს, – უთუოთ ძალიანი სიყვარული ეცოდინებათ!.. კარგი, ჩემო ლიპარიდ! მაგ შენს ილლიას

ქვეშ შემოიფარე, – შენი მარჯვენა მკლავი მხრებზე გადმომახვიე; შენს სიყვარულს ვიახლო მცირეს ხანსა (*ლიპარიდ უნებურათ მკლავს აიღებს და ელენეც საჩქაროთ შეეფერება*).

ლიპარიდ. ეს რა მოევლო ჩემს აგებულებას შენის მოახლებით? სიტკოსაცა ვგრძნობ, – სიამოვნესაც – კმაყოფილებასაც, – სიხარულსაც და ბედნიერებასაც! ყოველი ქვეყნის კეთილი ჩემს აგებულებაში ტრიალებს ეხლა და უკვდავების ნეტარებაში ვცურავ!.. რავდენი დრო მიდის, ეს ავდენი სიამოვნე, სულერთიანათ ჩემს გულში იკრიბება და სადაც ცხოვლათ კეთდება, რომელიცა სულსა ცეცხლსავით ეკიდება და სისხლი ათას რიგათ ღელავს. – აი, ეს ცეცხლისავით მღელვარება; ახლა ჩემს აგებულებაში დადის და მომწვარისავით იწვის, ჩემი სრული სხეული მცირე ხანს უკან, ასე რომ მოვკვდე, ჩემი სხეული, ასე შეინვის, შენის სიტკოვლით, ჩემო ელენე; აუარებელი ჭიანჭველა რომ დაეხვიოს და ჩემის სხეულის შეჭმა მოინდომონ, ბრწვალსაც ვერ შეაგდებინებენ.

ელენე. მე რალა გგონივარ, ჩემო ლიპარიდ! ჩემი ახლანდელი გრძნობა, სურვილის ჯურღმულში ჩავარდნილა და ჩემი სიყვარულის ვნება გარს მევლება ღელვარებით. მეორე მხრით: ასე მგონია მზის, შავარდნედი მამინყვიტოს და იმის სიცოცხლეში ვიბანებოდე. აჰა, შემამხედე, თუ ადუღებულისავით ცხელი ოფლი არ გადმოდის შუბლიდგან, არ ვიცი, ადრინდელი დანმენდილი და უმანკო ჩემი სიყვარული; ეხლა შენის მოახლოებით საშინელს ცეცხლად რად გადაამექცა, როდესაც არამც თუ ჩემს სრულს სხეულში, არამედ ძვლებშიაც გამწვამს და ასე მგონია, სადაც არის, ერთს რომელსამე ცეცხლის უფსკრულში დავილუპები შემწვარი მეთქი. ესრეთ რომე, უძლიერესი არწივნი რომ დაეხვივნენ თავის საშინელის ბრჭყალებითა სხეულსა ჩემსა, ნამცევსაც ვერ ამოიღებენ (*ამ დროს ერთი ყმანვილი ქალი შემოვა, ელენესავით ჩაცმული და ლიპარიდს დაუძახებს*).

ნინო. ძმაო ლიპარიდ! ვმადლობ ღმერთსა, მშვიდობით განახე. შენ ნუ მოკვდები; ბევრი, ბევრი მწარე ცრემლი გადმამდიოდა და ღმერთს ვეხვეწებოდი შენის მშვიდობისათვის (*ამის ხმაზედ ლიპარიდ და ელენე განშორდებიან, მაგრამ ძლივს გონებაზედ მოვლენ და ბოლოს ლიპარიდ*).

ლიპარიდ. ჩემი დედიდაშვილი ნინო! მითხარით, რა ანბავია? რისთვის მოსულხართ? ან შენი ქმარი სად არის, ჩემო დაო, ნინო?

ნინო. ჩემი ქმარი საომრად წავიდა, მაგრამ ჩვენ ყმანვილმა ქალებმა გამოუხსნართ; მოვიდოდით და უეცრად აქ გიპოვნეთ ნამძინარევი.

ლიპარიდ. როგორ? განა ჩემი და ელენეს ლაპარაკი გესმოდა?

ნ ი ნ ო. უკაცრავათ. ჩვენ ამხანაგ ყმანვილ ქალებს ერთმანეთ-თან დამალული არა გვაქვს რა. სწორე გითხრა, შორიდგან გიყურებ-დით, ყოველი თქვენი ლაპარაკი გვესმოდა (ლიპარიდ შეკრთება და ელენეს ეტყვის).

ე ლ ე ნ ე. ჩემო ლიპარიდ, ნუ შესწუხდები, შენ ნუ მოკვდები, ჩვენი სიყვარული დასამალავი არ არის.

ლ ი პ ა რ ი დ. კარგი, ჩემო ელენე! შენმა გაზდამ აღარ შევწუხ-დები, მაგრამ თქვენი ანბავი მიანბეთ: საიდგან მოხვალთ და ან სად მიხვალთ?

ნ ი ნ ო. როგორ სად მივალ? ერთი ეს მითხარი, რითა ვართ ჩვენ, ქალები კაცებზე ნაკლები?

ლ ი პ ა რ ი დ. ჰაეროვნებით და ღონით.

ნ ი ნ ო. ჰაეროვნებით მართალია, მაგრამ ჯერ მაგის პასუხს გე-ტყვი, რამთენი პატარა კაცია, დიდს და მალალ კაცს შეჰკრავს და მცირე ყრმასავით ქვეშ ამოიდებს? – მეორე, თვითონ შენც კარქათ იცი; დიახ უცხოთ გამავითარეს ბერძნულს ენაში, ჩემმა დედ-მამამ, რომელმაცა შენც კარქათ იცი იმათი ენა და ბევრმა სხვათაც ჩვენ-ნიანებმა; მე ბერძნული წიგნები ბევრი წამიკითხავს; ამ ახლახან-შიაც ვკითხულობდი, მაშ, მითხარი, ვინა სჯობდა; ჩვენ ამაზონელს ქალებსა, ვაჟკაცობით და ან ღონით? მაშასადამე, სწავლაზე და გავითარებაზე არის დამოკიდებული კაცისა თუ დედაკაცის ყოვე-ლი საქმე. ახლა ჩვენ ყმანვილმა ქალებმაც შემოვირტყით საჭურ-ველი, და ოთხი ათასზედ მეტმა აქ დაგიკარით თავი ჩემსავით ჩაც-მულთა, ვნახოთ თქვენ კაცები როგორ დაგვემჯობინებით მამულის გამოსხნაში.

ლ ი პ ა რ ი დ. როგორ? განა თქვენს საბრძოლველად მომზა-დებული ხართ?

ნ ი ნ ო. თავ-დადებით და უკანასკნელის სისხლამდისინ.

ლ ი პ ა რ ი დ. ეგ თქვენი წარწარი სინყნარე არ გებრალეხათ? ჩემო დაო ნინო, ყველას გვედრები, თქვენ ნუ გაირჯებით; თქვენ, ქალებმა შორიდგან გვიყურეთ და ჩვენის კაცების გამხეცებული ვაჟკაცობა ნახეთ, რა საშინელება მოხდება, ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენ კაცებმა ქალები გამოგიმეტოთ და მტრის პირში მიგცეთ. ჩვენ-ის გამხნეობისთვის თქვენ შორიდგან გვიყურეთ, ესეც საკმაოა ჩვენთვის.

ნ ი ნ ო. რას ამბობ? შორიდგან ვიყუროთ! ჩვენ მშობელ ივერი-ას საშინელის ჰყრობილობით სული ამოსდის და თურქებისაგან ტანჯვით კვდება. მწარედ შეწუხებულსა, საცოდავი ხელი გამოუ-შლია და გულ მტკიენეულის კვნესით ითხოვდა შეწვენასა. ოჰ, რა უღმრთოობა იქნება, ვინც სახლში დარჩება, საპყარისა და დიდათ

მოხუცებულის მეტი (ამ სიტყვასთან ორნივე ქალნი ატირდებიან და თვალებზე ხელს მიიფარებენ. ლიპარიდ ერთს ხეზე მიეყუდება შეწუხებული და ხმას ველარ ამოიღებს. – ნინო თვალებს მოინმენდს და მასუკან იტყვის).

ნ ი ნ ო. ჩემო ძმაო ლიპარიდ, ნუ შეწუხდები, მიყურე ეხლავ, რა გაჩვენო? (ამ სიტყვასთან გამოვა, საჩქაროთ უკან შემოვა და ორმოცზე მეტი ყმანვილი ქალი თან შემოჰყვება იმათებურათ ჩაცმული სომხებისა და თავიანთი ყველანი ლიპარიდს თავს დაუკვრენ).

ლ ი პ ა რ ი დ. ამ ყმანვილი ქალებისგან მიკვიროს, რა ამბავია?

ნ ი ნ ო. რა ამბავია, ძმაო ლიპარიდ, სხვა ოთხი ათასი ყმანვილი ქალი ჩვენსავით ჩაცმულები, ჩვენ და სომხებისა, აგერ იქა დგანან, ჩვენზე მოახლოვით და სადაც არის შენს სიმამრს-სიდედრსაც ნახავ ჯარებითა (ლიპარიდს აღარ დასცალდება სიტყვის თქმა, ელენეს დედა შემოვა და ამასაც ორმოცზედ მეტი თავის ხნის ქალები შემოჰყვება, სუყველას ლურჯი ამაზონის ტანისამოსი აცვიათ).

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. ჩემო საყვარელო სიძე ლიპარიდ! ოჰ, რა სასიხარულოა ჩემთვის შენი ნახვა! (ლიპარიდ გაექანება, ერთმანეთს გადაეხვევიან და შემდგომ ლიპარიდ ეტყვის) ვმადლობ ღმერთსა, მშვიდობით გხედავთ, მაგრამ მიბრძანეთ ამდენი ქალების შეყრილობა რა ამბავია?

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. ჩვენი ხნიანი ქალების სურვილია, ან ჩვენი მშობელი ქვეყანა გამოვიხსნათ, ან არა და სულ ერთიანათ თურქების ხელით გავსწყდეთ.

ლ ი პ ა რ ი დ. ჩემო საყვარელო დედავ! მაშ, ჩვენ კაცები რილასთვის ვართ, ჩვენი ქვეყნისათვის ხმალი არ მოვიქნით და თურქების წინააღმდეგი ომი ვერ გავბედოთ?

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა. შვილო, ლიპარიდ? მეტათ ბევრნი არიან წყეული თურქები; თითქმის ჭიანჭველაზე მეტი, ნუ შეწუხებულხარ. ბრძოლის მინდორზე ნახავ, საქართველოს დედაკაცები რა საშინელს ზარს დასცემს თურქებსა (ამ უკანასკნელ სიტყვასთან ანასტასიას ქმარი აბულელი შემოვა და ამასაც ორმოცზედ მეტი თავის ხნის მეომრები, თავიანთი და სომხებისა შემოჰყვება მწვანეს ტანისამოსით და ლიპარიდ შემოსძახებს).

ა ბ უ ლ ე ლ ი. შვილო, ლიპარიდ? კიდევ გვეღირსა საჭურველის აღება ჩემი და ჩემი ამხანაგების ხანი, ოცი წელიწადი უკან მოგვეჭრა; სრულებით გავყმანვილდით და მოგვეცა ღვთის წყალობა, ჩვენი ხელი გამოვიღოთ (ამ სიტყვასთან ლიპარიდ და თავის სიმამრი გადაეხვევიან ერთმანეთს. ლიპარიდ მაღლა აიხედავს და გულმომბიერად იტყვის).

ლ ი პ ა რ ი დ. ღმერთო, გმადლობ! რამდენს სასიხარულოს ამ-

ბავს ვხედავ!..

ა ბ უ ლ ე ლ ი. ეგ დიახ კარგი, ჩემო ლიპრიდ, ახლა შენი ჯარის კაცები სად არიან და ან რომელს მხარეს დგანან?

ლ ი პ ა რ ი დ. ამ შიგნით ტყეში დგანან, ჩემო სიამამრო, გნებავთ რამდენიმე მოვიყვანო და გაჩვენოთ?

ა ბ უ ლ ე ლ ი. დიახ კარგი იქნება, ჩემო სიძევ (ლიპარიდ გაბრუნდება და ერთს ხეს იქიდან ბუკს აიღებს, ტყის მხარეს სამჯერ დააყვირებს და ამის ხმაზედ სამოცი მშვენიერი ჰაეროვანი ყმანვილი კაცების ნამოვლენ ტყიდან ნითლისავე ტანისამოსით და ლიპარიდს დაუკვრენ კრძალვით თავსა; ნახევარი სომხების და ნახევარი თავიანთი).

ლ ი პ ა რ ი დ. ესეც ჩვენი ჯარის კაცნი, ჩემო სიამამრო!

ა ბ უ ლ ე ლ ი. მართლა მოსაწონი და მშვენიერი სანახავნი არიან (მასუკან ყმანვილ კაცებს ეტყვის). ყმანვილო კაცებო, დღეს მთელმა საქართველომ საქურველი აიღო, არამც თუ კაცებმა, დედაკაცებმაც და ყველას ერთი აზრი გვაქვს: მამული გამოვიხსნათ. ახლა გამოგიჩნდებათ, როგორც გამოიდებთ თავსა და ან ხელს გამოიღებთ (ერთი სომეხი ყმანვილი კაცი ამათგანი იტყვის).

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ახლა ამ თავით ტრაბახი საქირო არ არის, ღმერთმა ინებოს, დროით მოხდეს თურქებთან ბრძოლა, მაშინ თქვენი კეთილი თვალი ნახავს – რანი ვართ ჩვენ ყმანვილი კაცები, ჩვენი საქართველოსი.

ა ბ უ ლ ე ლ ი. (დიდის სიამოვნებით მიუგებს პასუხად). დიალ, დიალ, ჩემო აბესალომ. – ღვთის მოწყალებით ყოველი ჩვენი საქმე კეთილად მოდის (ახლა ლიპარიდს მოუბრუნდება ისე და ჰკითხავს). მაგრამ მამიშენის ამბავი ხომ არა იცი რა, ლიპარიდ?

ლ ი პ ა რ ი დ. როგორ არა, შენი ჭირიმე. ცოტას ხანს გიახელ და დედაჩემი ვნახე. დავით მეფის მოწერილობით და იმის ბრძანებით, ამ ორის თვის წინათ აღმოსავლეთის კავკასიის მთებში წასულა მამა ჩემი, რადგან ბევრი მეგობრები ჰყავს იქით მხარეს; იქითი მხრის ერნი უნდა აამხედროს და ჩვენ შეგვაერთოს. სადაც არის, ეხლა გიახლებიან აქ ისინი (ამ სიტყვის დასრულებასთან ლიპარიდის დედ-მამა შემოვა, ამათაც ხნიან ადამიანებსავით აქვთ ტანისამოსი ჩაცმული და უკან ოცზე მეტი მთის კაცები შემოჰყვებათ ჯაჭვით და ბევრებით).

ლ ი პ ა რ ი დ ი ს მ ა მ ა ი ვ ა ნ ე. ოჰო! ჩემთვის რა სასიხარულოს ყრილობას ვხედავ! (ლიპარიდ თავის დედ-მამას გადაეხვევა, მასუკან მძახლები ერთმანეთს მიესალმებიან და მერე თავის რძალს ელენეს აკოცებს).

ი ვ ა ნ ე. ჩემო მძახალო აბულელო, ასე ჩქარა, როგორც ჩვენ

მოვემზადენით, მართლად მოსაწონია. ნეტავი, ღვთის მადლით, ამ ერთის თვის შემდეგ მომხდარიყო თურქებთან ომი, მაშინ ნახავდით თურქების ყოფას.

ა ბ უ ლ ე ლ ი. ჩემო მძახალო, როგორ, რა ამბავია? რა შეგიტყვია?

ი ვ ა ნ ე. ორასი ათასი კაცი მოდის აღმოსავლეთის კავკასიის მთებიდანა, სულ მათებურად ჩაცმული, თავიანთი ორი თვის საგძლით. განთქმულის და სახელოვანის ჩვენი მეფის დავითის სიტყვით: გავერთდეთ, ძმებო კავკასიელნო, დრო მოვიდაო. ეს იმისი ხუთი სიტყვა მიუტანეთ იმას, რომელზედაც ელვასავით გადბირნა მთელს კავკასზე სიტყვები. ამის გამო დიდი ყრილობა შეიქმნა მთებში და დიდი მომზადება, შავი ზღვიდან კასპამდისინ ყველანი იმას იძახიან დიდი ჩვენი მამის თარგამოსის მამული უნდა გამოვიხსნათ თურქებისაგანაო და ახლა დროა, სულ ერთიან გავერთდეთო. ეს იმათი პირველი სისხლის შვილები, იმათგან არიან გამოგზავნილნი ჩვენ დასარწმუნებლად, მართალია ძმებო თუ არა?

(ერთი იმათგანი, რომელსაც ჰქვია ბეშკენ).

ბ ე შ კ ე ნ. იმათი გამოგზავნილი გახლავართ სწორედ თქვენს დასარწმუნებლად.

ა ბ უ ლ ე ლ ი. დიახ კარგი და სასიამოვნო ამბავი გავიგონე. ღვთის მონყალებით ჩვენი ბედნიერების ვარსკვლავი ახლა ჩვენკენ მობრუნებულა.

ი ვ ა ნ ე. ღვთით იმისმა მადლმა, მაგრამ ჩვენი ტფილისის ერნი როგორ მოემზადენ!

ა ბ უ ლ ე ლ ი. ოჰ, რაღა მოგახსენო! სულ ერთად გამოვიდნენ ქალაქიდგან ცოლ-შვილებით, რომ ერთის კირმანეულისა არავის არა გამოუტანია რა, თვინიერ ორი საცვალი პერანგისა და ერთი ხელი ტანისამოსისა, სულ იქ დაჰყარეს თავისი სიმდიდრე. ამას ამბობდნენ: თუ თურქები დაგვამარცხებენ – დაფიცებული ვართ, სულ ერთიან უნდა გავუნყდეთ და ჩვენი სიმდიდრე რაღა საჭიროა ჩვენთვისაო და თუ ჩვენ დავამარცხებთ, ჩვენი სიმდიდრე ისევ ჩვენ დაგვრჩება და ყოვლისფრით გავბედნიერდებითო.

ი ვ ა ნ ე. აბა, აგრე უნდა სიყვარული მამულისა! *(მასუკან ივანე თავის შვილს მოუბრუნდება)* შვილო, ლიპარიდ! ყოველი შენი და ამ შენი მეგობრის აბესალომის ამბავი წვრილად ვიცი, პირსათნოებით არ გეტყვით. თავ-გამოდებული მამულის შვილები ხართ ორნიც მართლად.

(ორთავ შერცხვებათ, თავს ჩაჰკიდებენ და ამისათვის აბულელს მიუბრუნდება).

ი ვ ა ნ ე. ყოველი ჩვენი საქმე დიახ კარგად მოდის, მაგრამ სერ-

ავიმ ბერი სად გახლავსთ!

ა ბ უ ლ ე ლ ი. მიკვირს, აქამდისინ უნდა მოსულიყო, მაგრამ არ ვიცი, რა იქნა? *(შორიდგან ვილაც მოდიან გალობითა და საეკლესიოს ხმითა გალობენ).*

ი ვ ა ნ ე. ეს რა მშვენიერი გალობაა! *(ყველანი ყურს დაუგდებენ. სიამოვნით გალობას რომ გაათავებენ, კიდევ ივანე იტყვის).* ნეტავი, მითხრა, ასე საუცხოვოთ ვინ გალობენ?

ა ბ უ ლ ე ლ ი. მგონია, სერაფიმ ბერი მოდიოდეს და იმის ბერები მოიგალობდნენ.

(ამ სიტყვასთან სერაფიმ ბერი შემოვა და ოცი ბერი თან შემოჰყვება. ყველანი სიამოვნით მივლენ და სერაფიმ ბერს ხელზე ემთხვევიან).

ს ე რ ა ფ ი მ. ყველანი ხომ მშვიდობით ბრძანდებიან?

ი ვ ა ნ ე. ღვთის და თქვენის ლოცვით.

ს ე რ ა ფ ი მ. მგონია, დავიგვიანე? ასეთი მიზეზები მომეცა; როდესაც გიამბობთ, კიდევ შენუხდებით, კიდევ გაიკვირვებთ და ბევრს საქებელ სიტყვასაც იტყვით. *(ყველანი ცნობის სურვილში ჩაცვივნიან და უნდათ საჩქაროთ შეიტყონ).*

ი ვ ა ნ ე. რა ამბავია? შენს მადლს, გვიანბე.

ს ე რ ა ფ ი მ. მე რომ ჩემის ძმის აბულელის სახლითგან წავედი, დაუყოვნად უდაბნოები დავიარე და რაც უდაბნოების ბერები იყვნენ, სულ ერთიანათ აქეთკენ გამოვისტუმრე. მეც უკან დავედევნე და მარტო მოვდიოდი ფარულს ადგილებში. ამ მომავლობაში ჩემი ძმის მოსამსახურე ოთარა დამხვდა და ამბის კითხვა დავუწყე, მოჰყვა: ქალაქს გარეთ რომ გამოვედით, თქვენმა ძმამ მიბძანა: „ოთარავ, თითქმის თურქეთში ხარ გაზდილი და იმათი ენა წმინდათ იცი, ახლავ უნდა დაბრუნდე და თურქებს თვალ-ყური ადევნო, რა ამბავში იქნებიანო.“ ქალაქს რომ დავახლოვდი, თურქის ტანისამოსი ჩავიცვი და ქალაქში შევედი. რალა გავაგრძელო, ას ოცი ათასი თურქი და არაბი გამოვიდა ჩვენ დასანთქმელად. ოც-და-ათი-ათასი ცხენიანი და ოთხმოც-და-ათი ათასი ქვეითი; საკვირველი განყობილი, გამოჩენილნი, პირველნი ფაჟ-კაცები და ორასი ათასი კიდევ დაუბარებიათ თურქეთიდგან, თავის მკვდრების საფლავებზე გაიფიცნენ; უნდათ ერთობრივ განყდნენ და ქალაქი ტფილისი კი არ დაგვანებონ. ახლა რალა გვეშველება, შენს მადლსაო? ამის მეტი არამცთუ მახვილი, ოთარავ, ჩვენი მაგარი კბილიც იბრძოლებს მეთქი...

ამასთანავე ცხენზე შევჯექი, ოთარა წინ გავიმძღვარე, მთელი ღამე მთა-მთა ვიარეთ და გათენებისას დიღმის სოფელს ვადმოვადექით მალლა მთაზე ტყის პირში, მანამ კარგათ გათენდებოდა,

დავიძინეთ; როცა მზემ მოიარა, ავდექით და დიღომს გადავხედეთ. ვნახეთ, ერთი დიდი რაზმი მოვიდა თურქ-არაბების ჯარი და დიღმელებს გარ-შემოერთყენენ. დიღმელებიც ერთს მაგარ კუთხეებში გამაგრდნენ სანგარსავით მოკლებულს ადგილში და საომრათ მოემზადნენ. მე და ოთარაც ხეობაში ჩავედით და ტყე-ტყე ვიარეთ; ასე ახლოს მივედით იმათზე და დიღმელების სანგარზედ, რომ იმათი მაღალი ლაპარაკი გვესმოდა.

ი ვ ა ნ ე. მიკვირს, დიღმელები რაღათ დარჩომილან და ამ დანიშნულს ადგილს არ მოსულან?

ა ბ უ ლ ე ლ ი. ვინც აქეთ მხარეს სოფლებში დავატარე, იმას დავინყებოდა დიღომში მისვლა. ხელმეორედ გავგზავნე, ეგება აყრა მოასწრონ მეთქი, მაგრამ რაღას მოასწრებდნენ, ჩემი გავგზავნილი კაციც იმათში დარჩებოდა.

ი ვ ა ნ ე. ასე ჩქარა ვინ შეატყობინა ჩვენი განძრახვა თურქებს?

ა ბ უ ლ ე ლ ი. რამდენიმე თურქების დიდი კაცები დავხოცეთ გუშინნინა გზაზედ. უთუოთ შეტყობის მიზეზი ეს უნდა იყოს.

ი ვ ა ნ ე. ჰოო. *(ამასთან მობრუნდება)*. აბა, ახლა თქვენა ბრძანეთ, მამაო სერაფიმ.

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი. ეტყობოდათ, გაკაპასებულნი იყვნენ თურქები და არაბები. რანამს თავისი ჯარი დაანყეს, მაშინვე შემოუტყის; უნდოდათ, სანგარზედ გადმოსულიყვნენ და სულ ერთიანად გაენყვიტათ. ღმერთი ნუ გაგინყრესთ, იმათ ვერ იკადრეს სანგარზედ გადმოსვლა და ზედ სანგარის პირზედ წყვეტა მოხდა ორივე მხრითა. გარშემოხვეულნი თურქ-არაბნი, უკან აღარ დაბრუნდნენ: დიღმელებიც ზედ სანგარზე ავიდნენ კაცი და დედა-კაცი. და ასეთი საქმე შეიქნა, რომ რაღა მოგახსენოთ. ქუა, კეტი, ხმალი, სატყევარი, ისარი, სულ იქ ტრიალებდა და ერთმანეთს სწყვეტდნენ. მგონია, ხუთი თურქ-არაბის წინ, ერთი დიღმელი დედაკაცი და კაცი იდგა და უშიშრათ ომობდა. თურქ-არაბებმა რომ ველარ გაანყეს რა, დაბრუნდნენ და მოციქულობა დაუნყეს; მაგრამ დიღმელებმა ხმა მაღლად დაუძახეს: „ჩვენი ბედნიერება იქნება, თუ ჩვენი მამულისათვის დავიხოცებითო.“ ამასთანავე თავ-გადადებულთ შემოუტყის თურქ-არაბებმა და სიმრავლის გამო, სანგარებში გადმოვიდნენ. პირველი ომი ამათთან შექცევა იყო; სულ ერთიან დიღმელი დედაკაცები დატრიალდნენ, რაც წვრილი და უხმარი ყმანვილები ჰყვანდათ, თავიანთ ქმრების წინ ყელები დასჭრეს თავის შვილებს და მასუკან თურქ-არაბებში დაერივნენ გაკიფებულები. მოკლეთა ვსთქვათ: ის იმთენი თურქები და არაბები სულ დიღმელი დედაკაცის და კაცებისაგან დაიხოცნენ, რომ თხუთმეტზე მეტი აღარ დარჩომილან, მაგრამ დიღმელებიც სულ ერთიანათ მოისრნენ. ასე

გათავდა დიღმელების თავ-გადასავალი, საქებელი ომი, და მშობლის მამულის სიყვარული, მაგრამ თურქებს და არაბებს ძვირათ დაუჯდათ დიღმელების ომი: ერთმა დედა-კაცმა და კაცმა, მგონია, ხუთი თურქ არაბი ინაცვალა, თორემ ოთხი მაინც იქნებოდა, მე ვიცი, თურქ-არაბებსა ამით ზარი დაეცემათ და ჩვენ ქართველებს სიმხნე მოემატებათ.

ყ ვ ე ლ ა მ ე რ თ-პ ი რ ა თ. ნეტავი, დიღმელების სიკვდილს! ბედნიერნი არიან! ბედნიერნი!..

(ამ დროს დავით მეფის ბარამ შემოვა თავის კაცებით და ყველას შემოსძახებს).

ბ ა რ ა მ. ძმებო! ღმერთსა ვმადლობ, ამისთანა ამბავს ვხედავ: მამილოცავს, მეც კარგს რასმე გახარებ. დავით მეფე მობრძანდა თავის ქართველების ფარით და ეხლა შემობრძანდება თქვენთან. *(ამაზედ დიდი სიყვარული შეიქნება და ყველანი ძახილს შეიქმს).* დავით მეფე ადღეგრძელოს!.. *(და იარაღს ჩხარა-ჩხურს დაუნყებენ. ამასთან შორიდგან ისმის, მომსვლელთ ფეხ-გუგუნ-გრილით და დასახვედრი ძახილი).* ჩვენს მეფეს დავითს გაუმარჯოს! გაუმარჯოს!.. *(ამათთან ბუკების ცემით და გალობა გამრავლებული მოდიან დიდის ყოფით. ამ დროს არსენ იყალთოელი მოძღვარი მეფისა ოლარი გულზე ჩამოფენილი და ოქროს ჯვარით შემოვა, ამას კათალიკოსი იოანე შემოჰყვება კვერთხით, შემდგომ ამას გიორგი ჭყონდიდელი, ამას კიდევ ბეიდელ ალავერდელი, შემდეგ ეფრემ მცირი, თეოფილე, იოანე ტაიჭისძე, და ფილოსოფოსი იოსები; პეტრიცი ჩირჩიმელი; მოვლენ ერთობ ესენი შუა ადგილზე დადგებიან და გალობას წარმოსთქმენ).*

დავით აღმაშენებლის წარჩინებული კრება. დღეს ძალმან ყოვლად წმინდისამან, შეგვკრიბნა ჩვენ, მთისა და ბარისა ერნი, ჩვენის დიდის მამის თარგამოზის ქვეყნის გამოსახსენებლად *(ამას რომ იტყვიან დავით მეფე შემოვა მდიდრის ტანისამოსით და ამ შეყრილობის შუაში დაიჩოქებს. ცალ მუხლზე ხელ-განპყრობილი და ამასთან ყველანი ეგრეთვე, თვინიერ კრებისა).* ღვთისაგან დანიშნული მის კერძათ მამული, საშვილიშვილო მისი შეიბღავლა თურქებისაგან. ვინ სთმოს უგვანება მათი ძის ძენო თარგამოზისანო? ხვალე ცისკრის დროსა, ჭიდილი გვემზადება, ჭიდილი ბარბაროზებთან, გარნა ნათელი ზეცისა! *(აქ გალობაც განწყდება და ამასთან წამოდგებიან. დავით მეფესა მოშორებით უდგანან: ნიანი კახბერისძე, არიშიანი, ბარამ, ქავთარ, თევდორე და სხვანი ბევრნი. სულ წითლად პრიალებს იმათი ტანისამოსი, მუზარადებით და საჭურველით მოელვარე).*

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ. ერთობ საყვარელთა შვილთა ჩემთა გაემარ-

ჯოთ! *(ყველამ მძიმეთ დაუკრეს თავი)*. თქვენი ნათელი მხიარული პირო, მიცხადებს ხვალე ბრძოლისას, ვითა მეუბნებით ან ჩვენ ვიქნებითო, ანუ თურქებო, აგრე უნდა, ან ჩვენ ვიყვნეთ და ან თურქები საქართველოში. დიდი ბრძოლა მოგვიხდება ხვალე; ასეთი ბრძოლა, რომე ჯერ არ გადაგვეხადოს იმისთანა სამინელეა! ამბავი მომივიდა; გარდა ფიცისა, გუშინ თურქების დედაკაცებს თავიანთი სალამური პერანგები გამოუტანიათ და თავიანთისა ქმრებისათვის შემოუძახებიათ: ამ ჩვენს სალამურ პერანგებსა თქვენ ჩალმის მაგიერათ თავზე დაგახვევთ, თუ უსიკვდილოთ ამ ქალაქსა ქართველებსა დაანებებთო. ამისი სამაგიერო ჩვენ რალა გვმართებს? *(დაიძახებს უეცრად)* ბარძიმები შემოასვენეთ, მსხვერპლი ქრისტესი *(თორმეტს ბარძიმს, თორმეტ ეპისკოპოზის შემოასვენებენ. ერთს ქათალიკოზი ჩამოართმევს)*. მოვედი, შვილნო, მოვედით და მიილეთ წინ-მძლომელი ჩვენი ესე სასუფეველისა. *(გალობით წარმოსთქვამენ ამას. ამ გალობაში მეფე დაემზობა, მასუკან წამოიჩოქებს და მერე მიიღებს წმიდას საიდუმლოს ქათალიკოზის ხელით. შემდეგ ადგება ამ სიტყვით)* გვედრებით მამანო, დაიარეთ და ყველას მიაღებინეთ, წმინდა საიდუმლო ეგე ძის მღვთისა, ან თურქების ტანჯვის ჯოჯოხეთისაგან გამოგვიხსნას, ან არა და სასუფეველი მიგვიძლოდეს ღვთის წინაშე *(დაივლიან და ყველას მიაღებინებენ სასოებით და თან ქათალიკოზის სიტყვას გალობენ)*. მოვედით, შვილნო, მოვედით და მიილეთ წინამძლოლი ესე ჩვენი სასუფეველისა *(ამას რომ მორჩებიან, მოვლენ და მეფე დავითის წინაშე დადგებიან ბარძიმებით და ფარნებით. თაყვანის ცემის შემდეგ)*.

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ. სულიერნო მამანო, გაისარჯენით და ერთობ ჩვენსა ჯარსა მიაღებინეთ წმინდა საიდუმლო, იმ თავგამოდებულს ჩემს შვილებსა *(ქათალიკოზი გაუძღვება და ერთობრივ გავლენ გალობით)*. მოვედით შვილნო, მოვედით, და მიილეთ წინ-მძლომელი ჩვენი ესე სასუფეველისა *(ამათ გაჰყვებიან: არსენ იყალთოელი, გიორგი ჭყონდიდელი, ბეიდელ ალავერდელი, ეფრემ მცირე, თეოფილე, იოანე ტაიჭისძე, ფილოსოფოსი იოსებ და პეტრიცი ჩირჩიმელი. ესენი რომ გავლენ, მეფე მობრუნდება და დაიძახებს)*.

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ. ივანე და აბულელო, აქ მობრძანდით ჩემთან *(მივლენ და თაყვანს სცემენ)*. ივანე, შენ მარჯვენას მკლავ-ქვეშ შემომიჯექ *(შეჯდება და მარჯვენას ხელს გადაავლებს მხრებზე)*. შენ აბულელო, მარცხენას მკლავ-ქვეშ შემომიჯექ *(შეუჯდება და ამასაც გადაავლებს ხელსა)*. შენ, ნიანია კახაბერიძე, ივანეს მოუდექ გვერდში *(მოუდგება)*. შენ, ქავთარ, აბულელს მოუდექ, შენ, თევდორე, კახაბერიძეს მოუდექ, შენ, არიშიანო, ქავთარს

მოუდექ და შენ, ბარამ, თევდორეს მოუდექ. თქვენ ხართ ჩემი სვეტი სიკვიდრისა! ჩემი სიმყარენი, ჩემი ბრძანების აღმასრულებელნი; ბრძოლასა შინა შეუწყველნო მამაცნო! თქვენ ხართ მომხრენი და მკლავნი ძლიერნი ჩემნი! *(ახლა ერთობ ყოველთა)*. ახლა თქვენკენ მოვიტყევი ერთობ ძმანო და უძლეველნო მხედარნო! ვის ძალუძს წინააღმდეგობა ჩვენი და ჩვენის ხმლისა? არამც თუ ჩვენ თურქთა დავამარცხებთ და იმათ შემწე არაბთ, გარნმუნებთ, ჩვენ დედაქალაქს ტფილისსაც გამოვიხსნით იმ ბარბაროზებისაგან. მაშინ დაინყება ჭეშმარიტი სარწმუნოება ჩვენი ქრისტიანობისა და ეკლესიანიც იდღესასწაულობენ ყოველს ბრწყინვალეობით! მაშინ ერთა შორის გამრავლდება სასწავლებელნი და განათლება ამაღლდება! მაშინ ვაჭარნი ნამდვილს ვაჭრობასა შეუდგებიან და სიმდიდრით ააფუფუნებენ ქვეყანასა! მაშინ უსასიამოვნესი მოქალაქეობა შემოვა და ზრდილობა გამშვენიერდება! მაშინ სრული სიბრძნე განვრცელდება და ჩვენი მეცნიერნი შეამკობენ ყოველს ამას: ვითარცა იოვანე ქათალიკოზი, ჩემი მოძღვარი არსენ იყალთოელი, გიორგი ჭყონდიდელი, ბედიელ ალავერდელი, თეოფილე, ეფრემ მცირე, იოვანე ტაიჭისძე, ფილოსოფოსი იოსებ, პეტრიცი ჩირჩიმელი, და მე, რომლითაცა ამათის შემწეობით, გარნმუნებთ, აღვადგენ ჩვენსა მამულსა და პირველ ხარისხში აღვიყვანთ!.. *(მასუკან განშორდება ამათ ცოტა მოშორებით)*.

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ. აბა, ივანე, ახლა შენი შვილი ლიპარიდ მომგვარე.

ი ვ ა ნ ე. *(ივანე ხელს დაუჭერს, მიიყვანს)*. აი, ჩემო ხელმწიფო! ეს გახლამთ ჩემი შვილი.

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ. *(მარჯვენა ხელს მხარზე დაადებს)*. ხედავთ, ის ჩემი ნახული ბიჭი, ხმალ-მოსხმული თურქებზედა, როგორ დავაჟკაცებული საჩენად! ივანე, ამას იქით, ეს ჩემი შვილია, მინდა, ნაგართო და ხვალისობის პირველი სპასპეტობა ამას მივცე ჩემს ბრძანებლობას ქვეშ *(მამა-შვილნი მივლენ ორნივე და ცალის მუხლით დაჩოქილნი კაბის კალთაზე აკოცებენ. ლიპარიდისაკენ მეფე დავით)*. კარგათ ვიცი თუ ყოველი შენი ამბავი, ლიპარიდ! ამას იქით ბევრი წარმატება მიგიძღვის წინ და დიდი, ფართო კარები გაღებულა შენთვის *(ამ დროს შორიდგან მოისმის ხმა ალია ჩოჩოლისა და ძახილი)*. დედოფალი გურანდუხტ მობრძანდა იმერეთის ქალების ჯარით, თხუთმეტი ათასი ჰყავს.

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ. გავეგებნეთ, გავეგებნეთ იმ დასთა, რომელთა სწყურთ თურქებთანა ბრძოლა ჩქარა.

(გაეგებებიან და ბუკ, დაფის ცემით შემოიყვანენ სიხარულით. მეფე დავითს ხელი უჭირავს გურანდუხტისა; მოჰყავს და სხვანიც

მოსდევენ რამდენიმე გამოჩენილი ქალები, ამათაც ისე აცვიათ, როგორც ელენეს და ნინოს. მაგრამ გურანდუხტს უფრო განსხვავებულად აცვია მდიდრად. შუა ადგილს დადგებიან მეფე დედოფალი).

დედოფალი გურანდუხტ. მშვიდობას მოგახსენებთ ჩემსა ძმებსა და ჩემ დებსა (ერთობრივ მძიმედ დაუკვრენ თავსა). მე ყივჩაღის ასული, ჩვენი მამულის ქალი არ დავრჩები, რომ ხვალინდელს აღმატებულს დღესა, მეც თქვენთან თავი არ გამოვიდო მამულისათვის, მეც იმერეთიდგან თხუთმეტი ათასი ქალი მოვიყვანე, სულ რჩეულნი, სულ თავდადებულნი და ღმერთი გვიძლოდეს წინ; ერთობ ჩვენ.

ერთობ. დედოფალი გურანდუხტ მრავალ ჟამიერ იქმნას: ასული ყივჩაღისა და ქალი მამულისა! (ყველას თავს დაუკრავს მასუკან თავის ქმრისკენ).

დედოფალი ი. უძვირფასესო ხელმწიფეო! ხომ არ გენყინათ, მეც რომ ავამხედრე იმერეთის ქალები თურქებზედა, ჩემო ნუგეშო დავით? (მეფე მივა, გადაეხვევა და შემდეგ მადლობის ხმით).

მეფე დავით. დედოფალო! აბა, იცან, ვინ არის ეს?

დედოფალი ი. თქვენი ჭირიმეთ, ვინ არის ეს ჩინებული ყმანვილი კაცი?

მეფე ი. ივანეს შვილს, ლიპარიდს ველარ ცნობ?

დედოფალი ი. ლიპარიდ! ივანემ და სარრამ თავისი შვილი ლიპარიდ, ათის წლისა, მე რომ მომართვეს, და მასუკან შენ რომ ომში წაიყვანე, ეს ის არის? რა კარგი ვაჟკაცი შექმნილა მართლად. ვაჟკაცობა გეტყობა, ლიპარიდ, თუ ხელის გამომავლობა გექნება?

მეფე დავით. თქმა არ უნდა მაგას. დასამტკიცებლად ამისა, ხვალ ის სპასპეტობა მივეც ჯარისა. ამის გამო ეკუთვნის.

დედოფალი ი. ყმანვილობა არა მოუვიდეს რა?

მეფე ი. ნუ სწუხარ, ჩემთან არა მოუა რა. ამას თავი დავანებოთ, ახლა ეს მოისმინე. (მასუკან ლიპარიდისკენ) ლიპარიდ, იახელ დედოფალსა, ყველანი გააცან და ანბავიც მოახსენე. (მასუკან მობრუნდება) მაგრამ სავარძლები და სელები შემოიტანეთ (ორს სავარძლებს შემოიტანენ, რაზედაც მეფე დედოფალი დაპრძანდებიან და სხვანი სულ ერთიან სელებზე. აქ ლიპარიდ წარმოდგება, მეფე დედოფალს თავყვანს სცემს ცალ მუხლზე და შემდგომ მოახსენებს).

ლიპარიდ. ჩემო ხელმწიფეო დედოფალო! (მიიყვანს თავის დედა-მამას). ორთავ, კარგათ იცნობ, დიდებულო, ამ ჩემ დედა-მამას! (დედოფალი წამოდგება, მძიმეთ თავს დაუკრავს და შემდეგ ისე დაჯდება). ჩვენი დიდის მეფის ბრძანებით, ამ მამა ჩემმა, შავზღვიდამ კასპის ზღვამდისინ, რაც მთების ერნი არიან, სულ ამან

აღძრა, სულერთიანათ ჩვენთან გაერთდა და ორასი ათასი მეომარი მოდის ჩვენს შესანევენელად, ამის დასარწმუნებლად, იქაური პირველნი კაცნი ჩამოჰყვნენ თანა.

(ძიძიძე თავის დაკვრით).

დედოფალი. პატივცემულო ივანე, დიახ დიდი საფუძვლიანი საქმე გიქმნია, ერთობ თარგამოსიანთათვის.

ლიპარიდ. ესეც დედა ჩემი სარა გახლამთ, ეს თავის ქმარს არა შორდება და ანბობს: სადაც ჩემი ქმარი მოკვდება, მეც იქ უნდა მოვკვდეო.

დედოფალი. ჭემმარიტად დიდი ბედნიერებაა მაგისტანა სიყვარული, ჩემო სარავ! გთხოვ ამას იქით, შენს შვილსავით გიყვარდე და გულზედაც მაკოცო! *(გულზედ შეეტკობა, მასუკან სიმამრს და სიდედრს მიიყვანს).*

ლიპარიდ. ეს გახლავთ ქალაქ ტფილისის მამასახლისი, ჩემი სიმამრი, აბულელი, ამასაც კარგათ იცნობთ, შენი ჭირიმე. ამ ქალაქის გარშემო სოფლების მცხოვრებელნი. ამან გამოიყვანა და დღეს შეჭურვილნი აქ გახლავან თქვენს წინაშე *(ამასაც ძიძიძე თავს დაუკრავს და ეტყვის).*

დედოფალი. პირველი ბრძოლისათვის, დიახ დიდი საქმეა მაგვარი სამსახური.

ლიპარიდ. ეს გახლავს ჩემი სიდედრი ანასტასია. მთელი ქალაქის დედაკაცები სომხისა და ქართველისა, ამან გამოიყვანა და შეჭურვილნი და აქ გახლავან ხუთი ათასი მეტი. თავ გამოდებით ემზადებიან თურქებს შეებენ და ბრძოლა აუტეხონ.

დედოფალი. დიახ დიდად გმადლობ, ანასტასია. ასეთი ვალი დაგიდვია ჩვენთვის, რომ გულ შემატკივართ დედათ მინოდებიხარ ჩვენ ქვეყნის თარგამოსისა.

ლიპარიდ. ეს გახლავსთ ჩემი დიდი მეგობარი და ჩემის სიდედრის ძმის წული, პირველი სომხის შვილი აბესალომ, ჩემი გავარდნის დროს ეს გახლდათ ჩემი დიდი თანაშემწე, რომელმაცა დღეს მთელი ქალაქის მცხოვრებელნი კაცნი ამან გამოიყვანა და უკანასკნელ სისხლზე ემზადებიან საომრათ *(დედოფალი თავის დაკვრით აბესალომს).*

დედოფალი. აბესალომ, შენც იმისთანა მადლობა გეკადრება, როგორათაც ღიპარიდსა.

ლიპარიდ. ეს გახლამთ ჩემი დანიშნული ელენე და ეს მეორე ჩემი დეიდაშვილი ნინო. რაც ყმანვილი ქალები გახლავან, ამათ აამხედრეს ოთხი ათასზე მეტი და ჩვენ ყმანვილ კაცების მეტოქენი შეიქნეთ. თავ გამოდებულნი ანბობენ: ვნახოთ თქვენ ყმანვილი კაცები როგორ დაგვემჯობინებთო მამულის გამოხსნაში.

დედოფალი ი. ყმანვილო ქალებო, ამას იქით თქვენ ჩემი დები ბრძანდებოდეთ და თქვენც თქვენი დედის ნაშობს დასავით გიყვარდეთ, ამაზედ მეტი ჯილდო არა მაქვს რა თქვენთვის და გთხოვთ, ჩემი ეს თხოვნა მიიღოთ, როგორათაც უცნობს რამე სათავაზო უნცროსის დისაგან.

ლიპარი დ. ეს გახლავსთ ჩემი სიმამრის ძმა, ბერი სერაფიმ, ამან ოცი ათასი ბერი გამოიყვანა მონასტრებიდამ და აქ თქვენ წინაშე გიახლენ თურქების საბრძოლველად. ყოველი რაც მოგახსენე, არავისი არ არის რა, სულ ჩვენი დიდის მეფის დანყობილობაა, დიდო დედოფალო!

დავით მეფე. *(დავით მეფე და დედოფალი ბერების წინაშე დაიჩოქებენ)*. წმიდანო მამანო, უმდაბლესად გვეედრებით, თქვენის წმიდის ლოცვით გვაკურთხოთ *(ამ დროს სავარძლებს და სელებს სულ გაიტანენ)*. ამ სიტყვებისთანავე ბერები კუნკულას მოიხდიან, ხელებს თავზე დაადებენ. *სერაფიმ ბერი გულმობიერათ ზეცას მიხედავს და იტყვის*).

სერაფიმი ბერი. დიდო, საკვირველო, მიუნვდომელო ღმერთო! შენი უხვი მოწყალება გადმოავლინე შენს მოსავთ და მონათ, დავითს მეფესა და დედოფალსა ზედა, რათა ძლევა შემოსილი ჰყო და მტერსა ზედა გაემარჯვათ *(დავით მეფე და დედოფალი წამოდგებიან, სერაფიმ ბერს ხელზე ემთხვევიან და მასუკან საერთოთ)*.

დავით მეფე. დღეს ასეთს მაგალითსა ვხედავ ჩვენი ერისას; კაცისასა თუ ქალებისასა, რომ არას დროს არ დაივიწყება ამათ საქმე, შეიძრა ჩვენი მთა-ბარნი და ახლა ნახამთ თქვენს ყოფას, თურქებო: – ხედავთ, აქამდისინ როგორ ძნელათ მიგვანჩნდა გაერთება და ერთი ერთმანეთს არ ვენდობოდით? – ახლა ცხადათ დავინახეთ, ადვილი ყოფილა ჩვენი გაერთება და ერთმანეთის სიყვარული. შავი ზღვიდამ მოკიდებული კასპამდინ, მთა და ბარი ეჭრატის მდინარემდისინ, სულ ერთიანი ვართ და ერთი მამის თარგამოსის ჩამომავლობა. მაშასადამე, ძმანი ვყოფილვართ და ამას იქით ერთად უნდა ვიყვნეთ ყველანი; ნულარავის ნულარ გვემინიან თურქებისა. ხუთასი ათასი მეომარი გამოგვივა მთებში და ბარში სულ პირველნი ვაჟკაცნი და ერთი ბრძანებლობის მორჩილნი; სიმაგრეები და ხეობები ხომ რალა მოგეხსენოთ! მთელი თურქების მხედრობა რომ მოვიდეს ჩვენზედ, შეგვიძლიან ასი წელიწადი გავაგრძელოთ ბრძოლა მამინ, როდესაც რომ თურქეთის თავის ძლიერება დაეღუპება და რამდენიც დრო გაივლის, იმთენი უფრო გავძლიერდებით ჩვენ! – ჩემო უსაყვარლესნო მამულისშვილნო! ეს ხომ გაიგონეთ, ახლა რანი ვნახოთ, რამთენი მხედრობა გვეყოლება

ხვალე?

ლიპარიდ. თხუთმეტი ათასი ჩვენ ვიქნებით, სულ ერთიანათ ჩემსავით ყმანვილნი კაცნი.

აბულელი. ათი ათასი ჩემი ხნისა, ჩვენ ვიქნებით.

ანასტასია. ხუთი ათასი ჩვენ ვიქნებით ჩემი ხნის ქალნი.

(ელენეს შერცხვება, ვერ გაუბედნია და ნინო მოახსენებს).

ნინო. ჩემო ხელმწიფევ, ჩვენ ყმანვილი ქალებიც ვიქნებით, ოთხი ათასზე ცოტა მეტნი.

სერაფიმბერი. ჩვენც, ბერებიც თქვენ წინაშე გახლავთ ოცი ათასი მეომარი.

დავითმეფე. მეც მეყოლება ოცდა ხუთი ათასნი დიახ ჩინებულნი, გამოცდილნი ვაჟკაცნი და ეხლა ხომ დედოფალიც მოგვეშველა თხუთმეტი ათასი ძალით. სულ ერთიან რაც ეხლა მბედრობა გვყავს, რომ ვიანგარიშოთ *(პატარა ხანს დაფიქრდება და მასუკან იტყვის)*. ოთხმოც-და თოთხმეტი ათასია სწორეთ – ეხლა თათბირი მოვახდინოთ, რომლის რიგი შევებნეთ თურქ-არაბებსა?

სერაფიმბერი. ჩემო ხელმწიფევ! ჩვენ ბერები მოწინავეთ დავდგებით და დანარჩენი თქვენი ნება იყოს.

დავითმეფე. ეგ დიახ კარგი. საჭურველი ხომ არა გაქვსთ, ეგ ანაფორა რა იქნება? *(სერაფიმ ბერი თავის ამხანაგებს ანიშნებს, მაშინვე ანაფორას გადიხდიან და შორს გადააგდებენ. ნახვენ, რომ დიდრონი ხანჯლები წინ ნელზედ აკრამთ და გძელი ხმლებიც გვერდზე).*

სერაფიმბერი. ეს ხანჯლები და ხმლები ჩვენთვის საკმაოა, ჩვენო ხელმწიფევ, და მოწინავეთაც დავდგები ჩვენ ჯარების წინ.

დავითმეფე. მამაო სერაფიმ, თქვენს განძრახვას ვხედავ; თქვენ ბერები ველარც ერთი ვერ დაბრუნდებით ცოცხალი და თურქებსაც კეთილი არა მოუათ რა.

სერაფიმბერი. თუ ამისთანა შემთხვევაში არ გამოვადგებით ჩვენს ქვეყანას, მარტო ჩვენის ლოცვით რა იქნება. – თვით უფალი ბრძანებს: მხნე იყავ და განძლიერდით. ჩვენ ბერებს ახლა შემთხვევა გვაქვს და საჭიროა, მოგეხმარნეთ. მართალია, ჩვენ გავსწყდებით, მაგრამ ამითი დიდი შეება მიეცემა ჩვენს შვილებს. ვინც მშობლის მამულისათვის დავიხოცებით, ბედნიერი სიკვდილი იქმნება! რას ბრძანებთ? ჩვენი მამული გვაძლევს თავის ნაყოფს, ვითარცა დედა თავის მკერდსა ზედა ზდიდეს შვილსა. სიყვარულის გემოვნებით; ეგრეთ ვიზდებით მამულითა. ამის შემდეგ, რომელი უღმთო, უსვინდისო უნდა იყოს თავის ქვეყანას არ მოეხმაროს, ანუ უღალატოს. იგი წყეულიმც იყოს ღვთის პირისაგან!

ერთ-პირად. წყეულიმც იყოს.

ს ე რ ა ფ ი მ. მაშ, ჩემო საყვარელნო, ერთიანათ გევედრებით, შავი ზღვიდგან მოკიდებული კასპამდისინ და თარგამოზის ერთიან შვილებთა, ან ერთიან გავნყდეთ და ან გავთავისუფლდეთ!

ე რ თ-პ ი რ ა დ. გავნყდეთ და ან განვთავისუფლდეთ! *(რამდენ-ჯერმე ეს ხმა. ამ ამბავში მთიელნი უკან იდგნენ; ლიპარიდმა ვერ დაინახა, რომ წარედგინა და გულიდგან გადაავინყდა, მასუკან თვითონ წადგნენ და ერთმა იმათგანმა მოახსენა).*

ბ ე შ კ ე ნ. დავით მეფევე! ჩვენ რაღას გვიბრძანებ? მართალია, ოცნი ვართ, მაგრამ უომრათ არ დავრჩებით, ჩვენც და ჩვენი ომი სიკვდილზე იქმნება. ჩვენი სუდარები თან მოვიტანეთ: ომში უნდა გვქონდეს და იმითი დავიმარხნეთ *(ჯიბიდგან თეთრს სამოსს ამოიღებენ და მხარილლივ გადიხვევენ)*. ეს გახლავსთ ჩვენი სუ-დარა. მხარზედ უნდა გვქონდეს და ჩვენი ომიდგან გამობრუნება აღარ იქნება, ხელმწიფეო!

დ ა ვ ი თ მ ე ფ ე. ჩემო საყვარელო ძმებო, როგორც თქვენ გეკადრებათ, სწორეთ იმისთანა გული გაქვსთ. ეგ ოცნი რომ დაიხოცნეთ, რა სარგებელი იქმნება. მაშინ როდესაც რომ უთქვენოთ ვერას გავანყობთ მთებში?

ბ ე შ კ ე ნ. არა, შენი კვნესამე. ბევრი ჩვენისთანა გახლავს მთებ-ში და უფრო კარგი სახლის შვილები. ჩვენ რომ მოვდიოდით, ჩვენმა შეყრილმა ერმა ეს სუდარები თან გამოგვატანეს და გვითხრეს: ეს სუდარეები წაიღეთ, ჩვენსა ძმებსა აჩვენეთ ნიშნათაო. შავი ზღ-ვიდამ მოკიდებული კასპამდისინ, რაც მთებიდგან ჯარები ჩამოვ-ლენ, ყველანი სუდარებით უნდა ვიყვნეთო; ან ჩვენის მამულიდგან გავიყვანთ თურქებსაო, ან არა და იმათი ხელით დავიხოცნებით, რომ ჩვენი სამარხი სუდარა თანა გვქონდესო, ახლა ჩვენი უომრობა თუ შეიტყეს მთებში, ქვას დაგვიშენენ და ჩაგვაქვავებენ.

დ ა ვ ი თ მ ე ფ ე. თქვენი ნება აღსრულდეს, ძმებო, მაგრამ ამას იქით თქვენ ჩემთან უნდა იყვნეთ განუშორებლად და ჩემი მფარვე-ელობა მიბოძებია თქვენთვის *(დიახ მიძიმედ დაუკვრენ თავსა, მა-გრამ დავით მეფემ ამისათვის უბოძა თავის მფარველობა, რომ ვერ გამოიშეტა ომში დახოცილიყვნენ, რადგანაც პირველი სახლის შვილები იყვნენ და მთებში დიდი სახელი ჰქონდათ. მასუკან მო-ბრუნდება და საერთოდ იტყვის)*.

დ ა ვ ი თ მ ე ფ ე. ახლა პირველს საქმესვე დაუბრუნდეთ და ჯარების დანყობა ვსთქვათ.

ი ვ ა ნ ე. ჩვენო ხელმწიფევე! როგორც თქვენ ინებებთ; თქვენი მორჩილი გახლავართ ყველანი.

დ ა ვ ი თ მ ე ფ ე. ასე დავინყოთ და ასე მოვყვეთ. ბერები ხო მონინავეთ დადგებიან, ჯარის დაფარვა უნდათ. ბერების უკან ქა-

ლები დადგნენ და ჩემი ათი ათასი მეომარი იმათთვის მიმიჩენია ჩემი პირველი სპასპეტი ნიანია კახაბერის ძითა. ქალების მარჯვნივ მხარეს ყმანვილი კაცები მოთავსდნენ და ლიპარიდ იყოს მათი ბრძანებელი. მარცხენას მხარეს ქალებისკენ დადგეს აბუღელი, თავის ჯარით და ხუთი ათასი ჩემი საკუთარი მეომარი იმათთვის დამიმატებია. ამ დაწყობილობით უფრო სწორე ომი იქნება და არც არევა მოხდება, აქ მე დამრჩება ათი ათასი მეომარი, რომლითაცა ყველას უკან დავდგები და გაჭირვებისათვის შევინახამ. მხოლოდ ჩრდილოეთის მხარეს, დიდი მთა რომ უძევს დიღმის მინდორს, იმ მთას ზურგი მივაყუდოთ და აუჩქარებლივ ვიბრძოლოთ, მაგრამ როგორც ჩვენ მამა-პაპის ჩვეულებას ეკადრება, ასეთი ვაჟკაცობა უნდა ვაჩვენოთ თურქებსა, რომ ვინც იმათგანი დარჩეს, წავიდეს და თურქეთში უამბოს ჩვენი მკლავის ძალი და ვაჟ-კაცობა! ღვთის შენევნით, იმათ სიამაყეს მალე შევმუსრავთ. – ჩვენთვის როგორა ღირს? ჩვენი შვილიშვილები. ბედნიერებით აჰყვავებულნი, მადლობას რომ იტყვიან ჩვენსას, თავიანთის თავისუფლებისათვის? – და ამასაც დაატანენ; მაინც ხომ მომაკვდავნი იყვნენ და ასეთი სახელ-განთქმული სიკვდილი სანატრელია იმათთვისაო. ახლა, საყვარელო ძმებო! ანდერძი დავაგდოთ, ვინც მამულის თავისუფლებისათვის მოვკვდეთ, იმათი ძვლები შეიკრიბოს და წმინდას ადგილს შეინახონ, რომელზედაც სია დაჰკიდონ შემკობილი: – ვინ რომელი არის და ყოველს წელიწადზედ იმათ დღესასწაულსა გადინდიდნენ.

ყ ვ ე ლ ა მ ე რ თ-პ ი რ ა დ. დავით მეფე ადღეგრძელოს! (ამ დროს მთაზე ეკლესიის ცისკრისათვის მღვდელი ზარებს დარეკს და საუცხოვოთ ააყოლებს რეკას. მაგრამ კიდევ ლამეა: აქ სერაფიმ ბერი დაიძახებს) უფალო, გვესმა ხმა დიდებისა შენისა და თავყანსა ვცემთ უფალსა ღმერთსა ჩვენსა. (ამასთანავე დაიწყებენ გასვლას და თან ამას ამბობენ) ღმერთო, შენ შეგვენიე, შენ შეგვენიე, ღმერთო!

(სულ ერთიან რომ გავლენ).

ე ლ ე ნ ე. ჩემო სიცოცხლეო ლიპარიდ, მე შენ არ მოგშორდები, – ხვალ ომშიაც შენს მახლობლად ვიქნები.

ლი პ ა რ ი დ. შენმა გაზდამ, სულ რომ არ იყო, ისა სჯობია.

ე ლ ე ნ ე. შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, მაგას ნუ მეტყვი.

ლი პ ა რ ი დ. კარგი, აღარ გეტყვი, ჩემო ელენე.

ე ლ ე ნ ე. მამ, ამაღამ სად იქნები შენ?

ლი პ ა რ ი დ. ვერ დამინახე? წელანვე დავითხოვე ჩემი ამხანაგები? ჩემი სანოლი ეს ხის ძირია, და როგორც მხედავ, ასე მივწვები. ან რა გგონია, ჩემი ძილი რა იყოს? ბევრი, ბევრი მეძინოს, თვალებს

მივლულავ ცოტას ხანსა, მასუკან ისევ უნდა ავდგე და ომის საქმეს შევუდგე.

ე ლ ე ნ ე. შენი სულის ჭირიმე, შენს მუხლზე წამოვწვები და ისე დავიძინებ.

ლ ი პ ა რ ი დ. ამ ხმელს დედა-მინაზედ!

ე ლ ე ნ ე. შენთან ჯოჯოხეთიც ჩემთვის სასუფეველია.

ლ ი პ ა რ ი დ. ახ, ჩემო ელენე, ელენე! ამაზე მეტი სიტყვა აღარა მაქვს, რა გითხრა. – მაშ, მცირედი მოიცადე (ამასთანავე გაბრუნდ-გამობრუნდება, ფოთლებიან ხის ტოტებს ჩამოანტვრევს და იმ ხის ძირში მოჰფენს, სადაც ადრე ეძინა. მერე მივა ზედ დაჯდება, ხეზე მიესვენება და ორ ფეხს გაიშლის, ერთი-ერთმანეთზედ შემოდებულს). ჩემო ელენე! როგორც ნებიერი ყმანვილი; მოდი, წამოწე და ჩემს მუხლზე დაიძინე.

ე ლ ე ნ ე. დიას კარგი იქნება, შენ ნუ მომიკვდები, ჩემო ლიპარიდ! (მივა, წამოწვება, მუხლზედ თავს დასდებს, მარჯვენას ხელს გამოართმევს. ორის ხელით მაგრა დაუჭერს და თავის გულზე დაიდებს).

ე ლ ე ნ ე. ახ, რა ტკბილად დამეძინება ასე! *(თვალებს დახუჭავს და მაშინვე ტკბილად დაიძინებს).*

ლ ი პ ა რ ი დ. მართალია, რომ ტკბილად დაეძინა. ახ, სიყვარულო, სიყვარულო! *(ამ სიტყვისთანავე ლიპარიდ თვალებს დახუჭავს და ესეც ტკბილად დაიძინებს ხეზე მისვენებული. ამ დროს გაბრწყინებული ცისკარი ამოდის ზეცაში იმათ თანასწორად მალლა. პატარა ხანს უკან ფარდაც ჩამოეფარება).*

დასასრული (მეორე მოქმედებისა)

მესამე მოქმედება

(ფარდა აიხდება, გამოჩნდება ქალაქ ტფილისი და უკან დიდრონი მთები. აქ წინ მინდორზე დგანან ასი მეტი არაბი, სულ ერთიან შეჭურვილები და საშინელი შავი სახეები აქვთ. იმათგან პირველი თაკილობით).

პ ი რ ვ ე ლ ი. ვა! თქვენ უგუნურო ქართველებო. ვის გადუდექით? ვისი წინა-აღმდეგობა მოინდომეთ? ხა! ხა! ხა! ხა! უბედურებას მოუტაცნია იგი საცოდავნი; ერთს ფრიალოზედ გადაჰყაროს და იმათი უკანასკნელი ცხოვრება დანთქას. მეტი დრო აღარ აქვთ. ამ ცოტა ხანში ნახვენ, რა მოუათ; ნამეტნავად უფრო ამ მიზეზით,

რომ ჩვენ არაბნი მოწინავედ დაგვაცენეს თურქებმა; მარტო ჩვენის შავის სახით შეძრწუნდნენ და უფრო ჩქარა დამარცხდნენ.

მ ე ო რ ე. მაგას ნუ იტყვი, ძმაო, აგრე თაკილობით ნუ ახსენებ ქართველებს. გუშინ ანბავი მოვიდა. მთა და ბარი გაერთებულა შავი ზღვიდგან მოკიდებული კასპამდისინ და უშიშრად გვიდგანან ნინ: გარდა ამისა, ისინი მამულის შვილები არიან და ჩვენ შემოსული ეულები, ამისთვის იგი გაერთებულნი ერთნი და მამულის შვილები დიდად გამოიღებენ ხელსა!

პ ი რ ვ ე ლ ი. რას ამბობ, ძმაო! – ას ოცი ათასი მეომარი აქა ვართ; ასეთი გამოჩენილი ჯარი, რომ ჯერ თურქეთიდგან და არაბეთითგან არ გამოსულა ამისთანა ჯარი და ასი ათასი კიდევ დაგვიბარებია. მითამ რა უნდა ქნან იმ საწყლებმა?

მ ე ო რ ე. სწორე გითხრა, ძმაო?

პ ი რ ვ ე ლ ი. დიად, კარგი იქნება სწორეთა თქვათ.

მ ე ო რ ე. პატარა სოფელმა, დიღმელებმა, ნახე რა გვიყვეს? ჩვენი ერთი რაზმი დაგვიღუპეს. მართალია ისინიც სულ განყდნენ, მაგრამ ეს იცოდე, რომ ერთმა დიღმელმა კაცმა, დედაკაცმა ხუთი ჩვენი მეომარი მოკლა – გესმის, რა გითხრა? დედაკაცები უფრო საშინელები შეიქნენ კაცებზე და ყველანი შეჭურვილან თავგადადებით.

პ ი რ ვ ე ლ ი. (ჯერ დაღონდება და მასუკან). მაშ, როგორ გგონია, ძმაო?

მ ე ო რ ე. დიდ ჩვენს მხედართ მთავარს, ქალაქ ტფილისის მპყრობელს: დურბეზს მოვახსენე; ჩემი თანახმა შეიქნა და ახლა შენც გეტყვი. ჩვენ ქართველებთან ძლიერებით ველარას გავანყობთ, ამისთვის ცბიერება უნდა მოვიგონოთ რამე და იმითი დავთრგუნოთ, თავდაპირველ საქართველოს როგორ დაიპყრობენ თურქები, მაგრამ ჩვენი ცბიერობით მოტყუვდნენ. მიიხედ-მოიხედე, თუ ჩვენი მაცდურობა არა ყოფილიყოს-რა, ამ სიმაგრეების მცხოვრებთ დავიმორჩილებდით აქამდისინ?

პ ი რ ვ ე ლ ი. ახლა მეც ვხედავ. – მართალს ამბობ. მაშ, როგორ მოვახერხოთ ახლა?

მ ე ო რ ე. მე დესპანათ მივალ ქართველებთან; ამათს მეფეს დავითს და პირველს კაცებს გამოვიხმობ; ვეტყვი: ჩვენს დიდ დურბეზს თქვენთან სალაპარაკო აქვს თქვენს თავისუფლებაზე და გთხოვს, მობრძანდეთ მეთქი. – აქ რომ მოვლენ, ხუთასი არაბი აგერ იქ ბექობში დამიმალამს. უეცრათ დაესხმიან და სულ ერთიანათ გასწყვეტენ. მაშინ ქართველები უპატრონოთ დარჩებიან და როგორც გვინდა, ისე დავიმორჩილებთ იმათ. თუმცა ღალატი და უპირობა იქნება, მაგრამ რადგანაც ძლიერება და კაცის გონების

დამაბნელებელი ოქრო-ვერცხლი ჩვენს ხელშია, შეგვიძლია ან ერთი რითიმე გავიმართლოთ თავი ქვეყანაში და ბრალი იმათვე დავსდოთ. გაიგონე, რა გითხრა: – ოქრო, ვერცხლი, დიდრონს სახელმწიფოებს ყირაზე დააყენებს.

პ ი რ ვ ე ლ ი. დიახ, კარგი მოგონებაა; თუ ღმერთი გწამს, გაე-შურე, საჩქაროთ წადი.

მ ე ო რ ე. ეხლავ, ეხლავ წავალ (გავა).

(პირველივე მობრუნდება და ერთს ეტყვის).

პ ი რ ვ ე ლ ი. შენ როგორღა გგონია, ძმაო?

მ ე ს ა მ ე ა რ ა ბ ი. მე არ მგონია, გვენდნენ, ამისთვის რომ ბევრი სიცრუე და ორ-პირობა უნახამთ ჩვენი და რამდენ რიგათ მოტყუებულან.

პ ი რ ვ ე ლ ი. იმ ჩვენს ამხანაგს, დიახ, კარგი ენა აქვს, უთუოთ მოეტყუებს.

მ ე ს ა მ ე. კარგი იქნებოდა, თუ ჩვენ ეს სიბლუტეს არ მიხვედრილიყვნენ ქართველები; ახლა დიახ კარგად იციან ჩვენი ყოველი საქმე. კარგათ უნდა ვიცოდეთ. მართალიც რომ უთხრათ, აღარ დაიჯერებენ და ამაოთ ჩაივლის ჩვენი რწმუნება. ან რად უნდა დაიჯერონ, ანუ გვენდნენ: მაშინ, როდესაც რომ ათიათასჯერ, შეგვიფიცნია ჩვენს სარწმუნოებაზე; ღმერთი თავდებად მიგვიცია; ბოლოს ტყუილი გამომდგარა ჩვენი ფიცი და ჩვენი აღთქმა. ახლა კარგათ ისწავლეს ყოველი ჩვენი საქმე და კარგათ გავითარდნენ, თორემ ნახამთ *(ამ სიტყვაზე პირველი არაბი თავ-ჩაკიდებით გაივლის, გამოივლის და ამის სიარულში მეორე არაბი შემოვა).*

მ ე ო რ ე. არა იქნა-რა და ტყუილად ჩაიარა ჩემმა დესპანობამ.

მ ე ს ა მ ე. განა, მე მართალი ვთქვი?

პ ი რ ვ ე ლ ი. ღმერთსა ვფიცავ, ჭკვიანი ხარ *(მასუკან მეორეს მოუბრუნდა)*. მაინც გვითხარ, როგორ იყო?

მ ე ო რ ე. საქართველოს წინა რაზმში მივედი; ლიპარიდ დამხვდა და ყოველი განვუცხადე. ლიპარიდ გაიცინა და მითხრა: „ვა, თქვენ შემცდარნო თურქ-არაბნო; ვილას ატყუებთ? არ გეყოთ ამდენი მოტყუება ჩვენი? წადი და თქვენს დიდს დურბეზს უთხარი: „ხმალი და ჩვენი სისხლი გადასწყვეტს ჩვენს საქმესა თქო.“ ამ უკანასკნელ სიტყვასთან გასწია და სწრაფად წავიდა. ის რომ გამშორდა, ქართველებმა ბევრი მაგინეს და გინებით დამითხოვეს.

(მეოთხე არაბი გაჯავრებით იტყვის).

მ ე ო თ ხ ე. რაც მოგვიხდა! – სულ ლიპარიდისაგან. ახლა ჩემი რჩევაც გაიგონეთ. ჩვენ აქედგან უკანვე წავიდეთ, ეს პატარა ფერდოები რომ არის, თორმეტს კაცს დავმაღავ იმ ადგილში ჩუმათ. კარგა შორს რომ გავივლით, მე უკანვე დავბრუნდები, აქვე მოვალ

და მარტო ლიპარიდს გამოვითხოვ. მე ვიცი, ამაყი გული აქვს და უთუოთ გამოვა. პირ და პირ რომ დამიხვდება და ერთმანეთს შეუტევთ, ამ დროს თორმეტი არაბი გამოვა ფერდობიდან; წამოესევინან, ლიპარიდს მოვკლავთდა ამით გადავიხდით მაგიერსა.

(ყველამ ერთ პირათ მოინონეს და პირველი იტყვის).

პ ი რ ვ ე ლ ი. დიახ ჩინებული რჩევაა (ამასთანავე კმაყოფილნი გავლენ ყველანი, მაგრამ მაშინვე უკან დაბრუნდება მეოთხე არაბი და ხმალ ამოღებული შემოვა. მასუკან ხმალს გაიშვერს და მალა დაიძახებს). ლიპარიდ! (ხმა არ არის და მეორედ) ლიპარიდ! (კიდევ ხმა არ არის და მესამედ უფრო ძალიან) ლიპარიდ! (ხმა მალღივე შორიდგან) რა გინდა, არაბო? რას იძახი?

მ ე ო თ ხ ე ა რ ა ბ ი. (ეგრეთ ისევე ძახილით). თუ ვაჟკაცი ხარ, ჩემ საომრათ გამოდი.

ლ ი პ ა რ ი დ. ეხლავე, არაბო! და ნურც გამექცევი!

მ ე ო თ ხ ე ა რ ა ბ ი. თუ კაცი ხარ, გამოხვალ! (და ხმალ მოსმული გულადად დადგება). ოო! ის შეჩვენებული რა უშიშრათ მოდის. – აი, მოვიდა! – მოვიდა! – მოდი ლიპარიდ, შევიბნეთ და რომელმაც დაეძალოთ, იმან მოკლას (ლიპარიდ შემოვარდება).

ლ ი პ ა რ ი დ. შე სანყალო არაბო, წერას აუტანისხარ (და შეუტევს. არაბი ხმალს მოუქნევს, ლიპარიდ მისწვდება, წაართმევს, შორს გასტყორცნის არაბის ხმალს. არაბს მოიქნევს, ქვეშ ამოიდებს, ხანჯალს ამოიღებს, გულზე დააჯდება და ეტყვის). არაბო, თუ შეინანებ, აღარ მოგკლავ (ამ დროს თორმეტი არაბი წამოესევა ლიპარიდს, მაშინვე ხანჯალს დასცემს, მოჰკლავს, წამოხტება, ხანჯალს მარცხენა ხელში დაიჭერს, მარჯვენათი ხმალს ამოიღებს და უშიშრად დადგება თორმეტი არაბის წინ. ამასთანავე სამს მხარეს შემოეხვევიენ არაბები და ბრძოლა შეიქმნება. ამ დროს ლიპარიდის ძიძის-შვილი ზურაბ შემოვარდება ხმალ მოსმული, ამ თორმეტს არაბს შუაზედ გაჰყოფს; ექვს თავისკენ გაიცალკეევებს თიატრის მხარის საზოგადოებისკენ და ლიპარიდს შემოსძახებს). ეს ექვსი არაბი მე და ეგ ექვსი შენ, ლიპარიდ! (მაგრამ როდესაც ხმალს მოუქნევს არაბს და გამომეტებით დასცემს მხარში, ზედ დაამსხვრევს, ეს ექვსი არაბი გარს შემოეხვევიან; ორს მისწვდება ზურაბ, მოიქნევს; ლიპარიდისაკენ გადმოჰყრის და შემოსძახებს).

ზ უ რ ა ბ. ლიპარიდ! ორი დავლა მომითრევია შენთვის (ორს კიდევ მისწვდება, უნდა ისინიც გადმოუყაროს, მაგრამ უკანასკნელი ორი არაბი, სწრაფად ხანჯლებს დასცემს ზურაბში უკანიდამ და ამით ხელები დაუსუსტდება ზურაბს, მაგრამ იმ ორს არაბს მაინც ხელიდგან არ გაუშვებს. ამასობაში ნაქცეული ორი არაბიც წამოდგებიან და ოთხივე ერთათ წამოესევიან. ზურაბმა ნახა, რომ

ველარას შეიძლება, უშიშრათ შემოუძახებს არაბებს).

ზ უ რ ა ბ. უკანდამ ნულარ მეპარებით! სირცხვილია, უღონო შევიქენ; მოდით წინადგან, ხანჯლები დამეცით ვაჟ-კაცურად (მაშინ ძლივს გაბედეს და წინადგან დასცემენ ხანჯლებს: ოც-და-ხუთ ადვილს, მაგრამ მინამ ნაიქცევა, ის ორი არაბი, მაინც ხელში უჭირავს და თან იძახის).

ზ უ რ ა ბ. ლიპარიდ! ჩემი დაპირებული აღვისრულე, გამოჩენილს დღევანდელს დღესა და პირველად მე მოვკვდი, ჩვენის გამოხსნისათვის თურქებისაგან (კიდევ ნაიქცევა, ამაზედ ლიპარიდს ცეცხლისავით რალაც მოეკიდება აგებულებაში და მოელვარეს სახით მივარდება თურქებს და ორს მოჰკლავს, მაგრამ ეს ზურაბის ექვსი მკვლელი წაესევიან. ამ დროს თავის დანიშნული ელენე შემოვარდება და გამხეცებულის სახით არაბებს მოუხდება და ერთს იმათგანს მოჰკლამს ხანჯლითა. ლიპარიდ შეხედავს, ელენეს იცნობს, მაშინვე ხელს მოჰკრავს, უკან მოიქცევს და თვითონ წინ აეფარება. ამ დროსვე წინო ოთხის ქალითვე მოეშველება და საერთო ომი გაიმართება. იქიდგან სხვა ათი არაბი მოეშველება, აქედგანაც ყმანვილი კაცი აბესალომ და რამდენიმე სომხების ყმანვილ-კაცები მოეშველებიან და ძახილით დაერევიან, თან აქედგანაც და იქიდგანაც ემატებიან. ამ ომში ლიპარიდმა დრო დაიხველა; მკვდარი ზურაბ ზურგზე წამოკიდებული გაიტანა და თვითონ ისევ ომში შემოვიდა, მაგრამ ამ დროს ქართველები ცოტა უკან დასწიეს. აქ ნახვენ სერაფიმ ბერი რამთენიმი ბერით დამკლავებულნი, მარცხენას ხელით დიდრონი გაშიშვლებული ხანჯლები უჭირავთ და მარჯვენას ხელით ხმლები. გიჟისავით შემოცვივდებიან, მაშინვე არაბებში დაერევიან და წამსვე უკან დასწევენ არაბებსა. აქ ამ დროსვე არაბები მოეშველებიან და კიდევ უკან დასწევენ ქართველებსა, მაგრამ ვაგულისებულნი ანასტასია და სარა შემოცვივიან რამდენისამე თავიანთის ხნის ქალებითა, შიშველის ხმლებითა: არაბებში დაერევიან და მაშინვე უკან დასწევენ. იქიდგან კიდევ არაბები მოეშველებიან და ქართველებს კიდევ უკან დასწევენ. აქ ვნახავთ, რომ რამდენიმე ყმანვილნი ქალები შემოცვივდებიან; ამათში დედოფალი გურანდუხტიც შიშველის ხანჯლებით არაბებში დაერევიან და უკან დასწევენ. რალა გავაგრძელო, აქედგან და იქიდგან მატება დაიწყო ჯარებმა და ტალღები შეიქნა; ხან აქეთკენ წამოვა ტალღა და ხან იქითკენ; გარდა ამისა, ასეთი ძახილია, რომ ზეცამდი სწვდება იმათი ხმა. ქართველები იძახიან).

ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი. დღეს მამულის გამოხსნის დღეა; სიცოცხლე ჩვენი მამულის ჭირისანაცვლო იყოს.

თ უ რ ქ ე ბ ი დ ა ა რ ა ბ ე ბ ი. დღეს ჩვენი სახელის დიდების

დღეა! – ჩვენი სიცოცხლე ჩვენი დიდებისათვის შეგვეწირავს! (ბევრი ამისთანა ხმებია და საშინელი ყიჟინა; გარდა ამისა, აქედგან და იქიდგან რამდენი თავ-სისხლიანი, მხარ-სისხლიანი, გულ-სისხლიანები არიან და მაინც კი იბრძვიან. მძიმეთ დაჭრილები თავის-თავათ და რის ყოფით ბოზლით გავიდოდნენ და მკვდრებიც თრევით გააქვთ. ამ დროს ვნახამთ, რომ სერაფიმ ბერი შუაში ჩაიგდეს თურქებმა და რამდენიმე ხანჯალი დასცეს გულსა. თუმცა მეტი სიმხნით გამოვა, მაგრამ სასიკვდილოთ წამოვა, ერთს ფერდობზე წაქცევით გადაეხვენება; მარცხენას ხელში ხანჯალი დარჩება, მარჯვენაში ხმალი და უკანასკნელ სიტყვას იტყვის).

ს ე რ ა ფ ი მ ბ ე რ ი. უკანასკნელი სიტყვა: გმადლობ, ღმერთო, რომ ჩემი მშობლის ქვეყნისათვის მოვკვდი (ამასთანავე სულსაც დაღვეს. ამ დროს ოთხი ყმანვილი ქალი ბოზლით გამოვლენ ომითვან, ისე ბოზლით მივლენ მკვდარ სერაფიმ ბერთან, თავ განენილები და სისხლ შესვრილები, თავებს მუხლზე გადაუდებენ და მოცინარის სახით სულს ზედ დააღვევენ, რიგზე წამონოლილები. ამ საშინელ ამბავში წაღებ-წამოლება რომ არის, ქართველებს უკან დასწევენ. ამ დროს ნახვენ დავით მეფე თავის მთიულებით და რამდენისამე კაცით თურქებში და არაბებში შეუპოვრად დაერევთან, რომ მაშინვე დაამარცხებენ და სულ ერთიანათ გაიყვანენ, მაგრამ დავით მეფე დაბრუნდება, იმ ომის შუა ადგილზე სკამს დაადგმევინებს, ზედ დაჯდება და ბრძანებას გასცემს).

და ვ ი თ მ ე ფ ე. ჩვენმა ჯარებმა აღარ უსუსტონ; რაც შეიძლოთ მამაცურად მივიდნენ, თურქ არაბების დაშლილი რაზმები ველარ დაენყვნენ და უკან მიჰყვნენ (ამის მახლობელმა ბარამ).

ბ ა რ ა მ. ეხლავ ვაცნობებ, ჩემო ხელმწიფევი! (და საჩქაროთ გავა).

და ვ ი თ მ ე ფ ე. დიახ კარგა ომობენ ქართველები, კარგა შორსაც დასწიეს თურქ-არაბები, მაგრამ უკან რომ დიდი რაზმები უდგათ, იქ საშინელი ბრძოლა ატყდება და იმისთვის ჩემი ათი ათასი კაცი მზათ იყოს (ერთი მახლობელთავანი არიშინი).

ა რ ი შ ი ა ნ ი. სულ მზათ გახლავსთ, შენი ჭირიმე. თქვენს ბრძანებას ველით.

და ვ ი თ მ ე ფ ე. მაშ, არიშინო, გაისარჯე, ჩემი ჭოგვრიტი მომიტანე; უფრო კარგათ გავარჩევ ომსა; კარგათ მოშორებით არის ომი.

ა რ ი შ ი ა ნ ი. ეხლავ, ჩემო ხელმწიფეო! (და გავა).

და ვ ი თ მ ე ფ ე. ომი გაიყარა და ჯარები შორი ახლოს, უდგანან პირ და პირ ერთმანეთს.

(ჭოგვრიტი მოართვა არიშინმა, გაიხედა საჩქაროთ).

დავით მეფე. არ ვიცი, რა ამბავია? – მშვენიერი დურბეზის ცოლი უბრძანებს ომის დაწყებას; მე იმ ქალს კარგათ ვიცნობ, გამოჩენილი ვაჟ-კაცია, მხედარი საკვირველი და მართლად ხელ ძალიანიც. შარშან გაძლიერებულს ომში მომიხდა გაგულისებუ-ლი, ხმალი მუზარადზე დამალენა; მივწვდი, მინდოდა, დამეჭირა, მაგრამ აუარებელი მეომრები მომცვივდნენ და ხელიდგან გამაგ-დებინეს. რა ბედაურს ცხენზედა ზის ის ქალი და ან როგორ მორ-თულა; სულ პრიალებს ძვირფასის საცმელით. იმას ჩემი გურან-დუხტ უთანასწორდება მშვენიერებით და საცმელით, თორემ სხვა არ მინახამს მე. მე კიდევ აქა ვარ, რად დააწყნარა ბრძოლა? – უთუ-ოთ რაღაც განძრახვა აქვს. აი, ცხენი გამოიგდო დაცლილ ასპარ-ეზში, ორს გაჩერებულს ჯარს შუა. ოჰ, რა ანბავი მოხდა? ცხენი დააყენა შუა ასპარეზში და დედოფალი გურანდუხტ გამოითხოვა საბრძოლველად. რას ვიფიქრებ, დედოფალმაც თავის მამეულთ ცხენი გაიგდო ასპარეზზე. ამან რომ ცხენი გაიგდო, დურბეზის ცოლი გადახტა ცხენიდან და ქვეითათ გამოითხოვა. დედოფალმაც დააყენა ცხენი და ესეც გადახტა; უნდა შეუტეოს; ამ დროს მოას-წრეს ჩვენ ქალ-კაცთა, გარს შემოეხვივნენ და აღარ უშვებენ. ამას როგორ დავთმობ მე? *(მობრუნდება გაცეცხლებულის სიტყვით)*. ქავთარ, ეხლავ საჩქაროთ მიიჭერ, დედოფალი გაუშონ, თორემ ჩემს წყრომას მიიღებენ.

ქ ა ვ თ ა რ. აქ დავიბადები ამ წამს *(და გაეარდება)*.

დავით მეფე. *(კიდევ გაიხედავს ჭოგვრიტში)*. ოჰ, რა რიგათ შევარდნენ ის ორნი ქალნი ერთმანეთს, ან რა რიგათ შეიბნენ მო-სისხლედ. დურბეზის ცოლი ეწევა, უნდა ტყვედ წაიყვანოს ძა-ლის იმედუღმა, მარა ფეხიც ვერ მოაცვლევინა დედოფალს. დურბეზის ცოლს გაუჭირდა, რომ ვერ წაიყვანა. ჭიდილი დაუნყო; დედოფალიც შეეჭიდა და თანასწორე ჭიდილი აქვთ. ეტყობათ ერთი ღონე იმათ. ეხლა ვნახოთ რა იქნება? – დურბეზის ცოლი გაჯავრდა, დედოფლის ტანისამოსს გლეჯა დაუნყო და იმის ძვირ-ფასს თვალ-მარგალიტის შორს გადაყრა. დედოფალმაც აღარ დაზოგა, იმისი ტანისამოსი და დაუფასებელნი ნივთნი, ზედ შე-მოაფხრინა და სტყორცნა აქეთ-იქით შორსა. იმ მშვენიერის ორის ქალისაებრ შავი თვალეები, ასე ანთებენ ერთმანეთზე, რომ უნდათ ერთმანეთი ჩაყლაპონ. ის იმათი გასაშტერებელი მრგვალი თეთრი სახე, ასე შეცვლილი აქვთ ერთმანეთზე, რომ ცეცხლი უელვარებთ. დურბეზის ცოლმა რომ ველარ გაანყო რა, თავის მორთულობა მოუშალა დედოფალსა და თავშიშველი დააგდო ისე. ეტყობა, რომ დედოფალი განყრა ამისთვის, რომ ამანაც მოუშალა თავი სრული-ად და ისე ეწევიან ერთმანერთსა წასაქცევად, მხარი მხარზე გად-

აბმულნი. ჯერ-კი არ ჩანს რა, ვნახოთ ბოლო როგორ იქნება? – ამათი მომბზინვარე გიშრის ფერი თმები, მუხლებამდის დაშვებული უღელვარებსთ საამოთა აქეთ-იქით და ნეტარებათ ეჩვენებათ მაყურებლებს ის იმათი მიმონევა, ჭიდილი. რალა გითხრა? – მეტის სიანჩხლით ორთავ გონება დაკარგეს, რომ აღარ გაეგებათ რა. სწორეთ ვიტყვი: ამ სახეს თუ გამოხატავს ვინმე, გამოჩენილი მხატვარი; ამ ორთ შეჭიდებულს მშვენიერებისას. საქებია!.. ჰაი, ჰაი, ვინძლო, დედუფალთ დედოფალო. ხედავთ, ხელი დარია დედოფალმა, ღონივრად მოიქნია, დედამინაზე დასცა გულალმა და ზედ დააჯდა სატევარ ამოღებული. გონება დაკარგულს უნდოდა, გულში დაეცა შიშველი სატევარი, მაგრამ სრულს გონებაზედ ჩქარა მოვიდა, სატევარი ქარქაშს მიაქცია; დურბეზის ცოლი წამოაყენა ზეზე; ერთმანეთის შავი თმები ერთმანეთსა გადაუხვიეს დობის ნიშნად; თვითონაც ერთმანეთს გადაეხვივნენ სიამოვნით. მასუკან დაკოცნეს და ბევრის თავდაკვრით გაეყარა დურბეზის ცოლი *(აქ არიშინს მოუბრუნდება)*.

და ვ ი თ მ ე ფ ე. არიშინო, საჩქაროთ მიდი, დედოფალს სთხროვე ჩემაგიერთათ, როგორც არის, ისე მოვიდეს ჩვენთან.

(არიშინი საჩქაროთ გაეშურება).

და ვ ი თ მ ე ფ ე. ოჰ, რა რიგად შვენის დედოფალი ეხლა! ასე მშვენივრად არ მინახამს ჩემს დღეში!

(დედოფალი შემოვა, ისე როგორც გვითქომს, დავით მეფე მიეგება გადახვევით).

მ ე ფ ე და ვ ი თ ი. ჩემო სიცოცხლეო დედოფალო! დღეს გამოჩნდა შენი აღმატებული ღირსება! ხასიათი, გონება, დიდ სულოვნობა, თუ სიკეთილე! ყოვლის ძვირ ფასის ნიჭით სრული ხარ და საკვირველი დედაკაცი! ერთობა ქართველების პირით, გმადლობ, დღევანდელის დღისათვის და ყივჩაღის ქალობაც დაამტკიცე დღესა!

დე დ ო ფ ა ლ ი. სწორედ გეტყვი, თუ ვიცი რამ და ან ვარ რამე, სულ შენგნით, ჩემო დავით! მაგრამ საკურველს რასმე გიანბობ: ის ქალი მეტად შემეყვარდა. გულზე რომ დავაჯექ სატევრითა გასამირად, თვალი თვალში გამიყარა; იმის სახეს მცირედი შიში ვერ შევატყვე და გულ განსვენებით მიყურებდა. ეს მეტად მამეწონა იმისაგან, სატევარი ქარქაშ მივაქციე და ჩემისვე ხელით წამოვაცენე. რას ვიფიქრებდი, ქართულად მითხრა: გმადლობ, დედოფალო, სიცოცხლე მიბოძეო. მე გაკვირვებით კითხვა დაუნყე. ნუ იტყვით, თუთხმეტის წლისა წაუყვანიათ ქართველი ქალი ანა და დურბეზს შეურთავს ცოლათ უზომო მშვენიერებისათვის. ესეც მითხრა, ჩემი თავის გამოდება ჩემგნით თურქების ბრძანებით არის, თორემ ქართველებზე საჭურველს როგორ ავიღეფო. ესეც უნდა გითხრა,

დედოფალო, რომ დურბეზიც დიდად მიყვარს? ახლა, ჩემო ხელმწიფეო, ნება მამეცი, საშინელი ბრძოლა დაიწყო და ჩვენს ქალებს მივეშველო.

და ვ ი თ მ ე ფ ე. მიეშველე, ჩემო გურანდუხტ, მაგრამ უფრო კარგათ მოირთე, თუ ჩემი სიყვარული გაქვს.

დე დ ო ფ ა ლ ი. უთუოთ, ჩემო თვალის ჩინო! (და გავა).

(მეფე პატარახან დაფიქრდება, მასუკან თავის ალებით).

მ ე ფ ე. არიშინაო, ჭოგვრიტი მომანოდე (მთართმევს და გაიხედავს. მასუკან ჩამოიღებს და მოიხედავს ღიმილით).

და ვ ი თ მ ე ფ ე. ჩემო თევდორე კლდეკარელო, ომი ჯერ არ გვინახამს ჩვენ.

თ ე დ ო რ ე. თქვენ მზეს ვფიცავარ, ჩვენი ომები ამასთან თამაშობა იყო. – რა ბრძანებაა, – საშინელება ტრიალებს ორსავე მხრივთა. ეს ქვემოთი ქართველები გასაშტერებელნი ვაჟკაცი ყოფილან! კაცნი, დედაკაცნი, თუ ბერები; ერთმანეთს ვერ მოუვლენ და ცდილობენ ერთი ერთმანეთს წაუსწრონ წინ, შეხედეთ, ჩემო ხელმწიფეო, დედაკაცები რომ დაერივნენ და შუა არაბებში იბრძვიან! აი, თქვენი გამჩენის ჭირიმიე, ქართველო დედაკაცებო! თქვენს მზეს ვფიცავ, თუ მეტნი არ არიან კაცებზე, ნაკლებათ კი აღარ ითქმის, ეს ბერები ხომ უკან აღარ ბრუნდებიან, მაგრამ ძვირათ ჰყიდიან თავის სიცოცხლეს თურქებზე.

(ამ დროს ბარამ შემოვა და მოახსენებს).

ბ ა რ ა მ. თქვენი ბრძანება აღვასრულე, ჩემო ხელმწიფეო!

და ვ ი თ მ ე ფ ე. გმადლობ, ჩემო ბარამ (ამასთანავე ოც-დაათი მოხუცებულებით დახვესებული ქართველები შემოვლენ ყავარჯნებით და დავით მეფეს მოახსენებენ).

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი. ბატონს ჩვენს გაუმარჯოს!

და ვ ი თ მ ე ფ ე. ღმერთმა გაგიმარჯოთ, მოხუცებულებო. საიდგან მოდიხართ, ან სად მიხვალთ?

ე რ თ ი მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი. მთიდგან და ბარიდგან შევიყარენით მოხუცებულები, რვა ათასი მეტი; აქ ჩამოვედით ომის შესატყობად! თვალით რიგიანად ვეღარ ვხედავთ. აბა, ჩვენო ხელმწიფეო! ველით, გვიბრძანოთ რამე. – რა ვიცით, ძახილი და ხმაურობა დიდი გვესმის, ამბავი კი არა ვიცით რა.

და ვ ი თ მ ე ფ ე. ჩემო საყვარელო მოხუცებულებო, ჯერ არ გადანყვეტილა და კიდევ ბრძოლაა საშინელი!

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი. (ერთი ხმით). ღმერთო, შენ გადმოიხედე ჩვენკენ მონყალების გულით...

და ვ ი თ მ ე ფ ე. ძმაო თევდორე, ჩვენი მებრძოლები დაგვიშორდნენ; იმ დიდ რაზმებსაც დაახლოვდნენ (კიდევ ჭოგვრიტში

გახედავს).

დავით მეფე. ღმერთმა მშვიდობა და ძლიერება მისცეს ჩვენ ქართველებს. საკვირველებაა იმათი ვაჟ-კაცობა! ღვთის წინაშე უნდა ითქვას, რომ თურქ-არაბებიც დღევანდელს დღეს კარგნი არიან და უშიშრად იბრძვიან. ხედავთ, რა ამბავი მოხდა? ის დიდრონი რაზმები რომ იდგნენ, უფროს ერთმა შემოუტიეს ქართველებსა და უკანვე წამოიყვანეს; მაგრამ დიახ წყნარა მოაქვთ ფეხები და ომით მოდიან, რომ ზურგი არ უჩვენებიათ. ძმაო ბარამ, მოდი, ჩემი ჯარი მოამზადე, მეც მალე შემოვუტევ (ბარამ თავს დაუკრავს, საჩქაროდ გაეპარდება და დავით მეფე ისევ იტყვის ჭოგრიტში მაყურებელი). ძმაო თევდორე, მე გიამბობ, რაც ამბავი იქნება. აი, ივანეს ხუთი არაბი დაეხვია. – ხმაღატეხილსა. მარჯვენა ხელით ერთი არაბი შეიკავა და მარცხენათი მეორე. მესამე გაიჭრა ხმაღ-მოსმული და თავში უნდა სცეს, მაგრამ იმ მესამეს კბილით მისწვდა მოღერებულს ხელში და ასეთი მოუჭირა, რომ შიშველი ხმალი გააგდებინა. ხედავ, იმის ცოლი სარა გაჩნდა, თვალეზ გადმობრუნებული, თმა-განწილი; მოუხდა დამკლავებული და გაშიშვლებული ხანჯალი დასცა გულში სამთავ და თავისი ქმარი გამოიხსნა სიკვდილისაგან. მართლად, რა გამოჩენილი, კარგი დედაკაცი ყოფილა! ის ორი არაბი იქ ველარ დადგნენ და საჩქაროთ გაიქცნენ. სად არის და სად არა, თორმეტი თურქი შემოეხვიათ ორთავ, თუმცა რამდენიმე მოჰკლეს ცოლ-ქმართ, მაგრამ ისინიც იქვე დახოცეს და იმათი სიკვდილი სანატრელია! მძიმე დაჭრილობა ეტყობოდა ფეხში ივანეს, თორემ მშვიდობით გამოვიდოდნენ ორნივ. რაც აღთქმა ჰქონია სარას, კიდევ აღასრულა: სადაც ჩემი ქმარი მოკვდება, მეც იქ უნდა მოვკვდეო. აბა, დედაკაცი ასეთი უნდა! მეორეს მხარეს, ლიპარიდს და აბესალომს შემოეხვივნენ ყმანვილი კაცები და ქალები. დედოფალიც ამათში ბრძანდება, ესენი უკან არ დაბრუნებულან და ერთმანეთ გაჯავრებულები ხელგამოლებით იბრძვიან. – ამათი ბრძოლა უფრო მხიარული ბრძოლაა და ასე ჰგონიათ, ქორწილში ვსხედვართო; მაგრამ ყველანი... ლიპარიდს დანიშნულისათვის მარცხენა ხელი ჩაუვლია წელ-სარტყამში მაგრა და მარჯვენას ხელში ამოღებული სისხლიანი ხმალი უჭირავს; იმის დანიშნული იწვეს, არ უშვებს და ბარგუაში კიდევ ბრძანებლობს, მართლა მოსანონი ყმანვილი კაცია; ჩინებული ვაჟ-კაცი და ყოვლის გონიერებით სრული! ბერებისა ხომ რაღა გითხრა! თითქმის სულ ერთიან განყვეტილან, რაც დარჩომილან, ისინიც მძიმედ არიან დაჭრილები, მაგრამ იმათი ნახოცი თურქ-არაბი მძოვრათ არიან. ქალაქ ტფილისის მამასახლისის აბულელის და იმის ცოლისა რა გიამბო? ესენი ასე ომობენ, გეგონება, ოც-ოცი წლისანი არიან. ეს მინდორიც

ასე შედეგებილა სისხლითა, რომ რამდენსამე ადგილებში წყაროსავით მოდის სისხლი და თან და თან ემატება კიდევ. მე არ ვიცი, ამაზე საშინელს ომს სადღა ვნახამთ და მეომრებისაგან ამასთანა ბრლვინვას? (დურბინდს ჩამოიღებს, ალარ გაიხედავს და გულ-ლომობიერად იტყვის). ჩვენ ჩვენი მამულისათვის ვიბრძვით და თურქ-არაბები სახელისათვის. ზეცასა შინა მოსამართლეო ღმერთო! შენ ჰქმენ სამართალი ჩვენსა და თურქების შორის (კიდევ გაიხედავს ჭოგვრიტში და დაიძახებს). მშობლის მამულის ერთგულნო მოხუცებულეხო! თურქების და არაბების, ამ უკანასკნელმა რაზმებმაც შემოუტიეს. აბა, ახლა არის, ჩვენი აღდგენისა და დაცემის უკანასკნელი ჟამი (ამხატან წამოხტება და კიდევ მოხუცებულეხს დაუძახებს). მოხუცებულეხო, ევედრეთ ღმერთსა ჩვენის გამარჯვებისათვის (დურბინდს სკამზე დააგდებს, თვითონ გავარდება და თავისი მხლებლებიც თან გაჰყვებიან).

(ყავარჯნებზე დაბჯენილები მოხუცებულეხი მწარეთ დაღონებულეხი თავს ჩაჰკიდებენ და ბოლოს ერთი იმათგანი იტყვის).

ბ უ რ დ უ ლ ი. ვინცობაა, თუ ღმერთი გაუნყრა ჩვენს ცოდვას და ჩვენი ჯარი დაბრუნდეს, აქ ჩვენ რვა ათასი მოხუცებულეხი დავხვდეთ თურქ არაბებსა გულ მიშვერით, მანამდისინ ჩვენ გაგვწყვეტენ, მანამდისინ იქნება ჩვენმა ჯარმა დაისვენოს მცირედ კიდევ: წესში მოიყვანონ თავი და ომი გაუახლონ; იქნება, ამით ღმერთმა გამარჯვებაც მოგვცეს.

ე რ თ პ ი რ ა დ მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ მ ა. კარგი იქნება, კარგი.

კ ი დ ე ვ ბ უ რ დ უ ლ ი. ძმაო ნადიბაიძე, (ერთს თავის ამხანაგებთაგანს ეტყვის) შენ თვალი კიდევ კარგათ გიჭრის, აბა ჭოგვრიტში გაიხედე და ბრძოლის ანბავი გვიანზე!

(ნადიბაიძე აიღებს, გაიხედავს და დაიძახებს).

ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე. ჩვენს ჯარს თურქ-არაბის ჯარი სამს მხარეს შემოხვევია და ორსავ მხრით საშინელეხაა! ალარც ერთს მხარეს ცხენიანი ჯარი ალარ არის. – სულ ერთიან ქვეითები იბრძვიან და ეტყობათ უკანასკნელ ჟამზედ არის ორსავე მხრით ბრძოლა (მოხუცებულეხი ქუდებს დაიშვლეპენ, დაეცემიან დედამინაზედ და საშინელის ხმით იძახიან).

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი. ღმერთო, ნუ გაგვწირავ! ნუ გაგვწირავ, ღმერთო.

კ ი დ ე ვ ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე. ღმერთო, დაიფარე! რას ვხედავ, დავით მეფე შუაში ჩაიგდეს თურქ-არაბებმა, ამ დროს ყმანვილი ქალები გაუჩნდნენ და საზარელი კვეთა შეიქნა. ოჰ, საცოდავები! – სულ ქვედასცეს საწყალი ქალები თურქ-არაბებმა, დავით მეფესაც საჭურველი და ტანისამოსი სულ ზედ შემოახიეს; ენვიან, უნდა, ტყვედ

ნაიყვანონ, ხმალი და სატევარი თურქებზე დამტვრეული აქვს. მუ-ზარად მოშლილი საშინლად იბრძვიან და მუშტით იგერიებს მტერ-სა *(მოხუცებულები დედა მინაზედ აწყვეტენ თავსა და უწყალოთ ღრიალებენ)*.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი. ოჰ, საშინელებაა! ოჰ, დაილუპა! ზეცავ, ჩამოიქეც! დედამინავ, გასქედი, ჯოჯოხეთის ამღზნებარო ცეცხლო, გადმოდი შენის საზღვარით და დაუდგრომელი კაცი ახოცე შენის ძლიერის ალით! ოჰ! ვაება! *(პატარა ხანს უკან კიდევ ნადიბაიძე)*.

ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე. იი, დალოცვილი დავით მეფე, ძლიერს ვაჟუცა-ბას გაუტაცნია და თავის მხლებლები უკან დაუყრია. ის მითიულები საშინელის ხმლებით თურქების გუნდებს აპობენ, უნდათ მეფემ-დისინ მიახწიონ, მაგრამ სიმრავლისაგან ვერ მიუხწევიან, და ამ-ათაც თურქები ასევიან, რომლებსაცა სულ ზედ შემოხეული აქვთ ჩანჩქან ჯაჭვი და უკანასკნელს ჟამზედ იბრძვიან *(კიდევ მოხუცე-ბულები იმ მდგომარეობით თავს აწყვეტენ და ვაებენ)*.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი. ღმერთო! ზღვები აღმართე, ქვეყანა ნალეკე და ერთი-ერთმანეთის მოსისხლე კაცი მოსპე ქვეყნით. ეგე-ბა მცირედ მოისვენო კაცის ბოროტისაგან; დამხოზა! დამხოზა! *(პა-ტარა ხანს უკან)*.

ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე. ოჰო? ოჰო! მოიცადეთ, საკვირველს ამბავს გიამ-ბობთ, აი, ერთი ვილაც მშვენიერი, ოქრომკედის ნითელის ტანისა-მოსით და კიდევ სხვა მეორე ყმანვილი კაცი, თვალეზ მობრიალე, საშინელის ხმლებით თურქებს მოერევიან წინა. იმათ გვერდით, ორი მშვენიერი ქალები მოსდევენ გამიშვლებულის სატევრებით; ის ერთი, მგონია, დედოფალი გურანდუხტ იყოს ბრწყინვალეს ტანისამოსით, უკან და აქეთ იქით რამდენიმე გუნდი ყმანვილი ქა-ლებისა და ყმანვილი კაცებისა მოსდევენ ხმლებ მოღერებულები, გამგელებულის სახით, ეტყობათ, თავის ბატონის გამოსახსნელ-ათ მიდიან *(მოხუცებულები ხელ აპყრობით მალლა აიხედავენ და საცოდავის ხმით დაიძახებენ)*.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი. ღმერთო! შენ შეენიე იმათ, ღმერთო! *(და თავზე მინას იყრიან)*.

ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე. შეჩვენებული თურქ-არაბები, კიდევ გამხნევდ-ნენ, რამდენიმე რაზმები მივიდნენ იმ ყმანვილ ქალებზე და კაცებ-ზე.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი. ოჰ, ღმერთო! ქვეყნის ფართოს დააზილე, ის შენი ლიტრის ხელის ქვა, რომ სრულიად დაილენოს ქვეყანა და შენი შემანუხებელი ადამიანი აღარ იყოს არსად *(მოხუცებულებმა კიდევ თავის წყვეტა დაიწყეს მინაზე და მასუკან ასე მოჰყვნენ)*.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი. თუ ამ შენის შესაზარებელის რისხვებით

ვერ გამოიმეტებ კაცსა, ღმერთო! ეს მაინც ასე ინებე, რომ ამ ერთს საუკუნეში ნულარ მისცემ ადამიანს შვილიერებას. ეს იქნება წყნარ-წყნარი ამოფხვრა კაცისა ქვეყანაზე, მაგრამ არა, ესეთი შენი საშიშარი რისხვები: როგორც ის მოვლენილები უეცარი შენგნით! მაინცა ხომ კეთილი არ არის ეხლანდელისა დროსა კაცობრიობაში, დაყმენილი ბოროტების მეტი, მამ, ისე სჯობია, მხეცებს დარჩეს მთელი ქვეყანა, ისინი მაინც ნებისაებრ იცხოვრებენ თავისუფლათ...

ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე. *(პატარა ხანს უკან)*. ძმებო, ნულარ სწუხართ, იმ ყმანვილ-კაცებს, იმისთანა მომდევარებს, თურქ-არაბებმა ვეღარ გაუძლეს და სულ ერთიანად შემოიფანტეს. *(მოხუცებულებმა აიხედეს და კიდევ ძახილი შექმნეს)*.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი. შენ წინაშე დაჩოქილნი შემოგყურებთ ხელ-განწყრობით, ღმერთო! გადანყვიტე ჩვენს მხარეს.

ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე. მიხარებია, დავით მეფე გამოიხსნეს ყმანვილმა ქალებმა და კაცებმა.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი. ოჰ, გმადლობ ღმერთო! გმადლობთ.

ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე. დავით მეფე ჯერ დედოფალს გადაეხვია, მასუკან იმ ორს ყმანვილს კაცებთან მივიდა და ძმურად ჩაიტკბო გულში. ნეტავი, ვინ არიან ის საკვირველი ყმანვილი-კაცები? ღმერთო, შენ მიეცი იმათ მშვიდობა *(მცირედ კიდევ გაჩუმდება და მასუკან იტყვის)*. უცხოს ამბავს გაიმბობთ კიდევ; იმ მთიელებმაც გაარღვიეს და დავით მეფეს თაყვანი სცეს ჯაჭვჩაჩქან ჩამოფხრენილებმა, ამასთანავე მეფის თანამხლებლებთ ქართველებმაც შემოიფანტეს თურქ-არაბები და მეფეს კალთაზე აკოცეს, მაგრამ ხელმეორეთ შეიკრიბეს ძალი თურქებმა და ერთობრივ შემოუტიეს. აქ განახლდა საშინელი ბრძოლა და ძახილი.

(მოხუცებულებმა კიდევ შექმნეს ვედრება).

საშინელის სისხლის ღვრისაგან გამოხსნილსა ნულარ გაგვწირავ შენ წილში ნარგებსა, დედოფალო ზეცისაო! *(პატარა ხანს უკან)*.

ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე. მოგილოცავ, ძმებო! თურქები სულ დაფანტეს ქართველებმა და გამარჯვებული სიხარულით მოდიან ჩვენსკენ.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი. *(დამხობით)*. ოჰ, ღმერთო! სხვა მეტი რაღაა ჩვენთვის ქვეყანაზე! *(ამასობაში დავით მეფე, დედოფალი, ლიპარიდ, აბესალომ, ქალები, აბულელი, ანასტასია, მთიელნი და სხვანი შემოვლენ დაღალულები და მოხუცებულებს მიულოცავენ. ჯერ დავით მეფე ბრძანებს და მასუკან სხვანი)*.

დ ა ვ ი თ მ ე ფ ე. მომილოცავს, მოხუცებულებო, გავიმარჯვით

ღვთის შენევნით! (ამასთანავე ყველანი). მოგვილოცავს, მოგვილოცავს.

მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი. ღმერთო, გაიგონე ეს ხმა, რა არის ჩვენთვის დღესა! ეს ხმა შენს საყდარზე დაამკვიდრე მკვიდრად, ნათელსა მოუნყვეტელსა შენსა!.. (და დაემხოზიან დედამინაზე მადლობისათვის, მასუკან შეხედვენ, ნახვენ, რომ ზოგსა დაფხრენილი აქვთ ტანთ-საცმელი, ზოგსა გასისხლიანებულნი და სულ სხვადასხვა უცნაურნი სანახავნი არიან. მასუკან წამოდგებიან, დავით მეფეს კალთაზე აკოცებენ და ბურღული მოახსენებს).

ბ უ რ დ უ ლ ი. ახლა აღარ გვეშინიან, ჩვენო ხელმწიფეო, თუნდა მთელი თურქ-არაბები მოვიდნენ ჩვენზედ, ჩვენი მთის ძმები მოვლენ ჩვენ შესანევენელად და მასუკან თურქ-არაბებმა ნახონ თავიანთი ყოფა. ღვთით განვთავისუფლდით და ამას იქით კარგის მეტს სხვას რაღას ვიფიქრებთ, ჩვენო ხელმწიფეო! ახლა ჩვენ ჩვენი დრო მოგვიჭამია და ამას იქით ღმერთსა შევევედრებით, ჩვენი შვილების მშვიდობის მყუდროებით ბედნიერებასა!.. რაცა ვნახეთ, ესეც საკმაოა ჩვენთვის, ჩვენო ხელმწიფეო დავით!

დ ა ვ ი თ მ ე ფ ე. გმადლობ, მოხუცებულებო, რადგან ახლა ღმერთმა გამარჯვება მოგვცა: ამას იქით ვილასი გვეშინოდეს? (ამ უკანასკნელ სიტყვასთან დავით მეფე მოიხედავს და სერაფიმ ბერს მკვდარს დაინახავს. მეფე, დედოფალი მივლენ და თავყვანსა სცემენ, მასუკან მობრუნდება და ლიპარიდს უბრძანებს). ლიპარიდ, შენი დედმამის აბავი გაიგონე?

ლ ი პ ა რ ი დ. დიახ, ჩემო ხელმწიფე! წვრილად ვიცი, თქვენს თავს ვფიცავ, იმათი სიკვდილი სანატრელია!

დ ა ვ ი თ მ ე ფ ე. დიახ, ჩემო ლიპარიდ, მაგრამ ანდერძი ხომ არა არისრა იმათი? მე ცოცხალს ველარ მიუსწარ.

ლ ი პ ა რ ი დ. როგორ არა, ჩემო ხელმწიფე! მშობლის მამულისათვის ილოცვიდნენ თურმე და ჩვენი გამარჯვებისათვის. ბოლოს ეთქვათ: ჩვენს სასაფლავს ეკლესიაში დაგვმარხეთ ორივე ერთათაო, რომელნიცა კიდევ წაასვენეს ჩვენის ეკლესიისაკენ.

მ ე ფ ე. მაშ, აქედგან წავიდეთ, დიდის დღესასწაულით დავმარხოთ; ღმერთმანი, ღირსნი არიან იგინი! (მასუკან მობრუნდება და იკითხავს). შემატყობინეთ, ეს ოთხი მკვდარი ქალი ვინ არის, სერაფიმის მუხლზე რომ უდევთ თავი?

ა ბ უ ლ ე ლ ი. ობლები გახლავან ეს ქალები, ჩემო ხელმწიფე! ჩემმა ძმამ, სერაფიმ ბერმა, სამ-სამი წლისანი მოიყვანა ჩემთან და დიდის ვედრებით მთხოვა, დიდის ყურადღებით მეპატრონა ამათთვის. მეც აღვუთქვი და ჩემს შვილზე არ ვარჩევდი ამათ. ამ ბრძოლის წინა დღეებში ჩემთან გახლდათ ჩემი ძმა და აღსაჭურველად რომ

ვემზადებოდით, ჩემგნით წასულს ჩემს ძმას კარზე დახვედროდნენ ეს ქალები, ეთქვა ამათთვის: ჩემო საყვარელო შვილებო, დრო მოვიდა თურქები გავრეკოთ და თქვენცა გთხოვთ თქვენსა ძმებს ქართველებსა მოეხმაროთო. ესენი სიხარულით მისულიყვნენ; ხელზე ეკოცნათ და კიდეც აღეთქოთ. ამის გამო, ჩემს ქალს ელენესთან გახლდნენ და აღარ შორდებოდნენ; მაგრამ როდესაც კი მოცლილი გახლდნენ ხოლმე, ყოველთვის დაჩოქილნი იდგნენ, ანდრია მოციქულმა ღვთის-მშობლის ხატი რომ მოგვიტანა, იმის წინაშე და გულმხურვალე ცრემლით ევედრებოდნენ ჩვენ განთავისუფლებას. თუ მართლა ეს ამბავი არ მომხდარიყო, უთუოთ მოლოზნად აპირობდნენ შესვლას ამ მოკლე ხანებში, მაგრამ მამულს შეენიონენ მსხვერპლად და ამან ანუგემა ესენი *(ამის შემდეგ დაჭრილი ბერი)*.

ბ ე რ ი და ჭ რ ი ლ ი. ჩვენო ხელმწიფეო! როდესაც სერაფიმ ბერი მოჰკლეს, ეს ოთხი ქალი გაჯავრებულეები დაერივნენ მკვლელებში; თუმცა სერაფიმის სისხლი იზღვეს, მაგრამ ესენიც იქვე გაგმირეს. მასუკან რის ყოფით, ბოზლით გამოვიდნენ და სერაფიმის მუხლზე დალიეს სული; სერაფიმის მადლობის შედიმებით.

(დავით მეფე მცირედ შეფიქრდება და მასუკან იტყვის)

და ვ ი თ მ ე ფ ე. ნეტავი, იმისთანა წამალი იცოდეს ვინმემ, რომ ესენი ამ სახით დარჩნენ, – ასე დაუშლენი, როგორც არიან *(იმ მოხუცებულთაგანი ერთი წამოდგება და მოახსენებს)*.

ზ ა ქ ა ძ ე. მე ვიცი, ჩემო ხელმწიფე! მე შემიძლიან. ჩვენი მამა-პაპის სწავლა არის მაგვარი მკურნალობა მკვდრებისა, მაგრამ ორმოც წელიწადს შემდეგ ისევ დაიშლება.

და ვ ი თ მ ე ფ ე. ეგეც საკმაო, პატიოსანო მოხუცებულო, რომ ორმოცი წელიწადი აგრე უყუროთ მაგათ, მაგრამ ახლა ეს მიბძანეთ: – ეს სერაფიმ ბერი და ეს ქალები, მამულის მოწამობის ღირსი არიან თუ არა?

ე რ თ-პ ი რ ა დ. ღირსნი არიან! ღირსნი! ღირსნი!..

და ვ ი თ მ ე ფ ე. მამ, ყველამ დავიჩოქოთ ამათ წინაშე და პატივი ვცეთ!..

(სუყველანი მუზარადებს დაიხდიან, გულ-ხელ დაიკრეფენ მონინებით და თავ-დახრით, იმათ წინაშე დაიჩოქებენ. ამ დროს შუა ხალხიდგან ერთი დაიძახებს ხმა-მალლად).

გ ო რ ჯ ა ს პ ი. ნათელი! ნათელი! *(ამასთან განცვიფრებით ყველანი შეხედვენ ვაღმა და განკვირვებით დაიძახებენ)*.

ყველანი. ნათელი ჭეშმარიტი! ნათელი ჭეშმარიტი! *(და თვალები მალლა დარჩებათ ხელ-გაპყრობილებს. ნათელი ზეცისა ჩამოვა; სერაფიმ ბერსა და იმ ოთხ ქალებს დაადგებათ. ამასთანავე უკან პატარა გორაზე ვადმოდგებიან თურქებისაგან თვალებ-დათხრი-*

ლი რამდენიმე ქართველი კაცები და დედაკაცები; – თვითეულად, თვითო ყმანვილს ათი და თერთმეტი წლისას უჭირავთ ხელი ხელზე მოკიდებული, რომლებსაც თურქების დამარცხება შეუტყვიათ; მოსულან ზევით ხსენებულს გორაკზე, გადმოდგებიან და ამ ქვემო ლექსსა გადმოჰგალობებენ მეომრებსა ზედა. ეს გალობა დიახ მშვენიერი ხმა უნდა იყოს).

„გვესმა, მოვსულვართ, მილოცვით, მღერით,
გამოხსნა ჩვენი ძლიერის მტერით,
ძლივს ჩვენმა ბედმა ამოიქმვინა
თავისუფლებით თვის ზღუდეს შინა.

შვების ნიაფნი, ანგელოზთ მადლნი
დაგვდის, გვაგრილებს, გვესურვისაცა,
გვირგვინი ღვთისა მონამობისა,
აჰა, დაგვედგა ცით მადლობისა!“

(ამას რომ გაათავებენ, მადლობისთვის დედამინაზე ემხოზიან ესენი. მასუკან ერთობრივ დაჰყოფენ).

ღ ა ღ ა დ ე ბ ა. ქალაქ ტფილისიდან თურქები გადიან და მთელს ქალაქს ცეცხლი ეკიდება საშინელი! (დავით მეფე წამოდგება მედიდურის სახით, განსვენებულის გულით მიხედავს ცეცხლს ნაკიდებულს ტფილისს და ხელის მიღებით იქით).

და ვ ი თ მ ე ფ ე. და აღვაშენებ მე! (ხელი იქითკენ აქვს მიღებული).

ე რ თ ო ბ. დავით აღმაშენებელი ადღეგრძელოს, ადღეგრძელოს.

(ძახილის შემდეგ ფარდა ჩამოეფარება).

მეოთხე მოქმედება

(ფარდა აიხდება, გამოჩნდება უმაღლესი და ვრცელი ეკლესია მცხეთისა, ამ ეკლესიის შუაზე ცოტა აქეთ აწყვია ორ გორად ადამიანის ძვლები თურქ-არაბის ომში დახოცილნი ქართველების; ჯერ ქალებისა და მემრე კაცებისა. ამათ შუაში მისვენებული სხედან სერაფიმ ბერი და ამას აქეთ იქით გვერდით უსხედან თავისი ოთხი გაზდილი ქალი, თქვენი ცნობილი ზევით. ამათი მნახველი იტყოდა, ცოცხლები არისო. ეკლესიის აქეთ იქით გვერდზე ტყის ხეებია,

გაშლილი და გაფოთვლილი; ამ ტყის პირში, მოაჯარი აქვს გავლილი ორსავე მხარეს დაბალი, რომლებზედაც დგანან თვითო მცირე დასი ქალთა კაცთა. ორივე ეს დასი უცხოთ არიან მორთული: ესენია მგალობლები. – ეკლესიის წინა ტიტველი პატარა გორა არის მწვანე და უცხოთ ბიბინებს, ამის წინ ვრცელი ადგილია სწორე, სადაც ოთხი მშვენივრად მორთული ყმანვილი ქალები შემოვლენ და ერთი ამათვანი იტყვის).

პ ი რ ვ ე ლ ი ბ ე გ უ მ. ჩემო დებსავით საყვარელნო! ვინ იცის, რავდენი სიხარული გვმართებს ჩვენ! – ჩვენი მშობელი ქვეყანა განთავისუფლდა და ამაზე მეტი ბედნიერება რაღა იქნება ჩვენთვის!

(მეორეს პასუხი).

მ ე ო რ ე რ ო დ ა მ. მართალია, დიდი სიხარული გვმართებს, მაგრამ გავიგონე ორასი ათასი თურქი მოსულა სამზღვარზედაო.

მ ე ს ა მ ე ს ო ს ა ნ ა. მეც ასე გავიგონე, მაგრამ ესეცა თქვეს, ორასი ათასი კავკასიის ჯარები იქ დახვდებათო. საკურველი მეფე დავითიც იმათში ბრძანდება, ასი ათასი ქართველების ჯარითაო და თავისი საყვარელი ლიპარიდიც იქ თურმე ჰყავს ქართველების სპასპეტათა. აბა, ვილასი გვეშინიან ჩემო დებო.

მ ე ო თ ხ ე ბ ა ზ ი ყ ა. დიდათ მიკვირს! იმ დალოცვილმა დავით მეფემ ჯვარი როგორ არ დასწერა ლიპარიდსა და ისე წაიყვანა.

ბ ე გ უ მ. დიდათ თურმე უნდოდა, მარამ ლიპარიდს მოეხსენებინა: მე და ჩემს დანიშნულს ღმერთთან აღთქმა გვაქვს, მინამ სრულებით ჩვენს მშობელს ქვეყანას განთავისუფლებულს არ ვნახამთ, ვერ დავინერთ ჯვარსაო.

რ ო დ ა მ. ჭეშმარიტად, მეტად კარგნი არიან ორნიც, ღმერთსა საფერად დაუბადებია ისინი, ეხლა წავალ ელენეს შემოვიყვან ჩვენთან – რაღა წავიდე, აგერ, კიდეც მოდის (მივლენ, მიეგებებიან და სიამოვნით აკოცებენ ორნიც).

ბ ე გ უ მ. ჩვენო საყვარელო ელენე, როგორა ბრძანდები?

ე ლ ე ნ ე. ღვითთ კარგათ გახლავარ. თქვენის მშვიდობისას რაღას მიბძანებთ?

ბ ე გ უ მ. ჩვენც კარგათ ვართ (მასუკან ჰკითხამს). ქალო, შენი საქმროს ანბავი არა იცი რა?

ე ლ ე ნ ე. არა, არავიცი რა (და ამასთანავე განითლდება).

ბ ე გ უ მ. შე კუდრაჭავ, შე კუდრაჭავ, რად განითლდი?

ა ხ ლ ა ე ლ ე ნ ე. ქალო ბეგუმ, შე ეშმაკო, შენ რაღათ განითლდი? – შენი საქმროსათვის განა? (ამ სიტყვებზედ სულ ერთიან ეს ქალები განითლდებიან, სიცილს ვეღარ დაიჭერენ და სიამოვნით კასკასებენ).

ბ ო ლ ო ს რ ო დ ა მ. ქალებო, უსვინდისოთ ნუ ვიკასკასებთ!

ვიცი, ჩვენი საქმროები გვიყვარს დიდათ! კარგია, დავჩუმდეთ, თუ ღმერთი გვენამს. *(ამასთან ამათი ხნისა და აგრეთვე გაუთხოვარი, ერთი ლამაზი ქალი შემოვარდება ამათთან და შემოსძახებს ამათ).*

მ ა ნ ი ჟ ა. ქალებო ჩემო საყვარელო დანო! უცხოს ამბავს გეტყვით, უცხოს ამბავს!

ე რ თ ო ბ. რა ანბავია, შენ გაზდას, მანიჟავ? ჩქარა გვითხარ.

მ ა ნ ი ჟ ა. ქალო, ელენე, ეხლა ეს არის შენი საქმროს წიგნი მონეტო ჩვენ ქათალიკოზ, დავით მეფის ბრძანებითა, მოენერა: ორასი ათას თურქებთან ომი მოგვიხდაო, მაგრამ კავკასიელებმა ჩვენ ქართველები აღარ გვაომესო; რომელთაცა ასე დაამარცხეს თურქები, რომ მოუხედავთ გაიქცნენო.

კ ი დ ე ვ ე რ თ ო ბ. ქალო, ვინ გითხრა?

მ ა ნ ი ჟ ა. ამ დროს მამა ჩემი იქ ხდებოდა ქათალიკოზს, მოვიდა და იმან გვიანბო ეს ანბავი *(ამ სიტყვაზე უფრო გატაცებული სიხარული აიტაცეს ამ უმანკოთა გაუთხოვართა ქალთა; გაშლილ ბაღდადის ხელსახოცებს დაუნყობენ ერთმანეთს ცემას ნელად; თან დარბიან და მხიარულად ერთმანეთს ეუბნებიან).*

გ ა უ თ ხ ო ვ ა რ ი ქ ა ლ ნ ი. ქალო, თავისუფლება! თავისუფლება მოგვილოცავს! მოგვილოცავს სიხარული! – მოგვილოცავს ბედნიერება! – ბედნიერება მოგვილოცავს! – ქალებო, ბედნიერება! *(ბოლოს როდამ დაწყნარდება, ამ ქალებსაც დააწყნარებს ამ სიტყვით).*

რ ო დ ა მ. ქალებო, დავწყნარდეთ, ამას იქით სულ ბედნიერებაა ჩვენთვის! – ღვთის მონყალებით ჩვენს საქმროთაც ვნახამ თურქებზედ გამარჯვებულებს.

ბ ე გ უ მ. მამ, ჩემო საყვარელო მეგობრებო, მცირედ ვილიღინოთ და შევექცეთ.

ს ო ს ა ნ ა. მოითმინეთ, ჩემი წინწილი მოვიტანო, იმაზედ დამლერეთ.

ბ ე გ უ მ. გურიის ქალები ღიღინს რომ ამბობენ, იმათი მშვენიერი ტკბილი ხმა ვსთქვათ. – ჩვენს მეფე დავითს და ჩვენს მამულს ქება შევასხათ.

რ ო დ ა მ. ქალებო, მამულის განთავისუფლებით ველარა გაგვიგია რა, ახლა რას იტყვით, რომ რალაც უპირველესი საგანია, ის დაგვივიწყებია, იმას ვერა ვხედავთ, იმაზე არას ვამბობთ და ატაცებული ვართ გიჟსავით? *(ამ სიტყვაზე წინწილის მოტანა აღარ დასცალდება და ყველანი ჰკითხავენ).*

ე რ თ-პ ი რ ა თ. რა არის, რას ვერა ვხედავთ?

რ ო დ ა მ. აბა, ეკლესიისაკენ შეიხედეთ!

ე რ თ ო ბ. *(განკვირვების დაძახებით)*. ვუი ამ ჩვენს თავს, მშობლის მამულის წმიდა მოწამენი: სერაფიმ ბერი, იმის გაზრდილი ოთხი ქალი და სხვანი! წავიდეთ კეთილ მოწინებით, კრძალვით თაყვანი ვცეთ იმათ გვამებს და იმათ ძვლებს!

(მივლენ და თაყვანს სცემენ, ამ დროს მოაჯირიდან გალობით წარსთქმენ ამას). კეთილ მოწინებით თაყვანსა გცემთ, ჩვენი მამულის მოწამენო *(დასრულებაზე პირველს ადგილსავე მოვლენ, მწკრივით დაიჩოქებენ, რომელთაცა ნახევარი სახე ამ მოწამეებისაკენ აქვთ და ნახევარი ტიატრის საზოგადოებისაკენ. თავს დაჩოქებული ბეჭუმ მოჰყვება, რადგანაც ხნით ცოტა უფროსია ამათზე; ამისთვის იმას ეკუთვნის ზრდილობის წესით)*.

ბ ე გ უ მ. ცისა და ქვეყნის შემოქმედო, უხილავო ძლიერებაო, ჩვენი მშობელი ქვეყანა ხომ იმისთვის შეჰქმენ, რომ კაცობრიობის ბუდეთ ყოფილიყო, მთელი ქვეყნების აღორძინებისათვის, რადგანაც გამრავლდა კაცი მთელს ქვეყანაზედ. ქვეყნის გასამშვენიერებლად და გასაპატიოსნებლად, ნაცვლად სიყვარულისა და პატივის ცემისა, იმ თავიდგან აქამომდე მოუხდინა შვილნი შორეულნი თავიანთ მამაპაპის ბუდგასა, სადაც თავიანთ ძმებსა სტყვევნიან, იმონებენ, ფეხით ლახვენ და მიწასთან ასწორებენ, რომ თავის ალების ღონე აღარ აქვთ. ოჰ, დაუმაღლებლო კაცო, უმაღურო ღვთისაო, განა მისთვის მოგცა სრული გონება ღმერთმა, რომ თქვენსა ძმებსა ძირი-თურთ ილებდეთ? დადეგ კაცო, – დანყნარდი, – კაცო განისაზღვრე, შენი მძვინვარება, – კაცო, კარგი, ნულარ იჭიმები და ნუ იწურები, თორემ მომეტებული შენი განევა ღმერთს განარისხებს? კაცო, კარგია აკმარე თქვენსა ძმებსა ავდენი ტყვევნა *(აქ ტირიან ქალები. მასუკან კიდევ)*. კაცო, შემოიკრიბე კეთილ-გონივრება და ნუ მძლავრობ ამდენს, თქვენცა მამულის მოწამენო, *(ხელს იქით მოიშვერენ)* ამაზე ევედრედ დაუცხრომლად ღმერთსა *(სხვა თქმა აღარ დასცალდება დედოფალის გურანდუხტის მახლობელი ქალი მათა შემოვა)*.

მ ა ი ა. გაიგონეთ, ქალებო, დედოფალი გურანდუხტ მობრძანდება. დღევანდელი დღესასწაული უნდა გადიხადოს დიდის გამოჩენით *(ეს ქალნი მწკრივით დადგებიან; გურანდუხტ შემოვა მდიდრათ მორთული, თან მოჰყვება ხნიანი ძველი ქალები და აგრეთვე ყმანვილი ქალები და ყმანვილი კაცებიც)*.

(მათა ამას რომ დაასრულებს, უეცრად მეფე თვალებზე ხელს მიიფარებს და დაიძახებს).

მ ე ფ ე. რას ვხედავ! იმ თავგადადებულ ომში დაჭრილ, ანუ დაჩეხილი, ჩვენი ქალები თურქ-არაბებისაგან! მამულის მსხვერპლი მოაქვთ ღონიერს დედაკაცებს. – იმ დაჩეხილ ქალებსაც უნ-

დათ ამ თავისუფლების დღესასწაულში დაესწრან და ჩვენთან ერთად იდღესასწაულონ. ოჰ, ღმერთო! შენს კეთილს გულსა ილმე ჩვენი მამულის სიყვარულია!

(ამასთან ერთი მუხლით დაიჩოქებს და მადლობას შესწირავს ღმერთსა უსიტყვოდ. ამ დროს შემოსავალში ერთს ქალს შემოიყვანენ. ეს ქალი უზით ოთხს დედაკაცს საკაცებზე, რომელიცა სხვა და სხვა თურქების დარჩენილი საჭურველი არის შემზადებული. ზედ არის ცოტად გადასვენებული ეს ქალი ამ საკაცებზე და სხვა ქალებიც ამ გვართათ მოჰყავთ. ამ ქალის უკან ეს პირველი ქალი არის ლიპარიდის დედიდაშვილი ნინო. მოიყვანენ ამ ქალთ და შუაში დადგებიან საკაცებით დედაკაცები; აქედგანაც მეფე და სხვანი მოვლენ კრძალვით, სადღესასწაულოს სახით).

ნ ი ნ ო. ჩვენო დიდო კავკაზიავ! შენს ქვეყანაზედ დაბადებული შენი ქალები, შენი ჭირის სანაცვლონი იყვნენ შენი მამულისა. არა ერთხელ: ყოველთვის და ყოველ ჟამს...

მ ე ფ ე. კავკაზიის ქვეყნის ჰაერო, წყალო, მთანო, ბარნო და სრულიად ერნო! იხარებდეთ დღესა დიდებასა თქვენსა! ხედავ, ჩვენო მშობელო ქვეყანა, რას გადიხდი დღესა, ანუ სადღესასწაულსა? ჩვენ გამოსხნისა დღესა! თავისუფლებასა ჩვენსას! ჩემო საყვარელო დაო ნინო. და ერთობ ქალებო! მოდით ამ საკვირველ ბედნიერებასა შინა! – როგორ დამავინყდება? ჩემო დაო ნინო! ერთმა დასმა თურქ-არაბებმა შუაში რომ ჩამიგდეს და გარს შემომეხვივნენ? იმ ჩვენს თავ-გადადებულ ომში შენ და შენი მეგობარი ქალები რომ მამეშველენით? – ჩემი გულისათვის სულ ერთიან ქვე დაგცეს საჭურველით? ზოგი დაიხოცა და ზოგი გამოგვიხსნეს ჩვენმა ჯარმა? როგორ დამავინყდება, ჩემო დაო ნინო, ის თქვენი შემონირული სიცოცხლე ჩემთვის? *(ამასთან თვალებზე ხელს მიიფარებს და ნინოს წინ დაიჩოქებს).*

ნ ი ნ ო. ჩვენო ხელმწიფეო! აღმაშენებელო დავით! ჩვენო განმაცისკრებელო დავით! ყოველი კავკასიის ერნი დიდნი და მცირენი შენ გიგალობენ. შენ დიდსა სახელსა, ვითარცა ფსალმუნი დავითისა შენ აღგამალლებენ, შენ გაქებენ ცამდის! იცოცხლე ჩვენთვის!.. იცოცხლე ბევრი და ბევრეული წელიწადები... *(მოაჯირიდგან წარსთქვეს).* იცოცხლე, იცოცხლე, დავით!..

კ ვ ა ლ ა დ ნ ი ნ ო. დიდო დავით, შენი ჭირიმე, თქვენ არ გეკადრებათ მუხლის დადრეკა, ჩვენ უნდა შორიდგან თაყვანს გცემდეთ და შორიდგან შემოგტრფიალებდეთ: ვითარცა მზესა ბრწყინვალესა!

მ ე ფ ე. არა, ჩემო დაო ნინო! მეც კაცი ვარ, მე არა ვარ თაყვანის საცემი, მე ვარ ძე კავკაზიისა, ვითარცა სხვა მამულისა ძენი – მე ვარ მორჩილი უნცროსი ძმა კავკაზიელთა; მე ვარ მხოლოდ ნიშანი,

ერისაგან ნოდებული მეფედ: ესე იგი ჩვენი ქვეყნის ერთა ერთობისა. ერის რჯულის დამცველი, ერთა წესისა და არა თვით უფალნი აღმოსავლეთისა, იგი უგუნურნი, მხოლოდ იგი დიდებისა და პატივის მოყვარულნი და არა კაცობრიობისა. მეფე არის მეუფება, და მეუფება არს სიტყვა: განსაზღვრული. მაშასადამე მე ვარ საზოგადოების, ერთა რჯულის დამცველი და მისის წესისა. აი, ეს არის მეფობა, მხოლოდ ესა.

ნ ი ნ ო. შენამც გენაცვალება კავკაზიის ქალები. შენ შვილებსავით რომ გიყვარს, ჩვენი უკეთილესო მამაო! აბძანდით, შენ გეთაყვანოსთ ჩვენი თავი (და დადგება ფეხზე; მასუკან ლიპარიდს მიიყვანს).

მ ე ფ ე. ჩემო დაო ნინო! აი, შენი დედიდაშვილი ლიპარიდ, ძმასავით შენი საყვარელი.

ნ ი ნ ო. ოჰ, ლიპარიდ! მოდი, გადამეხვიე შენს დას ნინოს (გადაეხვევა, მასუკან კვალად).

ნ ი ნ ო. ჩემო უსაყვარლესო ძმაო ლიპარიდ! განა, ჩემო ძმაო! საკვირველი ამბავი მოგვიტანე! ჩვენი განცხოველებისა! ჩვენი გაპატიოსნებისა, ჩვენი ქვეყნის გაფურჩქვნისა, უმშვენიერესს ყვავილისავით და დასასრულ ჩვენ კავკაზიელთ ერთობისა! მოგილოცავთ, მოგილოცავთ კავკაზიელნო, უტკბილესსა თავისუფლებას! – იყავით ძლიერ, იყავით ერთმანეთის სიყვარულსა შინა, – იყავით ერთმანეთის ერთგულნი, იყავით თავ-განწირულნი ქვეყნის მამულისათვის. – გახსოვდეთ, უნინ რა ვიყავით თურქებისაგან დაცემულნი და ეხლა ღმერთმა რა მოავლინა ჩვენთვის, ნურცერთს ნუ დაივიწყებთ; აბა, ახლა სად არიან მამულის მონამენი? იქაც მიგვიყვანეთ (და მიულოცენ). წმინდანო ღირსნო, მამულის სხვერპლნო და გმირნო! ყოველთვის და ყოველ ჟამს თქვენთვის იქადაგებენ მეცნიერნი, ბრძენნი და მათ წერილებში ჩაინერება სახელები თქვენი! თქვენ ხართ მაგალითი ყველასი მამულის სიყვარულისა!..

(ზევით მოაჯირიდგან წარმოსთქვეს). ხართ მცველი მამულისა. (ამას რომ დაასრულებენ, იტყვის).

ნ ი ნ ო. ნულარსად წაგვიყვანთ, აქვე დაგვსხით, ამ გორაზედ, მამულის მონამეს სიახლოვეს.

(მიიყვანენ და მარჯვნივ მხარეს დასხმენ, წამებულ ცოტა ქვევით დაჭრილებს, ანუ დაჩეხილებს მიიყვანენ და მარჯვნივ დასხმენ. დავით მეფე და სამნი სასულიერონი თავის სასხდომზე დასხდებიან, სხვანიც ნყოფით დადგებიან აქეთ-იქით, კარგა მოშორებით, რომელსაცა თეატრიდგან საზოგადოება პირდაპირ უნდა ხედავდეს მამულის მონამეთა, ეკლესიის აქეთ-იქით მგალობლებსა მუაჯირზედ და სრულიად ყოველსა. ამ დროს მამულის ერნი მოვ-

იდნენ დიდრონის დროშებით, მოაჯირების თავის ნაპირზე და მგალობლები ცოტა ქვემოთ დარჩნენ ეკლესიისაკენ, სამი დროშა ერთს მხარეს არის მოაჯირის ნაპირზე და სამი მეორეს მხარეს მოაჯირზედ. რომელიცა ექვსი დროშები უცხოთ არის მორთული. პირველ დროშას შუაში აქვს გამოსახული მხატვრობა: მოფრინვალე თერთმეტი მტრედი; თვითო მტრედსა თვითო გაშლილი ვარდის რტო უჭირავს ნისკარტით და ყოველს რტოსა თითო თეთრის წერილის ასოზედ სწერია ასე: თავისუფლება. ამას გვერდით მეორე დროშაზეა დახატული, მშვენიერი მორთული ქალი გადმოშლილის შავის თმით, გაშლილს ნალკოტში ვარდების ქვეშ მისვენებული: ორი ხელით ფრთებ-გაშლილი გვრიტი უჭირავს თავის გულზედ მიკრული, რომელსაც ნისკარტით უჭირავს გაშლილი წითელი ქალაღდიზედ დაწერილის თეთრის ასოებით: თავისუფლება. მესამე დროშაზეა დახატული სხვა და სხვა ჭრელი ჩიტები ფრთებ-გაშლილი და განბნეულს სხვადასხვა ხილსა ჰკენკენ მოხარულნი, რომელზედაც თვითო ყოველს ხილზედ თვითო თეთრი ასოზედ სწერია: თავისუფლება. ახლა მეორეს მოაჯირზედ, პირველს დროშაზეა დახატული კავკასიის მთის ფრიალო კლდე. ზედ არწივის ბუდე, შიგ არწივი თავის ბლარტებით ჯდანან ფრთებ-გაშლილები სიხარულის სახით და ქვემოთ კლდეზეა დაწერილი თეთრის ასოებით: თავისუფლება. მეორეს დროშაზეა დახატული ერთს პატარას მთაზედ ჩამამხტარი ყმანვილი კაცი ცხენიდგან: მშვენიერი ცხენი უკან უდგა, თვითონ მთაზედ ზის ბედნიერის სახით, მარჯვენას ხელზედ ქორი უზის, მის გარშემო წევრებია, წინ ნანადირევი, აქა-იქ ჰყრია: კურდღელი, მელა, ხოხობი, დურაჯი და სხვანი ნანადირევი. ქვემოთ აქა-იქ მწვანეზედ თეთრი ასოების წერილებია: თავისუფლება. მესამეს დროშაზედ არის დახატული აშლილი დიდრონი ხეების ტყე, ტყის ქვეშ ქორბუდიანი ირემი, გვერდით არის ფური, ამასთან თავის ნუკრები და ზედ გაფოთვლილს ხეებზედ არის დაწერილი თეთრის ასოებით: თავისუფლება. – ამ დროს სამი ქალი, მშვენივრად ჩაცმულნი; ერთს ამათვანსა ჩანვი უჭირამს, და კაცი უცხოთვე ჩაცმულნი, მოვლენ მეფის წინაშე, დაიჩოქებენ და ამ ლექს ლიღინით იტყვიან, უმშვენიერესის ხმით და ჩანგსაც იმათ მიადევნებს, ეს მესამე ქალი ტკბილის ხმითა, აი, ის ლექსი).

განახლდა, ბრწყინავს ჩვენს ცისკარზედ,
ტომი დავითის დღეს დავით.
მამულს სინათლე მნათ დარად
მოგვეცა მაღლად ან ზეცით.

აღარა გვმართებს ჭმუნვა ჩვენ,
კავკაზიისა შვილებო!
განსცხრით, იშვებდით, დასტკბით თქვენ
თავისუფლებით მდიდრებო!

(ესენი რომ ამ ლექსს გაათავებენ, მასუკან ტყეში ორს მოაჯირზედ ეკლესიასთან, ფერხულის ხმით იტყვიან ამ ლექსს, რიგით, ხან აქეთ და ხან იქით, როგორც ნესია ფერხულისა. და მერმე ფერხულსაც დააბმენ ტრიალით ორსავ მხარეს. აქ დავით მეფე იმ სამს სასულიეროთა რაღაცას ეტყვის ჩუმათა, ისინიც ადგებიან და აქედგან გავლენ. მეფეც ფეხზე დადგება; – ამ დროს მოსამსახურენი შემოვლენ, საჯდომ სავარძლებს მეფისას და სასულიეროთა გაიტანენ გარეთ. ფერხულის სიმღერა რო გათავდება, მგალობლები და სხვანი მოაჯირის ნაპირს მოადგებიან და ყურებას დაიწყებენ. ამ დროსვე ნახვენ სამს სასულიეროთა ორ-ორის ქალისათვის ჩაუვლიათ თვითო ხელი სასულიერო; თვითონ შუაში დგანან და სამ-სამი მწკრივით მოდიან ერთად. ეს ქალები არიან დანიშნულნი: ელენე, ბეგუმ, როდამ, სოსანა, ბაზიყა და მანიყა. მოიყვანენ ეს სასულიერონი ამ ექვსსა ქალსა, მეფის წინაშე დააყენებენ და თვითონ მეფის მახლობლად დადგებიან მარჯვნივ).

მ ე ფ ე. ყმანვილო კაცებო, ძმანო ჩემო! ლიპარიდ, აბესალომ, მანზა, არდიშ, დავლე და სავარ! თქვენ ძლიერის მამულის ერთგულებისათვის, უკეთესი ჯილდო მე არა მეგულებარა თქვენთვის, როგორც ეს მშვენიერნი ქალნი! კავკაზიელნო! თუ თქვენი ნება იქნება, ამ თავიანთ დანიშნულზე დავაქონწინოთ და გვირგვინი დავადგათ?

ე რ თ-პ ი რ ა დ. ღირსნი ღირსეულთათვის! *(მეფე ელენეს ხელსა ლიპარიდის ხელში მისცემს, ბეგუმის ხელსა – აბესალომს, როდამის ხელსა – მანზას, სოსანას ხელსა – არდიშს, ბაზიყას ხელსა – დავლეს, და მანიყას ხელსა – სავარს და თან ამ სიტყვას დაატანს).*

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ ა ლ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი. აჰა, მამულის ჯილდო – მამულის ძეთა!

(ამ სიტყვასთანავე ოქროს სინით თორმეტს ბრწყინვალეს გვირგვინს შემოიტანენ. შუბლზე სხივ-მოსხმულს, ვარსკვლავებიანს. ამ დროს ეს ყმანვილი კაცები და ქალები თავ-თავის დანიშნულებისა მეფის წინაშე დაიჩოქებენ. ამათ მეფე გვირგვინს დაადგამს თავზე და ორსავ ხელებს ამათ გადააფარებს ამ სიტყვით, დედოფალი შემოსავლის ცოტა მოშორებით ორს მუხლზე დაიჩოქებს და მიიმეთ თავყანსა სცემს ეკლესიისაკენ. ამ მოაჯირიდგან მგალობლები აუშვებენ ვალობასა). სვეტო სიკვიდრეო ქართველ-

თაო! მოწინებით გეანბორებით *(ამას რო გაათავებენ, დედოფალი გურანდუხტ ცალს მუხლზე დაჩოქებული მცხეთის ეკლესიისაკენ)*.

დ ე დ ო ფ ა ლ ი. შენ, სვეტი-ცხოველის კვართო! საუფლო ეკლესიაო! ვახტანგ გორგასლანის მიერ აღშენებულ ცხეთოსის კუნძულზედ; მკვიდრ სვეტზე დადგენილო, დიდებო ჩვენო! სვეტო სიმაგრეო, კარებო ივერიისაო! რა ხელმან, რა ხელმან პირველად მოგვითხრა ქრისტიანობა, – ქრისტიანობა გლოვის ტირილით... შენ ტირილო, გულ-ამოჯდომილო კეთილო, შენ შეუზავე მაღლი ზეცისა ქვეყანასა ჩვენსა; შენ ღმობიერ ესალბუნე ჩვენსა მიწას, ბედნიერების აღმოსაცენად, რომელსაცა მოვიკრეფდეთ ჩვენსა კონად, ჩვენსა გულში ჩასაკონად... *(ხელს განიპყრობს და თან ატირდება. მასუკან აქედგან მამულის მონამეებთან; ცალს მუხლზედ დაჩოქებული)*.

დ ე დ ო ფ ა ლ ი ვ ე. თვით თქვენით მირთმეულნო დიდ-სულლოვნად, ძღვენო მამულისანო! შენ სერაფიმ! დასდე თავი ჩვენის ხსნისათვის და მოიკალ მტარვალთაგან. არა იყო შენს გონებას აღმატება შენი: არა უუპატივცემულება, არა მოქლაქეობის ბრწყინვალეობა; და არა რაი სოფლის დიდება, თვინიერ მამული შენი, და თავისუფლება ჩვენი. ყმანვილობითვე იყავ ამაში და ამაში დაასრულე შენი სიცოცხლე. შენ განდგეილო კაცო კლდისაო, შენ დასდებას როგორ დაუტევდა უფალი. შენსა ღვარსაც ცრემლსა ვინ შესწყვეტდა, თუ არ თავისუფლება ჩვენი. უსულოო კაცო, ახლა სიცოცხლე შენი და ამ ოთხის ღვთის შვილის ქალისა, რა გულმდიდრად მოგვართვი ჩვენ... თქვენ იყავით დაბადებული ტანჯვისათვის, დატანჯული ჩვენის თავისუფლებისათვის, საუკუნოდ დაუვიწყარნო ჩვენნო!

(ამის შემდეგ. მძიმეთ თავყანსა სცემენ მონამეთა, აქედგან რომ უნდა წამოვიდეს, ამ დროს დედოფალი უეცრათ დაიკვივლებს).

გ უ რ ა ნ დ უ ხ ტ. ახ! ჩემო სიცოცხლეო, მეფეო დავით!

(და გაექანება ხელ-განპყრობით. იქიდგანაც მეფე ეგრეთვე და ერთმანეთს გადაეხვევიან ტრფიალებით).

და ვ ი თ მ ე ფ ე. ჩემო გურანდუხტ!

დ ე დ ო ფ ა ლ ი. ჩემო დავით!

მ ე ფ ე. კიდევ დამარცხდნენ ბარბაროსი თურქები.

(ამ სიტყვაზე დედოფალი დაემხობა, შემდეგ ხელ-განპყრობით დაჩოქილი).

დ ე დ ო ფ ა ლ ი. შენ შეინიერე ჩემი ესე მაღლობა, ღმერთო!

(ამასთან ადგება და მერე მეფე).

მ ე ფ ე. დიახ, საჩქაროდ გამოვეშურე, ჩვენის მამულის მონამეთა დღეობაში და არც შენ გენყინება ჩემი უეცრად მოსვლა.

დედოფალი. ოღონდაც რომ მართალია, როგორც მიაჩნებოდა შენი მოსვლა! აბა, ახლა თქვენი ანბავი მიაჩნებ, ჩემო ხელმწიფეო!

მეფე. ნარიქცა თურქების ძალა და განიბნივინენ, როგორათაც ჭილყავებ. ჩვენ ქართველები აღარ გვაომეს კავკასიელებმა; ორასი ათასი შეიჭრა, რომ გენახა საშინელი გრგვინვა იყო, საზარელი სახე! კაცი მივუგზავნეთ კავკასიელებს, ვთხოვეთ, მოგეხმარებითო ქართველები, მაგრამ არა ქნეს: ახლა ჩვენი დროა მამულის ომიო. კავკასიელების მხედართ-მთავარნი, ის ოთხი ყმანვილი კაცი: მანზა, არდიშ, დავლე და სავარ, გადემატნენ ვაჟ-კაცობით ვაჟ-კაცობასა! აქ ლიპარიდმა და ლიპარიდის მეგობარმა აბესალომ, ველარ მოითმინეს უომრობა და დაერივნენ მტრის გუნდებში, ის ყმანვილი კაცები ერთმანეთს შეხვდნენ: მანზა, არდიშ, დავლე, სავარ, აბესალომ და ლიპარიდ. უთხრეს ერთმანეთსა: დღეა გასაშტერებელი, დღეა ვაჟ-კაცებისა და დღეა გამარჯვებისაო. ამასთან დაერივნენ ის ექვსნი; ამათ მთელი ჯარი მიჰყვა ერთ-პირად და მაშინვე მოშალეს გამაგრებული თურქები ერთის მაგარის ადგილიდგან. ნაიყარეს წინა და სხვა და სხვა ფერ-ყვავილებისავით გაიფინენ მინდორზედა გაქცეული თურქები. აბა, ვილა დააყენებდა იმათ ჯარსა; მზე კიდევ მაღლა იყო ხუთი შუბის სიმალლეზედ, რომ იმათი ჯარის კაცი ველარსად ველარ ვნახეთ, ასე დაიფანტნენ და დამარცხდნენ. ის ექვსი გამარჯვებული ყმანვილი კაცი, ომიდგან გამობრუნებული მოვიდნენ და გამარჯვება მომილოცეს. კარგი ჟამის წელიწადები, იმათ სახეს ელიმებოდა; ამის მეტი ჯილდო მე იმათთვის არა მაქვს რა, ეს მშვენიერი ჩვენი ქალები იმათ მივართვი საცოლოდ მაშინვე, როდესაც რომ მიდიოდნენ ჯარათ თურქებზედა. ასეც ვუთხარი მე იმ გამარჯვებულ ყმანვილ-კაცებსა და თავ-მონონებულებსა სამართლად. ამ ამბავში ქალაქის ანის კარები გაგვიღეს ჩვენთა ძმათა სომხებმა და დიდის დღესასწაულით შეგვიყვანეს, რომ იმათი აღმატებული ხმა ზეცამდისინ სწვდებოდა! იქ რაც საჭირო იყო, გავარიგე, მასუკან დაწინაურდი და აქ გახლავარ თქვენ წინაშე მოხარული. დანარჩენი ლიპარიდისათვის დამინებებია, ის გიახლება მეგობრებით და ის მოიტანს უფრო კარგს ამბავს.

დედოფალი. გაქვთ გამარჯვება უზომო. და მოლოცვა გეკადრებათ საკადრისი თქვენი.

მეფე. უცხოს დროს მოვედი, დედოფალო. ახლა იქ ვიახლოთ, იმათ პატივი ვცეთ, იმ სანატრელებს *(აქედგან მივა და თაყვანსა სცემს მონივნით. ამასთან ერთობრივ მივლენ და მამულის მონაშეთა თაყვანსა სცემენ, მოაჯირზედაც მეალობლები იტყვიან ამას)*. შენ გაქვთ, ღმერთო! შენ შეგწირავ მაღლობასა!

(გალობის დასრულებასთან შუა ადგილს მობრძანდება დავით მეფე და მოაჯირზედაც მგალობლები დაჩუმდებიან, ამასთან ქალებთან მივა და ალერსით ეტყვის).

და ვ ი თ მ ე ფ ე. ჩემო საყვარელნო, დების მზგავსნო, მოდით, გულზედ შემემთხვივნით (მივლენ და შეემთხვევიან).

და ვ ი თ მ ე ფ ე. კარგო ქალებო! თქვენ საქმროთა დიდი დაუვინყარი ვალი დასდეს მშობელს ქვეყანას! ჯილდო ამის მეტი არა მამქვსრა იმათთვის, რომ მშვენიერს ჩვენს ქალებს მიგართმევთ, ჩემს შვილობილებს და ჩემის ხელით დაგადგამთ გვირგვინს შეუღლებიასას.

(ესენი თავს ჩაჰკიდებენ, მეფე ხელს დაუჭერს იმათ, მიიყვანს თვითონ. მეფის საჯდომზე დაჯდება, გურანდუხტ ეგრეცა. მარჯვენას მხარეს ქალებს მოიყენებს მწკრივად და სხვა ქალებს ზოგს კიდევ აქედგან, ზოგსა იქით. მარცხენას მხარეს დაუდგებიან მწკრივად. კაცებიც აგრეთვე გაიყოფებიან და ამ წესით დადგებიან. უნდა ბძანოს რამე, ამ დროს ორი კაცი შემოვლენ მდიდრად ჩაცმულები, წადგებიან, მეფეს მძიმეთ დაუკვრენ თავს და ერთი იმათგანი მოახსენებს).

უ ც ხ ო კ ა ც ი. ჩვენო ხელმწიფეო! ჩვენ ინდოეთის სომხები გახლავართ. ინდოეთამდისინ მოანია თქვენი ამბავი; მაშინვე შევიყარენით ინდოეთის სომხები: ჯერ ღმერთს მადლობა შევნირეთ ჩვენი ძმების, თქვენი განათავისუფლებისა თურქებისაგან, მასუკან რამდენიმე ამოგვარჩიეს და თქვენ წინაშე გამოგვზავნეს საჩქაროთ; აქ მახლობლად რომ მოვედით, შევიტყვეთ თქვენი აქ ბძანება; ჩვენმა უფროსმა გაახლათ ჩვენი თავი და პირათ გვითხრა: საჩქაროთ იახელით ჩვენს მეფეს დავითს, ჩვენი მოსვლა მოახსენეთო.

(აქ დიდი სიხარული შეიქნება და მეფე დაიძახებს).

და ვ ი თ მ ე ფ ე. დიახ უცხო ამბავი გავიგონეთ და უცხო დროსაც მოხვედით. მითხარით, თქვენს უფროსს რა ჰქვიან?

ი ნ დ ო ე ლ ი ს ო მ ე ხ ი. ოჰანეზა ჰქვიან, ჩვენო ხელმწიფეო.

და ვ ი თ მ ე ფ ე. თუ გიყვარდეთ, გაეგებენით და პატივით შემოიყვანეთ. *(გაეგებებიან და პატივით შემოჰყავთ, დიდად მდიდრათ მორთული; თან თავისი ამხანაგები მოსდევენ. ამ დროს მოაჯირიდგანვე გალობას წარმოსთქმენ).* მოგეგებებით მხიარულნი მამულისა ძმებსა *(აქ მეფე წამოდგება და შუა სახლში მიეგებება, ზევით მოაჯირზედაც გალობის ხმა განყდება).*

(მეფე მივა, ოჰანეზას გადაეხვევა ამ სიტყვით).

და ვ ი თ მ ე ფ ე. პატივცემულო ოჰანეზ, ეს ჩემი კოცნა მართო თქვენ ინდოეთის სომხებს არ გეკუთვნისთ, სადაც კი სომხები იყვნენ, იმათთვისა, რადგან ერთი მამის შვილები ვართ და ერთი

სისხლისანი.

(ამასთან გამობრუნდება და თავის ტახტზე დაბძანდება; ოჰანეზაც მივა მეფის წინაშე დაიჩოქებს და მოახსენებს).

ო ჰ ა ნ ე ზ ა. ჩვენო ხელმწიფეო დავით! ინდოეთის სომხებმა დიდი დღესასწაული გადავიხადეთ თქვენი განთავისუფლებისა, რომელთაცა ერთობ მოგილოცესთ აღტკინებულის გულით! ნიშანი თქვენის თავისუფლებისა ეს საკვირველი ბრწყინვალე და ძვირფასი თვალი მოგართვესთ ბატის კვერცხის ტოლა! *(მერე წამოდგება, ოჰანეზაც კოლოფიდან ამოიღებს და გაფრთხილებით მიართმევს; მეფეც გაშინჯავს შემდეგ).*

მ ე ფ ე. პირთა ჩემითა დიდათ გმადლობენ კავკასიის მთების და ჩვენი ბარის ერნი, შავი ზღვიდამ კასპამდისინ, მაგ ჩვენი თავისუფლების ნიშნისა და მოლოცვისათვის. ეგ თვალი ჩვენ თარგამოსიელთ ერთობის ნიშნათ იყოს საუკუნოდ.

(ამასთან მომცროს სტოლს შემოიტანენ, თიატრის პირთან დასდგენ და იმ თვალსზედ დასდებს მეფე სტოლის ნაპირზე, რომელსაც ყველანი ხედვენ თიატრიდგან. მეფე დაბრუნდება ოჰანეზასთანავე, მხიარულის მოლოცვით).

მ ე ფ ე დ ა ვ ი თ. გულ მდიდრად მოხვედი, ოჰანეზ, კეთილის გულით მოგვილოცე ტკბილი თავისუფლება; რომელნიცა არც ჩვენ დავრჩებით გადაუხდელი: ჩვენც მოგვილოცავს ანის ქალაქის გამოსხნა და უნამეტნავესი ნაწილი სომხეთისა. ანის სომხები დიდის ყოფით შეგვიძღვნენ ქალაქს და სადაც ბებია ჩემი, სომხების დედოფალი; ცოლი ღალაქის მეფისა მარხია ეკლესიაში, იმ საფლავს უამბორე, ამ სიტყვით: გიხაროდენ, დედოფალო, ეკლესია შენი გამოიხსნა მტერთა ხელთაგან, იმდროს შეირყა საფლავი დედოფლისა და მოისმა ხმა: მადლობა უფალსო. ჩვენც იმისი მახარობელი ვართ, პატივცემულო ოჰანეზ!

(ოჰანეზა დაემხოზა დედამინაზე, შემდგომ ორის მუხლით დაიჩოქებული ზედ განყრობით).

ო ჰ ა ნ ე ზ ა. დაუსრულებელო საკურველებაო! ეს კაცი დავით, შენგნით მოვლენილი ქვეყანაზე, მისთვის მოგვეცე ჭეშმარიტად, რომ ჩვენ თარგამოსიელნი შეგვაერთოს: ერთს სახელ და ერთს თარგამოსიელად! ვინც ამის აზრს გადავიდეს, შენი დამძიმებული რისხვა დაეცეს იმას!

(ზევით მოაჯირიდგან გალობით).

მ გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი. შენი დამძიმებული რისხვა დაეცეს იმას, ღმერთო!

(შემდგომ მეფე დავით და დედოფალი სამეფოს ტახტზე დაბძანდებიან, ამ დროს სამი ჯავშანიანი ზოსტრ შემორტყმულნი და

მუზარად დახურვილნი შემოვლენ; მეფის წინაშე წარდგებიან და თაყვანს სცემენ ამ სიტყვით).

ე რ თ ი ა მ ა თ გ ა ნ ი. მახარობელნი გახლავართ, ჩვენო ხელმწიფეო დავით! ლიპარიდ გიახლათ ერთობ ამხანაგებით! (ამ სიტყვაზედ ელენეს და იმის ამხანაგთ ქალებს გული აუჩქარდებათ, სისხლი ძვერებას დაუნყებთ; ველარ შესძლებენ აქ დგომას და ბარბაცით, რა ყოფით გავლენ ამ შეყრილობიდან გულის მოსაბრუნებლად. აქ მეფე დედამინაზე დაემხობა, მასუკან წამოიჩოქებს და ხელ გაპყრობით ამას იტყვის ზეცისადმი).

და ვ ი თ მ ე ფ ე. შენი განგების მოწყალეაა, ზეცაო, ჩვენი თავისუფლება! (ამ სიტყვასთან მოაჯირიდან ქალნი და კაცნი, ამ სიტყვით წარსთქმენ მშვენიერის ვალობით. ვალობას რომ დაასრულებენ, მეფე ზეზე დადგება. მერე შეიქნება სიხარული და ძახილი).

ე რ თ ო ბ. გიხაროდენ, ჩვენო თავისუფლებაო! ჩვენო თავისუფლების განცხრომაო! გიხაროდენ! გიხაროდენ!.. (ამ ძახილით მიდინ მისაგებებლად და თან კვალად იძახიან). მშვიდობა შენი მოსვლა, ლიპარიდ, – მშვიდობა ერთობ თქვენი მოსვლით ძმებო ჩვენო! (ლიპარიდ, იმის ამხანაგნი შემოსავლაში დახვდებიან და შემოსაძახებენ). მოგვირთმეგია ერთობ თარგამოსიელნო, თავისუფლება თავის ბედნიერებითურთ!

(ამასთან შემოვლენ, შუა ადგილს დასდგებიან, ლიპარიდ ოქროს სინი უჭირამს ორის ხელით, ზედ პორტრეტი სდგას უცხოს მხატვრობით დახატული; მიიტანს მეფის წინაშე, დაიჩოქებს ამ სინით; მხატვრობას მიათმევს და თან გაახსენებს).

ლ ი პ ა რ ი დ. აჰა, ჩვენ, ხელმწიფეო თარგამოსიელთაო! თქვენს ერთგულს და მამულის ძლიერთ მოყვარეთ ერთობ თარგამოსიელთა, მოგვირთმეგია თურქების ჯაჭვისაგან გამოხსნილი თარგამოსის ქვეყანა და ჩვენი სრული თავისუფლება!

(მეფე გამოართმევს იმ სინს ამ სიტყვით).

და ვ ი თ მ ე ფ ე. ჩამომითმეგია და ჩემს გულსა ზედა მიმიწვევია სრულის გულით, ღვთის მადლობის შეწირვით თავისუფლება ესე ჩვენ თარგამოსიელთა! (ამასთან გულზე მიიკრავს, მასუკან ემთხვევა. მერე მიიტანს და ბრწყინვალეს თვალს აქედგან დასდგამს სტოლზე. ამ პატრეტს შეხედვენ, ნახვენ რომ საშინელს ზღვაში ხომალდი დაღუპული და ზედ ქალნი და კაცნი სხედან მწარედ შეწუხებულნი და ზოგნი მტირალნი, სხვა და სხვა სახედ, რომლისათვისაცა უტაცია ხელი განგებასა ზეციდანა, დაღუპული ხომალდი გამოაქვს საშინელის ზღვიდან. ქვემოთ, ანუ ზემოთ დიდრონის თეთრი ასოებით სწერია ესრეთ). მიელოცოს თარგამოსი-

ელთა თავისუფლება!.. (პატრეტს რომ დასდგამს, მეფე გამობრუნდება, ლიპარიდს გადაეხვევა, ლიპარიდიც დაიჩოქებს და მეფე გულზედ მიიკრავს სიყვარულით).

მ ე ფ ე. ჩემო ლიპარიდი! ერთობ თქვენ! ასეთი ვალი დასდეთ თქვენს მშობელს ქვეყანას, რომ საუკუნოდ თქვენი სახელი იხსენება (ლიპარიდი რომ მუხლზე ადგება, მასუკან აბესალომს მიიხმობს, აბესალომიც იმის წინაშე დაიჩოქებს და მეფე გადახვევით ეტყვის).

მ ე ფ ე. შენც, ჩემო აბესალომ! დიდი პატივისცემის ღირსი ხარ დაუვინყარი: ვითარცა ლიპარიდი! (აქ ლიპარიდი ოთხს ქალებზე საქმროდ, კავკასიელთ მხედართ მთავარნი!).

(ესენიც მეფის წინაშე დაიჩოქებენ და მეფეც გადახვევით ეტყვის).

მ ე ფ ე. მოდით, ჩემო შვილნო კავკასიელნო! მოდით, ჩემნო მეგობარნო! მოდი, ჩემს გულს მოეყრდენით მკვიდრად! მოდით ჩემს გულთან, რომელიცა სავსეა თქვენის სიყვარულით (ამასთან ამათნი ჯარის კაცნი მშვენივრად ჩაცმულნი, მუზარად დახურულნი, ჯაჭვებ-ბრთებიანი და ზოსტ მორტყმულნი შორიდგან თაყვანს სცემენ მეფესა).

მ ე ფ ე. არა მხოლოდ მე; არამედ ერთობ თარგამოსიელნი გმადლობენ თქვენ, ჭეშმარიტსა ძეთა თარგამოსიელთა! (მასუკან მობრუნდება და ლიპარიდს ეტყვის). ლიპარიდი, აბა, ახლა დედოფალს და ამ პატიოსან გვამთა ჩვენი ამბავი მოახსენე.

ლიპარიდი. დიდებულო დედოფალო თარგამოსიელთაო! შენენითა მღვთისათა თურქების დამკვიდრებული მფლობელობა შეიმეუსრა ჩვენსა ზედა საუკუნოდ. იმათი უსვინდისო პირი მიიქცა იმათ ქვეყანასავე. მხოლოდ ახლა ჩვენი კეთილმდგომარეობისა და თანხმობის რჯული დავსდგათ, რომელსაცა დავმორჩილდეთ და იმის ბრძანებას თავსა შევნირვიდეთ ერთობ თარგამოსიელნი! ამის მეტი აღარა გვაკლია რა, ჩვენო დედოფალო და პატივცემულნო გვამნო, რომლისაგანაცა ყოველის ფრით გავბედნიერდებით და გაძლიერებული ვიქნებით მარადის!

ერთ-პირად. რჯულსა დავმორჩილდეთ! – თავისუფლება ადღეგრძელოს! (ამასთან შემოსავალში დაიძახებს სამი ხმა ბოხის ხმით და ნელად). ჩვენი კათალიკოზი, სომხების პატრიარხი – და ჩვენი მაჰმადიანი პირველი ახუნდი. თარგამოსიელნი დავით მეფე! არც ჩვენი სასულიერო დავრჩებით უმონანილედ ჩვენ თარგამოსიელთ თავისუფლების დღესასწაულში! – შევნირავეთ ოსანნა მაღალთა შინა ღმერთსა!

დავით მეფე. სასულიერო თავნო! – მობძანდით სასულიერო თავნო! თქვენი ხელი ხელს მოკიდება, უფრო ძლიერი ნიშანია, ჩვენ

თარგამოსიელი ერთობისა! (მივა შუა ადგილს, იმათ წინაშე დაიჩოქებს, მუზარადს მოიხდის და იტყვის).

მ ე ფ ე. ჩვენო სასულიერო მამანო! გვედრებით ერთობ თარგამოსიელნი, გვაკურთხოთ თქვენის წმიდის ლოცვით!

(სამნი ხელ თავზე დაადებენ ამ სიტყვით).

ს ა მ ნ ი ს ა ს უ ლ ი ე რ ო ნ ი. ყოვლად დამბადებელო ღმერთო! შენი საფარველი ხელი დაგვსდე თარგამოსიელთა და ამ ჩვენს მეფე დავითს; – ჩვენი ერთობისა, – ჩვენ თარგამოსიელთა! (ამ სიტყვასთან გამოტრიალდებიან ამ სიტყვით). ახლა ნება მოგვეცი, ჩვენო ხელმწიფეო, მივიდეთ, მამულისა მონამეთა თაყვანი ვცეთ! (მივლენ და თაყვანს სცემენ მამულის მონამეთა. აქ მოაჯირიდეგან გალობას აუშვებენ). კურთხეულ არის ერთობა თარგამოსიელთა! (ამასობაში სამს სასულიერო საჯდომს სავარძლებს მოიტანენ და დავით მეფის სავარძელთან დასდგმენ მარჯვნივ. ეს სასულიერონი დაბრუნდებიან და ზედ დასხდებიან. ამასთან თორმეტი ეპისკოპოსი შემოვლენ დიდის პატიოსნებით, რომელთაცა სამ ეპისკოპოზს ოქროს სინზე მდიდარს გვირგვინს შემოიტანენ; ქართველს ქათალიკოზს და სომხების პატრიარხს მოართმევენ. ესენიც აიღებენ და დავით მეფესაკენ წამოვლენ. მეფე დავით ამათ წინაშე დაიჩოქებს ცალს მუხლზე. ეს რომ დაიჩოქებს, ახუნდიც ორის მუხლით დაიჩოქებს და ორსავე ხელეებსა განაპყრობს, ერთსა დაბლა და მეორეს მაღლა, ზეცის შემჭვრეტელი. პატრიარხები მოიტანენ და მეფეს გვირგვინს დაადგმენ თავზე).

პ ა ტ რ ი ა რ ხ ე ბ ი. ჩვენო თარგამოსიელთ ღირს სახსოვარო მეფეო უდიდებულესო! დავით აღმაშენებლად წოდებულ ხარ და ინოდებოდე ქვეყნის დასრულებამდე ასე!

ე რ თ პ ი რ ა დ. დავით აღმაშენებლად! ჭემმარიტად აღმაშენებლად.

ა ხ ლ ა მ ო ა ჯ ი რ ი დ გ ა ნ მ გ ა ლ ო ბ ლ ე ბ ი გ ა ლ ო ბ ი თ: იყავ აღმაშენებლად და იდიდებოდე აღმაშენებლად უკუნიითი უკუნისამდე!

(ამ ამბავში დედოფალი დამხობილია და როდესაც მგალობლები გაათავებენ, წამოიჩოქებს).

დ ე დ ო ფ ა ლ ი. განთიადისა ცისკრის რიჟრაჟო! იგულისხმე ჩემი ეს შეწირული მსხვერპლი მადლობა. ჩემის კარგის დავითისათვის ღვთისა მიმართ! შენ მთავარო, წინამორბედო სულთა მართალთაო, ეს ჩემი შეწირულება, ჩემის დავითის საბედნიეროდ, აღუშენე საყდარი დიდებისა ზეცას! ჩვენ თარგამოსიელების ასამაღლებლად! (ახლა გალობით).

მ გ ა ლ ო ბ ლ ე ბ ი. ჩვენო ნუგეშო, იყავ აგრე კეთილ მრავალ

ჟამი... ვითარცა ყოფილხარ, მარად დედოფალო!

(მეფე მხარზე ხელს დაადებს და ასწევს).

მ ე ფ ე. დედოფალო, დედოფალო! გეყო, დადეგ ფეხზე, მე ვარ შენი კვარცბეკი, შენი მონა, შენი სიყვარულისა! სასურველო ჩემო! *(და გადაეხვევიან სურვილით. ამ დროს მეფის მოძღვარი არსენი იყალთოელი შემოვა, ოღარ ჩამოგდებული, ერთი დიდი ჯვარი, ორის ხელით ძლივს მოაქვს და შემოსძახებს მეტის კმაყოფილებით).*

ა რ ს ე ნ ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი. აღმაშენებლო დავით, ამ ჯვარცმულის მადლმა ქრისტემ გაკურთხოს, რომ მაგისტანა კარგი დაგბადა ღმერთმა ჩვენთვის!

(აღმაშენებელი თაყვანსა სცემს ჯვარსა).

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი. მოგმართამ, ჯვარო პატიოსანო და შენ წინაშე დავემხოზი. პირ-მინა გაერთებით, ჩვენის გამოხსნის მადლობისათვის *(ამ დროს შემოვლენ ფილოსოფოსი იოსებ, თეოფილე, ივანე ტაიჭიძე, ეფრემ მცირე, და პეტრიცი ჩირჩიმელი, ამათ ყოველთ თვითო დიდი წიგნი უჭირამთ ბარაკლიტონის ტოლა, რომელთაცა მოუძღვის წინ ფილოსოფოსი იოსებ. მოვლენ და მეფის წინაშე მწკრივათ დადგებიან).*

ჯ ე რ ი ო ს ე ბ. ჩვენი დავინყებულნი ფილოსოფია, თურქებისაგან განდევნილი, ჩვენს ქვეყანაზე კიდევ გამოვიდა, ხოლო სულ შენგნით, აღმაშენებლო დავით!

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი. არა ჩემით, – ჩვენი უღრმესის მსწავლულის ფილოსოფოსის იოსებით!

თ ე ო ფ ი ლ ე. თურქებისაგან დაცემული ქართველების, ქართველთ სიტყვიერება აღყვავდა და უმაღლესსა ხარისხსა აღვიდა! აღმაშენებლო, შენგნით!

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი. სრულის მეცნიერის და უნაკლულოს ქართულის მცოდნეს თეოფილესაგან იქმნა ესე.

ი ვ ა ნ ე ტ ა ი ჭ ი ძ ე. დავით აღმაშენებლო! თურქებისაგან წამხდარსა ქვეყანასა ჩვენსა კვალად ზნეობა დაუნმინდე; ძირითურთ ამოთხრილსა სამართალსა ჩვენსა, სწორე სამართალი მიეცი, რჯული დავიმკვიდრეთ და კეთილ მოსვენებით ვიცხოვრებთ უმანკოებით.

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი. ვინ არა გაქოს, ანუ არა განგადიდოს ივანე ტაიჭის-ძე, ყოველი ესე კეთილი ნაყოფი შენ მიერ დაითესა და ჩვენი კი ვიგემეთ.

ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე. ჩვენი წერილები და წიგნები გაპატიოსნდნენ მეტის მეტად! სასწავლებლებში: სწავლა, მეცნიერება და სიბრძნე შეიმკო, რომელითაც განათლდა და გაბრწყინდა ქვეყანა ჩვენი!

შენგნით, აღმაშენებლო!

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი. შეგასხამ ქებას; სახელით ეფრემ მცირესა, გარნა საქმით წარჩინებულსა კაცსა! ყოველი ესე შენი არს და შენ გეკუთვნის მართლა.

ბოლოს პეტრინი ჩირჩიმელი. შენგნით, აღმაშენებლო დიდო! უცხო ქვეყნის კარგნი და უდიდესნი სასარგებლო წიგნები მჭიდროდ გამრავლდა, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ენაზედ. ასეთის ქართულის ენით; ვკითხულობთ და ვეღარ ვძლებთ სიამოვნით.

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი. შენ გეტყვი მაღლობასა, პეტრინ, შენ დაგვავაღე და არა მე, რომელიცა დაუვინყარი იქნები ჩვენში საუკუნოდ *(ამის შემდეგ შემოვლენ ნინია კახაბერიძე, აბულელი, კლდეკარელი თევდორე, ქავთარ არიშიანი და ბარამ. კახაბერისძეს ვერცხლის სინი უჭირავს. ზედ აწყვია ზოსტერი, ჯავშანი, მუზარადი, ხმალი და ყოველი საჭურველი. მოვლენ და ესენიც მსკრივათ დადგებიან).*

ნინია კახაბერიძე. ჩვენი მხედრობის წინამორბედო დიდო აღმაშენებლო დავით! ეს ჩვენი საჭურველები, თურქებისაგან გათხრილის საფლავის პირზე ეყარა, თუ შენ არ გამოსულიყავ ქვეყანაზე, ესე ჩვენი საჭურველი იმათ გათხრილის საფლავში დაიმარხებოდა და ქართველის სახსენებელი განყდებოდა ქვეყანაზედ, გამოიხსენ ქვეყანა! განადიდე მამული! და ვილასი გვეშინიან ახლა!

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი. აგრე ნუ მოგნონთ თავი ჩემით, ძველნო მხედართ მთავარნო ჩვენო! თქვენით იყო ყოველი, თორემ ჩემით რა? უფრო სწორეთა ვსთქვათ: ღვთისაგან! *(ამ დროს ნახვენ, რომ სოფლის გლეხები: მხენელ-მთესველნი მოდიან, ყველას თვითონ ხორბლით სავსე ხონჩები უჭირავთ ორის ხელით, ამათ მოსდევენ საქართველოს მემზვრეები, რომელთაცა კუნწულა და კუნწულა გაფოთვლილი ვაზები მოაქვთ, მტევნებ დაკიდებულის ყურძნებით და აღმაშენებელს შემოსძახებენ).*

ჯერ მხვენელ-მთესველნი. ჩვენო აღმაშენებლო დავით! თურქებისაგან ჩვენს გაოხრებულს, ასი წლის გაყირმიზებულს მამულეებზე, აი, როგორი აღორძინებული, თათუხი პური მოგვდის ახლა, რომლითაცა უნაკლულონი ვართ ყველანი, ყოვლის ფრით და რომელნიცა დღეგრძელობასა შენსა გნატრულობთ, საქართველოს დედაკაცნი და კაცნი; ხელ აღპყრობით სულ ერთიან *(აღარ დასცალდება სიტყვის თქმა).*

მემზვრენი. აბა, ვინ არ ვინატროთ შენი დღეგრძელობა? ამ ვაზების ადგილას, დიდრონი აშლილი ტყეები იდგა თურქებისაგან გაოხრებულს ჩვენს მამა-პაპის მამულეებზე, დათვებით სავსე. ახლა

გაფუჩქვნილი ნალკოტები გვიხარიან, ლამაზის დამატკბუნებელის ხეხილებით. – ხეხილების ხილით ვიტკბარუნებთ პირსა და ამ ვაზების საუცხოვოს წითელის ღვინოებით შენს სადღეგრძელოსა ვსვამთ, კაცნი და დედაკაცნი სულ ერთიან. ყოველი ეს, სულ შენი მოწყალებაა, დავით აღმაშენებელო!

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი. არა ჩემი. – ღვთის მოწყალებაა! იმას შევსწიროთ მადლობა (და პირ მინა გაერთებით დაემხობა დედამინაზედ. ზევით მოაჯირიდგან).

მ გ ა ლ ო ბ ე ბ ი. იცოცხლე და იღლეგრძელე ჩვენთვის. ამასა გთხოვთ მარად ღმერთსა, აღმაშენებელო! (ამ ამბავში მოვა მეფე და ბძანებს).

მ ე ფ ე. ყველამ კარგათ ვიცოდეთ, დღეს ჩვენი დაკავშირების დღეა, ამისთვის ნახევარი აქეთ იქით მხარეს დადექით და ნახევარი იქით. დაკავშირება ჩვენი ესე: მრავალ ჟამიერ... (მოაჯირიდგან ქალთა და კაცთა მშვენიერის გალობით წარსთქვეს). მრავალ ჟამიერ, (ამას რომ მორჩებიან, მეფე დავით და დედოფალი სამეუფეოს საჯდომზე დაბძანდებიან).

მ ე ფ ე. და თქვენ სასულიერო მამანო! გთხოვთ, ინებოთ, აქ ჩემს გვერდით დაბძანება!

(მივლენ მარჯვენას მხარეს, აქეთ-იქით პატრიარხები დასხდებიან და შუაში ახუნდს დაისმენ, ამასთანავე ოქროს სინზე დანყობილსა წვრილს, წითელს, გრძელს ზონარს მოართმევენ, რომელსაც ორსავ აიღებს).

მ ე ფ ე. გთხოვთ, ერთი ზონარი ერთი მხრისამ მიიღოთ, მეორე, მეორე მხრისამ (და ორსავ მხარეს მისცემს, ისინიც გაშლიან და თვითონ წვერსვე მეფეს მისცემენ).

მ ე ფ ე. აი, ასე ვიყავით ჩვენ გაყოფილი, როგორც ეს ზონრები; ახლა, ღვთის განგებით, ასე შევერთდით ერთობ თარგამოსილნი, როგორც ამ ზონრების წვერები შეიკვრიან ახლა (და თორმეტ რიგათ გამონასკვამს. მერე აქეთ იქით გაშლით დაიჭერენ ამ გაერთებულს ზონარს. მეფე მარჯვენა მხარზე გადაივლებს უკან და მარცხენას მკლავ ქვეშ გამოივლებს და ბრძანებს).

მ ე ფ ე. ასე მაგრად და მკვიდრად შეიკრას ერთობა ჩვენი, როგორც ეს ზონრები გამოიკრა, დიდო და გამოუთქმელო საკურველო ღმერთო! შენის განგებით, შენის ძლიერებით, დავიმკვიდრეთ სახელმწიფო ჩვენი. დიდი ჩვენის თარგამოზის კავკაზიის ერისა! იყოს ერთი კავკაზია და ერთი საუკუნოდ.

ე რ თ პ ი რ ა დ. იყოს კავკაზია და კიდევაც იყოს კავკაზია, ერთ სამეფოდ! (მას უკან მგალობლები წარსთქმენ ამას გალობით).

კ ვ ა ლ ა დ მ ე ფ ე. ვინც ამას იქით ჩვენი კავშირი დაარღვიოს,

წყეულიმც იყოს!..

ე რ თ პ ი რ ა დ. წყეულიმც იყოს! – წყეულ! *(იქ ზევით მოაჯირიდეგან ზარის ვალობით წარმოსთქმენ)*. წყეულიმც იყოს!..

კ ვ ა ლ ა დ მ ე ფ ე. ახლა ეს შეკრული ზონარი წაიღევით სალ-
აროში შესანახად *(საჩქაროდ მოვლენ; სინზედ დასდებენ შეკრულ
ზონარსა და საჩქაროდ წაიღებენ)*. ამ დროს შემოსავალში ერთი
დასი ყმანვილები შამოცვივდებიან, თეთრათ ჩაცმულნი, ათის
წლიდგან თორმეტს წლამდისინ; კალთაში უყრიათ სხვა და სხვა
ფერი ყვავილები და ამას იძახიან).

ვ ა ჟ ე ბ ი ს ყ მ ა ნ ვ ი ლ ე ბ ი. წმინდა უმანკო თავისუფლება
ჩვენი მოგვილოცავს, დიდო კავკაზიაე!

(მივლენ და ყველას ყვავილებს გადააყრიან ეგრეთვე ძახილით).
ჩვენო გამომხსნელო! რა კარგი ამბავი მოგვიტანეთ, რა კარგი!
*(ამათგან გამოტრიალდებიან და მეფეს გადააყრიან ყვავილებს
ამ სიტყვით)*.

ყ მ ა ნ ვ ი ლ ე ბ ი. აღმაშენებლო დავით! ჩვენო მამაო! გადღე-
გრძელოს ჩვენთვის! გადღეგრძელოს!

მ ე ფ ე. მოდით, ჩემო შვილებო! მოდით, ჩემო საყვარელნო! –
განა, თქვენც გიყვარს თქვენი მამული, როგორც ჩვენ დიდრონებს?

ყ მ ა ნ ვ ი ლ ე ბ ი. ძალიან! – ძალიან გვიყვარს ჩვენი მამული,
ჩვენო მამაო დავით აღმაშენებლო! *(ამ სიტყვაზე ერთს ყმანვილს
აიყვანს და გულში ჩაიკრამს, მას უკან იტყვის)*.

მ ე ფ ე. ჩემო საყვარელნო შვილნო! ახლა წადით, მამულის
მონამეთა თაყვანი ეცით *(წავლენ მამულის წმინდა მონამეთთან)*.

ყ მ ა ნ ვ ი ლ ე ბ ი. მამულის მონამენო! ოჰ, რა რიგად გვიხარ-
იან ჩვენი თავისუფლება ჩვენ ყმანვილებს! *(იმათაც ყვავილებს
გადაუყრიან და თან ჰკოცნიან, ამასთანავე სადღესასწაულოს
მრავალ ჟამიერ წარმოსთქმენ ზევით მოაჯირიდეგან)*. ზეცაო! დაინ-
ახე ჩვენი დღეობა დღეს *(ამას რო გაათავებენ, ჩვენი ქათალიკოზი
წამოადგება და ამას იტყვის)*.

ქ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი. დიდო კავკაზიელნო! გულ-მტკივნეულად
გვედრებით – სულიერი მამა თქვენი; ერთნი იყვნეთ და ერთმანეთი
გიყვარდეთ გულით. ამაზე უკეთესი მე რალა უნდა გითხრათ თქვენ,
კავკაზიელნო! რასაც გეუბნებით, საქმითაც შეუდევით ამას. ნუ მი-
ვხედავთ ჩვენს სხვა და სხვა სარწმუნოებასა: ერთი მამის შვილები
ვართ და ერთი სისხლი გვიცემს ძარღვში. შევთვისდეთ და გავერთ-
დეთ, ვითარცა შედუღებული რკინანი მაგარნი! – დაიჯერეთ ჩემი
ესე სიტყვა, თორემ კიდევ წარგვიტაცებენ უცხო თესლნი და მაძინ
საგლოველი გაგვიხდება თავი. გონებაში ესე წარმოდგენა შესაძრ-
წუნებელი უნდა იყოს ჩვენ ყველასათვის! ღმერთო! დაგვიფარე ამ

საშინელის უბედურებისაგან კვალად (ზევით მოაჯირიდგან წარმოსთქვეს ვალობა). ღმერთო, დაგვიფარე!

(ვალობას რომ გაათავებენ, კვალად შემოსავალში შეიქნება ყმანვილების ძახილი).

ქ ა ლ ე ბ ი ს პ ა ტ ა რ ა ყ მ ა ნ ვ ი ლ ე ბ ი. ერთობ კავკაზიელნო? ღმერთმა გადაგიხადოთ ჩვენი მაგიერი ჩვენი გამოხსნისათვის თურქებისაგან *(მოვლენ და ყველას თავიანთს სხვა და სხვა ყოველ საქმეთა მთართმევენ ამ სიტყვით. ამ ქალებს ეცვათ წითელი ტანისამოსი და ქოლი ხანა ეკრათ თავზე).*

ქ ა ლ ი ყ მ ა ნ ვ ი ლ ე ბ ი. ეს გახლავსთ ჩვენგნით გაკეთებულნი ხელ საქმე; მადლობით მოგვირთმევია, კავკაზიელნო! *(ესენიც მადლობის თავის დაკრით გამოართმევენ, მაგრამ ხმას ვერ გასცემენ, რადგან მეფე იქ ბრძანდება. მასუკან მეფესთან მივლენ).*

ქ ა ლ ი ყ მ ა ნ ვ ი ლ ე ბ ი. ჩვენო ხელმწიფეო! ჩვენო მამაო, აღმაშენებლო დავით! *(და გარს შემოეხვევიან).* აი, შენთვისაც მოგვირთმევია ეს ჩვენი ხელსაქმე მადლობით *(ზოგი რას მისცემს და ზოგი რას. მეფეც დიდის სიამოვნით გამოართმევს ამ სიტყვით).*

მ ე ფ ე. ჩემნო შვილნო! ჩემნო ნუგეშნო! უკეთესი ჯილდო აღარა იქნება არა ჩვენთვის, როგორც ეს თქვენი ღვანლი! მადლობით მიგვიღია კავკაზიელთა! გმადლობთ, პატარა ქალებო! კვალად გმადლობთ!..

(ამასთან ერთს პატარას ქალს აიყვანს, ჯერ გულში ჩაიკრავს, მასუკან ხელში დაიჭერს და მერე ხელის ნიშნებით ეტყვის ყმანვილ ვაჟუკაცებს და ქალებს).

მ ე ფ ე. ანგელოზების მზგავსნო ყმანვილებო! აი, თვალი გადაავლევით, როგორი ბედნიერები ვართ თავისუფლებით კავკაზიელნი! *(ამ სიტყვაზე ერთობ ყმანვილები დაიჩოქებენ და ზეცისადმი ხელს განიპყრენ მადლობისასათ უსიტყოდ. აქ მოაჯირიდგან წარმოსთქვენ ვალობით).* უმანკობა მიითვალე ზეცასა შინა, ღვთაებაო!

(მასუკან ნავლენ ყმანვილი ქალები, მამულის მონამეთ თავანასა სცემენ და მოაჯირიდგან ამ მადლობას იტყვიან). სანატრელ ხართ, მამულის მონამენო!

(მანამ ვალობას გაათავებენ, ეს პატარა ქალები მივლენ და ყმანვილ ვაჟებთან დასხდებიან. ამ სომხების პატრიარხი წამოდგება და ამას მოჰყვება).

ს ო მ ხ ე ბ ი ს პ ა ტ რ ი ა რ ხ ი. დღეს გადვიხდით: უკანასკნელს ჟამის დღესასწაულსა, გამარჯვების დღესა თურქებზე *(ხელს გაიშვერს მამულის მონამეთა ზედა).* ეს ღირს სახსოვარნი, ჩვენი განმანთავისუფლებელნი და გამამხსნელნი არიან თურქების

საშინელის ბრჭყალებისაგან, რომელნიცა ცამდისინ სწვდებოდა სიამაყით და იმათი გამძვინვარებული ამპარტავანება, ეშმაკებსაც გულს შეუღონებდა, არამც თუ კაცსა? ამათ მძლავრნი თურქები დასთრგუნეს, განსდევნეს და ჩვენის თავისუფლებით დაგვატკბეს საუცხოვოთ. მხოლოდ ახლა შრომა უნდა ჩვენს მშობელ ქვეყანას, ჩვენი ღვანლი, ყოვლის კეთილით აჰყვავდეს კეთილ ნაყოფიერი ჩვენი ქვეყანა ჩვენის ცდითა, და ყოვლად შემძლებელსა ღმერთსა, მე აღარ მოვასხენებ ჩემის გულ-მხურვალეს ვედრებით, რათა მყუდროების მშვიდობით და ბედნიერად სუფევდეთ მარადის!.. ყოვლის სულით და გულით გთხოვთ, ჩემი ეს თხოვნა და ანდერძი დაიმარხოთ, ვითარცა სულიერის მამისაგან, ერთობ კავკაზიელნო, უკუნითი უკუნისამდე...

(მოაჯირიდგანაც გალობა წარმოსთქვეს). დაბეჭდილიმცა იყოს სიტყვა ეგე, ღვთის სვეტზედა.

(ესენი გალობას რომ გაათავებენ, ამ დროს იმ პირველს თავდადებულს ომში დაჭრილი კაცები; თუმცა გამთელებულნი, მაგრამ სხვა და სხვა სახეთ დამახინჯებულნი. ზოგს შემოიყვანენ, ზოგნი ჯორებზე დაბჯენილნი მოდიან და თან მოიძახიან).

დაჭრილი კაცები. ჩვენო დიდებო! – ჩვენო უაღრესობაო! – და ყოველო ჩვენო საკვირველო თავის უფლებო! მოვდივართ, მოვიძახით: თავისუფლებო! თავისუფლებო! – ძლივს არ გაგვიმხიარულდა გული კავკაზიელთა!

(ამათ წაეგებებიან წინ მეფე და ყოველი სხვანი ამ ხმით).

მეფე. მოდით, მოდით, ნახეთ თქვენი სისხლით ნაშოვარნი თქვენი თავისუფლება! – ნახეთ და იღღესასწაულეთ თქვენი თავისუფლება!

დაჭრილი. დიდება შენდა, ღმერთო! ოჰ! რასა ვხედავთ! ჩვენი თავისუფლების დღესასწაულს! – ახლა უნდა დავიხოცნეთ! – სიხარულით იქნება ჩვენი სიკვდილი!..

მეფე. იღღესასწაულეთ! იცოცხლეთ ბევრი. – ხედავდეთ თქვენს თავისუფლებას ყოვლის თავის ბედნიერებითურთ! ჩვენთვის არის ეხლა: ცა ახალი და ქვეყანა ახალი!

დაჭრილები. დავით აღმაშენებლო! შენი ქვეყნის განმაახლებლო! ნეტავი, ჩვენ, რომ ამ ბედნიერებით გხედავთ შენ! აბა, ახლა, ჩვენო ძმებო! სადა ხართ? ერთობ კავკაზიელნი, მოდით აქ ჩვენთან? – ჩვენო გამომხსნელო, ჩვენო სიცოცხლენო! *(მივლენ იმათ წინაშე და თავს დახრიან დაბლა).*

კვლად დაჭრილები. თვალებო, გაძეხით ამათის ყურებით, ამათის ნახვით! ოჰ, რა ბედნიერები ვართ ეხლა ჩვენ! *(პატარა ხანის ყურების შემდეგ).* აბა, ახლა მიგვიყვანეთ მამულის მონამეებთან

(და წაიყვანენ). მამულის მონამენო! ალტაცებულის სულით თაყვანსა გცემთ: თქვენს სინმინდეს, თქვენს წამებულებს მამულისათვის! საუკუნოდ იხსენიება სახელი თქვენი (*მოაჯირიდგან მგალობლები გალობით*). – ჭეშმარიტად, საუკუნოდ (*მინამ გალობას გაათავებენ, მოიყვანენ და მეფის მახლობლად დადგებიან. გალობას რომ მორჩებიან, დაჭრილები იტყვიან*).

დაჭრილები. ღვთის გულისათვის, ამ ადგილს დაგვსხით: ჩვენც უყუროთ ჩვენის თავისუფლების დღესასწაულსა! (*და დასხმენ. ამ დროს ახუნდი წამოდგება და ამას იტყვის*).

ახუნდი. ო, ღმერთო! სამყაროსა შინა დაგუბებული სიბრძნე შენი, გადმოუშვი განათლებითა თვისითა, ვითარცა დანმენდილი მდინარე დიდი, რითაცა აღივსოს ყოველი არე ჩვენი; მთისა და ბარისა – შავი ზღვიდამ კასპამდისინ, სადაც შვილები მათი გავითარდებოდეთ შენი ზეციურის განბრძობითა, ვითარცა უბრწყინვალესი, ფას-დაუდებელი თვალი გამოხელოვნებული ჩინებულთა ხელოსნებთაგან! ო, ღმერთო! ავდენი საუკუნოების განყოფილი ძმობა ჩვენი, შენ შეაერთე, შენ გვასწავლე სიყვარული და ერთობა, მზგავსი ანგელოზებისა! – აჰა, ღმერთო! სულ ერთობრივი შენ შემოგძახით და შენგნითვე მოველით ამას დიდი კავკაზიელნი!

მეფე. არამც თუ თქვენი დაქორწინების დღე იყოს დღესა, ანუ შეუღლებისა, ყმანვილო ადამიანებო, რომელთაცა გვირგვინი გადგასთ თავზედ? არა, დღეს თქვენმა თან იქორწინდა და მადლი ზეცისა ჩვენზედ და ბრწყინვალე გვირგვინი იმის, შემდგომ ღმერთმან გაკურთხოსთ ყველანი, კავკაზიელნო და თქვენს თავისუფლების ბედნიერებასა, საფლავსა ჩამამძახებდეთ თვისის სადღესასწაულოს ხმოვანებით: ყოველთვის და მარადის, კავკაზიელნო!

(*ამას რომ მეფე დაასრულებს, ეს შეუღლებულნი წამოდგებიან ფეხზედ და მეფეს მდაბლად დაუკვრენ თავსა. მეფე ამათ წაიყვანს და გორის ძირში დაიჩოქებენ, კეთილმონივნებით, მოახლოვოდ მონამებთან; ნახევარი აქეთ მხარეს და ნახევარი იქით, ექვს ექვსნი ერთად თავის ცოლებით, ესენი რო იქ დაიჩოქებენ, მეფე გამობრუნდება, აქ ნაპირზე მოვა და სავედრებელის, გულ მტკივნეულობით ამას მოჰყვება*).

მეფე დავით აღმაშენებელი. დიდი ჩვენის მამის თარგამოზიის ჩრდილო! (*ამას რო იტყვის მცხეთის ეკლესიის კედელზედ დიდი ფარდა გადიხდება, ანაზდად კედლის ფერი და არც ეტყობა ფარდობა, რომლიდგანაც დიდი მხატვრობა გამოჩნდება, თვით თარგამოზ დახატული, გძელ-თეთრ წვერა, თავშიშველი თეთრ-თმიანი; ორი ხელი გაშლილი აქვს და იმის ხელეზ ქვეშა, დაჩოქილნი არიან, იმისი რვა შვილი, ოთხი ერთს მხარეს და ოთხი*

მეორეს მხარეს, ამათ გარშემო ახვევიან იმათა ჩამომავლობანი, ქალნი და კაცნი, რომელნიცა თარგამოსსა შეჰყურებენ ყველანი. ეს მხატრობა კარგი უნდა იყოს! თარგამოზის ზევით აწერია: ჩემო სახლის მომავალნი, კურთხეულ არს ღმერთი! კურთხეულმცა იქმნას ნაყოფიერება თქვენი. იდიდეთ მისგან, იბედნიერეთ მისგან, ყოვლად განუყრელი ერთად!.. ამას რო ნახვენ, ყველანი დაემხობიან ამ მხატვრობის წინაშე. შემდეგ ადგებიან და განკრძალული შეჰყურებენ იმ მხატვრობას. აქ მეფე ისევ).

ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი. ჩვენი მამაო თარგამოზ! აჰა, დაინახე დღეს შენი შვილები, რა ამბავში არიან, რას დღეს გადხდიან! ერთობ თარგამოზის დიდო კავკაზიელნი! ძენო და ქალნი! აგერ ამ ეკლესიის გარშემო შეკრებოდეთ თარგამოზის მამისა ჩვენისა წინაშე და ამ ჩვენს მამულის მოწამეთათანა: იმ სანატრელებთან, იმ სისხლდათხეულებთან მამულისთვის! – აქ ამ მშობლის მამულის საყდართან ხშირად იდღესასწაულებდეთ! აქ იგემოვნებდეთ, მთლად რა არის კაცობრიობისათვის თავისუფლება!.. აი, როგორი ბედნიერები ვართ ეხლა!.. აი, მართლად ბედნიერება ეს არის!.. რათა ვტირით ეხლა ასე? რა არის ეს ცრემლი? ცრემლი ჩვენის თავისუფლებისა! დაგვდენ ხელი და გული შენი, ღვთაებო! იგი კეთილი გული და იგი ძლიერი ხელი, ჩვენი მფარველობისა, ჩვენი განუყრელობისა, დედ-აო ღვთისაო! – ჭეშმარიტად გვირგვინი ესე, თავსა ჩვენს ზედა არს შუამდგომლობა შენი, ბოძებული მიერ ჩვენის კავკაზიელებისათვის! გვირგვინი ესე თავსა ჩვენსა არის ნიშანი შენი წილხდომილის ჩვენ მშობლის მამულისა! ჩვენ ხომ ვერ გამოვსთქვამთ ჩვენის გულის მადლობასა ღვთაებისასა ჩვენის თავისუფლებისათვის, თვით შენ უწყი, დედაო ღვთისაო, ვითარა ვგრძნობთ ჩვენ ამასა! შენ ღვთაებო! – ნულარ გაგვიმეორებ იმ თავ გადაგებულს, იმ უსაშინელესს ბრძოლასა, კვალად რომელნიცა ან უნდა დავცემულიყავით სულ ერთიან, ან არადა თავი გამოგვეხსნა! ოჰ! რა იყო ის ტფილისის ბრძოლა, ის უკანასკნელი ჟამი!.. (ამასთანავე მეფე დაიჩოქებს, სხვანიც ვგრეთვე, ხელის განაპრობით მონივნების სახით და მოაჯირიდეგანაც დაიჩოქებული ხელ განაპრობით იტყვიან ამას გალობით, რომ მოაგონდებათ ის ჟამი). – ღვთაებო! ოჰ, ის უკანასკნელი ჟამი – (სამჯერ წარსთქმენ ამას).

(დასასრული)

დრამა „მეფე დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი“ ოთხ – მოქმედებათ. თუ დაინახონ, სამ მოქმედებათ წარმოიდგინოს, მაგრამ მე ეს უფრო წასაკითხათ დაწერე. თუ ნამდვილი ისტორიულთა რამე გადასცდეს ამ დრამასა, მოგვიტეონ. ამ გვარები

უამისოთ არ დაინერება. ბატონიშვილი დედა ჩემი თეკლე, მეფის ირაკლის მეორის ასული რომ გარდაიცვალა 1846-სა წელსა 11 მარტსა, მწუხარების გამო დავწერე ეს თხზულება, იმავ ზაფხულს, ჩემი მეუღლის ეკატერინეს სოფელს კაზრეთს.

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.
1846

კეთილი გერიკაცი

პირველი ანბავი.

ის დრო წარმოადგინოთ, როგორც იყო ისე. ამ ასპარეზზედ, უფრო სხვადასხვაობის ამბავს იტყვიან, გამოჩენილ ვაჟკაცთ აქებენ და მეფის ბძანებასა ელიან: საითკენ ინებებს ამხედრებასაო. აქ ამ ასპარეზზე გაიშლება დროშა მეფისა, – დროშა მენწინავე სპასპეტიცისა, – დროშა მემარჯვენე სპასპეტიცისა, – დროშა მემარცხენე სპასპეტიცისა და დროშა მეუკანავე სპასპეტიცისა. იქ იმ ნალარახანიდგანაც აუშვებენ ნალარისა და ბუკდაბდაბის ზრიალს და ერთიანი ესე ხმა მოვა მახარობლათ მხედრებთანა და მხნეგულოვნობის ამბავს მიუთხრობს იმათ გულსა. – აჰა, ამდროს მეფე ჩამობძანდება სასახლიდგან თლილოვანსა თეთრს მარმარილოს კიბეზე და ოქროთ მორახტულსა ტაიჭს მიაართმევენ ამილახვარნი კრძალვით, რომელსაზედაც შებძანდება სრული შეჭურვილი; სასახლის ეზოს გამოივლის, – ეზოს ალაცაფის კარებში გაბძანდება ასპარეზზე თავის შინაურის მცირედის ამალითა და თავის მხედრობასა გადაავლებს თვალსა სიამაყით. ესენიც მძიმეთ დაუკვრენ თავსა და მეფეც ეგრეთვე ჩამოართმევს. ამასთანვე ამხედრებული მეფის მოწინავე სპასპეტი თავის ამალითა და დროშით გაუძღვება წინა, – შემდეგ მემარჯვენე, ამას მეფე შეუდგება, – მასკვან მემარცხენე, – და მერე მეუკანავე სპასპეტი. ესე შეერთებული მცირედი მხედრობა ქალაქს გარეთ რომ გავლენ, ამას საქართველოს დიდრონი ჯარები დახვდებათ ამხედრებული; საიდგანაც ასეთისა წესით მეფეს თავის ამაღჯარით შუაში ჩაიყენებენ და ბუკდაბდაბნალარისა ცემით, მტერზე გაილაშქრებენ მომღერალნი ფერხულითა ქართველები და მშვენივრათ შეკაზმულები.

აქ ის ასპარეზი დაცარიელებული ჯარისაგან, ხანდისხან ქალაქის მცხოვრებნი წაივლიან ზედა, ზოგი დადუმებული და ზოგი ჯარზედ მოლაპარაკე ჩვეულების ცივის გულით. იქით მეფის სასახლე; სამას ოთახზე მომატებულში და სპარსეთის გვარზედ მშვენივრათ მორთულში, დაიარებიან მეფის ნათესავი ქალნი ლალობითა და თავიანთის ჯარისათვის არას ნალვლობენ, რადგან ხშირათ იყო გალაშქრება, ამისთვის ჩვეულებათ მიელოთ საქართველოსა ერთა და ამიტომ არაფრად არ მიაჩნდათ იმათ გალაშქრება. აჰა, მოვიდა შუალამე და ფეხის ხმა მისწყდა ასპარეზზე მიმოსვლელთაგან. ამ ასპარეზის პირზე დასავლეთისაკენ, არის სასახლე დიდი ქვიტიკირისა და წარჩინებულის დიდი კაცის ვისმე, მაგრამ ამ სასახლეში რაღაც მწუხარებაა და ვნახოთ, რა უნდა იყოს ის მწუხარე-

ბა? – ის სასახლე ორ ატაჟიანია მოაჯირით მოვლებული გარშემო, სახლების უკან პატარა ნალკოტია მშვენიერების შემკულობითა, სადაც ბულბულნი მოფრინდებიან შუალამეს იქით გათენებისას.

სახლების წინ აუზია, რომელშიაც მცირე წყარო ჩასდის შუა სახლების კედლის ძირიდან ქვის მილიდან გამომდინარე. სახლების გვერდით ქვის კიბე აქვს მომდგარი, რომელზედაცა მეორე ატაჟიდან ჩამოივლის ქვემოთ ასპარეზზე. პატარა ხანს უკან თაღნით მორთული ქალი ჩამოვა [თმას] კიბეზე წყნარა და დალონეხულის სახით; მოვა წყაროსთან, აუზის გვერდით დაჯდება ხის სკამზე, გულმტკიცენულად ამოიხრებს და შემდეგ დალონებით მოჰყვება. ეს დრო გათენების ღამეა.

თამარი. ვის ესმის ჩემი მწუხარება, თვინიერ ამ გათენების ბინდადს ალიონსა? – ვინ არის ჩემი აწინდელი ამხანაგი და ჩემი მწუხარების მონანილე, თუ არ მონანკარე წყარო ესე? – *(აიღებს და კენჭს ჩაავდებს წყაროს წყალში)* ჩემო გულითადო მეგობარო! – შენი ღამაზის მოხმაურობით ჩემს მწუხარებას მიქარვებ შენ. – თქვი, – თქვი, ჩემო მეგობარო! – მიანბე; სად არის ჩემი ზორაბი. ოთხი წელიწადია ტყვეთ წაიყვანეს მტარვალთ ყიზილბაშებმა და იმისი ორი ობლები დარჩნენ ჩემს გულზედ გასაზრდელათ და ძმანი. – *(ამ სიტყვაზე ცოტათ გული შეუნუხდება, მაგრამ მაშინვე ხელებს წყალში ჩაჰყოფს; პირზედ, გულზედ მოისომს ცივს წყალს, ცოტასაც დაღვეს მუჭით და მოსურიადღება. მასკვან ეგრეთვე მოჰყვება)* რა უქნა ის ჩემი საყვარელი! და ვითარი საყვარელი ამ ჩემი სულის გრძნობისაგან. – რა გინდოდა, ყმანვილო კაცო ზორაბ, ამ ჩემი საცოდავის გულისაგან? – რატო ეგ შენი სული არ გადულობე სურვილის სიყვარულსა და ამ ჩემსა უმანკოსა გულსა მოუსიე დარაზმული სიყვარული? – განა არ შეიძლებოდა, თავაზიანი მეგობრობითი ცოლქმრობა გვექონოდა და ეს საშინელი სიყვარული არ დაგეთესა ამ ჩემს საცოდავს გულზედ? – მაგ შენის ღამაზის ენით; გულისა და სულისაგან რომ მეუბნებოდი სურვილს ტრფიალებას! – აბა, სადღა არის იგი ის სურვილი ტრფიალება! – სულ ვაების სიმწარეთ გადაამექცა. –

(ამდროს ერთი მოხუცებული გძელ თეთრ წვერა კაცი მიდის, ბურნუთის ფერი შალი ჩოხა აცვია, თივთიკის შალვარი; თეთრი ნალები, თავზედ შავი ქუდი ხურამს, კოკა მხარზე უდგას სპილენძისა, და წყაროზედ მივა ასამსებლათ, – მოვა, თამარს რომ დაინახა-ამს, კოკას დაბლა დასდგამს და ეტყვის)

მოხუცი. ვინა, ხარ მაგ წყალის პირზედ, ხიზარ?

თამარი. მენა, რას კითხვაობ, ვინცა ვარ?

მოხუცი. ხედავ, რათ ჯავრობ კითხვისათვის? ამ დროს როგორ

არ გეშინიან?

თამარი. ვისი?

მოხუცი. ავი კაცებისა.

თამარი. მე ასეთს გულზედა ვარ ეხლა, მძვინვარე მხეციც ვერას მიზამს.

მოხუცი. რა არის მაგისთანა, რომ სიმხნეს, უშიშრობას და ძალას გაძლევს?

თამარი. რათ გინდა, შეიტყო? –

მოხუცი. მითხარ; მოხუცებული კაცი ვარ და მოხუცებულს ყველას ეთქმის.

თამარი. იქნება იმ მოხუცებულთაგანი არ იყო, რომლებიცა სიკეთილით სავსენი არიან?

მოხუცი. სწორეთ იმისთანა მოხუცებულათ გეგულვებოდე.

თამარი. ჯერ შენი სახელი მითხარ?

მოხუცი. მქვიან ბერუა.

თამარი. მოხუცებულ ბერუავ, შენ რომ მკითხავ. – „რა არის მაგისთანა, სიმხნეს უშიშრობას და ძალას გაძლევსო.“

ბერუა. დიახ, მართალია.

თამარი. სიყვარული!.....

ბერუა. როგორი სიყვარული?

თამარი. უხილავი, საშინელი ცეცხლი, სულს რომ მოეკიდება და გულზედ განუქრობლათ ანთია, იგი განმძლიერებს: ვითარცა დაყმენდილი მგელი.

ბერუა. რაქნა; ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ არ ვიცი, როგორ იქნება ეგა?

თამარი. ნეტავი, შენ, ბეროკაცო, შენი გული თავისუფალი ყოფილა ამ გრძნობისაგან, რაშიაც მე ეხლა ვარ ჩავარდნილი ვაებაში!

ბერუა. დედავ, არ შეიძლება წამალი რამ უმოვნოთ მაგ სენსა?

თამარი. რატომ არა.

ბერუა. აბა, თქვი?

თამარი. სიკვდილი.

ბერუა. რას ამბობ, დედავ?

თამარი. მერწმუნე, მართალს გეუბნები.

ბერუა. ჩემს თავს დავდებ და არ მოგაკვლევინებ თავსა.

თამარი. მაღლობელი გახლავარ, მოხუცებულო; ეგ თათბირი ამაოა ჩემთვის.

ბერუა. ჯერ ამას გევედრები, რაც გკითხო, იმის პასუხი მომცე?

თამარი. კარგი იქნება, დიახა, თქვი.

(ამ სიტყვაზედ ბერუა კოკაზედ დაჯდება და მერე კითხამს)

ბერუა. ვისი ქალი ხარ?

თამარი. დიდი კაცის, თავადის ქალი ვარ.

ბერუა. რა გქვიან?

თამარი. თამარ.

ბერუა. რამთენის წლისა ხარ?

თამარი. მეოცეში ვდგევარ ეხლა.

ბერუა. რა კარგი, ბედნიერი წელიწადია მეოცე? ახლა მიზეზს გკითხავ შენის სენისას, წვრილათ მიაგბე!

თამარი. ახ! მოხუცებულ ბერუავ. – სარწმუნოებაში გასდილი მე, თხუთმეტი წლისა ვიყავი, არ ვიცოდი, სოფელი რა იყო, თვინიერ ჩემი დედმამისა, მეორეც, ჩემი ერთი დედიდაშვილისა, რომლებიცა დაძმასავით შევიზარდენით და მესამე, ჩუწნი ქრისტიანეთ სარწმუნოების მეტი. – ერთ დილაზე ჩემი დედმამანი შემოვიდნენ ჩემთან, ალერსით მითხრეს. – „თამრო, პირველს თავადიშვილს ზორაბს მიგეციო; ჯვარის წერაც ჩქარა იქნებაო.“ მე გამეცინა, რაღაც სათამაშო და სასაცილო მეგონა. მაგთენი დრო აღარა გამოვიდარა, აქ, ქ. თფილისში ჩამოვედი და სიონთა ღვთისმშობლის ეკლესიაში დაგვწერეს ჯვარი მე და ერთს მშვენიერსა ყმანვილსა კაცსა. – იყო ქალაქში დიდი ზარი ხალხისგან ჩუწნ ქორწილზედ, ამისთვის, რომ ორნივ დიდი კაცის შვილები ვიყავით. აქ, ეკლესიაში რომ ასეთი ჭდევა იყო ქალისა და კაცისაგან, ნემსი არ ჩავარდებოდა. – გადინხადეს ყოვლის დიდებით ჩვენი ქორწილი. ჯვარის წერის მეორე დილაზედ, ის იყო ახალი ჩაცმულ თავ დახურვილი, მარტო ოთახში ვიყავი, დორზედ წამოწოლილი. შევხედე, ჩემი ქმარი შემოვიდა ახალუხა.

ბერუა. მერე, სამი დღე გვირგვინის პატივისცემა არ აღასრულეთ?

თამარი. როგორ არა. მინამ გვირგვინი არ მოგვხადეს, მოშორებული ვიყავით მესამე ღამემდისინ.

ბერუა. მაშ, რათ შემოვიდა ისე კადნიერთ?

თამარი. სანახავათ, მარამ მარტო რომ მნახა, სიყმანვილემ მოიტაცა.

ბერუა. მომატებული კადნიერება სიბრიყვეა, და დაკრძალული წყნარი ქცევა – სასიამოვნო მოსაწონი; ქალისა და კაცისათვისაც. – მასუკან, თამარო?

თამარი. მოვიდა და უეცრათ თავის თეთრ გულში ჩაიკრა ჩემი სახე. არ ვიცი, რა იყო, მაშინვე უეცარი ერთი ცეცხლი წამოვიდა ჩემი თავისაგან, ასე მეგონა ერთს სახმილის ვაებაში ჩავარდი მეთქი! – აგებულება ამითრთოლდა, გონება დაეკარგე, აი, მოხუცებულ ბერუავ, ეს არის სიყვარული!

ბერუა. ჰოოო. თურმე ეგ ყოფილა და არ ვიცოდი. ჩემს დღეში

ცოლის შერთვის სურვილი არა მქონია. ისე, გულით შეურყეველი ვყოფილვარ და სულით მოსვენებული ყოველ დროს. – აბა, თამარო, ახლა დანარჩენი მიახბე შენი და შენი ქმრისა? – იქნება ღმერთმა ბედი დაგიბრუნოს.

თამარი. ოჰ, მოხუცებულო, სად არის ის ბედი? ყველასათვის ერთ გვარათ არ მოქმედებს ის უპირო.

ბერუა. მაგას აგრე ნუ იტყვი, თამარო. რაც შეგვემთხვევა ამ ნუთს სოფელში, საკვირველად ნუ მიგვაჩნდება ნურაფერი. აბა, რა იქნება იმისთანა, რომ არ მომხდარიყოს ქვეყანაზე? ამისთვის სხვა ამისმეტს საშუალობას ვერ ვიპოვით: უნდა, ჩვენ ბედს დავმორჩილდეთ მოთმინებით, და გულ განსხვვენებით ვიყვნეთ მარადის. გულგანსვენების მოთმინება არის სულის სიტკბოება და მყუდრო ნუგეშინის მომცემი. მოუთმენლობა, სულის დამტანჯავი მწუხარება. – ვინც მოთმინება არ იცის? იქნება, ამ დასაძრახს უბედურებაში მოკვდეს ის სანყალი. ღმერთი გვნამს, – იმისი მოსავი ვართ ყუელანი. იმას მიენდე, თამარო; – იმას შეევედრე გულ-მხურვალედ, – ის დაგიბრუნებს შენს განშორებულს ბედსა. – აბა, ახლა მოყევი დანარჩენსა.

თამარ. დიახ, გეტყვი გონიერო და კეთილო მოხუცებულო. რადგანაც ჩვენი მშობლები დიდი კაცნი იყვნენ, ამისთვის აქ ქალაქში გადაიხადეს ჩვენი ქორნილი, მეფის სახლეულობა და საქართველოს დიდრონი კაცები მოენვიათ ჩვენს ქორნილში. სასიხარულოს ჩვენი ქორნილის შემდგომ, ჩემი დედამამანი, – ჩემი ნათესავები გამამესალმნენ ქვითინის ცრემლით, მასკვან ჩემა ქმარმა ხელი მტაცა, დარატულს ცხენზედ შემსო სიამოვნის სიცილითა და დიდის მზითვით წამომიყვანა. მოვედით ჩემი ქმრის საგვარეულოს სოფელში ჩემი სამშობლოდგან, იქ, იმ მშვენიერს სოფელში და იმათ შემკობილს სასახლეში, რამთენმაც დრომ გაიარა, უფრო და უფრო მოგვემატა ერთმანეთის სიყვარული მე და ჩემს ქმარსა. ასე რომ, ერთი მინუტი ვერ გაგვეძლო უერთმანეთოთ. რალა მოგახსენო ჩვენის სიტკბოების ბედნიერებაში! – გავიდა ერთი წელიწადი, ღმერთმა ვაჟი მოგვცა და მეორეს წელიწადზედაც ქალი. – ვიყავით სიხარულის განცხრომაში და სიყვარულის შვებაში! – ამ ჩვენს სასიცოცხლოს და სანატრელს დროებში, ყიზილბაშის ნადირ ავშანი მოვიდა ერევანს და მაგთენმა ხანმა აღარ გაიარა; ჩვენ საგვარეულოს მთაზედ, ყიზილბაშის ქარაგანი წაახდინეს მეკობრებმა, ამაზედ ნადირმა განყრა. ჩვენი სახლის შვილი ემკალაბაში დაიბარა და გაუკითხავად თავის თვალ წინ მოაშთობინა. – „შენ ქართველის ემკალასაში ხარ, შენი ბრალი იქნებოდა იმათი წახდენაო.“ ამას არ დააჯერა, ოთხი ათასი ყიზილბაში გამოუსია და ყოვლის სიმდიდ-

რით სავსე სახლი სულ აიკლეს. – უბედურსა ეშკალასბაშის ცოლსა და იმის ოთხი წლის ვაჟსაც სიკვდილს უპირებდნენ, მარამ ოთხი მოსამსახურითა გამოასწრო; შვილიც გამოიტაცა და ერთს ღრანტეში გადავარდა. – ამგვარი გაუკითხაობა ყიზილბაშებისა მეტად ემკვლა ჩემს ქმარსა; გაჯავრებულმა ბევრი აგინა ყიზილბაშებსა, მაგრამ მაშინვე მიცვივდნენ დაიჭირეს და ასე ჩქარა მოიტაცეს იმ მტარვალთა, ერთი სიტყვა აღარ გვათქმევინეს ერთმანეთთან. მხოლოდ შორიდგან შემამძახა. – „თამარო! სადაც უნდა ვიყო, შენი სიყვარულით ვიცოცხლებ და ნურც შენ დამივიწყებო. წვრილს ობლებსაც გაუფრთხილდიო.“ მე სიტყვის თქმის მაგიერათ გონება დავკარგე და გულშემომეყარა. აი, ყიზილბაშების სამართალი ეს არის. *(ამ სიტყვასთან გული აუჩქარდა, წაიქცა და გულს შემოეყარა. მაშინვე ბერუა წამოხტა, – მუჭით წყალი აპკურა, მოაბრუნა და უთხრა)*

ბერუა. თამარო, გული დაიმშვიდე. ზეცას შეხედე, ისა ქცემს ნუგეშსა. მხოლოდ ახლა გთხოვ, შენი ამბავი დასრულო.

(ცოტა ხანის გულის დამშვიდების შემდეგ)

თამარ. ამ გვარი ჩვენი სახლის უბედურობის შემდგომ მთელი ჩემი ქმრის გვარეულობა სოფელში ველარ დადგნენ და მწარეთ მგლოვიარენი აქ ქალაქში ჩამოვედით. – მეორეს მხრითაც, ჩემი დედმამანი მოვიდნენ, ჩემ მამამთილ დედამთილთან ჩამოხტნენ და მას აქეთ ერთათ ვიმყოფებით დიდის სიყვარულით, მარამ ჩემს გულსა ვერაფრით ვერა სცემენ ნუგეშს.

ბერუა. ახლა ეს შემატყობინე, არ იცი, შენს ქმარს რაღა უყვეს ყიზილბაშებმა, თამრო?

თამარ. ჩემს ქმარს არვიცი, რა უყვეს; იმისი კვალიც ვერა გავიგეთრა. *(ამ სიტყვაზედ ატირდება სანწყლად)*

ბერუა. დაიმშვიდე გული, თამარო, წელანვე გითხარი, ჩემს თავს დავდებ მეთქი.

თამარ. მითამ როგორ უნდა გამამიხსნა ამ ჩემი ვაების მწუხარებისაგან?

ბერუა. ბევრი ჩმახვა არ ვიცი მე. – ამ ერთს სათზედ მნახამ გამგზავრებულს სპარსეთისკენ. ან შენი ქმრის ამბავს მოგიტან რასმე, ან არა და ჩემს თავს დავდებ.

(თამარი შეეხვეწება)

თამარ. მოხუცებულო ბერუავ. – ჩემი და ჩემი ქმრის მშობლები დიდი შემძლებელნი არიან, იმათ ვერა გაიგონესრა ჩემი ქმრის ამბავი, მითამ შენ რაღა უნდა შეიტყო. – მოხუცებული ხარ, სპარსეთის მინდორში მოკვდები სადმე და ეგ ჩემი სვინიდიის დამტანჯავი უარესი მწუხარება იქნება, ჩემი გულისათვის მოკვდე სადმე.

ბერუა. შენ გაზდას, თამარო, კეთილ საქმეს როგორ მიშლი? – არიცი, რომ ღმერთს განარისხებ და სვინიდიის წინააღმდეგს ამბობ, ეხლავ მივდივარ შინა, ჩემ სახლეულობას წყალს წაუღებ, მაგრამ გთხოვ, მომიცადო, საჩქაროთ დავბრუნდები და პასუხს მასკვან გეტყვი. *(კოკას წყალით ამსებს და საჩქაროთ წავა; გასვლის დროს კიდევ ეტყვის)*

ბერუა. უთუოთ აქ მოიცადე, ეხლავ მოვალ. *(და გავა. – თამარი გაშტერებული დარჩება და ბოლოს იტყვის)*

თამარი. ის მოხუცებული შემცდარი ხომ არარის? – ნეტა, რას-ანბობს? – მე წავალ შენი ქრმის საძებნელათაო. მე დარწმუნებული ვარ, უბრალო საქმეზე ჩემი გულისათვის მოიკლავს თავსა. ვიცი, შეუძლებელია. – არა, უნდა ვეცადო, როგორც იყოს დავამღევიწიო.

(ამ დროს ჭიანურის და სალამურის დაკვრის ხმა მოისმის და ამ დროსვე თამარი იტყვის)

თამარი. აგერ, ჩვენი მგოსნები მოდიან შინათკენ. ეტყობათ, მხიარული ქორწილი გადუხდიათ.

(ამასთან თამართან მოვლენ მგოსნები: ორი კაცი და ერთი ქალი)

თამარი. ჩვენო მგოსნებო, როგორი ქორწილი გადისხადეთ ჩვენი ყმის შვილისა?

ქათმა. ქალბატონო თამარო, თქვენა ბძანდებით?

თამარი. მე ვარ, ჩემო ქათმა.

ქათმა. თქვენის მოწყალებით, დიდი სიმხიარულე იყო.

თამარი. დიდათ მიამა! – ჩემო ქათმა, – ახლა ჩვენს წალკოტში შედით მცირეს ხანსა, ზორაბის საყვარელი სიმღერა დააკვრევიწე მაგათ და შენკი ზედ დამღერე ჩემი მწუხარების მოსაკლავად. – აგე, ხედავ ზეცაში? – იმ ცისკრის ვარსკვლავის ეშხზე იმღერე, თუ გიყვარდე.

ქათმა. ჩვენო ნუგეშო ქალბატონო თამარო; რა არის ამთენი თქვენი გულსაკლავი მწუხარება?

თამარი. ახ! – ნუ მკითხავ, ჩემო ქათმა, ოღონდ რაც გითხარი, ჩქარა აღმისრულე.

(ქათმა მიიმედ ამოიხრებს და წავა. ისინიც თან გაჰყვებიან. იმათ წასვლასთანვე თამარ ჩაფიქრდება. ამდროს ბულბული დაიწყებს ხმიანებას მიფარებულის ადგილიდგან. ბულბულის ხმაზედ გამოფხიზლდება და შეინროებულის გულით მოჰყვება)

თამარი. აბა, ახლა არის მღვიძარე სიყვარულის დრო, ამ ბინდ-ბანდის გათენების ალიონი. ამ ბულბულის საეშხო გულსაკლავსა სტვენაზე, იმისვე ღვიძლების მომართულის სათის მუზიკობითა, სადაც არის მგალობელი ხერუვიმები, იმათი სმენა ამის ხმოვანე-

ბას გადმოესტუმრებიან. – დაჰკარ, დაჰკარ, ბულბულო, შენს გულის ჩანგზე, სურვილიანი სიყვარული! – სრული ჩემი აგებულება ჩემი საწადელითურთ დაუჭერია მაგარსა სიყვარულსა და ჩემი ტრფობის ფიალა სულზედ შემოდგმული დულს აღქაფებული ვნებით სავსე. მაგა შენსა უუნეტარესა გალობასა თაყვანსა ვცემ მონინებით. დალოცვილი ხარ შენ, ბულბულო, მთავარ ანგელოზებისაგანა, მაშინ, როდესაცა სამყაროს ბურჯსა ზედა, მოელვარეს ზიანი შინითგანა, ზეცის სამუსიკოზედ რომ უგალობიათ, ღვთისათვის საკმაყოფილო წმიანება, მაშინ წინა პარნი შენი იქ ყოფილან და იმათ მთავარანგელოზებისგანა მიცემულ არს ნიჭად ეგ მგოსნობა. – გამოგზავნე, გამოგზავნე, ბულბულო, სასიამოვნო სიყვარულის გალობა; ახლა მე მაგ წმოვანების მასპინძელი ვარ და სრულსა გონებასა ჩემსა უფენ დაფურცვნილსა განითლებულ ვარდსავითა.

(აქ ამ დროსვე ბულბული ჭიკჭიკს გათავებს, მასკვან სალამურსა და ჭიანურსა დაუკვრენ ეგრეთვე უჩინარათ და ბაიათის მშვენიერსა ხმასა უკვრენ. ამდროსვე ზედ ქალი დასძახებს ბაიათის ხმასა თათრულის სიტყვებით დიახ მშვენიერის ხმითა. ბაიათის სიმღერას რომ გათავებს ქალი, სალამური და ჭიანური ისევ უკვრენ, მაგრამ დაბლის ხმითა. ის ქალი სიმღერას რომ გათავებს და სალამურ-ჭიანური დაბლის ხმით რომ დაუნყებენ დაკვრას, ამ დროს თამარი საცოდავის ხმით მოჰყვება)

თამარ. ზორაბ! – ჩემო ზორაბ! – აგე იქით, ჩვენს ნალკოტში, მისულან ჩვენი მგოსნები, მომღერალი ჭათმა ქალი, მეჭიანურე ქაზუმა და მესალამურე უსუფა. – დილის ცისკარს ეტრფიან, – უკვრენ შენს საყვარელს ბაიათსა. – ჩემო ზორაბ! რა იყო, რომ ამ ხმაზედ ჩემს თავსა, შენს მკერდზედ მიისაყვარელებდი; მსხვილის და საცოდავის ცრემლით ატირდებოდი და მეც ამატირებდი? – შემდეგ ბალდადის ხელცახოცის მაგიერათ, ამ ჩემი დალალების კონლევიით შენ მშვენიერს თვალებს, რომ იმშრალებდი და შენის ცრემლით დაალობდი? – მასუკანა ამ ცრემლიან კონლევსა ჩემს გულსა სცემდი და იმის სისველით ნამავდი? – უნდა იცოდე, ის შენი ცრემლი ამ ჩემს გულსა ასე დასჩნევია, ვერა წმინდა წყარო ვერ ამორეცხს. –

(ამ სიტყვასთანვე დაჩუმდება თავჩაკიდებული, დაღონებული სახით; ეს რომ გაჩუმდება, ბაიათს ეგრეთვე მოჰყვება და ბაიათს რომ გაათავებს; თამარი დაიწყებს თავის უბნობასა)

რალა უნდა ვთქუა, – მე ვერა გამეგორა შენი წინათ გრძნობა; მეც შენთან ტკბილის სიამოვნით ვტიროდი, ასე მეგონა, ჩვენი უზომო სიყვარულის ცრემლი არის, ანუ გარდამეტებული ბედნიერება გვატირებს მეთქი. – ჩემო თვალის ჩინო ზორაბ! – ეგ იყო განა შენი ცრემლი, უბედურებასა მოელოდი და შენი გულის ამბავ-

სა არას მეუბნებოდი, მითამ არ შეგენუხებინე? – ჩემი მწუხარება, – ჩემი უბედურება, – და ჩემი სიკვდილი, უფრო კარგი იქნებოდა, მინამ შენი, ჩემო ზორაბ! – ღმერთი ხომ მოწამეა, შენი მშვიდობისათვის ყოველს ჭირსა სიხარულით მივეგებებოდი.

(ამასთანვე თავს დაბლა ჩაკიდებს და გაჩუმდება მწარეთ მტირალი ეს. ეს რომ ტირის, ბაიათს კიდევ იტყვის მგოსანი ქალი ეგრეთვე მშვენიერად, ბაიათს რომ ვათავებს, თამარიც თვალებს მოიშორალებს; ამდროს ცისკრის ზარს ჩამოჰკვრენ. ცისკრის ზარის ჩამოკვრასთანვე მოსაკრავენი თავიანთ საკრავ გასწყვეტენ. თამარი თავს აიღებს, – პირჯვარს დაინერს და იტყვის)

თამარ. ღმერთო! – შენი შემწეობა მოეც ქართველებსა და შენი მონყალებისაგან ნუ დაგვაგდებ. – *(შემდეგ მომალლოთ დაიძახებს)* მაჰმადიანების გადამკიდეს, ამისმეტი ნუგეშათ აღარა დაგვრჩომიარა ქართველებსა; ჩვენი ეკლესიებიდგან გვესმის ზარების რეკის ხმა და ქრისტიანობის ტაძარში ვილოცამთ ჩვენს სარწმუნოებასა. იმ უსამართლოთაგან მოუსვენებელს ცხოვრებაში ვართ ჩავარდნილი. ყოველ დროსა მაჰმადიანი მტარვალთ ჯარსა მოველით, ამისგამო გაფაციცებული ვართ ყველანი, – ძილი რიგზედ აღარა გვაქვს; ყოველსა წამსა მზათ არიან ჩვენი კაცები, მაჰმადიანი მძლავრსა ჯარსა შეეჭიდნენ: ხან ჩვენის მამულიდგან გაიყვანენ იმათ ჯარსა, ხან ჩვენი ხალხის გაუტეხელი ხასიათისამებრ, საქართველოს გაგვიოხრებენ ქრისტიანობის გულისათვის. დაუცხრომელად ასე სდევნენ ჩვენსა კეთილსა სარწმუნოებასა, რომელიცა უფლისაგან არის დაფუძნებული ხალხის მშვიდობის ბედნიერებისათვის! – აი, რამდენიმე ასი წელიწადი არის, რომა ტყვევნაში და მონყვეტაში ვიმყოფებით ჩვენ, ქართველები, გონება დახშულის მაჰმადიანებისაგან. –

(ამ უკანასკნელ სიტყვის დასრულებასთანვე ზევით სახლებიდგან, რამთენიმიე მოსამსახურები ჩამოივლიან კიბეზე, ამათ უკან ოთხ მოსამსახურეს დიდრონი ფარნები უჭირავთ ანთებულები და გაფთხილებით მოუძღვიან ზორაბისა და თამარის ხნიან დედმამათ. ამათ უკან რამთენიმიე მოახლები მოსდევნენ, მაგრამ სუყველანი ერთობ უცხო თალხის ტანისამოსებით არიან. ჩამოსვლასთანვე ერთი ხნიანი მოსამსახურე მიუბრუნდება და თამარის დედმამას მოახსენებს)

თევდორე. თქვენი ქალი თამარი აქ გახლავსთ წყაროზედ.

ოთხთავ ერთ პირათ. აბა, სად არის?

(თამარი მიეგებება და უპასუხებს.)

თამარ. აქ გახლავარ, შენიჭიმე.

თამარის მამა. ასე ადრე რათ ჩამოსულხარ, შვილო?

თამარ. წყაროს წყალი მომწყურდა. იმის დასალევავთ ჩამოველ, ვიცოდი, თქვენც უნდა ჩამობძანებულიყავით ცისკრისათვის და აქ გელოდით.

თამარის დედა. შვილო, ხომ იცი, შარაგზა არის ეს ადგილი. მარტო როგორ გაბედე აქ ჩამოსვლა ამ უდროვით?

თამარ. აქ რის შიშია, დედავ? – ვინ მოვა ამ დროს, თუ არ მეზობლების დედაკაცები, ისინიც წყალისათვის.

ზორაბის დედა. შენმა გაზდამ, ჩემო რძალო, ბევრი გეძებეთ ზევით სახლში. თუ გინდოდა აქ ჩამოსვლა, მოახლე როგორ არ წამოიყვანე?

(ზორაბის მამა თამარს აღარ დაცდის და იტყვის)

ზორაბის მამა. რა არის, ამთენ საყვედურს უბძანებთ ჩემს რძალსა? – ჩემო სძალო თამარო, ნავიდეთ, შვილო, ცისკარზე, მეფის კარის ეკლესიაში; ღმერთს შევევედროთ, ის არის მწუხარეთა და უბედურთ ნუგეშინის მცემელი. შვილო! მე კარგათ ვხედავ, რისთვის ჩამოსულხარ წყაროზე. ნუ სწუხარ, ღვთის განგებისაგან საკვირველი არარის, შენ შენი სურვილი შეგისრულდეს და ჩვენც ჩვენს საწადელს ვენევით.

(უნებურათ დაიძახებს თამარი)

თამარ. ახ, ღმერთო! *(მასკვან გადასხვაფერებს)* თქვენ ნაბძანდით, მე პატარა ხან შინ შევბრუნდები და მასუკან გიახლები ჩემი კერძობითა. *(ისინი რომ გავლენ, ერთს ყმანვილკაცს დაუჭერს ხელსა თამარი და ეტყვის)*

თამარ. ჩემო დედიდაშვილო ნინიკო, ხომ იცი, მე და შენ ერთათა ვართ შესდილები. ხომ იცი, ჩემი გულის მწუხარება არავინ იცის შენის მეტმა და ერთმა ჩემა მუახლემ ქალაღდისამ, რომელიცა დასავით შეიზარდა ჩვენთან ერთათ. – ჩემო საყვარელო ძმაო, – შენ გაზდას, აქ მოიცადე, ამბავს რასმე გიანბო.

ნინიკა. კარგი, შენ გაზდას, დამეხსენ. უნდა, წყაროს პირზე დაჯდე, მწარეთ ატირდე და მეც შენთან მატვირო. ეს არის შენი ამბავი.

თამარ. ამ წყაროს პირზე ვიჯექი გამწარებული. ამდროს ერთი მოხუცებული კაცი მოვიდა; შემდეგ ერთმანეთის გაცნობისა, სასიკვდინოს გულზედ რომ მნახა. დამპირდა, „მე წავალ სპარსეთში, მე შევიტყობ შენი ქმრის ამბავსაო.“

ნინიკა. ის მოხუცებული შემცდარი ხომ არარის?

თამარ. ახლა კარგათ ინათლა. იქით შორსა ხედავ? – სწორეთ ის მოხუცებული კაცი არის, აქეთკენ რომ მოდის!

(ნინიკა გაშტერებით შეხედავს და იტყვის)

ნინიკა. თამარო! – მე მაგ მოხუცებულს კარგათ ვიცნობ. მართლთა, – მაგ მოხუცებულმა რაცა თქოს, კიდეც აღასრულებს. მაგისი

ხელობა კეთილია. ოღონდ კეთილი შესძღვნას ადამიანსა და ინდოეთში ქვევითი წავა; ბევრი მაგალითიც არის მაგისგან, თუ მოხუცებულობამ არ დაუშალა ეხლა. – აი, კიდეც მოვიდა.

(ბერუა შემოვა, თეთრში გახვეული რალაც უჭირავს ილიას ქვეშ გძლათა. – შემოვა და დაიძახებს)

ბერუა. მადლობელი გახლავართ, თამარო, რომ აქვე დამხვდი, მაგრამ იქით, მოშორვებით ვინა დგას?

თამარ. ჩემი დედიდაშვილი, ჩემთან ერთათ შეზდილი, რომელსაც ამასთან დამალული არა მაქვსრა ჩემი გულის ამბავი.

ბერუა. მერე შენ საიდუმლოს ანდობ უძირო ადამიანს, ნამეტნავად ყმანვილ კაცსა?

თამარ. როგორც ჩემს გულს.

ბერუა. დიდი ნუგეში არის, ვისაც მაგისთანა მეგობარი ჰყავს. კიდეც მაგას უცოცხლები ხარ, შენი გულის სიმწარე მაგასთან მოგიოხებია. მაგისთანა სანდო კაცი დაუფასებელი განძია ქვეყანაზე.

–

თამარი. ჭეშმარიტად მართალს ამბობთ.

ბერუა. აბა, ახლოს მივიდე. *(დაახლოებასთანვე დაიძახებს)* ნინიკო, შენა ხარ?

ნინიკა. სწორეთ მე გახლავარ.

(ბერუა მოუბრუნდება და თამარს ეტყვის)

ბერუა. ამ შენი დედიდაშვილის მამაც ტყვეთ იყო წაყვანილი ოსმალებისაგან. ამის დედას უწყალოთ შენუხებულს რომ ვხედავდი, ათასი ისარი დამესმოდა გულზედ. ამათ გვარეულობის შეუტყობლათ წავედი, ოსმალო შემოვიარე, – ბოლოს ეგვიპტეში ვიპოვნე, – დიდის ცდით გამამიხსნია და მშვიდობით აქ მოვიყვანე. მე ამას დავალებისათვის არ ვანბობ, აუცილებელ ჩემს წასვლაზე მინდა, დაგარწმუნო.

თამარ. მაშინ ყმანვილი კაცი იქნებოდით?

ბერუა. კეთილისათვის ეხლაც ყმანვილ კაცი ვარ.

თამარ. რამთენი წლისა ბძანდებით?

ბერუა. ოთხმოცდა ათისა.

თამარ. ოჰ, ეხლა ასეთს წელიწადში ბძანებულხარ, უნდა, მოსვენებით იყოთ და მძიმე საქმეს აღარ შეუდგეთ.

ბერუა. მადლობელი გახლავარ მაგ ამო რჩევისათვის, წელანვე გაგიტავე, კეთილისათვის ყმანვილი კაცი ვარ მეთქი. მე ჩემს განძრახვას არ შეგატყობინებდი, მარამ ნიშანსა გთხოვ შენ ქმართანა.

თამარ. რასამბობთ? – მოკვდებით სადმე.

ბერუა. კარგი, ნულარ გამაჯავრებ მე მოხუცებულსა.

თამარ. რახან აღარ დაგიშლიათ, ეხლავ ნიშანს მოგართმევთ

ჩემ ქმართანა. *(ამ სიტყვასთან მაღლა სახლის კიბეზე შეირბენს და სახლში შევა)*

(ბერუა მობრუნდება და ნინიკოს ეტყვის)

ბერუა. ნინიკო, დიდი ხანია მამიშენისა და დედაშენის ამბავი აღარა ვიცირა, როგორ ბძანდებიან?

ნინიკა. მშვიდობით გახლავან, მარამ ზორაბისთვის დიდათ სწუხან, ნამეტნავათ დედა ჩემი.

ბერუა. ჩემო ნინიკო, – კაცის გონებაზედ ჯერ მძიმე და მაგარი კლიტე აძევს, რომ იმის გამღებელი ხელოსანი არავინ არ გამოსულა, ნათელში გამოიყვანოს დამწყვედული გონება, ამის გამო ბევრი ძვირი არის კაცისაგან ქვეყანაზე. ახლა ეს მითხარი, აგრე შენუხებული რათ არიან შენი მშობლები ზორაბისათვის?

ნინიკა. სპარსელები და ოსმალოს ჯარები რომ მოუხდნენ საქართველოს, ზორაბ ძუძუთა ჰყოლიყო თავის დედას. იმ არეულობის დროს დედაჩემი იქ, იმათთან ყოფილიყო. შეხვეწნოდნენ. „ეს ერთი შვილი გვყავს, – თათრებმა არ მოგვტაცონ, თქვენ მიიბარეთო.“

ბერუა. მერე რა დამოკიდებულობა გაქვსთ ზორაბის სამშობლოსთან?

ნინიკა. მამაჩემი ახლო ნათესავი გახლავს ზორაბის მამისა და სტუმრათ მიწვეული ყოფილიყო იმ დროებაში დედა ჩემი.

ბერუა. ნათესაობა დიდი ნუგეში და შემწეობა არის საქართველოში. – მასუკან?

ნინიკა. მასუკან. – რადგან ჩემი მშობლები დიდი სიმაგრის თავადები არიან, მაშინვე თან წამოეყვანათ ზორაბ და მინამ თავს მოესწრებოდა, დედა ჩემი ზდიდა და თამარის შერთვაც დედა ჩემისგან მოხდა.

ბერუა. ჭეშმარიტად. ჭინახული უფრო მეტი არის სამშობლოზე. *(ამდროს თამარ კიბეზე მოდის და ერთი ოთხკუთხიანი ფიცრის უჯრა მოაქვს კაკლის ხისა. ოთხი დიდი მტკაველი სიგძე აქვს და სამი სიგანე. მოვა და ეტყვის)*

თამარ. თუ ჩემი ქმარი ნახოთ სადმე, რაც ამ უჯრაში იყოს, აჩვენეთ და დიდათ დაავალებთ! – მაგრამ გთხოვთ, ამ ქისით ოქროები მიირთოთ თქვენი საჭიროებისათვის. *(და ძლევას დაუნყებს)*

ბერუა. დიდი ხანია, მე მდიდარი სახლი მაქვს; ეხლაც კარგი ცოლშვილიანი ოთხი ძმისწულები მყვანან, ჩემი მორჩილები. – მხოლოდ უჯრას წავიღებ და ღმერთის სახელზედ წავალ.

(შემდეგ იმ თეთრს გახსნის, იღლიას ქვეშ რომ უჭირავს; იქიდან ამოიღებს დავრიშულ თეთრს ქუდსა, რომელსაცა თავზე დაიხურამს. მერე თეთრ დავრიშულს ფარაჯას ჩაიცომს ტანზე. მასკვან

რკინის ქაღმებს ფეხებზე აისხამს და შემდეგ ჩვენ. ის ჯოხზე ორ-საც ხელებით დაებჯინება და იტყვის)

ბერუა. რაც აზიის ენებია, სულ ვიცი და გზაზედ არ გამიჭირდება სიარული.

ნინიკა. სად გისწავლია მაგთენი ენები, ჩემი სახლის აღმადგენლო?

ბერუა. ჩემო ნინიკო, – ნუ მკითხავ და არც გეტყვი ჩემს ამბავსა.

ნინიკა. თქვენი დავრიშობის მიზეზი მაინც გვითხარ? – ან რკინის ქაღმები რატო ჩაიცვით და ან რკინის ჯოხი რატო დაიჭირეთ?

ბერუა. ტყავი ჩქარა ცვდება და ხე მალე ლუბება. – რკინა უფრო გამძლეა. – დავრიშობისა რალა გითხრა? – სადაც მივლია ყოველთვის ამ ტანისამოსით ვყოფილვარ უცხო ქვეყნებში.

ნინიკა. უცხო ცხენი მყავს სათქვენო, იმითი ნაბძანდით.

ბერუა. თვრამეტის წლისა რომ შევსრულდი, იმის შემდეგ ცხენზე აღარ შემჯდარვარ; – აღთქმაც ასე მაქვს ღმერთთან. ჩემს მოხუცებულობას ნუ უყურებ და ნუ სწუხარ, ჩემო ნინიკო. ცხენის ტოლა კიდევ შემიძლიან სიარული. *(მასკვან მობრუნდება და თამარს ეტყვის)* თამარო, – მე მზათავარ წასასვლელათ ამ მინუტსა. ვადა ორი წელიწადი მომიცია, თუ ამ ვადაზე ვერ მოვიდე, იცოდე, მომკვდარვარ სადმე, და მანამდისინ მოთმინებით იყავ ღვთის გულისათვის. მხოლოდ ახლა შენი წმინდის ლოცვით დამილოცე ჩემი გზა. *(თამარი დაიჩოქებს, ზეცას შეხედავს, ხელებს განუპყრობს და გულმხურვალედ მოჰყვება. ამ დროსვე ბერუა მარჯვნივ მოუდგება, – ორსავ ხელებით რკინის ჯოხზე დაებჯინება, – თავს ჩაჰკიდებს და ყურადღებით ყურს დაუგდება. – ნინიკაც გულზელდაიკრეფს და დაღონებულის სახით ყურს დაუგდება მარცხნივ მდგომიარე)*

თამარ. ღმერთო საკვირველებაო, შენთან მოვფრინდები სულით და გულით, შენ წინაშე დავაგუბებ გულმტკიცვნიულ ცრემლსა ჩემის ვედრებისას, რომ ჩემი განშორებული ბედი დამიბრუნო ამ ზეციურის ადამიანის წინ მარბელობით. ამას იმან, – დაბნელებული გზა გაუნათლოს, ყოვლის გაჭირებისაგან გამოიყვანოს, მოსცეს მშვიდობა, ძალი და იმ ადგილას მიიყვანოს, სადაც ჩემი ქმარი არის. ესენი სულ შენის მოწყალებით იყოს, საბაოთ, – საბაოთ, ღმერთო!

(ამ უკანასკნელ სიტყვასთან დამხობით თავყვანსა სცემს. პირველი ამბავი ამით დასრულდება)

მეორე ამბავი.

ღმერთო! შენ დაგიბადებია კაცი, – კაცი ქვეყნიერი მცხოვრები, ყოვლის საგნის მიმხვედრი, ხელოვანი ხელოსნობისა, საკურველთა საქმეთა მოშენე, და თვით შენი მცნობი მიუწოდებელი გამოსატყულებო მღვთაებო! – ხოლო იმ კაცისა ვინ როგორ თქუას? – იმას უწოდოთ ეგრეთ ღმერთი, მარამ ქვეყნიერი და არა მიუწოდებელი გამოსატყულება, როგორათაც შენ ხარ, რომელსაცა გონებით გეძიებთ და ვერ გამოგვითქვამს, რაჲ პირი უნდა ბძანდებოდეთ, თვინიერ ჩვენგნით მოგონილი სიტყვაო, ღმერთო!

სახელი ესე განგვაკვირვებს! – სახელსა ამას თაყვანსა ვცემთ; ამას ვადიდებთ, ამას ვილოცავთ, ამას ვევედრებით, ამასა ვთხოვთ მოწყალებას, ამას უგალობებთ, ამას შევამკობთ, და ესე შეერთებული ვმა შენ წინაშე ხმოვანებს, – ხმოვანებს მდიდართაგან და გლახაკთა, ბედნიერთა და უბედურთაგან, რომლებიცა ყველანი გთხოვთ და თავთავისას გევედრებით, გვიბოძოთ. მეცა ჩემი მიბოძე, – მიბოძე, ღმერთო! – განუხებ ჩემი ამთენი ღაღადებით და ამთენი თხოვით. ჩემი თხოვა ჩემი საკუთრებისათვის არარის, ჩემი თხოვა არის ქვეყნისათვის, რომ ქვეყანას მიაწიჭო კეთილი და ამით გააბედნიერო ერი, თორემ ბოროტებამ წარიტაცა კაცი შენი და კეთილისთვის აღარავის აღარ სცალიან.

ის ბერი კაცი, დილა ადრიან ქ. ტფილისიდგან რომ გავიდა, ეს წარმოთქო გულმხურვალედ თვალ ცრემლიანმა და გასწია კიდევც.

„რამდენსამე სიტყვას გეტყვი, გულისხმიერო კაცო!“ – ასე დაინყო.

„ვერა გრძნობ, რა საკვირველება დაგბადა ღმერთმა! – შენ ხარ მეფე ქვეყნისა და სარგებლობ ამითი შენ, მარამ ამასკი ვერა ხედავ, რომ ბოროტება სძალავს სიკეთილეს და ბოროტება დღესასწაულობს ყოვლის ბრწყინვალეებითა – დაუსრულებელი არაარისრა, ღმერთის მეტი, მაშ, ერთხელ ხომ უნდა დასრულდეს ბოროტება? – რადგან დასრულდება, იცოდე, შენი ხელოვნებით უნდა მოხდეს. აბა, რილასთვისლა დაიყოფნი, კაცო? – უთუოთ შენი გონიერებით უნდა დასრულდეს, რომ ყოველს სიმწუხარეში, სიმწარეში, ოხვრაში, კვნესაში, ცრემლში, ვინროებაში, სიღარიბეში, შიმშილში და შეჭირვებაში გამოცდილი სიკეთე წამოდგეს ძონძის სარეცელიდგანა, მაშინ მიეგებე, კაცო, ჰელგანპყრობილი; ის კეთილი შენსა გულზედ გადმოიღე ყოვლის თავის ნეტარებითა და მასუკან ნახავ, რაც სიტკობება არის სიკეთილე!..... თორემ ბოროტება ეხლა საამოს ხილათ მიგაჩნია და იმითი ნუგეშობ, კაცო, მაშა სადამე, შენ ხარ გონიერება ღმერთისა, შენთვის მოუცია სრული განსჯა და

აღსრულება ყოველის საქმისა. თუკი გამდიდრებისათვის ცდილობ, მაშ, საკვირველი ჳელოსანი კაცი, რატო არ დაინახავ ბოროტების დღესასწაულობას, რომ ბოროტება შენი ჳელოსნობით დაამსხვრიო და კეთილი გამოიხსნა ბოროტების საპყრობილედგან? – მოგცა ღმერთმა ძალა და ნულარ დაიყოფი კეთილის აღსადგენათ; რომ კეთილის გემოვნება განიცადო, რა ნეტარება არის სიკეთილე!..“

„კაცო! კაცო! ამთენს მოთმინებაში ვიმედოვნებ, შენი ხელოვნობით ბოროტება დასრულდეს და კეთილით მოიფინოს ქვეყანა.“

მხვნელმთესველები მეტი მადრიელნი დარჩნენ ამ ქადაგებით და მქადაგეც თავის გზასა გაემართა საჩქაროთა.

ის რკინის ჯოხიანი ბერიკაცი მოვიდოდა გზასა; იმისი ნაბიჯი ჩქარი, უკლებელი იყო; იმის რკინის ჯოხსა კი უფრო ეტყობოდა ხნიანობა, მინამ იმის ნაბიჯს. იმის რკინის ჯოხსა გაცვეთილი ჰქონდა ბოლო ბევრის დაბჯენითა; თითქმის ერთი დიდი მტკაველი, მაგრამ მოხუცებულს, ოთხმოცდა ათის წლისას, აგებულობა, მუხლები და ფეხები დიან მკვიდრი ჰქონდა, ოცი წლის ბიჭსავით. მხოლოდ მოხუცობულობა ეტყობოდა გათეთრებულს ქოჩორზე და გძელს წვერს უღვაშზე. იმის კეთილსა ბრწყინვალესა მოშაოსა თვალებს და იმის დამშვიდებულს სახეს ეტყობოდა იმისი სიცოცხლე და იმისი აგებულების სიმაგრე ის იყო, რომ სიკეთილით ცხოვრებდა ქვეყანაზე და გულმოდგინეთ ენეოდა შენუხებულებსა. – ამ მოხუცებულმა გადაიარა მთების გზა და ბარისა გზები გაიარა ისე, როგორათაც დაულალავმა შიკრიკმა. სადაც მდინარე დიდი დახვდებოდა, სულერთიან თავის ტანისამოს ორსავე ხელში დაიჭერდა. ნამეტნავად უჯრას უფრო უფთხილდებოდა. იმ დიდ მდინარეში შევიდოდა, მხოლოდ ფეხების ცურვით ასე გავიდოდა იხვისავითა, გულ ზევით ტანს არ დაისველებდა და არც მცირეს წყალსა თავის ტანისამოს მიაკარებდა, ისე მომალლოთ ეჭირა ზევით.

ის ბერი კაცი არეზის მდინარესთან რომ მივიდა, ასე მოდიდებულნი მოვიდოდა, როგორც ჩვენში იტყვიან: არემარე თან მოქონდაო. არეზის გაღმა მხვნელმთესველებმა თავი დანებეს მიწის მუშაკობას და გაშტერებით უყურებდნენ იმ ბერიკაცსა, ასე ადვილად როგორ მიცურავდა მხოლოდ ფეხებითა, რომ გულსქვევით წყალში არ იყო და ტანისამოსი ორი ხელით ეჭირა მალა. იმ ბერი კაცმა არეზის პირზე ტანისამოსი რომ ჩაიცო, მხვნელ მთესველები მივიდნენ; იცნეს, კრძალვით თაყვანი სცეს და გულმოდგინეთ სთხოვეს, ექადაგა. ესეც დადგა და მცირედ ქადაგებას მოჰყვა, რადგან მიემურებოდა.

მოხუცებული მიმოეხეტებოდა სპარსეთის ქვეყანაში და ვილასაც ეძებდა, მაგრამ ვინც შახვდებოდა გზაზე, მაშინვე იცნობდენ;

მივიდოდნენ და დიდის კრძალვით თაყვანს სცემდნენ იმ კეთილსა და ვირიშსა. ქალაქებსა რაღა უნდა ითქვას, რომელს ქალაქებში მივიდოდა, იმ ქალაქის ხალხნი შეიყრებოდნენ იმასთანა; ქალნი ჯერ იმის წინაშე დაემხობოდნენ ყველანი, მასუკან იმათ შუაში ჩადგებოდა ის დავრიში ბაბა და კეთილ საგანზე დაიწყებდა ქადაგებას. მოჰყვებოდა, და იმის აზრთანსა ლაპარაკზე შეიქნებოდა ქვითინი ერისაგან, ასე რომ, ის ქალაქი სრულიად მოცული იყო იმათი ქვითინის ტირილისაგან.

იმ ბაბა დავრიშმა მთავარი მოიარა სრული სპარსეთი, ბოლოს უკიანე ზღვის პირს მიადგა, რომელიცა არა შორსა ზღვაში იყო კუნძული დიდი და თვალი დააკვირვა ზედა. თავის მახლობლად დაინახა ნავი დიდი ზღვისპირზედა და საჩქაროთ წავიდა იმისაკენ. მენავებმა იცნეს და ნავიდგან თაყვანი სცეს. იმ მოხუცებულისავე ბძანებით იმ ნავში ჩაჯდა; იმისი ჩვენებით ნავი აუშვეს და აფრებ გაშლილი იმ კუნძულისაკენ გააქანეს კეთილ ნიავქარის შემწეობით. ნავი კუნძულის პირზე ერთ ნალკოტის გვერდით მიაცურეს ლიმენაზედ. იმ ნავიდგან ის მოხუცებული გადმოვიდა და ნალკოტის ღობის გვერდით წავიდა შარა გზაზე. –

ეს ნალკოტი იყო ორმოცი დღიური მიწა, – სიგძე და სიგანე ჰქონდა თანა სწორე, რვა ხეივნებით დაყოფილი ჯვარედინათ, სულ თავთავისი თანასწორე ზომებითა და უცხო წესიერებით დაყოფილი კვლებით სავეს, რასაცკი ადამიანი წარმოიდგენს გონებაში. ყოველი ხილი იქ იმ ნალკოტში იპოებოდა საკვირველი გემოვნების წყალით სამსე! – ყოველი ქვეყნის ყვავილებიც იქ იმ ნალკოტში იპოებოდა თავთავის ადგილებში რიგზედ აჰყვავებულები მეტათ მშვენიერები, და იმათი სურნელება კაცსა ასულდგმულებდა იმათის ყნოსვით, მარამ ზევით ერთ კვაალში სხვადასხვა ფერი ყვავილები ამრიგად იყო გაშლილი და ასე რიგათ იყო შეზავებული, კაცი რომ დააცქერდებოდა ზევიდგანა იმ ყვავილებზედ, მოიკითხამდა სპარსულის დიდრონის ასოებით ამ სიტყვასა. – „დიდ არს ღმერთი!“ მეორეს კვაალში კიდევ სხვადასხვა ფერი ყვავილებივე ასე იყო შეზავებული და ამას ამოიკითხამდა იმ ყვავილებზე. – „დიდ არს საქმენი დიდებისა შენისა!“ მესამეს კვაალში კიდევ ყვავილებზე ამოიკითხამდა. – „მჯდომიარემ და ხელ განუპყრობელმა ვინ წარმოთქოს სახელი შენი მღვთაებისა!“ მეოთხეს კვაალში ეგრეთვე ყვავილებზე ამოიკითხამდა. – „დიდარს მოგონილება შენგნით სიკეთილე ადამიანისათვის!.. და სხვა კვლებშიაც სხვადასხვა ფერს ყვავილებზედაც იყო ამოსაკითხავი ყურანის მრავალი კარგი სიტყვები. ამ ნალკოტში და საუკეთესოს იმ ხეივნებსა შორის რამდენიმე თეთრი მარმარილოს აუზები იყო, საიდგანაც ამოსჩქეფდა წმინდა წყა-

ლი შადრევნებში და ციმციმად ლივლივებდა ზედ აუზის პირათ. – აღმოსავლეთის მხარეს, ნალკოტის მახლობლათ იყო სასახლე დიდმშვენიერი. იქ, იმ სასახლეში, იდგა იმ კუნძულის ბძანებელი დიახ დიდი მდიდარი და თავისი ყოფაქცევა სულ კეთილცხოვრებით ატარებდა. სასახლის იქით, აღმოსავლეთისა მხარეს, იყო ქალაქი მოდილო და მეტი სასიამოვნო მდებარეობა ჰქონდა. აქ ისევ შუა ნალკოტში ორი ოთახი მოჩანდა ვაზებში და ხეხილებსა შორის საუცხოვო დახატული მოფენილი, რომელშიაცა იდგა ერთი ყმანვილი კაცი. ამ ნალკოტსა ღამეთ ჰქონდა ნითელი თლილი ქვის მოვლებული კედელი და ნახევარ საჟენი სიმაღლე ექნებოდა, ზედ იმ კედელზედაც ჩამოსხმული რვალის მოაჯირი ევლო გარსა, ასე რომ, ვინც იმ ღობეს მახლობლად მივიდოდა, სრულებით დაინახავდა ნალკოტს. – და ასეთის წყობით იყო გაკეთებული ხეხილი და ვაზები; თავთავის რიგზე დანერგილები, რომ მეტი უკეთესობა აღარ იქნება. – ეს ნალკოტი სევდის უკუმყრელი ნალკოტი იყო და მნუხარეთა ნუგეშის მცემელი.

ის მოხუცებული დასავლეთის კედლის ძირში მიდიდოდა შარავაზზე საჩქაროთა და თავის საქმეზე მიეშურებოდა მშვენიერსა ნალკოტსა არცკი უყურებდა; ეგონებოდა კაცსა. – „ამას გასამტერებელი ნალკოტი აქვს, ანუ ჰქონია ოდესმე არა ერთი, არამედ რამთენიმე, ერთი ერთმანეთზე საკვირველებიო!“ ასე არად მიაჩნდა იმისი მშვენიერება.

ის მოხუცებული კედლის ბოლოსთან რომ მივიდა, უეცრათ ნალკოტში გადიხედა და მესამეს ხეივანთან, საუკეთესოს თალარ ქვეშა, ერთი ყმანვილკაცი დაინახა, მშვენიერი ჰაეროვანი და მშვენიერისავე სახისა, მარამ შავნი მოელვარე უმშვენიერესი თვალები გაჰქრობოდა მნუხარებით და თეთრსა პირმრგვალ სახეს ავანტყოფის სიყვითლე შეჰპარვოდა. იმისი შავი მომბზინვარე ქორორი აღარ ვარგოდა და პატარა უღვაშებიც ურიგოთ ეწყო იმის ჩამკრთალს ბალახ ბაძვს [...]. ის ყმანვილი კაცი ერთს ვარდის ძირში ეგდო და მწარეს ცრემლით იბანებოდა. თვალი რომ დააკვირვა, იცნა, ღმერთს მადლობა შესწირა და ნალკოტის კარებისკენ წავიდა. უცხო მოხატულ ფიცრის კარებთან რომ მივიდა, იქ მეკარე დახვდა, რომელსაცა ათი წელიწადი აღარ ენახა დავრიში. – მიძიმეთ თაყვანი სცა იმ მეკარემ, ნალკოტის კარები გაუღო; დავრიში ნალკოტში შევიდა და საჩქაროდ გაეშურა, ეგება მიესწრო იმ ყმანვილი კაცისათვის, მაგრამ ის ყმანვილი კაცი წამოდგა, გულმტკივნეულად რალაც დაიძახა და შუა ნალკოტისაკენ გაისწრაფა ხეივანში. ის ყმანვილი კაცი რომ წავიდა, ეს დავრიში თალარში შევიდა. აქედან გაიხედა, ინდოეთის მამულები დაინახა; ჯერ დაფიქრდა და მასუკან მნუხ-

არებით დაიძახა. –

ბერუა. დღეს წელიწადნახევარია, სპარსეთში დავეხეტები: – თითქმის ეს რკინის ქალმები გამიცვდა. – ბოლო დროს ბედ-მან ძლივს არ მომიყვანა, ინდოეთის სამძღვარზე ამ მივარდნილს სპარსელების კუნძულში? ინდოეთო! – ინდოეთო! – რამთენი ჩემი სახსოვრები არის ამ ზღვის ყურეს გაღმა, – იმ საკვირველს ჩემს ინდოეთში! – ეჰ, – რას ვანბობ, რა დალონებულ სიტყვებს მოვყევ? – ისევ რაც საქმეზე ვარ წამოსული იმაზე ვილაპარაკო. – აბა, ასე არის ბედის საქმე კაცისათვის? – თუ იმ წყაროზე არ მენახა თამარი, საუკუნოდ უბედურები იქნებოდნენ ცოლქმარნი. – ყოველ საქმეში სულ ბედია, ღვთისგან განწესებული რაღაც, რომელიცა უხილავად ბძანებლობს ადამიანებზე, კაცი საქმობს, მარამ ბედი წინ მორბედია იმ საქმისა. მართლა, აბა, თუ ბედი არ იყოს, ამ წალკოტის გვერდით მივიდოდი ჩემს გზაზე და უეცრათ წალკოტში გადმოვიხედე, ამ აკოკრებულ ვარდის ძირში ეგდო ის ყმანვილი კაცი. მწარეს ცრემლით იბანებოდა; თავისას და თამარის სახელს ხშირათ ახსენებდა. მასუკან ის საწყალი წამოდგა და საცოდავის ხმით დაიძახა. – „წავალ, მცირე სადილსა ვჭამ, მოვალ და ისევ ვიტირებ ამ ვარდის ძირში და ჩემს თამარს მოვიგონებო.“ ამ სიტყვასთან საჩქაროთ წავიდა.

(მასუკან თეთრს ტომარას ზურგიდგან ჩამოიღებს, – ტომრიდგან უჯრას ამოიღებს; უჯრიდგანაც ერთს ქალის პატრეთს ამოიღებს, მიიტანს და იმ ვარდის ძირში მიაყუდებს. მასუკან გამობრუნდება და იტყვის)

ბერუა. აგერ, ის საცოდავი ზორაბ კიდევ მოდის. მე იქითკენ დავიმალები, ვნახოთ რასა იქს, აქ რომ შამოვა? *(და გავა თალარ-იდგან)*

(ზორაბ წალკოტის თალარში შემოვა და დაიძახებს)

ზორაბ. ყოვლის კეკლუცობით შემკობილო და სიცოცხლით გაფუფუნებულო წალკოტო! – კარგი, ეყო ამთენი სიამაყე შენს საუკეთესოსა ვარდსა, ყოველთ ყვაველთ ჴელმწიფასა იმას. – კმარა ამთენი სიამაყე იმისაგან; – კარზე გამოვიდეს და – ყოველი ყვაველები შემოკრიბოს ჩემთან. ჩემი მკერდი თავის ლიმენად დასდოს თავისის მშვენიერის გაფურჩქვნილებისათვის. და სხვადასხვა ყვაველებიც რაზმ მხედრობით გარსა შემომახვიოს ყოვლის საუცხოვოს სურნელებითა. მაშინ ზეცას შემოგეხვენები, მანდაური ზეფირი გამოისტუმრო და ჩემსა სულსა ენვიოს სურვილით გაბრწყინებულსა. ჯერ, რასაკვრელია, იმასთან იმუსაიფოს რამდენიმე ხანი თამარის სიყვარულზე! მასუკან იქიდგანა გამოუვარის ტრფიალებით ავანტიყოფსა გულსა. ჯერ პირველად ნუგემი სცეს

და მერე აუარებელი მადლობა უთხრას თამარის სიყვარულისათვის, რომელსაც ასე მაგრა დაუმკვიდრებია თავის ნაწილში! *(ამდროს მკლავებ გაკრულებსა რამდენსამე საქართველოს ტყვეებს გაატარებენ ნალკოტის გვერდით გაამაყებული ყიზილბაშები. ზორაბ იმათ რომ დაინახავს, თვალებზე ხელებს მიიფარებს. ისინი რომ გაივლიან, ხელებს აიღებს თვალებიდან და დაიძახებს)*

ზორაბ. ესეც ახალი მოყვანილი ტყვეები საქართველოდგან. – ახ, გული კვდება მათი საცოდაობით. – გაუგებელ მაჰმადიანებსა თავი მოსწონთ საქართველოს ოხრებისთვის და ამისთვის გაამაყებული არიან: სოლომან ბრძენი თავის საყდარზედ მჯდომარე – აჰა, მაჰმადიანებო, თქვენ სანუგეშოთ, ეხლავ მივალ მე უბედური, ჩემს ვარდის ძირში დავვედები და საცოდავად დავინყებ მოთქმას. ვნახოთ, ჩემი უბედურობითა რა შაგემატებათ მაჰმადიანებსა? *(ამ სიტყვასთან გამობრუნდება და ვარდისაკენ წავა. ვარდის სი-ახლოვეს რომ მივა, ჯერ გაშტერებით შედგება, მასუკან წახრით თვალ დააკვირვებს და მერე პატრეთის მახლობლათ გადიქცევა, მაგრამ მალე მოვა გონებაზე და დაიძახებს)*

ზორაბ. ზეცავ! იქნება შენს დიდების მუხლზედ მეძინოს და შენსა განსაცვიფრებელში ვხედავდე სიზმარსა! – ან იქნება მე უბედური შევცდი და სიყვარულის გახელებით მამეჩვენა ჩემი თამარის პატრეთი? – რაქნა; სრულს გონებასა ვგრძნობ და არ ვიცი, რა ამბავია ჩემს თავზე? –

თამარო, ჩემო თამარო! მინდა, შენი პატრეთი ავილო, მარამ ძალი აღარა მაქვს სიხარულისა სისუსტითა. – ღმერთო, მომეც მცირე ღონე.

(ამასთანვე, რაც ძალთა აქვს, შემოიკრებს, ჯერ ორსავ ხელებს წყნარა აიღებს, მასკვან ნელა მიტანს და თამარის პატრეთს აიღებს და იტყვის)

ზორაბ. ჩამო, თამარო! მართლა ეს ის შენი პატრეთია; საფრანგეთიდან რომ ერთი ჩინებული მხატვარი მოვიდა ჩვენს სოფელში და შენის შვილებით ერთათ დაგხატვნეთ? – არ ვიცი, როგორ დავიჯერო? –

(მერე მოიტანს გულზე დაიდებს და იტყვის)

ზორაბ. ჩემო მასულდგმულბელო თამარო! რამთენიმე წლების ჩემი გამხმარი გული დამინეტარე, ჩემი მაცოცხლებელის შენის მშვენიერებითა; ეგება სრულს გონებაზედ მოვეგო და ჩემი ძალა მომეცეს. – აჰა, ვგრძნობ, რომ მემატება ძალა უკვდავების წყაროსაგან!

(ამასთანვე ნელა წამოდგება, წინ წამოვა, სკამს მოიტანს; პატრეთს, ზედ სკამზე მიაყუდებს, თვითონ გვერდით დაუჩოქეფს)

და დაინწყებს. მარამ ჯერ პატრეთი აღვწეროთ. – პატრეთია მეტათ მშვენიერი თვალად ტანოვანის ქართველასი; მოყუყუნარნი თვალნი მეტათ კარგათ უკრთის გიშრად; მონვრილო წარბნი გულმიზიდვით მოჰგოზვია, შავად. და გაბადრული პირისახე ხომ სულსა თაყვანს აცემინებს? – პატარა ძუძუთა ქალს ძუძუს აწოვებს კალთაში ჩანოლილსა და ერთი ხელით მაგრა უჭირამს მოხვეული, რომელსაცა იმ ძუძუთა ყმანვილს ერთის ხელით გძელი მომბზინვარე დალალები უჭირავს და მეორე ცუცხა ხელი ვამლსავით შეკრულს ძუძუზე უძევს განსპეტაკებულს სითეთრეზე. წლისა და ნახევრის ვაჟისა, ანუ ცოტა მეტი, მუხლზე უწევს მძინარე და მეორე მშვენიერი ხელი იმისათვის გადმოუხვევია ზევიდგანა. ამათ ასეთი საუცხოვო სანახაობა აქვთ, რომ თითქმის საკვირველი! – ზორაბმა დაინყო)

ზორაბ. ნეტა, ვინ ამბობს. – „იმისთანა რა იქნება ქვეყანაზედ, რომ კაცს არ დაავინყდეს?“ აი, შენი სიყვარული, ჩემო მაცოცხლებლო თამარო, როგორ უნდა დამავინყდეს? თუ ქვეყანაზედ უკიანე ზღვა დაშრება, ჩემს აგებულებაშიაც შენი სიყვარული ჩაშრება. თუ მზე თავის ბურჯზედ გაჰქრება, შენი სიყვარულიც ჩემს სულში ჩაჰქრება. თუ შიგნით უფსკრულში ზეცა მოკვდება, შენი სიყვარულიც ჩემს გულში ჩაკვდება – თორემ სხვა ვერაფრით ვერ დამავინყდება შენი სიყვარული, ჩემო თამარო! რასამბობენ? – სიყვარული! – როგორ დავინყდება კაცს ჭეშმარიტი სიყვარული! აბა, როგორ უნდა დამავინყდეს შენი აუარებელი სიყვარული, თამარო!... მაგ მშვენიერს ჩვენს შეილებს დილაზედ რომ გულზედ გადამამყრინდი და შენც სურვილით გადამეხვეოდი, აბა, როგორ დამავინყდეს ამისთანა ბედნიერი და უმანკო სიყვარული!

(აქ ორსავ ხელებს სწრაფათ სკამის ნაპირზე დაანყოზს პატრეთის ძირში; ზედ ხელებზე თავს დაახეთქს შუბლზე და მწარეთ ჩაფიქრდება. ამდროს ბერუა დავრიში შემოვა, თავზე დაადგება გაჩუმებული, ჯოხზე დაბჯენილი. პატარახანს უკან ზორაბ თავს აიღებს, საჩქაროთ წამოხტება და ეტყვის)

ზორაბ. ვინა ხარ? – საჩქაროთ მითხარ, თორემ ავი საქმე მოგივა? –

ბერუა. ეგ პატრეთი მე მოგიტანე თამარისაგან, – აბა, თვალი დამაკვირვე, მიცნობ თუ არა?

(ზორაბ თვალს დააკვირვებს, მასკვან გადაეხვევა და გადახვეული შესძახებს)

ზორაბ. ქვრივებისა და ობლების შემწე? – გლახაკთ და ღარიბთ მონყალე? – სნეულთა და მწუხარეთა ნუგეშინისმცემელი? დაცემულთა და დავრდომილთ აღმადგენელი? – წმინდის სახარების

სიტყვაო. სწორეთ შენ ის კეთილი მოხუცებული ბერუა ხარ, რომ-
ლისაგანაცა რამეთენიმე ჩემი ნათესავები არიან გამოსხნილი ტყვე-
ობისაგან? –

ბერუა. სწორეთ შენი მცნობი მოხუცებული ბერუა ვარ, მაგრამ
მაგთენის ქებისათვისკი მადლობელი არ გახლავარ. –

ზორაბ. მაშ, მაინც იქაური ამბავი მიბძანე?

ბერუა. შენი დედამა, – შენი სიმამრ სიდედრი და შენი თამა-
რი სულ ერთობრივ მშვიდობით არიან. – მხოლოდ თამარი ცოტათა
სწუხს შენს მოშორებას.

ზორაბ. მაგას იმისათვის მიბძანებ, რომ არ შევწუხდე, თორემ
კარგად ვიცი, როგორც შეწუხებული იქნება ჩემს მოშორებაზე.

ბერუა. ახლა ეს შემატყობინე! – დიდი ხანია, ამ კუნძულში იმ-
ყოფები?

ზორაბ. მე რომ შინადგან გამამიტაცეს ყიზილბაშებმა, პატარა
გზა გამამატარეს, რაც ტანისამოსი მქონდა, სულ გამცარცვეს.

ბერუა. დარჩი გაპარსულს ცხვარსავით?

ზორაბ. ნამდვილად.

ბერუა. მასკვან?

ზორაბ. ჩემი ტანისამოსისა მაგიერათ საძაგელი საცვალი მამ-
ცვეს; ერთი დახეული ფარაჯაც ტანზე მომაგდეს, თავზედაც რალაც
ძონძი შემომაკრეს ქუდის მაგიერათ.

ბერუა. განა საძაგელად გადაქციეს, როგორც შესვრილი?

ზორაბ. წუმვე კი ვერსად ვერა ვნახეთ, თორემ იმაშიაც ჩამა-
გდებდენ ღორსავითა.

ბერუა. მერე?

ზორაბ. მკლავებ გაკრული, ფეხშიშველა გამამიგდეს უწყ-
ალოებმა.

ბერუა. ისე, როგორათაც ყასაფხანაში საკლავი ძროხა?

ზორაბ. სწორეთ ისე.

ბერუა. ჯოხსკი არ გადაგკრამდენ ხოლმე?

ზორაბ. როგორათაც დავარდნილსა სახედარსა, ისე მცემდენ,
სულ დამიხეთქეს ტანი, და სისხლი წკრიალით მომდიოდა, მაგრამ
მაინც შებრალება არ იყო. ფეხებიც ასე დამიშაშრა ფეხშველა
სიარულმა, ადგილზე ძლივ მედგა.

ბერუა. მაინც მცირედი სვინიდისი ვერ შეამცნინე იმათ?

ზორაბ. როგორათაც გაკაპასებულსა მხეცსა.

ბერუა. შემდეგ?

ზორაბ. თავრიზს რომ დაუახლოვდით, მე სიარული ველარ
შევძელ და ხვენწა დაუნყე, დავესვენებინეთ; არცკი გაიგონეს ჩემი
ხვენწა. – სიარული ველარ შევძელ, დედამინაზე წავიქეც, მაგრამ

მაშინვე თოკს გასწიეს და თრევა დამიწყეს.

ბერუა. ისე, როგორათაც პირუტყვის მძოვრ?

ზორაბ. სწორეთ ისე.

ბერუა. მასკვან?

ზორაბ. ისევ სიმხნეს მივეც თავი, წამოვხტი და რაც ღონე იყო, ვიარე.

ბერუა. გონება დაბნელებული მაჰმადიანები აგრე არიან ქრისტიანებზე. ასე ჰგონიათ, ღვთისგან დაბადებული არ იყოს ქრისტიანე კაცი, და ველური მხეცები იყვნენ, რომლებსაცა მონადირე სიამოვნით ხოცავს. – ახლა ესა თქვი. – ღამე სადაც დადგებოდით, როგორ გეკიდებოდნენ?

ზორაბ. დიდს ბორკილს შემიყრდენ ფეხებში, კისერზედაც მძიმეს ხუნდსა დამადებდენ.

ბერუა. ის, როგორათაც ავაზაკსა, მეკობრესა, მპარავსა და კაცის მკვლელსა?

ზორაბ. სწორეთ ისე.

ბერუა. მერე.

ზორაბ. ამ ყოფით ბნელს ქოხში შემავდებდენ; ცარიელ დედამ-ინაზე ვეგდე და სიცივით ვკანკალებდი.

ბერუა. ისე, როგორათაც მშიერი ძალლი სიცივეში? – ჩემი სწორე სიტყვებიკი ნუ გენყინება, ჩემო ზორაბ.

ზორაბ. მაგისტანა ჭეშმარიტი სიტყვები რა სანყენია, ზეციურო კაცო.

ბერუა. საჭმელს რაღას გაძლევდნენ?

ზორაბ. ცარიელს პურსა და წყალსა.

ბერუა. თავრიზიდგან აქ რაღათ ჩამოგიყვანეს?

ზორაბ. რაც თავრიზში ტყვეები ჰყვანდათ საქართველოდგან წამოყვანილი, სულერთათ შემოგვყარეს დედაკაცი და კაცი, რომელიც გაათათრდა, დიდი პატივი მიაპყრეს, რომელიც მაგარზე დავდექით ჩვენ ქრისტეს სარწმუნოებაზე, გამოგვილალეს როგორც ცხვრები და აქ ჩამოგვრეკეს, მაგრამ რაც ტანჯვა ჩვენ მოგვაყენეს გზაზე, ღმერთმა ნურა ადამიანს ნუ მისცეს. სიზმარშიაც საშინელი სანახავია, არამცთუ ცხადათ გადახდეს ადამიანს.

ბერუა. იქნება ტყვეებისაგან მოგიკლეს ვინმე?

ზორაბ. სხვას ტანჯვას გარდა, შვიდი კაცი მოგვიკლეს, ხუთი დედაკაცი და სამიც პატარა ყმანვილი ოცდა ათს ტყვეში. სულ უბრალო საქმეზე. ქრისტიანები რომ ვიყავით, ყოველს მინუტს მიზეზებს ეძებდენ, საშინელება რამ მოეყენებინათ ჩვენთვის.

ბერუ. ოჰ, ჩემო ზორაბ. საქართველოზე პირველი ამბავი არარის ეგა, რამეთენიმე საუკუნოებია იმყოფებით მნუხარებაში მაჰ-

მადიანებისაგან, – მაგრამ ამასკი გეტყვი, ასეთი მაგარი და გაუტეხელი ხალხნი არის ქართველები, რომ ვერაგზით ვერ მოუწიათ ბოლო მაჰმადიანებს იმათსა. სწორეთ აგრეც უნდა იყოს. თქვენს მაგდენს მსხვერპლსა ღმერთი არ დაჰკარგავს.

ზორაბ. ღმერთო! ნუ დაგვაგდებ ქართველებსა. ახლა ეს მიბძანეთ, დიდხანია, საქართველოდგან წამობძანდით?

ბერუა. არის წელინად ნახევარი. მომატებული ყიზილბაში შემოვიარე, შენ გექებდი, მარამ კვალიც ვერა გავიგე რა შენი. ბოლოს აქ გიპოვნე უეცრათა.

ზორაბ. გმადლობ, ღმერთო!

ბერუა. ბევრი ტყვეები ვნახე საქართველოდგან წამოყვანილი, ქალი და კაცი. ათას სულამდისინ კი გამოვიხსენ და საქართველოსაკენ გავისტუმრე, მაგრამ რა გახდება! ყიზილბაში და ოსმალო საქართველოს ტყვეებით სამსეა.

ზორაბ. თქვენგნით ამთენ დავალებას ღმერთი თუ გადაგიხდით, თორემ ჩვენგნით როგორ შეიძლება.

ბერუა. დადექ, ღვთის გულისათვის, მაგას ნუღარ მეტყვი.

ზორაბ. მაშ, მიბძანეთ, ამთენს მაჰმადიანებში რომ დადიხართ, არ გეშინიანთ იმათგანა?

ბერუა. რა იციან, ვინა ვარ, დავრიშათ დავდივარ და დავრიშებ დიდი პატივი აქვთ ყველგან.

ზორაბ. ახლა მოხუცებული ბძანდებით, ამთენი სიარული ხომ განყენთ.

ბერუა. რასამბობ, რომელს ქარავანშიაცკი გავერივე, ვერც ერთი ქარავანი ვერ მამყვა და მე ჩემთვის წავიდოდი.

ზორაბ. თქვენ ხანში მაგისტანა სიმხნე, საკვირველია!

ბერუა. მითხარი? – აქ, ამ კუნძულში როგორა სძლებ?

ზორაბ. ერთი ღვთიური ხანი არის ამ კუნძულის ბძანებელი; მეტათ კარგი და კეთილი კაცია, ის მაძლებინებს, თორემ აქამდისინ მოვკვდებოდი.

ბერუა. ღმერთმა მშვიდობა მისცეს. ადამიანი იმისათვის არის დაბადებული, ერთიერთმანეთს კეთილს უშვრებოდენ, წამეტნავად დიდ კაცს კიდევ უფრო შეეფერება კეთილი.

ზორაბ. ჭეშმარიტად. – მარამ, რა ამბავია საქართველოში? – კიდევ იმ მდგომარეობაში არის მაჰმადიანებისაგან, როგორც იყო?

ბერუა. ახლა უფრო საშინელებაში არის ჩავარდნილი საქართველო, ოთხკუთხივ მაჰმადიანები ეხვევიან, ლეკებიც აუღლებიათ, სრულიად გაოხრებას უპირებენ და რალაც საშინელება არის დაცემული საქართველოზე!

ზორაბ. ოჰ, ეგ რა მითხარი? – აქამდისინ კიდევ იმედი მქონ-

და საქართველოს ბედნიერებისა, ახლა სრულებით იმედი გადვინწყვიტე. ეტყობა, რომ სრულიად ღმერთს ჩვენზე ხელი აუღია. – ნეტავი, ამ ხუთის დღის წინათ მომკვდარიყავ და ესენი არ გამეგონა.

ბერუა. მცირედ მოიცადე. – მართალია, ამ განწირულებაში იმყოფება საქართველო, მაგრამ ერთი მხნეგულოვანი, თხუთმეტი წლის ყმანვილი გადმოიჭრა მაგარის მთების ფშავიდგან, როგორათაც ვეფხვი გადმოხტომილი კლდიდგან და ნადირების მდევნელი, ისე გარეშე მტერი შეაძრწუნა იმ ყმანვილმა; დაუცხრომელად იმათა სდევს თავისის ვაჟკაც ქართველებით და მუსრსა ავლებს ოთხსავე კუთხივ მტრებსა.

ზორაბ. როგორ, როგორ! – ვინ არის? – რა ჰქვიან? –

ბერუა. კახეთის მეფის თეიმურაზის შვილი ერეკლე!

ზორაბ. ღმერთო, შენი მშვიდობა მიეც იმ ყმანვილსა კაცსა და გამარჯვებას ნუ დაუღვევ.

ბერუა. ნადირშას შეუტყვია იმისი ამბავი, შვილსავით შეუყვარებია და დიდათ მეგობრობს.

ზორაბ. იქნება, ეხლა მაინც ჩვენ ტყვეებს ეშველოს რამე?

ბერუა. გათათრებულებს ხომ აღარაფერი და სხვებსკი უთუოთ.

ზორაბ. პატარა ჩემი გულის სასიამოვნო ამბავი გავიგონე. – ამ ბალის ოთახში ვდგევარ. ახლა იქ მენვიეთ და მცირედი მოისვენეთ. – ეს მშვენიერი თალარიკი ჩემ შესაქცევათა მაქვს ხოლმე; თუ გნებავთ, პატარა ხანს უკან კიდე მოვიდეთ აქა.

ბერუა. დიახ, კარგი იქნება. *(ზორაბ პატრეთს აიღებს და ორინვე წავლენ ოთახისკენ, მიფარებულს ადგილში)*

(ისინი რომ გავლენ, ერთი გძელ შავწვერა ყიზილბაში მთხოვარი გლახა შემოვა; მიხედმოიხედავს და მასუკან იტყვის)

მთხოვარი გლახა. ფიეე! – მე რაღა ვარ? – თუ მეჯორე ნადირშა სპარსეთის ხემწიფე იქნება, ნადირშას დაუძახებენ? – მაშ, მე რატომ აღარ უნდა ვიყო შაჰი? – ჩემზე გძელი გაპტყელებული წვერი აქვს თუ? – ჩემზე დიდი თავი? – ჩემზე მშვენიერი სახე? – ჩემზე კარგი ტანი? – ჩემზე გძელი ენა? ჩემზე კარგი ლაპარაკი იცის? – ჩემზე ჭკვიანია? – ფიეე! – თუ ის კაცია, მეც კაცი ვარ. – თუ მე თავი ვარ, მაშ ის ბაყაყი იქნება. – ალლა! – ალლა! –

(ამდროს იმ კუნძულის ხანი შემოვა კარგათ მოხუცებული, და უკმაყოფილოდ ეტყვის)

უსეინხანი. შე სანყალო, რასამბობ? რას როტავ?

მთხოვარი. დღეს და გუშინ მშიერი გახლავარ ცოლშვილით, წყალობა აღარ მომცეს და თქვენ მოგმართეთ.

ხანი. რატომ არ მუშაობ, იმითი არა რჩები და სათხოვრათ დადიხარ?

მთხოვარი. უდროვოდ დავსნეულდი, მუშაობა და საქმე აღარა შემოდლიანრა.

ხანი. შენს ცოლს ხელი საქმე ეცოდინება; იმითი დარჩებით!

მთხოვარი. მე რომ ასე დავსნეულდი, ჩემი ცოლიც მწუხარებით დაჭლექდა.

ხანი. თქვენი შვილები?

მთხოვარი. შვილებიც ნვრილები გვყავს.

ხანი. აქამდისინ რატომ არ მოხვედი ჩემთან?

მთხოვარი. ვერ გამებედა თქვენი შეწუხება.

ხანი. მაშ, რით ცხოვრებდით აქამდისინ?

მთხოვარი. აქამდისინ მაძლევდენ, ეს ორი დღეა, ველარა ვიშოვნე რა და ბოლოს მეტმა შიმშილმა ძალა რომ დავგატანა, თქვენ მოგმართეთ.

ხანი. ნათესავები გყვანან ვინმე?

მთხოვარი. არც მე და არც ჩემს ცოლსა.

ხანი. შე საცოდაო, ერთი ეს მითხარი! – სპარსეთის შაჰზე როგორ ბედავ მაგ უმზგავსოს ლაპარაკსა?

მთხოვარი. მწუხარებისაგან ველარა გამიგიარა. სადაც თავის-უფალს ადგილს ვიპოვნი, სულ ისე ვრტომ, რაც მომხვედება ენაზე.

(ხანი ჯიბიდან ფულებს ამოიღებს, მისცემს, და მასუკან ეტყვის)

ხანი. ამას იქით შენთვის და შენი ცოლშვილისათვის დღემი მანათი გამიჩენია საცხოვრებლათ. ჩემს აქემსაც გამოგიგზავნი შენი და შენი ცოლის სანამლებლად, მაგრამ შაჰზე აღარა თქორა, თორემ ავი საქმე მოგივა. ახლა შენი სახელი მითხარი, და მასუკან ნადი?

მთხოვარი. ღმერთმა გადღეგძელოს მაგ თქვენი მოწყალებ-ისათვის. ვილაყბო, თუ ამას იქით შაჰზე ვთქო რამე. ჩემი სახელი გახლავს მაჰმად. *(მძიმეთ დაბლა დაუკრავს თავსა და გავა. ის რომ ნავა, ხანი იტყვის)*

უსეინხანი. აი, ესეც მშვიერლარიბი კაცი! – სიმშვილი და მომატებული სილარიბე რას არ გაბედვინებს და რას არ აქმნევინებს კაცსა? დარწმუნებული ვარ, ეხლა კუჭი გაუძლება და ღვთის მადლობის მეტი აღარა ამოარა იმის პირისაგან.

(ამ დროს ზორაბ შემოა სიხარულით და უკან ბერუა შემოჰყვება დავრიშულათ ჩაცმული)

ზორაბ. ჩემო მფარველო და ნუგემო. – სასიხარული ამბავი გავიგონე!

უსეინხანი. რა ამბავია, ჩემო ზორაბ?

ზორაბ. ამ კეთილმა დავრიშმა ჩემი დედმამისა, ჩემი ნათე-

სავეებისა და ჩემი თამარის ამბავი მომიტანა მშვიდობისა საქართველოდგან. ჩემს თამარს თავის პატრეთი გამოუგზავნია ჩემთვის.

ხანი. რა სასიხარულო ამბავი გავიგონე. – მეც უცხო სასიამოვნოს ამბავს გეტყვი. – ჩვენი ნადირმა საქართველოს მეფეს დაჰმეგობრებია. – ეხლა ეს არის, ნადირმა ბძანება მამივიდა, რაც ტყვეები მოუყვანიათ აქ, საქართველოდგან, სულ დაუთხოვნია, საქართველოში წავიდნენ, მხოლოდ შენის მეტი, ჩემო ზორაბ, და იმედი მაქვს, შენც ჩქარა გაღირსებ.

ზორაბ. ნეტავი, იმათ ეღირსოს წასვლა და მე კიდევ აქ დავრჩები.

ხანი. მოდი, ერთი საქმე მოვახდინოთ?

ზორაბ. აბა, ბძანეთ, რა გნებავთ?

ხანი. თამარი დავიბაროთ, მოვიდეს!

ზორაბ. ოჰ! რა მოულოდნელი ბედნიერება მითხარით მე!

ხანი. მაშ, დაჯექ, ნიგნი მისწერე. *(ზორაბ სიხარულით დაჯდება, ჯიბიდან ყიზილბაშურს სანერელსა; ქალაღდს ამოიღებს და ნიგნს დაუნყებს წერას. ზორაბ წერას რომ დაიწყებს, უსეინხანი დავრიშს ეტყვის)*

ხანი. პატივცემულო დავრიშო, ამით მესამეთ მინახვიხარ ამ კუნძულში! – ერთი ამ ცხრამეტის წლის წინათ, მეორე ათი წლის წინათ და ამით მესამეა, მგონია.

დავრიში. მართალს ბძანებ, ამითი მესამეთ ვყოფილვარ.

ხანი. გეტყობა, ბევრი ქვეყანა გინახამს?

დავრიში. უფროსი ერთი ნაწილი ქვეყნისა.

ხანი. ხალხი კარგათ გაგიჩხრეკია?

დავრიში. დიახ, კარგათ.

ხანი. მერე, რა ნახე იმათში?

დავრიში. ამის მეტი არაფერი, მდიდარი დღესასწაულობს და ღარიბი იტანჯება.

ხანი. ყოველს ადგილს?

დავრიში. მთელს ქვეყანაზედ.

ხანი. რასამბობ? – გამიგონია, რომ ერთი ქვეყანა იყოს, სადაც ანგელოზური ცხოვრება არის? – თანასწორე სიყვარული ერთმანეთისა? – ერთმანეთს არ აწყენინებენ? – ერთმანეთის მოტყუება და ტყუილი არ შეიძლება? – გაჭირება და მწუხარება არარის? – სამჯავროში უსამართლობა არა იქნებარა მსაჯულებისაგან? გარყვნილობისას, ანუ საგინებელს სიტყვას არ იტყვიან, არამცთუ მოქმედნი იყვნენ? – სიკეთილის მეტი სხვა ურიგობა არა იქნებარა? – და სხვა კიდევ ამისივე მზგავსები? –

დავრიში. რა მოგახსენო. ერთხელ სიზმარშიკი ვნახე მაგისტანა

ქვეყანა. როცა გამელვიდა, ბევრი ვხუჭე თვალები, ეგება კიდეც მენახა და სიზმარში ვყოფილიყავ განუყრელად, მაგრამ ამაო იყო ჩემთვის.

ხანი. კარგი. – რახან სიცრუით უთქვამთ ჩემთან? – უთუოთ კიდეც გეცოდინება, რადგან კარგათა გყავს გაჩხრეკილი ხალხი? – მაშ, არ შეიძლება იმისთანა სიკეთილე მოხდებოდეს ადამიანებში, როგორცა გამიგონია?

დავრიში. თუ კაცობრიობა მოიწადებს? – დიახ, ადვილსა.

(ზორაბ წიგნისა წერას გათავებს, დავრიშს მისცემს შეეცვილსა და ეტყვის)

ზორაბ. პატივცემულო დავრიშო, ეს წიგნი თამარს უბოძეთ. – პირათაც უბძანეთ, წამოვიდეს.

დავრიში. თვითონ მე წამოგიყვან, თორემ სხვა ვერავინ ვერ შეიძლებს.

ზორაბ. რამთენ რიგათ მავალეზ.

(ამ უკანასკნელ სიტყვასთან ხანი აღარ დააცლის დავრიშს თქმასა და ეტყვის)

ხანი. ბარემ საქართველოს ტყვეებიც შენვე წაიყვანე?

დავრიში. უბძანეთ, მოვიდნენ, ეხლავ უნდა გავემართო გზასა.

(ხანი მობრუნდება და დაიძახებს)

ხანი. ქარიმ.

(მოსამსახურე შემოვა და მძიმეთ თავს დაუკრავს)

ქარიმ. რა გნებავთ, მოწყალეო ხანო?

ხანი. წადი, საქართველოს ტყვეები სულერთიან აქ მოიყვანე დედაკაცი და კაცებიც.

(ქარიმა მძიმეთ თავს დაუკრავს, ნალკოტის თალარიდგან გამოვა, საჩქაროთ უკანვე დაბრუნდება და უკან ორმოცდა ათი დედაკაცი და კაცები თან შემოჰყვება არც ღარიბათ და არც კარგათ ჩაცმულები, რომლებიცა ხანს დაუკვრენ თავსა და ეტყვიან)

ტყვეები. ჩვენი მწყალობელი და ჩვენი მფარველი ხანი ადღეგრძელოს. *(მასუკან მობრუნდებიან და ზორაბას ეტყვიან)* ჩვენს ნუგეშს ზორაბსაც მშვიდობასა მოვახსენებთ.

ზორაბ. ღმერთმა გაგიმარჯოთ.

ახლა ხანი. მამილოცავს, ტყვეებო, ნადირშასაგან განთაისუფლება მოგივიდათ. ეხლავ უნდა წაჰყვეთ ამ დავრიშსა.

(ტყვეები სიხარულით მივლენ, მუხლზე დაუნყებენ კოცნას და თან ეუბნებიან)

ტყვეები. შენახარ ჩვენი გამომხსნელი, ხანო, ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგილიოს. – *(მასკვან ზორაბს ეტყვიან)* შენ უნდა ბძანდებოდე ჩვენი წინ მძლომელი და ბატონათ.

ზორაბ. სწორეთ გეტყვით, ძმებო, მე ჯერ კიდევ აქ დამაგდეს.
(ტყვეები დიდათ შენუხდებიან და ერთი იმათგანი ხანს მოახსენებს გულმოდგინე)

დემეტრე. შენი ჭირიმე, ხანო. სულერთიან ისევ აქ დავრჩებით ჩვენ, ოლონდ ზორაბი კი გაისტუმრე. მაგისაგან ბევრი სიკეთე გვახსომს აქა.

ზორაბ. რასამბობ, თქვე საწყლებო. ჩემი სიხარული და ბედნიერება ის არის, რომ თქვენ მიდიხართ და მშობელს ქვეყანასა ნახამთ.

ერთპირათ ტყვეებმა. არა, შენი ჭირიმე, თქვენ ნაბძანდით, თქვენა.

ხანი. საყვარელო ძმებო. დიდი ხანია, მე ნადირშას ვთხოვე თქვენი დაბრუნება საქართველოში. – ჩემი თხოვით არა იქნარა, ახლა საქართველოს მეფეს დაჰმეგობრებია და იმითი გეშველათ. – ზორაბისთვის ნუ სწუხართ თქვენა; თქვენ წადით და ამასაც თავის დროზე დაითხოვენ, უთუოთა. – ნეტავი, თქვენა, რომ მშობელს ქვეყანას ნახამთ!

(ამასთანვე ხანი საცოდავად ატირდება; ზორაბ გულზე მივარდება გულმტკივნეული და ტყვეები შენუხდებიან. პატარახანს უკან ხანი თვალებს მოინმენდს და გულ მტკივნეულად დაიძახებს)

უსეინხანი. ჩემო საყვარელო ძმებო და დებო! სულერთიან გარსა შემომეხვიენით; მე შუაში ჩამიყენეთ თქვენსა ნათისაურს სიტკბოებაში და ჩემი სიტყვა გაიგონეთ, რათაცა ვტირი ასე მწარეთ!

(ზორაბ მარჯვენა ილლიას ქვეშ შეუჯდება, ხანიც ზედ მკლავს გადაახვევს. ერთიც მარცხენაში. – სხვანიკი აქეთ იქეთ შემოეხვევიან და დავრიში მარჯვენა მხარეს ცოტა წინ დადგება ჯორზე დაბჯენილი ღრმად მოფიქრე. უსეინხანი მოჰყვება საცოდავის ხმითა)

უსეინხანი. ახ, ის სასიამოვნო ჩემი სამშობლო მთები მაღალი სად არიან, იმის გამწვანებულს მოლებზე აუარებელი ყვავილი სხვადასხვა ფერათ მორთული, რომელზედაც განაზებული ნიავი მოიარებოდა? – იქით მოშორებით ტყით შემოსილი სხვა მთა რომ შრიალებდა ქაროშხალით და ათასობის წლის მუხანი ეხმაურებოდენ ერთმანეთსა? – შიგნით იმ ტყეში დათვი ტახი მოჭიდავე ერთმანეთს რომ ეყოფოდნენ, ან ის მომკვდარიყო, ან მეორე? – იმდროს ზევით მაღლა მთის წვერზედ რომ იდგა ქორბუდიანი ირემი და ბლაოდა, ამხანაგსა უძახოდა? – აქ ქვემოდგან შეიარაღებული მონადირე რომ ეპარვიდა, იმ ირემის სამწვადე გავა რომლისამე დიდი კაცისთვის მიერთმია? – აქათ მხარეს ლელეში რომ გამოსჩქეფდა წყარო წმინდა? – ქვემოთ, ველჭალაში, მდინარე რომ მორბიოდა ლელვარებით, წმინდა, მოკამკამე. კეთილღია ჰაერი

სულ დგმურობისა იყო იმაშია. იქ, იმ მიმდვრებში, დადიოდნენ დას-დასობით, არვედნი არავად და რუბაბის მკვრელი მწყემსი, საამოსა ხმასა უგზავნიდა თავის არვედს. იქ იმ მიდამო გარემოში იყო ადგილი სწორე, მაგრამ დიახ მცირე და საშუალ მთაში, სადაც წმინდა წყარო გამონანკარებდა, იმ წყაროს პირზედ იდგა სამი კომლეული სახლობა და იმ სამთავანის შვილი ერთი მე ვიყავი. არაიშვიათად ჩვენმა მამაებმა იცოდნენ, რომ ერთი იმათგანი იყო მესტვირე, რომელიცა ხშირათ სტვირსა დაუკრამდა ისა; ზედაც ქალნი და ბიჭები დაროკვიდნენ. მასკვანა სტვირი მღერის ხმასა აუშვებდა, ზედ დედანი და კაცები მოიმღერებოდნენ გულსაშვებელის სიტყვებითა და საამო ხმოვანება ისა მთებზედ დარბიოდა. ხანდისხან უქმე დღეში ერთი ასი წლის მოხუცებული კაცი მოვიდოდა ჩვენთან მახლობელის სოფლიდგანა. სახლის კარზედ დაჯდებოდა; სულერთიან ჩვენ გარსა შემოგვისხამდა და დაიწყებდა ძველსა ამბებსა. მოჰყვებოდა და იტყოდა, ვინ იცის, რამთენს ამბავს, რომ შვილიშვილს დარჩომოდა ის ამბები. – არც ერთიკი აღარ მახსოვს.

ამ დროებში ერთ დილაზედ ჩვენი პატარა სოფლის ხბორები დამიდიოდა საძოვრათა ზევით მომალლოს ადგილში. ამჟამს არ ვიცი, საიდგან იყო, ხუთი შეიარაღებული კაცი მოვიდა ჩემთან, დამიჭირეს და ხელებ გაკრული წამიყვანეს. მე შაშინებულმა და საცოდავმა დავიწყე ტირილი, მაგრამ იმათგანმა ერთმა ჩვენი ქვეყნის ენა კარგათ იცოდა. მითხრა. „ყმანვილო, ტყუილადლა სწუხარ, ჩვენი საპარსელების დიდრონი ჯარები შემოვიდა ამ ქვეყანაში და ჩვენ მოთარეშე კაცები ვართ, ვისაც მოვასწროფ, დავიჭერთ და სპარსეთში წავიყვანთ. ამის გამგონემ უფრო და უფრო დავიწყე ტირილი, ნამეტნავად ჩემი დედმამა რომ მომაგონდა, შენუხებუ-ლი ჩემ დაკარგვაზე. ასე დავტყვევდი მე უბედური ცხრა წლისა სპარსეთში, მაგრამ როდესაც თავს მოვესწარ; დიდათ გავმოჩნდი მე ამათში ყოვლისფრითა, რომელსაცა ამ ქვეყნის ხანობა მომცეს და აქ ვიმყოფები მას აქეთ. – ჩემი ჩვეულებისამებრ, მე, ყმანვილსთ კაცი, ერთს დილაზე წაველ აგე იმ ინდოეთის მამულში ლომებისა და ვეფხვების სანადიროთ. მენავებით და ნავითა ზღვის ყურე გავაპე. – ვიყავ შეიარაღებული, უცხოთ განყობილი და მარტოკა დავიდოდი უშინავანესსა ტყეში. ერთს მალალს კლდეზედ აველ და დურბინდით მიმოვავლე თვალი ერთს პატარას ველსა. ვნახე ერთს ტყის პირში, ერთი მშვენიერი ყმანვილი ქალი იჯდა ერთს ხის ძირში; მოშლილ თავსა იკეთებდა და თან საცოდავათ ტიროდა. ამის მნახველსა მე გული ამიდულდა და გავისწრაფე, მაგრამ ვთქვი, ჩემი პირდაპირ მისვლა იმ ქალს შეაშინებს მეთქი, ამისთვის ტყე შემოვიარე და იმ ქალის მახლობლად მივედი. ამ დროს ნუ იტყვით, ერთი

საშინელი ლომი მივიდოდა იმ ქალზედა დასაბზარად. ქალსა უსიტყოდ და უხმაუროდ ჩამოსდიოდა ლაპალუპით ცრემლი შიშისა. მაშინ მე რალათ მინდოდა ჩემი მამაპაპური ძალგული, ანუ ვაჟკაცობა, თუ ღმერთი უსულსა, ანუ ანგელოზის მზგავსსა არ გამოვიხსნიდი. – აქ ვნახე ლომი სწრაფათ წამოვიდა და მე ცნობა დამელია. ღმერთი ნუ გაგინყრეთ, მე ჩემი თავი არ დავზოგე; ასეთი გავექანე დახილთა, რომ ლომი შედგა და ამ დროსვე იმ მშვენიერებამ თავისი ცეცხლებრივ გულსაკლავი შავი თვალეზი შემომანათა. მე მაშინვე სიყვარული მომეკიდა ათასის ცეცხლის მზგავსი. ქალი წამოხტა, ორის ხელით კაბის კალთა მაგრა დამიჭირა და ხვეწნაზეც ციურის რალაც ხმითა. „ჩემი გულისათვის ნუ იკლავ თავსა, გევედრები, ისევე მე მამკლასო.“ მე უარესად გამიძლიერდა სიყვარული, ქალი ხელით შორსა გადავტყორცნე; წინ გადავხტი და ლომსა დაუდექ პირისპირ. დავრჩი საშინელს ლომსა და სიყუარულს შუა! – თავსა ვკითხე, რომელი უფრო ძლიერია? – ლომი თყ სიყვარული? – გულმა მითხრა. „თუნდა ხუთი ლომი იყოს მაგისტანა, კიდევ შენი სიყვარული ძლიერი არისო.“ უკან შემოვიხედე, ქალი დაჩოქებული, ზეცისაკენ ხელები განეპყრო და გულმტკივნეულის ცრემლით იბანებოდა. ამ სახის მნახველსა მე ერთი ხუთად მომემატა ძალგული. აქ ლომმა ერთი დაიძახა გულს მოსაკლავი რალაც ხმა და ჩემკენ გამოექანა ქარისაებრ. მეც გულადად დავდეგ ხმალმოღერებული და ბოძავით გავიძართე ერთს ადგილსა. მბრდღვინავი და გაკაპასებული ლომი შემომვარდა ფრინველივით, მეც ხმალი მივაგებე მოქნეული. ამდროს ქალმა ასეთი დაიკივლა, რომ სრულიად ტყემ ხმა მისცა. – მოვბრუნდი; ქალი გულშემოყრილი ეგდო სისხლიანი ხმალი შორს გადავტყორცნე და სასწრაფოთ მოვაბრუნე. ზედვიდგან დავხედე იმ ქალსა; ასე მეგონა ზეციდგან მზე ჩამოსულა მეთქი.“

(დავრიშმა გაცეცხლებული თვალეზით ჰკითხა)

დავრიში. დიდი ხანია, ეგ ამბავი?

ხანი. ოჰ, დიდი ხანია.

დავრიში. მერე რა მოგახსენათ იმ ქალმა თავისი ამბავი?

ხანი. შუაზედ განყვეტილი ლომი რომ ნახა, მუხლებზედ მოხვევას მიპირებდა, აბა, როგორ უნა მიმეშო იქამდისინ? მასკვან მითხრა. – „მე ვერაფრით ვერ გადავიხდი თქვენს მადლობას; თუ ნებას მომცემთ, მე ცოლი და თქვენ ქმარი.“ ოჰ, რა ბედნიერება იყო ჩემთვის ეს ხმა! ამისთვის მეც იმის გამოკითხვაში აღარ შევედი, მხოლოდ ამის მეტი, რომ იქიდგან აქამდისინ, ორნიც ბედნიერები დავბერდით ერთათ!

დავრიში. ვინ იცის. – იქნება, ის იყოს, ისა. *(თავისთვის დაიძახა)*
(ამ დროს ხანი დაფიქრებულია დიდათ)

კიდევ დავრიში. მაგრამ, არა. იმას უთუოთ აუტყდებოდა რამე და ცოცხალი აღარ დარჩებოდა. აახ! –

ხანი. როგორ? რა თქვი, დავრიშო?

დავრიში. არაფერი, არაფერი. – ბძანეთ და დასრულეთ, რა გნებავდათ სათქმელათა? –

ხანი. პატივცემულო დავრიშო! მე აუარებელი სიმდიდრე მაქვს; იმიტენი, რომ საპარსეთში არავის არ ექნება. – იმ ჩემი სიმდიდრისაგან ერთი მამულისა არა მინდარა, ოღონდ ის ჩემი ღვანლით ნამოვნი ჩემი უშვილო ცოლი დამანებონ. ისე ღარიბათ წავალთ. ერთი კიდევ ვნახო ჩემი მშობელი ქვეყანა; – ჩემი დედა-მამის ქობსაც თაყვანი ვცე და მასუკან მოვკვდე.

(გულმტკივნეულად ზორაბ)

ზორაბ. შეინჭიმე, გვიბძანეთ, სადაური ბძანდებით თქვენ ძველადგან?

უსეინხანი. ახ! საყვარელო ძმებო! – თქვენა ხართ ჩემი ერთი სისხლის ძმები, და თქვენი მამულის შვილი ვარ, ქართველი. აჰა, ახალა თქვენში მამკალით და თქვენს ძმობაში ამამართვით სული.

(ზორაბ გულზედ მიეხვევა, ხანი ზედყელზედ გადაეხვევა, და სხვანი ერთიანათ გულითადასა ძახილს გამრავლენ)

ერთპირათ. შენიჭირიმე, ხანო. აღარ მოგშორდებით, – აღარ. – *(აქ ხანი მწარეთ გადახვეულია ზორაბზე და ორნივე ქვითინებენ. ამ დროს დავრიში დაიჩოქეფს, ხელებს განუპყრობს ზეცისაკენ, თვალებითაც მალლა შეხედავს და იტყვის)*

დავრიში. ოჰ, ღმერთო! – რა სახესა ვხედავ, ჩემი გულის სასიკვდილოს, რასა!

(აქ მეორე ამბავი ამითი დასრულდება)

მესამე ამბავი.

(ტყიან მთასა აქეთ თორმეტი საფლავია გამწკრივებული გზის პირზედა. აქ დაქვეითებული თამარი მოვა, რომელსაცა თავის ორი შვილი აქეთ იქით ხელით უჭირავს, მოვლენ საფლაებს დაუჩოქებენ. ნინიკა გვერდით მოუდგება შეიარაღებული და უკან ათი მოსამსახურე, ეგრეთვე შეიარაღებულები. – ჯერ თამარი თაყვანსა სცემს საფლავებსა და მერე თავის შვილებს ეტყვის. თამარის უკანაც ერთს მოახლეს დაუჩოქნია, სახელი ქალაღლისა)

თამარი. ჩემო სიცოცხლეო შვილებო, მიდით. თქუენც ემთხვეინით მაგ საფლაებსა. *(ყმანვილები მივლენ, მონინებით ემთხვევიან, მასუკან მოვლენ და ისევ დედასთან დაიჩოქებენ აქეთიქით.*

მერე დალონებული წამოდგებიან და თამარი ნინიკას ეტყვის)

თამარი. ნინიკო, დღეს ორი წელიწადი შესრულდა, რაც დავრი-ში წავიდა. თუ ხვალაც არ მოვიდა; იცოდე, იმედი აღარა მაქვს იმისი მოსვლისა და მეც გამომიტირე ამ სოფლიდგან, მაგრამ გთხოვ, ამათთან დამარხო, როცა მოკვდე. –

ნინიკა. რასამბობ, ქალო, რატო აგრე გადარევით ლაპარაკობ.

თამარი. მე ვიცი და ვგრძნობ, ასე იქნება. – პატარა კიდევ მოვიცადოთ, ერთი კიდევ თაყვანივცე ამ საფლაებს. – ამათი თაყვანისცემა რალაც შევებას აძლევს გულსა. და შემდგომად გავემგზავრნეთ. *(კიდევ ისე დაიჩოქებენ და იმ მდგომარეობითვე დადგებიან ნინიკა მოსამსახურებით. ამდროს დავრიში მოვა და ესეც ნინიკას მოუდგება. ნინიკა რომ დაინახამს. დაიძახეფს)*

ნინიკა. ჩემო დაო თამარო, მამილოცავს.

(თამარი მოიხედავს და უეცრათ დაიძახებს)

თამარი. ახ! კეთილი ბერუა. *(და წამოხტება)*

ბერუა. მშვიდობა თქვენი ნახვა. უცხოს ადგილს შემხვდით, ამ ჩემი გზის მოსავალზე?

თამარი. ვიცოდი, თქვენი გზა აქეთ იქნებოდა, გამოველ წინ დაგხვედროდით. მაღლობა ღმერთს, შენი ნახვა კიდევ მეღირსა. რა ამბავი იცი, შეინჭიმე?

ბერუა. უცხო და კარგი. აი, ეს წიგნი გეტყვის ამბავს. *(ამოიღებს და მისცემს. თამარი საჩქაროთ გადიკითხამს და ბოლოს წამოიძახებს)*

თამარი. ოჰ, ნინიკო! რა სასიხარულო ამბავი მამივიდა!

ნინიკა. რა ამბავი, შენ გაზდას?

თამარი. ჩემს ზორაბს დაუბარებვიარ. ეხლავ აქედგანვე წავალ.

ნინიკა. მასუკან შენ დედმამას, ან ზორაბის დედმამასა, ვინ გამოუცხადებს მაგ ამბავსა?

თამარი. შენა, ჩემო ნინიკო.

ნინიკა. რას ყმანვილობ, ქალო.

თამარი. რალაებსა ნუ მოჰყვები, შენ გაზდასა.

ნინიკა. ქალო, რასამბობ, არ იცი, რომ დიდათ შეაწუხებ მაგითი?

თამარი. რა უშავთ, ცოტათ იტირებენ და მასუკან ისევ დაჩუმდებიან.

ნინიკა. შეხედე ამ გადარეულს, ქმრის სიყვარულით ველარა გაუვიარა? – და სირცხვილის ფარდაც აუხსნია სვინიდისისაგან.

თამარი. რას როტავ, ყმანვილო? – ჩემი ქმარი მიყვარს, სხვა ხომ არავინა!....

ნინიკა. შენი მოშორებით ისინი რომ დაიხოცნენ?

თამარი. მერწმუნე, ტყუილათ ფიქრობ მაგას, მაგრამ იქნებაკი ჩემს ქმარს შემთხვას ეგ უჩემოთ, ამისთვის, რომ მე ვიცი, როგორც უყვარვარ და ჩემი მოშორება იმისათვის რა ძნელია!

ბერუა. ნინიკო, შენ მაგაზე ნუ სწუხარ. ჩემადიერ იმათ მოახსენე „მე წავიყვანე თამარი თავის შვილებითათქო.“

ნინიკა. რახან თქვენ მოინადინებთ და თქვენვე წაიყვანთ, დიდათაც იამებათ.

ბერუა. მაშ, ეხლავ წადი, ნინიკო, ტახტრევანი მოამზადე საჩქაროთა, ყოველი სამზადისიც ნახე. – თამარსა და ამის შვილებს იმითი წაიყვან.

ნინიკა. კერძობას?

ბერუა. ამ ერთს მოახლეს ტახტრევანდში ჩავსომ ამათანა, ორს მოსამსახურესა ცხენებით წაიყვან, მეც წინ გაუძღვები ქვევითი. მერწმუნე, ესენი ვკმარვართ.

ნინიკა. თქვენი ნება არის. *(ამ დროს ერთი დაჭრილი კაცი მოიბრუნს სისხლშესვრილი და დაიძახებს)*

დაჭრილი კაცი. არიქა, თქვენ თავს უშველეთ, თორემ ლეკები დაგესხმიან.

(ნინიკა და მოსამსახურები მოემზადებიან საომრათა და თოფებსაც მოიმზადებენ)

ნინიკა. მობძანდნენ, ჩვენც მზათა ვართ.

დაჭრილი კაცი. რას ემზადებით, ისინი ერთი ბაირახის კაცნი არიან და თქვენ თერთმეტნი?

ნინიკა. თუნდა სამნი ვიყვნეთ, არ დავერიდებით.

დაჭრილი კაცი. სულერთიან დაგხოცენ, რა სარგებლობა იქნება?

ნინიკა. ჩვენი მამაპაპები სულ ომში დახოცილან თავისი მშობლის მამულისათვის. – ჩვენც ისე დავიხოცებით, რა გასაკვირვებელია. მეორეც ესა, თუ მეფის თეიმურაზის შვილმა ირაკლიმ შეიტყო ჩვენი გაქცევა, დიდათ ეწყინება და იმისთანა ლომგული ყმანვილი კაცის წყენას, აქ სიკვდილი გვირჩევნია.

ბერუა. ნინიკო, მოიცადე. *(მასკვან დაჭრილს ეტყვის)* შენ სად ნახე ის ლეკები?

დაჭრილი კაცი. უეცრათ, აგერ, იმ გზაში შემხვდნენ. ჩემი დაჭერა მოინდომეს, – მე ხანჯალს გავკარ ხელი, მეტი სხვა იარაღი არა მქონდარა, – და აქეთკენ გამოვიქეცე. – ერთმა იმათგანმა შორიდგან თოფი შემამტყოცნა, უკან ბეჭის ფრთაში მომხვდა და აქეთკენ გამომვარდა. შეინჭიმე დროისათ უშველეთ თქვენ თავსა, თორემ ავი საქმე მოგივათ.

ბერუა. აბა, რა უშველოთ, მითხარი?

დაჭრილი კაცი. აგე, იმ მომალალოს ტყიანს მთაში დავი-
მალებით.

ბერუა. ნინიკო, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მა-
მაცისაგან.“ გირჩევთ, ეხლა წახვიდეთ.

ნინიკა. თქვენი ნება იყოს, შეინჭიმე.

ბერუა. მე აქ დავრჩები. დავრიშს რისა ეშინიან იმათგანა.

*(ამასთანვე ყველანი წავლენ; ტყიანს მთაში ავლენ და დაიმალე-
ბიან. დავრიში დაჯდება, ჯიბიდგან პურს ამოიღებს და მადიანათ
დაუნყებს ჭამას. ამდროს ბაირახსა შემოიტანენ და ერთი ბაირახის
ლეკი თან შემოჰყვება შეიარაღებულები. ამათი ბელადი მოვა და
დავრიშს ეტყვის)*

ბელადი. დავრიშო, გაგიმარჯოს.

დავრიში. შენც გაგიმარჯოს. – გეტყობა, შენ ბელადი ხარ. *(და
წამოდგება)*

ბელადი. მართალს ამბობ, ბელადი ვარ.

დავრიში. რა გქვიან?

ბელადი. მაჰმუდ.

დავრიში. რას დადიხარ, ბელადო, მაგ ცოტას ჯარით?

ბელადი. საქართველოზე ვთარეშობთ.

დავრიში. რა მიზეზისთვის?

ბელადი. ოსმალოელები ფულს გვაძლევენ, საქართველო
გავაოხროთ.

დავრიში. მერე, რა სარგებლობაა იმათთვისა საქართველოს
გაოხრება?

ბელადი. ჩვენ სხვა არა ვიცითრა, დიდ ფულს გვაძლევენ; ფულს
ვემსახურებით და არა ოსმალოსა.

დავრიში. მერე, გაოხრეთ საქართველო?

ბელადი. აქამდისინ ბლავანი აღარ დარჩებოდა, სულ გავაოხ-
რებდით, მაგრამ ერთი ყმანვილი კაცი გამოვიდა, მეფის თეიმურა-
ზის შვილი ერეკლე. სადაც არა გვეგონია, ელდასავით იქ დახვდება
მოთარეშე ლეკებს და მუსრს გვაველებს. – ჩვენი დიდრონი ჯარე-
ბი ხომ ველარ შემოსულან საქართველოში; დამარცხებული და
სირცხვილეული გაგვისტუმრა რამთენჯერმე. შიშითა ვძრნით. –
ეხლაც მგონია, გაგვიჩნდეს სადმე. – ახლა შენ გვითხარი, საიდგან
მოხვალ, დავრიშო?

დავრიში. სპარსეთიდგან.

ბელადი. შენი ხელობა რა არის?

დავრიში. ქვეყანაზედ დავდივარ, კეთილს ვქადაგებ შეყრილ
ხალხში მოედანზედ, კეთილს ვასწავლი ყოველს ადამიანს, და კეთ-
ილს უშვრები შენუხებულებსა.

ბელადი. [ვალლა] კარგი ხელობა არის, მაგრამ გიჯერებენ თუ არა?

დავრიში. ყურსკი სიამოვნით დამიგდებენ ხოლმე და აღმასრულებლები ცოტანი არიან.

ბელადი. მაინც კარგი, თუ ცოტანი აღსრულებენ, მაგრამ რა სახელს შეიძინებს კეთილობა? – თუ შეენევი ვისმე, ანუ კეთილს უზამ, იქვე დაიმალება ის კეთილი?

დავრიში. მართალია, ეხლა ამდროს აგრე არის, მაგრამ იმისთანა დრო მოვა, რომ კეთილის მოქმედს ის სახელი ექნება, რაც ჩინებულსა მხედართ მთავრებსა აქვთ ეხლა შეიძინებული.

(ამ დროს ერთი ლეკი შემოვარდება და ბელადს დაუძახებს)

ყარაული ლეკი. ქართველების ჯარი გამოჩნდა, მაგრამ ცოტანი არიან.

ბელადი. სად არიან?

ყარაული. აგერ, იმ პატარა გორაკაზე ვიდექი ყარაულათ. – ხედამთ? იმ დიდ მინდორზედ. აი, კიდეც მოჩანან ისინი.

(ბელადი შეხედავს და იტყვის)

ბელადი. ცოტანი არიან, ადვილათ დავამარცხებთ, თუ ერეკლე იმათში არარის.

ერთი სხუა ვაჰათა. ბელადო, დურბინდში გაიხედეთ, ბაირახზე ხომ იცნობთ ერეკლესა?

ბელადი. დიახ, კარგათ ვიცნობ ერეკლეს ბაირახსა. *(დურბინდს მოუტანენ და გაიხედავს)*

ბელადი. სწორეთ ერეკლეს ბაირახია და თვითონაც წითელი ტანისამოსი აცვია. ჩვენი ნახევრის ტოლა ჯარი არა ჰყავს, მაგრამ გული მიცემს, დავამარცხებენ. დამიჯერეთ, ავიყარენით და საჩქაროთ წავიდეთ.

ვაჰათა. ველარსად ნაუვალთ, კიდევ კარგი, რომ ზევით მთაში ცხენები დავყარეთ და ჩვენ ქვევითი ჩამოვედით სოფლის დასაკვრელად, თორემ ავ საქმეს დავგმართამდენ ცხენებიანს.

ყარაული. ისინი ცოტანი არიან, ჩვენ რისა გვეშინიან?

ბელადი. შენ ყმანვილი კაცი ხარ, ჯერ ერეკლეს და იმისი ქართველების ომი არ გინახამს, მეკი ბევრჯელ მიწვნევია.

ყარაული. ლომებიც რომ იყვნენ, ჩვენზე ცოტანი არიან!

ბელადი. რაც ეხლა ვართ ჩვენა, შარშან ოთხი ამტოლანი ვიყავით, უფრო კარგი ვაჟიკაცები ერივნენ ჩვენში, მინამ ეხლა. –

ყარაული. იქნება, დამარცხდით?

ბელადი. მცირედი მოიცადე და გამიგონე.

ყარაული. ბძანეთ, ყურს მოგიგდებთ.

ბელადი. ჯერ პირველათ ეს უნდა გითხრათ. – როდესაც

მდევარზედ წავა ერეკლე, ყოველთვის ცოტა მეომრებს წაიყვანს, მაგრამ ის მეომრები ასეთები არიან, რომ არა საშინელსა ჯარსა არ დაერიდებიან და კიდეც დაამარცხებენ უთუოთ.

ყარაული. ჩემო ბიძია ბელადო, იქნება მე მაბრიყვებ და სასაცილოთ მიგდებ?

(ბელადი გალიმებით ეტყვის)

ბელადი. შენ ალვირი წაგიყრია შენის პირიდგანა, გინდა, კლდეზედ გადავარდე, მაგრამ ჩემა სიძემ, მამაშენმა შენი თავი მე ჩამაბარა, არ გაგიშვებ, გადავარდე.

ყარაული. წელან რალაც უნდა გეთქოთ, დაასრულეთ ის ამბავი?

ბელადი. ჰოო, რაც ეხლა ვართ ჯარათ წამოსული, შარშან ოთხი ამ ტოლანი ვიყავით. ერეკლეს მაშინვე შეეტყო ჩვენი წამოსვლა საქართველოზე. სულ არ გვეგონა, – ვნახეთ, რომ ყარაიაზისა და სამგორის ყელში დაგვხვდა უეცრათა. – ისინი კიდეც აგრე ცოტანი იყვნენ ჩვენზე, არ დაიჯერეფ, თოფის გამოცლა არცკი ჩუენზე იკადრეს, მაშინვე ხმლებით დაგვერივნენ და ასე დაგვაპარცხეს, რომ ვინ წინა და ვინ უკანა.

ვაჰათა. მაშინ, მეც იქ ვიყავი, სწორეთ აგრე იყო.

ბელადი. ეს ხომ გავიგონეთ, ახლა ვარჩიოთ, შევებნეთ თუ არა?

ვაჰათა. პირის პირ ჩვენ ომი არ შეგვიძლიან, თუნდა ათი ამ ტოლანი ვიყვნეთ, მაგრამ აქ მახლობლათ ბანბით სავსე თეთრი ტომრები აწყვია, წელან მგზავრებმა რომ დაყარეს და თვითონ გაიქცნენ. – ისინი შემოვიტანოთ. სანგრად გარს შემოვივლოთ, ჩვენ შიგა ჩაუსხდეთ. ასე რომ გვნახვენ, მაშინვე დაბრუნდებიან, თორემ მაგ ერეკლეს ველარსად ველარ წაუვალთ, თუნდა გავექცეთ. საღამომდინ შიგ ვისხდეთ, მასუკან ავიყარნეთ და იქით დიდმთაში შევიდეთ. ამის მეტი თავს მოსარჩენი არაგვაქვსრა.

ერთპირათ. კარგი იქნება, კარგი.

(ამ სიტყვაზე დავრიში წავა თავისათვინ. ლეკები გავლენ, ბანბის ტომრებს შემოიტანენ; ტომრების სანგრებს შემოივლებენ, ბაირახს შუაში დაურჭმენ და თვითონ სანგრებს მოუსხდებიან თოფმომზადებულლები. ბელადი ღურბინდში გაიხედავს და მასკვან იტყვის).

ბელადი. იმათი ჯარი შედგა და ჯგუფად დადგნენ.

ვაჰათა. ჯგუფად რომ შედგნენ, ისე უძრავად დგანან?

ბელადი. არა, ერეკლე ნაპირზე გამოვიდა და ღურბინდში გამოიხედა.

ვაჰათა. ღურბინდში რომ იხედება, რას მოძრაობაში არის?

ბელადი. ხედამ, ერეკლემ მიცნა, ქუდი მომიხადა და თავი და-

მიკრა. *(ბელადი ბანბის ტომარაზე ავიდა, ქუდი მოიხადა და მუხლზემდისინ მძიმეთ დაუკრა თავი. უკან ისევ გაიხედა დურბინდში, და თქუა)*

ბელადი. ჩემს მძიმეთ თავის დაკვრაზე ახლა ქუდი მამიხადა.

ვაჰათა. წვრილათ გვიანბე, რასა შერება?

ბელადი. ცხენიდგან გადახტა. იმასთან სხვებიც გადახტნენ.

ვაჰათა. მასუკან?

ბელადი. ერთი კაცი დაიყენა წინა, დურბინდი მხარზე გამოუდო, გამოიხედა და მარჯვენას ხელით გვთვლის ყველასა. მოიცადეთ, – ვნახო, რამდენჯერ აიღებს ხელსა. *(პატარახანს უკან)* სწორეთ ასორმოცდაათი დაგვთვალა.

ვაჰათა. ხედამთ, როგორ სწორეთ დაგვთვალა? კიდევ რასა შერება?

ბელადი. ერთს თავადიშვილს დაუძახა და რალაც ელაპარაკება. ლაპარაკი გათავა, ის თავადიშვილი ცხენზე შეჯდა და ერთი მოსამსახურით ჩვენკენ წამოვიდა.

ვაჰათა. უთუოთ დასალაპარაკებლად გამოგზავნა ჩუენთან.

ბელადი. მეც აგრე მგონია.

ვაჰათა. მაჰმუდ ბელადო, შენ სად იცნობ ერეკლესა?

ბელადი. შარშან წინ ალაზანში გამოველ სამასის კაცით; როგორც მინდორზედ ამოვედით. ვნახეთ, ერეკლე იქ დაგვხვდა ასის კაცით. მაშინვე ხმლებ მოსმულეებმა შემოგვიტიეს და შუაში დაგვერივნენ. ერეკლემ შემომძახა; ხმალი გადამკრა და მხარი ძალიან დამასხიპა. მე მაშინვე ალაზანში გადავარდი და თავი რას ყოფით მოვირჩინე. ერეკლემ შორიდგან შემომძახა. – „მაჰმუდ ბელადო, ეგ დაჭრილობა, წყალობად და სახსომრათ მომიცია შენთვის.“

ვაჰათა. მერე ის სამასი კაცი რალა იქნა?

ბელადი. მესამედი ძლივ მოვიდა შინა. – საკვირველი არის, მინამ ჩვენი ჯარი საქართველოში შემოვახოლმე, ერეკლემ ადრევე იცის, რა ერთი არის და ან საითკენ მიდის. მერე ასეთს ადგილს შეხვდება უეცრათა, რომ მაშინვე მოშლის. აბა, ახლა რა ვქნათ შუა საქართველოში? მე დარწმუნებული ვარ, ერეკლემ ადრევე იცოდა ჩვენი განძრახვა, რომ ქალაქის მახლობლად უნდა დაგვეკრა მარტყოფის სოფლისათვის და სამგორის გადმოსავალში დაგვხვდა განგებ; უნდა, ცოცხლები დაგვიჭიროს ამ შარა გზაზედ.

ვაჰათა. ეგ ერეკლე არ გაჩენილიყო, აქამდისინ ოთხჯერ გავაოხრებდით საქართველოს. –

(ამდროს შორიდგა ხმა მოისმის)

ხმა. მაჰმუდ ბელადო. *(ბელადი ტომარაზე ავა და დაიძახებს)*

ბელადი. რა გინდა? – ვინახარ?

ხმა. მე ვარ თავადი ზაალ ანდრონიკაშვილი. – ბატონმა ერეკლემ გამომგზავნა თქვენთან.

ბელადი. მოიცადე, ჩემ ამხანაგებს დავეკითხო.

(ტომრიდგან ჩამოვა და ამხანაგებს ჰკითხავს)

ბელადი. რას იტყვით, ერეკლეს გამოუგზავნია ჩვენთან ზაალ ანდრონიკაშვილი?

ვაჰათა. შემოვიდეს. რათ უნდა დავერიდნეთ ერეკლეს გამოგზავნილს თავადს?

ერთპირათ. მობძანდეს. მობძანდეს. *(ბელადი ტომარაზედვე ავა და დაიძახებს)*

ბელადი. ზაალ, მობძანდი. *(ცოტა დაიგვიანებს და მეორეთ კიდევ ეტყვის)*

ბელადი. იარაღს ნუ იხსნით, აგრე იარაღით მობძანდი.

ზაალ. მეც კარგათ გენდობოდით უიარაღოთ. *(ამასთან ბელადი ტომრიდგან რომ ჩამოვა, პატარა ხანს უკან ზაალ მოვა ტომარასთან, აქედგან ბელადი და ვაჰათა ხელს მიანვდიან და იარაღ ახსნილს გადმოიყვანენ, რომ ხანჯალიც აღარ აკრავს)*

ზაალ. გამარჯვება თქვენი.

ყველანი. გაგიმარჯოს, ზაალ.

ზაალ. ბატონმა ერეკლემ მოგიკითხათ ყველანი.

ყველანი. ღმერთმა ადღეგრძელოს.

ზაალ. შემოგივალათ: „მართალია, სანგარში სხედხართ, მაგრამ მე არ გამიჭირდება მაგისი ალებაო. თუ თქვენი თავის მორჩენა გინდათ, იარაღი დააწყევით, უიარაღოთ მოდით ჩემთან, არას გავენებთ“.

ყველანი. აქ გავწყდებით, იარაღს კი არ დავანყოფთ უომროთა.

ბელადი. მოიცადეთ. – იარაღის დანყოფა არ შეიძლება, მაგრამ ნება მოქვცეს, ავიყრებით და ჩვენ ქვეყანაში წავალთ.

ზაალ. არ ინებებს, ტყუილათ ფიქრობთ მაგას.

ბელადი. ჩვენც მზათა ვართ საომრათა, მობძანდეს.

ზაალ. ბატონმა ერეკლემ მიბძანა, ბევრი არ გელაპარაკოთ.

ბელადი. იმის ნება არის.

ზაალ. მამ, მშვიდობით.

ბელადი. მშვიდობით. *(ზაალ გამობრუნდება. ტომრებზედ ასასვლელად ბელადი და ვაჰათა ხელს მიამველებენ ზაალს. გადიყვანენ. ის იქიტიკენ წავა და ესენი გამობრუნდებიან)*

ბელადი. აბა, ახლა თავგამომეტებით მოვემზადნეთ საომრათა, თორემ ჩვენ იმათ ვერ გაუმაგრდებით.

ყარაული. მარტო მე ვეყოფი იმათ. რასამბობ?

ბელადი. ბევრს ნუ ლაპარაკობ შენ. დროისათ მიუსხედით მაგ

ტომრებსა; აგე, ცხენები ბალახზე მიუშვეს საძოვრათა. – თვითონ სულ დაქვეითებული წამოვიდნენ ჩვენზე. (ამასთან ბელადი მივა და ბაირახს მოუდგება გვერდით)

ბელადი. ყური ჩემკენ გქონდეთ. რაც გიბძანოთ, ისე მოიქეცით. (ამდროს ერეკლე თავის ქართველებით მოვა მთის ძირში. ერეკლე წითელი ტანისამოსით არის, თავზე თეთრი ქუდი ხურამს და ოქროთი შეჭედილი იარაღი აკრავს. ეგრეთივე შეჭედილი დამბაჩა წინ სარტყელში ურჭვია და იმისი თოფი იმის მოსამსახურეს უჭირავს, რომელიცა თავზე ადგას. იმისი ჯარის კაცი ქართველები სულ თეთრ მოჭრელოს ყალანქრის ახალუხებით არიან უჩოხოთ, წითელ აბრაშუმის შალვარში ჩამსხდარნი ყვითელი სათავეთი. ამათ სულ ვერცხლით შეჭედილი იარაღი აქვთ. თავზედაც ლურჯი ქუდები ხურამთ. ერეკლე მთის ძირში თავის ბაირახს დაარჭმევიანებს, თვითონ იმის ძირში დაჯდება მწვანეზე ფეხებ გაშლილი. ბაირახი სრულიად წითელია, ერთმხარეს ღვთის მშობლის ხატია და მეორე მხარეს წმინდა გიორგისა. – თავის სულერთიან ქართველები აქეთ იქით მოუდგებიან თოფებზე დაბჯენილი. – ერეკლე ზაალს უბძანებს)

ერეკლე. ზაალ! – ოცი კაცი წაიყვანე, ჯერ პატარახანს კინკლაობა დაუწყე და ხანდისხან თოფს ესროდეთ, მაგრამ გაფანტული გყვანდეს შენი ჯარის კაცები; ერთს ადგილას ნუ დადგებით, – თოფი ტყვია არ მოგხვდეთ უბრალოთ და მასუკან მე ვიცი. –

(ზაალ ოც კაცს წაიყვანს; სანგრის პირის-პირ მივლენ გაფანტული და თვითეულ თოფს ესვრიან ხანდისხან. აქედგანც ბელადი დაუძახებს თავის ლეკებს)

ბელადი. ნუ გეშინია, მაგრა იყავით ყველანი. ხანდისხან თოფსაც ესროდეთ, მაგრამ იერიში რომ მოიტანონ, ერთიანათ მიაცარეთ. იმედი მაქვს, ვერას გვიზმენ.

(ამაობაში აქედგანაც და იქიდგანაც გადის თოფი ხანდისხან და თან ლეკები იძახიან).

ლეკები. ვალაჰვი, არ გვეშინიან. მაგრა იყავით, ბიჭო.

(იქიდგანაც ის მოკინკლავე ქართველები იძახიან)

მოკინკლავე ქართველები. ბატონო ერეკლე, ნება მოგვეც, გადავლახოთ ეს ლეკები.

(ერეკლე ხმა მაღლა)

ერეკლე. ჯერ დრო არარის, არა.

(ამ ამბავში რომ იქნებიან. ამდროს ნახვენ, მაღლა მთიდგან შემოკალთავებული*, თალხის ტანისამოსით; მარჯვენა ხელში

* მაშინ გაყოფილი კაბები ეცოთ ქალებს.

გაშიშვლებული ხანჯალი უჭირავს; ეს არის თამარი. მთიდგან ამსახით ჩამოირბენს, გვერდით ქალაღლისა მოსდევს ეგრეთვე ხანჯლიანი. – უკან ნინიკა და მოსამსახურები მოსდევენ ხმალ მოსმულები. ერეკლეს და იმის ქართველებს გამოუბრუნენ ნინა და სანგრებზე მივლენ ასაღებათ. ამის მნახველი ერეკლე წამოხტება, ხანჯლიანს ქალს დაიჭერს, თვითონ წინ წაუხსნობს და ქართველებს შემოსძახებს)

ერეკლე. დაუყოვნათ ავილოთ სანგარი, (ამასთანვე სულერთიან ხმლებ მოისმენ, წინ ბაირახი მივა, მარჯვენა გვერდით ერეკლე მიჰყვება ხმალმოსმული, მარცხენას მხარეს ხანჯლიანი თამარი, აქეთ იქით ხმლებ მოსმული ქართველები და სანგარზედ მივლენ. სანგარს რომ დაუახლოვდებიან, ერთიანათ წააყრიან ლეკები თოფსა, მაგრამ ქართველები არ შედგებიან და სანგარზე გადავლენ, მაგრამ ზოგიერთებს დასჭრიან და სისხლი გადმოსდით ტანიდგან სხვადასხვას ადგილებიდან. ამაში დიდი ხმიანობა და ძახილი არის. რამწამს სანგარში გადავლენ, მაშინვე ლეკები გაიქცვიან და აქეთ იქით დაიფანტებიან. ზოგიერთი ხმლისნაცემი მკვდრებიკი იქ დარჩებათ ლეკებს. – ერეკლე ხმალს ჩააგებს და ქართველებს ეტყვის)

ერეკლე. მაგ გაქცეულ ლეკებს მიჰყევთ უკან, ვინც დაიჭიროთ, ერთს ადგილას შემოკრიბეთ, ქალაქს უნდა გაიგზავნენ.

ზაალ. ბატონი ბძანდები, შეინჭიმე. (და გავა. თან ნახევარი ქართველები გაჰყვებიან. მასუკან მობრუნდება და თამარი მოახსენებს ხანჯალ მჭირავი)

თამარი. ჩემო ხელმწიფევ, მამილოცავს გამარჯვება.

ერეკლე. ეჰ, ჩემო ნათესაო თამარო. შენ იყავ, რომ ხანჯლიანმა ჩამამირბინე?

თამარ. მე გახლდით, შეინჭიმე.

ერეკლე. მაშ, დღევანდელი გამარჯვება შენ გეკუთვნის. მოდი, გულზე მაკოცე.

(მივა და გულზე აკოცებს. მასუკან ნინიკა მივა, ხელზე აკოცებს და მოახსენებს)

ნინიკა. მეც მამილოცავს გამარჯვება, ჩემო ხელმწიფევ.

ერეკლე. მადლობელი ვარ, ნინიკო. ამას იქით ჩემთან უნდა იყო, ჩემს ამაღაში, განუშორებლათ. კარგი ვაჟკაცი ყოფილხარ. (ნინიკა სიხარულით მივა, ხელზე აკოცებს და მოახსენებს)

ნინიკა. მადლობელი გახლავარ, ჩემო ხელმწიფევ, მაგისტანა დიდი მონყალეებისათვის.

(ერეკლე მიუბრუნდება და თამარს ეტყვის)

ერეკლე. თამარო, აქ რასაკეთებთ?

თამარი. ამ პაპი ჩემის და იმისი ძმების საფლავების თაყვანი საცემლათ გაიხელ.

ერეკლე. ოლონდაცკი, ღირსნი არიან თაყვანისცემისა. *(მივა, იმათ წინ დაემხოა და მოწინებით თორმეტსავე ემთხვევა. მას უკან წამოდგება და ეტყვის).*

ერეკლე. თამარო, თქვენი ქმრის ამბავი არა იცირა?

თამარი. აქამდისინ არაფერი, მაგრამ ეხლა ერთმა მოხუცებულმა მომიტანა იმისი მშვიდობის ამბავი. დაუბარებია და წასვლასაც ვაპირებ.

ერეკლე. გზაზე არ გეშინიანთ, მერე?

თამარი. თვით იმ მოხუცებულს მივყევარ.

ერეკლე. ვინ არის?

თამარი. ბერუა ჰქვიან და დავრიშათ დადის ყველგან.

ერეკლე. ოო, იმასთან ნურაფრისა ნუ გეშინიანთ. საკვირველი კაცი არის ის ბერუა! გარდა ამისა, ახლა დიდათ დაგვიმეგობრდა ნადირშა, მაგრამ, ნეტავი, მითხრა, ის დავრიში სად იქნება ეხლა?

თამარი. მგონია, სადაც არის, აქ გაიხლოთ.

(ამდროს დავრიში შემოვა და დაიძახებს)

დავრიში. ჩემს ირაკლის* გაუმარჯოს.

ირაკლი. ჩემი დავრიში! *(და გაექანება. დავრიში ერეკლეს გულზე მიიკრავს და მასუკან ეტყვის)*

დავრიში. მამილოცავს გამარჯვება, ირაკლი.

ირაკლი. მადლობელი გახლავარ, პატივცემულო დავრიშო. დიდი ხანია, აღარ მინახვიხართ?

დავრიში. მართლა დიდი ხანია. გახსომს, ჩემი ლაპარაკი, ჩემო ირაკლი?

ირაკლი. სულწვრილათა მაქვს დახსომებული. ფშავში რომ იყვნენ დახიზნული ჩემი დედამა დიდი შიშის გამო საქართველოში, მაშინ, იმ დროებში, თქვენ ხომ იქ მობძანდით და ორი თვე ჩვენთან დარჩით?

დავრიში. კარგათ დაგხსომებია.

ირაკლი. აი, კიდევ რა მახსომს თქვენგნით. – მამა ჩემს მეფე თეიმურაზთან რომ მობძანდებოდით და კეთილ საგანზედ დაიწყებდით უბნობასა, თქვენი ლაპარაკი სხვა არა იყორა, სულ კეთილზე გქონდათ ლაპარაკი. ის თქვენი უბნობა, სრულებით დანერგილი მაქვს გულში.

დავრიში. კარგათ, კარგათ დაინერგე, ჩემო ირაკლი. პირვე-

* ზოგი ირაკლის უძახდა, ზოგი – ერეკლეს. დიდი კაცნი უფრო ირაკლის და მდაბალნი ერეკლეს, ნამეტნავათ მთის ხალხნი სულ ერეკლეს.

ლი სწავლა ის არის კაცისათვის, ერთი ერთმანეთსა კეთილად ექცეოდნენ და კეთილს შესძღვნიდნენ. ეს არის ვალი კაცობრიობის ბუნებისა.

ირაკლი. ოლონდაც, რომ მართალია. –

დავრიში. კიდევ რა გახსოვს, ჩემო ირაკლი?

ირაკლი. თქვენ რომ წამობძანდით, მამაჩემი დედაჩემს უანბობდა, ვინაობას, სადაურიცა ხართ და, ანუ ვინა ბძანდებით?

დავრიში. მე მაგას არა გკითხავ?

ირაკლი. მერწმუნეთ, ის თქვენი სიტყვა აღარავინ არ იცის.

დავრიში. ვიცი, ვიცი, ჩემო ირაკლი. აბა, კარგათ მოიგონე, კიდევ რა გახსოვს?

ირაკლი. დიახ, დიახ. – ერთხელ ერთს დილაზე, ჯერ მზე არ იყო ამოსული, მე ათი წლის ყმანვილი რომ ამიყვანე ერთს უმაღლეს მთის წვერზედა.

დავრიში. სასიამოვნო არის ჩემთვის. – აბა, მოჰყევ?

ირაკლი. თქვენ რომ იმ მთის წვერზედ დაჯექით და მე გვერდით დამისვით. ამდროს იყო მიწურვილი ზაფხული, დამშვიდებული ჰაერი განისვენებდა მთებზედ, ამდროს მზემან დაიწყო ამოსვლა და თავისი შარავანდედი მთებზედ გადმოაფინა. – ამასთან ირემმაც დაიძახა შორეულის მთიდგან და რამეთენთამე ჯიხვებმა ჩამოგვირბინეს წინა.

დავრიში. დიახ უცხოთ მიანბობ, მასუკან?

ირაკლი. მასუკან საქართველოზედ ხელი რომ მიიღეთ და თქვით. – „აგე, იმ შენი მამაპაპის ქვეყანას რა არ გამოუცდია: ბედნიერება – ცოტა, და უბედურობა – აუარებელიო.“

დავრიში. ათი წლის ყმანვილს მართლა კარგათ დაგხსომებია.

ირაკლი. კიდევ ბძანებდით, „კარგათ იცოდე. უბედურობაში ჩავარდნილი ის შენი მამაპაპის ქვეყანა ახლა იმ უკანასკნელ განწირულებაში არის, რომელსაზედაცა ოსმალო დასწოლია გულზედ, უნდა შინაგანი აგებულება ამოგლიჯოს: როგორათაც ლომმა მშველის შინაგანი, და სპარსიკი თავზედ დასჯდომია: როგორათაც წანყმენდილსა სულთამხუთავი სულის ამოსართმევათაო.“

დავრიში. ჭეშმარიტად კარგათ მიანბობ ჩემ სიტყვებსა.

ირაკლი. კვალად მახსოვს და მითხარით, „ამისთანა საშინელება დასცემია იმ შესაბრალისს და მწარეთ სატირელსა თქვენსა მამაპაპის ქვეყანასა, რომელიცა მშველელი ღმერთიც აღარ არისო.“ (ამასთანვე მწარეთ ატირდება ირაკლი და თვალებზე ხელცახხოცს მიიფარებს)

დავრიში. ღმერთო! არ შეიბრალებ ამ განწირულს ქართველებსა?

(აქ ირაკლი თვალებს მოინმენდს და მასუკან იტყვის)

ირაკლი. შემდგომ წამოდექით, მე გულზედ მიმიკარით და საცოდავის ხმით დაიძახეთ, „აჰა, ღმერთო, უბედური მამულის ძე! შენთვის მამირთმევია ეს ათი წლის პატარა, ამ უმაღლესის მთის წვერიდგან, შენს საფარველს ქვეშ. – აჰა, ღმერთო! ახლა შენ იცი და ამ პატარამ, როგორც უპატრონეფო.“ ამასთანვე მომატებულით სიტყვა ველარა თქვით გულმტკივნეულმა; ქვითინი ამოუშვით და მეც სანყლად ავტირდი თქვენთანა ეს რომ გაათავა ირაკლიმ, დავრიშმა თვალებზე ხელი მიიფარა, ირაკლიმ და თამარმა ბაღდადის ხელცახოცები და ჯარის კაცნი თოფებზე დაეყუდნენ უწყალოდ და დაღონებულები. *(ამ მწუხარებიდგან რომ გამოვლენ, ირაკლი გულმტკივნეულად ეტყვის დავრიშს)*

ირაკლი. ერთი კიდევ მაკუროთხე და ჩემი ქართველებიც დამილოცე თქვენი გულმხურვალეს ვედრებითა, რომლებიცა ყოველდღესა საშინელსა მტრების ცეცხლში ვიმყოფებით ჩვენი მშობლის მამულისათვის.

დავრიში. მოდით, ამ საფლაებთან აქ ყველანი *(ყველანი მივლენ. ირაკლი ცალს მუხლზე დაიჩოქებს, დავრიში მარჯვენა ხელს თავზე დაადებს. თამარი გულხელდაიკრეფს და ირაკლიზე ცოტა მოშორებით უკან დადგება შენუხებული. მეომრები თამარის უკან დადგებიან თოფზე დაბჯენილები თავ დახრილი და დაღონებულე-ბი. აქ დავრიში მოჰყვება)*

დავრიში. ოსმალოელებისაგან დახოცილი ამ თორმეტის ძმების მადლი იყოს შენი და შენი ქართველების შემწე, რომლებთანაცა სხვა ორი ათასი ქართველი მოკვდა. თუმცა სულერთიანათ ისინი აქ განყდნენ, მაგრამ ექვსი ათასი ოსმალოც თან ჩაიკლეს და იმათგანი მაგთენი აღარავინ აღარ წავიდა, ისიც მძიმეთ დაჭრილები. ამისი მონამე ვარ მე. – იმ საშინელს დროს, აგე, იმ მაღალსა მთაზედ ვიჯექი და მწარეს ცრემლით ვტიროდი, მაშინ, როდესაც რომ, ერთს ნაბიჯსა არ უთმობდენ ქართველები, და ადგილობრივ იხოცებოდნენ, ისე როგორათაც ჭეშმარიტი მამულის ძე! – ამათი მადლი გიძლოდეს შენ და შენს ქართველებსა. როგორც ამათ შეიძინეს მამულის მონამეობის გვირგვინი, იმისთანა გვირგვინი თქვენ დაგედგასთ ბრწყინვალე ზეცისა. *(ამასთან ირაკლი ხელზე აკოცებს და მასუკან ადგება. ამასთანვე ქართველები მარჯვენა ხელს ზეცას გაუშლიან და ამბობენ)*

ქართველები. ღმერთმა ინებოს. – ღმერთმა ინებოს.

(ეს მესამე ამბავი ამითი დასრულდება)

დავრიშ ბაბას მოსვლა რომ გაიგონეს იმ კუნძულის ქალაქის ერთა, საჩქაროთ შეიყარნენ ქალნი და კაცნი, წალკოტის კარებში მიეგებნენ მაშინ, როდესაც რომ გამომგზავრებული იყო თავის გზაზედ, ჯერ მონინებით ყველამ თავყავნისცეს, მასუკან ქალაქის შუა მეიდანში ჩაიყვანეს და ქადაგებას მოჰყვა. – იმისი საუცხოვო სიტყოვნება გადაეფინა ერსა და იმათი ყურადღება მიიქცია თავის ქადაგებაზე. ბოლოს იქ რომ ჩავიდა და კეთილ საგანზედ დაიწყო ქადაგება, ამდროს ხმა შეიმაღლა და გულმხურვალედ გადმოთქუა თითვეული სიტყვა, სადაც აქ ერთიანი ძრწოლა შეიქნა ხალხში. ყოველმა სულმა გულმტკივნეული ტირილი ამოუშო და მწარე ცრემლის ფრქვევა დაიწყეს. იმ დავრიშმა გააგძელა ქადაგება და ხალხსაც ტირილი არ მოეწყინა. ბოლოს დაასრულა თავის ქადაგება და შემდგომ თავის გზასა გამოემართა, რომელიცა მოუბნობდა ამას გზაზედ: „ოჰ ღმერთო! გადმოავლინე სიბრძნე შენი ქვეყნისა ერზედ, რომ ყოველმა ადამიანმა კეთილი ისწავლოს და ურთიერთსა შესძღვნიდნენ იმ კეთილსა. თორემ ბოროტი დანთქამს კაცსა: ვითარცა მგელი უმანკოსა კრავსა. სად არის სიკეთილე? – მხოლოდ ზეცასა, – სადა არის ბოროტება? – ბოროტება აღმოცენებული არის კაცის გულზედ, რომლისაგანაცა სული იტანჯება, არა არის საშუალობა, რომ ძირიანათ ამოიღებოდეს აღმოცენებული ბოროტება კაცის გულისაგან? – ძალუძს კაცის გონებასა და დიახ ადვილათაც. მაშინ კაცობრიობა განინმინდება ყოვლის ბოროტების საზიზღარებითა და ზეცით გადმოვლენილ უუნმინდეს სიკეთილეში დაიწყებს განცხრომასა.“ თავჩაკიდებული მოხუცი დავრიშ მივიდოდა გზასა მარტო და ამას ანობდა თავისთვის. ეს დრო იყო დილა, ახლად გათენებული. – ამდროს მალლა აიღო თავი და მარცხნივ მოიხედა.

თვალი დააკვირვა და მეტათ შორიდგან დაინახა მთა, რამთენი საუკუნოების დადებული თოვლი ზედა და ყინულად გადაქცეული დროიდგან დრომდისინ, რომელსა ზედაცა ახლად მისდგომოდა მზის სხივი და სპეტაკათ ბჭყვრიალებდა მომატებული სითეთრითა.

„ესეც არარატის მთა, ნოეს კიდობანის სადგური“, რომელიცა დაემხო დავრიშ ბაბა და იმსიშორეთ თავყავნისცა იმას. – „აჰა! იქიდგან გადმოვიდა კაცი ნოე და ხელ მეორეთ გააშენა ქვეყანა კაცის სიმრავლითა, მაგრამ ეგრეთივე ბოროტები, როგორიცა წარსულში იყვნენ. მომაკვდაო კაცო, დრო არის ბოროტება განაგდეო, თორემ უდიდესსა რისხვას ამზადებს ჩვენთვის ღმერთი!!!... – მაშინ იქნება მეორე ნოე აღარ მოსცეს სოფელს და გაოხრებული დააგდოს საუცხოვო ქვეყანა ესე ჩვენგნით განრისხებულმა და მოთმინები-

საგან გასულმა ღმერთმა?“ – დამხოზილი მოხუცი ამას ფიქრობდა და კაცობრიობისათვისა ცრემლსა ღვრიდა თუალებიდან. კარგათ რომ მოიოხა გული ტირილითა, შემდეგ წამოდგა და თავის გზასა გაემართა. – ნახჩოვნიდან ყარაბახს, ყარაბალიდან განჯას, განჯიდან მტკვარი განვლო და ქიზიყ კახეთისაკენ წამოვიდა, – ეს აქ გზაში მიმავალი გაუშოთ და ახლა სხვას მოვეყვით.

მეოთხე ამბავი.

ნითელის მოუდით მოკრული ტახტრევანდი მივიდოდა აქეთ იქით გვერდებზე, პატარა მინის ფანჯრებიანი. იმ ტახტრევანდში გაშლილ ქეჩაზე ქვეშაგები, ზედ იმაზე წამონოლილი თამარი, და ბალიშზე დაყრდნობილი იდაყვითა, ეალერსებოდა თავის ორს შვილებსა და ისინიც გამხიარულებული ეტიტინებოდენ დედას. თუ მდინარე წყალი დახვდებოდათ, დავრიშმა ადრიდგანვე კარგათ იცოდა იმის ფონი, იმ ფონში გაიყვანდა თამამათ და თვითონ დაკარნახებული მიუძღვებოდა წინა. – ამ წესიერებით მივიდოდნენ გზასა გძელსა. – რამთენსა მწუხარებაში გამოვლილი თამარი, ასეთს სიხარული იყო ახლა; მხიარულ ტანისამოს ჩაცმული, რომ იმისი გული რამთენრიგათ ეცვლებოდა სხვადასხვის ბედნიერების ფერით..... ტახტრევანდში მოლას კუთხეს თანა იჯდა თამარის მოახლე ლამაზი ქალაღისა, მოშავთვალწარბო და სიამოვნით შეჰყურებდა იმათ ალერსს. თავსა და ბოლოსა ტახტრევანდში იყო შებმული ორი ღონიერი, მაღალი ნითელი ჯორები, მოყომრალო ფალანდადგმულები, წინ შებმულსა ჯორსა მიუძღოდა ერთი მოლურჯო-ცხენიანი მოსამსახურე და უკანაც სხვა მოშავო ცხენიანი მოსამსახურე. ამათ ცხენებზე დადგმულსთ უნაგირებზე იყო აკიდებული დიდრონი ხურჯინები საგზაოს საჭიროებით სამსე, რომლებიცა უნაღვლეღად მიერეკებოდენ ჯორებს და თავიანთ ცხენებსაც, მაგრამ იმათ მონინავეს მოხუცებულზეკი ჯავრობდნენ ცოტათ იმის ჩქარა სიარულზე, რომ ძლივ მისდევდნენ იმას და ხშირად ეხვენებოდნენ, ფეხი დაენწყნარებინა. – ის თეთრ ხილიანი მოუბრუნდებოდა ღიმილითა, ტახტრევანდთან მივიდოდა, ტახტრევანდის ნითელ სალაფარდას გადასწევდა, თამარსა თავის შვილებით მოიკითხამდა და მრავალს სანუგემოს სიტყვას ეტყოდა იმათ. თამარიცა პატივისაცემით და კრძალვითა შეითვლიდა იმის ნუგეშეული მივიდოდნენ უშიშრათა. – იმათ მიმავლობაში ის ბერუა ქალაქებსა, სოფლებსა ერიდებოდა და გვერდსა უქცევდა ხოლმე, ამისთვის რომ ქალაქის ხალხი აღარ მოასვენებდნენ და დევნას დაუნყებდნენ. თუ ნუზლი დასჭირდებოდათ, სპარსეთში გაზდილს

სპარსულ თათრულს მცოდნეს მეოსამსახურესა გაგზავნიდა, თან დარიგებას მისცემდა; რაც დასჭირდებოდათ, იმას გამოატანინებდა და თვითონკი არც ერთს მიწუტს არ შორდებოდა ტახტრევანდსა, ასე გაფრთხილებით მიჰყვანდა ისინი. იმათი სადგომი მინდორი და წყალისპირი [იყო]. ასეთი ხელძალიანი მოხუცი იყო ის დავრიში, როდისაცა დასაბანაკებლად დადგებოდნენ შუადღის დროს და ან საღამოზედ, ის დავრიში ტახტრევანდის დირაგებსა ერთმხარეს მარტო ასწევდა და მეორე მხარეს, ის ორი მოსამსახურე. ასე გაფრთხილებით ჩამოიღებდნენ ტახტრევანდსა ჯორებიდგან და ასე გაფრთხილებით დასდგამდნენ ქვეყანაზე, რომ თუ ტახტრევანდში ეძინებოდა, არცკი გაიღვიძებდა. – ორ დირაგიანს თეთრ კარავს ხომ, ხან გამოუშვებლივ დასდგამდნენ შეკრულ ყურსავითა. – რაც ის ორი მოსამსახურე ერთმანეთს ეხმარებოდნენ, მარტო ის მოხუცებული ირჯებოდა. თუმცა იმის სიმდაბლეზე დიდათ სწუხდა თამარი, მარამ ხმა ვერ ამოელო შიშით, იცოდა, დიდათ აწყენინებდა. – მოახლეც დადგმულს კარავს მოჰყვენდა საგზაუროს საფენითა, შიგ თამარი შევიდოდა თავის ორის შვილით, ზედ ზდილობის ყოფაქცევით დაჯდებოდა და თავის ორ შვილსა აქეთ იქით მოისხამდა გვერდით.

აჰა, განვალს ნახევარი სპარსეთი და ქ. თეირანსა დაახლოვდენ. იმათი სიარული დიახ კეთილჰაერით იყო. აქ ამ მწვანოვანსა და წყაროიანს მინდორზე რომ გადახდნენ და დაიბანაკეს, იყო საღამო, კეთილ ჰაერიანი სიწყნარე და განწმენდილი ზეცა ბრჭყვიალებდა ვარსკვლავებით.

ამ საუკეთესოს დროსა, ერთ მხარეს კარავი დადგმული, იმის სალაფარდა ჩამოხსნილიდგან აპკურებდა თამარი ცოტა მოშორებით ანთებულსა ცეცხლსა, რომელსაცა ეჭიკჭიკებოდენ შვილები და წყნარი ქალღმერთსა იმათ შეჰყურებდა, იმათ ცოტა მოშორებით მჯდომარე, სააფენის პირზე. ამ დროს ჟამსა კარზე რაღასაც აკეთებდა დავრიში, ცოტა მოშორებით კარავზე. დავრიშს ფანოსი ჰქონდა ერთი მაგარი მინისა სისხლსავით წითელი, – მოყვანილობა ჰქონდა ეხლანდელი შაქრის თავსავითა და თითქმის იმოტენაც იყო. ჯერ ანთებული მოდიდო კელაპტარი მოიტანა, წმინდა სანთლისა, – პატარა ვერცხლის შანდალში ჩასმული და დედამინაზე დადგა. ის მინა ჩამოადგა ზედა და იმისი ბრწყინვალე სინითლე მოედო არესა! შორსა გაანათა. მერე ქვები შამოუნყო ძირზე, რომ არ გადაქცეულიყო. დაჩხვლემილი ვერცხლის ხუფიც დაადგა თავზედა, რომ წვიმა არ ჩასულიყო და სანთელი არ გაექრო. – ამ მინიდგან, იმ სინითლის სინათლე ეს იყო, რომ ნიშანათ ჰქონდა დავრიშს. როდესაც ღამე დარჩებოდა კარზე, იმას ანთებდა; იმ სი-

ნათლზე იცნობდნენ, დავრიში იყო და უდროვით ველარავინ ველარ მიუდგებოდა, არა ავი და არა კაი კაცი, ასეთ პატივისცემდენ მას. – ამას რომ მორჩა, კარავში შევიდა, – ისინი კრძალვით წამოუდგნენ ზეზე. – ამან ისინი მოიკითხა და თამარმა მაღლობა მოახსენა. წვრილი ყმანვილები მივიდნენ და მონინებით ხელზე აკოცეს, მოხუცებულმაც დალოცა ისინი, მერე დასხდნენ თავის ადგილს და მოხუცებული იმით პირდაპირ დაჯდა ქეჩაზე. ამ დროს ორი ვერცხლის მოდიდო ფისოსები შემოიტანეს ზეთით სავსე მოსამსახურებმა და პატრუქზე ანთებული იქ შუა რიგზე. შემდეგ მოიტანეს სანოვაგე და ამასთანვე დაინყო მუსაიფობა დავრიშმა, ხან მრავალი აცინა ისინი, ხან სხვისა და სხვის ისტორიით შეაქცია, ხან სხვისა და სხვის წვრილმალის ამბითა, ხან ბრძნულის სიტყვიერებითა და თან სანოვაგეს მიირთმევდენ. ყოველს საგანზე მიუთხრობდა ამბავს და ასე გაიერთა თავის საკვირველს უზნობაში, რომ გაშტერებით შეჰყურებდენ, უნდოდათ, აღარ გაეთავებინა ლაპარაკი. – ამათ მუსაიფობაში მოსამსახურემ ვახშამი მოხარშა, ბოზართმა ცხვრისა, ფლავი ყაურმისა და მწვადებიც მოუნყო გვერდით. მეორე მოსამსახურემაც ვახშამი მიართო დახატული ხონჩებითა ზედ ლავამ დაწყობილი, ლავამებზედაც ენყო ხელსანმენდი ხეცახოცები, თეთრმოჭრელო შეკეცილი, და თავთავისა ჩინურის ჭურჭლებითა. ამასთან იმ მოსამსახურემ ხელი ჩამოაბანინა ჩვეულებისამებრ სადილის წინ მხოლოდ წყალით, და სადილის შემდეგ უფრო სხვა გვართ. – ამ დროს წვრილყმანვილებს ეძინათ, ქალსა დედის მუხლზე, ვაჟსა მუახლეს მუხლზე და ლამაზათ ფშვინვიდნენ, მაგრამ ვახშმისათვის გააღვიძეს და ისინიც მამაცურათ დასხდნენ, დედისა და მუახლეს შუა. – ვახშამიც უცხოს მუსაიფობით გაატარეს და კარგათ შეექცნენ. – შემდეგ ვახშმისა მოსამსახურემ პატარა ვერცხლის ტაშტი შემოიტანა, – ალთაფა, წყალით სამსე და პატარა, ნალბანქზე დადებული საპონიც მარანდულისა, რომელთაცა თავაზისა რიგით დაიბანეს ხელი.

ჯერ დავრიშმა, მასუკან თამარმა, მერე ყმანვილებს დააბანა მოახლემ, შემდეგ კიდევ დაინყეს მუსაიფი. იმათ მუსაიფობაში, მოსამსახურებმა ვახშამი გათავეს. ვახშმის დასრულებისთანავე დავრიში წამოდგა, თან ყველანი წამოუდგნენ ფეხზე და როგორც პირველისა წესიერებით შემოვიდა დავრიში, იმ წესიერებით გაიყარნენ, მხოლოდ ეს იყო მეტი, რომ ღამე მშვიდობა დაატანეს. რომ გაეყარა, მუახლე მივიდა, კარვის სალაფარდა გააბა, და სრულიად მოზღუდა კარავი, იქიდგან გამობრუნდა, სამი საგზაო პატარა ქვეშეგები გაშალა ერთიერთმანეთთან ახლო მიგებული, ქვეშაგების გაშლის დროსა თამარმა თავი მოიხადა და სალამური თალხი ჭრე-

ლი თავსაკრავი მოიკრა თავზე ქოლიხანათ. მასუკან ყმანვილები დააყენა კრძალვით თამარმა, და მცირედი ლოცვა ათქმევინა. იმათ ლოცვის დროსა, მოახლემა თავი მოიხადა საჩქაროთა და ეგრეთივე ქალიხანა მოიკრა [თა]ვზე, ისეთი, როგორიც თამარმა. მერე ტანისამოსი გახადეს ყმანვილებსა და დაძმანი ერთათ დააძინეს შუაქვეშაგებში. – იმათ დაძინებისთანვე ამათ დაიჩოქეს და ცრემლით ილოცეს გულმხურვალედ. შემდეგ წამოდგნენ და მარჯვნივ ქვეშაგებში ჩაჯდა თამარი, რომელმაც ჯერ კაბა გაიხადა, მასუკან ახალუხი, წითლის მოვიხა პერანგითა დარჩა, მერე ფეხებიდგან წითელი წულები გაიძრო და შემდგომათ მუახლესაც უბძანა დანოლა. – მუახლე დიდათ უყვარდა თამარს, თამარის ძიძის ქალი იყო და ერთი ძუძუთი გაზდილები. გარდაამისა, იყო უმანკოებით სავსე, წყნარი, მშვიდობიანი, კეთილი და ქალბატონის დიდის ერთგული. იმის სიყვარულისათვის აღთქმა ჰქონდა ღმერთთან, ქმარი არ შეერთვო, ამისთვის დიდად უყვარდა თამარს და ამხანაგურათ ექცეოდა ყოველთვის.

იმთენს მწუხარებაში გამოვლილი თამარი, ახლა სიხარულით ატაცებული, თავის ქმარსა ნახავდა, მოუნდა სიცელქე, თავის მოახლეს გადმოხედა ყმანვილებს იქით, თავის ქვეშაგებში ჩანოლილსა წითელ მოვ პერანგიანს, რომელმაცა შავი მბზინვარე თავისი გძელი დალალი გადმოჰკრა, გადალელილ მკერდებზედ და ცოცხათ ატკინა.

– „კიდევ მოჰყევ?“ – მოახლემ უთხრა. მეორეთ კიდევ გადმოჰკრა და მეორესთვისაც უთხრა. – „კარგი ახლა, დამაძინე და შენც მოისვენე, დაღალულები ვართ.“

მესამეთ დაბლა გაიცინა და კიდევ გადმოჰკრა.

– „ჰო, მოჰყევ? ქმრის სიყვარულით რომ ველარა გაგიარა.“

ასეთი გადაჰკრა, მართლა ძალიან ატკინა.

მოახლემ თავისი ყალანქრის საბანი თავზე წაიხურა და უთხრა:

– „აბა, ახლა რაღასა იქ, ხანდისხან რომ ასტყდები ხოლმე, შე მოუსვენებლო?“

თამარი წამოხტა თავის ქვეშაგებიდგან, მივარდა, იმის საბანს წამოჰკრა ხელი, სრულიად გადახადა და ხელები დაუჭირა, ამდგარიყო, მაგრამ მუახლე არ დგებოდა, ის ზევით ეწეოდა, ეს არ ანებებდა თავსა. თუმცა, ხელი დარია თამარმა, მაგრამ ზეზე ვერ წამოაყენა და ქვეშაგებიდგან გათრევა დაუნყო. მოახლემ თავისი მარჯვენა ტიტველა ფეხი თამარის მარცხენა ტიტველა ფეხს მაგრა დაადგა, თავისაკენ ძალიან გაინია და თამარი შეაყენა. თამარმა რომ ველარ დასძალა, ამანაც თავისი მარჯვენა ტიტველი ფეხი ქალღლისას მარცხენას ფეხს ადგა და ძალიან გადასწია, მაგრამ მაინც

ველარ დასძალა. – თამარი იქითკენ ენეოდა, ზეზე წამოეყენებინა ქალაღდისა, აქეთკენ ეს დაბლა დასწევდა და თავს არ ანებებდა. ამაში იყო მინევე მოწვევა ერთმანეთისა, თან ასეთი დაბალი სიცილი, რომ იმათი ბლლარძუნსიცილი კარავს გარეთ არ ისმოდა და ყმანვილებსაც განსვენებით ეძინათ. –

თამარი მაინც არ მოეშო ქალაღდისას, უფრო და უფრო გასწია. ქალაღდისაც გაუჭირვეულდა და ვერაგზით ვერ წამოაყენა. ერთმანეთის გაზიდვითა ის თეთრი საუცხოვო ხელები მეტის მოჭერთა ძალიან ატკინეს ერთმანეთსა. ის მშვენიერი თეთროსპეტაკი და ნაზი ფეხები ერთიერთმანეთზე მაგრა დაბჯენითა ასე გაუწითლეს ერთმანეთსა, ალისფერთა გადაექცათ. – რაც იმათ შეეფერებოდათ, ძალიან და ძალიან გასწევდენ ერთმანეთსა, მარამ არ იქნა, ვერა რომელმა ვერ დასძლია. – ბოლოს მეტის გაზიდვითა ხელები დაუსხლტათ, თამარი იქითკენ გადაიქცა და ქალაღდისა აქეთკენ, მაგრამ თამარი ისევე წამოხტა, მივარდა და თავისი დალალებით იმის ყელმკერდებსა დაუწყო ცემა და კარგათ ატკენდა.

ყელმკერდი რომ ატკინა, ქალაღდისამაც თავი გამოიღო, თავის შავმომბზინვარეს გძელ დალალებსა ხელი წამოავლო და თამარის ყელმკერდებსა დაუწყო ცემა. – იქიდგან სცემდა, ეს აქედგანა და თან ყმანვილურად იცინოდნენ, მაგრამ დიახ დაბლა. – მართლა, ასე კარგათ იმ მოატლასულ, სცემდენ, და განსპეტაკებულსა ყელმკერდებზე ერთიერთმანეთისას არიყო, რომ სინითლე არ დააჩნდათ ცოტათ. – ბოლოს როგორღაც მოუხდა თამარს, თავისი დალალები ხელიდგან გასცივიდა, ამდროს ქალაღდისამ ჟამი იპოვა, ცალის ხელით იმის დალალებს მოასწრო, სულ ერთიანათ მარცხენას მკლავზე გადაიხვია და მარჯვენას ხელით სცემდა თავის დალალებსა. აქ თამარი მივარდა, თავისი ხელები მოახვია ქალაღდისას წელსა და მაგრა მოიზიდა. ქალაღდისას ცემის ადგილი რომ აღარ ჰქონდა, დალალებს თავი დანება, ამანაც ხელები მოახვია წელზე და თავისაკენ მოიზიდა.

იმათ ჭიდილის დროს ის გადაღელილი იმათი სავსე მკერდები შეეჯახებოდნენ ერთიერთმანეთსა და ერთგვარი იმათი სითეთრე შეეზავებოდა ურთიერთსა საამოთა. ხანდისხან ის თეთრი მკერდები თავიანთი ჭიდილის მიქნევ მოქნევის დროსა ერთმანეთსა მიეყრდნობოდა და თავიანთის ლამაზის ბურთებითურთ და მეტის სინმინდითა ასე რიგათ აესმოდა ერთმანეთსა, როგორათაც უუნმინდესი ატლასები ერთიერთმანეთზედ აცურებულები.

იმათი მომბზინვარე შავი დალალები გადაჰფენოდათ მოშიშველებულ ზურგზე თავისი კონლებითა და იმათ მოძრაობაში ის დალალები იმ სპეტაკსა ზურგებზედა დაირბენდნენ სანატრელად:

როგორათაც დასდასობით ქურციკები თოვლიანსა მინდორზედა.

მეტად დაიქანცნენ ორნივე და ვერა რომელმა ვერ ნააქცია. ბოლოს თამარმა ფეხი გამოსდო ფეხში, მოგვერდზე უნდა წამოეგდო, მარამ თვითონ უფრო ადრე წაიქცა და ქალაღლისა ზევიდგან მოექცა. ქალაღლისამ მაშინვე ორივე ხელები ჰკრა თამარსა და ქვეშეგებს იქით საფენზე გადააგორა; ამასთანვე, მოტრიალდა, თამარის ქვეშეგებში წამონვა და საბანში გაეხვია.

დაქანცული თამარიც მივიდა, ქალაღლისას ქვეშეგებში დანვა და მანაც საბანი დაიხურა. მცირედ რომ დაისვენეს, ქალაღლისა ადგა და თამარს ხვეწნა დაუნო, თავის ქვეშეგებში დანოლილიყო, მარამ არ ადგა. „ჩემი ქვეშეგები შენს ქვეშეგებზე უკეთესი არარისო. ჩემო, ქალაღლისავ, ისევე სჯობია, ჩემი დალალების ყალანქრის პარკი აქ მამიგანო, ჩემი დალალები პარკში ჩავანყო, რომ დალალები ძილში არ დამეთელოს გადაბრუნგად მობრუნებაში.“

მინამ თამარი წამოფდებოდა, ქალაღლისამ პარკი მოარბენინა, დიახ გაფთხილებით, ხელზე დახვეული თამარის დალალები პარკში ჩავანყო და პარკზედ შემოკერებული ჰტყელი ზონარი უკან კეფიდგან შუბლზე შემოახვია, უკან კეფასთანვე მარყუშათ გამოჰკრა და პარკი კეფასთან დარჩა ცოტათ დაკიდებული. ამას რომ მორჩა, ქალაღლისამაც პარკში ჩავანყო თავის დალალები, სწორეთ ისე, როგორც თავის ქალბატონისა. შემდეგ მოსვენებასა მიეცნენ ქალბატონი მუახლეს ქვეშეგებში და მუახლე ქალბატონის ქვეშეგებში.

ეს აღწერილობა არც სასიამოვნოა და არც უსიამოვნო. ეს აღწერილობა ასე უნდა აღმენერა, როგორც იყო, რომ შეიტყონ უწინელს დროში როგორ გათამამებული იყვნენ მოახლეები თავის ქალბატონებთან, ან მოახლები როგორ პატივსა სცემდნენ ქალბატონებს და ან როგორი ერთგულნი იყვნენ იმათნი.

დავრიში რომ კარზე გამოვიდა, ნახა, მოსამსახურეებს მილაგებული ჰქონდათ, ცეცხლის პირას ისხდნენ და აქეთიქით იხედებოდნენ გაფაციცებულისა თვალებითა.

ყოველთვის იმათი მადრიელი დავრიში, ისინიც დავრიშის ბძანების აღმასრულებლები, უბძანა, დაეძინათ და დაიძინეს იქივე ცეცხლის პირას წამონოლილებმა. იმათ ძილის შემდგომ დავრიში მივიდა იმ წითელ მინასთანა, საიდგანაც განითლებული ბრწყინვალეა გამოკრთომილი იყო და მიდამოს არეზე მოდებული.

იმ თავის მამა პაპის სალოცავის წინ განკძალული დადგა, ვარსკვლავებიანს წმინდას ზეცას შეხედა; სრული ღმერთი გამოიხატა, რომ „ამ წითელ ნათელსავით ბძანდება, ღმერთო, საკვირველის ბრწყინვალეებითაო! რომელმაცა სრულიად ის წითელი სინათლე

ღმერთსა შეამზავასა, რომლისა წინაშე დაემხო. “მითამ ღმერთის წინაშე ვიმყოფები ახლად და იმას თავყვანსა ვცემო.”

კარგა ხანი დამხობილი იყო და ღმერთის დიდებაში შთავარდნილი სრულის გონებითა და სრულის გრძნობითა. გულხელდაკრეფილმა წამოიჩოქა, თვალ მოუშორებლივ იმ წითელს ნათელს შეჰყურებდა და გულმხურვალედ ეტყოდა.

– „სრულსა დაბადებულ კაცთა შორის რათ უნდა იყოს სიბოროტე? – რათა გარყვნილება? – რათა ბრძოლა? ანუ საჭურველი? – ბოროტის მაგიერად უნდა სუფევდეს კეთილი და სიბრძნე. – გარყვნილობის მაგიერ პატიოსნება და სიწმინდე. – ბრძოლისა და საჭურველის მაგიერ? – კაცის გონიერება და იმისივე ძლიერი ენა. – შენ, საკვირველო ნათელო ღმერთო! ერთი გადასაფრენი ქვეყანა კიდით კიდემდისინ რა გასაყოფია კაცისაგან, ანუ სხვადასხვა ენა და ანუ სხვადასხვა სარწმუნოება? – შენ, ზეცისა დამაარსებელო ღმერთო! – ვითარცა იმ შენს ზეცას საკვირველის წყობით განაწესე ვარსკვლავნი და ყველას თავთავისი მომდინარეობა მიეც, თავისის ჭეშმარიტის კანონიერებითა, ეგრეთვე, შენგნით დაბადებული კაცი შენ შეაერთე ქვეყანაზე, შენვე მიეც იმათ ჭეშმარიტება, თორემ კაცი თავისთავისათვის არა ფიქრობს და ვერც მიმხვდარა, რა არის ის.“ მთელი ორი საათი ღმერთს ევედრებოდა გულმხურვალედ დაჩოქილი კაცობრიობისათვისა, მაგრამ დასასრულზე აუარებელი ბოროტი რომ წარმოუდგა ქვეყანაზე, მაშინვე ცრემლები გადმოედინა თუალებიდან და ამ მდგომარეობით ცქერა დაუნყო იმ წითელსა ნათელს. ბოლოს გული რომ მოიოხა, თუალები მოიმშრალა ჭრელის ყალანქრისა ხელცახოციით და შემდეგ წამოდგა ზეზე, რომელმაცა თუალებითა გადიხედა აქეთ იქით.

კარვის მახლობლათ ჯარები და ცხენები დაინახა მოკლე თოკით დაბმული რკინის პალოზედა, – წინ ბალახი ეყარათ; სიამოვნით სჭამდენ და ლამაზათ ახრამუნებდენ. აქეთ მხარეს მოსამსახურეთა ეძინათ ცეცხლის პირს განსვენებით, რომელიცა მივიდა, ორივ გააღვიძა, უბძანა ახლა იმათ ედარაჯათ. მაშინვე წამოცვივდნენ და დარაჯობა დაიწყეს.

დავრიშმა დაიდასტურა, ახლა ჩემი ძილის დრო არისო; ოთხსავ კუთხივ თვალი მოავლო, ნახა სულ სიჩუმეს მოეცო ყოველი და წმინდა ჰაერი განისვენებდა. მოტრიალდა, კარავთან მივიდა, კარვის მახლობლათ წამოწვა მინაზე და განსვენებით დაიძინა. სწორეთ სამი ჟამი ეძინა.

სიყრმიდგან აქამომდე სამს სათს ნახევარს მეტს არ დაიძინებდა ოცდა ოთხს სათში, სამი სათი ღამე და ნახევარ სათი შუადღის შემდეგ უთუოთ. თუ მეტათ საჭირო საქმე არ შეემთხვეოდა, იმ

შუადღის ძილს, ნახევარ სათს არაოდეს არ დასთმობდა და ღამის ძილსკი დაუნანებლივ.

ეკითხოთ, ძილის გარდა, იმ დავრიშის საქმე რა იყო?

არც ერთსა მინუტსა უსაქმით არ დადგებოდა არასდროსა, მაგრამ იმისი საქმე სულ ქველის მოქმედება იყო. ოღონდ კეთილი ექმნა ადამიანისთვისა, და არაფერს არ დაერიდებოდა და არც ითაკილებდა. ყოველთვის ამას ფიქრობდა და ამ საქმეში იყო.

სამი სათის ძილის შემდეგ წამოდგა დავრიში ისე ცხოვლათ, მითამ არა სძინებოდა. ზეცას შეხედა, ნახა, ჯერ გათენება არი-ყო, მარამ მაგთენი აღარა აკლდარა, მობრუნდა, დასავლეთისაკენ მცირე ღრუბელი დაინახა, მიხვდა დიდი გრგვინვის ავდარი მოხდებოდაო. საჩქაროთ მოსამსახურების შემწეობით კარავს რუ მოუთხარა რკინის ბარით გარშემო, მერე ტახტრევანდიდგან ტილოს მუშამობა გამოილო, ტახტრევანდს გადააფარა და სრულებით ტილოს მუშამობაში მოექცა ტახტრევანდი. მოსამსახურებს უბძანა, ტახტრევანდში შესულიყვნენ, რომელთაცა აღასრულეს იმისი ბძანება. ამ განკარგულებას რომ მორჩა, თვალი მოავლო, ნახა, ცეცხლი ისევ ისე ენთო და რკინეულის ჭურჭელი ცეცხლის გვერდით მონყობილი იყო. მაშინვე ალიანი ცეცხლი გააქრო, რამთენიმე ცეცხლის ნალვერდლები ნაცარში ნაფლა მოღრმოთ და მომატებული ნაცარი ზედ შემოაგროვა, ავდარი არ ჩასულიყო. თუ იმისთანა იყო რამე კიდევ წასახდენი ან ხმელი შეშა რომ არ დასველებულიყო, ისინიც ტახტრევანდში მიანოდა მოსამსახურეებს.

ამაობაში საშინელი, ელვის ჭეხის ღრუბელი მოვიდოდა ძლიერის გრგვინვითა და თან დიდი ავდარი მოსდევდა. გულგანსვენებული მივიდა დავრიში, კარვის გვერდით თავისი რკინის ჯოხი იყო დასმული მიწაში, ზედ მოდიდო მუშამბის პარკი ეკიდა კაპზე, საიდგანაც დიდი მუშამბის ხირლა ამოილო სახლებიანი და ზედ ტანზე ჩაიცო, რომ თავიდგან მოკიდებული ფეხებამდისინ სულ შიგაეხვია. ის პარკი ისევ კარვის თოკზე ჩამოჰკიდა, თვითონ რკინის ჯოხი დაიჭირა ხელში და კარავს დაუნყო სიარული გარეშემო, მაგრამ ორი თვალი თორმეტ თვალებათ გადაექცა და ყოველს საგანს ისე ხედავდა, რომ დაუნახავი არა იყორა იმისაგან.

ამ დროს ღრუბელში მიმოკლაკნულმა ელვამ დაირბინა, თან გრგვინვამ დაიძახა; ამასთან ის დაძახება საშიშარის ზრიალით გადაიქცა და ზედაც შხაპუნა წვიმამ გადმოუშო და გადმოუშო. – დავრიში კარვის სალა ფარდასთან მივიდა, ცოტათ გადასწია, ყური დაუგდო, მეტათ მოსვენების ძილის ფშვინვა გაიგონა; ანთებული ფისოსიც კარვის კუთხესთან დაინახა დედამინაზე დადგმული, წინ პატარა ფიცარ აფარებული და იმისთანა ჩიდილი იყო მიმდგარი,

ვისაც ეძინა იმათზედა, რომ თუ თვალს არ დააკვირვებდა, ვერცკი დაინახამდა იმათ.

იმათი ისე მოსვენებისათვის სიამოვნით გამობრუნდა, ზეცას შეხედა, ნახა, რომ არეული ღრუბლებიდან თქემი წვიმა მოვიდოდა ქვეყანაზე, თან ელვანი გრგვინვა გასძახოდა ჰაერს და დედამინასკი მოიცამდა იმისი ქუხილი.

იმ წვიმისა წყალმა სრულიად მინდვრები დაჰფარა; სხვადასხვას ადგილებში დაიწყო ნიაღვარმა დენა, მაგრამ ესენი ასეთს ადგილზე იდგნენ, იმათზე ნიაღვარი არ მივიდოდა, მხოლოდ რაც კარავს წვიმა დასდიოდა ზევიდგანა, იმ მოთხრილს რუში ჩამოიწრიტებოდა, კარვის ბოლოს ქონდა გზა გახსნილი, იქით სხვას წყალსა შეერთებოდა და ერთიანი იმ ბანაკის წყალი სულ ერთათ იკრიფებოდა დარუებულ პატარა ნიაღვრათ ცოტა მოშორებით ბანაკზედა და შორს მინდორში, სხვა ნიაღვარს მიერთოდა დიდსა.

ეს ჰაერის აღრეულობა დიახ ცოტა ხანს იყო, ისე გადავლით მოვიდა და ელვა ქუხილითვე სხვა მხარეს წავიდა. ჰაერი ისევ ისე დაინმინდა, როგორც წინათ იყო და ვარსკვლავებთანმა ზეცამ ბჭყვრიალი დაიწყო. დავრიშმა თავისი მუშამბა მოიხსნა ტანიდგანა; სრულებით მშრალი ჰქონდა ტანისამოსი და მცირედსა სისველესა არ ჩაეტანებინა. კარავშივე შეიხედა; ფშვინვა მოესმა ისევ ისეთი განსვენებითი, როგორც ადრე გაეგონა, რომელიცა სიამონითვე გამობრუნდა.

მცირე ხანის შემდეგ ალიონი ეწვია ზეცასა და დღის სინათლე გაეფინა სამყაროსა. ამ დროს ქალაქდისას გაეღვიძა. თუმცა საჩქაროთ წამოდა ზეზე, მაგრამ თავისი კაბა თავის პატარა ბალიშ ქვეშა ჰქონდა დადებული მუთაქის მაგიერათ, რომელსა ზედაცა იმ პატარა ბალიშზე თავი ედო თამარსა და ტკბილათ ეძინა.

ქალაქდისამ აღარა დასდიარა; თამარის ქვეშაგებიდან წვრილ ყმანვილებს გადმოხედა, იმათი მოსვენების ძილისათვის მეტათ იამა. აქეთ გადმოიხედა, თამარის კაბა აილო და ტანზე ჩაიციო. თავისი წითელი წულების ჩაცმაც უნდოდა ფეხებზე, ამისთვის, რომ ცოტათ გაუცივდა ავარის სიგრილითა, მაგრამ ისიც ლეიბქვეშა ჰქონდა შეწყობილი ქალაქდისას, რომელსაზედაცა თამარს ეძინა. აქ, მახლობლათ თამარის წითელი წულები დაინახა ქეჩაზე დაყრილი, აილო, თავის პატარა ფეხებზე ჩაიციო და კარგათ გამოადგა.

კარავს გარეთ რაღაც ხმიანობა გაიგონა, მივიდა, კარვის სალაფარდას გადასწია, სადაც დილის სინათლე მოჰფენოდა ქვეყანასა და კარავშიაც ცოტათ შემომდგარიყო. დავრიშმა ბიჭები გააღვიძა, ცეცხლის ანთება უბძანა და ყავადნით ყავის მოდუღება, რომლებიცა საჩქაროთ ამას შეუდგნენ. დიახ კარვის მომზადებით იყო წამო-

სული დავრიში. ვინიცობა, არის შამოაკლდებოდათ რამე, ფული ბევრი ჰქონდათ და ქალაქებიდგან შეისრულებდენ ხოლმე.

ქალაღდისამაც ანთებული ფისოსი გაქრო, თავისი ქალბატონი გააღვიძა და ისიც საჩქაროთ წამოდგა. თავის ტანიდგან კაბა გაიხადა, ქალბატონს ჩააცო და აგრეთვე წულელებიც მიართო. თვითონაც საჩქაროთ შეიმოსა. მერე პირი დააბანინა, სადაც სულ მზათ იყო წყალი, ტაშტი და თავდახურვასაც მოჰყვა თამარი. მინამ თამარი თავს დაიხურამდა, ქალაღდისამ პირი დაიბანა და თავდახურვაც მოასწრო.

თამარმა შემოხედა, იმის სამსახურის სისწრაფეზე სიამოვნით გაიღიმა, რომელიცა უიმისოთ დიახ წყნარი იყო.

მინამ სრულებით თავს გაისწორებდა თამარი, ან ზეზე წამოდგებოდა და ან წითელ შალის სარტყელსა შემოირტყავდა წელზე, მანამდისინ ქალაღდისამ ყმანვილები გააღვიძა, პირი დააბანინა და კიდევ შეუმშრალა თეთრის ბანბის პირსახოცით. ამას თამარიც მიეშველა და ტანთ ჩააცვეს. ვაჟი წითლათ შემოსეს, მაგრამ ქუდი შავი კალმუხისა დახურეს. ქალიც პირის ფერის ტანისამოსით მართეს და მუჯასამის ქოლისანა შემოაკრეს თავზე. შემდეგ მწკრივით დააყენეს ორივე და ქრისტიანობის წესით ალოცვეს დიახ მცირედ, რაც შეეფერებოდათ ყმანვილებსა.

ყმანვილებმა ლოცვა რომ გაათავეს, ქეჩაზე დასხეს, და ამათაც მცირედ ილოცვეს, რადგან მიეშურებოდნენ გზასა.

ლოცვა რომ გაათავეს, ქალაღდისამ ქვეშაგები კუთხისაკენ მიანყო, აქედგან გამობრუნდა, კარვის სალაფარდა ჩამოსხნა, რომელშიაც დავრიში შემოვიდა და პირველისავე რიგით შეიყარნენ ორივე მხარე. მაგთენი ხანი აღარ გამოვიდა, ჩინურის ფინჯნებით ყავა მიირთვეს. შემდგომად აიყარნენ და თავიანთ გზასა შეუდგნენ თავიანთის უცხოის წესიერებითა.

შუა დღემდინ იარეს, შუა დღისას ერთსა გორაკაზე ჩამოხტნენ, ზედ კარავი დადგეს და სიციხის გამო კარავს შეეფარნენ. ამ ადგილსა ორი სათი დაჰყვეს, აქ სადილი იგემეს, სადილს უკან დავრიში ტახტრევანდში შევიდა და ჩვეულებრივ ნახევარ სათი ეძინა. მოსამსახურეებიც კარვის უკან დასხდნენ ჩიდილოს ქვეშ, საიდგანაც ოთხსავ კუთხივ იყურებოდნენ და ცხენებს, ჯორებსაც თვალს ადევდნებდნენ ბალახზე მიშვებულსა.

ორი სათი რომ შესრულდა, გზასვე გაემართნენ და საღამო-ჟამდისინ იარეს. ამის მეორე საღამო ჟამზედ თეირანში შევიდნენ და ქალაქის პირში დადგნენ დავრიშის მცნობ ერთ მოხუცებულ კაცთან, რომელმაცა ბედნიერათ მიითვალა დავრიშის ნახვა. ეს ცოლშვილიანი მოხუცებული ბაირამა თუმცა ღარიბი იყო, მაგრამ

არა დაიშურესრა თავიანთის სტუმრებისთვის იმ კეთილმა სახლელულობამა, და რაც შეეძლოთ, კარგათ დაუხვდნენ. ეს სახლელულობა იყო ადრითვე ტყვეთ წამოყვანილი ქართულები.

მეორე დილას სპარსეთის ხელმწიფეს ნადირშასთან წავიდა დავრიში. პატარა რომ წაიარა, მაშინვე იცნეს, დევნა დაუნყო ხალხმა და საშუალ ქალაქის მეიდანში ჩავიდა.

ქალაქის ხალხში, ამ მოედანზედ, დაიწყო ქადაგება კეთილ საგანზედა დავრიშმა, იმის ქადაგებით მეტი მადრიელი შეიქნენ ხალხნი. ამაობაში ნადირშას ამბავი მიუვიდა, დავრიში მოვიდაო, რომელმაცა სწრაფათ წააყვანიდა თავისთან. – სასახლეში შესვლის უმალ ნადირშა წინ მოეგება წმინდას დავრიშს, ხელი დაუჭირა, დიდის აღერსით წაიყვანა და საწოლში შევიდნენ, სადაც სამი სათი დაჰყვეს ორთა.

ყველას გასაოცებლათა, მხიარულის სახით შევიდა დავრიში ნადირშასთან და იქიდგან მეტი დაღონებულის სახით გამოვიდა. ვინ იცოდა, მიზეზი რა იყო? – თუმცა ნადირშამ უკანასკნელ კარებამდისინ გამოაცილა და მხიარულმოცინარი გაეყარა, მაგრამ მაინც დავრიშის სახეს ღიმილი არ მოუვიდა და დიდათ დაღონებული წამოვიდა.

მართალია, ნადირშას ამ სახით გაეყარა, იქ თამართანკი ჩვეულებრივ მხიარული მივიდა, მაგრამ დიდათ სძალავდა გულსა ამისთვის, რომ იმათ შეწუხებას მოერიდა.

ლაპარაკის გაუგძელებლობისათვის, ამ კეთილის სახლელულობიდგან აიყარნენ ესენი და პირველსავე წესით გამგზავრდნენ. – ისინი რომ წავიდნენ და პატარა ხანმა განვლო; ნადირშას დაებარებინა ის მოხუცებული ბაირამა, რომელსაცა წელიწადში ასითუმანი გაუჩინა ჯამაგირად და იმისი ორი მოსწრობილი შვილი მიიღო თავის სამსახურში. დიახ ადვილი მისახვედრი არის, დავრიში იქნებოდა ამ კეთილი სახლელულობის ბედნიერების მიზეზი. – და ერთსა დღესა მოადრეო დილით ზღვის პირზე ჩავიდნენ. ამათ იარეს თავის წესისამებრ რამთენიმე დღეები კიდევ, ზღვის პირიდგან დახედეს, ერთი ხომალდი აღარ იყო ზღვაში, მხოლოდ რამთენიმე ნიჩბის მოსასმელი წვრილი ნავეები დაინახეს, რომლისათვის დიდათ შეწუხდა თამარი ამისთვის, რომ გაღმით კუნძულში ქმარი ეგულებოდა და მონდომა უთუოთ ჩქარა ენახა. უღონიოდ ქმნილმა დავრიშმა პატარა ნიჩბის ნავეში ჩასხა თამარი თავის წვრილის შვილებითა, თვითონა იმათთან ჩაჯდა და ოთხ ნიჩბის მომსმელებსა უბძანა, ნავი აეშოთ და ზღვაში შეეცურებინათ. ბძანების აღმასრულებლებმა ოთხთავ დაუყოვნად მოისვეს ნიჩბები და ნავი შუა ზღვისაკენ აიღეს. – აქ ზღვის პირზე ერთს სოფელში დარჩა ქალაღდისა მოსამსახურებით

და ბარგით, რომელთაცა უთხრა დავრიშმა, „როდისაც დიდი ნავი მოვიდეს, იმიტო გამოდიოთ, თორემ ამ პატარა ნავში ჩვენც ძლივს ვეტივითო.“

ოთხ ნიჩბის მომსმელებმა შუა ზღვაში რომ მიიტანეს ნავი, იქ ერთი უეცარი ქარი ამოვარდა და კუნძულის დასასრულ ბოლოსაკენ გააქანა ნავი. მენავეები რამთენს ეცადნენ, იქვე პირდაპირ გაეტანათ, მაგრამ ქარმა დასძალა და დასალუჰად წაიღო პატარა ნავი დიდრონ ზვირთებზედა ქანებითა. შეუშინარმა დავრიშმა სწრაფათ ტანისამოსი გაიხადა, დაკარნახებულმა და დამკლავებულმა ორი ყმანვილები მუხლებზე დაისხა, თვითო ხელი სარტყელში ჩავლო და თამარსაც უთხრა ზურგთან დასჯდომოდა და ორი ხელი კისერზე მოეხვია მაგრა. –

ამ სახით, ლურჯ პერანგ გადაღელილი დავრიში და იმისი თეთრ თმიანი, პტყელი სავსე მკერდი დიდს იმედს აძლევდა ყველას. – იმისი დიდრონი ხელები თავის შესაფერის თითებითა და დიახ მსხვილი მკლავები, უფრო ძვრლიანი, იმ დავრიშისა გაციებულს სახეს და შეუპოვარსა მობრიალეს თვალებს რომ უყურებდენ, აღარას ნაღვლობდენ. თავისი პტყელი დიდრონი ფეხებიცა ბოძსავითა ებჯინა ნავის ძირის ფიცარზედა და დიახ მკვდრათ იჯდა შუა გადებულ ფიცარზედა. ამასთან მენავეებს უბძანებდა, მაგრა ყოფილიყვნენ და ისინიც ცდილობდნენ, რაოდენ შეეძლოთ. ამ ამბავში იპრიანა ღმერთმა, ზღვა დამშვიდდა, ამათაც კუნძულის დასასრულ ბოლოზედ მიაცურეს ნავი და გადარჩენისათვის ღმერთს მადლობა შესწირეს.

თუმცა ნავი თავის გზაზედვე გაისტუმრა დავრიშმა, თვითონ თამართურთ და ყმანვილებით ამ კუნძულზედ წამოვიდნენ ქვევითი ამისთვის, რომ აქედგან პირდაპირ ჩნდა ამ კუნძულის ხანის მეორე სასახლე, ზღვისა პირიდგან ერთი სათის სავალზე, მარამ მენავეებმა გულმოდგინეთ მოახსენეს დავრიშსა, რაც შესძლებოდათ ჩქარა ევლოთ. მიზეზიკი არ განუცხადეს, რა იყო. მოვიდოდნენ და ამ ადგილის უნაყოფიერება მეტათ აკვირვებდა დავრიშსა და არც არა სურიელი არა იპოებოდარა ამ მიდამო მინდორზედა. პატარა გზა რომ წაიარეს, ერთი საშინელი ჯურღმული ნახეს, რომლისაცა ძირი არა ჩნდა. აქედგან საჩქაროთ გაემართნენ და დაქვეითებულები მიეშურებოდნენ, უნდოდათ, დროისათ მისულიყვნენ ხანის სასახლეში. ის ორი ყმანვილები დავრიშს ეჭირა, ერთი ერთს ხელში, მეორე – მეორეში და ასე ეგონა, სულ არა მიჭირამს რაო, ასე სუბუქათ მოვიდოდა. უნდოდა, თამარიც კისერზე შემოესო, და ისე წამოიყვანა სამივ, მარამ თამარმა უარი თქო. „ქვევითიც კარგათ გაიხლებიო.“ და მართლა რომ დაუღალავათ მოსდევდა დიდ

ნაბიჯის გადამდგმელსა დაავრიშს და სწრაფსა მომავალსა.

ამ სიარულით სამას ნაბიჯზე მოვიდნენ ხანის სასახლეზედ, ერთს ხეს ქვეშე მოიჩრდილეს და დაღალულობისაგან დაისვენეს. ამ გაფოთილსა დიდსა ხესა წყალი ეხვია გარეშემო და თვითონ წყალში იყო ამოსული, მარამ იმისი გძელი ტოტები შორს იყო განეული და იმისი ჩიდილი დიახ შორსა მოჰყენოდა, რომელსაზედაც იმ მინდორზედ იმ ხის მეტი სხვა არა იპოებოდა. ამ ხეს იქით, ხანის სასახლეს წინ პატარა მდინარე წყალი ჩამოუვლიდა მიჩანჩქარებით და იქით კუნძულისაკენ მივიდოდა.

ეს მდინარე ერთს ხეობაში მოდიოდა და დიახ მკვირცხლად, ხეობის დასასრულზე, მინდვრად რომ მოვიდოდა, აქ ორ ტოტათ გაიყოფოდა, ერთი ტოტი დასავლეთის სამხრეთისაკენ მივიდოდა ზღვაში, მეორე, აღმოსავლეთის სამხრეთისაკენა და ესეც ზღვაში შეერეოდა. ამ აღმოსავლეთის წყალის მახლობლათა ჰქონდა მეორე სასახლე ეს უსეინ ხანსა, დიახ საამოს ადგილზედა, სადაც ხანდისხანა მოვიდოდა და სიამოვნით შეექცეოდა.

ამ ხის ძირში, ჩიდილოს ქვეშე ყმანვილები წამოწვენენ და ტკბილათ დაიძინეს გადახვეულებმა. დედაც გვერდით მოუჯდა და ტრფიალებით დაუნყო ყურება შეიღებს. ამდროსა დავრიში წყალისპირზედ მივიდა, ხანის სასახლეზე მოშორებით, წყალი განვლო და ერთსა გლეხთან შევიდა სახლში პურის საშოვრათა, მაგრამ გლეხმა მაშინვე იცნა, მივიდა, თაყვანისცა და მიიწვია, საფენზე დამჯდარიყო.

მინამ გლეხკაცს გამოჰკითხამდა ამბავს, კარგახანი გავიდა და ბოლოს ხანის ამბავიც შეიტყო, რომ თავის სახლეულობით იქ მოსულიყო, მინდვრის ცეცხლის საყურებლათ.

დავრიშს გაუოცდა და მინდვრის ცეცხლის ამბავს დაუნყო კითხვა. გლეხმა კაცმა უთხრა, საიდგანაც დავრიში მოსულიყო, იქიტკენ ანიშნა.

– „იქიტკენ, ზღვის პირის მახლობლათ ერთი საშინელი ჯურღმულია, საიდგანაც ხანდისხანა საშინელი ალიანი ცეცხლი ამოვარდება და ოთხსავ კუთხივ სწრაფათ მოედება მინდორს დიახ გაძლიერებული, მაგრამ ეს საშინელი ცეცხლი წყალის პირზედ რომ მოვა, წყალს ველარ გამოუვა და იქვე ჩაჰქრება წვრილწვრილათ.“

დავრიშმა. მერე ბევრი ხანი ეკიდება ამ მინდორსა?

გლეხი. ბევრჯველ ერთი დღე, ბევრჯველ დღედაღამე. მომატებულკი აღარ, მაგრამ თუ მოასწრო რასმე, მაშინვე დააფერფლებს.

აჩქარებით დავრიშმა. იციან, როდის ამოვა?

გლეხი. როგორ არა, დიახ, ვიცით.

დავრიში. რაზედ შეატყობთ ხოლმე?

გლეხი. იმ დროს არა ფრინველი აღარ ფრინავს იქითკენა.

დავრიში. მაშ, როდის ამოვა?

გლეხი. დღეს დილით ველოდით; არ ამოვიდა, მაგრამ ეხლა სადაც არის ამოვა.

ამის გამგონესა კინალამ გულშამოეყარა, თამარი და იმისი წვრილი შვილები რომ მოაგონდა. ამდროს წივილისა და ძახილის ხმა შეიქნა, მაშინვე დავრიში წამოხტა და კარზე გავარდა.

(უსეინ ხანის სასახლის წინა გაფოთვლილი ხეებია, ხეების გარემო ყვავილები და მშვენივრად გაშლილი. აქ ყვავილებსა შორის და ჩიდილოს ქვეშ სძინავს უსეინ ხანსა თავის მკლავზე წამოწოლილს უცხოს მწვანეზედა. პატარა ხანს უკან ხანი გაიღვიძებს, თვალებს მოიფშენეტს და იტყვის)

უსეინ ხანი. ახ, რა კარგი სიზმარი ვნახე! ნეტავი, სულ ეს სიზმარი ვნახო ხოლმე! ერთს მალალს მთაზე ვიჯექი, იქიდან დავინახე კავკაზიის საკვირველი მთები თავისის თოვლიანი დიდრონი ბორცვებითა, მიკვირდა და იმის განსაცვიფრო საკვირველება მეტათ მიაძებოდა. აქ, ქვემოთ დავინახე საქართველო! ასე მეგონა, ზეციდან ანგელოზნი გადმოსულან და იმათის ხელოვნებით არის გამშვენიერებული მეთქი.* უფრო კიდევ საკვირველება რამ დავინახე! დავინახე საქართველოს შუა მომდინარე მტკვარი. იმის მოკამკამულ წყალის პირზე გადმოვიდნენ ანგელოზნი შესაქცევათ, ჯერ სასუფეველურის სხვისა და სხვის ლალობითა ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, მასუკან ოქროს ქსოვილით მოჰფინეს გაღმა-გამოღმა ამწვანებული ნაპირები. მერე რიგზე დასხდნენ ზედა. შემდეგ ზეციურის ხმითა ერთათ დაიწყეს გალობა სხვადასხვა საკრავზე მცემელნი და მტკვარის მონარნარეობასა დასტრფი-ალებდნენ. ამ რიგათა უეცრათა წამოფრინდნენ, თვითო მუჭა წყალი ამოიღეს მტკვრიდან, გალობითა ზეცაში ავიდნენ და სასუფეველი მოასხურეს მტკვრის წყალით. პატარა ხანს უკან ზეცა განათლდა, სასუფეველიდგან ცისარტყელა გამოფინეს საქართველოს ტურფას ზეცაზედა, ზედ მართალი სულები გამოუშვეს ღვთაების სენაკიდგან ზედ სარონიებლად, რომლებისათვისაც ირეკებოდა სამყაროს სვეტზე ნათლის ზარები და ვარსკვლავნიც სიამოვნით დაჰყურებდნენ ზევიდგანა. იმათ პატივსაცემლადა მაშინათვე ჩიტ-

* ჩემს მახლობლათ დავინახე კოჯრის მთაზე ციხე, იმის გვერდით სამი კომლეული სახლეულობა. იქიდგან ჩემი დედამამანი გამოვიდნენ, დამინახეს და ხელი დამიქნიეს სიხარულით, აქ მოდიო, გიჟსავით წამოვხტი. იქიდგან ისინი გამოექანენ და აქედგან მე.

ბულთა, ჩვენი ქვეყნით, აუშვეს სასიცოცხლო შტვენა ჭიკჭიკი და მართალთ სულელებს უძვირფასესა სუნსა უკმევდნენ და უკმევდნენ მრავალ ტოტებათ დაყოფილსა, ასე რომ, ყვავილების საამოს სუნის ბოლოში გაიხვევდნენ და ღრმას სიამოვნებაში დაიფლობდნენ. ამ ფუფუნებით დაქანცულები ფრენით გადმოვიდნენ ის მართალი სულელები, რომელთაცა ზეციური ანთებული ლამპრები გადმონათათ ზევიდგანა. მოვიდნენ, იმ ღვთის პირისაგან კურთხეულს წყალში დაიწყეს ჭყუპალაობა და იმით გაიგრილეს თავი. ამ დროს ერთი ნისლი წამოვიდა, თან ცივმა ქარმა დაუბერა და სრულიად დაჰფარა ის საკვირველი მთები. აქ მე დავიწყე ტირილი საცოდავად. *(ამასთანავე თვალებზე ხელსახოცს მიიფარებს და ატირდება)*
(ამ დროს მოსამსახურე მოვა, ყიზილბაშურათ შეხვეულს წიგნს მოართმევს და მოახსენებს)

ქარუმა. ეს წიგნი თქვენ მეგობარს, ნადირშას ვეზირს გამოუგზავნია თქვენთვის.

(უსეინ ხანი დაფიქრებით გამოართმევს და ფიქრში ეტყვის)

ხანი. კარგი, წადი. *(ბიჭი გავა. ხანი წამოდგება, წიგნს ხელში დაუნწყებს თამაშობას და ამ მდგომარეობით იტყვის)*

ხანი. ერთი წელიწადია, რაც დავრიში წავიდა. მიკვირს, აქამდისინ როგორ არ გაჩნდა იმისი ამბავი რამ? აბა, ეს ნადირშას წიგნი გავხსნა, იქნება საქართველოს ამბავი იყოს რამე? *(გახსნის, ნახევარწიგნს წაიკითხამს და მასუკან სიხარულით იტყვის)*

ხანი. ოჰ, ღმერთო, რა ბედნიერება არის! ნადირშას დაუთხოვნივარ საქართველოში ჩემი ცოლით, ჩემი სიმდიდრეც ჩემთვის უბოძებია, საქართველოს გავაბედნიერებ ჩემი სიმდიდრითა და ამითი ღმერთს მადლობას შევწირავ. ზორაბიც დაუთხოვნია, ისიც უნდა წავიყვანო. ჩემო გულო, გაყმანვილდი, რომ შენს მშობელს ქვეყანაში მიდიხარ! ღმერთო, შენი მშვიდობა მიეცე იმ დავრიშსა, იმას გაურიგებია ჩვენი დათხოვნა ნადირშასთან. ნეტა, ვინ უნდა იყოს ის ზეციური კეთილი კაცი? აბა, ახლა ვნახო, ამ ნახევარ წიგნში რაღა ეწერება? *(იმ ნახევარსაც წაიკითხამს და კიდევ სიამოვნით იტყვის)*

ხანი. ჰოო! ნადირშა ინდოეთზე მიდის ძლიერის ჯარებითა! ერეკლე თავის ქართველის ჯარით დაუბარებია, თან მიჰყავს ისინიც. მე და ზორაბი კი ჩვენ ქვეყანაში წავალთ. ახლა წავიდე და ეს ამბავი ზორაბს ვახარო. უთუოთ ის დავრიში ეხლა საქართველოდგან მოდის და მომავლობაში უნახამ ნადირშა, თორემ ეს დათხოვის წიგნი აღრე მომივიდოდა. *(ამასთანავე წავა)*

(ზორაბ იქ მოვა და მეტის სიხარულით დაიძახებს)

ზორაბ. ღმერთო, გმადლობ, არ ვიცი, ეს ჩემი სიხარული რას

შეედარება? იქნება თავის წყალობისა ხელი ღმერთსა ჩემს გრძნობაზე დაედოს და იმისი კურთხევისა სიტყვები მესმოდეს სასიხარულო. მართლა ჩემი მშობელი ქვეყანა საქართველო კიდევ უნდა ვნახო! კიდევ მელირსება იქ სიკვდილი იმ ჩემს მემამულეთ შვილებში? ოჰ, რა ბედნიერებაა ჩემ თავს ესა? ერთხელ მე და ჩემა თამარმა გულმხურვალეს ცრემლით ვთხოვეთ ღმერთსა: „ერთს მინუტში მიიბარე ჩვენი სული, რომ ერთმანეთის სიკვდილი არა ვნახოთო. იქნება იქამდისინ ბედნიერები ვიყვნეთ, რომ ჩვენი ესე საწაღელი შეგვისრულდეს? ახ, რა კარგი იქნება! ჩვენო მემამულეთ შვილებო, ქალნო და ვაჟნო, ვისაც გსურდეთ, ანუ გესიამოვნებოდეთ, მოდით ჩვენ საფლავზე ხანდისხანა და ისიამოვნეთ სხვა და სხვის შექცევითა. მაშინ ჩვენც ზეციდგან გადმოვხტებით ერთს მთაზედა უხილავად და შორიდგან თქვენს სიამოვნებაში ჩამოვტკბებით კეთილცხოვრებითა, რომლებსაცა გაგიჟებით გვიყვარს ჩვენი მშობელი ქვეყანა, ჩვენი მემამულეთ შვილები... და იმათის ბედნიერებისათვის მარადის ვევედრებით ღმერთსა.

(ამ დროს ხანი მოვა და ეტყვის)

ხანი. მგონია, შენი გული ეხლა რამეთენ რიგად არის აყვავებული, ზორაბ!

ზორაბ. გრძნობისათვისაც ძნელია გამოხატოს, არამც თუ თქმა შეიძლებოდეს. მოგყოლივარ და ჩემი გულის სასიამოვნო სიტყვებს ვლაპარაკობ რაღაებს.

ხანი. ჭეშმარიტად მეც ატაცებულსავითა ვარ სიხარულით, სრულიად გავყმანვილდი და აღარ ვიცი, სადა ვარ. ჩემ ცოლსაც შევატყობინე, ბევრი იტირა, მეც იმასთან ავტირდი, ბოლოს მითხრა: „ნადი, ჩემ მაგიერ ზორაბს მიულოცე და მეც ეხლავ მოვალ მოსალოცათაო“.

ზორაბ. მეტად კარგი გვამი ბრძანდება, ღმერთმა ადღეგრძელოს.

ხანი. საკვირველი გონიერი და კეთილი დედაკაცი არის! იმავ ყმანვილობითვე დიდად გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ რაღაც სტანჯავს იმას, ვერც იმას გაუბედავს, მითხრას და ვერც მე მიკითხამს, არ შევანუხო მეთქი. არ დაიჯერებ, აქამდისინ არ ვიცი, ვინ არის, ანუ სადაურია, მხოლოდ ვამცნევ, დიდ კაცობის ქალობაზედ ეტყობა.

ზორაბ. თქვენთან რომ დავრიში იყო, რატო იმას არ უბძანეთ ეგ ამბავი, იმას ეკითხა, იმათი ვალია მაგვარი საქმე.

ხანი. სულ არ მომაგონდა. მგონია, ამ ახლო ხანებში კიდევ მოვიდეს აქა.

ზორაბ. ის დავრიში დიდხანია, საქართველოში დგას, მაგრამ,

ნეტავი, მითხრა, ვინ არის?

ხანი. არავინ იცის, არც იმის ვინაობა და არც იმის სადაურობა, მხოლოდ ეს კი ვიცი, ყოველს ქვეყანაში დიდ პატივსა სცემენ იმას, ჯელმნიფეებიდგან მოკიდებული მცირემდისინ.

ზორაბ. თუ ვერავინ იცნობს, მაშ, ისეთ პატივს რათა სცემენ?

ხანი. იმას? კეთილგონიერებისათვის და კეთილის მოქმედებისათვის, მაგრამ ეჭვი კი მაქვს, ჯელმნიფეებმა იცოდნენ, ვინ არის ის დავრიში. *(მოიხედავს და მასუკან იტყვის)* – აგერ, ხედავ? ჩემი ცოლი მოდის ჩვენკენ.

(მოხუცი დედაკაცი მოვა, მაგრამ სახე ჯერ კიდევ კარგათა აქვს, თმა შავათ შეღებილი და ინდოეთის მშვენიერი ქალური ტანისამოსი აცვია. ზორაბ მიეგებება და მძიმეთ თავს დაუკრავს)

ხანის ცოლი. ზორაბ, მამილოცავს შენი განთავისუფლება, ხელმეორეთ შემოხველ სოფელში საცხოვრებლად. ჩემ ქმარსაც ველარა გაუგია რა სიხარულით, ოჰ, რა კარგი რამ არის მშობელი ქვეყანა! *(და ატირდება)*

ხანი. ჩემო დიდებავ, ჩემო ზეციურო გვირგვინო! ჩემო განუსაზღვრელო ბედნიერებავ! მითხარ და შენს ფეხთა ქვეშე დავლევ სულსა.

ხანის ცოლი. შენ ნუ მომიკვდები, ჩემო უსეინ, ოღონდ შენთან ვიყო და ყოველს ადგილს ჩემი ბედნიერება არის. *(მასუკან მობრუნდება და ზორაბს ეტყვის)* არ დაიჯერებ, ზორაბ, მე და ჩემს ამ უსეინას ჯერ ერთმანეთისაგან მცირედი არა გვწყენია რა. სულ ასე ვართ სიყვარულით ერთმანეთთან.

ხანი. ჩემო სიცოცხლე! ეგ ტანისამოსი რად ჩაგიცომს? ლომს რომ გაგაგდებინე მაშინდელი?

ხანის ცოლი. ჩემი გული რალაცას მოელის სიხარულსა, თან რალასაც მნუხარებას. *(და მწარედ ატირდება. ხანი მოვარდება, ორსავ ხელებს დაუჭერს და მნუხარებით ეტყვის. ზორაბ გულხელდაკრეფილი დადგება შენუხებული)*

ხანი. უნინ მე მამკალ, ეს ჩემი ხანჯალი დამეცი და მაგისთანებს კი ნუ გამაგონევ.

ხანის ცოლი. ნუხელის სიზმარში მითხრეს, ხვალ შენ უფროს ძმასა ნახაო. *(და ქვითინს ამოუშვებს)*

ხანი. როგორ? შენ ძმასა?

ხანის ცოლი. მასუკან მითხრეს, სიხარულთან მნუხარება დაგერთვებაო.

ხანი. რას ამბობ, ჩემო მასულდგმულებელო? აქამდისინ როგორ არ მითხარი? ქვეყანა შემეჯერებინა და შენი ძმა შენთან მომეყვანა.

(ხანის ცოლმა ველარა გაიგონა რა, გულს შემოეყარა, ნაიქცა,

მავრამ ხანი და ზორაბ მიცვივდნენ, საჩქაროთ წაიყვანეს და თან ხანმა შექნა საცოდავით ყვირილი)

ხანი. ღმერთო, ჩემი სული საჩქაროთ მიიბარე, ამის ვნება არა ვნახო რა. (და ამ ძახილით გაიტანეს, პატარა ხანს უკან ზორაბ იქვე მოვიდა და თქო)

ზორაბ. საცოდავი ხანის ცოლი უკვე მოსურვილდა. სანყალი ხანი რამეთენს ეხვეწა, ვინ არის იმისი ძმა, მავრამ არ უთხრა: თუ გიყვარვარ, ნუ მკითხაო. არ ვიცი, რა საიდუმლო უნდა იყოს იმისი ამბავი? ნეტავი, დავრიში გაჩნდეს, ის ათქმევიანებს როგორმე. (და მიიხედავს) აგერ, იქით ჯურღმულიდგან ის საშინელი ცეცხლი ამოვიდა, სრულიად მინდორს ედება თავის ძლიერის კორიანტალითა, სწრაფათ მორბის გაგიჟებულ მხეცსავითა და სრულიად ამ არემარეს იცავს. ხედავ, ჩემო თვალებო, რასა ხედავ? იმ ხის ძირში, ის დაჩოქებული ქალი ვინ არის და მწარეს ცრემლით ორ პატარა ყმანვილს ზედ დაჰყურებს? ჩემს თავს დავდებ, ან იმათ გამოვიხსნის, ან არა და მეც იმათთან დავინვი. (ამ სიტყვასთანვე მფრინველივით წამოფრინდება, ელვასავით წყალში გაიბრუნს და იმ დაჩოქებულს ქალსა შესძახებს) ქალო, ნუ გეშინიან, ან ჩემს თავსა ცეცხლში დავინვა, ან უთუოთ გამოვიხსნით.

(იქიდგან ის ქალი ამის ხმასა იცნობს და ხელით ანიშნებს, ნუ მიდის იქითკენა, მავრამ ზორაბ სწრაფად მიიჭრება, იქიდგან ხელებგაშლილი თამარი გამოიბრუნს, ყელზე გადაეხვევა და ტირილით ეტყვის)

თამარი. ახ, ჩემო სიცოცხლეო ზორაბ! ახლა რაც უნდა დამემართოს.

ზორაბ. ოჰ, ღმერთო, ვინა ვნახე! (ორივე ერთმანეთს სურვილით გადაეხვევიან და ძახილს შექმონენ)

თამარ და ზორაბ. ღმერთო! აქვე ამოგვართვი სული ერთათ.

(ამ დროს დავრიში მოიჭრება და ზორაბს შემოსძახებს)

დავრიში. ზორაბ, რა დროს ეგ ამბავია, ვერა ხედავ, ცეცხლი მოგვიახლოვდა.

(ამის სიტყვაზე გონებაზე მოვა ზორაბ, მაშინვე თამარს ხელს დაავლებს, სწრაფად გამოიქცევა და საჩქაროთ წყალში გამოიყვანს, მავრამ თამარი ინევს და იძახის)

თამარი. გამიშვი, შენი ჭირიმე, მეც ჩემ შვილებთან მოვკვდე.

(ამ ამბავში დავრიში ყმანვილებთან მიიჭრება, ყმანვილებს ის არის გაულვიდნიათ და იმ საშინელის ცეცხლის მნახველებსა, აღარც რომ დედა არის იმათთანა, დიდათ შეშინებითა და გადახვეულები საცოდავით ტირიან. დავრიშს რომ დაინახავენ, მწარეთ შემოსტირებენ)

ყმანვილები. ბერო! გვიშველე, შენი ჭირიმე, გვიშველე, შენი ჭირიმე.

დავრიში. ყმანვილებო, ნუ გეშინიანთ, ნუ გეშინიანთ. (და თავის გმირის ხელებითა წამოავლებს ორსავე, ერთს ერთს ხელში აიყვანს, მეორეს მეორეში და საჩქაროთ გამოიქცევა. ამდროს ანთებული და ძლიერი ცეცხლი უკან გამოჰყვება, მაგრამ ცეცხლი დავრიშს ველარ მოენევა, ასე ჩქარა გამოიქცევა და ყმანვილებს ზორაბს მისცემს. ზორაბ გამოართმევს, ყელში ჩაიკრავს და თამარიც იმათ გადაეხვევა)

მშობლები და შვილები. (ზორაბ იძახის) ოჰ! რა ბედნიერი ვარ ეხლა. (თამარი იძახის) თქვენ გეთაყვანოთ ჩემი თავი, თქვენა. (ყმანვილებიც იძახიან) მამავ, შენი ჭირიმე, დედავ, შენი ჭირიმე.

(ამდროს ხანი მოვა და ამ უეცარსა ამბავს რომ ნახავს, გაცუებული დადგება. მასუკან ზორაბ გამობრუნდება, თამარს თავის შვილებით მოიყვანს ხანთან და თამარს ეტყვის)

ზორაბ. თამარო, ხანის სიყვარული რომ მოგწერე: შვილსავით უყვარხარმეთქი, თვითონ ეს ის ხანი ბძანდება.

(თამარი წინ წადგება, აქედგანაც ხანი მივა)

თამარი. რაც თქვენ ზორაბზე კეთილი მიგიძღვით, ჩვენი სახლის შვილიშვილებისთვისაც დაუვიწყარი იქნება, ხელი მიბოძეთ, როგორათაც ჩემს მშობელს.

ხანი. ხელზე არ გაკოცნინებ, შენმა გაზდამ, თამარო, მოდი, გულზე მაკოცე.

(მივა და გულზე აკოცებს და ხანი თავზე. მასუკან ყმანვილებს გულში ჩაიკრამს, შემდეგ მობრუნდება და იტყვის)

ხანი. ერთობრივ ჩვენ ამ პატივცემულის დავრიშისა მადლობელი უნდა ვიყვნეთ (ყველანი მივლენ, ხანი პირზე აკოცებს, ზორაბ და თამარ გულზე მოეხვევიან და ყმანვილები ხელზე აკოცებენ)

(ამ ამბავში ხანის ცოლი მოვა, ეგრეთვე ინდოეთის ქალური ტანისამოსი აცვია და ზორაბს შემოსძახებს)

ხანის ცოლი. მამილოცავს შენი ცოლშვილების ნახვა, ზორაბ. (დავრიში ხანის ცოლს რომ დაინახავს, თვალებზე ხელს მიიფარებს და ერთიანათ დაიძახებს)

დავრიში. ოჰ, ამას ვისა ვხედავ! ჩემი უუსაყვარლესი და.

(ხანის ცოლი ამ ხმას რომ გაიგონებს, ერთიანათ დაიკვივლებს)

ხანის ცოლი. ახ! ეს ხმა ჩემი ძმის ხმა იყო! (დავრიში ორსავე ხელებს განუპყრობს და შესძახებს)

დავრიში. სწორეთ შენი ძმა ვარ, ჩემო საყვარელო დაო. ეგ ტანისამოსი მე არ მოგეც ჩვენი სახლის დალუპვის წინა დღეში?

(ხანის ცოლი გაექანება ხელებგაშლილი და შესძახებს)

ხანის ცოლი. ახ! ჩემო საყვარელო ძმაო, სამოცდათხუთმეტი წელიწადი მეტია აღარ გვინახამს ერთმანეთი (და ერთმანეთს ვიყსავით გადაეხვევიან და ამის მეტს ველარას ამბობენ)

და-ძმა. საყვარელო ძმაო! საყვარელო დაო!

(ამ ამბავს ხანი რომ ნახავს, დაიძახებს)

ხანი. ეს რა უეცარი სიხარული ვნახე! (ესეც გაექანება და იმათ გადაეხვევა)

ხანი. ოჰ, საყვარელო ჩემო ცოლის ძმავ! (ესენი ამ სიხარულით რომ იქნებიან, ზორაბ და იმისი ცოლშვილი გაოცებულნი დარჩებიან. შემდეგ, როდისაც მოისურვებენ, ხანი ზორაბს მოიყვანს თავის სახლეულობით დავრიშთანა და ეტყვის)

ხანი. ზორაბ, ეს პატივცემული დავრიში ამ ჩემი ცოლის ძმა ყოფილა.

ზორაბ. რა სასიხარულო ამბავი გავიგონეთ!

(მივლენ და დავრიშს გულზე აკოცებენ ზორაბი თავის ცოლშვილითა, მასუკან კიდევ ხანი იტყვის)

ხანი. მაგრამ ამ ჩემს ცოლის ძმასა ვევედრები, მიბრძანოს ვინა ბრძანდება, ან სადაურია?

დავრიში. კარგი იქნება, ახლა, რასაკვირველია, დრო არის, დიახ, ვიტყვი, მაგრამ ყური მამიგდევით კარგათ.

(ყველანი აქეთ იქით მოუდგებიან დავრიშსა, მაგრამ იმისი და მარჯვენა მხარს ქვეშ შეუჯდება, ხელებს გულზედ მოახვევს, თავს ეგრეთვე გულზედ გადმოუხრის, თვითონაც ცოტა ნახრილია, დიახ დადუმებულის სახით. დავრიშიც მარჯვენა ხელს გადმოახვევს ბეჭებზე და დიდსულოვნად მოჰყვება)

დავრიში. ვეცდები, ჩვენი ამბავი მოკლეთა ვთქუა, თავი არ შეგინწყინოთ. ჩვენა ვართ დიდი კაცის შვილები. მამა ჩვენი რომ მოგვიკვდა ჩვენა... (ამ სიტყვაზე ხანის ცოლი თვალეზზე ხელცახოცს მიიფარებს და ქვითინს ამოუშვებს)

დავრიში. თვრამეტი წლისა მე დავრჩი, ეს ჩემი და თხუთმეტი წლისა იყო და ერთი კიდევ ხუთი წლის ძმა გვყვანდა. ჩემი მამის ერთგული კაცები შეიყარნენ ჩემთან და მამიჩემის სამფლობელო დამიმკვიდრეს მე. აღარ გამოვიდა ორი თვე, ერთ ღამესა ჩემი ბიძაშვილები მოგვიხდნენ ჩუჴნ, ჩვენი ერთგული კაცები და დედაკაცები სულ გაგვიწყვიტეს. ვნახე, ჩვენ განყვეტასაც აპირებდნენ, ჩემი ექვსი მოსამსახურითა გამოვარდი, ხუთი წლის ძმა გამოვიტაცე. ეს ჩემი დაც უკან დამედევნა და თან რამთენიმი ათასი ოქრო გამოვიტანეთ საჭიროებისათვის, დაუყოვნათ ქალაქს გარეთ გამოვედით, ერთს მიფარებულს ადგილს დავიმალენით. მე მაშინვე კაცი დავაბრუნე, შეეტყო, რა ამბავი მოხდა. იქიდგან პირველი ჩემი ერთ-

გული კაცები გამოვიდნენ ჩუმათ, დიდათ მთხოვეს დავბრუნებუ-
ლიყავ, თუმცა იმათი შემწეობით, ჩემს ადგილსა ისევ ვიშოვნიდი,
მაგრამ არა ვქენ, ვიცოდი დიდი სისხლი დაიღვრებოდა ერთი კაცის
პატივის და ამო დიდებისათვის. მე ისინი დავარიგე, ჩემს ბიძაშ-
ვილებს დამორჩილებოდნენ დიდის ერთგულობითა. ისინი ტირილ-
ით გამეყარნენ. ჩვენც ჩვენ გზაზე წამოვედით ღვთის მადიდებელნი
და მიფარებით მოვიდოდით. გამოვიარეთ ჩვენი მამა-პაპის მამული
და ამ სპარსეთის სამძღვარზე მოვედით.

ხანი. ნეტავი, ადრე შემეტყო თქვენი ამბავი, ჩემს თავს დავდებ-
დი თქვენი მამა-პაპის მამულისათვის.

(დავრიში გალიმებით ეტყვის)

დავრიში. იმის შემდეგ ორჯელ ვიყავ ჩემს მამულში, ერთი
კიდევ ამ ათი წლის წინათ და ჩემი ბიძაშვილები ასე კარგათ მარ-
თავენ ჩემს სამკვიდროს მამულს, ყველანი მადლობელნი არიან
იმათი.

ხანი. თქვენ რომ მოკლებული ხართ თქვენი მამულისაგანა?

დავრიში. მამულისათვის და ხალხისათვის სულერთია, ოღონდ
კეთილმზრუნველი კაცი ჰყვანდეს.

ხანი. ყველა რომ ასე სჯიდეს, დიახ კარგი იქნება მასუკან თქვე-
ნი ამბავი.

დავრიში. ამ სპარსეთის სამძღვარზე რომ მოვედით, კარგა
დაღამებული იყო. ჩვენ კაცები მოადრეოთ გადავხტით ცხენებით
– განა, გვინდოდა იქ დაგვებანაკა. ამდროს ეს ჩემი და ცხენმა მოი-
ტაცა უეცრათა და საჩქაროთ მიგვეფარა, რომ ამ ჩემი დის კვალიც
ველარა გავიგევიტ რა. იმის მეორე დღეს ორი კაცი დაგვიხვდა. მე
იმათ კითხვა დაუნყე. იმათ მიპასუხეს: „ჩვენ ვნახეთ ლომმა შეჭამა
ის ქალიო, ჩვენ მწარეთ შეწუხებულნი და მტირალნი წამოვედით,
რომელსაცა მაშინდელს აქეთ საზიზღრათ ამიჩნდა ცხენზე შეჯ-
დომა.“

ხანის ცოლი. ახ, ჩემო უსაყვარლესო ძმაო! *(და გულზე უფრო
მაგრა მოეხვია)* ისინი უთუოთ ავაზაკების ამხანაგები ყოფილან.

დავრიში. როგორ თუ ავაზაკები, ჩემო ყმანვილობით მანუგ-
ემებელო დაო?

ხანის ცოლი. ცხენმა რომ მომიტაცა, მაშინვე ტყეში შემიტანა,
მაგრამ სწორე გზაზე დაადგა და გათენებამდისინ მარბენინა თავ-
წართმეულმა, გათენებასთან ავაზაკებმა დამიჭირეს და კითხვა
დამინყეს. საცოდავმა ჩემი სწორე ვინაობა დაუმაღლე და უპასუხე:
ვაჭრის ქალი ვარ მეთქი, რომელმაცა იმ გზისა მხარე ვაჩვენე, რო-
მელს მხარეზედაც მოვიდოდით ჩვენა. უთუოთ ის ორი კაცი იმ
ავაზაკებთაგანი იქნებოდნენ, ჩემი კვალი დაეკარგათ თქვენთვის

და აღარ მოგეძებნეთ.

დავრიში. გავს, რომ აგრე ყოფილა. მერე სად წაგიყვანეს იმათ შენ?

ხანის ცოლი. თავიანთ უფროსისთვის მისართმევათ. იმ დღეს საღამომდინ მატარეს, კარგათ რომ დაღამდა, ცხენიდგან გადავხტი, საშინელს დაბურვილს ტყეში შევარდი და ასე ჩქარა ვიარე, ჩემი ველარა გაიგეს რა. მეორე დღეს დაღალული ველის პირზე ვეგდე ერთს ხეს ქვეშა და ღმერთს მადლობას ვაძლევდი ავაზაკებისაგან გადარჩენისათვის, მაგრამ უარესს განსაცდელს შევხვდი. ერთი საშინელი ღმომი ინვა ერთს კლდეზე და რანამს დამინახა, ჩემს დასაბზარად წამოვიდა, მაგრამ ჩემს უსეინას ვერ გადურჩა და შუაზედ განყვიდა, რომელიცა მას აქეთ მაგ ჩემს უსეინას ვეკუთვნი და დიდათაც მიყვარს. მასუკან სად წახველ, ჩემო უსაყვარლესო ძმაო?

დავრიში. საქართველოს მივედი, გამეგონა იმის ქება, იქ დავდექი. და მასაქეთ იქა ვდგევარ. ჩემი მოსამსახურები უკანვე დავითხოვე, თან დარიგება მივეცი, ყველგან ხმა დაეგდოთ ჩემი სიკვილისა. შემდგომ ჩემი ძმა ქართველათ მოგნათლე, როდისაც კარგათ წამოიზარდა, ქართველი გლეხიკაცის ქალზე ჯვარი დავწერე და გლეხი კაცობის წესზედ დავაყენე. მე ჩემს დიდკაცობაში ისეთი გემრიელი პური არ მიჭამია, როგორათაც შრომის ლუკმას გლეხკაცობაში ვჭამდი ხოლმე და არც ისეთი ძილი მქონია განსვენებით, მაგრამ აქამდისინ ჩემი ვინაობა არავის არ შეუტყვიო მეფეების მეტსა და ახლა კი ვიტყვი, ამისთვის, რომ ჩემი უკანასკნელი ჟამი მოახლოვებულა.

ხანის ცოლი. არა, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, ჯერ მე უნდა მოვკვდე.

დავრიში. ჩემო უუსაყვარლესო დაო! საქართველოში რომ მიხვალ, შენი უნცროსი ძმა აღარ დაგხვდება, მკვდარი არის (*ხანის ცოლი ქვითინს ამოუშვებს და დავრიში ეტყვის*) რა ვქნათ, სულ სიკვდილის შვილები ვართ, დიდი და პატარა სულ იქ შევიყრებით. ახლა მე ამასა გთხოვ, შენს ძმისწულებს გაუფთხილდე. იმედი მაქვს, არც კარგი ირაკლი დააგდებს იმათ.

ხანი. თქვენ სადღა აპირებთ ნაბძანებას?

დავრიში. უნდა, გძელს გზაზე დავადგე და შორს ქვეყანაში წავიდე.

ხანი. ჩვენა?

დავრიში. ჯერ ჩემი გაიგონეთ. წელან რომ ვთქვი, ჩემს ვინაობას ვიტყვი მეთქი?

ხანი. დიახ, დიახ.

დავრიში. ჩვენა ვართ დიდი ინდოეთის ჯელმნიფის შვილები.

თვითონ მეცა ინდოეთის ჯელმნიფე ვარ.

(ყველანი ერთობით დაუჩოქებენ წინ და გულზედ ხელებს დაინყობენ)

ინდოეთის ჯელმნიფე. ჩვენ მახლობლათ ჩვენმა ბიძაშვილებმა დედა მოგვიკლეს და ჩვენი თვალით ვნახეთ, იმისი სისხლი რუსავ-ეთ ნავიდა.

(ამ სიტყვაზე ხანის ცოლსა გულს შემოეყრება. ინდოეთის ხელმნიფე ცდილობს გაიმაგროს თავის გულთან, მაგრამ ველარ მოერევა და საცოდავათ ყვირის)

ინდოეთის ჯელმნიფე. ჩემო უსაყვარლესო დაო! გული გაიმაგრე, პირველი მაგალითი არა ვართ ჩვენ ქვეყანაზე. *(მასუკან ამათ ჩამოსძახებს)* რა საჭიროა, კაცმა კაცს დაუჩოქოს, მომეხმარებით, ეს ჩემი და ნავიყვანოთ აქედგანა და სახლში მოვასვენოთ.

(ამასთან წამოცვივდებიან, ხელსა სტაცებენ და გაიყვანენ. ხანიც მწუხარებით, ბარბაცით გაჰყვება უკან. ისინი რომ წავლენ, მზე დაბნელდება ცაში, ამდროს ის ადრინდელი ღარიბი მაჰმადა მოვა ამ ადგილსა და იტყვის)

მაჰმადა. ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი უსეინ ხანი, თუ ის არ ყოფილიყო, მშიერი გავნყდებოდი ცოლშვილითა. ასეთი კეთილი კაცია ჩვენი უსეინ ხანი, რომ იმის სახანოში სიღარიბე სულ არ არის, ყველანი კმაყოფილად ვცხოვრებთ, მაშინ როდესაც სხვა სახანოებში რამეთენი იხოცება სიღარიბით. მართალია, ჩვენი დიდი შესანუხებელი არის იმისი საქართველოში წასვლა, მაგრამ ღმერთმა მშვიდობის გზა მისცეს, ნავიდეს თავის მშობელ ქვეყანაში. მაინც იმას ამთენი კეთილი შაგირდები დარჩება, იმისვე გაზდილები აქა, რომ ჩვენი ბედნიერებისათვის ისინი საკმაონი არიან. მაგრამ იმ ზეცაში რასა ვხედავ? მზე დაბნელდა, უთუოთ ხელმნიფე მოკვდება ვინმე. ნავიდე ვნახო, რას ამბობენ ხალხი?

(და წავა, ამდროს საშინელი ელვა, ჭექა შეიქნება და ღრუბელი დაბნელებულ მზესა დაჰფარავს. პატარა ხანს უკან ელვა, ჭექა და ღრუბელი გადიყრება, აღარც მზე ჩანს, მაღლა ასულა, მაგრამ ახლა ცის სარტყელა წამოა და ამ ადგილს გადმოეველება. ცოტა მცირეს შემდეგ უსეინ ხანი მოვა, დიახ შენუხებულის სახით და იტყვის)

უსეინ ხანი. ნეტავი, იმ ჩემი ცოლიძმის შეგვეტყო, ვინ არის? ის დალოცვილი, დიახ, სამი დღე კარგათ იყო, იმისი დაჲ, ჩემი ცოლი, გვერდითგან არ მოშორებია და ბედნიერები ვიყავით ერთიერთმანეთით. სამ დღეს უკან არ ვიცი, რა დაემართა! საშინელს სევდაში ჩავარდა, აღარც ხმას იღებს ეს ოცი დღეა, აღარც სომს, აღარც არასა სჭამს, დასუსტებულ მიკნავებული აქ მოდის, ამ ადგილას, არ ვიცი რა უნდა? – ნავიდე მივეგებო, აგერ კიდევ მოდის.

(და წავა. – კიდევ დავრიშულათ ჩაცმული ინდოეთის მეფე მოდის ზღვის პირზედა ჯობდაბჯენილი, მარჯვენა მკლავი იმის დას უჭირავს, მარცხენა ზორაბის ცოლს თამარს და ცოტათ ნახრილი დიახ წყნარა მოდის. უკან მოსდევენ ზორაბ თავის წვრილის შვილებითა და უსეინ ხანი. ესენი სულ დიდათ შეწუხებულის სახით არიან. ინდოეთის ჯელმნიფე ცისარტყელას შეხედამს და ცოტა სიამოვნით ღიმილით იტყვის)

ინდოეთის ჯელმნიფე. დღევანდლამდის არავინ არ იცის, რა მაგალითია ცისარტყელა ჩვენთვის?

ზორაბ. რა მაგალითი უნდა იყოს, ჩვენო გამომხსნელო?

ინდოეთის ჯელმნიფე. ეს მშვენიერი სიმგრგვლე ცის სარტყელა ის მაგალითია ჩვენთვის ღვთისაგან, რომ ქვეყანაზე კიდით კიდემდისინ ერთი უნდა იყოს ადამიანი, ერთს სარწმუნოებასა ქვეშე იცხოვრონ, ერთს ენაზე ლაპარაკობდენ და ერთის კანონის დამორჩილებული იყვნენ ყველანი. იმ ცისარტყელის სიმწვანე და სინითლეც ის ნიშანია, რომ ღმერთი იმედოვნებს ერთის სიყვარულის ბედნიერებით ვყანდეთ კაცობრიობა და არავითარი განყოფილება აღარ იყოს ჩვენში ქვეყანაზედ.

ახლა ამასა გთხოვთ, რაც ეხლა მოგახსენოთ, არ დაივიწყოთ. გამეგონა, კავკაზიის შინაგანს მთაში ერთი გამოქვაბული კლდე, რომელშიაც მამა აბრაამის კარავი იდგეს შიგა და უფალი იესო ქრისტეს აკვანი იქ იყო. იმ კარვის და აკვნისა ამბავი რომ გავიგონე კაცობრიობისთვის რჯული დაწერე სამასი თაბახი მეტი. ის ჩემი დაწერილი რჯული გაბტყელებულს ტყვიაში გავახვიე დიახ მაგრა, რომ ჰაერი არსაიდან არ შესლოდა და თოკით კარგა დავშარტე. ამის მეორე დღეს ავდექ და მთიულეთის ხეობისაკენ გავსწიე, სადაც მესამე დღეს სტეფანწმინდას მივედი, იქ გამოვიკითხე და იქაც ისე მითხრეს, როგორც გამეგონა. რალა უნდა დამეყოვნა, ერთი კაცი დავიჭირე გზის მჩვენებელი და მაშინვე გავსწიე სტეფანწმინდიდგან დასავლეთის მხარეს, რომელსა ზედაცა მთას შეუდექით და დიდრონი მთების გადასვლისა შემდეგ, მეორე დღეს იქ მივედით. ეს დრო იყო შუა ზაფხული. ის გამოქვაბული კლდე კარგა მალლა იყო ძირიდგან და იმ გამოქვაბულს პირზე ერთი მოკლე ჯაჭვი ეკიდა რკინისა. ხანი რომ არ დამეგვიანებინა, ხეები მოვიტანეთ, კიბესავით ზედ მივადგით კარგა მალლა და ზედ გავედი მე, თუმცა რამდენიმე ადლი დამრჩა იმ გამოქვაბულამდინ, მაგრამ საჭიროთ აღარ დავინახე იქ შესვლა, რადგან წმინდა ადგილი იყო, ამისთვის ის ტყვიაში გახვეული ჩემი რჯული შევსტყოცნე და გამოქვაბულში შიგნით შევაგდე, ჩამოველ და ვთქვი: „მანდ იყავ, რჯულო, მაგ ღრმა კლდეში. მამა აბრაამის კარავთანა და უფალი იესო ქრისტეს

აკვნის გვერდით, იქამდისინ იყავით თქვენ სამნივე მანდ პყრობი-
ლად, მანამდისინ დრო მოვიდეს, რომ გამოგიტანონ და ქვეყნის ერი
შეუდგეს თქვენს წესს. ესა ვთქვი, გამოვბრუნდი და მთებს დაუნ-
ყე ჩხრეკა. მამწონდა კავკაზიის დათოვლილი მთები. იმისთანა
დიდრონს ბორცვებზე დადებული, საიდანაც წმინდა მდინარეები
გამოსჩქეფდნენ და უცხოთ მოემტვრეოდნენ კლდეებზედ. ახლა ეს
იცოდეთ, ჩემო ძმებო, რომ კაცობრიობის რჯული კლდეში არის და
არა ქვეყანაზედ, ეს იცოდეთ ყველამ და ასე გეუნყოსთ“. ახლა ამის
შემდეგ წადით და ქვეყანაზედ იცხოვრეთ კეთილსიტკბოებით.

ჯელმნიფის და. ეგ დიახ კარგი, მაგრამ თვითონ შენ უნდა
წამოხვიდე საქართველოში, ჩემო უუსაყვარლესო ძმაო!

ჯელმნიფე. არა, მე ველარ წამოვალ.

ჯელმნიფის დაი. რა ამბავია, ვინ რა დაგიშავა?

ჯელმნიფე. ესლა მომავლობაში ნადირმამ მკითხა ჩემი ვინაო-
ბა. მე არ დაუშალე და ყოველი უანზე. თუმცა დიდი პატივი მომა-
პყრა, ჩემი ყოველი სათხოვარი აღმისრულა, მაგრამ მრისხანებით
ალიგზნა და თავისი საბძანებლიდგან დიდძალი ჯარები მოიწვია.
„მე წავალ ინდოეთზე, მე გადავახდევინებ შენ ბიძაშვილებსა“. რამ-
თენი ვეხვენე, არ იქნა, ველარ დავაშლევინე. გასაკვირველათა მა-
ქვს, ერთი კაცის გულისათვის მრავალი კაცების სისხლი რათ უნდა
დაიღვაროს? ღმერთმა ნუ ქნას, მე ამისთანა უბედურება ვნახო. მხ-
ოლოდ ახლა ერთი სავედრებელი მაქვს შენთან, ჩემო უსაყვარლესო
დაო! პირობას მომცემ, აღმისრულო?

ჯელმნიფის და. რა იქნება მაგისთანა, რომ უარი გითხრა?

ჯელმნიფე. არა, პირობა მომეცი.

ჯელმნიფე. იმ საშინელს დროს, ის დედაჩვენი რომ მოგვიკლეს
ჩვენმა ბიძაშვილებმა, იმისი უმანკო სისხლი დაიფიცე, აღმისრუ-
ლო.

*(ჯელმნიფის დაა ჯერ მწარეთ ატირდება, თვალეებზე ჯელ-
სახოცს მიიფარებს, მასუკან ხელს დაიკრეფს და გულმტკივნეუ-
ლად იტყვის)*

ჯელმნიფის და. ოჰ, ჩვენო უსაყვარლესო და უუკეთილესო დე-
დავ! იმ შენს წმინდას და უმანკო სისხლსა ვფიცავ, ჩვენი ბიძაშვილ-
ისაგან დაღვრილს, რომ ამ ჩემი ძმის სურვილს აღვასრულებ ყოვ-
ელფერსა.

ჯელმნიფე. ჰოოო, ესლა კი ვიტყვი: ოცი დღე ჩემი შიმშილი და
ამთენი ჩემი მწუხარება ის არის, რომ ნადირმა მიდის მრავალი კა-
ცის სისხლის დასაღვრელად ჩემი გულისათვის. მე ამას ვერ გაუძ-
ლებ, ამთენი ჩემის მწუხარებით ამ ათს მინუტზე მე მოვკვდები.

(ჯელმნიფის და საშინელის ხმით დაიყვირებს და სხვანი მწუხ-

არებით შებორგინდებიან)

ჯელმნიფის და. ვუი!

ჯელმნიფე. მოითმინე, დედის უმანკო სისხლი დაგიფიცნია.

(ჯელმნიფის და მწუხარებით გულხელ დაიკრევს და თავჩაკიდებით დადგება)

ჯელმნიფე. ჩემო უსაყვარლესო დაო! გთხოვ და გევედრები, შენს ქმარს გაჰყვე საქართველოში, თუ ჩემი სიყვარული გაქვს. – გაჰყვები განა?

(ჯელმნიფის და შენუხებით უპასუხებს)

ჯელმნიფის და. გავყვები, ჩემო უუსაყვარლესო ძმაო!

ჯელმნიფე. ესლა ჩემი სურვილი სულ შემისრულდა, მხოლოდ ერთი კიდე დამრჩა, ვერ გითხარით, რომ კეთილათ იცხოვრეთ ყოველმა ადამიანმა მეთქი. ამის მეტი ჭეშმარიტი არა არის რა ქვეყანაზე *(მასუკან თავის სიძეს და ზორაბს დაუძახებს)*

ჯელმნიფე. ჩემო საყვარელო სიძევ, უსეინ ხანო და ზორაბ, ჩემთან მოდიტ, ხელი დამიჭირეთ, *(მარჯვნივ ხანი დაუჭერს ხელს და მარცხნივ ზორაბ)* მაგრამ როდისაც მოვკვდე, გევედრებით, ოთხი მუშით გამიტანოთ და ინდოეთის მამულში დამმარხოთ ყოვლის გამოუჩვენობით, მეორეს ამასა გთხოვთ: ჩემს სიკვდილზე არავინ არ შენუხდეთ, თორემ ჩემს სულს დაუმიძიმებთ.

თამარი. ვუი, ამ ჩემს თავსა, საქართველოს ტყვეებს რალა ეშველებათ? ვილა იქნება იმათი გამომხსნელი?

ჯელმნიფე. უფრო უდიდესი და საკვირველი ირაკლი! საქართველოს მოვლას გარდა, აუარებელი ტყვეების გამომხსნელია ის, თამარო! მინამ გონება მაქვს, შენი შვილები მოიყვანე ჩემთან, დავლოცო, *(თამარ მიიყვანს, ჯელმნიფე მარჯვენა ხელს დაადებს ორსავ ყმანვილებს თავზე და ეტყვის)* ჩემო საყვარელო პატარა ყმანვილებო, ღმერთმა გაკურთხოთ და ზეციური კეთილი მადლი გადმოავლინოს თქვენზე.

(ყმანვილები ხელზე აკოცებენ და მასუკან გამობრუნდებიან)

ჯელმნიფე. დრო არის ახლა, დამსვით.

(მარჯვენა მხარის ქვეშ ხანი შეუჯდება და მარცხენას ქვეშ ზორაბ. ნელა დასმენ და ისევ მხრებს ქვეშ არიან შემსხდარნი)

ჯელმნიფე. სრულებით საშიში არა ყოფილა სიკვდილი, არც შესაწუხებელი, როგორც ძილი მოსდიოდეს კაცსა და ძილისთვის სუსტდებოდეს სიამოვნით, იმ მდგომარეობაში ვიმყოფები, *(პატარა დაჩუმების შემდეგ)* რაოდენი რაცა დაგინესებია ღმერთსა, ყოველი რიგზედ და საკვირველებით არის დაფუძნებული. *(კიდეგ პატარა დაჩუმების შემდეგ)* ოჰ! მადლობ, ღმერთო! აჰა, მოვდივარ შენ წინაშე სულით. *(და გადაესვენება მკვდარი, მაგრამ ხანსა და*

ზორაბს მაგრა უჭირავთ. ამდროს ხანის ცოლი გადაეხვევა და და-
იძახებს)

ხანის ცოლი. ძმაო, ძმაო! ნეტავი, მე მომკვდარვიყავ შენ მაგი-
ერ.

(და მაგრა მოეხვევა. თამარიც დაიჩოქებს და იმის კალთას დაუ-
წყებს მთხვევას. ყმანვილებიც მუხლებზე მოეხვევიან და შეწუხ-
ებით იძახიან)

და-ძმანი. ჩვენო გამომხსნელო, ჩვენც შენთან მოვკვდებით,
შენი ჭირიმე, ჩვენო გამომხსნელო.

(ეს მეოთხე ამბავიც ამით დასრულდება)

სრულ იქმნა.

ბატონის-შულის ირაკლის პირველი დრო ტრაგედია ოთხს მოქმედებად

უბედურებზედ უბედურო, ჩემო მშობელო საქართველოვ. ჩემს გონებაზედ დავობლებული შენი ქუფრი მწუხარება; მე, ორის მუხლით დაჩოქებული ამ ტვრთითა და ამის შესაფერის ამოკვნესითა, მე, შენი ძე, მოგიძღვნი გულმოკლულსა ამა ტრალედიასა, მას, ჩემის საცოდავის ცრემლისაგან მძიმეთ დალბობილსა; შენის უზომოს, მაგრამ დაჩაგრულის პატივის ცემითა, რომელიცა ჩემსა სულში გარჭმულია სურვილზედა გალესილი შენი სიყუარული! მამულისა მწირი მარად შენთვის დავღალადებ, შენ, მამულო...

[შენი ა. ჯამ. ძე [ვახ.] ორბელიანი]

მოქმედნი პირნი:

მეფე თეიმურაზ საქართველოსი, თავის ამალით
დედოფალი თამარ, მეფის მეუღლე, თავის ბანოვნებით
ანა და ქეთევან, ამათი ქალები
ირაკლი, მეფის და დედოფლის ძე, თავის ამალით
ცხვრების მწყემსები

გივი, ირაკლის გამზდელი
რევაზ, საქართველოს თავადი
სიდონია, ამისი ცოლი
ომან, კიდევ საქართველოს თავადი
ბარბარე, ამისი ცოლი

სარიდან, ყმანკლი კაცი, ომანის და ბარბარეს შული
მელანია, სარიდანის ცოლი, რევაზ და სიდონიას ქალი
ვარდუა, მელანიას თანა შეზრდილი მოახლე
ბერი გერმანე, მოძღვარი მეფისა და სახლეულებისა
ფშავლების დედაკაცები თავის წვრილის შვლებითა მთის ჯარები

ბესარიონ, დაკუთავებული, საქართველოს თავადი, ყმანკლი კაცი

ამის ცოლი კეკე და ამათი პატარა შული, გეგო (გუდიანი კაცი), ანუ ამათი ყმა იოსება ცოლით

გმირისეული, ბესარიონის გამდელი

ასლან, კიდევ საქართველოს თავადი და ამასთან ოცდა ცხრა თავადაზნაურნი

იონა ბერი ალავერდისა

**ოსმალურად ჩაცმულნი ქართველები
ალავერდელი, ალავერდის მღუდელ მთავარი
შაოსანი ქალები
მგლოვარე საკინძ ჩამოხსნილი ქართველები
ბაზაზი
მენვრილმალე
მეხილე (ბაყალი)
მპარსავი (დალაქი)
დაფარულად ვინმეები
თელავის კაცნი და დედაკაცნი
გრიგოლ, თამარ დედოფლის მოსამსახურე
ორი მესაფლავის მთხრელები
ოთხი მოსამსახურე ყმანვლი ბიჭები, თავადის რევაზის
გაზდილები**

წინა სიტყუაობა

ეს ამბავი, ბატონიშვილის ირაკლის დროისა, იმიტომ ამოვარჩიე მე, რომ იმის ყმანვლობას მოუხდება ეს ტრალედია, დროც იმისთანა საშინელი იყო მაშინ საქართველოში. მაგრამ რაც სახელი იმ დროს, იმ საშინელებაში, იმ თხუთმეტის წლისამ შეიძინა, მგონია იმტოლა ყმანვლისაგან სხუა მაგალითი არ იყოს არსად ქუწყანაზედ? წარმოიდგინეთ. ქართლი და სომხითი ოსმალთ ეჭირათ, დიახ მაგარ ბორკილს ქუჭმა, ქიზიყი და გაღმა მხარი ეგრევე ოსმალ-ლეკთა, რომელნიცა კიდეც გაოსმალდნენ გლეხნი, გარდა თავად აზნაურებისა, და თელავის მხრის მცხოვრებნი ხომ, შიშით შეძრწუნებულნი, სიმაგრებში დაიხიზნენ სულერთიან. ადრიდგანვე წყნარ წყნარად დასუსტებული და ძალა მოღებული ერთიანი საქართველო, ჯერ რავედენსამე ნაწილად განყოფით და მასუკან მძვნვარეს მტრებისაგან, ახლა დასალუჰად ჳელში ჩაიგდეს და სრულიად განიავებას უპირებდნენ ძირით, ვაებაში ჩავარდნილსა საქართუშლოს, მხოლოდ ნაცარში დამალულსავით, ერთი ცეცხლის ნაპერწკალი კიდეც იყო დარჩომილი, ეს იყო ფშავის სიმაგრეებში დახიზნული მეფე თეიმურაზ მეორე, მაგრამ ვილა იფიქრებდა მისთვის, ვილას ექნებოდა იმისი იმედი, რომელიცა შეშინებულს თავგსავითა სოროს ეძებდა, თავი დაეხიზნა სადმე, საქართუშლოზე მოსეულის უანგარიშოს მტრებისაგან. აი, ამისთანა დროში, ის თხუთმეტის წლის ბიჭი, ბატონი შვილი ირაკლი, ფშავის სიმაგრიდამ გადმოვიდა; პირველად ალავერდს მოვიდა და იქიდგან დაიწყო საქართველოს გამოხსნა აუარებლის მტრებისაგან, ამ დროებსა ნადირშაც მოესწრა, დე-

მურტაშზე ოსმალს დიდი ჯარი დაამარცხა და საქართუშლოს გარემოება შეიცვალა. თუმცა შეიცვალა, მაგრამ ისტორიით ვიცით, ისეც გაგონილი ამბები, რომ რა არ გამოსცადა მაშინ საქართუშლომ? რა საშინელება არ იყო დაცემული ირაკლის დროს საქართუშლოზე? ამის მეტი სხუა კარგი არა იყორა, არაფერი, რომ ნახევარი საქართუშლო გაოხრდა მტრებისაგან ბევრის ქართუშლების სისხლის ლურითა, ანუ ტყვეთ ნაყვანილობითა. მარამ მინამ მეფე ირაკლი ცოცხალი იყო, ვერაოდეს ვერ გადარივეს ქართუშლების გული იმდენმა უანგარიშოთა მტერთა და ვერც მამული მოსტაცეს იმათ!

მთელი საქართუშლოს ხალხი მდევრად გადაიქცა: მეფე, თავადნი, აზნაურნი და გლეხნი სულ მდევარში იყვნენ უნამეტნავესი დროები. ყოველს ცისმარეს დღესა და ღამესა ამის მეტი ამბავი აღარა იყორა მთელს საქართუშლოში, რომ ხან აქ და ხან იქ დაიძახებდნენ: მდევარიო. ამ სოფელს მტერი დაეცა და მდევარი მიეშურებაო. აქედგან ტყუშ წაიყვანეს და მდევარი დაედვენაო; აქა და აქ მოუკლავთ და მდევარსაც მოუსწვრიაო. (კაცისა, დედაკაცისა და ყმანკლის გაკითხვა აღარ იყო მტრისაგან, ვისაცკი მოასწრობდნენ, ზოგს ხოცდნენ და ზოგს ტყუშთ წაიყუანდნენ). ამა და ამ ადგილს დიდს მტრის ჯარსა გაუვლია და მეფე თავის ამალით დასდევნებიაო, იქით ხეობაში მტრის ჯარში შეხდომია და ჩუშნს ჯარსაც იმათთს გზები შეუკრამსო. ამა და ამ წყალის პირზე ჯარი ჩამამხტარა მტრისა და ჩუშნი ჯარიც იმათზე გამოსულაო. იქით, ზევით მთაში დიდი მტერი ამოსულა და მეფესაც თავის ჯარით იმ მთის ყელეები დაუჭერიაო და აქ მახლობლად ტყეში დიდი ჯარი იყურება, დრო იპოვნონ, დაგვეცნენო, მაგრამ მეფეს ირაკლის ისინი ველარსად ნაუვლენო. რალა გავაგრძელოთ, მთელს საქართუშლოზე მიდიოდ-მოდოდა მტერი და ჰქელავდნენ გაუკითხავად, რაც შეეძლოთ, ჭარბელაქანიდგან ახალციხემდისინ და ახალ ციხიდგან ჭარბელაქნამდისინ, სადაც ამ ორს ქუშყანაში იყვნენ ჩანოლილნი

* თითქმის ყოველს სოფელს თავთავისი ციხეები ჰქონდათ, თუ ციხე არა, კოშკები, ანუ კოშკი, და თუ ესენიც არა, უთუოდ ჯიხურები მაინც, სადაც ხიზნით დაიხიზნებოდნენ და იქიდგან მტერს ეომებოდნენ, მინამ მდევარი მოეშველებოდა. დიდი, ცხადი მტრის ჯარი იმდენს ვნებას ვერ აძლევდა ქართუშლებსა, როგორათაც ქურდი მტერი. თუმცა ძალიან ფრთხილად იყვნენ ქართუშლები და ყოველს სოფელს სოფლების გარშემო ყარაულები ჰყოლიათ დაყენებული. მაგრამ ქურდსა რა გაუმაგრდება, ნამეტნავად იმათ, ვინცა ჩუშნი შემოსასვლელი და გასასვლელი, ყოველი ადგილები დანვრილებით კარგათ იცოდნენ. ღრმა ტყეში იყვნენ ხოლმე დამალულნი და იქ ჰქონდათ ბინა, თურმე, და იქიდგან ჩუშად სცემდნენ ყოველს სოფლებს. ასე რომ, ყარაულებსაც ველარა გაეგოთრა იმათი ამბავი, საიდგან გამოდიოდნენ სოფლების დასაკვრელად. ეს მტერი უფრო ღამე მოდიოდა.

ქართველთ მტერი, დიას ბევრი. ამ ორს ბუდეს შუა ისრისებოდა საქართველო იმათაგან, რაზედაც როგორც ხიფხიფად გადიოდნენ და გამოდიოდნენ, გაერთებული ლეკ ოსმალთ ქართველების დასანთმელად* არც სპარსებმა უთავაზეს; ისინი ხომ, რაზმ-რაზმებით მოდიოდნენ. ერთს მუჭას ქართველებზედ უსირცხვილოდ და სხუანი... თითქმის მთელს საქართველოს ხალხსა გატენილს თოფებზე ეძინათ. ახალი მდევიდგან მოსული ქართველი, ხიზანს რომ გუწოდით ნამოუნუწბოდა და ტკბილად ჩაიძინებდა, ამ დროს დაიძახებდნენ: მდევირო. ეს დაღალულ დანყვეტილი კაცი გაოგნებული ნამოვარდებოდა და ცოლი გატენილსა თოფსა ჯელში აძლევდა ამ სიტყვით: კაცო! რას გაოგნებულხარ, კიდეც მდევიარს იძახიან, აჰა, თოფი! გონებაზე მოსული ქართველი თუალებს მოიფშვნებდა და მდევიარში დაჩუშული დამშვებით ეტყოდა: კიდეც მდევიარი, ამ ერთს კვრამი შვდჯერ ვყოფილვარ მდევიართ და ესეც მეწვე იქნებაო. დედაკაცის პასუხი: უსამართლოს მტრისაგან უსამართლოდ რომ ილუპება ჩუწნი მამული, მაშ, რასა იქ, არ წახუალ? ერთი მაგალითი ხომ არ არის, ეს, ასე იყო და ამ გუარი მოუსწნებელი ცხოვრება ჰქონიათ ჩუწნთა მამა-პაპათა.

ესენი სულ შეიძლება სიტყვით ითქუას და უცხო ყურმაც განსუწნებულის გულით გაიგონოს, მაგრამ ის ანბები, ის ქართველების სისხლი, ანუ ტყვევანა მამულისათვს, არის ჩუწნი, და ჩუწნი შკლის შკლების დაუფინყარი სახსოვარი!

მინამ მეფე ირაკლი მოკუდებოდა, სამოცდა სამი წელიწადი ოხრდებოდნენ და წყდებოდნენ ქართველები, მარამ იმათ მტრებსაც კეთილი არ მოსდიოდათ, ისინიც დასდასობით ილუპებოდნენ ქართველების ჯელით, თუმცა ილუპებოდნენ, მაგრამ იმ უანგარიშოთა ცოტა ქართველები რას უზამდნენ? – ბალახი მოითიბა, მოვიდა უფრო ბევრი... ეს სისხლი და ოხრება ქართველებისა ეს იყო: ან ამოვწყდეთ სულ ერთიან, ან არა და ჩუწნი თავისუფლება დავიმკვდროთო. კი, მეფის ირაკლის მეორეს დრო საქართველოში!..

გასაშტერებელია! იმდენმა გარს შემოხვეულთა ქართველების მტრებმა როგორ ძირიანათ არ ამოაგდეს ცოტა ქართველები საქართველოდგან, აღრიდგანვე იმ საშინელის მტრებისაგან დარჩომილი? საქმით ჰსჩანს, რომ უწინდელი ქართველი ყოფილა მართლად მაგარი ქართველი! ამისთვის მეც ვეცადე, რაოდენ ჩემმა სუსტმა კალამმა შეიძლო, რომ მამინდელი ლაპარაკი, ხასიათი, ზნეობა თუ დრო ამ ტრაგედიაში გამამეხატა, ასეთი არა დამინერია რა აქა, მეფის ირაკლის დროის საქმეებთან საოცარი იყოს, გარდა ერთისა,

* თავის დროზედ აღვენერ, საიდგან, როგორ მოდიოდნენ გაერთებული ლეკ ოსმალთ.

უკანასკნელი რევოზის მდგომარეობა. უთქუამთ ისე არაკისავით, მითამ საქართველოში მომხდარ იყოს ოდესმე ის შემთხვევულება, ერთის სიტყვით, მაშინდელთა მეფის ირაკლის დროის ქართველობას ეკადრებათ მამულის მოწამეობის გვირგვინი!

1852-სა წელს ქ.
ტფილისს.

ტრალედია
ბატონი შვლის ირაკლის პირველი დრო
ანუ
თავდადება ქართველებისა

(ფარდა აიხდება, გამოჩნდება ფშავლების მთები, ერთს კლდის ძირში პატარა ვაკე ადგილია, სადაც დილა ადრიან მეფე თეიმურაზ მეორე მოვა და მწუხარებით მიიხედ-მოიხედავს)

მეფე თეიმურაზ. ამ მოლაჟვარდულს დილაზე რავდენი ხარობს, ამ დანმენდილს დილაზე? – რავდენი განსცხრებიან, შენ მშუწნიერო დილაო, შენის კარგის ჰაერით?.. აგერ, რავდენიმე ფარა ცხვარი გამორეკეს, სულერთიან თოვლისავითა თეთრად ნათელი; დღეს დილის გათენების ცივგრილისაგან ცვარით ნამულზე, იმის წინწკლითა მოციალეს, იმ ყვავილებით შერეულსა მწვანეზე და იმ მოხდენილს მალალს მთაზედ, რა გემოვნებით, რა ლამაზათ მოიძოვენ, ის უმანკო პირუტყვები, იმ საუცხოვოს მოლსა, საუკეთესის ჰაერით გაბიზინებულსა, ყოველი სიძვრფასე ამაოა, სულ არაფერი: შენთან, შენ, მიმოზნეულო არვედო, შენს დედამინის მდელოზედ დაშვენებულო, მეტად კარგო. შეგერგებათ თქუწნ, არვედო, თქუწნის ქუწყნის გემოვნება, ეგე თქუწნი გამომზდელი. სატკბუნარიც ეგევე თქუწნი ახლა შენკენ შენ, ჩუწნო მამულო! ეს სატრფიალო დილა შენ შეგემკობა, გეალერსება, შენ, ჩუწნს მამულს გაფურჩქუნილსა, არ აფუტკენილს მტერთაგან: გულგამლითა, გულალორძინებითა და გულმდიდრად, სამკაული მის ზეცისა! – აგერ მზეც ამოვიდა, ამ დილის მზე, აგერ, იმ დიდს მთას იქით ზევიდგან მზემ მოიტანა მადლი ზეცისა და მადლი მლუთისა. ზენარო მზეო! ან მე რაღა? განა მწუხარება ადრტვინებული, გულმტკივნეული საჩივარი ღუთის წინაშე? ხედამ, მზეო? ეხლა ხომ შენის თუალით უყურებ საქართველოს, რა ზარია დაცემული იმ ჩუწნს მშობელს მამულზედ? – აღმოსავლეთიდგან მტერი ებრძვის,

დასავლეთიდგან მტერი, სამხრეთიდგან მტერი, ჩრდილოეთიდგან მტერი, მტერი, მტერი! ამისო მტერთა საქართველო, უნდათ ჩუწნი მცირედი საქართუწლო წარიტაცონ, არ ვიცი, რომელს ერთს უნდა გახუდეს, რომელს ერთს? ამის გამო აღელებულს უკიანეს ზღვასავითა შემოხვევია, ვით მცირე ხომალდს, აუარებელი მტერი საქართველოს და სწენენ ცოტა ქართველებსა. *(ამასთან ჴელ გაპყრობილი დაიძახებს):* რა საშინელს უბედურებაშია ჩავარდნილი ჩუწნი საქართუწლო! დაიფარე შენის ძლიერის ჴელით, ღმერთო! ოჰ! სოფელო ცრუვ. შეანუხე კაცი, შეანუხე. როდემდისინ? *(ამ დროს ზევით ცხვრებთან ერთი მწყემსი მოვა, გძელ კომბლიანი, კომბალზე დაებჯინება, მთის მოსავალზე ჴელს მიიღებს და იტყვს)*

მთიული მწყემსი. ჩუწნო გამომზდელიო, თქუწნ მაინც ნუ უღალატებთ საქართველოს, იქ კარგი მოსავალი მაინც მოდი, ჩვენო მიწის მოსავალო, რომ მშიერი მაინც არ ამოეხუთოთ უკანასკნელი სული ბარის ქართველებსა.

მეფე. გესმის, ყურო? იქ ბარში ბარის ქართველი კუდება ტანჯვით, აქ მთაში უკუნესის გული უბირს ქართველს მთისასა? ჩუწნ რა გკმართვეს ამის შემდგომ?

მთიული. *(ცხვრებისაკენ დიდ გძელს კომბალს მოიქნევს)* გრრი, ჰეი, ცხვრებო, აქეთ მოდით! შენსა ერთსა კრავსა ნადირი მოიტაცებს, სხუა ოცი ფარა მაინც რჩება უვნებელი, მარამ, აბა, ახლა იქ ჩუწნს ძმებსა ბარის ქუწყანაში, უდიდესი ჯარბი,* რომ გადასწოლია და თავის კბილებში ღლარჭნის იმათ კევსავითა, მოინონებ ამას, ღმერთო? გრრი, ჰეი, აქეთ, ცხვრებო! იქ მთას იქით წყალი მოსვით ცივი და მეც დავენაფო, ნანღეები გამიგრილდეს, იწვის იმ ჩემი ძმებისთვის. *(პირ იქით გადარეკს და თვითონაც მთის თავზე დადგება, ჴელი ზეცისაკენ მიღებული)* ეს კარგი არ არის შენის სახელისათვს, ღმერთო! *(და თვითონაც ვარდავა)*

მეფე. მოდი, ნუ აღუღდები, გულო? მოდი, მოითმინე, გულო? გამწარებულო, გამწარებულო მწუხარებავ, ვაი ჩემი ბრალი! *(საცოდავათ ატირდება და თვალზე ჴელებს მიიფარებს. ამ დროს თამარ დედოფალი, მეფე თეიმურაზის მეუღლე და ამათი შული ირაკლი მოვლენ, თამარ დედოფალი ტირილით)*

დედოფალი. ჩემო ბატონო, ჩემო ჴელმწიფევ! რა არის ამდენი შენი მწუხარება, ამდენი შენი ვალალება მამულისა?

მეფე თეიმურაზ. თამარო, შენა ხარ? მოდი, ჩემო თამარო, სანუგემო სიტყუა მითხარ, ეგება დაჩაგრულმა გულმა განიხაროს მცირედ მაინც, მაგრამ შენს უკან რომ ვილაცა დგას, ვინ არის ეგე?

* ჯარბი არის მძვინუარე გველი.

დედოფალი თამარ. ჩუწნი ირაკლი, ჩუწნი უსაყვარლესი შკლი გახლავსთ.

მეფე თეიმურაზ. ირაკლი, შკლო. მოდი, შენს გაზდას, ჩემს საიმედოს პირზედ გაკოცო, რათ იმალები, შე გაუბედაო, ირაკლი. *(ველის დაჭერით, კოცნით მიიყვანს თავისთან)* შენმა გაზდამ, ირაკლი, გაუბედაობა აღარ გშუწნის; ახლა თხუთმეტის წლის ვაჟკაცი ხარ და ვაჟკაცურად უნდა მოიქცე ამას იქით. *(ველიდგან აღარ გაუშვებს, მას უკან დედოფლისაკენ)* ასე, ჩემო თამარო, საქართუწლოსათჳს კუდება გუღი სრულად.

დედოფალი. ჩემო სიცოცხლეო, ჩუწნი ღუთის მშობელი თავის წილხდომილს მამულს აგრე რიგად არ გასწირავს, სრულად დაიღუპოს, ეს რაცაა მოვლენიღი ჩუწნზე, ჩუწნი ცოდვის გამოა, მოვინანიოთ.

მეფე. რასაკვრველია, იმისი იმედი მაქუს, მაგრამ არ ვიცი, საიდგან რა მოგვევლინა, რომ ყოვლის ცოდვით შევიბღალენით ქართველები, რომლის გამო ყოველი ჩვენი სიმხნე და ვაჟკაცობა სრულად დაიკარგა. აბა, რა ვქნათ ყოვლის ფრითა ღონე მიღებულთა, ყოვლის ფრითა ღუთის შემცოდეთა?

დედოფალი. კაცისაგან კაცი ხდება, ზეცისაგან კაცი კეთდება, კიდევ ვიტყვი, მაშინ, როდესაც რომ თავის ცოდვას მოინანებს. ამის განსაკურნად სამკურნალოს ვიტყვი ცოტას: კაცის გული სარკეა კაცისათჳს, ჩაიხედოს თავის გულში, თუ ყოველი არ დაინახოს, რაც ხვანჯია იმაში? ადვლია, ის ხვანჯი ამოიღოს და გასტყორცნოს შორსა, თუ მაშინვე არ შემუსროს თავის ცოდვა კაცმა, ვინც ამას ძნელად მიიღებს? სწინდისით მკუდარი. ვინც არ იყურება თავის გულის სარკეში და ვერას ხედავს, ანუ არ უნდა დაინახოს თჳსი ხასიათის ნაკლულება, ის იქნება გარეგანი ველური.

მეფე. გარეგანი ველური და დანყევლიღიც.

დედოფალი. ჩემო თვალის სინათლეო მეფევ, მაშ, ნამობრძანდით, ყავა მიირთვით, დრო არის. *(ველს დაუჭერს, მეფე თეიმურაზ დაღონებული ვაჟყუშბა, მაგრამ ირაკლი კი იქ დარჩება. ირაკლი ერთს კლდის ქუაზე ჩამოჯდება ამ სიტყვით)*

ბატონის შკლი ირაკლი. რა გონიერი დედაკაცია დედა ჩემი, ანუ კეთილი სული, მართლა რომ მეფის ვახტანგის ქალობა ეტყობა, იმ ბრძნის კაცისა, მაგრამ იმ მამა ჩემმა მეფემ რა მითხრა, ის სიტყუა: ახლა თხუთმეტის წლის ვაჟკაცი ხარ შენაო. ამისმეტათ არ უთქომ ეს სიტყუა ჩემთჳს, ეს სიტყუა გულზედ დამაჩნდა ძლიერად! ჰოო.. ვაჟკაცი თხუთმეტის წლისაო, სხუა ვაჟკაცობა სადღაა? განა ხმალი უნდა ვიტვირთო ახლა გაღესიღი, დაპირული კარგათ? მასუკან საქართველოს მტერთა ვინ რა უნდა უყოს? იმ განძვივნებულთა

მტერთა? (ცოტა დაფიქრების შემდეგ) განა, ბედო, ჩემს ცდასთანა, ჩემის ცდისა შენც მონაწილე იქნები და ჩემი კარგი შემწე? ვნახოთ, ღმერთი რას ინებებს. (პატარა ხანს დაფიქრდება და მასუკან იტყვს) დიახ, რასაკრველია – ახლაკი ვიცი – მამაჩემს მეფეს უნდა ვთხოვო; სათხოვარი სხუა იქნება და საქმეკი სხუა შეუდგება. ასე სჯობია. (ამ დროს ორნი ამისნი დანი, ქეთევან და ანა შემოსცვივიან და გადახვევით ეტყვიან)

ირაკლის დები. საყვარელო, გულის სატრფიალო ძმაო ირაკლი, ჩუწნი მშობლები გთხოვენ, მოდი, ყავა დალიეო. (წელს დაუჭერენ და გაარბენინებენ. ისინი რომ გავლენ, ერთი შუახნიანი ჭალარა წვერიანი შემოვა; ეს არის ბატონის შკლის ირაკლის გამზრდელი გივი და იტყვს)

გივი. იმ ჩემა გაზდილმა რაც წარმოთქუა, სულ გავიგონე; აგერ იმ კლდესთან ვიდექი მოფარებით, სადაც ისმოდა იმისი ლაპარაკი დიახ კარგათ. – მართალია, ის უკანასკნელი სიტყუბი დაფარულის აზრით წარმოთქუა, მაგრამ ვიცი, რაც იქნება – ჩემი გაზდილი, – ძუწლი ქართუწლის გაზდილი ირაკლი? ბევრჯერ ამ დიდს მაღალს მთებზედ რომ წავიყუანდი, ამისთანა ლაპარაკს არ მოვაკლებდი ხოლმე: – ჩემო გაზდილო ირაკლი, ყოველს საქმეს თავისი ტვრთი აქუს, თავისი წონა; ხედამ, ირაკლი, როგორ წონაშია ჩავარდნილი ჩუწნი საქართუწლო ეხლა, (წელს მიიღებს საქართუწლოზე) რა სასწორზედა დგას ამ მინუტში? შეიძლება ოთხსა ლიტრა ხორბალს პატარა ქვს აბრა ეთანასწორებოდეს ანონაში? რასაკრველია, არა, მაშ, თუ არა, იმ პატარა აბრას მძიმე ფოლადი გვერდით რომ დაუდოთ, იმ ოთხს ლიტრას ხორბალს ადვილათ დასძლევს განა? ისე კაცის გულია. თუ თქუწნ, ირაკლი, ისეთი გული გექნებათ შენ და მამულის ქართუწლებს იმ ფოლადსავით, იცოდეთ, იმ საშინელსა მტერსა ადვილად შემუსრავთ და საჩქაროთ გამოიხსნით საქართუწლოს. პატარა ირაკლი სულ ამ გუარის ლაპარაკით გამიზდია, ამ გვარის ჩავონებით, მაშ, დრო არის, ახლა საქმესაც შეუდგეს. (ამასთან ირაკლი დაბრუნდება იმავე ადგილს და შემოსძახებს)

ირაკლი. ჩემო მოჭირნახულე გივო, რას ლაპარაკობ აგრე გულმოდგინედ?

გივი. ჩემთვის რალასაც, რომელიც ბევრჯერ მითქომს შენთვის. ირაკლი, ყავა მიირთვი?

ირაკლი. დიახ, გიახელ.

გივი. გემრიელათ, ტკბილათ მიირთვი?

ირაკლი. არვიცი, ყავა კარგი იყო, შაქარი ბევრი ეყარა ფინჯანში, მაგრამ უგემურათ ვსვამდი და მწარეთ მეჩვენებოდა.

გივი. განა დედოფალმა კარგი თეთრის პურით დაგაღვივინა?

ირაკლი. არა, გემრიელი ნაზუქი მამცა, ამით დალიეო, რა ბძანებაა, ისიც ისე ჴელში დამრჩა ის ნაზუქი, რომ გემოთ არ მი-
ნახავს.

გივი. გეტყობა, წუხელის კარგის ვახშმით კარგათ გამაძღარხ-
არ.

ირაკლი. საჭიროების გამო ვჭამე, თორემ არც ის მიამა.

გივი. მაშ, წუხელის კარგის განსვენებით დაიძინებდი?

ირაკლი. სამი საათი არა მქონდა ძილი, დანარჩენი ჟამები ვი-
ტანჯებოდი.

გივი. იტანჯებოდი? მიზეზი, ჩემო ირაკლი?

ირაკლი. საქართუშლოს და ქართველების უბედურება მტან-
ჯავდა და კვალადცა ვიტანჯები, ჩემო მოჭირნახულე გივო.

გივი. აგრე უნდა, იტანჯე, იტანჯე, ირაკლი, რომ ღმერთმა შე-
ნის ტანჯვსათჳს მამული დაუბრუნოს ქართველებსა. შენ უნდა ქა-
რთველების მსხუცრპლი იყო და ქართველებს შეენირო მონამედ.
შენი მსხვერპლი სისხლი, იცოდე, ქართველების ძეგლი იქნება,
დაუვიწყარი საუკუნო! შენ ერთი შეენირები შენს მამულსა; სხუა
ათასობითსა ქართველებსა, ცოლშვლებით შეჭირვებულთა გა-
მოიხსნი და განათავისუფლებ. მომილოცავს ეს ბედნიერება შენთჳს
მე, შენს გამზდელს გივსა, კარგო ირაკლი. ღმერთო! რა საიდუმლო
გველმა გადაიარა მართალს ქართუშლებზე, რომელნიც დანამლუ-
ლსავით შევიქენით, გარეტებული ვეხეთქებით აქა იქა, არ ვიცით,
რას ვშვრებით. გამტერებული ვარ! ამისთანა უბედური დრო არას
დროს არ დამართებია საქართუშლოს; ამისთანა სამგლოვარო და
სატირელი დრო! გარდა გარეშე მტრებისა ძმა ძმაზე აღმდგარ-
ვართ, მამა შვლზედ, შვლი მამაზედ, ცოლი ქმარზედ, ქმარი ცოლ-
ზედ, სადაც განყოფილება, განწვალვა და დაუნდომლობა დიდი
არის ქართველებში, ასე რომ, ძალღი პატრონს ველარ იცნობს
რიგიანათ ამ წუნკს დროში. ამისგამო თემი თემსა სდევს, ხეობა
ხეობას, მთიელები მთიელებს და მთელი საქართუშლო ამ ვაეზაში
ჩალუპულა დასანთქმელად. ამ განწირულების დროს თუ შემთხვევა
იქნება ოდესმე, მაინც არ დაივიწყებენ თავის მამულს ქართველე-
ბი; დასდასობით გამოვლენ შეუპოვრად, გარეშე მტრებსა ხმაღს
დასცემენ თავისის ძლიერის მკლავებითა და კიდევ გარეკენ თავ-
ის მამულიდგან, მხოლოდ გაუძეხ ამისთანა კაცებს და სანადელს
მიეხნევი, ჩემო ბატონიშვლო ირაკლი!

ირაკლი. მაშ, ჩემო მოჭირნახულე გივო, მოციქულათ უნდა მი-
მეგზავნო მეფეს მამაჩემთან.

გივი. მიბძანე, რა გნებაეს?

ირაკლი. ნება მომცეს, ქუშმით სოფლებისაკენ ჩავიარო, მიც-

ნან ხალხთა.

გივი. რა, სწორეთ მითხარ, რა აზრია ეგა?

ირაკლი. მოხსენებით ეს მოახსენე და აზრი ეს არის, რომ საქართველოს ტლეთ დავედო, ან არა და ჩუწნი მამულის შკლები გამოვიხსნა. იცი, ჩემო მოჭირნახულე გივო, ეხლა რა ამბავი მოუვიდა მეფეს?

გივი. *(სიტყვს აკანკალებით)* უთუოდ რალაც უბედურება კიდევ!

ირაკლი. გაღმა მხარის კახეთი და ქიზიყი სულ გაოსმალებულან.

გივი. ვაი ჩემს თავს, იმ ძუწლი ქართუწლების შკლები?

ირაკლი. კეთილის და გონიერის დედი ჩემის ძუძუების რძე ბრაზად გადმექცეს, თუ მე ეს დავთმო.

(ამ სიტყვაზედ გივი დაემხოზა, ირაკლის მარჯუწნა ფეხს აიღებს და თავის თავზედ დაიდებს ამ სიტყვით)

გივი. ეს ჩემი თავი მუწნიანის ძალლების წილი იყოს, თუ ხმლის მეტი იარალი მე ვიხმარო მტერზედ. *(ამასთან ასწევს ირაკლი თავის გამზდელს ამ სიტყვო)*

ირაკლი. მაშ, საჩქაროდ მიმოციქულე მამაჩემს მეფესთან.

გივი. ეხლავ, შენ ნუ მომიკუდები, ირაკლი! *(და საჩქაროთ გავა. ეს რო გავა, მეორეს მხრიდგან ორნი დანი ისევ მოვლენ და აჩქარებით ეტყვან)*

ქეთევან და ანნა. შენს გაზდას, რას ელაპარაკებოდი შენს მოჭირნახულეს გივსა, რას ამბავში ხართ შენ და ის?

ირაკლი. თუ ჩემი სიყუარული გაქუთ, წადით ქართველები-სათვს ილოცეთ, ამაზედ მეტს ნულარას მათქმევიწებთ, ჩემო უსაყვარლესო დებო.

ანა. სად წავიდეთ, ვის მივმართოთ? უშენოთ ღმერთმა ერთი წამიც ნუ გვაცოცხლოს, ირაკლი.

ირაკლი. რა ამბავია, რას შეწინებულხართ, მითხარით?

ანა. სადაც წახვდე, ჩუწნიც შენ გამოგყვებით; შენთან მოვკუდებით, შენთან დავიხოცებით მამულისათვს. სამნიც ერთად მსხვერპლი ვიყოთ მამულისა, შენი ჭირიმიე.

ირაკლი. რას ამბობთ, ქალებო? ნუ მაჯავრებთ, ნუ მიკლავთ გულსა. *(ანა და ქეთევან, ერთი აქედგან და ერთი იქიდგან, გადაეხვევიან გულმტკივწეულისა სიტყვო)*

ქეთევან. შენს თავს ნუ მოგვამორებ ჩუწნი. შენს სახეს რომ აღარ შემოვხედოთ, ვის დაუნყოთ ყურება? ჩუწნსა სისხლსა ნუ დაზოგავ, უთუოთა სამნივ ერთად, შენმა მზემა. უფრო კარგი და საამო არ იქწება, ჩუწნიც შენთანა თავი დავზდოთ მამულზედა მამულისათვს. *(ამ სიტყუაზედ თავსა გულში ჩაუდებენ და ატირდებიან.)*

ამ დროს თამარ დედოფალი მოვა და ასე რომ ნახავს ამათ, იტყვის)
დედოფალი. ქალებო, რა დაგმართვათ? რად ჩასტირით გულში ირაკლის?

(საჩქაროთ თვალების მონმენდით)

დები. არა, არაფერსა.

დედოფალი. თუ არ მეტყვო, დიდათ მენყინება. *(ქალები შეკრთებიან, და ისევ ირაკლი)*

ირაკლი. ჩემმა ჳელმნიფემ მამამ მიბძანა: ახლა ყმანჯლიო აღ- არა ხარ.

დედოფალი. მეც ვიტყვი, ყმანჯლი აღარა ხარ. მას უკან?

ირაკლი. ის სიტყუა ჩემს გონებას აღარ ეშუჭბა.

დედოფალი. ჰოო. აღარ ეშუჭბა? ერთი მართალი და გონიერი სიტყუა, ვისაც მცირედი გრძნობა აქუს, რომელს არ შესძრავს, ნამეტნავად შენისთანა გრძნობიანს ყმანჯლს. მითხარ, რა განზრახ- ვა მოგსვლია თავში?

(ამ სიტყუაზედ ორნიც დანი ატირდებიან ქვითინით და ტირილს ველარ დაიჭერენ, ამ ტირილზედ მოტრიალდება)

დედოფალი. ქალებო, ქვითინებთ? ოჰ, ქვითინებთ და საცო- დავად. ეგ თქუჭნი ქვითინი, ვიცი, ზეცაში აიჭრა ამ წამს. იქ ზე- ცას დამოეკიდა მაგ ცრემლისა გულმტკივნეულობა ღმრთაების დასაყვედრად. ღმერთო, ეს რა წარმოსთქვი? აი, ასეა დაუხედავი, უფიქრელი სიტყუა? ღმერთო! ნუ განმირისხდები შეცდომილები- სათჯს, ყოვლივ ნაკლულს დედაკაცსა *(მასუკან ქალებისაკენ)* ქალებ- ბო! თუმცა მიხვედრილი ვარ, მაგრამ მინდა, სწორეთ მიაბოთ, რა ამბავია?

ქეთევან. აქ გიახლებოდით, აგერ იმ კლდესთან მოფარებით რომ მოვედით, გაზდილი და მოჭირნახულე ერთმანერთს შეეფიცე- ბოდნენ საშინელის მტკიცის ფიცით მამულზე.

დედოფალი. აგრე, ირაკლი? პირჯუარ დაგნერ მეც, მშვიდობით ამიერ, ეხლავ მინდა, გამოგიტირო მე, *(ირაკლი დაიხოქებს დედის წინაშე, ქალებიც შორი ახლოს, სანყალობელის ტირილით დგანან)* ნადი, ნადი, შკლო, თუ ჩემი მშობლიური გული არ ატირდება შკლის ტანჯვით, ღმერთი რას მისცემს ჩუჭნს ქუჭყანასა? ახლავ გამო- გეთხოვები გადახვევით ჩემს ერთს ძესა, ჩემს ლამაზს ლოყებზე უკანასკნელად გაკოცებ, გულში ჩაგიკრავ მაგრად სიყუარულით; ეს ეს არის გამოგიმეტე: მკვდრის საკაცეს მოგიმზადებ, ან მამული, შკლო. *(ირაკლი ძუძუებზე მივარდება)*

ირაკლი. ამ ძუძუების უტკბილესი რძე, ჩემი გამომკვებელი ყმანჯლობისა; ის შენი კეთილი სული დაგვეფარავს ქართუშლებსა, უსაყვარლესო დედაო!

დედოფალი. იმედი მაქვს, დაგიფარავსთ სიმართლე და ჭეშმარიტება, მაგრამ ხედავ, აგერ, შენი მოჭინახულე გივიც მოდის. *(ირაკლი წამოდგება, გივი მოვა და კელ მოჭდომით დადგება შორი ახლოს)*

დედოფალი. გივო, მეფე ნაბძანდა ზევით სოფლებისაკენ?

გივი. საჩქაროთ გადაჯდა ცხენზე, რავდენიმე დღით ნაბძანდა.

დედოფალი. ხომ არა გიბძანარა?

გივი. რისა, შენი ჭირიმე? *(ირაკლი ჩამოართმევს სიტყუას)*

ირაკლი. დედავ! მე გავგზავნე მოციქულათ.

დედოფალი. კარგი, აღარას გკითხამთ. ქალებო, ნავიდეთ, დრო არის. *(თავის ქალებით გავა. ირაკლი და გივი იქ დარჩებიან)*

ირაკლი. რა ამბავი მამიტანე?

გივი. ნება მოგცა, ნავიდესო. ახლა დაყოვნება აღარ უნდა.

ირაკლი. მაშ, ნავიდეთ, მოვემზადნეთ. *(ესენი რომ ნავლენ, ერთი ფიქრისაგან ატაცებული მშუშნიერი ქალი შემოვა)*

მელანია. გვეგონა, ამ ფშაველების სიმაგრეებში რომ შემოვიდოდით, მყუდროდ დავრჩებოდით აქ მაინც, წინათ განძრახვა სულ ასეა. აბა, რა ვიცოდით, რა შეუდგებოდა ამას? ჩემმა მომნათლავმა მეფე თეიმურაზმა, ეს ერთი კვრა იქნება, მე ერთს ყმანჯლს კაცზე ჯუარი დამწერა აქ, ამ სიმაგრეში, საქართუელოს კაი კაცის შკლზე, რომ ორი ესე სახლი მკვდრად გაერთებულ იყვნენ ერთმანერთში, ოჯახების განსაძლიერებელად: ის ოჯახების გაერთება არის მაგარი სუჭტი საქართუელოსი! ხედავ, ბედო? ამ ერთს კვრაში როგორ შეგვიყვარდა მე და იმას ერთმანერთი, როგორის სურვილით! თითქმის გიჟები ვართ სიყუარულით! სულ ამას ვეუბნებოდით ერთმანერთსა: რა კარგი ყოფილა სიყვარულიო! ამ სოფლის ბედნიერება თურმე ეს არისო! ასე და ამ ყოფით ვიყავით ეს ერთი კვრა. ამ ერთის კვრის ასეთი სიყვარული საკმაოა ჩუწნთვს? ეს სიყვარული ათასი წელინადი კიდევ ცოტაა, არამცთუ ერთი კვრა, თქუწნი ჭირიმეთ, რა ამბავია ჩვენს თავზე? მე წინათვე ვგრძნობ, რომ ჩემი ესე სავსე სიყვარული უბედურად შეიცვლება. ბარემ ახლავ გამოგეთხოვები, ჩემო თავო, საუკუნოდ. *(მწარედ ატირდება, მასუკან კიდევ)* ესლა ეს არის, ბატონი შკლს ირაკლის ჩემი ქმარი დაებარებინა; ემზადებიან მამულის გამოსახსნელად, მაგრამ ეს ჩემი სიყვარული ხომ დაობლდა.. მამულო და სიყუარულო! რომელი აღვირჩიო მომატებულად? *(საშინელს გულის აღელებაში და აქეთ იქით გიჟსავით ეხეთქება ამ სიტყვებით)* ვუე, რა ვქნა? უბედნიერესი სიყუარული! ფასდაუდებელი სიყუარული! ლუთაებიანი სიყუარული! როგორ დავთმო? ეს სიყუარული რომ არ დაითმოს, მამულს რაღა ერგო? ახ! მამულო და სიყუარულო! რომელი აღვირჩიო? არავინა

ხართ, შემამძახოთ? ღმერთო, მამე ძალა მე, ყმანვლსა ქალსა, რომელი ამოვირჩიო? რას მეუბნები, გულო ჩემო, რომელი ალვირჩიო? ოჰ! ამამირჩევია მამული! *(ამასთან ჩაიშლება დედამინაზედ და მკლავზედ ძლივს დაეყრნობა გვერდზედ წამონოლილი, რომელსაცა გული ასდის და დასდის სისხლის მღელვარებით. ამ დროს მისი ქმარი მოვარდება, ამ მდგომარეობაში რომ ნახავს, ჴელს სტაცებს; გაფრთხილებით წამოაყენებს და თავის გულზედ მიიყრდნობს)*

სარიდან. მელო, რა დაგმართვია? რათ მოსულხარ აქა? რათ გინუხდება გული? კარგა მოსულიერდი, ჩემო მელო.

მელანია. *(ჴელცახოცს პირზე მოისომს)* ჩემი სარიდან ხარ? შენა ხარ, სიცოცხლო?

სარიდან. მე ვარ, მიაბზე შენი ამბავი.

მელანია. რა ვიცი, რათ მოვედი აქ, მწუხარების ფიქრმა გამამიყვანა შინადგან და უგვზო უკვლოდ აქ მოვსულვარ.

სარიდან. *(საჩქაროდ მიატანს)* ბატონის შვლს ირაკლის რომ დავებარებინე ეხლახანს, იმ დროს, ჩუწნი ახალი მეუღლობის, ჩუწნი შესაფერის სიყუარულით რომ ვიალერსებდით, იმ ზეციურის გადმოვლენილის მადლის სიყვარულითა! იმ დროს ერთმა ჭაბუკმა რომ გაიარა ჩუწნი ქოხის წინა და სანათურიდგან შენ იმას შახედე, მეწყინა მე ეს და გაჯავრებული წამოველ. იქნება იმისმა მწუხარებამ მოგიყვანა აქა? ნურას იტყვი, არას გათქმევინებ ჯერეთ, ჯერ ჩემი დამასრულებინე, მოიხედე აქეთ, შენ სად ნახუალ ჩემის ხელისაგან, შენის სიყვარულით სასო წარკუჭთილსა, ჩემს მუხლზე კალთაში სულსა ამოვართმევ, კარგათ დარწმუნებული იყავი ამაზედ. რად არ იცი აქამდისინ, რა მქვან მე? მე მქვან გაუკითხავი მტარვალი შენი, ისევ შენის სიყუარულით დასაყუწდრო. *(ამასთანავე უეცრად ჩაფიქრდება ცოტათ, შემდეგ)* ეჰა, აღელდა სისხლი, ველარა გავიგერა, რას ვანბობ. მოიცა, მოიცა სრულს გონებაზე მოვიდე, *(გულს რომ დაიმშვდებს)* მეტი სიყვარულის გამო, მეტის სულსწრაფობით იქნება იმ დროს გვენოს რამე ჩემგნით, ჯავრიანს დროსა უეცრათა, მაგრამ ამასაც ვერ დავმაღავ შენთან, ჩემი გული წრფელი არის. მხოლოდ ეგ უპირატესი თვალები ჩემკენ გადმოატრიალე და საამოდ შემომხედე, რას მიზავს მე, როგორ დაასუსტებს ჩემსა მძლავრსა მტარვალებას შენი სიყუარული? ჩემი დასაკვლელი საჭურუჭლი მოგე ჴელში, რალა გინდა? აგრე, აგრე შამამხედე. მოლბა შენი ბარბაროსი, ახლა შენი კრავი, საყუარელო!

მელანია. რას მეუბნები, როგორ უბედავ ჩემსა ერთსა სიყუარულის საგანს მაგ დაუხედავს სიტყუწბს? ჩემი სიყუარული უბრალო აზრი ხომ არ არის, გონებას გადააკრას, გადურბინოს, ჩემი სიყვარული არის, ხედავ, ამ გულს? ვინ არის ამაში ჩასახული,

ვისი სიყვარულის მხატრობაა აქა, შენ, სარიდან?

სარიდან. კარგი, ნულარ ჯავრობ. ჩავიხედე, დავინახე ემანდ გულში, მოტევებას ვითხოვ.

მელანია. კაცი ზდილი ის არის; ქცევა მისი ასე იყოს, რომ არავის არ უთხრას: უკაცრავად, არამცთუ მომიტევე. რავექნა, ფეხის ხმაურობამ მიმახედა სანათურისაკენ. დავინახე მგზავრი ვილაც, მაგრამ თუალი ჩემი შენს გზას მოჰყუა, ისევე ჩქარა. ერთმანერთის სიყვარულის შური ორთავე გვეკლავს, მეც აგრე ვარ. არ მიამის არა ქალის საუბარი შენთან, არა შენის მახლობელისა. ასე ვგონებ, დავდნებოდე იმ დროს სრულად, საქმით სცნობენ ამას, თორემ ეხლა რა ვთქუა?

სარიდან. დაიჯერა ჩემმა გულმა, შენგნით წვრილი არის ესა. შენგნით დახუწნილი, დაძაფვნილი. მაგრამ მაინც მითხარ, რომლის მნუხარების ფიქრმა მოგიყვანა აქა?

მელანია. შენი ჭირიმე, წარმოიდგინე. ერთის კვრის ჯუარდან-ერილები; ერთმანეთის სიყვარულით გაგიჟებულები, ეხლა უნდა გავიყარნეთ მე და შენ? *(თავს გულზედ ჩამოჰკიდებს, სარიდან მიიყვანს კლდეზედ, ჩამოსომს ამ სიტყვებით)*

სარიდან. სუსტო, გულით ლმობიერო ქალო. თუ შენი ქმარი გიყვარს, გული მოიბრუნე და ყურიც დამიგდე.

მელანია. აგრე იყოს, შენმა გაზდამ, თქვი, გავიმაგრებ გულსა.

სარიდან. *(გაივლის, გამოივლის, ხან შედგება)* მეტად კარგი და განუყრელი სიყვარული, ეხლა უნდა გაიგლიჯოს სიყვარული ახალი, ახლად შეთვსებული: ვით დაკოკრებული, ცოტად შლილი ვარდი, კეთილსა ჰაერსა შელიმოდეს, კეთილსა ჰაერსა, მაგრამ ბოლოს ცეცხლის ბოლი დაახრჩობს. გაიცინე, გაიკასკასე უზომო სიყვარული! ვიცი, პირდაღრენილი ვეფხვი შეგჭამს ბოლო დროს, *(მოზრუნდება)* მელო, ტირი? აკი დამპირდი: გულს გავიმაგრეფო, რად ტირი, მელო, რავდენი მე და შენისთანა მაგალითები ჰყოლია საქართუშლოს, საქართუშლოს შკლები, სწორედ გეტყვი; გესმის, არ შეიკრთო გული, თორემ მოსანყველესა ისარსა მკრავ. ორი რამ მიგვიძღვის ეხლა მე და შენ: ბედნიერების გვირგვინი საქართველოსი, ანუ მორთული კუბო შემოსილის ხუცესითა. *(აქ საშინლად, უეცრად დაიკივლებს)*

მელანია. ვაჰ!

სარიდან. შე მოკლე სულო, უსუსურო, მაგას კი ველარ მოგითმენ, ეხლავ ხანჯალს გულში დაგცემ და მეც დაგაკუდები, ვფიცავ! *(გაშფოთებული ხანჯალს ამოიღებს. ამ დროს ირაკლი, გივი და სხუანი ბევრნი მოვლენ, სულ საჭურველით შეჭურვილნი. ირაკლი ამას რომ ნახავს, გაექანება და სარიდანს ჯელს დაუჭერს ხანჯლიანსა)*

ირაკლი. რას შვრები, სარიდან? რას ემართლები ამ უმანკოს ჩემს სულიერს დასა?

სარიდან. *(მეტად გაჯავრებული ვერას გაიგებს)* ეს უძღური ქალი მამულსა ჰგმობს ჩემი სიყვარულისათვის.

ირაკლი. გონებაზედ მოდი, შემამხედე.

სარიდან. ჩემო ბატონი შვლო, მამიტევე, ღმერთი გამარჯულებას მოგცემსთ.

(ამასობაში მელანია გონებაზედ მოვა)

მელანია. რათა მკლავ, სარიდან! რას მემართლები! გგონია, მე სიკუდილისა მეშინოდეს? მამკალ ჩქარა, სინანულის თვალებითა ნულარ მიყურებ. *(მასუკან მიიხედავს და რა დაინახავს)* ბატონი შვილო, ძმაო ირაკლი, უცხოს დროს მოხველ, შემოგჩივლებ კიდეც: კინალამ მამკლა ამ ჩემმა ქმარმა, გაუნყერ, გაუნყერ საქმის გაუჩხრეკელს ამას.

ირაკლი. კარგი, მე შეგარიგებთ. მაიტანეთ ორთავ ჯელი. *(გამოართმევს)* აჰა, გადაეხვიენით ერთმანერთსა და შერიგდით ჩქარა. *(გარდაეხვევიან და შერიგდებიან)* განა გიამათ, თქვე ეშმაკებო! ჩემო დაო მელანიავ, ნუ სწუხარ, შენს ქმარს არ მოგაშორებ; ამ სამს დღეს უკან ალავერდს ჩამოდი და შენს ქმარს იქ ნახავ *(ორნივე მივლენ და ირაკლიც გულზე შეიტკობს ორსავ, შეხედვენ, ნახვენ რომ სარიდანის და მელანიას დედმამანი მოვლენ, სარიდანის მამა შემოსძახებს)*

ომან. ღმერთი გადღეგრძელებს, ბატონი შვლო ირაკლი, უარს ნუ გვეუბნები, აი, სულ მზათა ვართ, ჩუშნცა გიახლებით, გევედრებით. *(ახლა მელანიას მამა)*

რევაზ. შე დალოცვლო, ბარემ წყალში გადაგვყარე, შენს მზეს ვფიცავ, თუ არ წაგვიყვან, ძალათ წამოვალთ. მე და ეს ჩემი მძახალი ომან გავიფიცენით, უნდა წამოვიდეთ უთუოდ.

ირაკლი. აქ, მეფესთან ვილა იქნება, თქუშ კურთხეულებო?

რევაზ. ბევრნი ჩუშნისთანანი.

ომან. და უფრო კიდეე უკეთესნი.

ირაკლი. *(ეტყვის ომანის ცოლს)* ომანის მეუღლეო ბარბარე, თქუშნ რალას იტყვიო?

ბარბარე. შენი ჭირიმე, წაიყვანეთ ორივ, თორემ ვეღარ მოისვენებენ სახლში.

სიდონია. თქუშნ მზეს ვფიცავთ, მე და ჩემი მძახალი ბარბარე იმისათვის გიახელით, გთხოვოთ, წაიყვანოთ ორივ. რას ბძანებთ, ბატონო? წაიყუანეთ შენი ჭირიმე, ჩუშნი მამული ტირის უბედურობით.

ირაკლი. კარგი, წაიყვან ორთავ.

(უეცრად სარიდანს დაინახვენ და მელანიას. სარიდანის მამა ომან ეტყვის სარიდანს)

ომან. შენ, დიახ კარგი, სარიდან, ეს ჩემი რძალი მელანია აქ რას აკეთებს?

ბარბარე. თავის ქმარს გამოჰყოლია უთუოთ.

ირაკლი. ოთხთავე გთხოვთ, ეს ჩემი სულიერი და, მელანია ამ სამს დღეს უკან ალავერდს ჩამოვიდეს თავის ქმართან.

რევაზ. ბარბარე და სიდონიავ, უთუოთ გამოისტუმრეთ.

სიდონია. დაუვინყარო და კეთილო ბატონი შკლო! აგრე იყოს, შენმა მზემა. *(ამ დროს დედოფალი თავის ბანოვანებით, სასულიეროს კრებით და ხნიანის ქართველებით, მოვლენ. ერთს ბერსა ღუთის მშობლის ხატი მოაქუს ორის ჴელით; ამ ბერის გვერდით დედოფალს პატარა ძელი ჭეშმარიტი ჴელში უჭირავს სხუა და სხუა ნაწილებით სავსე, ოქროს ძენკვიანი და სხუანი უკანი მოსდევენ ამათ)*

დედოფალი. შკლო ირაკლი, ერთობით მოვსულვართ შენთან, გვინდა გზა დაგილოცოთ, თუმცა საშინელი განსაცდელის გზა, მაგრამ ძენი, უბედურის ძმების გამოხსნისა, არა ერთის ბარბაროსებისაგან, არამედ რავდენტაგან, შკლო, მიიღე ლოცვა კურთხევა ჩემი დედობრივი, დედისაგან და გამომეტეხული სრულის გულით ამ ჩემს ძელი ჭეშმარიტსა, ნაწილებით მოჭედილს, ყელზე ჩამოგკიდებ.* *(ირაკლი დაიჩოქებს და დედოფალი ჩამოჰკიდებს)* ეს გიძლოდეს სისხლის ღვრაში, ირაკლი. ამ ჩუწნის სისხლის მსმელების ომებში, რომელთაცა ქართველების ამოთხრა უნდა საქართველოდგან ძირითურთ, წადი, ნუ დაზოგავ თავსა ნურას გაჭირვებაში, ასე გაშფოთებული ვარ უწყალოს ჩუწნის მტრებისაგან, რომ აღარა კვნესის ჩემი გული. *(ირაკლი მარჯუწნეს ჴელს გამოართმევს თავის დედას და თავის თავზე დაიდებს)*

ირაკლი. ჩემი აკვნის მოჭირნახულე ჴელი ესე, როგორც მიმიკრავდა მე შენს გულთან შეთვსებულს და დღე და ღამ მიყვავებდი, მე ყმანჯლსა ამომტირალს შენის კარგის ნაწით. ის შენი წმინდა ნანა, ის შენი მშობლიური სიყუარულის ღამის თევანი იყოს ჩუწნი, ქართველების წინამძღომელი, ჩუწნო, ქართველების ანგელოზო! ნავალთ და გაგვიძღვება მაღლი შენი, დედავ.

დედოფალი. ჩემი მაღლი, შკლო? არა, მხოლოდ ლმობიერი ცრემლი, მხოლოდ გულმხურვალე ვედრება ღუთის მშობლისა ამის წინაშე; მოდი, დაემხე, მოგცეს შემწეობა. *(მივა და ღუთის მშობლის წინ დაიჩოქებს)*

* ის ძელი ჭეშმარიტი ეხლა მე მაქუს; მაშინ ფშაველებში რომ მიუცია დედას.

ბერი გერმანე. *(მეფის სახლის მოძღვარი, რომელსაც უჭირავს ღუთის მშობლის ხატი)* სად წარხედ, დიდებო ჩუწნო ქართველთაო! რათ ბნელდები ქართველთ მეუფების ანთებულო ხომლო და მოსხმულთა წმიდა ნათელთაგან გაბრწყინებულო არეო ჩუწნო! სადა იყო ჯავრნი მოწყენილობით ჩუწნს ბედნიერს სიხარულთან? სადაა მწუხარება სიმწარითა, ჩუწნს სასიცოცხლოს მხიარულებასთან? დიდო განსხვავებულო უქმო დღეო ჩუწნო! რომელი ქართველია მღუდელი გადმოდგება ამბიონზე შემოსილი და სრულის კმაყოფილების სახით გადმოიძახებს ეკკლესიაში: ქრისტე აღსდგა! ვინლა უხმოს სადღესასწაულოს წმითა: ჭეშმარიტად! დაეცა ყოველი ჩუწნი კარგი ქართველებისა, ვინლაა ჩუწნსა ნაცულად საქართუშლოში? ბარბაროსი მტერი!.. მონაფეო ჩემო, ირაკლი! ეხლა ჩახუალ ბარში, ხოლო რას ნახავ იქ? ვაჰ! შაოსანთა დედაკაცთა გულხელდაკრეფილთა და თეთრ წვერათა ბერკაცებსა საკინძ ჩამონყვეტილთ, რომლებიცა აღავლავდებიან შენ წინაშე მტრებზედ, მაშინ გაიმაგრე გული, ახლაკი წარვედ, ირაკლი, წარვედ შენის ქართველებით, ამ სასწაულთ მოქმედის ხატის წინამძღომელობით! *(ირაკლი და სხუანი დაემხოებიან, ღუდელი განაგრძელებს)* დედოფალო სინმინდისაო! ცოდვასა ჩუწნსა ნულარ დაგვიძიმებ, ეყო შავნი ჭირნი შენს ქართველებსა, კარგი ჳელი მოგვე შენი წმიდა გულკეთილი, დაგვადგინოს უფლებისა საყდარზედა კვალად. კარგი გვაჩვენე შენი საქართუშლო კიდე საქართუშლოდ. ოჰ, სიხარულო, მაშინ!..

(ირაკლი და სხუანი წამოდგებიან მონიწებით, ამ დროს მალლა მთიდგან მთების დედაკაცები ჩამოდიან საჩქაროდ და თავის წვრილის შვლებისათჳს ათის წლისა, ანუ თხუთმეტისათჳს ჳელი ნაუვლიათ ჳელში და ერთად მოეშურებიან. მოვლენ და ირაკლის მოეხვევიან მუხლებზე)

მთის დედაკაცები თავის შვლებით. შენ გენაცვალოს ჩუწნი თავი, ერეკლე. ჩქარა წადი, საქართუშლოს მიეშველე, თორემ იმხოზა, იმხოზა, მიეშუწლე შენი კვნესამე. ჩუწნი მთის ჯარებიც ემზადებიან, ბატონი შვლო, ჩუწნს კაცებს ნულარც ერთს ნულარ გამოუშვებ; მინამ მტრებს ბოლო არ მოულონ, აქეთკენ პირი არა ქნან, თორემ ჩუწნს ლეჩაქებს თავზე დავახვევთ, ბატონო.

ირაკლი. აი, აი, მივდივართ.

ყველანი ერთპირად. ღმერთო, შენ გაატანე შენი მონყალეზა ერეკლეს და იმის ქართველებს გამარჯუზა.

ესენიც სულ ერთიან. მშჳდობით! ნადირებისათჳს ჩუწნი ლეში, ან აღდგენა ჩუწნის მამულისა.

(ამას იტყვიან და კიდევ გავლენ. აქ ირაკლის დებს გული შეუ-

წუხდებათ და თავის დედის გულზედ ერთი მარჯუცნა მხრით და მეორე მარცხენით მიესვენებთან; ამ დროს ნახვენ მთიდან მთის ჯვარები ჩამოდიან და ესენიც დაიძახებენ)

მთის ჯვარები. გაგვემარჯოს, ან ყორნებსა ჩუწნი მძორი.

ფარდა დაეშვება

მეორე მოქმედება

(ფარდა აიხდება, ალავერდის ეკკლესია გამოჩნდება, ეკკლესიის კარების მახლობლად, ერთი დაკუთებული ყმანვლი კაცი, თავადიშული ზის ქუშმაგებში და თავით უზის ხნიანი გამძელი)

ბესარიონ. ჩემო გამძელიო გმირისეულო, ავდენმა თრევამ წვიმა-წუნწუნში და ყინვებში ხეტებამ, ვინ იცის, სად და სად, მთებზედ თუ ბარში, ამ მდგომარეობაში ჩამავდო, ასე დამაკუტა. – რა იყო? მტრის სისხლის ღვრით გავძლე მეთქი, ბევრჯელ ტურასავით წვრილმალიანს ტყეში ვეგდე და ორს სამს დღეში ერთხელ მადა დაკარგული, ცარიელს ხმელს პურს ვღრღნიდი ძაღლისავითა, ისიც იმისთვის, რომ მშიერი არ მოგკუდე მეთქი, რისთვის ვითმენდი მე ამებს? – ახ! უბედურო ჩუწნო მამულო, სულ შენთვის, აღარ შემიძლიან, განა? – იე, ჩემო ყმანვილკაცობავ, შესაბრალისი ჩუწნი საქართუწლო, ეხლა მე მგავს სწორეთ, ჴელებს იქნევს, აი, ასე ჩემსავითა და ადგომაკი აღარ შეუძლიან, კიდეე ჩემსავითა, საქართუწლოვ, საქართუწლოვ! ერთათ ვკუდებით მე და შენ ერთის სენით დაკუთებულები. ცოდონი არა ვართ, რომ ჴელ გამოუღებლნი დავიხოცნეთ ორნივე სიკუდილით? მერე ვინა? – ვაჟკაცი საქართველოს შკლი ბესარიონ და ძლიერი საქართუწლო, სიმხნით თავ მოწონებული! – ალავერდო! დაიქეც, ან არა და საქართუწლო გაამთელე, თორემ შენს ტაძარში ფეინი ჩაიყრება მტრისაგანა შენი ქართუწლების, ჩუწნს დასაყვედრად. (აქ თავს ჩაჰკიდებს დაბლა დაღონებული, მასუკან კიდეე აიხედავს) ჩემო გამძელიო, აგერ აიქ კედელზედ ჩამოკიდებული ჩემი იარაღი მოიტა ჩემთან. (მოუტანს საჩქაროთ) ის ბარი კედელზედ რო აყუდია, იმითი ამ ჩემს მახლობლად მიწა ამოთხარე. (სთხრის) კარგა ღრმათ რომ მოთხარო, ეგ ხმალი შიგ ჩაფალ, და მიწა მიაყარე ზედ (ჩასდებს და მიწასაც მიაყარის) ჩემო საყვარელო გამძელიო, იცი, რა ამბავია?

გამძელი. უთუოთ ასერთი მტერი მოგიკლავს მამულისა შენისა?

ბესარიონ. მერე როგორ? – სულ ვაჟკაცურათ პირდაპირ და

არა ხისუკან ამოჯდომით. ჩემი და შენი სისხლი ვილე, მგონია და მამულსაც ვემსახურე საკმაოდ?

გამდელი. მამიშენის ანდერძი აღგისრულებია, მაგრამ, ნუ კი გენყინება, იმან ორი ხმალი დაამარხვინა.

ბესარიონ. მეც შევეასრულებდი, მაგრამ რა გაენყობა, დავკუტდი.

გამდელი. ნუ სწუხარ, კარგ სიზმრებში ვარ, ამ ეკლესიის მაღლი გაგამთელებს.

ბესარიონ. მეც მაქუს მაგისი იმედი, რომ კიდევ ვემსახურო მამულს, მაგრამ ვინიცობისათვის ეს ჩემი თოფი იარაღი შეინახე; თუ მოვკუდე, ეგ იარაღი ჩემს ცოლს – კეკეს მიუტანე, ჩუშნს სამის წლის ძესა გიგოას შეუწახოს. მასუკან თითონ იცის.

გამდელი. გაყვედრი, რად გაგზავნე შენი ცოლშკლი ქართლი-საკენ? რად მოიშორე, რომ ახლა მაგას ამბობ?

ბესარიონ. თავის მშობლებმა გაინვიეს და რა უნდა მექნა – მეორეც ესა, რომ საშინელი შიშია ეხლა კახეთში: გაღმა მხრის გლეხი კაცნი გაგვიოსმალდნენ სულერთიან, მაგრამ ჩუშნ თავად-აზნაურნი ვდგევართ მამა-პაპისებურად მაგრა და ვერც შეგვირყევენ გულსა, ვერას საშინელებაში – აბა, ახლა რა ვქნა, ბევრი ლაპარაკი აღარ შემიძლიან, დავიღალე, მოდი, უკან შემიჯექ, ცოტათ წამამსვი, მცირედ ვილოცო.

გამდელი. კარგსა იქ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ილოცე, ამ ეკლესიის მაღლი გამოგიხსნის, შენმა გაზდამ. *(მივა, უკან შეუჯდება და ცოტად წამოსომს)*

ბესარიონ. ჩემი ვედრება ამის მეტი არა არის რა, რომ ჩუშნის მამულის მტრების ჯავრსა ნუ გამატან საიქიოს, ნუ ჩამაყოლებ საფლავში, ღმერთო! თუ ეს უსამართლო შეწუხება იყოს შენი, დიდსა განკითხვასა დღესა უდიდეს ცოდვად დამდე კისერზე ეს ჩემი თხოვა, ეს ჩემი ხვეწნა. ამაზე მეტს აღარ დავიჩივლებ შენთან. ჩემო გამზდელი, ახლაკი მიმასვენე ბალიშზე, ძილი მამდის. *(მიასვენებს და თითონ გადმოვა აქეთ, ამ დროს ერთი ხნიანი ბერი შემოვა და იკითხამს)*

ბერი იოანე. გამდელი, ახლა როგორ ბძანდება ბესარიონ? ალავერდელი იკითხამს მაგათ ამბავს.

გამდელი. მოკითხვისა დიდი მაღლობა, მამაო იოანე, აქამდისინ არა ეტყობოდარა, მეტად სტკიოდა მუხლები და უძილოთაც იყო. ახლა მეც არ ვიცი, რა არის? უცხოთ ჩაიძინა და დიახ კარგათაც ქშინავს. რაც აქ მამიყვანია, ამ ათს დღეში ჯერ ასე მოსვენებით არა ყოფილა.

ბერი. ეგენი სულ კარგი ნიშანია, გამდელი. ღუთის მოწყალებით

კარგა შეიქნება. ნუ სწუხარ, და თავისებურად რისხუას ღმრთისასა დასცემს კიდევ მტერსა, მაგრამ მაგისთანა ძლიერი ყმანული კაცი რად ჩავარდა აგრე კუტად? რა იყო მიზეზი? მიაბზე, ალავერდელს მოვახსენო, ილოცოს მაგისათვს.

გამდელი. რაც შევიძლებ, მოკლედ მოვახსენებ, თავი არ შეგიწყინოთ.

ბერი. მეც ყურს დაგივებ, კარგად გავიგონო.

გამდელი. სანყალი ამის მამა და თხუთმეტი იმის სახლის კაცები, სულ მტრის ჴელით დაიხოცნენ სხუა და სხუა ომებში. ეს რომ თავს მოესწრო, ამის დედა აჩქარდა: ერთი შული მყავს, ჯუარი უნდა დავსწეროვო, რომელმაცა დააქორწილა და ქართლიდგან მოაყვანინა კარგი გვარის ქალი. ერთს წელიწადს უკან ღმერთმა ვაჟი მისცა. ამასთან ამის დედის ძმა ომში მოკლეს და ამის დედაც მწუხარებამ გაიტანა სანყალი. ეს კიდევ არაფერი, ეს როგორც იყო მოითმინა, მაგრამ ამის თხუთმეტის წლის დაჲ, მალლა ჯიხურის მოაჯირზე იჯდა საღამო ჟამს და კარგი ჰაერით სიამოვნებდა. ეს იყო გაღმა მხარს, თავიანთ სოფელში, ამ დროს სად იყო და სად არა ვენახიდან თოფი გამოვარდა ლეკისა და ის სანყალი ქალი გადმოვარდა ქვემოთ მკუდარი, ეს კი ველარ მოითმინა. ზედდატანებით ამის ცოლსა ქართლიდგან ძმა მოუვიდა და თავისი ცოლი იქ გაისტუმრა საჩქაროდ, ის რომ გაისტუმრა, ამან თოფ იარალი შეისხა გულ ჯავრიანმა და მარტოკა შევიდა ტყეში. რაღა გითხრათ, ორი წელიწადი სდია ჩუწნსა მტერთა და იმათი სისხლი ღვარა კარგად, მხოლოდ კვრამი ერთხელ შინ მოვიდოდა, გუდით პურს აიკიდებდა და ტყისაკენვე გასწევდა. მეც მამულის მტრების ჯავრით ხელს უმართავდი, მაგრამ ამ ორის თვის წინათ რას ყოფით მთიდგან ჩამოვიდა, თოვლში გდებისაგან გათოშვილი და კუტად ჩავარდა ქუშშსაგებში, რავდენი ნამლობა, რავდენი მოკლა, არა ეშველარა; ბოლოს სიზმარში ერთმა მოხუცმა კაცმა მითხრა: ალავერდს მოიყვა, კარგად შეიქნებო, მოვიყვანე და ახლა ვნახოთ, ამის სასწაული რასა იქს? *(მძინარეს გადმოხედავს)* აცა, აცა, მამაო იოანე. აქამდისინ სულ გაციებული ჰქონდა ტანი, ახლა ოფლის წინწკლები დააყარა პირზე. ეტყობა ოფლი სდის, კარგი, *(ამ სიტყვაზე ეკკლესიისაკენ მიუბრუნდება)* ნმინდაო ეკლესიაო, აუარებელისა სასწაულისა მოქმედო! ეს ჩემი გაზდილი გაამთელე, ნამოაყენე ფეხზე, რომ კიდევ გამოადგეს ქუწყანასა ჩუწნსა. *(ამას რომ იტყვის, ბესარიონ ნამოვარდება, ეკკლესიის კარებთან მიიჭრება და თავყანსა ჰსცემს)*

ბესარიონ. შენი მოწყალებაა, შენი სასწაული, შენმა მადლმა.

(ბერი ამას რომ ნახავს, სიხარულით გაეშურება ამ სიტყვით)

ბერი იოანე. ნავიდე, ალავერდელს ვახარო ეს სასწაული. *(და*

ნავა)

გამდელი. *(თაყვანის ცემით)* ოჰ! ახლაკი იმედი მაქუს საქართ-
ველოც გამთელდება.

*(ბესარიონ საჩქაროთ გამდელთან მოვა და გამდელიც ფეხზედ
დახვდება)*

ბესარიონ. ჩემო გამდელო, ამ ეკლესიიდგან ერთი მრისხანე
ვაუკაცი გამოვიდა, მარჯუწნეს ჴელში შუბი ეჭირა და მარცხენეს
ჴელში ერთი თხუთმეტის წლის ყმანკლი მოჰყუანდა, მოვიდა, მითხ-
რა: ნუ სწუხართ, ქართველებო, აი, ეს პატარა ბიჭი გამოგისხნის-
თო. ამასთან მტაცა ჴელი: ადექით, ქართველებო, ნულარა ხართ
დავრდომილათაო. ეს რომ თქუა, მეც წამოვხტი და ეკკლესიას თაყ-
ვანი ვეც. ვიცი, რაც ჩუწნება იყო ეს სიზმარი, მარამ ის პატარა ბიჭი
ვინ იქნებოდა, ვინ უნდა იყოს, ნეტა, მითხრა?

(ამას რომ იტყვს, მერე გამდელი – გაფაციცებით)

გამდელი. ოჰ, რაღაც გრიალის ჴმა მოდის! *(ყურს დაუგდებენ)*

ბესარიონ. გრიალი და ცხენთა ჴიხვინიც.

გამდელი. ვაი თუ, ოსმალს ჯარი აქაც მოგვიხდა? – *(გაეეც-
ნება და შეიხედავს)* ღმერთო, დაგვიფარე! ერთი რაზმი შემოვიდა
ჯარისკაცნი ამ გალავანში – დაქვეითებულნი.

ბესარიონ. უთუოთ მოყვარენი უნდა იყუნენ, თორემ მტერი ვერ
გაბედამს აქ მოსვლას მეგალავნეების შიშით. *(ბესარიონ წადგება
წინ, შეხედავს)* რასა ვხედავ! სიზმარში რომ ვნახე, ის ყმანკლი ბიჭი
მოდის, უკან დაიარაღებული, საომრად მომზადებული დასი მოს-
დევს, დასი, მერე რა დასი? თუთო კაცი ლომსა გვანან და ყველანი
პატივის-ცემით მორჩილებენ იმ პატარა ბიჭს. გამდელო, უკან და-
ვდგეთ, აი, მოვიდნენ და კრძალვით თაყვანი ვცეთ.

გამდელი. ქა, გენაცვა, მაშ, ქვეშაგები ავილო, *(საჩქაროდ გაა-
რბენინებს და თუთონ ისევ შემოვა ამდროს ისინიც მოვლენ, ბესა-
რიონ გაექანება, იმ პატარა ბიჭის წინ ცალს მუხლზე დაიწოქებს ამ
სიტყვით და გამდელი მოშორებით დადგება გულ-ჴელ დაკრეფილი,
გამდელს შავები აცვია)*

ბესარიონ. არ ვიცი, შენ პატარა ბიჭო, ვინა ხარ? საიდგან ვინ
მოგავლინა ჩუწნის ქუწყნის გამოსახსნელად, რომელმაცა ეხლა
სიზმარში წარმომიდგინა წმინდა გიორგიმ: ეს პატარა ბიჭი გა-
მოგისხნისთო, ქართველებო.

(გივი წადგება წინ)

გივი. ბესარიონ, გიცნობ მე შენ, ეს ბრძანდება ბატონი-შკლი
ირაკლი, მეფის თეიმურაზის ძე.

(ბესარიონ თაყვანსა სცემს)

ბესარიონ. მშკლობა შენი მობძანება, ირაკლი! შენი ფეხი კარგი

იქნება უთუოთ. აქამდისინ რაც ვიყავ, ერთი ათატ შევიქნები ეხლა და სხუა ქართუშლები ხომ, რასაკვრველია. გვინდოდა წინ მორბედი და ღმერთმაც მოგუცა. ახლა ჩუწნ ვიციტ ვაჟუცატ ქართველებმა!

ირაკლი. *(ველს დაავლებს, წამოაყენებს)* ძმაო ბესარიონ, განაკენესიტ სწუხართ ქართველები? დედიჩემის ძუძუებზე დავიფიცე: ჩემს ერთს მუჟა სისხლსა არ დავიშურებ არას სამინელსა შემთხვევაში, ყოველს ომში, შუა გულს ცეცხლში მე უნდა ვიყო, მე ვიქნები ყველგან მსხუწრპლი მამულისა.

(ბესარიონ დაბლა თაყვანსა სცემს)

ბესარიონ. ჩუწნც თავდადებით დავიხოცებით თქუწნ წინაშე, მამულის ძეო!

ირაკლი. მაშ, მიგმართოთ ამ ჩუწნ მამა პაპის ეკკლესიას, ჩუწნ გულის მოსაოხად. *(მივა და ეკკლესიის წინ დაიჩოქებს)* დიდო მიუნთომელო ღმერთო! შენის განგებით აღიმართა ეკკლესია ესე, ქრისტიანობისა კეთილისა სასწავლებელად, მაგრამ სადღაა გალობანი შენი სასდღესასწაფულო, ეკკლესიაო, ის გულის საღბუნებელი გალობა და ის დიდებანი შენნი! ვინღა იტყვის კანანახსა, რომელი მგალობლებიღა ჩამოართმევენ იმ გადმოთქმათა საბედნიეროს ჳმითა? სიხარულის ნაცვლად შენს ეკკლესიაში ცრემლი იღურება განა? ცრემლი. – ამონყვეტილთ სახლეულობისა, რომელნიცა მოსწყტნეს მტერთა. ქართუშლების დედანო შაოსანნო, დაეციტ ზარი სიკუდილისა, ზარი ქართუშლთ საფლავებზე, თმა წენით რომ დასტირით კარგნი დედანი კარგსა შკლებსა, გამწარებაო ქართველთ დედებისაო, ღუთის წინაშე აიტკიეთ გული, ასე მტკივნეულად, რომელ მისი გულიც აატკიოთ ქართველებისათჳს. *(ამასთან ამოიღებს და შიშველს ხმალს ეკკლესიის კარებზე მიაყუდებს)* ვის დავაყვედრო ეს ხმალი, ჩარხზე დადებული, გაღესილი მჭრელსა პირზე? ისევე პირს კლიტე დავადო, ასე სჯობია. ეს ხმალი რავდენჯერ უნდა სისხლით შეიღებოს, ჩემსავით ადამიანის წითელის სისხლით, ვინ იცის, იქნება მოკუდა ადამიანი უსამართლოთ. სხუა საშუალობა რომ არა გვაქუს ქართუშლებსა, მაშ, რა ვქნათ, რით გამოვიხსნათ თავი იმ ჩუწნის სისხლის მსმელების მტრებისაგან, თუ არ ქართველების გაღესილის ხლმითა *(მობრუნებით ქართუშლებისაკენ)*, ძმებო ქართუშლებო! მოდით, დაიჩოქეთ და შიშველი ჳლმების წვერებზედ შუბლი დავაყრდნოთ. *(მივლენ დაიჩოქებენ და ამოღებულს ხლმებზე შუბლს დააყრდნობენ ირაკლითურთ)* გავიფიცნეთ ამ ეკკლესიის წინ: მტერსა ხმალი ან ქართუშლთა სისხლის დაღურა.

ერთიან ქართუშლები. *(დამშკდებულის ხმით)* დავიფიცეთ სიღრმეს გულში.

*(ადგებიან და ხლმებს ქარქაშს მიაქცევენ, მასუკან ირაკლი გამ-
დელთან მოვა)*

ირაკლი. დედავ შაოსანო, ვინა ხარ შენ?

გამდელი. მე გახლავარ ამ ბესარიონის გამდელი.

ირაკლი. გამდელი, ვისგნით დაგდგომია მწუხარება, ვიზეც
გაცვია შავები?

გამდელი. ჩემო ჯელმნიფევ! მამა მყუანდა, ომში მოკლეს
მტრებმა, ჩემი ქმარიც ომში, ექუსი ჩემი ძმა კიდევ ომში, ორი მოს-
ნრობილი ჩემი შვილი – ისინიც ომში, ბოლოს ჯავრჩი ერთი ღერი
დედაკაცი უშვლო, გულ გაკერპებული მტრის ჯავრით, რაღა უნდა
მექნა, ავდექ, ამ ჩემის ბატონის სახლში შემოვფელ და ეს სამი წლისა
მე გავზარდე ამდროულ ყმანვლკაცად დიდის ჭირნახულით. მაგრამ
აქაც არ მამეშუა უბედურება: ამ ბესარიონის მამაც ომში მოკლეს,
ამის დედის ძმაც ომში, ამის დედაც მწუხარებამ მოკლა, ამის და-
საც თოფი ჰკრა ლეკმა და თხუთმეტის წლის ქალმა ჩემს წინ და-
ლია სული. ესენი რაც მოგახსენე, სულ ჩემის ჯელით დამარხულან
მინაში და, აი, ამათზე მაცვია შავები, ბატონი შვილო ირაკლი! *(და
საცოდავათ ატირდება)*

ირაკლი. *(გაივილის, გამოივილის შეწუხებით)* ოჰ! რა ძნელი გასა-
გონია ეს ამბავი! *(და მცირედ ჩაფიქრდება, მასუკან გამდელისაკენ)*
გამდელი, კიდევ არიან ქართუშლები საქართუშლოში? რაც დახო-
ცილან მტრის ჯელით, რაც ტყვეთ წაუყვანიათ, იმის გარდა კიდევ?

გამდელი. არიან, მაგრამ მტრისაგან დაჩაგრულნი.

ირაკლი. მაშ, თუ არიან, აღარ ვწუხვარ, ის ჯაჭვებზე დაბმული
ქართუშლები ადვილად დასწყვეტენ, რაზედაც დაბმულან და კან-
ჯრათა მოეტევიან თავიანთებურად, ლომი ისევ ლომია და თავის
გვარს არ დაჰკარგავს არას სამინელსა შემთხვევაში, თორემ ჩქარა
ნახამ შენის თუალით.

გამდელი. *(მუხლებზე მოეხვევა)* შენამც გენაცულება ჩემი
თავი, ასეთი სიტყვით და ჯმით ბძანეთ, რომ მჯერა ყოველი ეგე.

ირაკლი. მაშ, თუ გჯერა, ახლა საქმეც გაიგონე *(თათბირი.
ირაკლი ორხუაზე დაჯდება მოკეცილი და სხვანიც აქეთ-იქით
დაუსხდებიან)*

ირაკლი. აბა, რა ვქნათ, როგორ გამოვიხსნათ საქართუშლო?
– ქართლი, სომხითი ოსმალთ უჭირავთ და იმათი მცხოვრებნი
უკანასკნელს მონებაში ჩაცვივნულან, ასეთს მონებაში, რომ ჯელის
გაძერა არავის შეუძლიან უოსმალთ. კახეთი ხომ ეს არის, ოს-
მალ-ლეკის ჯარი გაღმა მხარში და ქიზიყში ჩამდგარან და, ჩუწნ
საუბედუროთ, ის ჩუწნი გლეხნი იმათ აჰყოლიან, აქ რაღა დარჩა,
რომელი მხარე საქართუშლოსი, რომ იმითი აღვადგინოთ კიდევ

საქართველო? ეს თელავის მხარეც ხომ სულ სიმაგრეებში და ციხეებში დახიზნულან; აბა, ახლა რას იტყვთ, ამ უბედურობაში გაბმული საქართველო ვითლა წამოვაცენოთ? *(ყველანი ღრმას დუმილში ჩაცვივიან და ბოლოს თავს აიღებენ)*

რევაზ. ვითლა უნდა წამოვაცენოთ? თავები წყალში უნდა გადავიყაროთ, ამისმეტი ღონე აღარა გვაქუს.

ომან. ნეტავი, იმ თავ და პირველ დედის ჩემის მუცელში გავნყალბულიყავ, ეს ჯმები კი არ გამეგონა ქართველებისა.

გივი. რად იწყენ თავსა, ბატონი შვილო, დახიზნულსა კახეთის ჯარსა მოვკრებ, მთების ჯარებიც ხომ ჩქარა გიახლებიან, იმ ჯარებით გაღმა მხარში გავალ და მასუკან, რაც ლუთის ნება იყოს, ის მოხდეს.

ირაკლი. ჩემო მოჭირნახულე გივო, გაღმა მხრის კახელები ასეთს მდგომარეობაში არიან ეხლა, რომ თვთ ისინი გვეომებიან და აღარ დაცლიან უცხო შემოსულსა თესლსა. აბა, ახლა გავშინჯოთ: – ქართველმა რომ ქართველი მოკლას, ჯერ მე დაგიმადლებ? – მერე ან მომავალი ჩუწნი შკლის შკლები რას იტყვან ჩუწნზე? – ასე იტყვან: მამულისაგან ნიშნის მოსაგები იგინიო.

ბესარიონ. ჩემო ჯელმნიფევ! მაინც აქამდისინ გაღმა მხარში დავეხეტებოდი და გვედრები, ნება მიბოძო, ეხლაც წავიდე, კიდევ დავიბანო ჩუწნი მტრების სისხლით ჯელები.

ირაკლი. მაიცადე, ჩემო ბესარიონ, ბევრი გაჭირვებული ამბავი გვიძევს წინ.

სარიდან. ღმერთი გადღეგრძელებს, ჩქარა წავიდეთ საომრათ. ამ შაოსანს დედაკაცს რომ უყურებ, სული მეღევა აგებულობაში. ამის შაოსნობა საქართველოს ძაძების ჩაცმაა, ბატონის შკლო.

ირაკლი. საყვარელო სარიდან, ეს უნდა კარგათ იცოდე, თუ ავჩქარდებით, აჩქარებით ვერას გავაკეთებთ, დამშვიდებით კი მალე. მაშ, მოვითმინოთ კიდევ.

ერთპირად. გვიბძანე, ძეო მეფისაო ერეკლე, მაშ რა გნებავს.

ირაკლი. *(წამოდგება და სხვანიც ევრევე)* იმათ, იმათვე უნდა იზღვიონ თავი, იმ შემცდართა ქართველებმა, რომელნიცა გაუდგნენ თავის მამულს, გავიგონე ოსმალური ტანისამოსი ჩაუცომთ თურმე, ქიზიყ-გაღმა მხრელთა, შესაკდიმელი კაცის ტანისა, ის უკადრისი განახევრებული ტანისამოსი თვთ იმათვე უნდა მოიტანონ აქა, აქ ჩუწნ თვალწინ, ამ თონეში ჩაყარონ და თვთონვე წაუკიდონ ცეცხლი, მაშინ დავიჯეროთ, რომ კიდევ დავგიბრუნდნენ ისინი, თორემ მანამდისინ ნუ ვენდობით იმათ.

გივი. უცხო და გონიერი სიტყვა ბძანე, ბატონი შკლო. მაგრამ მაგას რალა შეუდგეს?

ირაკლი. ჯერ ღმრთისა შემწეობა და მასუკან კაცის სიმხნე. ჩემო მოჭირნახულე გივო, შენ და ბესარიონ გაღმა მხარში უნდა გახვიდეთ, და თქუჴნ ქიზიყში ჩახვიდეთ, რევაზ, ომან, უფროსი კაცები შემოიკრიბეთ, იმათ შუაში ჩადექით და ჰკითხეთ: რა ჰქნეს, რად გაუდგნენ მამულს? – ყოველს შეცთომილებას? გზაზე მივიდოდა კაცი, ვაი, სირცხვილო, ამისთანა კაცსა სიტყუა როგორღა უნდა უთხრან? ამისთანა კაცი ასე უნდა მოკუდეს, რომ თავის სიცოცხლეში და სიკუდილის დროსაც ჴმა არავინ გასცეს. სასჯელი მოლაღატესი ეს არის, ნამეტნავად მამულის მოლაღატეს რა უნდა მოუვიდეს? არ უნდა იყოს საზღვარი, როგორ გარდახდეს იმას? ახლა წადით, ჩემაგიერ უთხართ იმათ, თუ ერთი წამის უფიქრელი შეცდომილება იყო, მიეტყვებათ, თუ განძრახვით და ნულარ მოვლენ ჩუწნთან. ეს არის ჩემი სუტყვა და სიმტკიცე ჩემის ხასიათისა.

გივი. წავალთ და წაგვყვება სიტყვა ეგე, იმათ დასაბრუნებელად. *(და გავლენ გივი, ბესარიონ)*

რევაზ. მაგ სიტყვების შემდეგ ჩოქით წამოვლენ, ბატონიშულო.

ომან. არამცთუ წამოვლენ, იმედი მაქუს იქვე გადუნყვიტონ საქმე თავის მტრებსა. *(ესენიც წავლენ)*

ირაკლი. *(მასუკან მობრუნდება სარიდანს)* მე და შენ რაღა, სარიდან?

სარიდან. ჩემი თავი თქუჴნ სანაცვლოდ.

ირაკლი. მოთმინება კიდევ და შენ, სარიდან, შენ უნდა დახიზულებთან ნახვიდე, იმათ შემოუარო და უთხრა ყველას: ქართუჴს არ ეკადრება დამალვა, ქართუჴსლო, ხმალი, წინ გვიდგას მტერიითქო. ყველანი სახლებში ჩამოვიდნენ, ნულარ ეშინიათ და თავ კაცათ კი აქ მოვიდნენ ჩემთან ჯარად. ვინიცობაა, თუ გაღმა მხრელებმა უარი გვითხრეს, აქედგან გაუძღვები ცეცხლში ჩუწნს ჯარს და კიდევ შევაძრწუნებთ იმათ.

სარიდან. ვინც თქუჴსნს სახელს გაიგონებს, ნამეტნავად თხუთმეტის წლის ბატონიშულისაგან ამ ამბებსა, ყოველი ქართუჴსლი შენ წინ მოკუდება, ძეო მეფისაო. *(თავს დაუკრავს და წავა. ის რო წავა, იოანე ბერი შემოვა და მოახსენებს)*

ბერი იოანე. ოსანა, კურთხეულო, მოვლენილო ვითა ზეცით. თავს მოვიდრეკე წინად შენდა, ირაკლი!

ირაკლი. და მეც თაყვანსა გცემ, მამაო, ამბორებით. *(მივა, ისიც ჯუარს დასწერს და ირაკლიც ჴელზე ემთხვევა)*

ბერი იოანე. ალავერდელი ცოტად შეუძლებლობს, სარეცელზედა ზის და თქუჴნ მიგელისთ მოუთმენელად. ისწრაფეთ წამობძანება, რომ წმინდის ლოცვით გაკურთხოს. ვინაჲდგან დიდრონი განსაცდელები გიძევსთ წინ.

ირაკლი. გამიძეხ და გამოგყვები, მამაო! თამამად მოვსულვარ და თამამად შევალ განსაცდელში, ნამეტნავად იმისი ნმიდა ლოცვა უფრო განმამტკიცებს მე. *(ყველანი წავლენ. ესენი რომ წავლენ, სარიდანის ცოლი მელანია შემოვარდება გაშფოთებული გიჟსავით)*

მელანია. *(შემოვა და დაიძახებს)* ვის ებრძვის გული? ვისთვის კვდები, თაო ჩემო? – ჩემო ჩრჩილო სიყვარულო, ჩემი ძვლების გამომხვრელო, ხომ ბადესავით გაჩრჩილე ჩემი სრული აგებულება და ჭრელი გველი ეკლაკნება იმის სანათურებში აქა იქ. სანყალო გულო, შენსა შემნეს სულსაც წელი აულია შენზე და წვრილ კბილიანი თავი მოგპარვია და უკანასკნელსა შენსა საფუძველსა მოთხნის თავის ფესვებით. ახ! ჩემო სარიდან! *(თავს მოიგლეჯს, თმებს ჩამოიწინებს და მასუკან გამოექანება)* ჩემო სარიდან, შენ რომ მითხარი, აბა, ის შენი მორთული კუბო სად არის? სანყლად ავტირდე და ზარი გავმართო ვალალებისა, რომ ყველამა თქუან: რა კარგი ტირილი სცოდნია საცოდავს მელანიას და როგორ მშუშნივრად იგლოვსო თავის სარიდანს *(მივა, შუაში დაიჩოქებს და თვალებზე კელს მოისომს)* ღმერთო! არ ვიცი, რა ამბავია, სად არის სარიდანის კუბო? ეხლა ეს იყო, იმისი კუბო ზარის გალობით მოჭქონდათ ერთსა დასსა ქართველებსა, ომის ცეცხლში გამოვლილთა იმათ და პერანგის საკინძი ჩამოენყვიტათ ყველას, ის კუბო რა იქნა, იმ ჩემი სიცოცხლის კუბო? უთუოთ ეკკლესიაში შეასვენებდნენ. *(მივა, ეკკლესიის კარებთან დადგება გაუბედავთ)* ყურსა გიგდებ, დიაკვანო, აბა, როგორის წმით უკითხავ სარიდანის მცხედარს დავითის ფსალბუნებს? *(ყურს დაუგდებს და მასუკან კიდევ)* არაფრისთანა წმა რომ არ მოდის, ეტყობა დაბლის წმით კითხულობს ის წმა გასანყვეტი დიაკვანი. სარიდანის მზემ, შემოვალ და შენს კუბოზედ თავს მოვიკლავ, ასე გგონია ჩემის სიყვარული ადვილი იყოს, ქართველი ქალის სიყვარული? ბარემ ამ ეკკლესიის კარები გავალო და ჩემი საქმე გადავსწყვიტო ჩქარა: ჩემი ტანჯვის შესამოკლებლად ასე სჯობია. *(და საჩქაროთ გააღებს, გაღებასთანავე ასეთი წმით დაიკვივლებს, რომ ეს ეკკლესია დიდს ეხას მისცემს, ასეთს ეხას, მართლა ძლიერს)* ვაი, ჩემს თავს! *(და გულაღმა გადაიქცევა გულ შენუხებულში. შეხედვენ, ნახვენ რომ ეკკლესიის საკურთხეველის კარები ღიაა და ტრაპეზზე აქეთ იქით კელეპტრების სანთლები ანთია ორი. ამის დაკვივლებაზედ ამის მუახლე ვარდუა შემოვარდება გაშფოთებული)*

ვარდუა. ქა, გენაცვა, ჩემი ქალბატონის ხმა იყო ეს კვილი. ყოველს ჩემს გულის ძილში, იმის მომცრო დახმაურებაზე, მაშინვე წამოვხტებოდი ხოლმე და ეხლა ეს კვილი რას დამმართებდა, რაც უნდა გულით მძინებოდა?? ყურში გამძახა მაყარ თოფსავით. *(მოვა*

და ღია კარებში ქალბატონს რო დაინახავს გულ შენუხებულს, დაიძახებს) ვაგლახ, ვარდუავ შენ, ახ! ჩემო ქალბატონო, სიყვარულის მსხვერპლო, რა მოგვლენია? (მივა, შეუჯდება და კალთაში ჩაინვენს. ამ დროს ბატონიშვილი ირაკლი მოვა ჩქარა და თავზე დაადგება)

ირაკლი. ეს საზარელი კივილი ვისი იყო, მანდილოსანო, რომ ჩემს ოთახში, ისე მოშორებულს ოთახში, დაინივლა ვით ასპიტმა?

ვარდუა. თქუწნი სულიერის დის კივილი იყო, ბატონიშვილო.

ირაკლი. რა ამბავია, მითხარი!

ვარდუა. ჯერ არც მე ვიცი, თქუწნი ჭირიმე.

ირაკლი. მამ, წყალი მოვარბენინო. (მობრუნდება იქვე კედელთან ლიტრას მოუტანს) აჰა, აჰკურე, მოასულიერე საცოდავი. (აპკურებს და თვალებს გაახილებს)

მელანია. იჰ, რა ამბავია, თქუწნი ჭირიმეთ!

ვარდუა. გონებაზედ მოდი და დაინახავ, რა ამბავია.

მელანია. ჩემო საყვარელო ვარდუავ, შენა ხარ?

ვარდუა. მე ვარ, მაგრამ გადმოიხედე, ვინ გადგას თავზე?

მელანია. (გადმოიხედავს) შენამც გენაცვლება ჩემი თავი, ჩემო ძმაო ირაკლი, რომ აქ ბძანდები ჩემთან, ჩემს სანუგეშოთ. (ირაკლი მიეშველება წამოაყენებს, მარჯუნივ ირაკლი დაუჭერს ჯელსა და მარცხნივ ვარდუა)

ირაკლი. მე გაშტერებული ვარ, ჩემო დაო, შენ თავს რა ყოფა მოსულა, მითხარი.

მელანია. შენი ჭირიმე, ძმაო! ჩემი სარიდანის კუბო მაჩვენე ჩქარა, თუ ჩემი ბედნიერება გინდა. (და მწარედ ატირდება)

ირაკლი. ქალო, რას გაცეტებულხარ? შენი ქმარი სადაც არის, ეხლა აქ მოვა, თუ არ დაიჯერებ, აი, ეს იმისი წიგნი, (გაუშლის, აჩვენებს) იმისი ჯელია თუ არა?

მელანია. თქუწნს მზეს ვფიცავ, იმისი ჯელია. ოჰ, გამაღობ, ღმერთო!

ირაკლი. შენმა ქმარმა დიდათ დაავალა ქვეყანა, ერთი თვს საქმე ამ სამს დღეს აღუსრულებია, ისე როგორც მე მინდოდა, მაგრამ მითხარი, რა მოგჩვენებოდა, ისე გააგიჟებული იყავ წელან?

მელანია. ამ ღამეს გიახელ აქა და ამ ეკკლესიის ძირში გადავხტი გარეთ ჩემის კერძობით, ამაღამ რომ არავინ შემენუხებინა, იქვე დავიძინე, ამ დროს ჩემი სარიდანის კუბო გამომიტარეს წინა და გიჟსავით დავედევნე უკან. აი, ეს მამეჩვენა, ჩემო ჯელმნიფე!

ირაკლი. ოცნებით სავსევე, შე მოკლე სულო? ყოველს სიზმრის ნახვაზე, კლდეზე უნდა გადიგდო თავი? ან ამ ეკკლესიის კარები ვის გაუღია?

მელანია. მე გავაღე და ის ანთებული კელეპტრები რომ დავინახე, სარიდანის კუბო მეგონა.

ირაკლი. აქ წამოდი, ჩემთან, *(მიიყვანს ეკლესიის კარებთან)* აქ დაიჩოქე და ჩემთან ერთად შეევედრე იმ წმიდასა დაგებულსა ტრაპეზსა, ვეგულმტკიცენულოთ ჩუწნის სათხოვრისათვს, აი, ეს უნდა იყოს ჩუწნი ფიქრები და არა შენი, რაღაებიც რომ წარმოგიდგენია, *(დაიჩოქებენ)* სიბრძნით დადგენილო ტრაპეზო, კაცობრიობისათვს შენს უწმინდეს ტრაპეზს, შენს საიდუმლოს სისხლს ხორცზედა მტერი შეთქმულა, დასცენ იგი შენი ესე ქვეყანა, ყოვლის საზიზღრებით შეიბღავლა იმათაგან, ესეცა სურთ უკანასკნელ. ქალწულ მონამეთა შორის უპატიოსნებისა შკლო და ზეცისა ღუთაებისა ძეო! შენის დედის გვერდის წილსა ქუწყანასა ნუ გაჰყიდი მძღავრსა მტერზე, იმ ღუთის მტრების ჴელისაგან გამოგვისენ და შენი ზეციური რტონი გადმოაფარე ამ სამშობლოს, შენს ქუწყანას. ახლაკი მიგულებთ ეკლესიის კარები და შენც თავი დაიხურე, მელანია. *(თაყვანს სცემენ, მასუკან ადგებიან, მელანია თავს დაიხურავს და ვარდუაჯ ეკლესიის კარებს მიხურამს. ამ დროს სარიდან შემოვა უცხოთ დაიარაღებული, მელანია რომ დაინახავს, დაიძახებს)*

მელანია. ქა, შენამც გენაცვლება ჩემი თავი, *(გაექანება და ყელზე გადაეხვევა)*

სარიდან. ქალო, წარმოიდგინე, აქ ვინ ბძანდება? მორიდება გმართებს, უზდელობა არის.

მელანია. ვიცი, ჩემი სულიერი ძმა მამიტევებს.

ირაკლი. დაესხენ, სარიდან, დიდად მამწონს მაგისაგან მაგისტანა სიყვარული შენი.

მელანია. *(და გულში ჩაეკონება მელანია სარიდანს, მასუკან მოშორდება)* ახლაკი მოახსენე, რაც იცოდე, სარიდან.

ირაკლი. სულ არ მეგონა, დიდად ჩქარა აღგისრულება ჩემი ჩაბარებული საქმე, ჩემი მაღლობა ცოტაა. ვინც აგრე ემსახურება მამულს, იმისი სახელი საქართველოს მატრიანეში ჩაიწერება, კარგო სარიდან.

სარიდან. არა, ჩემი ცდით იყო, შენმა ბძანებამ არწივის ფრთები შემასხა, ბატონი შკლო, და სწრაფათ მოვიარე ყოველი მხარე.

ირაკლი. მერე, ვინ რა გითხრა?

სარიდან. იმ დახიზნულებმა და დაღონებულთა თქუწნი სახელი, თქუწნი ამბავი რომ გაიგონეს, თავი აიღეს მაღლა, წელში გაიმართნენ, მკლავები გაიჭიმეს და მტრის ჯავრითა ზმორება დაიწყეს – მამული გამოიხსნან ჩქარა, მაშინვე იმათი ხიზანი სოფლებში გაიფინა და შეუდგნენ თავიანთ მამაპაპის ცხოვრებისა წესსა.

(ამაზედ ირაკლი ატირდება და მასუკან ბალდადის ხელცახოცით თვალებს მოინმენდს)

ირაკლი. ნუ დამძრახავ, სარიდან, ყმანკლი ვარ და სიამოვნით ვტირი. ნუ გეგონება, ჩემის სახელის გამოჩენისათვის ვტიროდე. არა, ქართველები ისევ ქართველები ყოფილან, თავიანთ მამაპაპის გვარისებური და კიდევ სწყურთ საქართველოსათვის სისხლი დაღვარონ, მაგრამ ბოლოს რა მოხდა?

სარიდან. ქუდზე კაცი წამოვიდნენ ჯარათ და ოცდა ათი თავად აზნაურნი დანინაურდნენ თქუჴნი წინ თაყვანის საცემლად; პირველს იმათს ჰქვიან ასლან.

ირაკლი. *(სიხარულით)* მერე, სად არიან ისინი?

სარიდან. ეხლა აქ გიახლებიან, ბატონიშკლო.

(და კიდევ შემოვლენ კარგად შეჭურვილნი. მივლენ და კალთაზე შემთხვევიან ირაკლის, ერთი იმათგანი ხნიანი)

ასლან. ვმადლობ ღმერთსა, თქუჴნი პირის ნახვა გვადირსა. კიდევ ჩუჴნიკენ მოიქცა ზეცა, კიდევ თავის უხვის მოწყალებით, ძეო მეფისაო.

ირაკლი. მეც დაგპირდებით, თქუჴნთან სისხლი დავღუარო ჩემი.

ასლან. ვინ, რომელმა ქართველმა უნდა გაკადროს ეგ შენირვა, ბატონიშკლო! ჯერ არს ჩუჴნი სისხლი თქუჴნის უვნებლობისათვის.

ირაკლი. არა, პატივცემულო ასლან. მეც თქუჴნი ძმა და თქუჴნი მხარის მოამხანაგე. მაგას თავი დავანებოთ, ახლა ამის ანგარიში მითხარი: როგორ გგონია, რავდენი ჯარი გამოვიდოდა დახინულეებისა თქუჴნი?

ასლან. შკდი ათასი მეტი გახლდება.

ირაკლი. შკდი ათასი ქართველი იმალებოდა? შკდი ათასი ქართველის ჯარი ორმოც ათასს მტერსა დაამარცხებს, ასლან.

ასლან. შენი ჭირიმე, ბატონიშკლო! უმწყემსოს ცხვარსა ნადირი შესჭამს, მაგრამ ახლა აღარ ვსწუხვართ ქართველები. კარგი ქართველების მწყემსი გადმობვედი ფშავის მთებიდგანა და ეხლა ჩუჴნი ვიციით, როგორც გავიშლებით სათიბებზედ მომთიბლები.

ირაკლი. მაშ, წავიდეთ. დანარჩენნი ჩემს სენაკში მოვილაპარაკოთ. *(გავლენ, აქ დარჩება სარიდან თავის ცოლით და ვარდუა)*

სარიდან. ქალო, მელო, წელან რა იყო, შენს გაზდას, ისე უზრდელად მოიქეც? მერე ვისთან? ჩემს ბატონი შკლის წინაშე.

მელანია. ნუ გენყინება, შენი ჭირიმე. ჩემო თვალის ჩინო, არ იცი, რა გადამხდა თავზე?

სარიდან. უთუოთ ყმანკლობა.

მელანია. ძილში შენი კუბო წინ გამამიტარეს და გიჟსავით და-

ვედევნე უკან. თუ ირაკლი ბატონი შკლი და ეს ვარდუა არ შემწრებოდნენ, მოვკუდებოდი.

სარიდან. აკი ვთქვი, ყმანჯლობა, შენი სულისა, ჩემო სიცოცხლე, წადი მამასუწნე, ნულარ მამაყოლებ კიდევ.

მელანია. უსამართლოვ, თვთ რჯულობავ, ნეტა, რა ხარ? სიტყუა აღარ გვათქმევინო, ამისთანა ჭირი იქნება? *(ტირილით წავა და ვარდუაც გაჰყვება)*

სარიდან. *(მიხედ მოხედვის შემდეგ)* გამწარებული, ანუ ტკბილო სიყვარულო. გაკაპასებული, ანუ დამწვიდებული სიყვარულო. ბედნიერო, ანუ უბედურო სიყვარულო. – ამათში რომელი ხარ? *(ჩაფიქრდება და მასუკან კიდევ)* განა სიყვარული! სიყვარული უბედური? რომელს სტრიქონზე დანერილა ეს უბედურება? მეშკდეს ზეცის ეტრატზე, რაზედაც შავის კალმით დასხმულა ეს ასოები, ჩემი და ჩემი მელანიასი: უბედურება! – სანყალო მელანიავ, არ ვიცი, შენ უფრო სანყალი ხარ თუ შენი სარიდან, სიყვარულით მელანიავ, ამის მეტს არა გვეშველებარა; მე მამულისათჳს მოვკუდები და შენც მე შემომიდგები უკან. ასე მითქუამს გული, ვიყუნეთ ბედნიერნი მამულითა და ჩუწნ ერთმანეთის სიყუარულით უბედურნი, რა უყოთ, რა ვქნათ, ჩუწნის მამულისათჳს ასე სჯობია. *(და საჩქაროთ წავა. ის რომ წავა, ბერი იოანე შემოვა)*

ბერი იოანე. წავიდე, ეკლესია მოვამზადო, ამ ცოტას ხანში საცოდაობას ვნახამთ. *(შევა ეკლესიაში და კარებს მიიხურამს. ამ დროს ირაკლი და სხვანი ყველანი შემოვლენ)*

ირაკლი. ამ ხუთ დღეში თითქმის იმედი გადვინყვიტეთ, ახლა წინა კაცი მოიჭრა, გვითხრა: გიახლებიანო. აქ ეკლესიის კარებთან დავხვდეთ, აქ შევიტყოთ, რა ამბავსა მოგვითანენ?

ასლან. აქ სჯობია, თუ საჭირო იყოს, აქავე გავიფიცნეთ. *(ამ სიტყუასთანვე გივი, ბესარიონ მოვლენ და თან მოჰყვებიან ოსმალურათ ჩაცმულნი ქართუშლები. ამათ თან მოჰყვებიან რევაზ – ომან და კიდევ ოსმალურად ჩაცმულნი ქართუშლები. ეს ოსმალურად ჩაცმულნი ირაკლის მუხლებზედ მოეხვევიან და ვედრებით სთხოვენ)*

ოსმალურად ჩაცმულნი ქართველები. ჩუწნო ჯელმნიფეო! ღმერთს აპატიე ჩუწნი დანაშაული, თუ არ გვაპატიებ, სვინდისი მოგუკლამს, თქუწნს მზეს ვფიცავთ. გვაპატიე, შენი ჭირიმე, ქართველურმა გულ წრფელობამ შეგვაცდინა, ძეო მეფისაო.

ირაკლი. მიპატიებია, მაგრამ რა ამბავი მოგვითანეთ? *(გივი წინ წარდგება)*

გივი. ბატონი შკლო! უცხო ამბით მოვედით, მაგრამ ჯერ ეს მოისმინე. რევაზ-ომანს და ჩუწნ ხშირი მიწერ მოწერა გვქონდა ერთ-

მანეთთან საიდუმლოთ და, დიახ კარგად მოვიყვანეთ საქმე, არამც თუ მტრებს გაუდგნენ ესენი – სულერთიან გარეკეს და გააცილეს სამძღუარს.

რევაზ. ასე რომ, იმ ჩუჭნი მტრების კატაც აღარ იპოება ჩუჭნს მამულში.

ირაკლი. ეგ საქმე ხომ ამათ შეიძლეს?

ომან. ამათ და სხუანი აღარავინ მიუშვეს მტრებზედ.

ირაკლი. ადექით, ამას იქით ჩუჭნი ძმები იყავით კიდეც.

ოსმალურად ჩაცმულნი ქართუშლები. *(ნამოცვივდებიან, ოსმალურს ტანისამოს გაიძრობენ და თონეში ჩაჰყრიან. ამასთან ირაკლისთან მოვლენ და დაჩოქებულები მუხლებზედვე მოხევევიან)* ქიზიყ-გალმა მხარი შეცთომილებას მოვიხდით თქუშნ წინაშე.

ირაკლი. და ჩუჭნც გინოდებთ: ძენო მამულისანო კვალად. *(ამ სიტყუასთან თონიდგან ალი ამოვარდება და ესენიც ფეხზე ნამოდგებიან. ის ტანისამოსები ინვის და ესენი იძახიან)*

ქიზიყ-გალმა მხრელნი. განქრი, განქარდი მაგ ცეცხლსავით, ჩუჭნო მტერო, ლუთის განგებით.

ბატონი შული ირაკლი. რევაზ-ომან, საჩქაროთ გაეშურენით მამაჩემს მეფესთან, თელავში მობძანდეს, იქ დავხვდებით ყველანი. ჩუჭნი თავ გარდასავალი ამბავიც მოახსენეთ ყუშლა.

რევაზ-ომან. ეხლავ გიახლებით. *(და გავლენ)*

ბერი იოანე. *(შემოვა შერყეულის გულით)* ბატონი შულო! ინებეთ ეკლესიაში შებძანება, თქუშნ და თქუშნმა ქართუშლებმა ალავერდელმა პარაკლისი უნდა გადიხადოს საქართუშლოს და ქართუშლებისათჳს. მეორეს კარებიდგან შებძანდით, რომ აქედგან აღარ შეისვლება. *(მაშინვე ნავლენ, ჳმას არ ამოიღებენ. ბერივე შენუხებით)* ღმერთო, დაგვიფარე შენი საფარველის ჳელით ქართუშლები. არ ვიცი, რა დანაშაული მიგვიძღვის შენ წინაშე ქართუშლებსა, რომელის ცოდვით განყენინეთ შენა? სინანულო, სინანულო! რით ვერ მოინახე, ავდენი ჩუჭნი მწარე ცრემლით, ავდენი ჩუჭნი გლოვის ვედრებით ცოდვა ჩუჭნი თუ აქუსთ ქართუშლებსა? აი, ეხლაც ვნახამთ, ჩუჭნს სინანულს და როგორს სინანულს? აბა, თავი შეიმაგრე, ბერო იოანე! *(გულგულ დაკრეფით, ძალიან დაღონების შემდგომ)* არა, არა. მე აქ ველარ დავდგები საცოდაობით, ვერა ვნახამ ამონყვეტილთ სახლეულობათა *(და გიჟსავით გავარდება კარზე. ამ დროს ეკლესიის კარების სრული კედელი, ესე იგი ფარდა უეცრად გადინევა, ნახვენ, რომ მთელი ეკლესია განათლებულია წმინდა სანთლებითა, საკურთხევის გარეთ ამბიონზე ალავერდელს დაუჩოქნია პორფირ ნამოსხმული ჳელ გაპყრობით, ამის გვერდით, ცოტა უკან ირაკლისა, აქეთ იქით, ამბიონის ქვე-*

მით დაჩოქილნი არიან მწკრივით სახლეულ ამონყვეტილნი კაცნი და დედაკაცნი, ხნიანი და ყმანვილნი. ერთს მხარეს დედანი შავ ჩაცმულნი არიან და თავი მოხდილი აქუთ თმებ გადმოშლილი მხრებზე, მეორეს მხარეს კაცებს პერანგის საკინძი ჩამოუნყვეტიათ და გულისპირი გადმოფენილი აქუთ მარჯუშნას მკერდზე. ესენი სულერთიან ჳელებ გაშლილი ჯუარცმას უყურებენ დაღონებულე-ბი. ამათ უკან აქეთ იქით ირაკლის ქართუშლებს დაუჩოქნიათ იმათ მსგავსებრივ და გალობასა აუშვებენ სულერთიან ამას)

სულერთიან. განგებაო! აკი შენი გული ზღვაა არის კეთილი-სა და სამსჯავრო მართლ მსაჯულებისა, უძლიერესო დიდებაო! ცისა შემჭვალული ესე ღაღადება, ესე ჩუშნი ცოდვის სინანული შეინყნარე, ვითარცა შეგინყნარეებია ჩუშნთა უძუშლესთა წინა-პართა დედმამისა, ეგრეთ შეინყნარე ჩუშნი ესე და აღგვიხოცე ჭეშმარიტებისა მტერნი იგინი, იგი გაძვინვებულნი, იგი, უსამართ-ლონი. დაამხე, დაამხე ცოდვა ჩუშნი, აკმარე ავდენი დევნულება ქართუშლებსა. (ფარდა ჩამოეშვება)

დასრულდა მეორე მოქმედება.

მესამე მოქმედება

(ფარდა აიხდება, გამოჩნდება თელავის პატარა სავაჭრო ადგილი, აქ გარეშემო მოვაჭრენი სხედან და ყველას თავისი სავაჭრო ნინ უწყვიათ გაფენილი)

ბაზაზი. ეს ჩუშნი საქართველო როდის უნდა შეიქნას სავაჭრო ქუყყანა, როდის უნდა მივხუდეთ, რა არის ქუყყნისათვის ვაჭრობა? რა გახდა ეს ჩითი ჩუთი ჩუშნის ქუყყნისათვის, ანუ ეს მოუდი, ესეც შორის ქუყყნებიდგან მოტანილი, თუმცა შორიდგან, მაგრამ მაინც ცოდვის პურსა ვჭამთ, ერთს ორათ, ანუ სამათ ვყიდით და არ ვიცი, ღმერთი რა კარგს მოგვცემს ჩუშნ მოვაჭრეთ? არც საბოლოო გვიჩანს რამე კარგი. თუ საკუთრება არა გვაქუს რა, ესენი სულ ტყუილია.

მენვრილმანე. ასე გაშინჯეთ, ეს სათითე და ეს ქინძისთავები უცხო ქუყყნებიდგან მოაქუთ ჩუშნზედ გასასყიდად და ამის შემდგომ რალა გვექნება ჩუშნი? რა ვქნათ, რა უყუთ, ღუთის მტრებისაგან არის ჩუშნი ესე უსწავლელობა.

მეპურე. ესკი ვიცი, პურის გამოცხოება, ესეც იმისათვის, რომ მშვიდობა არ დავიხოცნეთ. რა გაენყობა გარემოებას, ყოველი გარემოებამ იცის.

მეხილე. *(ბავალი)* ამ ჩუშნს პატიოსანს ხილსა ვეშურებით, დროით გავყიდოთ. ჯერ ვცდილობთ, მყიდველი მოვატყუოთ, თუ არ იქნა, დავალპოთ, წყალში გადავყრიოთ და იაფათ კი არ გავყიდოთ, ვიცით, ესენი სულ ცოდვაა, მაგრამ მაინც არ ვიშლით და ჩუშნსას ვშვრებით. სად არის ღმერთი, აღარ გვეშინიან იმისაგან, ის არის შორს.

მპარსავი. *(დალაქი)* დაილოცოს ჩუშნი მპარსავების სამართალი. ვინც რას მოგვცემს თუთო მოპარსვაში, უარს არ ვეტყვით, ჯელს მიუშვართ როგორც წყალობისათვის, სანყალს კაცსავითა ჩუშნ ეს არ გვეთავილებს ამიტომ, რომ ამის მეტი მართალი, კეთილი და გემრიელი ლუკმა, სხუა აღარა არისრა ჩუშნში კარგი.

(სხუშბს აღარ დასცალდებათ სიტყვის თქმა, ერთი ხნიანი შემოარაღებული შემოვა)

ასლან. ქართუშლების სინრფელე, ანუ სიმართლე და ანუ გულის მიმდობლობა რალათ გაუშვით, რატომ აღარა თქვთ? ქართუშლების ვაჟკაცობა და მამულისათვის თავის გამოდება რალათ დაგავინყდათ? ახლა ამას თავი დავანებოთ, მახარობლად მოვდივარ, ბატონიშვლი ირაკლი მოვა ეხლა და მეფე თეიმურაზიცი ჩქარა მობძანდება.

ვაჭარნი. ეს ჩუშნი სავაჭრო საჩქაროთ გავიტანოთ, რომ ჩუშნს პატარა ბატონს დავხვდეთ. *(ამასთანავე წამოავლებენ თავიანთ სავაჭროსა და საჩქაროთ გავლენ. ასლანიც მეორეს მხრიდგან გავა. ამ დროს უეცრად პირდაპირ ფარდა აიხდება, სადაც მეფის სალხინოა, ის გამოჩნდება სრულიან განათლებული და საუცხოვოთ მორთულიც არის, ეგრეთვე საფენ მოფენილი. აქ ქალნი და კაცნი ბევრნი დგანან მშუშნივრად ჩაცმულნი და ასლანიც იმათშია)*

ერთიანად. *(დაიძახებენ)* ძეო მეფისაო, ერეკლე! გვიხარის შენი მოსვლა, შენი ნახვა. ვმადლობთ ღმერთსა! *(ესეც შემოვა და შემოსძახებს ასე)*

ირაკლი. მე უფრო კიდევ მომატებით, მაგრამ დიდი ამბები გვიძევს წინ. *(ყველას მაგიერათ)*

ასლან. არ ვიშიშვით მაგისათვის, თავს ჩავიყრიოთ ყოველს განსაცდელში. მარტო მე არ, ესენიც ასე მოგახსენებენ.

ირაკლი. მამ, ნითელი ჩოხები მოგვიტანეთ და ხონჩებით ხანჯლები. *(მოიტანენ. თუთონ და სხუანიც ყველანი ჩაიცმენ)* ეს არის მამულის ძებნა სისხლით და თქუშნ პატიოსანო ქალებო, ეს ხანჯლებიც თქუშნ შემოირტყით, მოვა დრო, რომ თქუშნც გამოიღებთ ჯელსა.

(ყველანი თუთულად შემოირტყმენ ნელზე და წინ მწკრივათ დადგებიან კაცების შუა, აგრეთვე ირაკლი)

ირაკლი. ეს კმასაყოფელი არ არის. ორი სათქმელი მაქუს კიდევ, უნდა სწორეთ მითხრათ: რომელი გინდათ მტრების ხელში, სხეულის მოსვენებაში ვიყვნეთ, ეს გინდათ, თუ დაუნყნარებელი სისხლის დაღვრა მამულისათვის?

ასლან. არ გაუდრკებით სისხლსა.

ირაკლი. იცით? ოთხსავ კუთხივ მტერი გვახვევია. მერე როგორი? ძლიერნი. რა ვჰქნათ, რა უყოთ, მონებასაც თავისი სიტკბოება აქუს და თავისი სიამოვნე.

ასლან. ჩუწნი ჩამამავლობა სისხლის ღვრით რომ ამოვარდეს, ის სჯობნია, მინამ ჩუწნის მონებითა და იმათის სიცრუის ალერსითა, ჩუწნი თესლი გადიცვალოს იმათში.

ირაკლი. კარგი, თქუწნი სურვილისამებრ აგრე იქნება, მაგრამ მე რომ სამოცი წელიწადი მეტი კიდევ ვიცოცხლო და ავდენი წელიწადი მამულს ვეძიებდე, შეგიძლიანთ ავდენი წელიწადები ჩემთან გაძლება?

ასლან. მაშ, იმ ქართველების შკლები არა ვართ, რომელთაცა მამულის ძძიმე ტვირთი ზურგზე ეკიდათ მარადის?

ირაკლი. წარმოიდგინეთ, ყოველ დღე სისხლის ღვრაში ვიქნებით: ხან ორთა, ხან სამთა, ხან ოთხთა და ხან ხუთსრიგობასთან, სულ სხუა და სხუას მტრებთან, რომელნიცა იქნებიან ერთი ათად ჩუწნზე მომატებულნი ყოველთს.

ასლან. მიგვაგებე სიკუდილს, ძეო მეფისაო ერეკლე. ნულარ ჰყოვნი, ღმერთი გადღეგრძელებს, აღრინებული ვართ: ვით ვეფხვი ქურციკების მაყურებელი შორიდგან და მრისხანედ ზღუოდეს იმათზე.

ირაკლი. რახან აგრე, მიგაგებებთ სიკუდილს ჩემი წინ გაძლოლით.

(ამ დროს რევაზ და ომან შემოვლენ შეიარაღებულნი)

რევაზ. ძეო მეფისაო, მეფე თეიმურაზ და დედოფალი მობძანდებიან. თქუწნი დებიც თან მოჰყავთ და ვინც ფშაველები გახლდნენ, ისინიც თან ახლავან.

ირაკლი. *(სიხარულით)* შორს ბძანდებიან?

ომან. ახლოს, დიახ ახლოს ბძანდებიან.

ირაკლი. მივეგებნეთ.

ერთპირად. მწყალობელსა მეფეს, სიხარულით მიგებება მოგვიხდება. *(და ერთობლივ გავლენ. ისინი რო გავლენ, მელანია შემოვა)*

მელანია. გამოვეშურე, სარიდანისათვის მამესწრა აქ, ერთი ფეხით გაუსწვრიათ, მეფის მისაგებებლად წასულან, თორემ მეც იმათ გავყვებოდი. სარიდანი წამოვიდა, ჩემი სულიც ფრენით

დაედევნა, მოსწეოდა იმათ და ორთა მოტრფიალეთა კიდეც გვე-
ნახა ერთმანერთი, მე და იმის ერთის წუთის მოშორებაში რალაც
უზმო სივრცე გვიძევს შუა. არ ვიცი, სად ეძებენ, რომელს ადგილს,
ანუ რომელს ზღვაში? აი, საუნჯე, საუნჯე ძვრფასი, რომელიცა
ედემში განისვენებს ზეფიროსებთა შორის: სიყუარული! განის-
ვენებს, მაგრამ ისრებით მოსხმულ-მოსისხარი. ჩემო კარგო სა-
რიდან, შენმა გაზდამ, ზეცაში ახვალ, თან ამოგყვები, ქვეშქველში
ჩახვალ, შიგ ჩამოგყვები. სად გაგიშვებ, ვის ინაბარად დაგაგდებ,
ჩემი ალერსი არ გეკონოს გულზე მარადის? სუ. ხედავ, სადა ვარ
აქ? მეფის სალხინოში. კიდე ვნახე ეს სალხინო? აკი ჴელი ავიღე-
ვით, ველარ ვნახავდით საქართუშლოს? აკი ამბობდნენ: ვაი, ჩუჭნი
ბრალი, საქართუშლო საქართუშლოდ აღარ იქნებაო. ქართუშლები
ამონყდებიან სრულიად ეხლაო. ჰგავს, რომ კიდეც სწყალობს ღმერ-
თი ქართველებსა, ღმერთო, ჴელს ნუ აიღებ ჩუჭნედა, მტერს ნუ
დაგვაჯაბნინებ, გასაწირავნი არა ვართ ჭეშმარიტად ქართუშლები.

*(ამ დროს შორიდგან ხმა) გზა დააგდეთ, გზა დააგდეთ, მეფე
მობძანდება.*

კიდეც მელანია. ჰა? ვისი ჴმა შემამესმა? ჩემი სარიდანისა!
აი, ამ სალხინოში, მე და ის რომ ვთამაშობდით ყმანკლები, სადაც
ჩუჭნი ცოლქმრობის ამბავი, ჯერ არა იყორა, თვნიერ ჩუჭნი გიჟო-
ბისა, ახ, ის ყმანკლობის ჩუჭნი სიცელქე რომ მამაგონდება, მეტად
მიამება ხოლმე. განგებასა ეტყობა, რომ რალაც უნდოდა ჩუჭნთკს
მაშინვე.

(აღარ დასცალდება, ამასთანავე ძახილით შემოდიან)

თელავის მცხოვრებნი. მწყალობელო მეფეო თეიმურაზ!
კურთხეულ არს შენი მობძანება, კიდეც ღმერთმა დაგვიფარა,
მეფეო. ჩუჭნო პატარა ბატონო ირაკლი, დიდება გეკუთვნის, ჩუჭ-
ნო გამომხსნელო! *(ამ დროს მეფე, დედოფალი, ამათი ორი ქალი,
ირაკლი და სხუანი სულერთიან შემოვლენ)*

მეფე. კიდეც შევერთდეთ, ძმებო. კიდეც ჴელი ჴელსა გავაბათ
ჩუჭნის მტრების გასალაღად.

ერთპირად. იყოს აგრე, ხოლო ხმლითა, თორემ ნებით არ მიმარ-
თუშნ პირსა.

(ამ სიტყუასთან ბესარიონ შემოვა და დამშვდებით მოახსენებს)

ბესარიონ. წინ ვდარაჯობდი ბატონი შვილის ირაკლის
ბძანებით, შენი ჭირიმე, დიდი მტრის ჯარი მოდის თელავისკენ.
ეტყობათ, გაჯავრებული არიან, ძალიან მოეშურებიან, გულ-
მა აღარ გამიძლო, ჩვეულებრივ დავერივე, მინამ ერთს მაინც არ
მოვსჭერ თავი, არ წამოველ. *(კაბის კალთიდგან გამოიღებს და მე-
ფის წინ გაუგორებს)* ღმერთმა გამარჯვება ნუ დაგილიოს, ბატონო

მეფეო!

მეფე. ღმერთმა შენც ნუ დაგილიოს გამარჯვება. მამიშენის შკლობა გეტყობა, ბესარიონ, მაგრამ ახლა ჩუშნც მოვემზადნეთ საომრათ, ღმერთი და ბედი.

ირაკლი. ჩემო წელმნიფეო, თქუშნ და დედოფალი ბანზე აბძანდით, ჩემი დები და სხუა ქალებიც იქ გახლდნენ, თქუშნს ამალსაც ნუ მაიშორებთ, თან იმყოფეთ და დანარჩენი ჩუშნზე მოაგდეთ. იქიდგან დაინახავთ იმ ზევით ბანიდგან ყველას.

მეფე. სიცოცხლეო შკლო! დამინებებია შენთჳს. გხედავ იმედუელად და საქართველოს მკვიდრ სვეტად. ნავალ გულ მოსვენებით, ასე მოსვენებული, რომ ჩემს დღეში არა ვყოფილვარ ასე.

დედოფალი. ბევრი რალა გითხრა, მითქუამს ადრით. ვინძლო თავი მამანონო ირაკლი და დასაქადებლად მყუანდე.

ირაკლის და ანა. დღეის ომი შენი არის, ვნახოთ, როგორ ასახელებ თავსა?

ქეთევან. ვნახოთ, როგორ გამოჩნდები დღევანდელსა დღესა ომის ცეცხლში?

ირაკლი. მე რა გითხრათ, თქუშნი თუალით ნახავთ ყველას.

(ამასთან ყველანი გავლენ, გარდა ირაკლისა, ირაკლის ამალისა და მელანიაც აქ დარჩება სარიდანთან)

ირაკლი. ბესარიონ, როგორ გგონია, რავდენი ათასი კაცი იქნება ჩუშნზედ მომავალი მტერი?

ბესარიონ. ათი ათასი მეტი უნდა იყოს.

ირაკლი. კარგი რიგიანი ჯარია, თუ როგორი?

ბესარიონ. კარგი, სულ ჳელ გამომავალი. სულ პრიალებენ ოსმალურს ოქრო-ვერცხლში.

ირაკლი. კარგს ცხენებზედაც სხედან?

ბესარიონ. სულ გამოჩენილს არაბის ტანის ცხენებზე.

ირაკლი. ნადი, ბესარიონ, თუალი ადევნე, რომელს მხარეზედ გაინვეს იმათი ანგაარი ჯარი? *(ბესარიონ ნაუა. ირაკლი გივისაკენ მიბრუნდება)* ჩემო მოჭირნახულე გივო, ჩუშნი ჯარი რავდენილა გეგულება კარგი ცხენიანი?

გივი. ხუთი ათასი.

ირაკლი. მერე, შეუძლიანთ ჩუშნ მოპირდაპირეთ ჩუშნი ომი?

გივი. რატომ არა, შეუძლიანთ, მარამ ძალიან გავპეტნავთ, დავამარცხებთ.

ირაკლი. ჩემო მოჭირნახულე გივო! საჩქაროთ გასნიე თელავითგან, გაიყვა ჩუშნი ჯარი, თელავის სიმაგრეების ზურგი დაუჭირე და ჩემს მოსვლამდისინაც შორს ნუ ნახვალთ. *(ამ სიტყვაზე გივი გავა, ირაკლი აქეთ მიბრუნებით)* რევაზ-ომან, რადგან ბევრ

საქმეში გამოცდილები ხართ და ბევრის ამბის მნახველნი, ამის გამო ჩემთან უნდა იმყოფნეთ და მხარს მინახავდეთ მარადის. ახლა შენკენ, ჩემო სარიდან. ეს ყმანვლი კაცები გამოუცდელეები არიან, მე და შენ ხომ უფრო, რასაკვრველია. დღეს გამოვიცდებით და თავი კარგათ უნდა ვაჩუწნოთ ამ ძველ კაცებს, თორემ განსაკიცხათ დაგუდებენ ესენი და სიცილს დაინყებენ ჩუწნზე. გარდა ამისა, დღეს დიდი მძიმე დღეა ჩუწნთს. ჯერ პირველად ყველამ თავი უნდა დავდოთ და დღეს შევაშინოთ მტერი, თორემ თუ დღეს არ შეშინდებიან, გათელვას დაგვინყებენ. მეორეს მხრით, კარგს ნადიმსაც ეგვანება დღეის ომი ჩუწნი დღესა ამისთს, რომ მამულის გამობსნის ჟამი იქნება და წარმოიდგინეთ როგორი სიხარულით უნდა დავდოთ თავი მამულისათს? ორივ თოკის წვერი მამიცია თქუწნთს: მტრისგან ჩუწნი თელვა თუ სისხლით მამულის გამობსნა? რომელს აირჩევთ, ქართუწლებო, ამ ორში?

ერთ პირად. სისხლით სიკუდილს.

ირაკლი. აგრე? დიად კარგი. დანარჩენიც საომარსა მინდორზედ მოვილაპარაკოთ. *(ბესარიონ შემოვა)*

ბესარიონ. ბატონიშვლო! თელავს დაუპირისპირდა მტრის ძლიერი ჯარი* და ჩუწნი ჯარიც თელავის ბოლოს დადგნენ დანკეპილები, მომზადებული საომრად.

(ამ დროს მეფე თეიმურაზ, დედოფალი თამარი, ამათი ორი ქალი, სხუა ქალები და მეფის ამალა ბანზე ავლენ და სადაც ესენი დგანან, აქეთ გადმოდგებიან)

მეფე. *(გადმოსძახებს)* უსაყვარლესი შვლო ირაკლი! მტერი და ჩუწნი ჯარი ერთმანერთს დაუპირდაპირდნენ, აქედგან უცხოთა ჩანს, ასე ახლოს არიან ამ სახლის ქვემოთ გალავნის კედლის ძირში, რომ ჩუწნი ჯარის ლაპარაკი ისმის.

დედოფალი. ჩუწნი ჯარი აქეთ იხედება, ეტყობათ, შენ გელიან მოუთმენლად, ირაკლი!

ანა. მე და ქეთევან, ჴელს განვიპყრობთ ღმრთისადმი ცრემლით.

ქეთევან. ქართველების, თქუწნის გამარჯუწბისათს; (მასუკან ყმანვლი ქალები ყმანვლს კაცებს გადმოსძახებენ თავიანთ ქმრებსა)

ყმანვლი ქალები. ჩუწნი სიყუარულის ღირსი აღარ იქნებით, თუ თავ გადადებულს ვაჟკაცობას არ გვაჩვენებთ დღესა, ჩუწნთან ნულარ მოხვალთ, გესმისთ, ჩუწნო ქმრებო? აღარ შემოგიშვებთ

* პირუწლი ომი ირაკლისა ნეიშინის მინდორზედ იყო, აქ, თელავში მხოლოდ სახესათს დავსწერე, ნეიშინის ომიც არის ქუწმოთ.

სახლში!

ყმანული კაცები. ნუ სწუხართ, ქალებო, მტრის სისხლით შეღებილები გამოვალთ. *(აქ ნახვენ რომ ბესარიონის ცოლი ამოვიდა ბანზე, მეფესთან მივა და მოახსენებს)*

ბესარიონის ცოლი. ჩემო ჴელმწიფეო! ჴელი მიბოძე, გაკოცოთ.

მეფე. ოჰ, ჩემო ნათესაო კეკე, როდის მოსულხარ?

კეკე. ეხლა, ეს არის, გიახელ. *(ჴელს გამოართმევს, აკოცებს, მასუკან დედოფალთან) დედოფალო!* ჩემმა მშობლებმა თაყვანის ცემა მოგახსენესთ უუმდაბლესად. *(ამასაც ჴელს გამოართმევს, აკოცებს)*

დედოფალი. დიდიხანია, იქიდგან წამოხველ?

კეკე. ორი კვრა იქნება. გზაზე ჩემს ნათესავებში დამიგვიანდა.

დედოფალი. მშკდობაა, ოსმალები ხომ არას აწუხებენ ქართველებსა?

კეკე. მშკიდობა გახლავსთ. მაგრამ დიდს გამოსალებს ხარკსა სწევნ ქართუშლები ოსმალოებისას.

დედოფალი. ნუ სწუხართ, განგება გამოგვიხსნის. უცხო დროს მოხველი კეკე, დღეს ძლიერი ომი იქნება, წამოდი, შენი ქმარი გაჩვენო. *(მიიყვანს და გადმოახედებს)* აგერ, შენი ქმარი.

კეკე. ბევრის ლაპარაკის დრო არ არის, ჩემო ბესარიონ. თუ ის ერთი ჩუწნი შკლი გიყვარს, კარგად გამომიჩვენე თავი დღესა, ნამეტნავად დიდის გვამების ამათ წინაშე!

ბესარიონ. ჩემო ნუგემო! მანდ ბანზე გადმოდექ, პირისპირ ომისა ნახე, შენი ბესარიონ ზურგს აჩვენებს თუ ზედ მტერსა დააჯდება ზურგზე, მაგრამ ჩუწნი პატარა შკლი რა გიქნია?

კეკე. ჩემმა დედმამამ არ გამამატანეს, იქ დაიჭირეს.

ირაკლი. ბევრს ნულარ დავიყოვნებთ, დრო მოვიდა, ახლაკი ნავიდეთ. ჩემო ჴელმწიფეო ბატონო! აქ თქუწნ მშკდობასა დაგითევებთ და ჩუწნ საომრათა გავემართებით დამშკდებულისა გულისით.

მეფე. მეც გამარჯუშბა მამელოცოს თქუწნთკს ჩქარა. ღმერთი გიძლოდეთ წინ.

(ბატონი შკლი ირაკლი და მისი ამაღა სულერთიან გავლენ, მეფე თეიმურაზ და სხუანი ყველანი მეორეს მხარეს ბანის ნაპირიდგან ყურებას დაუწყებენ საომრის მხარეს. სარიდან და მელანია აქ დარჩებიან)

მელანია. პატარა მაიცა, სარიდან, ფანჯრიდგან გავიხედო, რა ამბავია თელავის ბოლოში? *(საჩქაროთ გაალებს, გაიხედავს, მაშინვე დაბრუნდება; ლოყაში ჴელს შემოიკრავს ნელა და დიახ წყნარა ჩამოიფხოჭნის ფრჩხილებით)* ქა. შენი ჴირიძე, სარიდან, უცხო

მტერსა ჩუწნი მამული დაულახავს, შემოსულან აქა, ჩემი და შენი სიყვარული მსხვერპლი იყოს, ახლაკი გამამიმეტებია. უნდა თავი გამოიდო ძალიან და მტერსა დიდი დალი დააჯდეს, თორემ სრულიად წახდა ქართველების სახელი.

სარიდან. *(სიხარულით)* მართლა? მართლა, ჩემო მელანია? აგრე, აგრე მითხარ და მასუკან ნახავ შენ სარიდანს ალტკინებულს ომში. თუ ეხლა ორი თავი არ მოვიმატო ოსმალოსი, ერთი მეფისათჳს და მეორე შენთჳს, მე სარიდან არ ვიქმნები.

მელანია. მეც ამ გაღებულის ფანჯრიდგან გიყურებ, ჩემი სული შენთან იქნება, ჩემო სარიდან. *(საჩქაროთ გავა სარიდან)* სიყუარული, რაღაც გამოუთქმელი სიამეა, საკვრველება! მარამ მამულისათჳს რა იქნება ერთი შიშველი სიყუარული? – რომლითაცა მხოლოდ ორნი დასტკებიან. ეს რას უზამს მამულს, რას შეენევა, სადაც ათასობითნი უბედურნი ცრემლს აბნევენ მონებისას. ეს სიყუარული მოყუარულთა დავანებოთ, თავის გზაზედ წავიდეს: როგორათაც საუკეთესო წყარო შეერთდება სხუასა მცირეს მდინარესა პატიოსანს, მე და ჩემის სარიდანის სიყუარულით მამულს რაო? მარამ არა, სიყუარული მამულისა სხუა რამ არის! მამულის შკლები მონებიდგან რომ გამოიხსნებიან, იმთენს სულსა თავისუფლება მიეცემა, რად ღირს ესა მგრძნობელთათჳს? – ვიცი, კარგად ვიცი, ჩემს სარიდანს მტერი მოჰკლავს უთუოთ, ესეც ვიცი, მე ვერ გაუძლებ იმის სიკუდილს და იმის სიყუარულით მეც მოვიკლავ თავს უთუოთა, ეს არ არის საზოგადოობის საქმე, ეს არის კერძობითი, მხოლოდ ორის კუთვნილი კუთვნილება, რომელიცა ვერაფრით ვერ მოვერევი იმის ვნების ძალას! იმის ძლიერ ცეცხლსა!.. ამისთჳს ოღონდ კი ჩუწნი მშობელი ქუწყანა მტრის ჴელიდგან გამოიხსნას, მე და ჩემი სარიდანი მამულის ჭირის სანაცვლონი ვიყუნეთ, თუნდა ათი ათასის გვემულეების ტანჯვით. არა, აღარ შემოვიყრი გულსა ამას იქით. *(ამდროს ზევით ბანიდგან დაიძახებს)*

მეფე. ნუ გაუშვებთ, ნუ გაუშვებთ, უბრალოდ არ მოკლან.

მელანია. ჰა, ვისას იძახის მეფე? *(ფანჯარას მივარდება, გაიხედავს, ისევ საჩქაროთ გამობრუნდება)* ჩემი სარიდანი დაერიო მტერსა, ლმერთო, შენ მიე შეძლება.

მეფე. *(კიდეც დაიძახებს ზევიდგან)* ოჰ, ოჰ, რა საკვრველი საქმე ქნა! ორ კაცს თავი მოსჭრა მტერსა და აქეთ მოარბენინებს ცხენით. *(ამ სიტყუასთანვე ცხენზე მჯდომი შემოარბენინებს, ერთს თავს მეფეს აუგდებს ბანზე)*

სარიდან. ჩემო ჴელმწიფეო მეფეო! ჩქარა მამელოცვინოს გამარჯუწბა. მეფე *(ვაჯავრებით)* აგერ, აიმ შენს ცოლ-დედას მიუტანე ის თავი. *(და ვაჯავრებული პირს მოარიდებს, მასუკან მეორე*

თავს მელანიას შეუგორებს ამ სიტყვით) ჩემო სატრფიალო, კარგო მელანიავ! ესეც შენი წილი, პირობა მოგართვი (საჩქაროთ ცხენს გააჭენებს და მეორე მხარეს გავარდება)

მელანია. (ფეხს ამოჰკრავს) ვინა ხარ, შე საცოდაო? იმისთვის მოხვედი იმ შორის ქუჩყნიდგან, აქ მოგეკლა თავი? მასუკან დედაშენი რა წმას იტყვს, რომელს ტყის ნადირისას შენს სიკუდილზედ? – ანუ ცოლი შენი თუ გყავს? ის განუზომელი ოსმალს მამული ცოტაა თქუწნთვს, რომ ამ მცირეს ქუჩყანასაც ებლაუჭებით, და ეს პატარა ბოხჩა ქუჩყანა დიდს განიერს ხალვარში ჩააგდოთ დასალუპად? მებრალვი, შორის ქუჩყნის კაცო. იქ ერთი ადლი მინა მაინც გელირსებოდა, დაეფალით, სადაც შენი მახლობლები მოვიდოდნენ ხანდისხან და ღმობიერს ღუთის სასიამოვნოს ცრემლსა დააპკურებდნენ შენს საფლავს. აბა, აქ რა გითხრა? აქ ყველას წილი იქნები კარზე ჰაერში: ჯიანჭველა შენს ძარღვებს ამოიღებს, მატლანი ხომ შენს აგებულებაში ცურვას დაინყებენ ჩვეულებრივ, ბუზი შენზე განსცხრება, სვავი თავის გამკვეთელის ბრჭყალებითა შენს მკერდებს დააფრინდება და დათვი ხეზე ასული შორით გიმზერს, შუალამის ბნელაში ჩუმათ მოვიდეს, თავის გამოქვაბულს კლდეში შეგითრიოს, რომ აღარავინ შეეცილოს შენსა დანარჩენსა აბრაზებულსა ხორცსა და სრულიან დაკვნიტოს შენი უკანასკნელი ძვლები, რომ კაცის ნიშანი აღარსად იყოს შენი, იჰ, კაცო. ეს არის ბედის წერა შენი, ანუ დაბრმავებული ეტლი კაცისა? (წამოაფლებს იმ თავსა და ფანჯარაში გაისვრის) კაი კაცების პატივის ცემის ღირსნი არა ხართ, ოსმალს თავებო. (კიდევ ფანჯარაში გაიხედავს და საჩქაროთვე გამობრუნდება) ძალიან უწყრება ჩემი სულიერი ძმა ჩემს სარიდანს: ვისი ბძანებით დაერიე მტერსა ისე დაუხედავათაო? აი, კიდევ ეუბნება, მესმის: შე თავხედო, ნულარ მამშორდები, თორემ ბორკილში ჩაგაგდებო. მე ვიცი, ჩემის გულისათვს უწყრება, მე ვებრალები. (ფანჯარაში გაიხედავს და ისევ მობრუნდება) აგერ, გივმა ცხენიდამ ჩამოახდინა სარიდან, მუხლზე აკოცნინა, შეარიგა, ვენაცვალე შენს სულსა, ძმარ ირაკლი, რა კარგი გული გაქუს, შენმა გაზდამ. (ახლა ფანჯარაში ყურებას დაუწყებს, ამ დროს ზევით ბანზე მოჰყვება)

მეფე. ჩემო დედოფალო! ხედავ, ირაკლიმ როგორ კარგად დაანყო ჯარი, ყველა თავთავის ადგილს?

დედოფალი. თქუწნს მზეს ვფიცავ, დიდი მხედართ მთავრობა ეტყობა ეხლავ.

მეფე. დიახ, რასაკვრველია, სულ არა ჩქარობს და დამშვდებული ბძანებლობს.

დედოფალი. შიში გვაქუს რამე ამ ციხის გალავანში?

მეფე. სულ არაფერი. მაგრამ ვინიცობისათვის მაინც ოთხი თვის ნუხლი მოუმზადებია ირაკლის.

დედოფალი. ის პირველი რაზმი გაუსია, რას ნიშნავს ის?

მეფე. შეიტყოს მტრის განძრახვა, რასა იქს იმათი მხედართ მთავარი.

დედოფალი. ოჰ, სულ ერთიან ოსმალს ჯარებმა შემოუტია?

მეფე. იფუქსავატეს, ქართველები ცოტა ერვენათ, ასე დაანყო ირაკლიმ, ასე აჩვენა თავისი ჯარი. ეჭვი აღარ არის, დედოფალო, ჩქარა დაამარცხებს იმ თავხედებს ოსმალთა ირაკლი.

დედოფალი. გივს უბძანა შეტევათ თავის ჯარით?

მეფე. მეორესა და მესამეს რაზმსა, ისინი არიან გამოცდილნი და ბევრს ცეცხლში გამოვლილი ჯარი, მაგათ გულსა ვინ შეარყევს.

დედოფალი. მხოლოდ ხმლის მეტს იარაღსა სხუას არ ხმარობს გივი.

მეფე. ირაკლის გამზდელი გამოჩენილი ვაჟკაცია, იმან შიში არ იცის არას საშინელებაში.

დედოფალი. რევაზ და ომან აქეთ იქით გვერდს უდგანან ირაკლის?

მეფე. ძლიერნი მხარნი არიან ირაკლის ისინი.

დედოფალი. სულერთიან ყმანული კაცები ცხენიდგან გადახტნენ ირაკლის მუხლებს ეხვევიან. ნებას სთხოვენ მტერზედ მისვლას, მაგრამ ნება არ მისცა.

მეფე. კარგათა ჰქნა, დრო არ არის, ირაკლიმ იცის, როცა დრო იქნება, გივს ხედავ, აგერ, დედოფალო? ერთს ოსმალს ხმალი შემოჰკრა წელში, შუა განყვიტა, მეორესა თავზე დასცა და ზედ უნაგირსა გადაჰკიდა ხურჯინსავით, აბა, ვინ გაუძლებსთ იმათ? იმ ჩუწნმა სამმა რაზმმა, ესე იგი, სამი ათასმა ათიათასი ოსმალთა შეაფერხა და თანასწორე ომი მოუხდათ. ოსმალები სიახლოვით ვერა გახდნენ რა, შორს გაუდგნენ და შორიდამ დაუნყეს თოფის სროლა. აქ ირაკლიმ დაიძახა, სწრაფად თავისი ორი რაზმი გაიყვანა დაფარულის ვენახების ორლობებიდგან, რომელმაცა გაგულისებულმა შეუტია და სხუათაც შეატევებინა გულ თამამად. ეს აჩქარება იმისთვის არის ირაკლისაგანა, რომ შეფერხებული ოსმალთა გონებაზედ ველარ მოვიდნენ და ამითი გადუნყვიტოს ომი იმათ. უსაყვარლესო დედოფალო! ყველას დაუნინაურდა ირაკლი, სულერთიან ჩუწნი ჯარიც უკან მისდევენ ცხენებ გამართულეები, გაშიშვლებულის ხმლებითა, და ზედ დაასხდნენ ოსმალებსა, თვალი აღარ ახამხამებინეს. ღმერთი ნუ გაგინყრესთ, იმათ თავი ველარ გაიმაგრონ. გესმის, დედოფალო? აჰა, დასცეს ზარი ერთიანათ ქართველებმა! ხედავ, დედოფალო? გააქციეს ოსმალს ჯარი ქართველებმა და

უკან ხმლის კავით მისდევენ მამულის გამომხსნელნი ქართველები! (ამასთან მეფე დედოფალი ერთმანერთს სიხარულის ცრემლით გადაეხვევიან და მარჯუშენს ჴელის ალებით ზეცისაკენ) ღმერთო, გამადლობთ! შენის ზეცისა ქუშმე ვიყვნეთ ჩუშნცა ქართუშლები, დიდის კავკაზიისა და კავკაზიელების ერთს ძეთა დაბადებული ჴელახლად.

ერთპირად. (სულერთიან ბანზე მდგომნი) ჭეშმარიტად დიდს კავკაზიის ერთ ძეთა!

მელანია. (ქუშმოთ) ახლა მეც ბანზედ ავიდე: გამარჯვებულნი მოდიან ერთობ ქართუშლები. (და გავა. ამ დროს ორმოცი თუ მეტ ნაკლები კაცები ცხენებს შემოაჭენებენ, მეფის წინაშე დადგებიან და ყველანი ოსმალთთ თავებს აუყრიან ბანზედ)

ნაომარი ყმანული კაცები. მოგვილოცამს, მეფეო! დავამარცხეთ მტერი და კიდევაც დაგვემარცხებინოს ასე ადვილად.

მეფე. მეც გამარჯუშბა მამელოცოს გულუხვად თქუშნთვს. (ამის შემდეგ ირაკლი შემოვა ეგრეთვე ცხენით, რომელსაც მხარში გასხებილი ნახევარ კაცი უჭირავს მკლავში თავის მარჯუშნეს ჴელით)

ირაკლი. ჩემო ჴელმწიფეო მეფე და ჩემო მშობელო დედაც! თქუშნი ლოცვა, ცრემლი იყო დღეს გამმარჯვებელი ჩუშნი. (და იმ გაკვეთილს ოსმალის ნახევარს ბანზედ აუგდებს)

მეფე. შენა და შენს ძლიერს ქართველებსა გეკუთვნით დღევანდელი გამარჯუშბა, შენმა გაზდამ.

დედოფალი. შენ ნუ მომიკუდები, ირაკლი, მაგ ოსმალომ რომ შემოგიტია ხმლითა, არად შავისადარე. მალე კი დაასწარ და ანაზდად გაჰკვეთე ეს თავის მოყვარული შესაბრალი ოსმალო. (და თავის ბაღდადის ჴელცახოცს ესერის ირაკლის) მამილოცავს გამარჯუშბა, კარგო ირაკლი!

ორივე ირაკლის დები. უსაყვარლესო ძმაო! მინამ გაიმარჯუშბოდი, მწარედ ვსტიროდით. ის სიმწარე, აი, ახლა სიხარულად მოგვილოცავს შენსა დებსა. (ამასთან წელიდგან წითელს შალებს მოიხსნიან და ირაკლიზედ გადმოისვრიან. მასუკან გივი, რევაზ, ომან და ხნიანი მეომრები შემოვლენ ცხენებითვე. გივსა ჴელით მოჰყავს ცხენი, რომელზედაც გაპობილი კაცი ზედა ჰკიდია ხურჯინსავით. რევაზს და ომანს ნელში განევეტილი კაცები ჴელში უჭირავთ და ყველანი ესენი მეფეს შესძახებენ)

ხნიანი მეომრები. ყოველი ჩუშნი მტერი ასემც განყუშტილან, როგორც ეს უსამართლო მტაცებელნი, ბატონო მეფეო!

მეფე. თქუშნგნითა მაქუს დიდი იმედი, იმედი თქუშნი, ქართუშლებო.

(მასუკან ყმანვლი ქალები თავიანთის გულიდგან წითელს გულის პირს მოიხსნიან და თავიანთ ქმრებს გადმოაყრიან)

ყმანვლი ქალები. ახლაკი თქუჴნ გეკუთვნისთ ჩუჴნი გული უფრო განახლებულის სიყუარულით. მოგვილოცავს გამარჯუჴბასთან ჩუჴნი სიყუარულიც. *(ამ დროს მელანია ავა ბანზე და ყმანვლი ქალები უკმაყოფილოდ, მინამ ქალები მელანიას ამას ეტყვიან, სულ ერთიან ცხენოსნები გავლენ და ისევ ქვეითი შემოვლენ)*

კვალად ყმანვლი ქალები. სადა ხარ, მელანიავ, შენს გაზდას! რად გამოაკლდი ჩუჴნში, მიგელოცა შენის ქმრისათჴს გამარჯუჴბა?

მელანია. მე ასეთ დროს მიულოცავ, იყოს შესაფერი. თქუჴნ იყავით ბედნიერი, ჩემო დებო, ნუ ინალვლით ჩემთჴს. *(სიმწარით წარმოსთქუამს ამას)*

მეფე. ახლაკი ქვემოთ, სალხინოში ჩავიდეთ. მაგრამ ბესარიონი სად წასულა, ირაკლი?

ირაკლი. მეტად დავადევნე დამარცხებულს ჯარსა. *(ამასთანვე სულ წამოვლენ, აქ ბესარიონ სალხინოში შემოვა)*

ბესარიონ. ძალიან დამარცხდნენ ოსმალები. გაიქცნენ, გადაიქაჯნენ, მაგრამ ეს ერთი ომი სხუა აუარებელს ომებთან წვეთია ზღვისა.

(ამას რომ იტყვის, მეფე თეიმურაზ შემოვა და სხუანიც ყველანი)

მეფე. *(ბესარიონს)* რა შეიტყე, ბესარიონ?

ბესარიონ. თურმე, დიდრონი ჯარები ემზადება ალაზნის პირზედ. კაცები გაიხლნენ ქიზიყიდგან. იმათ მოგახსენეს.

მეფე. *(ირაკლისაკენ)* რა ვქნათ, შკლო, რას იტყვი?

ირაკლი. ეხლავ, ეხლა გაიხლები ქიზიყს, იქ ჩაუხტები ხვაღვე, იმ ალაზნის პირზე. შეიტყონ ვინ ვართ ჩუჴნ ქართუჴლები. *(თავს დაუკრავს, საჩქაროთ გავა და იმისი ამაღაც თან გაჴყვებიან სულერთიან. ქალები და მეფის ამაღა აქ დარჩებიან, მელანიას გარდა, რომელიც იმათ გაჴყვება)*

მეფე. *(ბესარიონს)* პატარა ხანს მოიცა, ბესარიონ. *(მაშინვე დადგება)* ვერ შეიტყე, იმ ჯარის უფროსი ვინ არის?

ბესარიონ. ალისკანტი მოგახსენეს.

მეფე. დიახ გამოჩენილი ბელადია დაღისტანში ალისკანტი.

(ამ დროს ერთი დაიარაღებული გუდა აკიდებული კაცი შემოვა, უკან ერთი მანდილოსანი შემოჴყვება ეგრეთვე იარაღით)

გუდა აკიდებული კაცი. ჩემს ჴელმწიფეს, მეფეს გაუმარჯოს.

მეფე. ღმერთმა გაგიმარჯოს, ვინა ხარ, კაცო?

(აქ ბესარიონის ცოლი დაიკვივლებს)

პეპე. ქა, გენაცვა, ეს რა ვნახე? (და გაექანება, იმ კაცის გუ-
დიდვან ერთს პატარას ყმანვლს ამოიყვანს და გულში ჩაიკრავს ამ
სიტყვით)

ბესარიონ. ჩუწნი შკლი გიგოა. შენამც გენაცვლება ჩემი თავი,
შკლო (ბესარიონ გაექანება, გამოართმევს და გულზე მიიკრავს
სურვილით)

მეფე. საჩქაროთ მითხარ, კაცო, რა ამბავია? (ამას მეფე რომ
იტყვის, ბესარიონ და ამისი ცოლი კეკე განკრძალული დადგებიან)

გუდიანი კაცი. ჩემო ჯელმნიფეო! მე ამ ბესარიონის ყმა გახ-
ლავარ; ჩემი და ამ ჩემის მოჯალაბის გაზდილია ეს ყმანვლი. შენი
ჭირიმე, ბატონო! დიდი შიშიანობა მოხდა ქართლში. ოსმალებმა
აღარ დაინდეს ქართლელები, იმდენის ხარკის მიცემა რომ ველარ
შეიძლეს ოსმალებისა, აკლება დაუწყეს ქართლელებსა, ასე გამინ-
ჯეთ, ერთი დიდი კაცის შკლსა, პირში ცხენის ლაგამი ამოსდეს, ზედ
ოსმალო შასვეს და ცხენსავით აჭენებებინეს, ამ ჩემი ქალბატონის
დედმამის სახლიც სულ დაანიავეს, შამეშინდა; ამ პატარა ყმანვლს
არა ავინონ რა მეთქი, ჯელი წამოვავლე, გამოვიტაცე, ეს თქუწნი
მუახლეც თან გამამყვა და დღეს ხუთი დღეა, გზაზედ ვდგევარ.

მეფე. ღმერთო! ღმერთო! რა ანბავია ჩუწნს თავსა! (დაფიქრე-
ბის შემდეგ) მერე არავინ დაგხუდათ ავი კაცი გზაზედ?

გუდიანი კაცი. სულ მთა მთა ვიარეთ უგზო უკულოთ, ტყე-ტყე.

მეფე. არაგვი როგორ გამოხველ, იმ ლალსა მდინარეში?

გუდიანი კაცი. არამც თუ ეს პატარა ყმანვლი, ეს ჩემი ცოლიც
მხარზე შემოვიგდე და ორივ ადვილად გამოვიყვანე შუალამისას,
ვიცოდი კარგი ფონი.

მეფე. პური გქონდა გზაზე საკმაო?

გუდიანი კაცი. ამ თქუწნმა მოახლემ პურით სავსე გუდა გა-
მოიტაცა, წამოიღო.

მეფე. ეგ ყმანვლი როგორ მოგყვანდა?

გუდიანი კაცი. გუდით, ჩემს ზურგზედ წამოკიდებული. (ამ სი-
ტყვებზედ მეფე თავის მდიდარს კაბას გაიხდის და გუდიანს კაცს
ჩააცმევს)

მეფე. მაგ შენი ბატონის ერთგულობისათვის ეს კაბა შენთვის მა-
მიცია და ჩემის ჯელითვე ჩაგაცმევ. (და ჩააცმევს)

ბესარიონ. ჩემო ჯელმნიფეო! თქუწნი მონყალეება განუსაზღუ-
რელია ჩუწნზე, მეც, შენი ჭირიმე, ჩემი საკუთარი მზუარაი მაგ
იოსლებისათვის მიჩუქებია ერთგულობისათვის.

მეფე. მაგის მაგიერათ მე გმადლობ, ბესარიონ, ჩუწნს შკლებში
და ჩუწნს გლეხებში გარჩევა არ უნდა იყოს ჩუწნგნით არას დროს.

გუდიანი კაცი. (მივა და მეფეს მუხლზე აკოცებს) ეს მონყალე-

ბა დაუვინყარი იქნება ჩემი შკლი-შკლებისაგან.

მეფე. ახლაკი დრო მოვიდა, ყველანი თავთავისად წავიდეთ, მცირედ მოვისვენოთ და შენ, ბესარიონ, შენ საქაროთ წადი ირაკლისთან, პასუხს ველით თქუწნგნით.

ბესარიონ. უთუოთ კარგსა. *(და ყველანი წავლენ. ესენი რომ გავლენ, მელანია შემოვა)*

მელანია. მერვე დღეა, ირაკლის ამბავი არა ვიცით რა, სწორეთ სწორია დღეს, რალაც ომების ჯმები მოვიდა, მარამ მართალი ღუთისაა ეს ჩემი სიყუარულის ბრძოლა, ომი არ არის თუ? – ეს მერვე ღამეა, ჩემი ტანჯუა და ჩემი სიყუარული ურთიერთსა ებრძვის, მერე როგორ? ეს განძლიერებულნი გმირნი შეჭიდებულან ძლიერის ჯელებითა და წელს უღოჯენ ერთმანეთსა გასატეხად. მე თქუწნს შუაში ჩავარდნილსა, მე მამიდნობთ თქუწნა, ჩემზე მოსულო ავაზაკებო.

(ამ დროს სარიდან შემოვა)

სარიდან. ოჰ, ჩემო მელანია, აქა ხარ შენ?

მელანია. *(გაექანება, გადაეხვევა)* შენი სულის ქირიმე. ნეტავი, ჩემს თუალებს, შენა გნახეს. როდის მოხველ, სიცოცხლეო?

სარიდან. ეხლა, ესარის, მოვედი.

მელანია. სხუა ამბავი რალა?

სარიდან. ომები დიდრონები. ხედავ, ჩემო მელანია, ამ ჩემს ნითელს ჩოხას? ას ოც და სამი ტყუა არის გავარდნილი ამ ჩოხაში, ყოველი ახლანდელი მეომარი ქართუშლი სულ ასე ომობს, ასე თავდადებით, მაგრამ ბატონი შკლი ირაკლისა რა გითხრა? ის გადაგვემატა ჩუწნ, სულ შუაგულს მტრის დასებში ვხედავთ იმას ხმალ ამოღებულს მტრის თავზე. ამას თავი დავანებოთ, მითხარ, მეფე და დედოფალი სადა ბძანდებიან?

მელანია. სასტუმროს სენაკებში; გინდა, მოვახსენო შენი მოსვლა ჩემს ნათლიას?

სარიდან. კარგი იქნება, შენმა გაზდამ. *(გავა მელანია)*

კიდევ სარიდან. სანყალს მელანიას, ჩემს ლაპარაკში, სახე სულ უყვითლდებოდა, სულ გადაფითრებული მიყურებდა, უნდა ეთქო რამე, მარამ ვერ გაბედა, სიტყუა გულში უკუდებოდა.

(მეფე, დედოფალი და ყველანი შემოვლენ)

მეფე. აბა, სარიდან, რა ამბავი მოგვიტანე?

სარიდან. ამ რვას დღეში ოცდა ერთი ომი გადვიხადეთ. ასე შეშინდნენ ჩუწნი მტრები, რომ დაკარგულსავით აღარ ჩანან, ეს მოგახსენათ ბატონის შკლმა ირაკლიმ ჩუწნო ჯელმწიფევო!

მეფე. უცხო მახარობელი ხარ, სარიდან. მაგისათვის ეს ჩემი საათი ჩემს სახსოვრათ გქონდეს. *(ამოიღებს უბიდგან მისცემს სარი-*

დანს)

სარიდან. ჩემს სიკუდილამდინ, ჩემს მეგობარ ამხანაგად, ჩემის ჟამების დროს გასატარებლად.

მეფე. თქუენი მხრით ბევრი ხომ არ დაგეჭრათ, ან არ დაგეხოცათ?

სარიდან. არა, ისე სათქმელი. თქუენი მეფობის შკლი ირაკლი მაშინვე სწყლავს მტერსა, სწრაფათ, ანაზდად, ასე ანაზდად, რომ ვერცკი მოვა ხოლმე გონებაზე მტერი, ბევრით ჩუწნზე მეტნი.

მეფე. რაც თქუენს კაცობასა ეკადრებოდა, ქართუშლებო, იმისთანა მომლელი მოგცათ ღმერთმა. ჩემი ქართველებისას რაღას მეტყუ, როგორ იყუნენ?

სარიდან. თქუენის შკლის ირაკლითგან მოკიდებული უკანასკნელ მეომრამდინ ჩუწნი ახლანდელი ომები არის ხმალი და სიკუდილი. ასე ვომობთ და ასე ინება ბატონი შკლმა.

მეფე. ეგ არის და მაგითი დაამარცხებთ მტერსა, აუცილებლად. რევაზ და ომან როგორ ზურგს უნახვენ ირაკლისა?

სარიდან. მაგარს, შეურყეველს.

მეფე. იმის მოჭირნახულის გივისას რაღას მეტყუ?

სარიდან. უშიშარი, ძლიერი ვაჟკაცია, ბატონო, მარჯუწენეს ფერდში მოხუდა ტყვა და მარცხენეს ფერდში გავარდა. ორსავ ნატყვვარში აქეთ იქით, ერთში ჯელსახოცი დაიცო, მეორეში ბალახი, რომ საჩქაროთ ჯელსახოცი ვერ იმოვა, და ისევ შუაგულში შევიდა ომის ცეცხლში და ყველას უკან ომიდგან გამოვიდა ხმალ-მარჯუწენა ჯელი გაბასრული სისხლით. როდისაც ბატონიშკლის ირაკლისთან გაიხლდათ და გამარჯუწება მიულოცა, უთხრა: შენი დაჭრილობა მაჩუწნეო? იმან დაცმულები გამოილო, რომელსაცა ორსაც მხარეს გადმოხეთქა სისხლმა წყაროსავით. მაშინვე თავისი გამოჩენილი მკურნალი დააყენა და დიახ კარგათ გაუკეთა დაჭრილობა. *(აქ სარიდან გაჩუმიდება)*

მეფე. *(შენუხებით)* დიდათ დაჭრილა? უთუოთ მოკვდებოდა.

სარიდან. იმის დაჭრილობის შემდეგ ჩვიდმეტი ომი კიდევ გადვიხადეთ, რომლებშიაც პირველი მეომარი გახლდათ ყველგან გივი.

მეფე. ოჰ, რა რიგად მასიამოვნე, ახლა სად არის ის?

სარიდან. ბატონიშკლთან განუშორებლივ. თითქმის მორჩა კიდევ. *(ამას რომ იტყვის, ბესარიონი შემოვა)*

ბესარიონ. ბატონიშკლმა ირაკლიმ თავყანის ცემა მოგახსენათ, მეფე-დედოფალო, მე ამ სიტყვით დამანინაურა და თვთონაც ჩქარა გაიხლებათ კარგის ამბით.

მეფე. როდის მოვა, ჩქარა?

ბესარიონ. უთუოთ ჩქარა, ჩემო ჯელმწიფეო! *(ამ დროს ირაკ-*

ლის დები გაექანებიან)

ირაკლის დები. ოჰ, საყვარელო ძმაო! შენ ნუ მომიკუდები, ყოველს საღამოზე ფეხშიშველა დავდიოდით ეკლესიაში თქუწნის გამარჯუჭბისათვის.

ირაკლი. ვიცი, თქუწნმა გაზდამ, როგორც გტკივით გული ქართუშლებისათვის. *(მასუკან მეფე დედოფალი მიემშუდობებიან)*

მეფე. მამილოცავს ერთობ თქუწნის გამარჯუჭბა!

დედოფალი. მეც ეგრეთვე, ქართველებო!

მეფე. შულო ირაკლი, სხუა ამბავი რალა?

ირაკლი. სპარსეთის ნადირშას დემურტამზედ დიდი ჯარი დაუმარცხებია ოსმალოსი. ქ. ტფილისში შემოუთვლია ოსმალოებისათვის, საქართუშლო დაცალეთო და დაუცლიათ კიდეც. თვთონაც თურმე აპირებს იქ მოსვლასა ოკტომბრის თვეში. გუშინ ჩემთან მოვიდა ირშასხანი, ჩუწნ იქ უნდა დავხუდეთ, ჩემო ჯელმნიფეო მამავ!

მეფე. *(ღმრთისადმი)* ქართუშლსა სცდი, ქართველსა სჯი, ქართველს ისხნი და ქართუშლისათვის გმადლობ, განგებო! ახლა, ჩემო ირაკლი, რალას იტყვი?

ირაკლი. დიახ, საჩქაროთ უნდა გავეშურნეთ, ქალაქ ტფილისში უნდა ჩავიდეთ.

მეფე. მამ, დედოფალო, თქუწნ აქ უნდა ბძანდებოდეთ ერთობ ქალებითა. *(თავს დაუკრავს ყველას ირაკლითურთ და გავა. სხუან-იც ეგრეთვე)*

დედოფალი. ჩუწნც ნავიდეთ, ვნახოთ ტფილისიდგან რა ამბავი მოგვივა?

(ესენი რომ გავლენ, მელანია შემოვა)

მელანია. ხუთი დღე გავიდა, არა ვიცოდით რა ქალაქ ტფილისიდგან ამბავი რამ. ამ პირველ ღამეს ნიგნი მოუვიდა დედოფალსა მეფისაგან. მთელი ქალაქის ერი გამოჰგებებიათ. ირაკლი ცხენითგან აუტაცნით და ჯელდა ჯელ ქალაქს შეურონინებიათ დიდის დლესასნაულით. მეფეს მეტის სიხარულით უტირია. *(მიიხედ, მოიხედავს)* გაგონილა? ერთი მოსამსახურე არა ჩანს აქ, მოძღვარი დაიბარა პარაკლისისათვის დედოფალმა. *(უეცრათ რამდენიმე ხნიანი დედაკაცი და კაცები შემოვლენ)*

ერთიანათ. *(ხმა მალლა)* ქალო, შენ გაზდას, დედოფალს მოახსენე, გამობძანდეს საჩქაროდ.

მელანია. მითხარით, რა დაგმართვიათ?

ერთიანათ. ჩქარა მოახსენე, თორემ თვთ ჩუწნ შეეცვივდებით. *(ამ დროს დედოფალი გამოვა თავის ბანოვნებით)*

დედოფალი. ეს ვინ ყვირის, ვინ იძახის?

ერთიანად. დედოფალო, რაღაც დიდი წითელი სვეტი გაჩნდა ცაში!

დედოფალი. როგორ თუ სვეტი?

ერთიანად. აი, შენი ჭირიმე, აქ გამობძანდით კარზე, ზეცისაკენ შეიხედეთ! *(საჩქაროდ გამოვლენ, შეხედვენ განცვივრებით)*

დედოფალი. არ გაგონილა! ეს რას მოასწავებს? საშინელი დიდი სვეტია! იმის ბრწყინვალეობას მთვარის შუქი დაუფარავს! აი, აი, ჩამოვიდა. *(და ჩამოეშვება დიდი სვეტი სხივ მოსხმული)* მელანიავ, შენს გაზდას, საჩქაროთ მოძღვარი მოაყვანიე, პარაკლისი ვახდევინო.

მელანია. ეხლავ, ეხლავ, შენი ჭირიმე. *(საჩქაროთ გავარდება, იმის გავარდნასთან ის სვეტი გასქდება, ძლიერად დაიჭეჭებს და მრავალს ვარსკვლავებად განიბნევა. აქ დედოფალი და ყველანი დედამინაზედ დაეცემიან შეძრწუნებული. ამ დროს დედამინის ძვრას მოჰყვება თავის გრგვინვით და სრულიად სალხინო რყევას დაიწყებს. ამ რყევაზედ დედოფალი და ყველანი წამოცვივდებიან)**

დედოფალი. ნუთუ, ჩუჭნი უუმშუჭნიერესი საქართველო ამოიფხვრას, დაღრენილს დედამინის პირში ჩავარდეს? ამის ნაცვლად შენ სხუა რაღა სრულიად, ქუწყანაო? ეს ჩუჭნი ქუწყანა არამც თუ კაცსა – ანგელოზებსაც ეკადრებათ სამკვდრებელად. არ არის დასალუპი, ჭეშმარიტად.

(უარესად შეირყევა დედამინა და სალხინოც)

დედოფალი. *(დაკივლებით)* ვაი, შენი ბრალი, საქართუშლოვ! *(გული შეუნუხდება, გულ შენუხებულს წამოავლებენ და კარზე გაიტანენ, სხუანიც ყველანი თან გაჰყვებიან. ისინი რომ გავლენ, მელანია შემოვა)*

მელანია. მეფე თეიმურაზის წიგნი მოუვიდა დედოფალსა: ეჰა, საკრველებაო! ის ზეცის ნათელი სვეტი მთელს საქართუშლოს დაუნახამს, იმის დაჭეჭებაზე, არამც თუ თელავი – მთელი საქართუშლოს ქუწყანა შეძრულა. ეს კიდევ არაფერი, როგორც ეს ორმოცი დღეა, დედამინა ირყევა მეტის ქანებისაგან: კავკაზის მთებიდგან დიდრონი ბორცვები გადმოვარდნილა, ბევრი ციხეები დაღენილა, ბევრი ეკლესიები დაქცეულა და შენობებს ხომ ანგარიში არა აქუსო: ეს რაღაც არის, რაღაც მოსწავებაო, დედოფალო! ვაჲ თუ, ეს მოსწავება იყოს, რომ საქართუშლო წარიტაცონ ვინ იცის ვინა? ბატონი შკლის ირაკლის დროსკი ეს არ შეიძლება, ასეთი კარგი რამ არის! სალხინოვო! აჰა, თუ მოსწავება არ იყოს, აი, კიდევ

* ეს ნათლისა სვეტი და მინის ძვრას ერთს ჟამში არა ყოფილა, მე აქ სახისათვის ერთად მოვაქციე. მაინც იმ დროებში მომხდარა ორივე ესენი.

ემზადები დასაქცევად. (ამ სიტყუასთან გაიქცევა კარზე, გავა და სალხინოც დაეცემა დაქცეული. იქ, შორს თელავის ქალაქი გამოჩნდება, ბევრი იმისი შენობა იქცევა, დედაკაცი და კაცი თავის წვრილის შვლებითა აქეთ იქით მიმორბიან შეძრწუნებულები სხუა და სხუა სახით. ამის შემდგომ დედოფალი და იმისი ბანოვანნი დაქცეულს სალხინოზედ ამოვლენ. მელანიაც ამათთან ერთად მოვა)

დედოფალი. არ ვიცი, ამაოებამ ეს სახლი დაანგრია, თუ ამ სახლმა ამაოება? (რავდენჯერმე ფეხს დაჰკრავს) ამაოებავ, ამაოებავ! მინამ შენი არ შეისრულე, შენი ჟინი არ მოიკალ, არ დანყნარდი მიწის რყევისაგან, ერთი ესლა გვაკლდა, ეს უბედურება ქართუშლებსა, ახლა რაღა კიდევ, რაღა გინდა ჩუშნთვის, ამაოებავ? (კიდევ ფეხს დაჰკრავს) განა ყოველი ამაოებაა და მისთვის გვდევნი ქართუშლებსა, ამაოებავ? მითამ მაგითი დაიშალა კაცმა თავისი გონების მიმართულების ძალა ამ სოფელზე? არა. მე კიდევ იქა ვარ, ვინც მომატებულს გამოცდილებაში არის, იმას უფრო უტყხოვლდება თავის საწადელის ვნება ამ სოფელში, რავდენი მომაკუდავი კაცი წამომდგარა ქვეშაგებით. მეც იმედს არ გადავიწყვეტ, მინამ ცოცხალი ვარ, შენ რაც უნდა გვდევნო ქართუშლებსა, ამაოებავ. ახლაკი წავიდეთ, ქალებო, მეფის წიგნი მამივიდა; ქალაქ ტფილისში უნდა ჩავიდეთ სულერთიან, როცა ნადირმა გავა ქალაქიდან, წავიდეთ, მოთმინებას მოწყალება მოაქუს ღმრთისა!

(ყველანი გავლენ მელანიას გარდა)

მელანია. ჩავალ და იქ გათავდება დღენი ჩემნი, ასე ვგრძნობ წინათვე.

(ორსავ ჴელებს თუალებზე მიიფარებს და ფარდაც ჩამოეფარება)

დასრულდა მესამე მოქმედება.

მეოთხე მოქმედება

(ფარდა აიხდება, გამოჩნდება ქ. ტფილისის პირდაპირ აღმოსავლეთ სამხრეთისაკენ ფრიალო კლდე, ზედ გუმბათიანი ეკლესია მეტეხის ლუთის მშობლისა, ეკლესიის წინ, ქვემოთ საფლავებია. საფლავების უკან ვარდების ბუჩქებია, მხოლოდ ფოთლებიანი, უვარდო და ვარდების ცოტა ზევით, მაღლა კლდეში გამოკვეთილია მაღარო, სადაც აქ საფლავების წინ ბატონი შვლი ირაკლი დგას თავის ამალით)

ირაკლი. (ორს საფლავზე ჴელს მიიღებს) ჩემო მოჭირნახულე

გივო, ჩუწნი გამოაკლდნენ ჩუწნი სარიდანის მამა და ამის ცოლი, იყო სარიდანის მამა ჩემი მაგარი მხარი.

გივი. ღმერთმა საუკუნო განსვენება მასცეს ორთავ. გაუდრეკელი ვაჟკაცი იყო სარიდანის მამა, ხშირათ ვნახამდი, მტერსა კისერზე აჯდა ხოლმე, ხმალ მოელვარე.

(ამ დროს დედოფლის თამარის მოსამსახურე შემოვა)

გრიგოლ. ბატონი შკლო, თქუწნმა მშობელმა დედოფალმა მოკითხუა გიბძანათ, ეხლა თელავიდამ მობძანდა, ავლაბარში გადახტა და თქუწნი აქ ყოფნა რომ გაიგონა, ისიც მობძანებას აპირებს ამ ეკლესიის თავყვანის საცემლად.

ირაკლი. რატომ ქალაქ ტფილისის სამეფოს სასახლეში არ მიბძანდა, იქ არ გადახტა?

გრიგოლ. აქედგან აპირებს იქ ნაბძანებას, ასე ინება, აი, ბატონი შკლო, დედოფალიც მობძანდება. *(ირაკლი მოიხედავს დაძახებით)*

ირაკლი. ჩემო მშობელო დედავ! ნუხელის სიზმარში გეხვეოდი.

დედოფალი. *(შემოსავალში)* შენმა გაზდამ, ირაკლი! კარგი შკლი მყევხარ და მამულს – კარგი ძე! *(და გადაეხვევიან ერთმანეთს)* მაგრამ ჳელმნიფე მეფე სადა ბძანდება?

ირაკლი. გუშინ ცხეთას ნაბძანდა, იქ ორს კურას დარჩება სამეფოს საქმეზე, არა გნებავთ, ლუდელი მოვაყვანიინოთ, ეკლესიაში პარაკლისი გადავიხადოთ საქართუშლოს დღეგრძელობისა?

დედოფალი. როდისაც მეფე მობძანდება, მაშინ სჯობია.

ირაკლი. მაშ, თავყვანის-ცემა ინებეთ ლუთის-მშობლის ხატისა ეკლესიაში.

დედოფალი. ვიყავ კიდეც, მეორეს მხრით.

ირაკლი. იყო შესაბამი, ეკლესიაში მომეხსენებინა, მაგრამ სიხარული სულ ერთია ყველგან, აქაც გახარებთ, დედავ!

დედოფალი. რასა? რასა, შკლო!

ირაკლი. ქართლიც გაგვიერთდა საქართუშლოს ერთ სამეფოთ.

დედოფალი. ჩემი სამშობლო ქართლი? ჩემი უსაყუარლესი მამული საქართველოს გაერთებია! *(მასუკან ჳელის დაკურით-თავზედ იტყვს)* ეს ჩემი თავი შენი ჳირის სანაცულო იყოს, საქართუშლოს ერთობაო.

დედოფალივე. მაგრამ ახლა ეს მითხარ, ირაკლი, ნადირშამ როგორ გნახათ თქუწნ ქართუშლნი?

ირაკლი. მეტად, მეტად მოენონა, როდისაც ჩუწნი ამხედრებული ჳარი ნახა, სულ გადაირია: ამ ჳართ ბევრს შევიძლებ, თავის დროზედ მიგიწვევთო სპარსეთში, მაგრამ მამას მეფეს რალათ უბღვერიდა, ესკი აღარ ვიცი.

დედოფალი. რაღაც ეშმაკობა, რაღაც ცბიერობა იქნება იმისაგან. მაგრამ რაო, რა გითხრა შენ?

ირაკლი. თავიდგან მოკიდებული ფეხებამდისინ ამაველო თუალი და ჩამავლო რავდენჯერმე, ბოლოს მიყურა კარგა ხანი, მერე მიმიყუანა თავისთან და ალერსით მითხრა: კარგო ბიჭო, კარგი გონება და კარგი ვაჟკაცობა გეტყობაო სახეზე, მოუარე შენს მამულს, ჩემს სამსახურშიაც კარგათ იყავიო, მასუკან ერთი ხანი დაგვინიშნა: ამას აქ დავაგდებ ჩემის ჯართაო თქუჴნ მოსავლელად.

დედოფალი. მერე, სად არის ის ხანი თავის ჯართით?

ირაკლი. აქ, ქალაქში დგანან, და კარგათ შეექცევიან ყოველს ჩუჴნს დიდს გამოსაღებზედ, რომელმაცა მეტად დიდი ხარკი დასდო საქართუჴლოს, მართლა იმ ნადირმა.

დედოფალი. ოჰ, აღარ მიამა მაგის გაგონება. მაგრამ ახლა ეს მითხარ, გეტყობა, ნირვა აქ მოგისმენია, ირაკლი?

ირაკლი. *(დაღონებით)* დიახ, შენი ჭირიმე, აქ მოვისმინე, ახალ-ის ორის მკუდრებისათჴს ვანირვინე დღესა.

დედოფალი. როგორ თუ ახალი მკუდრებისა, რომლებისათჴს?

ირაკლი. აი, ამ ორი მკუდრებისათჴს.

დედოფალი. ვინ, ვინ არიან ეგენი?

ირაკლი. შენუხდები, დედოფალო.

დედოფალი. თქჴ, ჩემო კარგო შჴლო.

ირაკლი. სარიდანის დედ-მამა, ომან და ბარბარე.

დედოფალი. ახ, საცოდავნი, ორნივ მამულისათჴს თავ დადებულნი. *(მივა და ორს საფლავსავე თავყანსა სცემს, მასუკან ადგება, იტყჴს)* თქუჴნ რომ თელავიდგან წამოხვედით, ესენი მაშინვე სომხითისაკენ დამეთხოვნენ თავის ნათესავეებში და ახლა არ ვიცი, რა შემთხვევიათ ამ უბედურებს?

ირაკლი. მითამ ოსმალები გავიდნენ ქართლ-სომხითიდგან? რა ბძანებაა, მართალია, იმათი ბძანებლობა აღარ არის საქართუჴლოში, მაგრამ იმათი მეკობრებით აივსო ეს ქუჴყანა, ლეკებიც გამოიყუანეს ჭარ-ბელაქნიდგან ახალციხეში და დიდი აოხრება დამართეს საქართუჴლოს, დედოფალო! არ დაიჯერებ, ჩემო უსაყვარლესო დედავ, რომ რაც თელავიდგან წამოვედით, ამ ცოტას ხანში ას ოცდა ათი მეტი ომი გადამიხდია, მუსრს ვავლებთ იმათ ჯარებს; მაგრამ ბალახები არიან, ერთი რომ აღარ არის, მეორე თან მოსდევს.

დედოფალი. ვიცოდი, რაც მოხდებოდა, ხომ არ დაგღალა მტრებმა, ირაკლი?

ირაკლი. ოცდა ოთხს საათში სამი საათი ძილი არა მაქუს, თქუჴნს მზეს ვფიცავ, დაღალვას რა ჰქჴან, დედოფალო?

დედოფალი. ნუ გენყინება, ჩემო უსაყვარლესო ირაკლი! შკლი ხარ და გკითხე.

ირაკლი. არა, ჩემო ჯელმნიფეო დედავ, დედა ბძანდები და მშობლიურმა სიყუარულმა თავი წამართო, შენი ჭირიმე.

დედოფალი. ახ, ჩემო ირაკლი, ჩემო სიცოცხლევ! მაგრამ ახლა ეს მიაბბე, ამათი სიკუდილის ამბავი?

ირაკლი. თავის ნათესავეებიდგან რომ წამოსულან, გზაზე ოსმალ ლეკები დახვედროდნენ, ესენი ცხრანი ოსმალ ლეკები ერთი ბაირალის კაცნი კიდევ თურმე ვერას უზამდნენ, მაგრამ სოფლის ვაშლოვნის ვინროებში დახვედროდნენ უცებ. ძალიან ჯელი გამოვლეთ ამათა, ოცამდისინ ლეკი და ოსმალ მოეკლათ, მაგრამ ბოლოს დროს ესენიც სულ დაეხოცათ და დღეს მეშვდე დღეა ამათი დასაფლავება.

დედოფალი. სარიდან სად არის? აქ არ იყო ამათ დასაფლავებაში?

ირაკლი. დღეს ოცი დღეა, ოსმალს სამძღუარზედ გავგზავნე ჯარით, რალა მოგახსენო იმის სამსახური, ანუ ვაჟკაცობა! ჩუშნგნით ყველასგან დაუვიწყარი უნდა იყოს.

დედოფალი. მელანია რომ შეიტყობს სარიდანის მაგ ამბავს, რა რიგათ იამება!

ირაკლი. ჩემი სულიერი დაჲ მელანია როგორ გახლავსთ?

დედოფალი. კარგათ, ამალამ მარტყოფს მოვა თავის დედმამითა და ხვალ ავლაბარში გადახტებიან, იქ მზათა აქუთ სახლები *(ამ დროს ორი საფლავების მთხრელნი შემოვლენ წერაქვ ნიჩბებითა, თავს დაუკვრენ დედოფალს და ბატონი შკლს)*

დედოფალი. ვინა ხართ, ნიჩბებ წერაქვებით?

პირველი. უსულოს ადამიანების ჯელოსნები.

დედოფალი. პირველი გაგონებაა, მკუდარსა ჯელოსანი ჰყვანდეს.

მეორე. არა, ჯელმნიფეო დედოფალო! უხელოსნოთ არა შეიძლება რა, ქუასაც ჯელოსანი უნდა და მკუდარსაც.

დედოფალი. ორსაც გეტყობათ კარგათ გაზდილობა, ვისთანა ხართ გაზდილი?

პირველი. კავკაზიის მთიულეთის მთაში, ერთს გამოქვაბულს კლდესა, ერთი მოხუცი ბერი იყო დიდი ხნის განდევილი, სადაც ბორბოხების მფრინველების მეტი სხუა სულიერი იმ ადგილს არ იპოება. იმ ბერთან ხშირათ დავდიოდით და იმისაგან ვისწავლეთ, რომ ამ სოფელში ანთებული სანთელია კაცი, ერთის შებერვით გასაქრობი, რომელიცა ვინროთ სცხოვრობს ამ განიერს ქუწყანაში, ყოვლის დაუშადლებელი უმადური. ის რომ კუდებოდა, იმისი

ანდერძი იყო, რადგან იმ კლდიანს მთაში საფლავი არ გაიჭრებოდა, ჩემი სხეული ერთ კლდეზედ დადეთ, ბორბოხებმა ჩქარა შემჭამონ, რომ ჩემი ამძოვრებულის ხორციტ წმინდა ჰაერი არ ნახდესო. ანდერძი აღუსრულეთ, მაშინვე დიდრონი ბორბოხები დაეხვივნენ და საჩქაროთ ჩანთქეს იმისი გვამი, რომ ერთი ბენო ნიშანი არ გაუშვეს იმ კლდეზედა იმ წმინდის ბერისა. ამის მნახველთ, ამაო სოფელს შევაფურთხეთ თხუნელასა; შემდგომ ამ ქალაქში ჩამოვედით და ეს ჯელოსნობა ამოვირჩიეთ: მარადის თუალ წინ გვიდგას ეს სოფელი, რომელსაცა ეხლა ნახავს თქუწნი კეთილი თუალი დედოფალო.

დედოფალი. რას ნახავს ჩემი თუალი ეხლა?

პირველი. კაცისათვის საფლავის გათხრას.

დედოფალი. მერე ვინ არის ის კაცი?

პირველი. ამათ გვერდით უნდა გავთხაროთ საფლავი.

ირაკლი. (აღარ დააცლის დედოფალსა) რას ამბობთ, ვინ გაგათხრევენებსთ მაგათ გვერდით?

პირველი. ასე გვიბძანეს, ომანისა და ბარბარეს გვერდით გათხარეთო, ამათი საფლავებიც ჩუწნ გათხარეთ.

ირაკლი. ვინ გიბძანათ, ვინ არის ბძანებელი?

პირველი. დიდის ყოფით მოაქუთ ერთი ყმანკლი კაცი, დიდი კაცის შკლი.

ირაკლი. რას ამბობენ, რა მესმის, არ ვიცი!

(უეცრათ რავდენიმე სარიდანის ამხანაგები შემოვლენ საკინძ ჩამოსხნილნი, ყველას თავიანთი საჭურველი ყელზე ჩამოკიდებული აქუთ წინ გულთანა, შეწუხებულები დედოფალსა და ირაკლის თავს დაუკვრენ უსიტყოდ. ირაკლი მიხუდება, რაც ამბავია)

ირაკლი. სარიდანის ამბავი ხომ არა არის რა?

(ერთი ამხანაგებთაგანი შეწუხებით)

ბესარიონ. სარიდან თქუწნი ჭირისანაცვლო შეიქნა, ბატონი შკლო.

ირაკლი. როგორ! ჩემი ძმა სარიდან გარდაიცვალა? (სარიდანის ამხანაგები მწარეთ დაღონებულები თავებს ჩაჰკიდებენ. დედოფალი, სხუანი ყველანი დიდათ შეწუხდებიან და ქალები თუალებზე ხელსახოცს მიიფარებენ) ხედავთ რა ძვირფასი განძი დაკარგა ჩუწნმა მშობელმა ქუწყანამ! მითხარით, მიზეზი რა იყო იმის სიკუდილისა?

ბესარიონ. წალკის მახლობლად ვიდექით, ვიქნებოდით ორი ათასი ჩუწნ, ჯელსა ქუწმე სარიდანისა და სამძღურისა დარაჯობას ვენეოდით, ოსმალოს მამულიდგან მტერი არ გამოსულიყო. ამ ხუთის დღის წინათ დილა ადრიან ხუთი ათასი ოსმალო გამოვიდა ჩუწნის სოფლების დასაკვრელად. თქუწნ ნუ მოუკუდები ჩუწნს

თავს, ბატონი შკლო, რომ ჩუწნ იმათ არ დავრიდებოდეთ, მაშინვე დავერიენით; მოვშალეთ იმათი დასები და ხლმის კაფით ვდიეთ იმათ მამულამდინ, რომელთაცა წინ მიგვდეგდა სარიდანნი, ღია გულთით ხმა მცემელი მტრის თავზედა, თორმეტი ოსმალს თავების სისხლით შეიღება კაბა, კალთები და სხუა რალა, შენი ჭირიმი? *(აბ სიტყუაზედ მედიდურულად დადგება, მაგრამ გულ შერყეული)*

ირაკლი. *(გულზედ ჯელს დაიკრავს)* ნეტავი, მეც შენთან მომკუდარიყავ, ჩემო სარიდან! – ბოლოს, ჩემო ძმებო?

ბესარიონ. ოსმალს მამულის სამძღვარზედ რომ მივრეკეთ მტერი, სადაც ნახევარი ძლივს გადაგვირჩნენ, იქ სად იყო და სად არა, გამოვარდა თოფი ერთის ჯაგიდგან, მოხუდა გულში სარიდანსა და იქვე გაგვითავდა, ბატონი შკლო ირაკლი! *(და თუალებზე ჯელებს გადაისომს)*

(დედოფალი მუხლზე ჯელს დაიკრავს და ქალები ქვითინს დაინყებენ)

დედოფალი. ბევრჯელ, ბევრჯელ ავტირდებით, მაგრამ რა უყოთ, დრო ისეთია. მხოლოდ მეორე შესანუხი ეს იქნება, მელანიაც თავს მოიკლავს უეჭველად.

ირაკლი. დაე, მოვკვდეთ. ჩუწნი მწუხარება, ჩუწნი ტირილი ჩუწნ მკუდრებზედა, უფრო თავს გამოგვადებინებს იმ ჩუწნი მტრების ჯავრი და ფიცხელათ მოვინდომებთ მაგიერის გადახდასა, სისხლსა სისხლი მოაქუს და პატივსა პატივი, ეხლა ეს მითხარი, ბესარიონ, გვამი სარიდანისა რა უყავით?

ბესარიონ. მოასვენებენ, თავის დედმამასთან აქ უნდა დავასაფლაოთ, ყველა ვიცით ამათი ამბავი, გუშინწინ შევიტყვეით.

ირაკლი. რადგან მომზადებული ყოფილხართ, წადით მოასვენეთ. *(ისინი რომ წავლენ, მასუკან საფლავების მთხრელებისაკენ)* და თქუწნ, პატიოსანნო ჯელოსნებო, თქუწნცა თქუწნსა ჯელობასა შეუდექით, საფლავი გათხარეთ, *(მივლენ, თხრას დაუნყებენ და მიწას აქეთ იქით ჰყრიან)* ჩემო მოჭირნახულე გივო, შენკი საფლავს დაადეგ. კარგათ გაათხრევიანე.

(გივი მივა, დაადგება და ესენი ყველანი უკან დაინევენ კარგა მოშორებით, გულჯელ დაკრეფილნი, დიალ დაღონებით დადგებიან)

გივი. კარგათ გათხარეთ საფლავი, გესმით, ძმებო?

პირუშლი. როგორ გნებავსთ, ძალიან ღრმათა თუ ცოტა ზევით დავიჭიროთ?

გივი. როგორც რიგი იყოს.

პირველი. დიდსა კაცსა ღრმათ შეშვენის და ღარიბსა ცოტა ზევით.

გივი. ამის მეტად არ გამიგონია ეგ.

პირველი. არ გაგიგონიათ?

გივი. არა, მერწმუნე.

პირველი. მაშ, სულერთი იქნება, ცოტა ზევით დაიმარხოს თუ ღრმათა?

გივი. რასაკვირველია, სულ ერთი იქნება.

პირველი. მაშ, რიგიანი, ანუ კარგი საფლავი რა უნდა იყოს? ჩუწნი ვალისამებრ ოთხს კედელს ჩავთხრით ამ მიწაში, თავსა და ბოლოს ვინროს და გვერდებს გძელებს, პირველები იქნება ერთი ნაბიჯის ზომა და მეორეები სამი, რაშიაც დიდკაცობა და სიღარიბე ორივე ერთად და ერთ გვარად, ფართოდ თავსდებიან, ამაზე მეტი ხომ არა გნებავსრა, მოჭირნახულე გივო?

გივი. კარგათ ამბობ, ეგ არის კაცის მოთხოვნილება კაცისათვის. მაგაზე მეტი სხუა არაფერი და მაგის მეტს არას ვითხოვ თქუწნგნით *(ამ დროს გალობა მოისმის დამარხვისა: წმიდაო ღმერთო. ესენიც წინ წამოდგებიან, რომელნიც უკან იდგნენ, ამ დროსვე სარიდანის ცხენს შემოიყვანენ ორი შაოსანი კაცი უკულმა შეკაზმულსა, უნავირის ტახტაზე სარიდანის იარაღები ჰკიდია; მოიყვანენ და სარიდანის საფლავის მახლობლად დააყენებენ. ამასთანავე სარიდანის კუბოს შემოიტანენ ამხანაგები, მორთულსა და შუაში რომ მოიტანენ, ბატონიშვილი ირაკლი თავს აიღებს, გაექანება, ჯერ კუბოს გადაეხვევა ქვითინით, მასუკან შუაში დაასვენებენ, მერე ერთს მუხლზედ დაიჩოქეფს და მოთქმას მოჰყვება. დედოფალი და ქალები თვალზედ ჯელსახოცს მიიფარებენ)*

ირაკლი. ჩემო უსაყვარლესო ძმაო სარიდან, და თავ დადებულო მსხვერპლო მამულისაო, დაუსრულებელ დიდებაში განიმზადე თავი წასასვლელად შენის მამულის გულისთვს. სიხარული მამულისა თანა გამოგატანა ბედმან შენმან ყმანვლს კაცსა: წაიღე და წაირონიე. შენი სიხარული, შენი ბედნიერება, შენი ყმანვილკაცობისა. შენ გულზედ მოკუდა ამ სიტყვით: წმინდაო ღმერთო! ახლანდელი უკუღმართო ბედო ქართუშლებისავ, როგორ დაგწყევლო. შენი ძვირი როგორა ვთქუა, როგორ დაგაყვედრო. აჰა, მხოლოდ დაინახე ეს უსულო ქართველი სარიდანი. ჩემო სარიდან! განა შენი ტკბილი ძმაე მე ვიყავ, შენი გულშემატკივარი მამაც? აბა, ძმაო, რა ამბავი მიუტანო ჩემს შველობილს, შენს მელანიას, შენი ამბავი? უნდა მივიდე, გამოუცხადო: შენი სარიდან მოკუდა. ჩემის ხელით მინა დავაყარე მეთქი. საწყალი შენი მელანია, შენი საყვარელი, ამ თქმას ხომ საზაროდ გაიგონებს. ოჰ, საშინელება!

(ამ სიტყვაზედ დედოფალი მივა)

დედოფალი. სიცოცხლეო შკლო ირაკლი, გვედრები, მოითმი-ნო, შენი ჭირიმიე. *(ილლიას დაუჭერს, ირაკლიც აჰყვება)* საფლავი

მზად არის?

საფლავის მთხრელები. მზად არის (კუბოს ასწვენენ და საფლავში ჩაასვენებენ)

ირაკლი. ახ, ჩემო სარიდან, რა ძნელი გასამეტებელი ხარ! შენ მოკვდი, მაგრამ შენი სახელი მარადის ცოცხალი იქნება ჩვენში. (მინას მიაყრის კიდე ირაკლი) გმადლობ, ღმერთო, შენი ნებისამებრ იყოს. (მეტანიას მოუყრის და საფლავში ჩასძახებს) მძვდობით, ჩემო სარიდან, თავის დროზედ გნახამ მეცა და ყველას გიამბობ, რაც მოხდება ჩუშნს ქუწყანაში. (ადგება, წამოვა და სხუანიც თან გამოჰყვებიან, მესაფლავებეიცი ნიჩბებით მინას აყრიან და თან ლაპარაკობენ)

პირველი საფლავის მთხრელი. აი, ეს არის კაცის დიდება, აქამდისინ ბატონი შკლი ირაკლი, იმის დედა დედოფალი და იმათი დიდი კაცები, ამ ყმანჯლს კაცს დასტიროდნენ გულ მტკივნეულათ, განუსაზღვრებელის პატივის ცემით, ახლა ჩუშნს ჴელში დარჩა, ჩუშნ საფლავების მთხრელების ანაბარათ; ვემუდრებით, დროით დავფლათ და საჩქაროთ წავიდეთ, ვაი, კაცის დიდებაო, რა უბრალო მოჩვენება რამა ხარ!

მეორე. მაგას აგრე ვერ ამბობ, ძმობილო, კაცის დიდკაცობა კარგი რამ არის, თუ იმის დიდკაცობას დიდი გონება აქუს და იმ გონებას კეთილად ხმარობს, თუ არა და, თუ დიდი კაცი სულელია, ანუ გონიერი არის და ბოროტად ხმარობს თავის გონებასა, ღუთის საგინებელი საქმეა იმის დიდკაცობა, ამ ლაპარაკს თავი დავანებოთ, ახლა ამ სანყალის სარიდანის ამბავი ვილაპარაკოთ.

პირველი. რა ვილაპარაკოთ? ეგეც უთუოთ იმისთანა ბატონი იქნებოდა და ავი კაცი, როგორიცა ეხლა ვთქვ.

მეორე. ღუთის გულისათჳს, ნუ იტყვ მაგას, ღმერთს აწყენინებ. ეს სარიდან ღუთიური ყმანჯლი კაცი იყო. უნდა იცოდე, რავდენს დაცემულსა ეწეოდა, რავდენჯერ მინახავს თავის ტანიდგან თავის პერანგი გაუხდია და გლახასთჳს მიუცია, თორემ მაგის გაცემულს ნყალობასა ვინ მოსთვლის...

პირველი. აბა, ძმაო, სულ მაგისთანა ადამიანები უნდა იყვნენ ქუწყანაზე, რომ ქუწყანა ბედნიერი იყოს... ღმერთო, შენ დაუმკვიდრე სასუფეველი ამას. ძმაო, ამხანაგო, ცოლი ჰყვანდა მაგას?

მეორე. როგორ არა, დიახა ჰყავს, იმასაც კარგად ვიცნობ, ისიც იმისთანა კეთილია, როგორც ეს სარიდან იყო.

პირველი. რა საცოდავი იქნება, თუ ამ ყმანჯლის კაცის სიყუარული აქუს?

მეორე. დიდათ უყუარდათ ერთმანერთი, მგონია, ველარ იცოცხლებს ეს ქალი.

პირველი. მაშ, სანყალი, უბედური იქნება ისიც?

მეორე. უთუოთ, აგრე მგონია. *(ამ სიტყუასთან უკანასკნელს მინას მიაყრიან საფლაგზე და შენუხებულის ოხვრით დააპირებენ გასვლას)*

საფლაგების მთხრელები. *(ნიჩბებზე დაყუდებით)* კეთილისთვის კეთილი გაგყვება საიქიოს, მაგისმეტი სხუა არაფერი კარგი ამ უპიროს სოფლითგანა, სარიდან! *(ახლა ნიჩბებს საფლაგზე დაჰკვრენ რამდენჯერმე)* გესმის, სარიდან? კეთილის მეტი კარგი არა გაგყვებოდა რა, არა! *(და გავლენ)*

(აქ მელანიას თანაშეზრდილი, იმის საყვარელი მუახლე ვარდუა შემოვა თავ გადადებულის სახით, ერთი ჯოხი უჭირავს, ქალის თეთრი ლეჩაქი ახვევია ჯოხზე ბაირალისავით და გაშლილია)

ვარდუა. ეს რა უბედურება მოუხდა ჩემის ბატონების სახლსა? ახალი ჯუარ დანერილები, ყმანკლი კაცი და ყმანკლი ქალი, ერთმანეთისათვის გაგიჟებული რომ იყუნენ სიყუარულით, რა იქნება იმათი გული, რავდენს სიამოვნებაში? იმათ ტრფიალებას და იმათს სრულს ბედნიერებას ვინ გამოსთქუამს, რომელი სიტყუა? ამ დროს უეცრად მტერმა რომ ქმარი მოუკლას, რა დაემართება იმ ქალს? ოჰ, ჩემო ქალბატონო მელანიავ, მე შენი თანაშეზრდილი მოახლე ვარდუა, შენს სიკუდილს არ დავესწრობი, მე უფრო ადრე გაგიძღვები წინა, და მასუკან შენი ნება იყოს, ჯერ სარიდანის ამხანაგი, ძმად შეფიცებული ბესარიონ მოვიდა მელანიასთან დღესა და სარიდანის უკანასკნელი სიტყვა უთხრა: თუ ჩემი სულის მოსვენება გინდა, ჩემო მელანიაო, ჩემს შემდგომ იცოცხლე, კარგი ყმანკლი კაციც შეირთე ქმრათაო, თქუწნს მოსისხლეს მტერსაც ნუ დაემართება, რაც მელანიას მოუვიდა, მთელი ოთხი ჟამი გულშემოყრილი ეგდო, ამობაში დედოფალი და ირაკლი შემობძანდნენ, იმათ რას ყოფით მოაბრუნეს. ჩემა ქალბატონმა, ცოტა გული რომ მოიბრუნა, დაჯდა, თავი მოიხადა, თავი მშუწნიერს შავსა თმასა წენა დაუნყო და საცოდავად ატირდა, იმის მოთქმაზე გული ცეცხლით გვემსებოდა, დედოფალსა და ირაკლის მეტის მწუხარებით გული შეუსუსტდათ და გულ შენუხებული გაიყვანეს ორივ, როდისაც დამშვდნენ, ყველანი თავ-თავისად წავიდნენ, საიდუმლოთ მიმიხბო მელანიამ, ეს თავის ლეჩაქის ბაირალი მომცა: წადი, ჩემო ვარდო, ეს ბაირახი სარიდანის საფლაგზე დაურჭე. ვიცოდე, იმის საფლაგი რომელია, მოვიდე და იმის საფლაგზე გული მოვიოხო, მე მოვალო მალაროს ხრულიდგან, არავინ დამინახოს მცნობმაო, მე იმის გადანყვეტილი სიტყუა გავიგონე ლუთის მშობლის ხატის წინა, რომ სასიკუდილოდ მოდის აქა და მინამ იმის სიკუდილს ვნახამდე მე – მე დავასწროვ. *(ამასთან სარიდანის საფლაგთან მივა)* ჩემი ქალბატონის უსატრ-

ფიალესო სარიდან! ეს ბაირალი ჩემი ქალბატონის სიკუდილის ნიშანია, შენი ჭირიმე, ბატონო. *(და ბაირალს საფლავში ჩაურჭობს, მასუკან გამობრუნდება, კალთიდგან ქარქაშით შიშველს ხანჯალს ამოიღებს ამ სიტყვით)* მე, მე მაინც ვარდუას მეძახიან, მივალ და იმ ვარდებთან გულში დავიცემ ამ სატევარსა. მე საქართუშლოს ქალი სიკუდილის დაურიდებელი. *(ამასთანვე წავა გულ განსვენებით, ვარდთან რომ მივა, ხანჯალს ეტყვს)* გამოჩენილო მტრების მდევენლო მამაჩემო ხამხაძეო, ახლა გამოუჩნდება ამ შენს სატევარს გამკვეთელი პირი! *(აიღებს დასაცემად და დაიძახებს)* აჰა, ესეც შენი სახსოვარი, მამავ, დედაჩემს რომ დაუგდე, ამაზედ მამიგონეთო. *(დაიცემს გულში და წაიქცევა კიდეც, ხანჯალს გულიდგან ამოიღებს და აქეთ გადმოსტყორცნის სისხლიანსა, თვითონ ვარდებში შევა, დავედება, რომ ვინც შემოვა, ვერავინ ვერ დაინახამს, ამასთან ერთი აზნაურ შული საამ შემოვა, ორს ჯოხზე დაბჯენილი მოდის და შუაზე რომ დადგება)*

დაჭრილი აზნაურ შული საამ. მეც ვიტყვ, ცოცხლებში ურევივარ მეთქი, მე აზნაურ შული საამ საქართუშლოსი, თელავში რომ მტერი დაამსხვრია ირაკლიმ, იქ ალაზნის პირზე უფრო დიდი ჯარები შეიკრიბნენ ოსმალ ლეკებისა და ქიზიყის განადგურება მოინდომეს, ქიზიყელები დიდს ვაებაში ჩაცვივდნენ, ეგონათ – ჩუენი აღსასრული მოახლოვებულაო; რას ვიფიქრებდით, ამ დროს დაიძახეს: პატარა ბატონი შული მოვიდა ზევითი კახეთის ჯარითაო, ამ სიტყუაზე ყოველმა ჩუშნმა დედაკაცებმა თავის ქმრებსა თავის წელით იარალი შეასხეს ტანზე და ცხენებიც შეკაზმული გამოჰგვარეს საჩქართა ამ სიტყვით: ნადით, ერთს დღეს დაბადებულხართ, ერთს დღეს უნდა დაიხოცნეთ, ადრე გვიან, სულ ერთიაო, შავსხედით ცხენთა, ჩაუხედით ჩუშნის ბატონი შულით, ნეშინის მინდორში, სადაც თავ გადადებული კაფა მოგვიხდა სამს ოდენსა ჩუშნზე მეტსა მტერთან. აბა, ვილა დადგებოდა უკან, თვთ ირაკლი ორჯელ შევიდა შუა გულს მტრისა ჯარში ხმალ მოსმული და ჩუშნც ცხენების თავები გასწორებული, ირაკლის ცხენის თანასწორედ დავერიენით მტერში. დავამარცხეთ მტერი, მაგრამ მე და ერთი გლეხი მხედარი, მტერთა მოგვიმწყუდიეს, მე ოცდა შუდს ადგილს დამკაფეს ჯმლითა და გლეხი თერთმეტს ადგილს, ლუთის წინაშე, არც ჩუენ დავრჩით წელცარიელები, ჩუშნც შევიკალით რავდენიმე, მარამ რა გაენყობოდა, ისინი ბევრნი იყუნენ, ბოლოს ჩუშნის ჯარის კაცებს ვეპოვეთ მკუდრებში. ორივ უგონებო, საიდგანაც საკაცითა წამოვედეთ, ბატონი შულს ირაკლის რომ დაენახა ჩუშნი საკაცე, მოსულიყო, თავის წელით აენია, თავის ბინაზე მივეტანეთ, სადაც კარგი მკურნალები მოეჩინა ჩუშნთვს, აბა, რალა ვილაპარაკო, იმის მოწყალებით, დღეს

მეორეთ ჩაგვედგა სული ორსავე, რომელიცა ჩამოვსულვარ მადლობისათვის, სხუა რაღა შემიძლიან სრულიად დაკუნწვლსა? ის გლეხი კი კარგად გამთელდა, აღარ შორდება ბატონი შკლსა და ყველგან თან ახლავს, ვამე, რომ მეც ისე არა ვარ, მაინც იმის კარსა ამოვირთმევ სულსა, იმის კარებს აღარ მოვშორდები, ირაკლის სახეს უყურო, ბატონი შკლის ირაკლის ხასიათი მაინც ასეა, რომ ყოველს ომში დაჭრილებსა თვითონ უვლის და მოკლულებისათვის აწირვინებს, ვეთაყვანე შენს გამჩენსა, ირაკლი! ეს ღმერთსაც მოეწონება, მაგრამ ის რაღა იყო, რომ მე და იმ გლეხს კაცსა, ჩუწნი ავდენის დაჭრილობის ჯილდოდ მე თავადობა მიბოძა, იმას აზნაურობა, გარდა ამისა, საუკეთესო მინები და ყმები გვინყალობა საქართუწლოში. არ ვიცი, ამაზე უკეთესი ჯილდო მეტი რაღაა ჩუწნთვს, ეს ჩუწნი წყლულობა, ნამეტნავად ჩუწნს მამულზედ ჩუწნის მამულისთვის? – ეს მამულის დალოცვილი ლუკმა უფრო კარგათ შეგუწრგება, მინამ მინამ მინა ინაჩუქროს და ღმერთის გაჩენილმა კაცმა კაცი მონად დაიმკვიდროს. მინა ერთისა არარის, კარგათ დავინერგოთ გონებაში ყუწლამ. მინა არის საზოგადოობისა, როგორც სააქაოს, ისე საიქოს და კაციკი ძმობისათვის. ღმერთს ასე დაუბადებია კაცი, ამ კეთილის წესისათვის და ჩუწნცა იმის წესსა უნდა მიეყუწთ უთუოთ. დრო არის, მოხუცებული ავი მოკვდეს და ახალ დაბადებული კარგი გაიზარდოს... ესენი პირათ ვერ გაუბედე, ზდილობა არ ითხოვდა: არ ეწყინოს მეთქი, თორემ გულში ვემდური მე ირაკლის. ეს ხომ ასე, მაგრამ სადა ბძანდება ის? აკი, მითხრეს იმისი აქ ყოფნა, – ეტყობა, ნაბძანებულა, მამ, შინ ვიახლები. *(მობრუნდება, სისხლიანს ხანჯალს რომ დაინახავს, ჯელში აიღებს)* ვილასაც სამლუთო დაუკლამს, სისხლიანი ხანჯალი აქ დარჩომია და თვითონ წასულა. *(ხანჯალს კარგად გასწმენდს, ერთს საფლაგზე დასდებს და მასუკან იტყვს)* ახლა კი წავიდე, ბატონი შკლი ირაკლი ვნახო. *(და გავა, ის რომ გავა, იმ მაღაროს ხვრელში მელანია შემოვა, თავ მოხდილი, თმა გადაშლილი აქეთ იქით მხრებზედ და სარიდანის საფლავს რომ შემოხედავს, იქვე ჩაიძლება და შიგ მაღაროს კლდეზედ მიესვენება თუალ დახუჭული, შემდგომ, ცოტათ რომ მოიბრუნებს გულსა, ადგება იმ მაღაროში, წამოვა თავში ცემით, თმა წენითა და იმ მაღაროდგან რომ გამოვა, დაიძახებს)*

მელანია. ვაი, ჩემს თავს, ჩემო სარიდან! ნაცვლად მე და შენი ვარდულად შელიმებისა და იადონებრ შეხმოვანებისა, ახლა ზარ ახდილი მოვდივარ შენს საფლაგზე, სადაც ჯოჯოხეთში სამუზიკოს ჳმას რომ სცემენ წაწყმედილებისათვის, იმ ჳმას მიეგვანება ეს ჳმა. *(მივა და საფლავის თავს დაიჩოქებს)* შე უბედურო მელანია. აბა, სასიკუდინო დრტვინვა ამოუშვი. ჩემო სარიდან, ეს სიტყუა რა

ძვრფასი სიტყუაა ჩემთვის! შენი სახელი მე არ მინდა, გავწყვიტო, მინდა, დაულალავად ვიძახო – სარიდან! სარიდან!.. სხუა რა ნუგე- შილა დამრჩენია ამის მეტი, რომ შენი სახელი უნდა მოვიგონო, შენი მშუშნიერი ყმაწვლ-კაცობა, შენი გონიერი თავი, შენი საუცხოვო სიტყვიერი ენა, შენი გაცეცხლებული სული, საშინელის სურვილ- ით რომ უყვარდა მელანია! ნაცვლად მე და შენი ბედნიერის სიყუ- არულისა, ახლა ნალველა ამამძახის: მოკუდი, მოკუდი, მელანია, შენ ამ სოფელში კეთილს აღარას ნახავ, სინამ სიყუარულის ვნება დაგადნობდეს და ტანჯვით მოვკუდე, სჯობია, ადრევე მოიკლა თა- ვიო. ჩემო სარიდან! შენ რა ჯელი გაქუს მაგ საფლავში? მე რა შენი შესაფერი ტირილი ვიცი? მე უნდა ვინვე შენ მაგიერ მაგ საფლავში და შენ სტოროდე უბედურობით მეხ დაცემულს, შესაბრაღსა მე- ლანიას. ღმერთო! აბა, ჯელი გადმოიღე, ამ ჩემს გულსა შეახე, რას ამბავს გაიგონებ? მაშინ იღმობ, რაც არის უბედური მწუხარება, თორემ ეხლა რას შეიტყო, ყოვლის დიდებით და ყოვლის ბრწყინ- ვალებით შემკობილო ღმერთო! ჯოჯოხეთო, ჯოჯოხეთო! შენი აღ- რეულობა მოიმზადე, მე სასუფეველი აღარ მინდა, მინდა, მოვიდე, მაგ შენს აღგზნებულს ცეცხლში ჩამოვადგო ჩემი სული და შენს ანთებულს კუპრის სიღრმეში კვნესავდეს და კიოდეს შეძრწუნებუ- ლი. გევედრები, ჯოჯოხეთო, რაც საშინელება შენს მიდამოს არეში იყოს, სულ ერთიან ჩემს სულს მოუსიო და ყოვლის სატანჯველით სტანჯო, მაიცა, ღმერთო, მეც ამ შენს მოცემულს სულზე გადგიხდი მაგიერს, მე აღარ მინდიხარ, ღმერთო, აღარც შენი სასუფეველი, ორივესათვს უარი მიყვია. ჩემო ბატონო, ჩემო წინამძღუარო, ჩემო ეშმაკო, ნულარ დაიგვიანებ, მოდი ჯელი დამიჭირე, იმ შენს ჯოჯოხ- ეთის სწორეს გზაზედ შემეყუანე, გიხაროდეს, მე შენი ვარ. შენ, ჩემო ბედო, შენ რალათ მოგიწყენია აგრე? – გშორდები განა? – ნუ სწუხარ, ეხლაც გაგახარებ. ჩქარა ნადი, ჩემს უბედურებას შეატყო- ბინე, ორივე მოდი ერთად, ბარემ იქაც გამყევით, ნუ მამეშუშობით, იქაც უყურეთ ჩემზედ მოსეულს ჯოჯოხეთის საშინელებას, ეგება, იქ მაინც გაძღეთ ჩემი ტანჯვის ყურებით... დაეშურენით, ჩქარა წამოდი, რომ ჯოჯოხეთის კარებთან გელით. უშენოთ, ჩემო სა- რიდან, ღმერთიც და სასუფეველიც ჩემთვის ბრაზია. შე უსამართ- ლო და უწყალო ღმერთო, რად გამამაცალე ჩემი სიცოცხლე სარი- დან? ეს რომ წამართვი, ამის ნაცვლად რას მაძღვე, რით ვინუგემო, რით ვიცხოვრო? მეც ხომ ადამიანი ვარ, აბა, ამის პასუხი მამე, ოჰ, ღმერთო, ღმერთო! *(მუშტს გაუშლის და დაიქნევს რავდენჯერმე, მასუკან დაიჩოქებს, გულზე ჯელს დაიწყობს და ზეცას შეხედავს)* ღმერთზე უდიდესი აღარავინ აღარ ხარ უფსკრულის ზეცაში? გულ დაჭრილი ჩემი საჩივარი გაიგონო, ღმერთი მიიხმო და შენს

სამჯავროში ჰკითხო; რომლის მართლ-მსაჯულებით აღარა მყავს სარიდან? განა მისთვის გაგვაჩინა, რომ ყმანჯლობითვე უბედური ვყოფილყავით, ამ სანუთოს სოფელში ჩუწნ? არ დაგვაცლიდა, რომ ეს სოფელი ჩუწნც მოგვეჭამა ჩუწნი ყმანჯლობის შესაფერად? ეს არის იმის სამართალი, იმის მოწყალება? *(ამასთანვე საშინლად დაიკვივლებს)* ეიი!.. სამართალი ჰქმენ დაჩაგრულზედ. *(თუალი ზეცაში დარჩება და მასუკან გადიქცევა დასუსტებული, მერე მოსურიელდება, წამოიხედავს, საფლავებს გადახედავს, ხანჯალს დაინახავს, წამოხტება და დაიძახებს)* ჩემ სამართალს მე გადავწყვეტ, ამისთვის, რომ ჭემმარიტების მოსამართლეობა არ არის არსად. *(ამასთანვე გაექანება, ხანჯალს წამოავლებს, გაჯავრებული მალლა შესტყორცნის და შესძახებს)* შე ჩემო მოსისხლეო, ნეტავი, შემეძლოს, ჩაგიგდო და ჩემს კბილებ ქვეშ დაგვლენო. *(კბილების ღრჭენას შეიქმს, პატარა ხანს უკან ხანჯალი წამოვა, ამას ეგონება სისხლიანი არისო და დაიძახებს)* სატყევარი სისხლიანი მოდის, ჭე, გაგმირე. *(ხანჯალი მოვა და ადვილზე დაერჭობა)* მაგრამ ეს რა არეულობა მამდის თავში? – *(ყურს უგდებს)* როგორ მაშინებენ! ჯოჯოხეთის ხმაურობა მესმის, ეშმაკების ღრიანცალი. *(კიდევ ყურს უგდებს)* ჰა, როგორ? – ათასის მკვდრების სულიდგან, სამი მართალი სასუფეველში მიდის და დანარჩენი ჯოჯოხეთში? – *(აქ მხეცურის ხმის სიცილით)* კარგი მადლიანი ყოფილხარ, კაცო, ქუწყანაზედ. *(კიდევ ყ. უ.)* აი, ახლა გავიგონე ბოხიანი მწუხარება ჯოჯოხეთისა. იქ არის გმინუატანჯუა – ტანჯუა სვინიდისისა ცოდვილთაგან. *(კიდევ ყ. უ.)* აი, ეხლა იმ ჯოჯოხეთში სინანულის გალობაც აუშუშს ტირილით. *(ეგრეთვე ყ. უ.)* მერე, როგორი ჳმის ტირილით? – იმ სინანულის ჳმას ნურავინ გაიგონებს ჩემის მეტი! მე გავიგონე და მე მესმის ის! თურმე, იქაც ღმერთს ელიან ერთხელ, როდისმე. თურმე, შვიდეულის ცოდვისაგან ილუპები, კაცო. *(ამ დროს წითელი ღრუბლები წამოვა)* ჩემკენ, აქეთკენ იარე, ჯოჯოხეთო, კუალი არ დაკარგო. *(წითელი დაკლაკნულის ელვით დაიჭექებს)* რა საუცხოვო, მხიარული ხმები გამოდის იქიდგან. ბარემ მოდი, პირი დამავლე. *(აქ ელუა ჭექით წითელს წვიმას დაიწყებს და მელანია წვიმაში გაუწხული დაიძახებს)* ივ. ეს სისხლი რა მიამება! ჩემი მაგიერი კი ავიღე. *(აქ უეცრათ დაიკვივლებს)* ახ, ჩემო სარიდან! – აქ რა გინდა შენა, ამისთანა ჯოჯოხეთის არეულობაში? – მე ვარ ამისი კერძი, შენ ხომ არა. *(ცალს მუხლზე დაიჩოქებს ხვეწნით)* ნადი, ჩემო სარიდან, ნადი. შენი არის სასუფეველი და ჩემი ჯოჯოხეთი! შენ გეთაყუნოს ჩემი თავი, საჩქართო ნადი. რათ მიწყრები, სიცოცხლეო? – რა დაგიშავე, რა განყინე? – ზეცისაკენ ხელს რას მიშუწრ? – მე იმას არ მინდა, შევხედო, იმან მოკლა ჩემი ყმანვილი

გული, სავსე შენი სიყუარულით!.. *(გულაღმა გადაიქცევა თუალდახუჭვილი. წითელი ღრუბლები გრგვინამს წითელი ელვა ჭეკით. როდისაც მოსუფთალებდა, მაღლა შეხედავს და საჩქაროთ ორს მუხბზე წამოიჩოქებს)*

ისევ მელანია. სარიდან, სარიდან! ზეცის ბჭეზედ წმინდა სამებამ ბარძიმი გამოასუწნა, მამისაგან შეწირულის მსხუწრპლითა: იგი წმინდა საიდუმლო სამება, რომელზედაც სუსტად ბჟუტავს სიმართლე, კეთილი და კაცობრიობა. მოელისკი ბრწყინუალებას! აგერ, ახლა ის სამი მანათობელი, ის მორბედნი ვარსკვლავნი მოდიან მწკრივით, აღმოსავლეთიდან დასავლეთზე მიმართულნი და გუაჩუწნებენ: ჭეშმარიტებას, ღვთაებას და თვთ სამებასა: ზეცას, ნათელს, და ქუწყანას. ზი, დიდო ღმერთო! კარგათ ვხედავ, რომ ჩემი მოქცევა უნდათ კიდევ. ესენი სულ შენი მომზადებულია, ჩემს შესაშინებლად, ჩემო სარიდან! მაგრამ მე ასე რიგათა ვარ შეჭურვილი შენის სიყუარულით, რომ მე ეხლა ესენი ვერა შემაშინებსრა: მაგრამ რახან შენი ნება არის, სარიდან, აგრე იცის, შენმა გაზდამ, სულს აღარ წავინყმენდ შენის გულისათვს. დამლოცე, დამლოცე. *(თავს წაიხრის, ამ დროს ჰაერი სრულად მოიწმენდს)*

მელანიავე. ღმერთო, ღმერთო! კიდევ მოვქცეულვარ შენკენ, სულს აღარ დავიღუპავ ჯოჯოხეთში.

(ამასთან წამოდგება)

აგრეთვე მელანია. შე მაცთურო ეშმაკო. ეგე ერთი წამი დღესასწაული შენი ჩემზედ გეყო. განა, თამამად მოსულხარ, გიხარია? – მართლა მე შენი გგონივარ? – ღმერთისგან ბოძებული ჩემი ესე სული შენია თუ? – არა, წარუწდ იმკაცობრიობის დამღუპავს ტარტაროსთან. ის არის შენი თაყუანის საცემი ცხოველი შეჩუწნება... ისევ იმას ემსახურე, ეშმაკი ეშმაკსა, რომ თქუწნი ბოროტების ორლანო კარგათ გამართული გქონდესთ, მე ისევ ღმერთისა ვარ და იგივე ღმერთი ჩემია. ნუ გგონია, ეშმაკო, სიმართლე ისე დაიკარგოს, რომ თავისი არ იპოვოს კიდევ. არ იცი, იმისი დიდი შემწე ვინ არის? – ისევ სიმართლე!.. *(აქ ჩაიშლება, ჩაჯდება და ორსავე ჯელებს გულზედ დაიწყობს)* რა ვქნა, ამ საცოდავს გულსა საშინლად უყუარს სარიდან და იმისმა გადარეულმა სიყუარულმა მაგმობინა ღმერთი! *(დედამინაზე დაემხოზა, მერე წამოდგება და ზეცაში შეხედვით)* ღმერთო, გმადლობ! ჯოჯოხეთის არეულობა შესწყდა, ჰგავს, რომ მამიტევე ჩემი დაუხედავი შეცთომილება, ვინ მიხუდება შენს საკვრველს საქმეს, ღმერთო! აი, ახლა, ზეცა გაიხსნა, ზედ სარიდან გადმომდგარა, – ჯელს მიქნევს: აქ მოდი, აქ მოდიო, ჰგავს, ლუთის ბძანება ასე არის, მე და სარიდან იქ უნდა ვიყუნეთ, ამ სოფლისანი არა ვართ ჩუწნ. *(ამასთანვე შესძახებს)* მოვალ, მოვალ, სარიდან,

ჩქარა გნახამ. *(ვაშობრუნდება, ხანჯალს შორს გასტყორცნის და დაიძახებს)* ნეტავი, იცოდე, სატევარო, რა რიგად შემძაგდი მე, შე ზეცის მავნებლო, შენა *(მასუკან სარიდანის საფლავს რავდენ-ჯერმე აკოცებს ამ სიტყვით)* შენ გენაცუალოს ჩემი თავი, სარიდან, კიდევ ბედნიერები ვიქნებით, კიდევ შევიყრებით ერთად. *(ზეცაში შეხედვით გაიქცევა)* მოვდივარ, სარიდან, მოვდივარ!

(და ეკლესია რომ არის კლდეზე, იმის მხრისაკენ გავა საჩქაროთ და უკანიდგან კიბეზე ასვლას დაიწყებს უჩინარად, ამ დროს თავ მოშველილი შემოვარდება მელანიას დედა)

სიდონია. *(გაშფოთებული კვილით)* შკლო, შკლო, მელანიავ, სადა ხარ? სად დაიკარგე? ცამ ჩაგყლაპა თუ დედამინამ? მკუდრებო, მკუდრებო, მითხარით, სად არის ჩემი მელანია? ამისთანა იქნება საქმე, რა იქნა? ვუი ამ ჩემს თავს! ჩემი მოხუცებული გამდელი მოვიდა, მითხრა: ქალბატონო, მე ყურს უგდებდი, შენი ქალი სარიდანის საფლავზე წავიდა, მიეშველე, თორემ უბედურებას შეიმთხვევსო. წამოვხტი და გიჟსავით გამოვიჭერ, ახ, სად არის? მიშველეთ რამე, თქუწნი ჭირიმეთ. *(ამასთანვე სარიდანის საფლავს მივარდება, ორის ჯელით გაშფოთებული მინასა ჰყრის და ზედ დასძახის)* სარიდან, შკლო, სარიდან! შენი მელანია რა იქნა? დედის ერთა, შენი უუსაყუარლესი მელანია? ვინ შეჭამა, რომელმა ვეშაპმა ჩანთქა? სარიდან, შკლო, სარიდან, შენ გეთაყუანოს ჩემი თავი, მითხარი, მელანია რა იქნა?

(ამ სიტყუასთან ეკლესიის კლდის მაღლიდგან ვადმოდგება)

მელანია. დედავ, რა ამბავია, რა ყოფა გაქუს?

(სიდონია გაექანება, იმის წინ ქვემოდგან დაუჩოქებს)

სიდონია. შენი ჭირიმე, შკლო, რათ წამოსულხარ, რა გინდა აქ?

მელანია. ჩემო საყუარელო დედავ, ჩემი ჟამი მოახლოებულია.

სიდონია. როგორ თუ ჟამი?

მელანია. სარიდან ზეციდგან მეძახის: აქ მოდი, ჩემო სიცოცხლეო, ჩემო მელანიო.

სიდონია. ქა, გენაცვალე, შემცდარა, სიყუარულს როგორ აუტაცნია! *(ძუძუებზედ ჯელის დადებით)* მელანიავ, მელანიავ! ამ შენს ძუძუებს პატივი ეც. ამ შენს გამზდელებსა და ნუ გაიუბედურებ თავსა.

მელანია. დედავ, დედავ! აბა, ჩემი სიცოცხლე რაღა იქნება, მე დარწმუნებით ვიცი, უთუოთ დავჭლექდები, ჩემი ხნიერი სნეულებით თქუწნ უნდა შენუხდეთ, თქუწნ ტანჯუას უყურო და მე ბოლოს მაინც მოკუდე, მინამ ხანიერის სნეულობით მოკუდებოდე, ეხლაც რომ მოვრჩე, უფრო კარგი იქნება. *(ამასთანვე ორსავე ჯელებს გაიძლის)* ჩემო უსატრფიელესო მშობელო მამულო, ჩემნო

უსასურველესნო მემამულეთ ქალნო და ძენო, და ჩემნო უუსაყუ-
არლესნო დედ-მამავ, ესესარის გეთხოებით ყველას, მშვლობით,
ჩემს სარიდანთან მივდივარ და ერთობი თქუჴსნს ბედნიერებასა
ლმერთსა ვთხოვ გულ მხურვალეს ვედრებით. (მასუკან დაჩოქებით
ველით მაღლა) ლმერთო, შემინყალე შენს ტაძარში სარიდანთან.

(ამ სიტყუასთანვე ეკლესიაში შევა, აქ საშინლად დაიკვილებს)

სიდონია. ვაი, ამ ჩემს თავს, ავიდე, ეგება მიუსწრა და თავი არ
მოვაკულევიწო. *(და კივილით გაეარდება)* მელანიავ, შენი ჭირიმე,
მელანიავ, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, ნუ მოიკლავ თავსა, მელანიავ,
მელანიავ! მოიგონე ლმერთი! *(და ესეც იქით მხარეს ავა ეკლესი-
ასთან, მინამ ეს ავა, მელანია ეკლესიიდგან გამოვარდება და ფრია-
ლოს კლდეზედ თავს გადმოიგდება, ამ დროს სიდონიაც ავა და კლ-
დეზედ კივილით გადმოდგება)* თქუჴნი ჭირიმეთ, რასა ვხედავ? ამ
ფრიალოს კლდეზედ გადავარდნილა! ვაი, ამ ჩემს თავს! დიდრონი
კლდეები თან ჩაიტანა საშინელის ჯახა-ჯუხით, მივიდა და მდინ-
არეს მტკვარში ჩავარდა მკუდარი, ლმერთო, ეს რა საშინელებაა!
(ამასთან ეკლესიაში შევარდება და კივილით დაიძახებს) ლმერთო,
ჩემი სულიც მიიბარე, მეც შენთან მოვდივარ. *(ამ სიტყუასთანვე გა-
მოვარდება და ესეც კლდეზედ გადმოიგდება თავსა, შემდეგ ამისა
რევაზ მოდის ცივის გულით აუჩქარებელი)*

რევაზ. ეხლახანს გამიმჟღავნეს საზარო ამბავი! დიდი კაცები!
დიდი კაცები! ესეც დიდი კაცები, აი, ორი დიდი კაცის სახლი ამოწყ-
და და მოვრჩით, ნურავინ ნუ იტყუთ – დიდი კაცი ვარო და ამით ნუ
გაამაყდებით, არავინ იცის, იქნება შენი დიდკაცობა ორს ჟამში ასე
დაეცეს, რომ შენი საფუძველიც აღარ გამოჩნდეს, აი, როგორც
ჩუჴნი ორი სახლი, აბა, სადღა ჩანს ჩუჴნი დიდკაცობა? ამ ცოტას
ხანში ჩუჴნი ორი სახლი ასე დაემხო, ერთის სახლისა ამ საფლავე-
ბის მეტი აღარა ჩანს რა, მეორე სახლისა დედა შკლნი იმ კლდეზედ
გადაცვივდნენ; მხოლოდ მე დავრჩი ერთი ღერი კაცი და მეც ამ ცო-
ტას ხანში იმათ შეუდგები, რახან ასე მოხდა, მაშ, ჩემი სიკუდილი
უფრო სხუა გუარი სიკუდილი უნდა იყოს, სხუა უმაგალითო, რაც
ჩემს კაცობას ევედრება, თორემ მახვილით ერთი არაფერია, ანუ
კლდეზე გადავარდნა ახალი არ არის საქართუჴლოში. *(გამობრუნ-
დება და დაიძახებს)* ჩემო გაზდილნო, ჩემო მეგობრებო, ჩემო პა-
ტარა ბიჭებო! *(ოთხნი პატარა ბიჭები, ოთხნი პატარა ყმაწვლი მო-
სამსახურე შემოვა)* რაც გითხარით, მზათა გაქუსთ?

ერთი იმათგანი ნინია. მზათ გახლავსთ, ჩუჴნო ბატონო. *(და
დალონდებიან)*

რევაზ. წადით, შემოიტანეთ!

(ამ სიტყვაზე მუხლებზე მოეხვევიან მოსამსახურები)

ნინია. შენი ჭირიმე, ნუ მოიკლავ თავსა. ასეთი არა მოგხდენიათ რა, რომ არ მომხდარიყოს.

რევაზ. ჩემო ძმებო! ამაოა თქუწნი თხოვნა. გადავწყვიტე, უთუოდ უნდა მოვიკლა თავი. *(ოთხსავე ჳელით ასწევს ამ სიტყვით)* ნადით, ძმებო, შემოიტანეთ, ნულარ ჳყოვნით.

(ოთხნივე დაღონებული გავლენ)

რევაზვე. ნავდგები ლუთის წინაშე წმინდის სვინდისით, მაგრამ ვიცი, დამაყვედრებს ჩემის თავის ძალათ სიკუდილს, მაგრამ ესეც ვიცი, თვთონვე მამიტივეებს, ადამიანისავით სულ მოკლე არ არის ის, იმან იცის, ადამიანი როგორი მცირე არის ყოვლის ფრითა, როგორი ვინრო გული აქვს თმენის მოუთავსებელი, ამის იმედი მაქუს მე, რომ ჩემსა სუსტსა და მოუთმენელს გულსა მოუტევეებს მოუთმენელობასა. *(ამასთანავე ერთს დიდს გოდორს შემოიტანენ მოსამსახურენი, თლილი ქვით სავსეს და შუაში დასდგმენ)* ამ შუა ადგილს დავდგები, ასე რიგად უნდა ამქოლოთ ოთხსავე კუთხივ განყობილი, რომ თანასწორე შენობა მოვიდეს.

ნინია. სული შეგიგუბდებათ, საშინელის ტანჯვით მოკვდებით.

რევაზ. ნუ მეტყვით მაგას, ჩემთვის საშიში არა არის რა, მოიტანეთ, დროით ამქოლეთ. *(გოდრიდგან დიდ ქვას ამოიღებენ)*

რევაზ. მარჯვენეს ფეხის გვერდთან დასდევით: *(დასდებენ და წელამდისინ მოვა)* ეგ ფეხი აგრე რიგათ ვერ გააძღობს მატლებს, აქეთ მხარეს ახლა. *(იქით მხარეს, მარცხნივ დასდებენ მეორეს ქვას, ეგრევე წელამდისინ და ორივე ქვები შეიკვრიან ერთმანერთში)* ეგ მარცხენა ფეხიც ფუქსავატია იმათთვის, ახლა კიდევ მარჯუწნა გვერდზედ. *(მესამე ქვას ამოიღებენ და ყელამდისინ მოვა)* ეგ ტანიკი კარგს ნადიმს გაუშლის მატლებს, აბა, ახლა მარცხენას მხარეს. *(მეოთხე ქვას მიიტანენ, დასდებენ და მარტოკა თავი დარჩება ზევით)* აბა, ეგ არის კარგი ხვედრი წილი იმათი. აჰა, კარგათ დაინახეთ: ეს არის კაცი? აჰა, ესეც კაცი. მაშ, ეგ უკანასკნელი გუმბათიანი ქვაც აიღეთ, ჩემო გაზდილებო, გაბედვით დამადვით თავზე, ჳელი არ შეგიკრთესთ.

ნინია. რას ბძანებთ, ბატონო? ლუთის საწყენს ნუ შვრები, იმისი წინააღმდეგია ეგა.

რევაზ. იმისი საწყენი და წინააღმდეგი ის არის, რომელი ვისაც ანუხებს უსამართლოთ. მაგრამ მაგ გუმბათზე ქრისტიანობის ჯუარი რომ არის, საფუძველი კეთილისა, ის აღმოსავლეთისკენ მიაბრუნეთ, პირი იქითკენ უყავით. ყოველი წყალობა ლუთისა აღმოსავლეთში სუფევს, ის არის იმისი სამეფო!..

ნინია. ამ შენს ოთხს გაზდილებს ნუ დაგვაობლებ მაინც, როგორც ჩუწნ ობლები შენის დიდის ჭირნახულით დავიზარდენით,

ისე გვაპატიე, ისევ მოგვეცი შენი სიცოცხლე ჩუშნ.

რევაზ. ჩემმაგიერ მიდით ბატონიშკლს ირაკლისთან, ყოველი ჩემი ამბავი უამბეთ, ის არ დაგაგდებთ, იმისი გული მოწყალეებით სავესეა, მაგრამ მამულს და ირაკლის ერთგულად ემსახურებით, თქუშნს მამულისათვს, ისე ირაკლისათვს, ნურას შემთხვევაში, ახლა ირაკლის ჯელის გულზედ შემდგარა მამული და ირაკლიც იღნვის, იტანჯება მისთვს, დაუბრუნოს უფლებანი თამარისა, გესმით, ძმებო, გაიგონეთ?

ნინია. გავიგონეთ, თქუშნი გაზდილები ვართ, ბატონო.

რევაზ. მაშ, თუ გაიგონეთ, ხანს ნულარ გამოუშვებთ, ჩქარა დამადგით გუმბათი თავზე.

(უნებურათ ასწევენ იმ პატარა გუმბათს, თავზე დაადგემენ და ჯუარსაც გაასწორებენ აღმოსავლეთისკენ, მაგრამ მაინც კიდევ ჩასძახებენ)

ნინია. ბატონო, შენი ჭირიმე, აგართმევ გუმბათს.

რევაზ. *(მალის ხმითა)* ნუ, ნუ, თქუშნ ნულარ დაადგებით აქა, საჩქაროდ წადით. ჩემთვს ნუ ინალვლით, მშკდობით, ძმებო.

(ესენი წამოვლენ, კარგა მოშორებით მწკრივით დადგებიან უკან გაჩუმებული და ერთმანერთს ჯელით ანიშნებენ, აქ ვიყოთო)

აქოლილი რევაზ. *(იძახის)* სანყალო ჩემო ცოლშკლო, ანუ ერთიანათ ჩუშნო ამონყვეტილო მოყვრებაო. თქუშნც იმ სავანეში ჩახვედით, იმ საუკუნოს სახსენებელში გაჰქრა ყოველი ჩუშნი ბედნიერება, სადაც სიკუდილი ფუფუნებს ყოვლის განცხრომითა, სადაც სიბნელის სიცხოვლე ანთია, რომელშიაც სიღარიბის სიმდიდრე სტკებება და სიმდიდრის სიღარიბე თავსა ინყლავს? იდღესასწაულე, იდღესასწავლე. მანდ ამოთხრილს შავს მინის საფლავში, სიკუდილო! სხუა დიდების ტახტი არსად არის შენი, არის ეგ, დაჰკარ, ჩანგო, დაჰკარ, ემანდ კმაყოფილებით შენი დანყნარებული, დამშკდებული ჯმოვანება, სადაც უსულო სულიერად სცხოვრებს და დამწყვედულის სანათურიდგანა უკრავს ჩუმსა მუსიკასა, იმ მუსიკას, რომელსაცა დაჰყვედრის სანუთოსა. მოვიდა, მოვიდა ის, ჩემი დროცა მოახლოვდა, მასპინძელი აქ არის, აქ დაგხვედება. აბა, დაარაკუნე კარი, როგორი ჩემის პურადობით დაგხვედები შენ! შეკრთი? აკი, გამბედავი სულთა მხუთავი წინ გიძლოდა გამწყვეტებულის რვალის შუბით? სად არის იმისი შეუცთომელი მორბედობა? ახლა აქ შემომეპარე, აქა, ჩემთან? რადლა მიჰყეცთვალებს შეშინებულს? მოდი, მომეხვიე, შენთან ერთად შობილს, შენთან ერთად დაბერებულს, ჩემო განუყრელო ამხანაგო, შენ, სიკუდილო. დაო, ძმაო, სულო-ხორცო! თქუშნს გაყრაში მაინც რჩება ჩემი მამულის სიყვარული აქა, ღვთაებისაგან ჩემის დედის მუცელ-

შივე გამოსახული ჩემზედა, გესმის, ასეთო წმინდაო სიყვარულო? არსად არ გახვიდე აქედგან; გარს ეარე შენს მამულსა, როგორც გვერტი ბლარტებს თუსსა, ახლაკი თავს დაგიკრავ, გამოგეთხოვები, ჩემი გონებისაგან განუყრელო, მხოლოდ ერთო საგანო ჩემო, მამულისა საყუარელო! მშკდობით, მშკდობით იყავი აქა! შენკი პირს გარიდებ, შენ ტანჯუაო! შენ ყოფილხარ რაცა, თორემ სიკუდილი არა ძნელი, ოჰ, საზარელო, საზარელო ტანჯვაო სიკუდილისაო! გულსა მომებჯინა, ყელში მახრიალებს, სული შემეგუბდა, აჰა, აჰა, მოვრჩი, დავახვიე ჩემი სიცოცხლის გორგალი სრულად.

(უკანასკნელად სამჯერ კიდევ დაიხრიალებს ყელიდგან და მოკუდება კიდევ, ამ ლაპარაკში იმისი ოთხი მოსამსახურე გულ-ქელ დაკრეფილნი იდგნენ, თავ ჩაკიდებულნი დაღონებით და გაჩუმებული ისმენდნენ იმის უკანასკნელს სიტყუას, უკანასკნელად ეს რომ თქო: ჩემი სიცოცხლის გორგალიო და ამასთან სამჯერ რომ დაიხრიალებს, ესენი გაექანნენ და ნინიამ მაინც კიდევ ჩასძახა)

ნინია. ჩუწნო ბედნიერებაო ბატონო, კიდევ ამოიღე ჴმა. (ჴმა აღარ არის) დაიფშვინე მაინც, შენი სიცოცხლის ნაპერწკლის ჴმა გავიგონოთ მაინც. (და ყურს მიუგდებენ) ახა, ვაი ჩვენს თავს, მომკუდარა. (და იმის საქოლავს დაუჩოქებენ ორი აქეთ და ორი იქით საქოლავის ცოტა წინ)

ნინიავე. დალოცვილმა სად მოიკლა თავი, როგორის სიკუდილით? ვერ მიმხუდარვართ, ღმერთო, შეინყალე ამის სული, რა კარგი სახლეულობა დაეკარგეთ, ახლა რაღა გაენყობა, როგორც ჩუწნმა ბატონმა გვიბძანა, წავიდეთ, ერეკლეს ვიახლოთ. მამულო და პატარა ბატონო ერეკლე! ჩუწნი უმანკო, უცოდველი ჩუწნი დაობლებული ყმანკლ-ბიჭობა თქუწნი ჭირისანაცულო იყოს ორივესი. წავიდეთ, ბიჭებო, წავიდეთ, თავი დავდოთ, ქართუწლებო!

*და ფარდა ჩამოეფარება.
დასრულდა.*

ჟამნი მეზოპე

პირნი

ადამ – ძველი მოხუცებული თავადი.

ბარბარე – ამის ქალი.

ელიაზარ – შუახნის თავადი.

რევაზ – შუახანზე ცოტა ხნით ნაკლები თავადი.

ნინიკო და **ბესუა** – ამ რევაზის ახლო ნათესავნი, ახლად მოსულნი განათლებულები.

რევაზის ხნის თავადები და იმათი ცოლები, ერთი გერმანოზ და ამის ცოლი მაია.

ხუთი ყმანვილი კაცი განათლებულები.

გოგია და **ელისაბედ** – მოხუცნი ცოლქმარნი ბატონის ყმანი, ამათი შვილები, რძლები და შვილი-შვილები: უფროსი **პეტრუა**, ამის ცოლი **ნინო**. მეორე **გაბრიელა**, ამის ცოლი **ეფემია**. მესამე **ნიკოლა**, ამის ცოლი **თინათინ** და ამათი **პატარა შვილი**. მეოთხე **პავლე**, ამის ცოლი **სარა**. პირველი ძმის პეტრუას ქალი **სოფიო**.

ქიტესა – ამ სოფიოს საქმრო პაჟარნი.

თავადი ბეჟან – ამ სახლეულობის ბატონი, იმ ზევით თავადების ხნისა.

პაველ პეტროვიჩი – პოლიციის ჩინოვნიკი და ამისი **ორი** იასაული.

სტუდენტი და ამისი ძმა **ლიმნაზიელი**: ორივე ბეჟანის უნცროსი ძმები არიან.

სოფიოს ტოლა **რვა** ყმანვილი ქალი, ერთი იმათგანი **თალალა**.

რვა პაჟარნი, ქიტესას ამხანაგები.

მოახლე გოგიასი და ელისაბედის სახლობისა.

ხმა გარედგან.

ერთიანი სახლობა იმ პაჟარნებისა და იმ ყმანვილი ქალებისა.

სტეფანე – ხალხის შუაკაცი.

გლახა – მებატონის ყმა.

თავადი **იოსებ** გულმართალი.

თავადი **ბეგლარ** – იმ ზევით ხსენებულების თანა და ამისი ბიჭი.

ერთი მალაზიის კაცი.

ბეგლარის ძმა **ფილიპე** – ცოტა ხნიანი, მაგრამ განათლებული.

ორი სოფლისკაცი თავიანთის **ორი** აკიდებულის ვირებით.

ორი ბაზრის კაცი ქალაქელები.

ორი იმერელი იმერეთიდგან და ამათი **ორი** აკიდებულის ცხენ-

ები.

ორი სხუა ქალაქის ბაზრის კაცი.

ორი სხუა სოფლისკაცი თვით ინდაურით.

მერძვე კოჭბით რძეს ჰყიდის.

სოფლის რამდენიმე კაცები და დედაკაცები: **ორი** ვარიებით, **ორი** ბატებით, **ორი** ნაღბის ჯამებით, **ზოგი რითა და რით.**

ორი დესეტნიკი.

თავადი გერმანოზ ერთის დასის თავის ამხანაგის თავადებით.

პოვერნია გამოჩენილის თავადისა.

თავადი სოლომან – აქ ზევით თავადების ამხანაგი.

ათს ფანჯარაში **ათი** მოსამსახურე.

შვიდი განათლებული ყმანვილი კაცები.

მთხოვარა გლახა და იგივე პეტრე.

პირველი მგზავრი.

მეორე მგზავრი.

მესამე მგზავრი.

მგზავრი დედაკაცი და **მეხრე** თავის პატარიშვილით.

ექვსი განათლებული ყმანვილკაცები.

მოხუცებული თავადი ადამ და ამის ხნის **ხუთი** თავადი.

ერთი თექვსმეტი წლის ქალი და ესევე **ანღელიკა.**

ყამნი მეფობენ პირუჭლი მოქმედება

(მეზილით განყოფილი სასტუმრო ოთახია, სადაც ერთს მხარეს კედლის ძირში ქართული ტახტი დგას კარგ საფენ გადაშლილი და მუთაქაზედ წამონოლილს მოხუცს თავადიშვილსა სძინავს; გაიღვიძებს, წამოჯდება და თუალეებზე ხელის მოსმით.)

ადამ.

მელას რაც აგონდებოდაო, ის ეზმანებოდაო. ეს ჩემი სიზმარი ამასა ჰგავს: საქართუწლოს მეზატონეები ერთს დიდი კაცის სახლში შეგვიყუანეს, იქ ერთს მშუწნიერს სენაკში, ერთს საუცხოვოს კაკლის კრაოტზე ქუწმაგებში თვითონ იმ სასახლის დიდი კაცი იწუა შეუძლო. შეუწდით, მძიმეთ თავი დაუკარით და იმანაც თავი დაგვიკრა, მაგრამ სუბუქათ, რომელმაცა ამის მეტი არა გვითხრარა: უმაღლესის ნება არის, რომ თქუწნი ყმები განათავისუფლოთო.

კიდევ სუბუქად თავი დაგვიკრა და გამოვედით, სადაც მეორეს ოთახში, იმ დიდი კაცის ხელქვევითი დაგვხდა, მოვიდა და მითხრა: აბა, ახლა რას აპირებთო? – ამის მეტი არა უთხარიო: ჩათრეუას ჩაყოლა სჯობიამეთქი და კიდევ გამეღვიძა.

(ამ დროს ამის ქალი შემოვა.)

ბარბარე.

ბატონო მამავ, ახალი ნამძინარევი რას ლაპარაკობდით?

ადამ.

შვილო ბარბარე, რაც გუშინ ცხადი იყო, ის ეხლა სიზმარში ვნახე.

ბარბარე.

გეტყობათ, ბევრი გიფიქრიათ და გულში ჩაგყოლიათ ის ანბავი.

ადამ.

შენმა გაზდამ, ნუხელის სულ არა მძინებია, დღეს დილით ადრე ავდექ, ტანისამოსი ჩავიცვი, გოსტინაში გამოველ: ეგება, მიამოსმეთქი. მოვედი ამ ჩემს მამაპაპის ტახტზე დავჯექ, ამ მუთაქაზე თავი დავდე, დამძინებოდა და ეს სიზმარი ვნახე.

ბარბარე.

ბატონო, ძალა აღმართსა ხნავს.

ადამ.

ჰოო: ძლიერება მოვიდაო და სამართალი ბანიდგან ავიდაო. ეს გინდა, თქუა?

ბარბარე.

მართალს ბძანებ, აგრე არის.

ადამ. *(დალონებით.)*

მადლობა უფალს. გავიდნენ ჩუწნი გლეხი კაცნი ჩუწნგნით, შენ ნახამ, რასაც შეიმატებენ ისინი, თორემ მე ჩემი დრო მომიჭამია, იქით საიქიოს უყურებ, დღეს თუ ხუალე, მაგრამ ამასკი გეტყვი; საქართუწლოს არა აქუსრა დარჩენილი, რომ არ გამოეცადოს, ეს ერთი იყო, ესეც გამოსცად, სხუა რალა კიდევ?

ბარბარე.

როგორ არა, ქართუწლები ჭაობის ბაყაყებად გადავიქცევიო.

ადამ.

ბარბარე, ხუმრობა გიყუარს. კარგია, დაეხსენ, ცეცხლი მე-კიდება, რა დროს ხუმრობაა, ღვთის გულისათვის?

(ამ სიტყუას ერთი შუახნის თავადი შემოუა.)

ბარბარე.

ელიაზარ, მობრძანდი, დიდათ სასიამოვნოა თქუწნი ნახუა, მე საქმე მაქუს, გავალ, ახლა თქუწნ და მამამ ილაპარაკეთ. *(წამოდგება, გავა.)*

ადამ.

მობძანდი, ჩემო ძმაო, მოდი აქ, ჩემს გუშრდით დაჯექი. (დაი-
სომს გვერდით.) როგორა ხარ, როგორ იმყოფები, ელიაზარ?

ელიაზარ.

კარგათ გახლავარ, მადლობა ღმერთს!

ადამ.

როგორ ქეიფზედა ხარ?

ელიაზარ.

კარგ ქეიფზე. რატომ არა?

ადამ.

არ იცი, რა ანბავია?

ელიაზარ.

ყმების თავისუფლება?

ადამ.

დიახ.

ელიაზარ.

მეც ვიცი, როგორ არა.

ადამ.

არა სწუხარ, კაცო?

ელიაზარ.

არა-არა ვწუხარ, მიხარიან კიდევ.

ადამ.

კაცო, შენც რამ გადაგრია ახლანდელს ყმანვილკაცებსავით?

ელიაზარ.

გაიგონეთ. სჯობია განთავისუფლდნენ, მებატონებში და ყმებში დიდი სისხლია ჩამოვარდნილი, ერთმანეთის მოსისხლენი შევიქენით, აბა, რასა იქთ, ყოველი ჩუწნი გლეხი კაცი – ჩუწნი ორგულია, მე ჩემი თუალით ვნახე, გლეხი კაცის სახლობა თავის ცოლშვილებით, კარზე იდგნენ, ზეცისაკენ ჴელები განებყრათ და თავის ბატონს ცოლშვილით სწყევლიდნენ. აბა, მიბძანეთ ამის შემდგომ, რალა ბატონ-ყმობა იქნება ჩუწნში?

ადამ.

ეგკი მართალია. ზოგიერთმა ჩუწნმა მებატონებმა ჩუწნი გლეხი კაცები სულ წაახდინეს, უკანასკნელი სულიც უნდა ამოართონ იმ ღვთის მტრებმა, სხვსა რა ბრალია?

ელიაზარ.

ერთის მაგალითი ცუდია, ბოლოს ერთიდგან ათასი ისწავლის და კიდევ ისწავლეს.

ადამ.

გაიგონე, რა გითხრა? – იმ ძუწლს დროსაც მოვსწრებვიარ და

ეხლაც ერთად ვსხედვართ მე და შენ. ჩუწნი გლეხი კაცი, მაშ, რა იყო, თუ თავისუფალი არ იყო? – ჩუწნთან ისხდნენ, ჩუწნთან სომდნენ, ჩუწნთან სჭამდნენ, ჩუწნთან შეექცეოდნენ, ჩუწნ მებატონეებს იმათთვის არა გვშურდარა და იმათ ჩუწნთვის, სულ ერთად ვიყავით განუყრელათ, ასე რომ, ერთმანეთის ჭირსა ვჭამდით. ჩუწნი სიყუარული სულ მამაშვილობის სიყუარული იყო. ამაზე მეტი თავისუფლება რალა უნდა კაცსა, რომ არ ვიცი?

ელიაზარ.

მაგ საგანზედ იმდროს დაუქსნათ, ახლანდელი ვილაპარაკოთ.

ადამ.

კაცი, როგორ დავეხსნა? – უნინ უზრუნველი ცხოვრება გვექონდა და სიამოვნით ვცხოვრობდით. მეცა და ჩემი გლეხი კაციც ორივ ბედნიერები ვიყავით, იმათ თავიანთი დებულობა ჰქონდათ სამსახური და მეც იმათი მადლობელი ვიყავ. ეხლაკი სულ სხუა არის, ეხლა დიდი უზომო და ურიგო ცხოვრება შემოვიდა, აღარ სწვდება ჩუწნი შემოსავალი იმას, ამიტომ ჩუწნს სანყალს გლეხკაცებს დავანექით, სულ ამას ვეუბნებით: მოგვეცი და მოგვეცი. მაგრამ მაინც კიდევ არა სწვდება და ვალებში ჩავცვივდით.

ელიაზარ.

ემანდ, თვთონ თქუწნ თქვტ, ჩუწნი გლეხი კაცი როგორ გაჭირებულია ეხლა ჩუწნგნით. არას დროს აღარ ვარგა, კიდევ ერთად ვიყვნეთ.

ადამ.

რა ვქნათ, ძმაო, ეშმაკები უკან დაგვდევენ, გვეუბნებიან: დიდი კაცები ხართ, კარგათ იცხოვრეთ და კარგათ იცხოვრეთო. სულ ამას ჩაგვჩინებენ. ჩუწნც სულელი ავყოლივართ იმათ სიტყუას, იქით ჩუწნს გლეხებს ვანუხებთ უსამართლოდ და აქეთ ჩუწნ ვალებით ვილუპებით. მართლა რომ ამის შემდგომ აღარ ვარგა, ჩუწნი გლეხი კაცი ამ მდგომიარობაში დარჩეს ჩუწნთან.

(ამას რომ იტყვს, იმ მოხუცის ადამის ქალი ბარბარე მეორე ოთახის კარებს გააღებს და თავის მამას მოახსენებს.)

ბარბარე.

ჩემო ბატონო მამავ, ცოტას ხანს აქ ჩემთან შემობძანდი. საქმე მაქუს.

ადამ. *(ელიაზარისაკენ.)*

ძმაო, ელიაზარ, შენ ჩუწნი ახლო ნათესავი ხარ, მამიცადე, ეხლავ გამოუალ. *(ადგება და წაუა)*

ელიაზარ. *(გავლის გამოვლით.)*

ტყუილია, ხელ შეკრული კაცი აღარ ვარგა, მერე როგორი? – თავისთანა ღვთის გაჩენილს კაცს სულ თუალწარბში შეჰყურებ-

დეს, იმის ფიქრი ჰქონდეს, რა იამოს ჩემგნითაო. არა, ღვთით დრო მოდის, უფალიც ამბობს: გაზაფხული მოვიდეს* და სხუანი... დრო მოდის, ახლა კაცი გასწორდეს, ჭეშმარიტება იყოს ყუწლგან. ჩუწნი ყმების თავისუფლება, ოჰ, რა კარგია?.. (ამ სიტყუასთან ერთი სოფლის თავადიშვილი, საბატოო რევაზ შემოა და ორი ახლანდელი განათლებული ყმანვილი კაცები შემოჰყუწზბიან)

რევაზ. (ელიაზარს.)

ააა, ელიაზარს გაგიმარჯოს.

ელიაზარ.

გაგიმარჯოს (და ხელს მისცემენ ერთმანეთს.)

რევაზ.

ელიაზარ, ეს ახალი მოსული ორი ყმანვილი კაცები, ჩემი ახლო ნათესავები გახლავან, გთხოვ, გაიცნო. თუმცა მდარე კაცის შვილები არიან, მაგრამ თვთონ კარგი გულისანი გახლავან.

ელიაზარ. (იმათ ჳელს მისცემს.)

ჩემტვს სასიამოვნოა თქუწნი გაცნობა. (ისინიც თავს დაუკვრენ.)

რევაზ.

ელიაზარ, მარტო რათა ხარ?

ელიაზარ.

მოხუცებული ადამ თავისმა ქალმა გაიყუანა რალაც საქმეზედ.

რევაზ.

მაშ, მოდი, დავსხდეთ, ვთქუათ რამე. (დასხდებიან.)

კიდევ რევაზ.

გაგონილა ამ ყმანვილკაცებისაგან, ამ განათლებულობისაგან სიხარულით ფეხზე აღარ დგანან: ჩუწნი ყმები თავისუფლდებიანო.

(პირუწლი ყმანვილკაცი.)

ნინიკო.

დიახ, მართალია.

(მეორე.) **ბესუა.**

რასაკვირველია, აგრე უნდა იყოს.

რევაზ.

მასუკან ჳელზე წყალის დამსხმელი მოსამსახურე რომ აღარ გაწყოლება?

ბესუა.

ვიქირავებთ, მოჯამაგირეს დავიჭერთ.

რევაზ.

ცარიელის ჳიბით?

* სახარება, მარკოზის მეცამეტე თავი და რიცხის მუხლი ოცდა მერუწ. ეს თავი მე კაცობრიობისტვს მესმის იმათის კეთილ წესისათვს.

ნინიკო.

არა, დეპოზიტის ბილეთებით.

რევაზ.

თაგვეები რომ იჯირითებენ ჩუწნ ჯიბეში, იმათის ანგარიშით?

ბესუა.

რათ ვაჯირითებთ, იქამდისინ არ მივიყუანთ საქმეს.

რევაზ.

უთუოთ თქუწნ იმედი გაქვსთ ოქროს ზოდებისა, პაპა თქუწნებს რომ დაუგდიათ თქუწნთვს.

ნინიკო.

კიდეც ეგ არის, რომ არა დაუგდიათრა არაფერი იმათ.

რევაზ.

ჩუწნმა პაპებმა ეს დააგდეს, რომ ქართუწლი თესლი არ გაქრა საქართუწლოში. თუკი ეგეც იცით, არა დააგდესრა იმათ, მამ, საიდგან რის იმედი გაქუსთ?

ბესუა და ნინიკო. (ერთად.)

ჩუწნის თავსა და გონებისაგან.

რევაზ. (წამობტება.)

ვაიმე, ვაიმე, მაგ ბურტყლიანის თავებისაგან?

ბესუა.

ბიძა ჩუწნო, რათა ჯავრობ? – მამ, სწავლა რისთვს არის, რომ ვერა გავაკეთოთრა?

რევაზ.

ახა, ღმერთო ჩემო! ცარიელს გაბერილს ტიკებს რომ გეცხართ, აბა, ერთი დაგუყუწდრეთ, ვინ რა გააკეთა?

ნინიკო.

რა უნდა დაგაყუწდროთ? – თქუწნს შვილებს რომ არაფერში არ ურევთ და თქუწნი თავით უნდა გააკეთოთ ყუწლა, როგორ გააკეთებთ, რომ არა გისწავლიათრა? – ბიძა ჩუწნო, ყუწლაფერში სწავლა, უსწავლელობით ვერას გააკეთებთ, კარგათ გაიგონეთ.

რევაზ. (ხელის დაქნევით.)

იი, მეხიკი დავაყარე თქუწნს სწავლასა. ეგკი არა, გინდათ, თქუწნი მამები აღარ გაურიოთ არაფერში და თქუწნ ხელში შემოგყურებდნენ, რა აჭამოთ, რა დააღევინოთ, რაც რომ გინდათ, ისა, ასე რომ, ბოლო დროს უბრალოს ოთახშიაც ჩააგდოთ და იქ ეგდოს უპატრონოდ, სადაც იქნება მწუხარებით სულიც ამოუვიდედს. მერე თქუწნს ოჯახებში ჳელი მიჳყოთ ვალების აღებით და ის შეუძრავი მამაპაპის ოჯახები სულ ერთიან: ზოგი ვაქსალში დანთქათ, ზოგი გოსტინიცებში, ზოგი სად და სად. წადით, წადით, დაიკარგენით, რომ გაიჭაჭნეთ, ოჯახებს ხელში არ ჩაგიგდებთ.

ნინიკო და ბესუა. *(ერთად.)*

რა გაენყობა ამისთანა გაუგებლობას.

რევაზ. *(ჯავრობით.)*

ხედავთ ამ ლაწირაკებს, რას ამბობენ? – ბიჭო, რა გაუგებლობა უნდა. ახლა გაჯავრებით და მოთმინებიდგან გამოსული გეტყვით. მე ვიცი მაგალითები, რომ თქუწნისთანა განათლებულებმა სამ მილიონამდისინ ფულები აიღეს და ბოლოს იმ ფულებს რა უყუწს? – ზოგი ქალაღდში წააგეს, ზოგი გოსტინიცებში შეჭამეს და ზოგი ვინ იცის, სადა? – ის სამი მილიონი ფული ეხლა რომ ყოფილიყო, ამ დაცემულს ქართუწლებს რამთენს კარგსა უზამდა?.. ნაცვლად ამისა, იმ თავიანთმა სუსტმა ბუნებამ რომ დასძლიათ, კარგი არის ესა? – გესმისთ თუ არა?

ორთავ.

გუწსმის, ბიძა ჩუწნო.

რევაზ.

ჰოო, განა ჭკუაში მოგივიდათ, აბა, ამის შემდგომ როგორ გენდნეთ თქუწნა? *(მასუკან ეღია ზარს.)*

ეღიაზარ, შენ რალას გაოცებულხარ, რატომ შენც არას იტყვი?

ეღიაზარ.

ყურს გიგდებთ, უნდა გამგონიც იყოს ვინმე.

რევაზ.

არა, თუ ღმერთი გწამს, ვტყუი, ან იმ პირუწლს და ან ამ მეორესა?

ეღიაზარ.

სწორეთ გეტყვი, ზოგიერთში მართალი ხარ და ბევრშიკი ვტყუით ჩუწნა.

რევაზ. *(გაკვირვებით.)*

რასამბობ, შენც უტწნო ყოფილხარ ამათსავით.

ეღიაზარ.

არა, გაიგონე. იმ ერთმა კარგმა მებატონემ, ერთი გაკეთებული თავისი გლეხი კაცი უბრალო მიზეზზედ რომ ძირით დაარბია საცოდავი, ასე რომ, იმის სახლში დაგლეჯილი ფარდაგიც აღარ გაუშო. აი, ეს ვთქუათ, რევაზ.

რევაზ.

მართალია.

ეღიაზარ.

კიდევ ერთმა კარგმა მებატონემ თავის ყმებსა რამდენჯერმე ფულები რომ შეანერა ერთს წელიწადს და მოკრიფა კიდევც, რამდენმა იმისმა გლეხმა კაცებმა თავისი უკანასკნელი სპილენძეულები გაყიდეს: ბატონს მივცეთ თავისიო, გახსოვს ესეც?

რევაზ.

აგრე იყო, მე ვიცი ეგ კარგათ.

ელიაზარ.

თუთონ ჩემსას ვიტყვი: ცოდუა გამჟღავნებული სჯობიაო. ჩემს გლესს კაცსა ტყუილი ყიშტი მოუდუ, ფული არა მქონდა, დამეხარჯა; სამი ხარი წავართვი, ისინი გავყიდე და ის ფულები ჯიბეში ჩავიჩხრიალე.

რევაზ.

ყოჩალ, კაცო.

ელიაზარ.

მაშ, რა გგონია? – ეხლა სულ ამისთანა დესპოტი შეიქნა საქარ-თუშლოს მეტატონე ყმაზედ. შენკი არ გიქნია ამგუარები?

რევაზ.

რა ვქნა, ვერ დავმაღავ, ბევრი...

ელიაზარ.

ყოჩალ, კაცო. აბა, აგრე არის, რომ სხვს ნაკლებულობას დაინახავს კაცი და თავისასკი ვერა. ახლა ამის შემდგომ, თუ ღმერთი გნამს, ჩუწნი გლესი კაცი ჩუწნთან დარჩეს, კარგი არის?

რევაზ.

ღმერთის წინაშე, ახლა მეც ვხედავ, რომ მართალს ამბობ, მაგრამ იმ სამი მილიონის ფულისასკი ვტყუი?

ელიაზარ.

ვინ არიან კიდევ მაგის დამნაშავე? – კიდევ ზოგიერთი ჩუწნი საბატო კაცის შვილები, იმათ ქნეს ეგა. აბა, ჩვენს მდარეს კაციშვილებს გონება გადაავლე, როგორ იღწვიან ჩუწნი საზოგადოებისათვის ისინი: ის პატროსნები, ის მაგალითები ჩუწნი?

რევაზ.

ეგეც მართალია. ესეც მართალია, რომ ჩუწნი ზოგიერთი საბატო კაცები სულთავისთვის არიან, საზოგადოებისათვისა არაფერი – არაფერი სრულებით.

ელიაზარ.

წარმოიდგინე, ის საბატო კაცები და ზოგი საბატო კაცისშვილები, ერთს უბრალოს უსარგებლოს საქმეზედ ას თუმანს ისე გადაყრიან, ზოგი ამთენს ვალსაც აიღებენ კიდევ ისე გადაყრისთვის, როგორც დამპალს ბზესა გადაჰყრიან, მაშინ, როდესაც რომ ჩვენს საზოგადოს სასარგებლოდ თვალში გროშსაც არ მიაკვრენ იმათ.

რევაზ.

რავქნათ, ძმაო, ბევრი ვაი ვაებაა ჩვენში და არეულდარეულობა.

ელიაზარ.

მაგრამ, რევაზ, ესენი სულ დრომ იცის, – დრომ დაუნდობელმა. ეხლანდელსა დროში ვინც რომ ორპირობით იქცევა და ბევრს გაკეთებულს სიცრუესა იტყვს, ის ბევრს მოგებაში იქნება მხოლოდ თავისთავისათვის. ოლონდ იმ ტყუილსა ვერ მიუხვდნენ, ასე რიგათ კი უნდა მოახერხოს ხოლმე იმან ის ტყუილი ლაპარაკი. ეხლანდელსა დროსა დიდათ ეჯავრება კაი თვისების კარგი მქცევი, კარგი ადამიანები. *(მასუკან ყმანვილსკაცებს მიუბრუნდება.)* ყმანვილო კაცებო, თუმცა ზოგიერთი ახლანდელი განათლებულებიც ამ ახლანდელს დაუნდობელს და სიცრუის დროსა სდევენ მხოლოდ თავის ინტერესისათვის: ბარაქად ყალბო განათლებულებო, მაგრამ, ღვთისგულისათვის, იმისთანა ადამიანებისაგან, ძუწლისა თუ ახლებისაგან, არა ისწავლოთრა, თორემ დაიღუპებით როგორც გონებით, ისე ზნეობითა. მე რა გითხრათ ზოგიერთი ჩემისთანა ხნიანებისა, როგორც იყო ჩუწნ, – ჩუწნი დრო ძალმადურად გავატარეთ, ახლა თქუწნ ხართ ქართუწლების მოწინავე წინ მორბედნი, თქუწნ ყმანვილიკაცნი...

(ის ყმანვილი კაცები ნამოდგებიან, მარჯუწნა ხელს გულზე დაიდებენ და მასუკან ეტყვან.)

ნინიკო და ბესო.

ჩუწნ მაგასა ძლიერად ვგრძნობთ, ეგ არ დაგვაგინყდება ჩუწნ...

(ამ სიტყუასთან მოხუცებული ადამ და იმისი ქალი ბარბარე შემოვლენ.)

ადამ. (ელიაზარს.)

უკაცრავად, ჩემო ელიაზარ, ცოტათ დავიგვიანე *(მასუკან რევაზს და ყმანვილკაცებს.)* მშვიდობა შენი ნახუა, რევაზ და ყმანვილო კაცებო. გთხოვთ, ყუწლანი დაბძანდეთ. *(ყუწლანი დასხდებიან, კიდევ ადამ.)* არა, რევაზ, გულიდგან უნდა ამოვირეცხოთ ჩუწნის ყმების თავისუფლება.

რევაზ.

მეტი რა ღონე გუაქს, იქნება, ოდესმე კარგიც იყოს.

ნინიკო და ბესუა.

უთუოთ, რასაკვრელია, კარგი იქნება.

რევაზ.

ჰო, ღვთისიებო, ნუ დაგვაცლით, სულ აგრე ხართ ეხლანდელი განათლებულები, უფროსებსა აღარ ელით, ერთმანეთსა უთხრათ რამე.

(გაჩუმიდებიან, მაგრამ ღიმილიმებენ.)

(კიდევ.) რევაზ.

აჰა, გაიცინეთ, გაიცინეთ: თქუწნ დიდებულ, ჩუწნ გინებულ,

მითამ ეს მთები ძევს ჩუწნს შუაში თქუწნს ჭკუაშია, განა?

ადამ.

კაცო, დაეხსენ, რას აყუწდრი, ყმანვილები არიან, უნდა გაიცინონ, მაშ, როგორ იქნება?

რევაზ.

ყმანვილები მიწას სჭამენ, მაგათაც ქნან ისა. ერთი შახედეთ, კიდევ იცინიან. *(ამაზედ ყუწლანი საერთოთ გაიცინებენ.)*

(ამდროს რამდენიმე თავადიშვილის ცოლები და თვთონ თავადები შემოვლენ, იმათ შემოსვლაზე ყუწლანი წამოდგებიან და ქალებს ბარბარე მიეგებება.)

ბარბარე.

მშვიდობა თქუწნი ნახუა, მობძანდით, აქ ჩემთან დასხედით.

(მოვლენ, დასხდებიან და თავადები ადამთან.)

თავადები.

კნიაზი ადამ ადღეგრძელოს.

ადამ.

თქუწნც გადღეგრძელოსთ, დაბძანდით, ბატონებო. *(დახსდებიან.)*

(ერთი იმათგანი.) **გერმანოზ.**

კნიაზო ადამ, რალათ გვიბძანებ: აღარ ბატონობა, აღარც შეინჭიმე, აღარც უფლება, აღარც მოდი ბიჭო, აღარც ყმობა. იჰ, არ ვიცო, რა ვქნა, ნუხელის ოლოლსავით მჯდარვარ, სულ გული მიწუხდებოდა.

(ახლა ერთი ქალი.) **მაია.**

იჰ, გენაცუალეთ, ნუხელის კინალამ მოსამსახურები და მუახლები გაგვექცნენ. საჩქაროთ ამ ჩემა ქმარმა, *(გერმანოზედ ჴელს მიიღებს.)* პოლიციას შეატყობინა, იმათ არ გაუშვეს, თორემ უკერძობით დავრჩებოდით, სუფრის გამძლები აღარ გვეყოლებოდა.

ადამ.

ეგ რათ გინდათ, ეხლა ეს არის, ერთის თავადისაგან ბარათი მამივიდა: დავითი ყმების თავისუფლების პროეკტს სწეროსო.

(ერთიანად წამოცვივდებიან ქალნი და კაცნი, იმ ყმანვილებისა და ელიაზარის მეტი.)

როგორ – როგორ თუ სწერს? – ვინა სთხოვა იმას? – რაც მოგვივიდა, სულ იმისგნით.

(მასუკან.) **გერმანოზ.**

ერთიანათ წავიდეთ, სახლიდგან ჩამოვათრიოთ.

მაია.

თუ ღმერთი გნამთ, ნუ შეარჩენთ იმას.

(ადამის მეტი, ელიაზარისა, იმ ყმანვილებისა და ქალებისა, სხ-

უანი სულერთიან დაიძახებენ.)

წავიდეთ, ის ჩუწნი დამლუპავი ვათრიოთ, – კარგათ ვათრიოთ, კარგათ. ყუწლამ შეიტყონ იმის ავკაცობა.

(და სულერთიან გავლენ, ბარბარე და ადამც მეორე ოთახში შევლენ. ისინი რომ გავლენ, ელია ზარ იქვე კარებთან დაიძახებს.)

ელიაზარ.

არა, ეს ყირიშმალები*, სად მიდიან, რაებს შვრებთან? ტუტუც, ტუტუც იარდან. (და გავა.)

(აქ დარჩებიან ის ორი ყმანვილი კაცი, ნინიკო და ბესუა.)

ნინიკო.

ერთი არაფერი იქნება, ბესო, ცოტა მოვიცადოთ აქა.

ბესუა.

მოვიცადოთ, სახლის პატრონები მაინც სხუაგან სანახავათ წავიდნენ. ახლა შეგვიძლიან სწორეთა ვთქუათ, რაც რიგია.

ნინიკო.

ხედავთ ამისთანა ხალხსა?

ბესუა.

ამისთანა გაუგებლებში რა ქნას გონიერმა?

ნინიკო.

სად გაცვივდნენ, სად წავიდნენ? ვილაც დავით არის, თავის სახლში რასაც უნდ, დასწერს, მაგათ რაო, რა საქმე აქუთ? – როცა საზოგადოს წარუდგინოს, ისიც თუ წარუდგენს, მაშინ უთხრან, რაც რიგია, იქნება კარგიც იყოს, ვინ იცის? – ეხლა რასა სულელობენ? – დურაჩიო, დურაჩიო. არა, ძმაო ბესო, ჩუწნ ერთიან სტუდენტებმა და ვინც აქაური გავითარებულნი იყვნენ, ამისთანა ხალხსა ვდიოთ, ჩუწნ ამათ არაფერში ნება არ მივცეთ, თორემ ესენი ჩუწნის ქუწყნის ხალხისთვისა დიდი სავნებელი არიან.

ბესუა.

უთუოთ, უთუოთ აგრე ვქნათ. აი, ეგ კლასია საქართუწლოს უბედურება, ყოველი ავი სულ მაგათგან და მაგისთანებისაგან არის, მინამ ეგ კლასი – ჩუწნს ქუწყანას კარგი არ მოუა. ეგენი რომ რიგიანი კაცნი იყუნენ, სხუა მტერი ჩუწნ ვერას გვიზამს, მაგრამ მაგათი გაუგები ქცევა ბევრრიგათა ავნებს ჩუწნს საზოგადოს. იმათი ხასიათი წამხდარია. განა არ არიან იმათშიაც კარგი კაცნი, კარგი გამძრახუწლნი და ახალი იდიებისანი, მაგრამ რა ქნან იმათ იმ ხასიათ წამხდრებში? მაიცადეთ, მალე დაგძლევეთ, თქუწ წამხდრებო ხასიათით, ჩუწნ ყმანვილი კაცნი. მაშინ?

* ამ სიტყუას ჩემი ხნის კაცნი ხმარობდენ.

(ამდროს ხუთი განათლებული ყმანვილკაცები უეცრათ შემოვ-
ლენ კნიაზ ადამის მნახველი, სადაც გარეთ ბიჭი არ დახვდებათ და
ამათ შემოსძახებენ.)

ყმანვილი კაცები.

მაშინ ჩუწნ ვიქნებით, ისინი სულ არაფერი.

(ამასთან ამასაც იმღერებენ ყუწლანი, ევროპიულს ერთს
რომელსამე ხმაზედ.)

ოჰ, ის დასნი იგი კლასნი,
თავხედები, ბუნბულანი,
ცულლუტები, გაძვერანი,
ავენანი მტანიანი,
ჭორიანი, ჩორიანი,
გუდა ცრუნი, გუდაპლუტნი,
დაუდგრომნი, დაუნდობნი,
მოუსუწნი, მოშურნენი,
ოინბაზნი, ოჰყაბაზნი,
ფიგლიარები, შარლატანები,
მოტრაბახე, მკვეხარანი,
ბაქიანი, ბუქიანი,
კეთილისა მომაჩუწნი,
პედანტები, ეგოისტნი,
და ამასთან ჩვენი ხალხის
გამყიდველნი, დამლუპელნი,
ესეც რომ ვთქუათ: გულით შავნი,
დასრულდება მათი ავნი.

დასრულდა პირუწლი მოქმედება.

ჩქარაკი დამტკიცდა ამ კლასებ ზოგიერთებისგან ეს იმათი
თვსება. ამ 1868-სა წელში (ეს სულერთიან თხზულებაკი 1866-სა
წელში დაინერა.). უმანკო გასათხოვარის ქალის ძალადობით მოტ-
აცება, ის უმზგავსო იმათი ანბები, რომ დედისერთისაგან მამული
შეიძინონ, რომელსაცა სძაგდა მტაცებელი. შემდგომ საჩივრისა, ის
მტაცებელნი თავისთავის გამართლებისთვისა მოქმედებდნენ დღე
და ღამე ყოვლის ღონისძიებითა დაუძინად, რომ როგორმე თვთონ
გამართლებულები გამოვიდნენ სამჯავროდგან უმანკოსა ქალის
მოსაყვნად, ანუ პირდაპირ ვთქუათ, წმინდა პატიოსნების ცოცხ-
ლივ დასამარხად. იმათ ანბებში: რავდენი ბუმბულობა, თავხედობა
არის და სხუანი, რომ იმ უგვანობისაგან გამართლებულები გამოვ-
იდნენ და გამოვიდნენ კიდევც. მერე როგორ? – დღესასწაულობით

(!) ის იმათი ამბები ყუწლა ცხადია.

იმათ იმ ამბებზედ მთელმა დიდპატარა ხალხმა, ვინცკი საქართუწლოში ეს უფიქრელი ამბავი გაიგონეს, ყუწლანი დიდმა მწუხარებამ მოიცო და მწუხარების ჩუმი ლაპარაკი იყო ერთმანეთში, რომ ისე გამოცხადებით, მაღლა ვერა ეძახათარა.

სიყუარულით მოტაცება, სიყუარული დააბრმავებს, გაიტაცებს და ბევრს განსაცდელსაც შეამთხვევს, აქ, რაო, რა ანბია? – სძულდა და უთუოთ უნდა მოეტაცათ მამულისათვს. აი, მხეცობა.

რასაკვირველია, ტყვსთვს ვის რა უკითხამს და აკი არც იმას ჰკითხეს. მაშასადამე, ეშმაკისაგან გავანრული ანგელოზი, ისევ [ჭჳ] ღვთაების ანგელოზი იქნება და ის გამკანწრელი თავის შემწეებით, ისევ ჯოჯოხეთის ეშმაკად დარჩებიან.

ვკი, წმინდა მონამეო საქართუწლოვ, რომ ამისთანა კლასების ხელში იმყოფები.

18-ს ივნისს 1868-სა წელსა

ქ. ტფილისს.

თუმცა, იმ პირველმა სამჯავრომ გაამართლა იმ ბოროტების მოქმედნი, მაგრამ შემდგომებმა ძალიან დასაჯეს და მასუკან ის ქალი გაამართლეს. დიდება და პატივისცემა იმათ, რომლებმაცა გაამართლეს.

მეორე მოქმედება

(ერთი დიდი დარბაზია, აქ კედლის ძირში სკამები დგას გამწკრივებული და ერთს სკამზედ ერთი მოხუცებული დედაკაცი ზის. აქ დარბაზში სტოლიცა დგას.)

ელისაბედ.

რა იქნა ის ჩემი ქმარი, რომ აქამდისინ არ მოვიდა? – დილით გასული, ეხლა თითქმის შუადღეა, არა ჩანს, სად უნდა იყოს, ხომ არა აუტყდარა? – ღმერთო, დაიფარე, მოხუცებულია. სამოცდა ორი წელიწადია ერთათა ვართ ჩუწნის ჯუარის დაწერიდგან აქამდისინ და ღმერთო, კიდევ გუაცოცხლე ისე ტკბილად, როგორც აქამდისინ ვიყავით.

(აქ ამის ქმარი შემოუა ყავარჯნითა.)

გოგია.

ელისაბედ, ბაზარი სულ შემოვიარე, ამისთანა სიძვირე არ გაგონილა, სულ მამასისხლათ არის ყუწლა, ერბო არის – ცხვრის დუმა

ურევია, ყუჭლი არის ძროხისა, სანთლის ქონი არის ღორის ქონი-ანი, რძეს ჰყიდიან ცხვრის ნუჭლას, არ ვიცი, რომელი ერთი უნდა ვთქუა, სულერთიერთმანეთზე ძვირი? – ბაზრის ყურის მგდებელი აღარავინ აღარ არის. აბა, ის დრო გახსომს, ჩემო ელისაბედ? – მეფე ერეკლემ ბაყალნი ყურების ჯიბლიბოთი რომ დაალურსმია მეიდანში ბოძებზედ: ერბოში დუმა გაგირევიათო. და ყმანვილები ტალახ-ნეხვს რომ ესროდენ, აბა, ისე უნდა იყოს ეხლაც და მასუ-კან კიდევ გაბედონ? – რალა ბევრი ვილაპარაკო, სულ ემმაკობაშია ეხლა ხალხი, სულ პლუტობენ ერთიერთმანეთთან.

ელისაბედ.

კიდევ კარგი, შეძლება გუაქუს, თორემ ამთენი ხიზნის პატრონებს გაგვიჭირდებოდა, მაგრამ სანყალნი რას იქმონენ, როგორ ცხოვრებენ?

გოგია.

ჩუჭნი მტერიც ნუ იქნება, რაც ისინი ყოფაში არიან. იმათი ცხოვრება იმასა ჰგავს: ერთი კაცი რომ იყო და ერთი საბანი ჰქონდა, თავზე დაიხურამდა, ბეხებს გარეთ სიცივეში ეყარა და თუ ბეხებზე დაიხურამდა, თავი გადახდილი ჰქონდა – თავზედ სციოდა. იმათ თუ აქუთ სადილათ რა, ვახშმათკი აღარ. ბევრსა პურიც არა.

ელისაბედ.

მაშ, დღეს რა ეშუჭლებათ, იმ ჩუჭნს ღარიბს ორს მეზობლებს, ჩუჭნგნით რომ იკვებებიან? მაშ, ბაზარში არა იყიდერა სადილისთვის დღესა?

გოგია.

როგორ არა, მოჯამაგირეს მიუჭცი, ის ყუჭლას გააკეთებს. არა, ისე ჩუჭნს სიძვირეზედ ვლაპარაკობ.

(ამასთან ამათი შვილები, რძლები და შვილიშვილები შემოცვივდებიან ქალნი და კაცნი.)

ერთიან.

მამავ, დედავ, მოგვილოცავს. *(და კაცები ქუდებს ჰყრიან ჰაერში.)* თავისუფლება, თავისუფლება ჩუჭნი ბატონებიდან.

(გოგია სკამზე დაჯდება და ყავარჯენზედ დაებჯინება. ელისაბედიც გულხელდაკრეფილი სკამზედ დაჯდება, ორივე დაფიქრებულები. ერთი შვილებთავანი.)

პეტრუა.

ჩუჭნს ნამესტნიკს ბატონებისათვის გამოუცხადებია: ჳელმნიფის ნება არის, თქუჭნი ყმები განათავისუფლოთო.

(ამის ცოლი.) **ნინო.**

ვენაცუალე იმას, აგრე უთქუამს?

პეტრუა.

სწორეთ ასე.

(ახლა ამის მეორე ძმა.) გაბრიელა.

შე, ბატონებო, თქუწნგნითკი გავედით.

(ამის ცოლი.) ეფემია.

დღესვე ასე რიგათ მოვირთუჭბი და ჩემი ბატონის სახლის წინა
ჭაეტონით გავივლი, წყნარ-წყნარა, ნელა, რომ უფრო დამინახონ,
თუალები დააჭყიტონ ჩემზე.

(მესამე ძმა.) ნიკოლა.

ნამესტინკიდგან რომ გამოსულან ბატონები, რიგანი ფერი
ალარც ერთსა აღარ ჰქონია იმათ სახეს; მკვდრების ფერით გამო-
სულან. სწორეთ გეტყვთ, მე ისინი მებრალებიან.

(ამის ცოლი.) თინათინ.

მეც ძალიან ვწუხარ იმათთვსა.

(დედმამამა ამათ სიამოვნით შემოხედეს.)

(მეოთხე ძმა.) ჰავლე.

რაო, რაო? – აღარ გახსოვს შენა, ეგ შენი შვილი ემანდ გუჭრდით
რომ გიდგას, რამთენს ვეხუწნენით მთელი სახლობა ჩუწნს ბატონ-
სა და რამთენი შეუჩინეთ, შკოლაში გაგვეზარდა. რავქნათ, დიდათ
მოინდომა მაგან, შვილო, უარი როგორ გუჭთქუა, მაგრამ იმ ჩუწნმა
ბატონმა ფრიადი ქნა: ქუა შეაგდო, თავი შეუშვირა და დღეს აგრე
არის დარჩენილი ეგ ყმანვილი. მაგას გული არაფერზედ აღარ მის-
დის იმის შემდეგ.

(ამის ცოლი.) სარა.

საკურუწლიათქუწნი საქმე, ცოლისა და ქმრისა ც, სუყუწლასთვს
თქუწნა სწუხართ, ყუწლასათვს თქუწნა ტირით.

(სხუა ძმებმა, რძლებმა და შვილიშვილებმა.)

ერთიანათ.

ახლა ჩუწნი დროა, თქუწნი აღარ, ბატონებო: ურა, ურა, ურა.
ძლივს არ მოვრჩით იმათ.

უფროსი პეტრუა.

ილაჯიკი აღარ იყო იმათგან: რავიცი, რას არა გვთხოვდნენ ბა-
ტონები და მიქონდათ კიდევ.

(ამაში მოხუცებული წამოდგება.) გოგია.

ბიჭებო, ბევრს ნუ ყბედობთ, სულ ჩემი შვილები ხართ, უნდა პა-
ტივისმცემდეთ. ხომ იცით, მე და დედა თქუწნსა გუწჯავრება ჩუწნ
ბატონზე ლაპარაკი, მაშ, რალათ ლაპარაკობთ? –

გაბრიელა.

მამავ, როგორ არ ვილაპარაკოთ, ძალიან გუანუხებენ.

გოგია.

რაც რამ ქონება გუაქს, სულ იმათი მონყალეზა არის. გუაქუს და უნდა ვემსახურნეთ. გესმით?

ელისაბედ.

ეგ მაგათ სულ არ იციან.

პეტრუა.

როგორ, იმათი მონყალეზაა შენი შეკრებილი.

გოგია.

გაიგონეთ. ეხლანდელი ჩუწნი ბატონის პაპა მეფეს ერეკლესთან ნავიდა და მეც თან წამიყუანა, მაშინ ვიქნებოდი ათის წლისა. როდისაც შევიდა და ბატონს თავი დაუკრა, მაშინვე მეფემ ჰკითხა: პატარა ბიჭი თევდორეს შვილი მოიყუანე? – მოახსენა: მოვიყუანე, ჩემო ჯელმნიფეო. და ამასთან ერეკლესთან წამაყენეს. იმის წინ დამაჩოქეს, მუხლზე მაკოცინინეს. მასუკან დაიძახა: ვერცხლის თევშით ყიზილბაშის ოქროს შაურები მომიტანეთო სამსე. მოუტანეს, მითხრა ერეკლემ მე: ბატარა ბიჭო გოგიავ, მამა შენმა თევდორემ თავი შემამწირა ერთს დიდს ომში, სადაც სეტყუასავით ტყვია მოდიოდა ჩემზე; იმან ეს რომ დაინახა, მოიჭრა და ამეფარა ჩემწინ ცხენით, მითხრა: მე მოვკვდები, ჩემო ჯელმნიფეო, თქუწ ცოცხალი ბძანდებოდეთო. ეს თქუა, კიდევ მოხვდა ტყვია, რომელიცა ჩემ წინ მოკვდა.

მე ტირილი ამოუშვი, ერეკლესაც ცრემლები მოუვიდა თუალეზში, მაგრამ დამიყუავა, დამაჩუმა. მერე ის ვერცხლის თევში მამცა ოქროს შაურებით სამსე და მასუკან ბატონს ჩემსა უთხრა: თუ გიყუარუარ, ამ ბიჭს კარგათ გაუფრთხილდი, ჩემი ნამსახური კაცის შვილი არისო. აი, ჩემო შვილებო, იმის ლუკმასა ვჭამთ დღესა, იმ მადლიანს ლუკმას, ერეკლემ რომ ოქროს შაურები მიწყალობა და ბატონმა ჩუწნმაც გვისარგებლა და სხუაც ბევრი მოგვცა.

ელისაბედ.

კარგათ გაიგონეთ, კარგათ დაიხსომეთ, რასაც ჩემი ქმარი გეუბნებათ.

პეტრუა.

ნეტავი, მამავ, იმდროს იმისთანა ჭკუა გქონდა, რომ აზნაურობა გეთხოვნა მეფისთვისა, თავის ასის კომლის ყმების სოფლით, რა კარგი რამ იქნებოდა!

(ამის ცოლი.) **ნინო.**

მართლა კარგი იქნებოდა, ერეკლეს საფლავზედ წმინდა სანთელს დავანთებდი.

გაბრიელა.

აი, მაშინ იქნებოდა კარგი, ქუდებჩავიკვეციდით, თავადებში

ვიქნებოდით გარეული მოღერებულისა ყელით.

(ახლა ამის ცოლი.) ეფემია.

ოჰ, რა კარგი რამ იქნებოდა! თავადების ცოლებთანა შევიდოდით, გავიდოდით, მოყვრობაც ხომ გვექნებოდა იმათთან. მაშინ კარტები, აბა, კარტები, აბა, მაშინ ვიზიტები – ვიზიტები. ვეჩერები – ვეჩერები. სიცილსა და სუხარულსა ვილამოსთვლის, იმდენს შექცევასა... ახ!

ნიკოლა.

მაშინ კარგი ვალებიც გუანუშობდა, როგორც ეხლა იმათ ანევეთ.

(ამის ცოლი.) თინათინ.

მერე დასალუპი ვალი, რომლისაგან ველარ გამოდიან, არამც გამოდიან, – უფრო კიდე უმატებენ, სხუშსკი შეჰყურებენ ხელში, გადუხადონ, კარგი არის ესა?

გოგია.

ვაი, თუ ღმერთი გნამსთ, გაათავეთ, მე იმათზე ცუდი ლაპარაკი მეჯავრება: ერთგული გული არ გაორგულებულაო და ორგული გული არ გაერთგულებულაო, ნათქუამია. მე იმათი ვყოფილვარ იმ ჩემის ბატონებისა და ვიქნები კიდეც სიკვდილამდინ, რომელსაცა შვილისავით გაუზრდივარ ჩემს უნინდელს ბატონს და შვილსავითაც ვყოფილვარ იმათთან.

ელისაბედ.

კარგი, გავათაოთ, არც მე მიაგება იმათზე ლაპარაკი, დრო მოვიდა სადილისა, მალლა ზანიშინში მზათ იქნება, წავიდე.

(სულერთიან გავლენ. ესენი რომ გავლენ, ერთი ქალი შემოა რიგიანათ ჩაცმული და ლამაზი.)

სოფიო. *(პეტრუას ქალი.)*

მე სადილი არ მინდა, მითხრეს: სადილათ მოდიო, მაგრამ უარი ვთქვი: ადრე ყუშლი პური ვჭამე, აღარ მშიანმეთქი. ეხლა აქ სჯობია, ამ დარბაზში, პატარა ვინუგემო აქა. რადგან სიყმის შვილი მე ვარ მთელს სახლში, ყუშლას საყუარელიც მე ვარ, გაზდილობაც მეტი მამცეს ჩუშნს სახლში ყუშლაზედ. ისინიციკი კარგათ გაიზარდნენ, ისეკი არა, როგორც მე, მაგრამ მაინც ჰო. იმათ ყუშლას ჩემთვს ბევრი კარგი უნდათ, მთელს სახლს, მაგრამ ახლა ჩემი შესანუხებელი ეს არის, რომ ეხლა მეორეს საქრმოს მირჩევენ ისინი, მარამ მე ის მინდა, ის პაჟარნი, იმას ასე რომ უძახიან, იმ ჩემს ქიტესას.

(ამდროს ქიტესა შევა.)

სოფიო. *(ცოტა დაკვივლებით.)*

ვუი, ქა, გენაცუა, ამ უდროოთ რაგინდა შენ აქა?

ქიტესა.

შენი სულის ჭირიმე, ჩემო სოფიო, შენ აქ გნახე?

სოფიო.

აქა, ჩემო გულო, მაგრამ მითხარ, რათ მოხვედით, რა საქმე გაქუს?

ქიტესა.

მამა ჩემა გამამგზავნა მამაშენთან, სად იქნება ეხლა?

სოფიო.

სადილს სჭამენ ზევით.

ქიტესა.

მამ, მინამ აიღებენ, ვთქუათ რამე, ჩემო ღვიძლო.

სოფიო.

აგრე იყოს, ჩემო ფილტო.

ქიტესა.

ერთი კვირა აღარ მინახავხარ, ველარ მოვიცალე, მოვსულიყავ, რავექნა, სულ სმაში ვარ ჩემ ტოლებში.

სოფიო.

აბა, რავექნა? – დაეხსენი, კარგი, გეყო, ხომ ხედავ, მთელი ჩუწნი სახლი გთხოვენ: პაჟარნობაზედ ჴელი აიღეო, ამთენს სმაზედაო. თორემ ნიშანს გიბრუნებენ უკან, შენ რომ მამიტანე.

ქიტესა.

მე! შენს ნიშანსა მიბრუნებენ! მერე შენა?

სოფიო.

დავჭლექდები, დაიჯერე.

ქიტესა.

სოფიო! მეც თან გამოგყუჭბი.

სოფიო.

მამ, რა გითხრა? – მე ვარ ის ქართუშლი ქალი, რომელმაცა შენი გარყვნილობა მოვითმინო? – როგორც ამას ვერ მოვითმენ, ისე შენს სიყუარულსა ვერ გაუძლებ. დაიბეჭდე გონებაში ესა. მიკვირს შენგნით, რალაც უბრალოს შექცევასა გაჰყოლილხარ, შენს მდიდარს სახლს როგორ ეკადრება, ნამეტნავად იმ პატიოსანს სახლსა?

ქიტესა.

სოფიო, შენმა მზემა, სულ შენს ემხზედა ვსუამ, სულ შენ მე-ბლანდები თუალში. როცა დავლევ იმ წითელსა ღუნოს, იმდროს შენ მოდიხარ, ხელ მაშუშლებ: დალიეო, დალიეო ჩემი სადღეგძელო, მე შენი ვარ, შენ – ჩემიო. ასე მეუბნები ხოლმე. იმდროს, იმ ჟამს რალაც ცეცხლსავითა მეკიდება გულზედ და ის ცეცხლსავითა მოკიდება მეტად მიაჩება და დიდს შუშბას მაძლევს. აი, ჩემი პაჟარნობა სულ ეს არის, სხუა ნურაფერი ნუ გგონია და ნურც გეშინიან მე გავირყ-

უნა. არამც გავირყვნები – იმ ჩემს ამხანაგებსაც კეთილს გზაზედ დავაყენებ, – დავაყენე კიდეც ამიტომ, რომ სულ ერთს დროში ვნ-ერთ ჯუარსა და საქმესაც ერთად შეუდგებით. მოსუწნებით იყავ, ჩემო სოფიო, მოსუწნებით.

სოფიო.

ახ, ჩემო თუაღსაჩინო, ეგ ქკვიანი ენა მკლავს და მადნობს. არა, არა შემამფიცე, ეგენი სულ აღასრულო.

ქიტესა.

დიახ, აგრე იყოს, მაგრამ რაზედ შემოქციცი?

სოფიო.

ამ ჩემს შავ დალალებსა მოგცემ ხელში, ყელზედ შემოვივლე და თქვი: ვისაც ესა თავზედა აქვს, ის მენახოს ეხლა მკვდარი, თუ რომ მე შენ გილალატო და რაც ეხლა მე ვთქვი, თუ არ აღვასრულო.

ქიტესა.

სოფიო, მოდი ენდე ჩემს სიტყასა, ჩემს მართალს გულსა, ჩემს მაგარ ხასიათსა.

სოფიო.

ვერა, – ვერა. აჰა, დალალები.

(გამოართმევს, შემოიხუჭვს ყელზე.)

ქიტესა.

ვისაც ესა, – ეს დალალები თავზედ აქუს, იმან მნახოს მე ქიტესა მკვდარი, თუ...

სოფიო.

არა, აგრე არა, ჩემზედა თქვი.

ქიტესა.

არა, შენ არ, მე თვთონა.

სოფიო.

ღვთვს წყალობა შენა, კარგათ გაიგონე და სიკვდილი მე. – მე შენთვის მოვკვდე.

ქიტესა.

არა, არ იქნება, ღვთის წყალობა შენა და სიკვდილი მე. კარგი, კმარა, რას გაგიჟებულხარ, ქალო, მე მოვსულვარ იმისთვის, რომ ჯერეთ მე თქუწ მოგილოცოთ ბატონიდგან გასვლა, თქუწნი თავ-ისუფლება და მასუკან ამ ერთს კვირაზედ ჯუარს ვინერ შენზე. (სოფიო სიხარულით სახეზე აიტკრიცება, ხმასკი არ ამოიღებს.)

კიდევ ქიტესა.

ნადი, შენს ბიძას ნიკოლას დაუძახე, გამოვიდეს, ეხლა შორი გზიდგან რომ მოვიდა, ის კარგია, კარგი კაცი, შენცკი თან გამოჰყევი ისევ. *(წავა.)*

ქიტესავე.

ღუნოსა სომს ქიტესაო, პაჟარნობსო ქიტესაო. ამას ასე იძახიან. მე არ ვიცი, პაჟარნობა რა ხილია. შევეცდი, რომ ჩემს ტოლებში შევექცევი ხოლმე, მხიარულათ გავატარებთ დროსა, უცოდუწლად, ღმერთის უწყინად. ამასაცა ჩქარა დავთმობ ჩემი სოფიოს გული-სათვსა.

(სოფიოს ბიძა და თვითონ სოფიო მოვლენ.)

ნიკოლა.

ჩემო ქიტეს, მამილოცავს, ჩემს ძმისნულზედ დანიშნულხარ, ეგ წადილი ჩემი იყო. მე შენ გიცნობ კარგათ, მაგრამ შენ და სოფიო ერთათ რომ იყავით ორნი მარტო, კარგი არის, შეგვეფერება ჩუწნესა?

ქიტესა.

ნიშანი რომ მოუტანე სოფიოსა, მაშინ ვთხოვე თქუწნს სახლობას, მევლო მე ამასთან და დავდივარ იმათისა ნებით.

ნიკოლა.

სწორეთ გულხადარა ლეკი ხარ შენ: ვორიჭამე, ვორიჭამე. *(ქუდ-მოუხდის აქეთიქით გაქნევითა და მასუკან დაიხურამს.)*

ქიტესა.

ეხლა რუსობაა, თუ ფშატფშუტიანს ხაბარდასა შემოიკვრენ ჩუწნი ქალები და ორს არშინს ადგილს დაიჭერენ იმათი გაფუება, თუ კარსეგით გაიწურვენ ნელსა და სხუა კიდევ... სულ სანყენი ღმერთისა, მამ, ცოდვას, ვნახო ხოლმე ეს უმანკო წმინდა ქალი, ჩემი ბედნიერება ეს?

ნიკოლა.

მოდი, პაჟარნი დაუძახონ ამას: გესმის, სოფო? – *(სოფიო განითლდება.)* ეგ დიას კარგი, მაგრამ ახლა მე რისთვის დამიძახე, ქიტეს?

ქიტესა.

ბატონიდგან გასვლა მოგილოცოთ.

ნიკოლა.

კარგი, შენ მაგიერ ვეტყვი ჩუწნებს. მამაშენი რაღას ამბობს მაგაზედ?

ქიტესა.

დიდათ უხარიან, ამბობს: დაუდგაო ჩემს ბატონსა თუალი, არა, მეტი რა უნდოდაო? – ჩემი თავის გამოხსნისა შვიდასი თუმანი გაუგზავნე, არ იქნება, არა ქნაო, ათას მთხოვდა. ეხლა მამყულს აღარ მივცემ. მეკი მინდა, მისცეს; გუაქუს და რატომ არა, დაგვლოცს, კარგი არის, მაგრამ არა შვრება: მე იმისგნით ბევრი ავი მახსოვსო. აი, ესეც, აჰა, მხარი დაინახე, თუ ვტყუიო? – გადინია, მხარი დაუნახე ბატონისგან კეტდაკრული, ამ ოთხისა წლისა წინათ

და მარცხენა მხარი დაუშავდა, რისთვის? – ტყუილი ყიშტის მოგონებისთვისა, ას თუმნამდინ გამოართო და სხუა ასსაც სთხოვდა. ბოლოს ისიც მისცა, მეტი ღონე რომ არა ჰქონდა.

ნიკოლა.

კარგი მებატონე კარგი არის და ცუდი მებატონე ღმერთმა შეინახოს. იმათ სულ არ ესმისთ, რას შვრებიან თავიანთის გაუფე-ბლობისაგამო.

ქიტესა.

აფსუს, რომა ბატონია ისა და შენ გლეხი.

ნიკოლა.

ყური დამიგდე, აი, რა ვთქუა? – ბატონების გლეხი კაცნი უფრო ვტყუით ჩუწნს ბატონებთან, მინამ ბატონები ჩუწნთან: პირუჭლათ ეს დროება რომ მომხდარა საქართუჭლოში, მაშინათვე გაორგულე-ბულან ჩუწნი ბატონების გლეხი კაცნი ბატონებზედ, ანუ უფრო სწორეთა ვთქვათ, რომ გაუორგულებიათ დაფარულსა ბოროტება-სა; იმდროს თურმე გლეხმა კაცმა გაინია, ბევრსაც გასვლა მოენ-დომებინა ბატონიდგან და ამაზედ ერთმანეთში შექნილიყო და-ვადარადები, იქამდისინ, რომა ამით ძალიან შეენუხათ ბატონები და ჩაეგდოთ ხარჯში. ამას მოჰყოლოდა ერთმანეთის მტრობა და ამისგნით ბატონებიც ძალადობას უშვრებოდნენ ყმებსა. ჰკითხე ერთხელ მამა ჩემსა, ის მომსწრია და ისიც ასე გეტყვს, კიდევ ბევრ-სა სხუასაც...

(ქიტესა ძალიან დაფიქრდება. კიდევ ნიკოლა.)

ნიკოლა.

რას დაფიქრდი, ქიტეს?

ქიტესა. *(ამოოხრებით.)*

ახლაკი ვიცო, ყუჭლას ვხედავ...

ნიკოლა.

მაშ, ახლა სხუ თქვი, საქმე რამე, ქიტეს?

ქიტესა. *(გამხიარულებული.)*

რალა რავთქუა, ჯუარს ვინერ ერთს კვირაზე. სოფო, იცინე, გაიხარე. *(სოფო ტუჩებზე ხელსახოცს მიიფარებს)*

ნიკოლა.

აი, ჭკვიანი კარგი საქმე.

ქიტესა.

მაგრამ ერთს რასმე გთხოვთ?

ნიკოლა.

ვიცი, ჭკვიანი ხარ, უთუოთ კარგსა რასმე.

ქიტესა.

ჩემს რუას ამხანაგებს კარგათ იცნობთ, იმ ჩემს ამონებსა. იმა-

თი დანიშნულები რომ არიან, სოფიომ დაპატიჟოს ჩაიზედ და იმდროს ჩუშნც აქ მოვალთ. დრო მოვიდა, ევროპიელები უნდა გავხედეთ, ამით ბევრს კარგს შევიმატებთ.

ნიკოლა.

მეც ეგრე ვხედავ, რომ ევროპიელების ჭკუა უნდა შემოვიდეს ჩუშნში, აუცილებელი უნდა იყოს ესა, და რავდენიც ჩქარა შემოვიდეს, უფრო კარგი იქნება. ახლა ამას თავი დავანებოდ, მართლა მოვემზადნეთ თქუშნ ქორნილისთვის?

ქიტესა.

დიახ, უთუოთ მოვემზადნეთ. ჩემო სოფო, შენც თქვ რამე. *(ხელცახოს მიფარებით გაიცინებს.)*

ნიკოლა.

ჩაიც ხუალ იქნება სალამოზე, ყუშლას გელით, ქიტეს. *(წავა ქიტესა.)*

(კიდევ.) **ნიკოლა.**

ჩუშნც წავიდეთ, სოფო, ქორნილისთვის მოვემზადნეთ და ხუალ ჩაისთვისაც. *(გავლენ.)*

(ამდროს ამ სახლეულობის ბატონი გაჯავრებით მოდის ძახილითა, უკანაც ერთი ჩინოვნიკი მოსდევს და ორიც იასაულები.)

თავადი ბეჟან.

აი, პაველ პეტროვიჩ, ამ სახლისშვილი გახლავსთ ისა.

(ზემსკის ჩინოვნიკი.) **პაველ პეტროვიჩი.**

ეი, ბიჭო, ბიჭო. არა ვინა ხართ, გამოდით აქ, ბიჭო, უთაურო და დაუდევნელო ქართუშლებო, არ გესმით? – დრო არის, გაიღვიძოთ, რეკა არის, გაიგონეთ. ეკლესიებში ზარების რეკაც აღარ ესმით, გაგონილა? – ქუშყანა იძვრის, ირყევა, თუალი გაახილეთ – გაახილეთ, დაინახეთ. რალა გაახილონ? – თავიანთის ჩუშულები-სამებრ, ეტყობათ, რომ კარგათ გამაძლარან სადილით, კარგათ მიბრუჟულან ჩუშნის წითელის ღვნით და მიწოლილან, ხვრინვენ, აბა, რილას რეკას გაიგონებენ ეხლა ისინი?

ზარბაზნებიც რომ გაუცალონ იმათ თავზე, იმასაც ველარ გაიგონებენ, ასე რიგათ სძინავთ. აბა, როდემდისინ უნდა ვიყო მე აქ? – ამ ჩემს მშიერს მუცელსკი აღარ ჰკითხუშნ, ეს ორი დღეა, არა მიჭამიარა, სამსახურში დავწრნი. აცა, მაიცადეთ, რითაც გავალვიძო, ეხ[ლა] დაინახამთ ან უბრალოს ტყუილითა, თორემ ჯერეთ დიდს საქმესა და სწორესა ვერა ხედვენ ქართუშლები: ეი, ქართუშლებო, თქუშნს სახლს ცეცხლი ეკიდება, არ იქნა წყალი, წყალი, ჩქარა, ჩქარა.

(წამძინარევი მთელი სახლობა, ქალი და კაცი, შემოცვივდებიან, ზოგი კოკებით, ზოგი თუნგებით, ზოგი ლიტრებით, ზოგი რით

და რითა. გოგონასა და ელისაბედისა გარდა და ჩქარა იძახიან.)

მთელი სახლობა.

აბა, სად ეკიდება ცეცხლი? – აბა, სად ეკიდება? – გვითხარით, გვითხარით!

პაველ პეტროვიჩი. (იქით მხარეს.)

ქართულებს ჰანგებიკი კარგათ ვიცი, რითაც გავაფიცხო მე ესენი. აკი ვთქვი, რომ ჯერეთ დიდს სწორეს საქმეს ვერა ხედუწმ-მეთქი. (მასუკან იმ სახლეულობას მოუბრუნდება, თქუწ ასეთებო და თქუწ ისეთებო. სახლის ცეცხლის მოკიდებაზეკი გამოცვივდით ამ ტყუილის სიტყუწბითა და მთავრობის ბძანებასკი არას დასდევთ განა? – სულერთიან არისტანტების სახლში ჩავსხამთ.)

ნიკოლა.

რა შეგცოდეთ, რა განყინეთ, ჩინოვნიკო?

პაველ პეტროვიჩი. (ბეჟანისკენ.)

ეს ის არის მოყაყანე შენზედ?

ბეჟან.

არა, ეგ კარგია, აი, ესა. (გაბრიელაზედ ჯელს მიიღებს.)

პაველ პეტროვიჩი. (იასაულეებს.)

დაიჭირეთ ეგა. (მისცვივდებიან დაიჭერენ.)

ეფემია. (გაბრიელას ცოლი პირის ჩამოფხოჭნით.)

ქა, გენაცუა, რას ემართლებით, რა დააშავა მაგან?

პავ. პეტ.

შენ ვინა ხარ, ქალო?

ნიკოლა.

მაგის ცოლი გახლავსთ, ჩემი რძალი.

პაველ პეტროვიჩი. (სხუა მხარეს.)

მართლა ლამაზიკი არის, მოსანონი. ამის შავი თუალები, იკ, რა კარგია. რავექნა, უცოლშვილოს უნდა მომეტეოს ქალის მონონება, მაგრამ ისეე სჯობს, რომ დავჩუმდე, თორემ ჩემს ბძანებლობას აღარას დასდევენ და კარგათაც მიმტყუებენ ესენი: (მასუკან ეფემიასაკენ.) ქალო, შენი საქმე სულ არარის, გთხოვ, გაბძანდე აქედგან. (გავა. ამ დროს გოგონა და იმის ცოლი შემოვლენ.)

გოგონა. (ბატონს.)

ბატონს ჩემს გაუმარჯოს. (ამის ცოლიც თავს დაუკრამს.)

ბეჟან.

ღმერთმა გაგიმარჯოს, ჩემო მოჭირნახულე გოგიავ.

გოგონა.

რა დააშავა გაბრიელამ, დაგიჭერინებიათ?

ბეჟან.

ხალხში ულანძღვივარ, ბევრი ავი უთქუამს ჩემზე. რალა გინ-

დათ, რალათ ილანძღებთ: თავის-უფლებათ. ესეც თქუწნი თავ-ისუფლება, სხუა რალა გინდათ კიდეც? – სულიც ამოგვხადონ ბატონებსა, ესეც გინდათ?

ელისაბედ.

უწინამდღე სული დამელიოს, მინამ მე ეგ გულში გამიაროს.

გოგია. *(გულს გაღინევეს აჩუშნებს.)*

მე მამაშენთან ერთად შესდილს ძმასავითა, მე მამიშენის წინა ტყუა მამხვდა, აი, ამ მარჯვენა მკერდში იმის სიცოცხლისთვის, იმ დროს, როდისაც რომ მეფე ერეკლემ ყარაიზის მინდორზედ გაიმარჯუა დიდს ლეკის ჯარზედ და გაფანტა, როგორც შავარდენმა გუნდი ტრედი. ახლა მე ეს მსხუწრპლი შენის ოჯახისა *(ხელს დაიდებს დაჭრილობაზე.)* უნდა მე ვგმო, ეს ჩემი სისხლი მამიშენისთვისა დანთხეული? – ღმერთო, მამკალ, მინამ მე ვიფიქრო ესა.

(ბეუან ატირდება, ხელცახოცს თუალეებზე მიიფარებს.)

პავ. პეტ. *(სხუა მხარეს.)*

სუ, ხედავ? – ესენი კიდეც რიგდებიან და მე მშიერის ჩემი შემბრალებელიკი არავინ არის, რალა უნდა მერგოს მე აქედგან? – *(მასუკან გოგიასთან მივა, ჩუმათ ეტყვს.)* აბა, მე რას მამცემ, შენი შვილი გამოვიხსნა?

გოგია.

არ ვიცი, რასა მთხოვ? –

(პაველ პეტროვიჩი მარჯუშნას ხელის თითებით და ცერის ერთმანეთზე წასმით რამდენჯერმე აჩუშნებს ამ სიტყვით.)

ფულები, ფულები, ჯოჯოხეთის კარების გამღები, იმის ვარსკვლავი მნათობი! გაიგონე, ბერო კაცო.

გოგია.

რა გაიგონე? – წადი, დაიკარგე, გინდა, სული წავინყმინდო?

პავ. პეტრ.

გამოყრუებულა ბერი კაცი. ეტყობა ამის თავში ჩინოვნიკენს არავის არ გაუვლია. *(მასუკან პეტრუასთან მივა.)* შენ ვილა ხარ?

პეტრუა.

ამ დაჭერილის ძმა გახლავარ.

პავ. პეტ.

უფროსი ხარ შენა?

პეტრუა.

დიახ, შეინჭიმე.

პავ. პეტ. *(სხუა მხარეს.)*

ჰო, ეს კარგია. *(მერე დაბლა ეტყვს.)* მე რომ ეს შენი ძმა გამოვიხსნა, კარგათ მამცემ? –

პეტრუა. *(ორსავხელებით დაანახულებს.)*

აი, ასე კარგათ, – კარგათ ავკიდებ და ისე გაგისტუმრებ.

პავ. პეტ. *(ხელს დაუჭერს პეტრუას ცალკე გაიყუანს.)*

არა, სად გაზდილხარ შენა? – აკიდება რა სიტყუაა? – დიდყურაანთ შვილი გგონივარ, თუ? –

პეტრუა.

არა, შეინჭიმე, ისე დაფარვით მოგახსენე, რომ ეჭვი არავინ არ მოიტანოს, ქრთამს გაძლევ.

პავ. პეტ.

ჰო, ხედავ, როგორი გამოცდილი ყოფილხარ შენ. აბა, როდის მამცემ და რა ერთს? –

პეტრუა.

როდის მოგცემ? – *(პატარა დაფიქრდება.)* ხუალ დილაზედ და ოთხს ჯორის ნალსა თვთონ მე მოგაკრამ თქუწნს სახლში.

პავ. პეტ.

შეპირუტყო, კიდევ გასულელდი, კიდევა თქვი სიბრიყვე?

პეტრუა.

ოთხი მანათი, ოთხი ჯორის ნალი გახლავს, ბევრი გლეხიკაცი იტყვს ამას ასე. კიდევ მეტი გინდათ?

პავ. პეტროვიჩი.

ჰოო, ეგ ყოფილა ჯორის ნალი? – ამის მეტათ არ გამიგონია. კარგი, კმარა, მამიტანე, მამაკარი.

პეტრუა.

დიახ, შეინჭიმე, კარგათ დაგჭედ, რიგიანათ.

პავ. პეტ. *(იცინის.)*

ხა, ხა, ხა. რამასხარა ყოფილა ეს.

პეტრუა.

როდისაც რომ თქუწნისთანა ჩინოვნიკსა ჩუწნი გლეხი კაცი კარგათ მოინდომებს იმის მამადრიელებას, ამ სიტყუასა ასე ვიტყვთ ხოლმე: კარგათ დაგჭედთ.

პავ. პეტ.

ჯანი ნაგივიდეს, რაც გინდა, თქვი, ოღონდ მოიტანე, რაც დამპირდი.

(პაველ პეტროვიჩი იქით წავა და პეტრუა აქეთ.)

პეტრუა.

ცეცხლი უნდა მოგიტანო შენა, ფულიკი არ. ეს ამკლებნი ჩუწნი, ეს ჩინოვნიკები, სწორეთ ცხენის წურბელებსა ჰგუანან. არამც ჩუწნი ქონება, – ტყნით უნდათ გამოგვწოვონამათ, მაგრამ რავექნათ, მოდი წურას მისცემ? – მასუკან ტყუილს ყიშტებს მამიდებენ, დამიჭერენ, ტუსალანაში ჩამაგდენ, მოდი, მაშინ მოითმინე ამისთანა

უსამართლოება? – სად იჩივლებ, ვისთან? – ვისთანაც მიხვალ, კიდევე შენ გაგამტყუნებენ. ბატონთან მაინც მიხვიდოდი, შეეხუწნებოდი, სთხოვდი, ამათთან რომ ესეც არ შეიძლება, სულ ესენი ამას ჩაგვძახიან ყურში: დავაი და დავაიო. მერე როგორ? – ლანძღვით, გინებითა. მეტირაჩარა მაქუს, უნდა მივცე, რაც დავპირდი ამ უსვინიდიდოს, თორემ ადიდაში გამამატარებენ. *(ჩინოვნიკზე ანიშნებს.)*

(ამის შემდეგ პავ. პეტ. ბეჟანთან მოვა.)

პავ. პეტ.

კნიაზო ბეჟან, კარგათ მიცნობთ, მამა ჩემი რუსი იყო, დედა ჩემიც ქართველის ქალი გახლდათ: უკანონოს შვილობასკი ნუ დამნამებთ, სწორე შვილი ვიყავ მე იმათი იმავ ყმანვილობით, კარგათ იცით, ქართულლებში ვიმყოფები, ამიტომ მე უნდა დამიჯეროთ, აპატიეთ ამას თავის რეგულრობა, თქუწნი ნამსახური კაცის შვილი გახლავსთ თქუწნი გაბრიელა.

ბეჟან.

მიპატიებია თქუწნთვს და ჩემის მოჭინახულის გოგიასთვს.

(ცალკე.) **პავ. პეტ.**

მალეკი დავარბილე კნიაზი ბეჟენ, კარგათაც ქნა. მართალია, მოსაჩუწნათ ნავიყუანდი გაბრიელას, მითამ დავიჭირე, მაგრამ გზიდგან გაუშუწბდი. რა ვქნა, ჩემი რა ბრალია, ქრთამი ძლიერია. თუ არა და: ხმელი კოვზი ტუჩებს ხევსო. მარტო მე არა ვარ ამაში. მე რა? – ოთხი ჯორის ნალი რა გახდება? – აი, პარკებით რომ აიღებენ ხოლმე: ოქროს ფულებს ცალკე, ვერცხლის ფულებს ცალკე და დეპოზიტს ცალკე, აი, კარგი კუში, თუ არა და ოთხი ჯორის ნალი მასხარობა არის, მაგრამ მაინც რაც იყოს, ჩემისთანა კაცისთვსა კარგი არის. მასუკან თუ იჩივლებს ბეჟან, ისიც თუ გაბედავს ჩივილს, მაშინაც სულ არაფერი. იჩივლებდა ჩემზე ჩემს ნაჩაღნიკთან, ანუ სადაც სულერთია. აბა, თხას თხა ურჩენია ას პირსაო ცხუარსა. ვინ რას მიართმევდა, ბევრის თანხა ტყუილებით გაბერილა, მოვიდოდა შინა და იმ სიცრუებით ტკბილად მიეძინებოდა: როგორც გემრიელად დამთვრალს კაცსა კახურისა ღვინით. აი, ჩუწნი პოლეტიკა ჩუწნი ჩინოვნიკობისა. რა ვქნათ, თუ ჩუწნი ასე არ ვიქცევით, ლუკმა გაგვინყდება, მშიერი მოვკვდებით, ვის მივადგეთ მაშინ კარზედ სამსახურიდგან გაგდებული ჩინოვნიკი ჩუწნის უფროსებისაგან? –

(ამას იტყვს და გაბრიელასთან მოვა.)

(კიდევე.) **პავ. პეტ.**

გესმის, გაბრიელავ? – თუ კიდევე გაგიბედავს კნიაზ ბეჟანზედ ლაპარაკი, ციხეში დაგალპობენ. გაუფრთხილდი შენს თავბერას

თავსა და შენს სახლსა. *(კიდევ ცალკე.)* ახლა დროა, გავეშურო ჩემს უფროსთან, მელის. რაც ერთს კვირაში ფული ვიშოვე, ბევრია თუ ცოტა, მე და ის შუაზედ გავიყოფთ, ბოლოს ისიც სხუას გაუყოფს, ისიც კიდევ სხუასა: ჩუწნი ქრთამი სწორეთ უკიანეს ზღუასა ჰგამს, ქუწყანას რომ უფლის გარსა. ჩუწნი ქრთამიც ისე მიდის, მოდის.

(და კიდევ გავა. ის რომ გავა, ბეჟანის ძმები ყმანვილკაცები შემოცვივდებიან, ერთი სტუდენტი და მეორე ტფილისის ღიმნაზიაში გაზდილი, გაჯავრებით ბეჟანთან მოვლენ.)

სტუდენტი.

პოლიციის ჩინოვნიკსა რა უნდოდა ამათთან?

ღიმნაზიაში გაზდილი.

კეთილი და პატიოსანი, ეს სახლობა რათ დააწიოკებინე?

ბეჟან.

თქუწნ რომ სახლში არ იყავით, თქუწნ ვინ გითხრათ?

სტუდენტი.

დედამ გვითხრა, ეხლა შინ რომ მოვედით: პოლიციის ჩინოვნიკი წაიყუნა თქუწნმა ძმამ ბეჟანმაო, მიეშველეთ თქუწნს გოგიას, თორემ იმის სახლობას დააწიოკებენო.

ბეჟან.

იმ დედა ჩუწნს კიდევ მამი ჩუწნის ძუწლი ხასიათი, იმისი ჭკუა მოსდევს, აბა რა ვთქუა? დედა ჩემი – ჩემი მოლაღატი არის, ესეც ჩემი ძმები და მოდი ქუწყანაში იცხოვრე, ბეჟან. ვაი, ვაი, საქართუწლოვ, დალუპულო.

სტუდენტი.

როგორ, საქართუწლოვ, დალუპულო? – გვითხარ ჩქარა, იმი-სთქსა დავიხოცნეთ ჩუწნა.

ღიმნაზიაში გაზდილი.

ღვთის გულისთქს, ჩქარა გვითხარ, რა მომხდარა, ლუკმა ლუკ-მა დავიკუნებით ჩუწნის ქუწყნისთქსა.

ბეჟან.

მეტი რაღა, ამ საძაგელის გაბრიელასაგან უნდა გავილანძლო? – მერე სადა? შეყრილს ხალხში ულანძღვივარ ბაზარში.

სტუდენტი და ღიმნ. გაზდილი.

მოდი, ამისთანა კაცსა პატივიეც, ანუ შეიყუარე?

სტუდენტი.

მართალია თქმილი: შეგნებულ კაცთან ომი სჯობიაო შეუ-გნებელთან მეგობრობასაო.

ღიმ. გაზ.

ბეჟან, წამო, კარგი. წამო, ჩუწნ გვრცხვენიან შენ მაგიერ.

(ადგება და ესეც ამათთან წავა, მავრამ მაინც ამას იტყვს.)

ბეჟან.

საიდგან რა გაგვიჩნდნენ ეს წყეულები: განათლებულებიკი არა, დაბნელებულები, რომელთაცა არა სწამთრა არაფერი და ამათგან რა იქნება კარგი?

(და წავა, სტუდენტი და ლიმნ. გაზ. მობრუნდებიან.)

სტუდენტი.

გაბრიელავ, ნუ ინაღვლი, რაც შეგეძლოს გვლანძღე ჩუწნა, მე სტუდენტი და ლიმნაზიაში გაზდილი ეს ჩემი ძმა, ოღონდ ბეჟანს დაეხსენ, იმის გონება მაგვარებს ვერ აიტანს.

ლიმ. გაზ.

სულ არ გუწწყინება, ჭეშმარიტად, უკან ბევრს რასმე იტყვს კაცი კაცზე, ფიქრი ნუ გაქუს, რაც პირზედ მოგადგეს, გაბედვით თქვი ჩუწნზედ. *(წავლენ.)*

ნიკოლა.

ჰაი, ჰაი, გაზდილობავ!.. ამ სიტყუწბს მერჩივნა, რომ წელიწადი ციხეში დავესვით მე. მაგრამ გაბრიელას უსწავლელსა თავში სულ არ შევა ესეები. მაგან სწავლა ვერა გამოიტანარა ვერაფერი, ეგეც იმ გაუზდეღს ჩუწნს ბატონს ბეჟანსა ჰგავს.

გოგია.

ბიჭო, გაბრიელავ, რატომ არ დააყენებ მაგ მჭვარტლიანს ენას, შე ავკაცო?

ელისაბედ.

კედელს ცერცვი შეაყარე, რა დადგება ზედა? – განა მაგის თავში შევა ეგენი?

გოგია.

ნუ შევა და მაგის საქმეს ნახამ. თუ რომ არდაიშლის, მაგასა და მაგის ცოლსა ბარგს ავკიდებთ.

ელისაბედ.

გაგყრით ჩუწნის სახლიდგან, დაიჯერეთ.

გაბრიელა.

რავქნა, მამავ, დედავ, ღვწომ მიყო, დალეული ვიყავ.

გოგია.

ღვწომიკი ნუ ჩაიკლავ ჭკუასა, ღვწო ჭკუაში ჩაკალ. აი, ასე ვიყავ მე ყმანვილკაცობაში.

ელისაბედ.

შენთან? – შენთან მოუცდებათ შენს შვილებსა. იიი, დაიკარგენ ეგ ფინთები.

(ამ სიტყუასთან მთელი სახლობა დაეხვევინ.)

მამავ, დედავ, აპატიეთ გაბრიელას, თქუწნი ჭირიმე, აპატიეთ, აღარ იტყვს, პირობას სდებს.

გოგია.

კარგი, გვიპატიებია.

ელისაბედ.

გული ნულარ შეგვიწახე, კარგი, ვაპატიეთ.

(გაბრიელაც იმათ ხელზე აკოცებს.)

გოგია.

ახლა გაიგონეთ. ვინძლო, ყუჭლამ კარგათ მოამზადოთ სოფოს ქორნილი, ჩაიც ხუალ იქნება, ბიჭო ნიკოლ?

ნიკოლა.

დიახ, მამავ, ხუალის სალამოზედ და ქორნილსაც კარგს გადვიხდით სოფოსას, კარგს მზითევსაც მივცემთ, მზათაცა გუაქვს.

გოგია.

ვიცი, იმედი მაქუს თქუწნენით. მაშ, ნავიდეთ, თადარიკსა შეუდექით.

(სულერთიან გავლენ. ისინი რომ გავლენ, სოფიო მორთული შემოვა და იტყვს.)

სოფიო.

სიამოვნეს, ბედნიერებასა ელის ჩემი გული, – ელის ჩქარაც. ეხლა სადაც არის, ჩემი ტოლი ქალები მოვლენ ჩემთან ჩაიზედ, რა უცხოთ შევექცევით. მაგრამ ის გიჟები ჩუწნი საქრმოები, როდისაც რომ გავლენ, არეულ-დარეულობასა მოახდენენ, ბევრს კი გუაცინებენ.

(ამდროს მუა მორთული ყმანვილი ქალები, შემოვლენ, მეცხრე სოფიო იმათ მიეგებება. სოფიო იმათ და ისინი ამას აკოცებენ.)

სოფიო.

ჩემო საყუარელო დანო, ეხლა ეს დარბაზი ჩუწნია, აქ აღარავინ აღარ შემოვა, ერთი მოახლის მეტი, გუწმსახუროს და ბოლო დროს ჩუწნი საქრმოები მოვლენ, აბა, მინამ ისინი მოვიდოდნენ, ჩუწნთუს კარგათ გავატაროთ დრო.

(ერთი იმათგანი.) **თალალა.**

ქა, გენაცუა, იმათ რა უნდათ აქ? – შენ ხომ იცი ჩუწნი წესი, მინამ ჯუარს არ დავინერთ, ვერა ვნახამთ იმათ. ეხლავ ნავალთ შინა.

ერთიანათ.

ეხლავ, ეხლავ ნავალთ, არა, არ იქნება.

სოფიო.

კარგი, კარგი. კიდევ გიხარინათ. *(სიცილს მოჰყუწრებიან ერთიანათ.)*

(მერე.) **თალალა.**

მერე ჩუწნმა დედამამებმა რომ შეიტყონ, მაშინ რა ვქნათ? – შენ ხომ იცი, ძუწლს ჩუწულებას ისინი არა ჰკარგუნენ: რაც არ ექნას

მამაშენსაო, ნურც შენ დახევე მარმაშებსაო. ისინი სულ ამას ამბობენ და [მის..ეუწნ] ამას: მამას არ უქნია, პაპასაო. ისინი ამაზედ დგანან, ასე რომ, სტაქანს ვერ ვიპოვით იმათ სახლში, მამაპაპურათ (ჯამებით) სმენ წყალსა და ან ლიტრით: არა ვისი არა გვინდარაო. აი, ჩუწნი გლეხი კაცნი.

სოფიო.

ჩუწნი კაცები ჩუწნს უფროსებს ზედ რომ შეჰყურებენ და ჩაგრულის მონებითა და ჰქელვენ ფეხქვეშ იმ ჩვენს კაცებს ის უფროსნი, აბა, აქედგან აღარ უნდათ გამოვიდეთ, არა ვისწავლოთ ნამეტნავად ეხლა ყმების თავისუფლებაზე? – სულ დრომ იცის თავის საქმე, საიდგან როგორ დაინყოს თავის რიგით: ჟამნი მეფობენ. მაშ, ჩუწნც მივყვნეთ ამას.

თალალა.

მთელი სახლი სულ აგეთი გონიერი როგორა ხართ?

სოფიო.

ეს სულ სწავლამ იცის, ჩემო დებო. ჩუწნს პაპას გოგიას, იმ თავითვე ასე დაუნახამს: ჩემ შვილებს კარგი სწავლა მივცე, კარგათ გაიზარდნენო. ეს იქიდგან მოდის ჩუწნს სახლში.

მოახლე. (შემოვა, ფინჯნებით ფადნოზე ჩაი მოაქუს.)

ჩაის დროა, არ მიირთმევთ?

სოფიო.

მოიტანე, სჯობია, რომ ჩქარა მოვრჩეთ.

(ყუწლანი აიღებენ, თან სმნენ, თანამბობენ.)

მოახლე.

რაო, რისთვის, რათ ეშურებით?

სოფიო.

განა შენ არ იცი, რისთვის, ისინი სადაც არის მოვლენ.

მოახლე.

ეხლა ეს არის, ამბავი მოუვიდათ ჩუწნებს, თქუწნი საქმროები სადღაც დაკარგულან, ეძებენ და ველარ უპოვნიათ.

ერთიანათ.

ქა, გენაცუა, ქა, გენაცუა, ეს რა გავიგონეთ?

მოახლე.

ესეცა თქუწს, თურმე ჳელს იღებენ თქუწნზე.

ერთიანათ.

ახ! ის პაჟარნები.

(მასუკან.) **სოფიო.**

ჩემო დებო, მე დაეჭლექდები.

(მეორე.) **თალალა.**

მეც აგრე დავდნები.

მესამე.

მე ცეცხლსავით დავნაცრდები.

მეოთხე.

მეც ჩქარა დავმინდები.

მეხუთე.

მეკი გავგიჟდები.

მეექვსე.

მე წყალში ჩავარდები.

მეშვიდა.

მე ტყეში გავარდები.

მერვე.

მეც შენ გამოგყუჭბი.

მეცხრე.

აქ ნუ გამიშვებთ, თქუჴთან მოგკვდები.

(ჩაის დალევენ და ფინჯნებს სტოლზე დასდგმენ.)

მოახლე.

ცუნცრუკებო, ცუნცრუკებო, თქუჴნ მოიკლავთ თავსა?

ერთიანათ.

სწორეთ ჩუჴნ, პირობა გუაქვს დადებული.

მოახლე.

ბაქიობა, ტრაბახა არის ეგა.

ერთიანათ.

დედმამასა ვფიცამთ, მართალს ვამბობთ.

მოახლე.

იიი, ძალიან ტყუით, თქუჴნმა მზემა.

ერთიანათ.

შენმამზემ და შენის თავის მზემა. იმ ღმერთს ვფიცავთ. ნურც ეხლა დაიჯერებ.

(ამდროს გარედგან ხმა მოისმის.)

ხმა.

აქეთ, აქეთკენ მობძანდით.

მოახლე.

აბა, ახლაც მოიკალით თავი?

ერთიანათ. *(სიხარულით.)*

სასაცილოვ, სასაცილოვ, შენ სულ აგრე ხუმრობ. რათ გუანუალებ ხოლმე ასე?

მოახლე.

მეც რომ თქუჴნზედ ხანდისხან გავიცინო, რა დაგაკლდებათ? – ამით მაინც ვინუგემო ხოლმე. ახლა ამ კარგს ამბავს გეტყვთ. ქალო სოფო, ბიძა შენს ნიკოლასა ამათი დედმამები და სულერთიან მთე-

ლი მძახლობა აქ დაუპატიჟნია, ისინიც თურმე დიდის სიამოვნით მოდიან და აქ უნდა დაესწრნენ თქუცნში.

სოფიო.

ის ბიძა ჩემი ნიკოლა რა გონიერი კაცია, აი, სწორეთ ასე უნდა, როგორც ეხლა იმან მოახერხა. თუ არა და ჩუწ გიჟები და ისინი უფრო უარესნი, ერთათ ჩუწნა: სიგიჟე და სულელობა იქნებოდა. *(მოახლეთ ფინჯნებს გაიტანს და გავა.)*

(ამდროს კარები გაღება, მოხუცებულნი გოგია და ელისაბედ მოდიან, უკან მოსდევენ მთელი ერთიანი მძახლობა დედაკაცნი, კაცნი შვილებითურთ და მოვლენ შუა დარბაზში, რომელთაცა შორის გოგია და იმის ცოლი იმათ შუაში ჩადგებიან.)

გოგია.

ყმანვილო კაცებო, თქუწს დანიშნულებთან მიდით, დადეგით. *(მივლენ, მწკრივათ დადგებიან.)*

ნიკოლა.

ესეც თქუენი დანიშნულები, შენ ხომ მაინც ხშირათ ხედავ მაგ შენს დანიშნულსა, ქიტეს, აბა, ახლა სხუას რას იტყვთ?

ქიტესა.

ჩემი დიდი სიმამრი თუ რომ ნებას მამცემს?

გოგია.

დიახ, ჩემო შვილო. არამც ჩემზე – ჩემს თავზე ნება გაქუს. *(თავზედ ხელს დაიდებს.)*

ქიტესა.

აბა, ნიკოლ, გოზაურით ღვინო მოიტანეთ, ყანნებიც მოადვენეთ თანა.

გოგია.

ჩემო ნიკოლ, ჩქარა, პურაძვირი არ ვეგონოთ ამათ. *(ჩქარა გავა ნიკოლა.)*

კიდევ გოგია.

ჩემო სიძეე ქიტეს, მარტო ღვინო გინდათ, თუ რომ ყუწლი, პური მოადვენონ, ან სხუა კიდევ რამე?

ქიტესა.

სხუა სულ არაფერი.

გოგია. (გაღიმებით.)

ჰოო, ეგ სხუა არის – სხუა რიგული... *(ამ დროს ნიკოლა ისევ შემოვა, გოზაურით ღვინოს შემოიტანს და უკან ბიჭი შემოჰყუფება ხონჩაზე დანყოფილის ყანნებით.)*

ქიტესა.

აბა, ჩემო ამსონებო, ყანნებს ჴელი წამოავლეთ. *(ყუწლანი აიღებენ.)* ჩუწნო მამაპაპის ყანნებო, რა კარგი რამა ხართ! რამდენჯერ

გაგვიტენებია თქუწში ჩუწნს ამხანაგობას... აბა, ნიკოლ, დაჰკარ, ნანწკარით გადმოუშვი გოზაურიდგან ეგ წითელი ჩუწნი განმახარებელი.

(ყუწლანი მიუშუწრენ ყანწებს, ისიც ასხამს.)

კიდევ ქიტესა.

წითელი ჩუწნი მახარებელი ღწნოვ, ცისკრის ამოსვლის დროსა, როდესაც ის თავს ამოჰყოფდა, სწორეთ ის დრო იყო ჩუწნი ის ცისკარი, მშუწნიერსა ბალში მწუწანეზედ, მაშინ ჩუწნს გაძახილს სიმღერაში: ვისაც ვინ უყვარდეს, იმის სადღეგრძელოს რომ დავლევდით? – ბიჭებო, ჩემო ძმებო, ახლა ის სულ უწდა დავთმოთ, ის შექცევა.

(ერთიანათ ატირდებიან, თვითონ ქიტესაც და ხელცახოცს თუალებზე მიიფარებენ.)

ქიტესა. *(საჩქაროთ თუალებს მოიწმენდს.)*

ვიცი, ძნელი არის ის დათმობა, ის შექცევა, მაგრამ ამ ქალებ-ისტუს დავთმოთ, უკანასკნელი დაღევაც იყო ესა, ასე სამსე, ჩემო ძმებო.

(ამასთან დაღევენ და მასუკან ერთიანათ იფივლებენ.)

ერთიანათ.

დავთმოთ, დავთმოთ ამათისა სიყუარულისათუს, იქაც ამათ სადღეგრძელოს ვსუამდით.

(მერე გაეწანებიან, გოგიასა და ელისაბედისა წინ დაიჩოქებენ თავიანთის დანიშნულებით.)

ისინიც. *(ორსავ ხელებს გაიშლიან იმათზე.)*

ჩუწნი დაგლოცავთ, ჩუწნი მოხუცნი ჩუწნის სრულის გულით.

(მასუკან ადგებიან.)

ქიტესა.

აბა, ახლა ყმობის თავისუფლებითა ვისარგებლოთ, შეუდგეთ ყოველს კარგსა საქმეს, ჩუწნი თავისუფლებისა განიერი გზები ბევრი არის.

(ერთიანათ დაიძახებენ გოგიასა და ელისაბედისა გარდა.)

ერთიანათ.

ჩუწნი თავისუფლება ადღეგრძელოს, ადღეგრძელოს, ადღეგრძელოს.

დასრულდა მეორე მოქმედება.

მესამე მოქმედება

*(მეიდანის არის, მეიდანისა და ბულგარის უკან პირზედ ოთხ ატა-
ქიანი სახლებია; ქუშმით სავაჭრო მალაზიები და აქ, მეიდანზე,
ერთი კაცი მოვა.)*

სტეფანე.

ახლა ჩემი კარგი დროა, აბა, რაც ხელობაა ჩემი, იმას მივყვ. ახლა ყმების თავისუფლებაზე, უფრო ადვილათ ვიმოქმედებ იმათში, – იმათის შურისა და უთანხმოებისთვისა, ასე რომ, თუალის დასანახათ სძულდეთ ბატონსა და ყმასა ერთმანეთი. არც ხომ აქამდისინ მე იმათ ვაკლებდი ამ ჩემს ხელობასა, რომელშიაც სხუანიც ბევრი არის ჩემისთანა ამ საქმეში.

(ამდროს ერთი მებატონის ყმა მოდის სტეფანესთან.)

გლახა.

გამარჯულება, სტეფანე.

სტეფანე.

გლახას გაგიმარჯოს, გლახავ, აბა, ახლა რას აპირებთ?

გლახა.

მებატონის გლეხმა კაცებმა ჩუმათ შენთან გამამგზავნეს სოფლებიდან, ეხლა შენთან ვიყავ, ასე მითხრეს: ზევით მეიდანში იქნებაო.

სტეფანე.

გლახავ, აქ სჯობია, სხუშბიც სულ აქ მოვლენ მებატონის გლეხკაცობა ზოგიერთი, იმათ შენც კარგათ იცნობ, მაგრამ ჩქარა გასწი, დაიმაღე სადმე, აგერ ჩემი მცნობი მებატონე მოდის სწორეთ ჩემკენ. *(გლახა წავა, დაიმაღება.)*

თავადი იოსებ. *(სტეფანესთან მოვა.)*

მართალო კაცო სტეფანე, როგორა ხარ?

სტეფანე.

კარგათ, თქუწნის მოწყალებით.

იოსებ. *(მწუხარებით.)*

გამოგვეცხადა: ყმები განათავისუფლეთო.

სტეფანე.

მამისა და დედიშენის მზემა, დიდათ ვწუხარ.

იოსებ.

ვიცი შენის გულისაგან, ჩუწნოვს შეწუხდები.

სტეფანე.

წუხელის ვახშამი ველარ ვჭამე საქართუშლოს მებატონების გულისთვის, ასე ვწუხდი, იმ პაპიშენის საფლავს ვფიცავ, აგერ იმ დიდს ეკლესიაში რო მარხია.

იოსებ.

ვიცი, ძმაო, გმადლობ, როგორ გადვიხადოთ ეგ სიკეთე შენი, რასაც ჩუშნის ბატონებისთვისა სთესავ.

სტეფანე.

ჩემი პურიღვნი, ჩემი ცხვრები-ძროხა თქუშნ ხართ, მაშ, არ უნდა დავინახო თქუშნი კარგი ჩემზე? – თქუშნი ყმები, თქუშნი ყმები? – ერთი უნდა შენუა და მეორე ზედ ნაუსუა.

იოსებ.

ღმერთმა ნუ ქნას ეგა. ნულარ მეტყვი, ღმერთის გულისთვის, მაგისთანებს, მაგრამ, თუ ღმერთი გნამს, სადაც შაგხვდებოდეს ხოლომე, ჩუშნს ბატონებზე კარგათ ილაპარაკე.

სტეფანე.

მაგაზედ რა ეჭვა.

იოსებ.

მაშ, მშვიდობით, ძმაო. ეხლა ლაპარაკის დრო არა მაქუს, საქმეზედ მივეშურები. *(და ნავა.)*

(ის რომ ნავა, მასუკან.)

სტეფანე.

სადაც გინდა, ნადი: ბრმა თუნდ აქ იყოს, თუნდ ბალდადში, სულ ერთია. ისე შენ ხარ, შე სანყალო თავადო. რამთენი ამისთანა სულელი ბატონი ჰყავს ამ ქუწყანას. ასეკი სჯობს ჩემთვის. ბევრი სხუანი ბატონები ჭკასა ჩემულობენ, იმათ ჩემისთანები უნდა მოატყუონ, მაგრამ სულელი ეშმაკი ჭკვიანს ეშმაკს როგორ მოატყუებს? – მითამ ისინი გუატყუებენ, მაგრამ თვითონ უფრო ადრე ტყუევდებიან. დეე, იმათ იტრაბახონ, ჩუშნიკი მოვატყუოთ. არა, მე რას ვიტყვი ბატონებზედ კარგსა? – რაც რომ ჩემი საქმე არის, რაც რომ ჩაუბარებიათ ჩემთვის, იმას ვსაქმობ, მე ამას ვერ გადავალ. ჩემი საქმე ეს არის, რომ ბატონ-ყმაში შური, უთანხმობა იყოს. აი, ეს ხელობაა ჩემი. არამც ბატონს ყმაში, – ყოველს ხალხში, სადაც კიდეც არის გაძლიერებული ერთმანეთში შური, უთანხმოება. მე ამითი ძალიან კარგათ გამოვდივარ, ჩემს ცოლსშვილსაც კარგათ ვარჩენ, მე ეს მინდა, მეტი არაფერი, სხუა იმათ ჯანი ნაუვიდეთ, ბატონსა და გლეხსაც.

გლახა. (მოვა.)

ძმაო სტეფანე, შორიდგან გიყურებდი, რალაც გითხრა იმ თავადმა შენა?

სტეფანე.

ასე მითხრა: არამც მარტო ჩუშნი ყმები, – რაც რომ საქარ-თუშლოში გლეხი კაცი არის, ერთსა უნდა ცეცხლზე სწუამდნენ და მეორეს ზედ უსომდნენო.

გლახა.

მაგისტანა სიტყვსათჳს ბევრს იმათა მოხუცდრია ჩუჴნი გლეხის ტყვა და კიდევაც არ იშლიან? – ესენი შენ კარგათ იცი სულ წვრილათა...

სტეფანე.

ახლა ემაგ ფიქრებს დაეხსენით, ეხლა მოთმინება გინდათ მებატონის გლეხებს, ჩქარა გადანყდება თქუჴნი სრული თავისუფლება, მაგრამ მაინც ნუ ენდობით თქუჴნს მებატონებს, კიდევ ქუჴშმ გითხრიან გლეხკაცებსა თქუჴნი ისინი.

გლახა.

შენის სიტყვთ ჩუჴნ მოვითმენთ კიდევ. კარგი, არც ვენდობით არაფერში იმათ, არც ადრით ხომ ვენდობოდით, მაგრამ კიდევ ვემსახუროთ იმათ თუ რომ არა?

სტეფანე.

უთუოთა დრომდინ უნდა ემსახუროთ ისე, როგორც აქამდისინ ემსახურებოდით.

გლახა.

ეგეც აგრე იყოს, დაგიჯერებთ.

სტეფანე.

მაშ, შენ ეხლა წადი, ბატონების გლეხკაცობას უთხარ, რაც მე ეხლა შენ გითხარი. *(წავა. ის რომ წავა, კიდევ სტეფანე.)* ბარემ მეც წავიდე, ის გლეხები უთუოთ იქ ბაზაზის დუქანში იქნებიან, იმ ჩემს ამხანაგის დუქანში, სადაც ბატონების გლეხკაცობა ვაჭრობს და სულ იქ რიგდება იმათი საქმე, სადაც გლეხკაცობას იქ ვაბრიყუჭბთ ბატონებზედ. იმათ სულ იქ ვნახამ, იმათაც იმ სიტყვებით გავისტუმრებ, როგორც გლახა დავარიგე. მე და ის ჩემი ამხანაგი იმ ჩუჴნს პარტიას ამ რიგათა გავისტუმრებთ, სხუამ თავისი იცის, იმათაცა თავიანთი პარტია ჰყავთ.

(ის რომ წავა, ერთი თავადი მოვა და უკან ერთი ბიჭი მოჰყუჭბა.)

თავადი ბეგლარ. *(გაჯავრებული ბიჭსა.)*

ბიჭო, შემამაძაღლო. *(ბიჭს ხელების ცერები სარტყელში წაუნყვა, შეჰყურებს.)* გესმის, შემამაძაღლო? – *(კიდევ ისე შეჰყურებს.)* ეხლავ წადი, შემამაძაღლო, და დიმიტრის უთხარ, აქ მოვიდეს, სხუა თავადებიც მოიყუანოს აქა. *(გაჩუმებული წავა. ის წავა და ეს მეტი გაჯავრებული მუშტებს ქნევით ამბობს.)*

ბეგლარ.

ახ! ვინც პირუჭლათ ყმების თავისუფლება მოიგონა, ჴელში ჩამივარდეს.

(ამდროს ერთი ვილაც ქუჴშმოთ მალა ზიის დუქნიდგან ფანჯარას გააღებს, იქიდგან ერთი კაცი თავს გამოჰყოფს, გადმოსძახებს.)

ის კაცი.

მოიგონა ჯემნიფემაააა. (საჩქაროთ თავს წაიღებს და ფანჯარას ისევ შეიხურავს.)

ბეგლარ.

ჰო, როგორაო? – (აქეთ იქით იყურება.) ეს ვინ იქნებოდა? – ის რასამბობს, ვილაც არის? – მინისტრს აბრალებენ, ჯემნიფესკი არა.

კიდევ ის კაცი ისე.

არა, შენმამზემა, სწორეთ ჯემნიფემაააა.

ბეგლარ. (კიდევ აქეთ იქით ყურებით.)

მამამენს ცხონება აქუს, ვილაც მასხარა ხარ, მართალს ამბობ? – ეი, შენ, ვილაცა ხარ, შენ რას იმალები, თუ კაციხარ, აქ გამოხუ-
ალ?

კიდევ ისა.

მოდო, გადი ამ გიჟთან, კარგათ შემაქცევს მე სანყალს, რომელ-
იცა ძლივ დღიურათ ვცხოვრებ და ხანდისხან ხუმრობითა შევექცე-
ვი ხოლმე ამისთანა თავადებზე, ამისთანა თავბედგაუგებლებზე.

(ამას ბეგლარ ვერ გაიგონებს, შორს წავა, მერე იტყვს.)

ბეგლარ.

ხმაკი მალე ჩაიკმინდა, შევაშინე ის ვილაც, რომ მასხარობდა, მაგრამ მამაძალი ჩემი ბიჭი, აქამდისინ უნდა მოსულიყო, სად წავ-
იდა?

(ამ სიტყუასთან ამისი განათლებული ძმა მოვა, ევროპიულათ ჩაცმული, ცოტახნიანიც არის.)

ფილიპე.

ძმაო ბეგლარ, გაჯავრებულს გეცხარ?

ბეგლარ.

გაჯავრება არა მმართვეს, პირიდგან რომ უნდათ ლუკმა ამო-
გუართონ ჩუწნ მებატონეთ?

ფილიპე.

მაშ, ყოუწლთვს გინდათ, ჩუწნი გლეხი კაცი ისევ სიბნელეში
იყოს, ბატონების იქით სხუა იმათვს არაფერი გაეჩინოს ღმერთ-
სა?

ბეგლარ.

რა ვქნა, რა ვქნა. სულ ამ წყეულების განათლებულებისაგან
მოგვივიდა ესა. რატომ დედი თქუწნის მუცელში არ განყალდით და
ქუწყანაზედ გაჩნდით, საქართუწლოს მებატონის დასალუპათ?

ფილიპე. (გაცინებით.)

ბეგლარ, ბეგლარ. ჩქარა დაბერდები, რათა ჯავრობ?

ბეგლარ.

რათა ვჯავრობ? – შენ რა გიჭირს, ჩემო ძმაო. სამას თუმანს მეტს ჯამაგირს იღებ შენ ერთს თავში შენის სამსახურისათვის; ცოლშვილიანს მეკი არა მკითხამ, წელსა ვინყუფტ მინდორს-ტყეში გასჯილობით, ცოლშვილები გამოვკვებო.

ფილიპე.

სამსახურიდგან რომ გამამაგდონ, პანლური მკრან, მაშინ რას ავიღებ?

ბეგლარ.

შენ ასეთი ეშმაკი ხარ, არამც გამოგაგდონ, უფრო წინ მიდიხარ.

ფილიპე.

რალა გინდა, სულ შენ გრჩება ჩემი წილი, რაც რომ ჩემი მამ-ულები არის.

ბეგლარ.

შენ მე მამცემ რასმე? – არამც შენ მე მამცე შენი წილი მამულე-ბი, აი, ამ ჩემს ფეხსა მამჭრი.

ფილიპე. *(გაცინებით.)*

ჯერ ხომ შენ გიჭირავს სულერთიან, რაც ჩემია.

ბეგლარ.

ღმერთმა ჩემი მამახმაროს, მოდი, გავიყარნეთ, მე შენი არა-მინდარა.

ფილიპე.

პირათ შენ ხომ აგრე მეუბნები, შენს გულშიკი სხუასა ფიქრობ. ესეც კარგათ იცი, რომა ცოლსაც აღარ ვირთამ.

(ბეგლარ მადიანად გაიცინებს.)

კიდევ ფილიპე.

ემანდ მადიანად გაიცინე. ახლა ეს მითხარი, არ წამოხუალ შინა, სადილობის დრო მოვიდა?

ბეგლარ.

როგორ წამოვიდე, ჩემს მამაძალს ბიჭს ველი.

ფილიპე.

აბა, როგორ არ გაგლანძლო. შინ ხარ, შენ კერძობას სულ მაგ სიტყუას ეუბნები ყოუწლს იმათ სამსახურის ფეხის გადადგმაზე, სადაც არ ისუწნებ, არ ასუწნებ შენ სახლს, ახლა აღარც კარზედ [მაღავკა] მაგ ხასიათსა?

ბეგლარ.

კარგი, გაათავე, თუ ღმერთი გწამს, სულ ყოუწლთვს აგრე ვიტანჯები, ყუწდრებაში ვიმყოფები შენგნით იმ უბრალოს კერძობაზედ.

ფილიპე.

როგორ, რაო? – ისინი რომ ბატონებათ დასხან, ბევრით შენზედ წინ არიან ყოუწლს კარგსა ღირსებაში.

ბეგლარ.

კარგი, გეყო, ნულარა მკლავ.

ფილიპე.

კარგს რომ არაფერსა ჰბაძავ. არამც ჰბაძავ, – არც გინდა, რომ დაინახო, სწავლას ხომ ვილა გეტყვსთ შენ და შენისთანებს, მაგრამ მაინც კიდევ ჩუწნი ვალი არის, არ გაეჩუმდეთ თქუწნს გონების ნაკლებულობაზედ? – ნელან შენ ჯავრობდი, ახლა ჩემი რიგი არის, გაგაჩუმო.

ბეგლარ.

გაეჩუმდები, ძმაო, ოღონდ ყელს უდანოთ ნულარა მჭრი.

ფილიპე. *(ცოტა გაჯავრებით.)*

მაშ, ნავიდეთ შინა.

ბეგლარ.

ვერ წამოვალ.

ფილიპე.

რატომ?

ბეგლარ.

ეხლა ბევრი თავადები მოვლენ აქა.

ფილიპე.

რისთვის, რათა?

ბეგლარ.

აგერ, ზევით ატაჟაში, იქ დავითს აუხდებით სახლში, კარგათ უნდა ვათრიოთ, ღირსი არის ისა.

ფილიპე.

რა უქნია მაგისთანა საშინელი საქმე თქუწნთვს?

ბეგლარ.

თურმე პროექტსა სწერს ჩუწნი ყმების თავისუფლებაზე, როგორ უნდა გუწმსახურნენ ბატონებსა ისინი.

ფილიპე. *(ერთიანათ შეკრთება.)*

ხედავთ, როგორი და რა შვილები ჰყუანან ამისთანა კაცნი საქართუწლოს? – კარგი, გუწყო ეგ მაგთენი უზდელობა თქუწნი, კარგი, წამო შინათკენ. თქუწნი ფიქრის მებატონე, სწორეთ გეტყვთ, საქართუწლოს სირცხვილნი ხართ. წამო, წამო, კარგი.

(გულით ეტყვს და ნავლენ. ამდროს ერთის მხრიდგან ქიტესა მოდის, მეორეს მხრიდგან ნიკოლა და აქ ერთმანეთსა შეხვდებიან.)

ქიტესა.

ნიკოლას გაგიმარჯოს. ჩემი სოფიო როგორ არის? – ან თქუწნე-

ბი და ან ჩუშნები ერთიანათ?

ნიკოლა.

რაგვიჭირს, ყუშლანი კარგათა ვართ. მაგრამ მიკვირს შენგნით; ჯუარის დანერისა მეოთხეს დღეზედ სად ნახუჭდი, რომ სოფიო ცრემლით დასვი?

(ალარ დასცალდება ამას სიტყვს თქმა, ამის ამსონები მოსცვივდებიან.)

ერთიანათ.

ქიტეს, რა ქენ, როგორ მოახდინე ჩუშნი ამხანაგობისა საქმე? – შენი მომავლობა შევიტყევი, საჩქაროთ მოგეგებეთ, გვითხრა რამე.

ქიტესა.

პურიღვინო ბევრი დავიკვეთე სოფლებში, იმედი მაქუს, ორათ ფულს ავიღებთ მოგებასა. აი, ჩემო სიმამრის ძმავ ნიკოლ, რისთვის ნაველ ისე ჩქარა. ჩემს სოფიოს გავამდიდრებ, უფრო ჩემი სიყუარული მიეცემა.

ნიკოლა.

მართლა, ეხლა შენ ხარ სოფიოსი: სულიც, გულიც, ქიტეს, მაგრამ ერთი ორათ ფულს რომ იგეფ, შენს სვინიდის რალას ეუბნები?

ქიტესა.

სვინიდისი ისევ მრთალთა მრჩება. რავექნა, ნიკოლ, თუ ეხლანდელს დროში ერთი ორათ არ მოვიგებთ, ამ ქალაქის ხალხი სულელს გვეძახიან.

ნიკოლა.

რა არის, რომ ის სანყალი სოფლელები ყვლიფონ და ბოლოდროს ამ ქალაქის ზოგიერთებისა ხელში იყუშნენ, ის გულწრფელი ხალხი, უამათოთ მოძრაობა არა ჰქონდეთ იმ ხალხს. მე ეს კარგათ ვიცი, ისიც ვიცი, ვინც არიან ამ საქმისა მოთავენი.

ქიტესა. *(დაფიქრდება და მასუკან.)*

ჩემო სიმამრის ძმავ ნიკოლ, ეგ რა მითხარ, ძალიან დამაფიქრე? – როგორღაც მართალსა ჰგავს შენი სიტყუა. ეხლა ხალხი სოფლებში ყმების თავისუფლებაზე აჟიჟინდა, სულ სხუა არის ეხლა, სულ ამასა ფიქრობს: ახლა ჩუშნც წინ წავდგეთ პატარაო, ხალხის საქმეშიო გავვერივნეთ.

ნიკოლა.

ემანდ, ქიტეს, ღმერთო, ხელი მოუმართე იმათ. მინამ გლესკაცობა წინ არ წავა, მანამდისინ კარგი არა იქნებარა, დანარჩენი შინ ვთქუათ, [ი..ავილოთ] და დავილოთ ჩუშნი სყიდვის გაყიდვისა, ჩემო ძმებო.

(წავლენ სულერთიან. ისინი რომ წავლენ, ორი კაცი მოდის, ორი

ვირი მოჰყავთ აკიდებული, ერთზე ტომრებით პურები ჰკიდა, მეორეზედ გაკეთებული ასლი და თან იძახიან.)

ორივ რიგრიგითა.

აცი, ვირო. – აცი ვირო. (და თან სახრეს სცემენ, რომლებთანაც ორი ქალაქის კაცი მოვა, ეტყვან.)

ქალაქის ორი კაცი.

გამარჯულება თქუწნი.

ვირების პატრონები.

აცი, ვირებო, თქუწნც გაგიმარჯოსთ.

ქალაქის კაცები.

ჩუწნ ქალაქის ბაზრის კაცები ვართ, დააყენეთ ეგ ვირები.

ვირების კაცები.

ჩოოოჸ, ჩოოოჸ, რა გინდათ?

პირუშლი ბაზრის კაცი.

გეტყობათ, სოფლიდგან მოდიხართ, რა გაქვსთ გასასყიდი?

პირუშლი მევირე.

ბაზრის კაცებს ვერავინკი ვერ მოგასწრობსთ, სუნით იცით, ვის რა მოაქუს სოფლიდამ გასასყიდი. (მას უკან თავის ამხანაგს მიუბრუნდება.) კაცო, ხედავ ამ ვირებსა?

მეორე მევირე.

შენ რას დასდევ მაგ ვირებსა.

მეორე ბაზრის კაცი.

ვიზედ ამბობთ მაგას?

პირუშლი მევირე.

შენ რა გრჯის, ჩუწნ ვირებზედ ვლაპარაკობთ;

(ინევენ და ტოკვენ ბაზრისაკენ.)

(ამდროს ვირი დაიყვირებს, ისე როგორ გაგიგონიათ.)

პირუშლი მევირე.

ამათაცკი უხარიანთ ყმების გასვლა, ჩუწნი თავისუფლება. მოდი, ჩუწნ ნუ გვიამება. (მერე ბაზრის კაცებს.) კაცო, თქუწნ რა იცით ხოლმე ჩუწნი მომავლობა სოფლიდგან?

პირუშლი ბაზრის კაცი.

ამ ქალაქის გარეთ, ყუშლგან კაცნი გვიყენია, ვის რა მოაქუცს გასასყიდი, მაშინათვე აცნობებენ ბაზარს.

მეორე მევირე.

მაგისტუს გამობუშდით, რომ უბირი სოფლისკაცნი მოგუატყუოთ?

მეორე ბაზრის კაცი.

რას გაგიჟებულხართ, რათ გატყუებთ, მაგრამ რა გაქუთ გასასყიდი?

კიდევ მეორე მევირე.

გაკეთებული ასლი და თათუხის ფქვილი.

პირუჭლი ბაზრის კაცი.

სადლა მიგაქვთ, ჩუწნ ვიყიდით.

პირუჭლი მევირე.

ნახევარ ფასათ განა? – არა, ძმებო, აქამდისინ იმისთვის ვყიდით ისე ჩქარა, ისე იაფათა, რომ ჩუწნი ბატონი ხარჯის ფულსა გვთხოვდახოლმე; კაცი სახლში გვედგა ბატონისა: ჩქარა მოგუწყითო. იმიტომა ვყიდით ისე იაფათა, ჩქარა გაგვესტუმრა კაცი სახლიდანა, აღარ შევენუხეთ. ახლა რისთვის ავჩქარდებით, ჩუწნი ჴელის მომშლელი რომ აღარავინ აღარ არის, თავისუფლები ვართ. ახლა როგორც გვინდა, ისე ამ ჩუწნს გასასყიდსა ბაზარში გავყიდით, თუ რომ გინათ, იქ მოდით, იქ იყიდეთ ხალხში. *(ამასთან დაჰკვრენ ვირებს.)* მშვიდობით, ვირებო, აცი.

(წავლენ, ვირებსაც გაირეკენ. ბაზრის კაცები აქ დარჩებიან.)

პირუჭლი.

ხედამ, ველარ მოვატყუწთ?

მეორე.

მოტყუწბას ვილა ჩივის, მოხერხებითაც გაგვლანძღეს და კიდევ ნავიდნენ. ბევრით სჯობდა ბატონყმობა ბაზრისთვისა.

პირუჭლი.

ჯერ ეგ რა არის, პატარა მიიძრას, მოიძრას გლეხკაცობა სოფლებში, თუალი გაახილონ, დაინახონ ავკარგობა, მაშინ ნახავ იმათ? – ბატონების ყმების თავისუფლებსა ბევრი კარგი მოაქუს, თორემ ამ პლუტობით, მაშენიკობითა როგორც ეხლა ვაჭროობა, თავზე ლაფის დასხმა არის.

მეორე.

მართალია. რამთენსამე აქაურსა მდიდრებისა ჴელში ჩავარდნილა ეს ქალაქი, ამ ქალაქის ბაზარი ხომ უფრო ძალიანა. ის მდიდრები ფულს გუაძღვევენ, სანახევროთ ვამუშაოთ, თანაც გუარიგებენ: რაც შეიძლოთ, ხალხი მოატყუეთ ეშმაკობითაო, რავენათ, ჩუწნც ერთხელა ჩავარდნილვართ იმათ ხელში, როგორც უნდათ, ისე ბძანებლობენ ჩუწნზედ, ველარ გამოვსულვართ იმათგან, ულონონი და ღარიბნი რომ ვართ.

პირუჭლი.

ამას წინათ გახსომს, ერთი უფროსი რომ მოვიდა, ამთენის ბოროტების შესატყობად, რა შეიტყო?

მეორე.

არაფერი ამისმეტი, რომა დიდის დარწმუნებით დააჯერეს ისა: არაფერი ბოროტება არა არისრაო, სულ სიმართლით მოდის ყუწლა

რიგზედაო. მგონია, ეხლაც ისა დარწმუნებულია ამაზედ. თუნდა კიდევ დარწმუნებული არ იყოს, ათასჯერაც რომ მოვიდეს, მაინც კიდევ ვერას შეიტყობს, იმ შუაგულის ჯოჯოხეთის ეშმაკების – ეშმაკობისაგან.

(ამ უკანასკნელს სიტყუასთან ისინი გავლენ, მასუკან იმერეთის მხრიდგან ორი კაცი ჩარუადრები მოდიან ორის ცხენით შაქარაკიტებულები, მოვლენ და აქ დადგებიან.)

პირუშლი.

ამხანაგო, ამთენი ცხენების დევნით დავილაღენით, სულ ამ ქალაქის საქონელსა ვზიდადით: ხან აქედგან შავი ზღვისა პირამდისინ და ხან იქიდგან აქამდისინ. კაცო, მოვწყდით, აღარ ვარგი ვართ ჩუჴნ იმ შავი ზღვის ნაპირელები ამთენი ზიდვით.

მეორე.

იქაურებისთვის ესეც კარგი არის, ეს როგორმე მოვახერხოთ ხოლმე, რომ ცხენებით ვზიდოთ საქონელი, თორემ სხუა რა გვიჩანს კარგი?

პირუშლი.

როგორ თუ არა ჩანს? – მე ვარ გამოცდილი; ბევრით ხანიც მითხრობს შენზე და შენ კიდევ ყმანვილი ხარ. გესმის, გაიგონე. მე ბევრი რამ გამიგონია ჭკვიანისა და მცოდნეობისაგან: სულერთიან საქართუშლო შავიზღვიდგან გაბედნიერდებაო და იმის გამაბედნიერებელი ჩუჴნ ვართ იქაურნი.

მეორე.

როგორ, საიდგან?

პირუშლი.

როდესაც რომ შავის ზღვიდგან, ვაჭრობასა შემოვიტანთ ჩუჴნის ქუჴყნისთვისა, აი, მაშინ დაინყება საქართუშლოს ბედნიერება!..

მეორე.

რით და როგორ, ფული რომ არ გუჴშობება?

პირუშლი.

ეხლა ხომ ბატონყმობა აღარ არის, გუჴშინოდეს, რომ ფულებსა ისევ ისე წაგუართმევდნენ ბატონები, როგორც აქამდისინ. ძალით იყო თუ ნებითა, ხომ ვაძლევდით.

მეორე.

ეგ ვთქუათ, აგრე იყოს, მასუკან რა გამოვა მანდედგან?

პირუშლი.

სწორეთა თქვი, ეხლა შენ ხომ არავისი აღარ გეშინიან, რა ერთს ფულსა გამოიტან ნაღდსა? –

მეორე. *(აქეთ, იქით იყურება.)*

ბატონმაკი არ შეიტყოს ჩუჭნი ლაპარაკი, ეხლა ამ ქალაქში უნდა იყოს?

პირუჭლი. *(გაცინებით.)*

დოსგან შეშინებულო, ქარს უბერამდაო, შენი საქმე იმასა ჰგავს.

მეორე.

რა ვენა, ძმაო, სიზმარშიაც ბატონს ვხედავ; იმის იასაულები ჩუჭნს სახლში ჩამომხტარან, ყურში ჩამძახიან: ჩქარა ფული მოგუცვით, ჩქარაო.

პირუჭლი. *(ყურში ჩაჰყვირებს.)*

კაცო, გაიგონე, ბატონყმობა აღარ არის, რით ვერ გამოვიდა შენის თავიდგან?

მეორე.

ოჰ, ოჰ, კაცო, ყრუხომ არა ვარ, რას ჩამყვირი, ყურები გამიჭედე. არ გაგიგონია: ერთმა ალაღმა დამიქროლო, რაც სიმღერა ვიცოდო, სულერთიან დამავინწყდაო. რავქნა, რითაც შეშინებული ვარ, კიდევ იმისი მეშინიან.

პირუჭლი. *(კიდევ ჩაჰყვირებს.)*

ქალაჩუნავ, არა, არა, ნულარ გეშინიან.

მეორე.

დაგწყევლოს და დაგშამათოს, თუ არ დაყვირებით, ვერას გავიგონებ? – კარგი გეტყვი, ოლონდ ღრიალით ნულარ დამიყვრებ ყურში, ჩემს საკუთარს ორმოცს თუმანს გამოვიტან, მაგრამ ახლა ეს მითხარი, მერე ის ორმოცი თუმანი როგორ მოვიხმაროთ?

პირუჭლი.

სამოციც მე მაქუს, ახლა მეც გამოვაჩენ. იმ ჩემ სამოცს შენს ორმოცსა ზედ დავაყრი; შევიქნებით კარგი სანდო, კარგი ანგარიშის ამხანაგი. იმითი ჩუჭნ ვაჭრობასა შეუდგებით, იმედი მაქუს, ხუთსა წელიწადზე ბევრი ფული დავაყენოთ, რკინის გზებიც მანამდისინ გაკეთდება და მასუკან დიდს ვაჭრობას მივყოფთ ხელსა სამძღუარს გარეთ, საქართუშლოს გაკეთებისთვისა, ღმერთო, ხელი წარგვიმართე.

(მასუკან ამ ლილინის იმღერებენ ლილინითა.)

„ღმერთო მოგუშვც შემნეობა,
ჭირნახულს ხალხს ჩუჭნ მეტობა,
ახლა ჩუჭნია დლეობა,
ბიჭობა და გასჯილობა.“

(ამას დაასრულებენ, წავლენ და ცხენებსაც წაიყუანენ. ისინი რომ წავლენ, კიდევ ორი ბაზრის კაცი მოვა აქა, მაგრამ ახლა სხუანი.)

პირუშლი.

ამხანაგო, ასე ჩქარა აქ რომ მამიყუანე, რა ამბავი არის?

მეორე.

აქ ჩუწ უნდა დაგხვდეთ, ბაზრის კაცები ვართ. მებატონის ორს გლახს ორი ინდაური მოჰყავთ გასასყიდი: თურმე დიდრონია, მსუქნებიცა, ისინი ჩუწ მოვატყუოთ, როგორც აქამდისინ ვატყუებდით იმათ; იმედი მაქუს, ინდაურებს ათათათ შაურათ გამოვართმევთ.

პირუშლი.

კარგია, თუ აგრე მოხდა. იმ დიდს თავადს სტუმრობა აქუს ხუალა, იმის მზარეული დადიოდა, ორს კარგს ინდაურსა დაეძებდა გასასყიდსა, ის ჩუწ ოთხსოთხს მანათს მოქვცემს თვთოს ინდაურში, თუ ექვს შაურს იმ ბიჭს ქრთამსა მივცემთ? – უანგარიშო ის ბატონი არ დახედავს ფულსა, რასაც ვეტყვოთ, მზარეულიც მოგვცემს.

მეორე.

აბა, მეც მაგისთვის ვჩქაროფ. შვიდი მანათი მოგებათა გვრჩება, კარგი არის ესა. დეე, ხარჯონ საქმის გაუჩხრეკელთ ბატონებმა და ბიჭებმა ქრთამი იღონ კიკრიკიკო ჩუწნგით.

პირუშლი.

დეე, ხარჯონ იმათ. თუ ვერ ხედუწ თავიანთსა გაუგებლობსა, დეე, ხარჯონ. მამ, იმათ სხუაში რაზედ გამოაჩინონ ჭკუა, თუ არ ამისთანებში. მაგრამ გლახკაცობა ეხლა საქართუშლოში ყმების თავისუფლებაზე ძალიან შეიცუალა, ჩუწ ისინი აღარ გვენდობიან, ვეღარ მოვატყუებთ იმათ ისე, როგორც ვატყუებდით.

მეორე.

თუ რომ ნებით არ მოგვყიდონ, ძალა მოვიხმაროთ. ხომ იცი, რომ პოლიცია იმ ჩუწნი მოთავების ხელშია, კიდეც იმ გლახებს ჩასმენ ტუსაღანაში.

პირუშლი.

დიახ, დიახ. ჩუმათ იყავ, აი, მოდიან ის გლახები, აქეთ იქით გავიაროთ, მითამ არაფერი.

(გაივლიან. ორი სოფლის კაცი მოდიან, თითო ინდაური ხელში უჭირამთ და ისე თავაღებით მიდიან, ამათ ხმას არა სცემენ.)

პირუშლი ბაზრის კაცი.

კაცო, მოიცადეთ, აგრე თავ აღებული რომ მიდიხართ, საქმე უნდა გითხრათ.

პირუშლი. (ინდაურის პატრონი.)

კარგს ხომ არას იტყვოთ, რისთვის დავდგეთ? – წამო, კაცო, რას უყურებ მაგათ. *(წავლენ.)*

მეორე. (ბაზრის კაცი ხელსა სტაცებს გულისპირში.)

დადექით, საქმეს გეუბნებით.

მეორე. *(ინდაურის პატრონი.)*

გულის პირი ნუ გიჭირამს, თავი დამანებე, არ დავდგებით, რა გინდათ თქუენ?

მეორე. *(ბაზრის კაცი.)*

არ გაგიშუშბთ, ინდაურები მოგვეყიდეთ.

მეორე. *(ინდაურის პატრონი.)*

არ მოგყიდით, არა.

პირუშლი. *(ბაზრის კაციც გულისპირს დაუჭერს.)*

როგორ არ მოგვეყიდით, ძალათ გამოგართმევთ.

პირუშლი. *(ინდაურის პატრონი.)*

ვეი, ვეი. ღმერთი გადღეგძელებსთ, თქუენ გალესილს ხმალს აპატიეთ; შეგვიბრალეთ, ნუ გვიზამთ მაგისთანა უწყალოებას.

მეორე. *(ინდაურის პატრონი.)*

კაცო, ამხანაგო, ინდაური დამიჭირე, ამათ საქმეს მე გაჩუენებ.

(გამოართმევს ილიას ქუშუ დაიჭერს, ერთს მარჯუენეში და მეორეს მარცხენაში. მასუკან ეს მეორე ინდაურის პატრონიც ერთს ჯელს ერთს ბაზრის კაცს გულის პირში ჩაავლებს და მეორე ხელს მეორეს ბაზრის კაცსა. ასე ამ მდგომარეობით სუბუქათ ცოტათ ერთმანეთს ენევიან და თა[მ]ამას ეუბნებიან.)

კიდევ მეორე ინდაურის პატრონი.

დაგვეხსენით, თორემ ესესარის.

მეორე. *(ბაზრის კაცი.)*

თქუენ ბატონებს კარგათ ვიცნობთ, წამოდით იქ.

პირუშლი. *(ინდაურის პატრონი.)*

გაიგონეთ, შეიტყვევით, ბატონყმობა აღარ არის, ჩუენ იმათთან საქმე აღარა გუაქვს.

პირუშლი. *(ბაზრის კაცი.)*

აღარა გაქუთ საქმე? – თუ ბატონყმობის მოშორება აგრე გიხ-არიანთ, მაშ, წამოდით პოლიციისაკენ, კარგათ ჩაიბოჭნეთ, იმათ თქუენი ჯელი კარგათ იციან.

პირუშლი. *(ინდაურის პატრონი ცალკე.)*

ამისთანა უსამართლო საქმე გაგონილა? – ძალათ უნდა გამოგუართონ ჩუენი საკუთრება, მითამ ვიყიდეთო. კარგი ერთი შევევაჭრო, ვნახო, რა ერთს გუაძლევვენ? – *(მივა იმათთან.)* კაცო, ჩუენ რომ გუწვაჭრებით ინდაურებს, რა ერთს მოგვეცემთ?

პირუშლი. *(ბაზრის კაცი.)*

ათს შაურს.

პირუშლი. *(ინდაურის პატრონი.)*

ეეე, აგერ, იმის მადლსა გეფიცები, *(მადლა ხელს უშუერს.)* რომ

ორ შაურს ძლივს მოვიგებთ.

პირუშლი. *(ინდაურის პატრონი.)*

აიმ სახლის კედელზედ ჳელს რომ მიმუწრ, რა მადლი აქუს იმას?

პირუშლი. *(ბაზრის კაცი.)*

რა ყოფილხარ შენა? – *(მასუკან გულის ჩოხაზედ ჳელს დაიდებს, ეტყვის.)* აი, ამას გეფიცები.

პირუშლი. *(ინდაურის პატრონი.)*

ჩოხაზე მეფიცები, სწორე ფიცი არის ეგა? – კაცო, კარგი, ღვთის გულისთვისა, როგორც გვინდა, ისე გავყიდით ჩუშნ. სიხარულით აღარა ვართ ბატონებიდგან გამოვედით. ჩუშნ რომ სოფლიდგან მოგვქონდა რამე გასასყიდი, ბევრჯულელ ბატონის კაცები დაგვხდებოდნენ, ნაგუართმევდნენ: ბატონს სტუმრობა აქუს, მოგუშვითო. ახლა ამის შიში აღარა გუაქუს, დაგვე, სადაც გვინდა, იქ გავყიდით, დაგვეხსენით, თუ თქუშნი თავი გიყუარსთ.

პირუშლი. *(ბაზრის კაცი.)*

კაცო, მანათს მოგცემთ, თუ არა და პოლიციისაკენ წაგართმევთ.

პირუშლი. *(ინდაურის პატრონი გაჯავრებით.)*

ხედავთ ამათ, მოთმინებიდგან გამამიყუანეს. *(იმ ორს ინდაურებს დასხამს ქუშმოთ და მასუკან ესეც ბაზრის კაცებს მისწვდება, დაუძახებს თავის ამხანაგსა.)* ამ ბაზრის კაცებმა დაგვიბრიყუშს, კაცო, დარიე მაგრა ჳელი მაგათ, კარგათ მიაწეი ღონივრათ ემაგათ. *(და ერთმანეთს აწუშბიან.)*

ბაზრის კაცნი.

პოლიციისაკენ, პოლიციისაკენ წავათრიოთ.

ინდაურის პატრონები.

განა დაგრთამული გყუანან იქაურნი? – არ წამოუალთ იმ უსამართლოში, იქ ხომ სამართალი სულ არარის. არა წამოვალთ, არა.

ბაზრის კაცნი.

უნდა წამოხვდეთ, არ იქნება.

ინდაურის პატრონები.

არ წამოუალთ, არ იქნება.

ბაზრის კაცნი.

რალა ესლა განყდა კაცი ამ მეიდანზედ, რომ წამლათაც ერთი ბაზრის კაცი აღარ იპოება, წაგუჭთორიეს დათუშბი.

ინდაურის პატრონები.

ეს მელებზედ და მგლებზედა უარესნი. ჩქარა, ბიჭო, გავიყუანოთ ესენი აქედგან, თორემ პოლიციას გუაჩუშნებენ. მიაწეი, ბიჭო, მიაწეი.

ბაზრის კაცნი.

პოლიციისაკენ, არ იქნება. *(ესენი ამას იძახიან.)*

ინდაურის პატრონები.

რაც ღონე გაქუს, მიანეი, ბიჭო, ძალიან, ძალიან *(ესენიც ამას იძახიან. ბოლოს ინდაურის პატრონები ხელს დარევენ ბაზრის კაცებს, აქედგან გაიყუანენ და თვითონ ისევ დაბრუნდებიან.)*

კიდევ ინდაურის პატრონები.

ძლივს არ მოვრჩით იმათ. აქაური ბაზრის კაცები სწორეთ წინ-ნიბურები არიან.

მასუკან პირუჭლი.

სანყალი, სანყალი გლეხი კაცი. რომელს ერთს ჭირსა გაუძლოს გლეხმა კაცმა? – თუ რომ ბატონყმობა აღარ არის, მაშ, ჩუშნს თავსა ეს რა ყოფა იყო ეხლა? – ამას გუარნმუნებდნენ: ბატონყმობის თავისუფლებისა შემდგომ, სოფლის გლეხი კაცები თავისუფლები იქნებიან? – არა. ეს ქალაქი, ამის ხალხი უარესი არის ჩუშნთს, და-გუათრევენ როგორც უნდათ, ისე. არამც მარტო ჩუშნა, პოლიციაც ამათ ჴელში არის. სანყალი, – სანყალი გლეხი კაცი. ეჰ, ბიჭო, ძმაო, რაღა გითხრა, ემაგ ინდაურებს მოუარე, გამოირეკე წინ, თუნდ რომ ეხლა კარგ ფასათ გავყიდოთ, აღარ მიამება ის ფულები.

(მასუკან გამოირევენ, წამოვლენ. ესენი რომ წამოვლენ, მერე ერთს მერძევეს, კოჭბით რძე მოაქუს და თან ყვირის.)

მერძევე.

დილის რძე, – დილის რძე. *(ხან გამოუშუშებს და მასუკან კიდევ.)* დილის რძე. *(მოვა და შუაზედ დადგება.)* გვილოცამდნენ ბატონების ყმობიდგან გამოსვლას. ჰეი, ჰეი. ეს არის თავისუფლება? – გუშინ კიდევ რძესა ვყიდდი, ამდროს ერთი დესეტნიკი დამხვდა, წამიყუანა ვილაც უფროსთან. იმან მკითხა: ბიჭო, როგორ ჰყიდი რძესა? – მე აბაზათ დაუფასე, მოდიდო კოჭობი ეს. იმან შაური მამცა, მითხრა: ესეც ბევრიაო. ამასთან ის რძე თავის დიდს ჯამში გადაასხა და ჩანურა წვეთებიცკი. მე უთხარი: ბარინ, ეს ფული ხომ ცოტა არის მეთქი. იმან შემამბლურა, სახედარსავითა ღრიალს მოჰყუა: ეხლავ როზგში გაგხეთქ, ავაზაკო შენაო. შიშით მე კოჭობსა ჴელი წამოვავლე, გამოვიქეცე, ფულიც იქვე სტოლზე დაუყარე, ოღონდ არ ეცემა ჩემთვის. ღმერთო, დღეს მაინც ამაცილე ისა, რაც რომ გუშინ მიყუშს. *(ამასთან გამობრუნდება, სამჯერ კიდევ დაიძახებს.)* დილის რძე, დილის რძე, დილის რძე. *(და გავა.)*

(მასუკან რამდენიმე დედაკაცები და კაცები მოვლენ, ორს ვარები უჭირავს, ორს ჯამებით ნალბები, ორს ქილით მანვნები, ორს ბატები. ზოგს რა და რა. მოვლენ და აქ დასხდებიან მწკრივით. ამდროს ორი დესეტნიკი მოვა და ერთი ამათ ეტყვს.)

პირუჭლი დესეტნიკი.

ჩუშნს უფროსსა ხუალ დიდი სტუმრობა აქუს, წამოდით იქ,

სულ იყიდის, რაც რომ გაბადიათ.

ხნიანი დედაცი.

დაგუწხსენით, აგრემც ღმერთი გაგახარებს. როგორც გვინდა ჩუწნ, გავყიდით ჩუწნის ნებით, ვიზედაც გვინდა.

პირუწლივე დესეტნიკი.

ბატონიდგან გამოსული ყმები ხომ არა ხართ?

ხნიანი დედაკაცი.

დიახ, შვილო, სულერთიან, ვინც აქა ვართ.

პირუწლი დესეტნიკი.

აბა, თქუწნ რომ ვიხარიანთ ბატონებიდგან გასვლა, ეხლა ისინი რომ ყოფილიყვნენ, ხომ პირს ავიხუწვდით და ნავიდოდით, სხუწბს მოვძებნიდით, თუ არა და უპატრონოს ხბოსა მგელი შეშჭამს. კარგი, ჩქარა გამოსნიეთ, ბევრს ნულარ ილაპარაკებთ, თორემ ამ ჯოხებს ხედავთ?

(შიშით, ძრწოლით გასწევენ და თან ამას იძახიან.)

სულერთიან დედაკაცი.

ვუი ამ ჩუწნს თავსა, ვუი ამ ჩუწნს თავსა, ვუი ამ ჩუწნს თავსა. *(თან მუხლებში ხელებს იცემენ და ასე გავლენ.)*

პირუწლი დესეტნიკი. *(აქ დარჩება ამ სიტყვით.)*

საცოდავნი, ცხვრებსავით კი გაილალნენ ის გლეხები. უსამართლო ძლიერისა ბძანებლობა ასე არის ყოუწლთუსა. ეჰ, რალა, რა ვთქუ? – კარგია, თუ იმ უფროსმა ნახევარი ფასი მისცა იმათ. რამთენი ფეხების ბრახბარუხი ექნება იმათზე, რომ ისინი შეაშინოს, ნახევრისნახევარის ფასათ გამოართოს. იეს კიდევ. ეს რა არის, ეს ცოტაა, მე ვარ დესეტნიკი, დღედაღამე დავძრწნი ყუწლგან, – ყუწლას ვხედავ, ყუწლა მესმის ამ ქალაქში, რაც რომ ბოროტება, სიავეა, თორემ სხუწბსა, ვისაც კარგი ქონება აქუს, და ცხოვრებენ სიამოვნით, იმათ ბუნდი თუალეზედა გადაჰკვრიათ, იმათთუსა სულ კარგია. *(წავა კიდევ.)*

(ამასთან მებატონ გერმანოზ ერთის დასის მებატონებით აქ მოვა და თავის ამხანაგებს მიუბრუნდება.)

გერმანოზ.

აი, ძმებო, ამ სახლს ხედავთ? – აი, აქა დგას ის დავით ამ ზევით ატაჟაში, ეს იმისი სახლებია, იმ ჩუწნის ქუწყნის დამღუპვისა, ყმებ-ის თავისუფლებაზედ პროექტს რომ სწერს.

ერთიანათ იჟივლებენ.

ავიდეთ, ვათრიოთ, ვათრიოთ.

(ამათ ხმაურებაზედ იმ ზევით ატაჟაში ფანჯარა გაეღება და ერთი რიგიანათ ჩაცმული თავს გამოჰყოფს ნელამდისინ.)

პოვერნია.

ბატონებო, საქართუშლოს თუალნო! რა გნებავსთ?

გერმანოზ. (დაიძახებს.)

პოვერნია, პოვერნია არის დავითისა?

პოვერნია.

დიახ. თქუწინჭიმეთ, მართალს ბძანებთ. – ბძანეთ, რა გნებავსთ?

გერმანოზ.

შინ არის დავით?

პოვერნია.

არა, შეინჭიმე, შინ არ გახლავსთ, წუხელის სოფლათ ნავიდა.

გერმანოზ.

ტყუი, არ ნავიდოდა.

პოვერნია.

არა ვტყუი, თქუწნს თავს ვფიცავ, მამა თქუწნი არ ნანყდება.

გერმანოზ.

სულერთია ჩუწნთვს, ავიჭრათ სახლში, რაც რომ სახლში აბადია, სულ დავლენოთ.

პოვერნია.

რათა, რისთვის, საქართუშლოს ბედნიერებანო?

გერმანოზ.

საქართუშლოს ღუპავს, ყმების თავისუფლებაზე პროექტსა სწერს.

პოვერნია.

სწერს და თქუწნი, ბატონების სასარგებლოთ.

გერმანოზ.

არა, არა, ბატონების დასალუპსა.

პოვერნია.

მოითმინეთ, როდესაც რომ ნაგიკითხავსთ, ბევრს მადლობასაც ეტყუთ.

გერმანოზ.

თავისთავათ როგორ ბედამს, უჩუწნოთ სწერს, თუ რომ ერთი რამე ეშმაკობა არა სძევრა იმაში?

პოვერნია.

როდესაც რომ ნაგიკითხავსთ, თუ რომ თქუწნი მოსაწონი არ იქნება ის პროექტი, სულ დახიეთ. წინათ რისთვის ღელავთ, აგრე დაუხედათ?

ერთი იმადგანი, სოლომან.

მაგას ყურს რას უგდებთ, ემაგ დაუნდობელს. ავიდეთ ჩუწნ იმის სახლში, დავამტვრიოთ, დავამსხვრიოთ, რაც რომ გააჩნია სახლში. წინ ნადექით, ბატონებო.

(ნადგებიან წინა ტორტმანიტა, შფოთით და თან კიდევ ამას იძახიან.)

ერთიანათ.

ნადეკით წინ, ბატონებო, ნადეკით წინ.

პოვერნია.

რახან აგრე არის, სწორე და მართალი არა გჯერათ, თქუწნი ხმალი ჩემს კისერსა: ბიჭებო, ბიჭები ჩქარა, ჩქარა.

(ამას დაიძახებს და ამდროს ათამდინ ფანჯრები გაელემა, თვთო ფანჯარაში ორი სამი კაცი თავს გამოჰყოფს და ამათზე იყურებიან ბღვერით.)

პოვერნია.

პატიოსნათ, ზდილობითა მოგახსენეთ და მართალიც, არც ერთი არ დაიჯერეთ, ახლა ნურაფერსა ნუ გაბედავთ, თორემ არ დაგიტომობთ, ბატონებო.

(უეცრათ შვიდი ყმანვილი კაცი განათლებულები, სტუდენტები და აქ კარგათ გაზდილები ჩქარა მოვლენ და ამათ დაუძახებენ დამშვიდებით.)

ერთიანათ.

ბატონებო, ბატონებო, ჩუწნო ძმებო, ნათესავეებო. ჭკუა სადა გაქვს?... ..

დასრულდა მესამე მოქმედება.

მეოთხე მოქმედება

(ბატონების საფლავებია რამთენიმე და ამათ მოშორებით უკან, ჯაგების წინ სიახლოვეს ერთი კაცი მთხოვარა ზის ჯელ ჯოხიანი, იქ მახლობლათ წყართა არის და ჯელგამომლილი ძახილით წყალობას ითხოვს.)

მთხოვარა.

ღმერთი გადღეგრძელებსთ, გამიკითხეთ საწყალი მთხოვარა გლახა, ნუ დამაგდებთ თქუწნის მონყალებით.

მგზავრი. *(წინ გამოუვლის.)*

მთხოვარა გლახავ, ვინა ხარ შენ?

მთხოვარა.

მთხოვარა ვარ, გლახა, მონყალებას ვითხოვთ, რაც გნებავდეთ, მიბოძეთ და გაიარეთ, თქუწნს საქმეს ნუ მოსცდებით ჩემთან ლაპარაკით. თუ არა გაქვსთ, ვერ მიბოძებთ მონყალებას, ტკბილი სიტყუა მითხარ, ოღონდ ტკბილი სიტყუაკი იყოს: ღმერთმა მოგცესო.

ესეც მეყოფა.

მგზავრი.

ალარ შეგანუხებ ჩემის კითხვით, ღმერთთან იყოს ეგ შენი სახელი, ის სჯობია. *(მისცემს მონყალებას ცოტა ოდენს ფულსა.)*

მთხოვარა.

ღმერთმა გადღეგრძელოსთ თქუჴნი ცოლშვილებით, თუ გყავსთ, ღმერთმა დიდდ დღე მოგცესთ, უფრო ამიტომ, რომ ასე რიგათ მამე მონყალება, შენ მეორეს ჴელს არ შეუტყუა. *(ამ სიტყუასთან მგზავრი წავა ამ სიტყუთ.)*

კიდევ ის მგზავრი.

მოურაო, მოურაო, რაო, რილას მოურაო? – ორას კომლსა კაცსა ვბძანებლობდი, ეხლა დავრჩით ცარიელ-ტარიელები, ჩემი ბატონი და მე, მაგრა მე ვისთვისაც ვყოფილვარ, კიდევ იმისთვის ისე პატიოსნად ვიქნები საუკუნოდ, თუნდ რომ შიმშილით გავწყდებოდე ცოლშვილებით. *(გაივლის და წავა.)*

ახლა კიდევ მთხოვარა.

რა ძნელია სიგლახაკე, ნამეტნავად მაშინ, როდესაც რომ მოუძღურებული იყოს ისა, ველარაფერს საქმეს ველარ აკეთებდეს, არც თვისი ტომი ჴყუანდეს ნუგეშათა და სხუას სთხოვდეს: მონყალება მიბოძეთო. აი, ახლა მე ვარ ასე, რომელიცა ყუჴლგან დავეთრევი ნყალობისთვის, სადაც ახლა მოველ ამ საფლავებთან ფიქრში გართული და წამოვანყდი ამათ: გამიკითხეთ, ღმერთი გადღეგრძელებსთ ნყალობითა.

მეორე მგზავრი.

გლახავ, მებრალეები, მაგრამ წვრილი ფული რომ არა მაქუს?

მთხოვარა.

ნუ ისჯები, ღმერთმა გადღეგრძელოს, მიბოძებ თუ არა, სულ ერთია, ოღონდ კარგის გულით წადით ჩემგნით.

მგზავრი. (გაივლის და ისევ შედგება.)

მაიცა, მაიცა, ვნახო, შენი ბედი, ჩემ ჯიბეში რა იქნება. *(ჯიბეში ხელს ჩაიყოფს, ფულებს აჩხარონებს და მასუკან დაიძახებს.)* ვიპოვე, ვიპოვე, *(ამოიღებს მისცემს.)* აჰა, მონყალება, ერთი ცალი ფული.

მთხოვარა.

შედალოცვილო, ყუავს ხომ არა გევხარ: ყუავს კაკალი გააგდებინეო, ისიც კარგიაო? – მაინც ღმერთმა გადღეგრძელოსთ თქუჴნი გულის საყუარლებით.

მგზავრი. (გაივლის ამ სიტყუთ.)

ვნახო, ეხლანდელსა დროში კიდევ შემოძლიან, ყმების თავისუ-

ფლებზე იმათ ფული გამოვართო ბატონისთვის, რომელსაცა დიდათ უჭირს, დიდათ შეწუხებულია, არ იცის, რა უნდა ქნას? – ეხლა გლეხი კაცი ყირაზე დგას გუშლსავითა, მგონია, აღარ მამცენ. მაგრამ მაინც მეკი წავალ, ბევრს სიპლუტეს, ტყუილებსა ვეცყვი იმ გლეხებსა, იმედი მაქუს ამით, უფრო ამისთვისა შევეცდები, რომ ბატონს ცოტას დავანახუშბ, მივცემ იმ აღებულს ფულებს, მომატებულს მე ავიღებ, ისე, როგორც აქამდისინ ვატყუებდი ანგარისში წინუკანა არევითა, ასე რომა, ანგარიშსა დაკარგვინებდი, ისე ეხლა მივცემ ტყუილს გაკეთებულს ანგარიშებს იმ სულელსა. იმას კეთილს უძახიან, დაე, დაუძახონ, მეკი ასე ვატყუებდე ხოლმე. ღმერთმა მშვიდობა მისცეს ერთს ჩინოვნიკს, ამისთანა მოხერხება, მოტყუება იმან ჩამაგონა და ამთენი მეჩინა, რომ მეც ვისწავლე. ბოლოს იმ ოსტატსა კიდევ გადავემატე, ასე დავხელოვნი პლუტობაში, თორემ ერთი მართალი და კეთილსულელი მეც ვიყავ. ღმერთო, ამისთვისა შენ მიეცი იმ ჩინოვნიკს ბევრი დღეგრძელობა და მშვიდობაც. ჩემი რა ბრალია, ეხლა ასეთი დროა საქართუშლოში, ვინც აზარქობით არ იქცევა, ის მშიერიც არის. (და წავა.)

მთხოვარა.

უბედურო კაცობრიობაო. ღმერთო დიდო! როდის გაასწორეფ კაცსა: ერთს სუფრაზე ისხდნენ ერთის სულით, გაშლილს გძელსა ერთს სუფრაზე; ერთსა სომდნენ, ერთსა სჭამდნენ და ერთის ხმით იყოს სიტყუა უტყუარი? – მე ესენი კარგათ ვიცი, გამიგია შემიტყვა, ნაკითხიც ვარ, უთუოთ ასე უნდა იყოს კაცში.

(მესამე მგ ზავრი მოდის და მთხოვარა კიდევ დაიძახებს.)

მთხოვარა.

გამიკითხეთ, ღმერთი გადღეგძელებს, ნუ დამაგდებ შენის მონყალეებით.

მგ ზავრი.

შემინდევ, მამა შვილობასა, ღმერთმა მოგცეს.

მთხოვარა.

ღმერთმა ბევრი კარგი მოგცეს, სანადელი შეგისრულოს.

(მგ ზავრი გაივლის ამ სიტყვით.)

მგ ზავრი.

ღმერთმა იმათ შეუსრულოს სანადელი, ვინც კეთილისთვის ზრუნავს. (და წავა.)

კიდევ მთხოვარა.

რა კარგის გულით მითხრა: შემინდევ, მამაშვილობასა, ღმერთმა მოგცესო. იმის წმინდა გულისაგან ეს სიტყუშბი უფრო ძვირფასია ჩემთვის.

(ახლა ერთი დედაკაცი მოდის ორკეც ჩადრჩამოსხმული და

გვერდით ერთი პატარა ბიჭი მოსდევს.)

მთხოვარა.

დედაშვილობასა, მგზავრო დედაკაცო, გამიკითხე მოწყალეებით.

დედაკაცი.

ვუი, შე სანყალო მთხოვარა გლახავ, როდის იქნება, თქუჴნც კაცებში გაერივნეთ, საცოდავნო.

(ამასთან ჩადრს გადინევს და სარტყელში გარჭობილს ერთს პურს ამოიღებს, შუაზე გასტეხს, ნახევარს იმას მისცემს და ნახევარს ისევ სარტყელში ჩაირჭობს.)

კიდევ დედაკაცი.

ცოტასათჴს ბოდიშს ვიხდი, სამღურავი გულში ნუ დაგრჩება ჩემზედ.

მთხოვარა.

გეტყობა, შენც ჩემსავით სანყალი ხარ. ამ პურს ისევ მოგცემ, ორ შაურსაც სხუასა, აჴა, ორივ, თუ ღმერთი გნამს, შინ წაიღე. *(შეაძლევს, მაგრამ არ გამოართმევს.)*

დედაკაცი.

აგრეც ნუ გგონივარ, ქვრივიკი ვარ, მაგრამ მე მაქვს სახლი და შვილებიც მყუნან ორი კარგი მეხ[რ]ეები, ნუ, აი, ერთი ისა. *(იმ პატარა ბიჭს თავის შვილზედ ჴელს დაადებს ამ სიტყვით.)* ნუ ინაღვლი ჩემთჴს. მართალია, ცოტა მაქუს, მაგრამ გემრიელი ლუკმა ცხოვრება. ეხლა ჩემ ბატონთან ვიყავ ამიტომ, რომ ნაჩალნიკის ბძანება მოგვივიდა სოფელში ყმების თავისუფლებისა, მაგრამ მაინც მე ჩემი არ დავიშალე, კარგი ძლუჴნი გავაკეთე, თან წავიღე და ბატონს მივართვი, ისევ ისეთისა ერთგულობით, როგორც ვიყავ, საიდგანაც ეს პური წამოვიღე, იმის სახლიდგან, შორის გზისთჴს: თუ გზაზე მამშვიდა, ვჭამო მეთქი. სადაც აქ შენ გნახე და ეგ ნახევარ პური შენ მოგეც, ფული მე არა მაქვს, დედაშვილობამა.

მთხოვარა.

ამ ჩემს მშვიერს დროსა ბევრი წყალობაა ნახევარ პური ჩემთჴს, გამადლობ, დედავ, მაგრამ ღვთის გულისთჴსა, თქუჴნს ბატონებს გაუფრთხილდით, უფრო მეტობითა ემსახურეთ. ეხლა არის იმათი გაჭირება – გაჭირება ასეთი, რომ მეტი აღარ შეიძლება. ემსახურეთ, დედაშვილობასა, ემსახურეთ, ღმერთი მოიმადლეთ, ნუ დაჴკარგავთ ჩუჴნს მამაპაპის ერთობასა, იმათ ძმურსა სიყუარულსა. ახლა შენ, პატარა სოფლის ბიჭო, შენც ეს დაიხსომე, ეს ანდერძი ჩემი და შენც შენი შვილიშვილებს გადაეცი ასე: ერთობა და სიყუარული ქართველისა...

ბიჭი.

დავისსომეებ და ძალიანაც, მთხოვარაო. უთუოთ აგრე უნდა იყოს, გული მტკივა, – მტკივა ჩუწნის ხალხისთვისა.

(ატირდება, თუალებზე ჳელს მიიფარებს და ნავლენ. მასუკან მთხოვარა ჳუჭყიანს ხელცახოცს ჳიბიდეგან ამოიღებს, გაშლის, ნვერით ხელში დაიჭერს და ქნევიტ მოჳყუშბა.)

მთხოვარა.

ეს ჩემი ჳუჭყიანი ხელცახოცი, ჩემი ცხვირსახოციც ეს არის, პირის სანმენდიც ეს. ავდგე, მივიდე, იქ ნყაროში მაინც გავავლო, დიდი ხანია, აღარ გამირეცხია. *(მივა ნყაროსთან, ხელცახოცს შიგ ჩაავდებს და ზედ ყურებით.)* ჳეი, ჳეი, გაუტანელო სოფელო, აქამდისინაც მიმიყუანე? – *(რეცხას დაუნყებს.)* ასე არის ყოველი საქმე, სულ გარემოებაზედ ჳკიდია. გარემოებასა გამოცდილება მოაქუს და ის გამოცდილება ასნავლის საქმეს, ისე მე ვისნავლე ესეები. *(მერე განურუას დაუნყებს იმ ხელცახოცს.)* ასემც გაინუროს ყოველი ცუდი კაცი, იმის ცუდი საქმეები. *(რაც ღონა აქუს, გასნურამს, მერე განურვილს ხელცახოცს წინ გაიშლის, შემდგომ უბიდეგან კოკოშას ამოიღებს და მარჯვენა ჳელში დაიჭერს.)* ჩემო თან გადმოყოლილო, ჩუწნო წინაპართა მოგონილო კოკოშავ, მაშინ, როდესაც რომ სხუა სასმისი არ ყოფილა ქუჭყანაზე, პირუშლათ ეს მოუგონიათ, პირუშლი სასმისი ეს არის კაცისა. შენ ხარ ჩემი სახსოვარი იმათ მოსაგონათ და პატივსგცემ გულით, კოკოშაო. *(წყალს ამოიღებს კოკოშით, გაშლილს ხელცახოცზე დასდგამს, თავისწინაც პურს დაიდებს და ხანდისხან ლუკმა პურს შესჭამს ამ სიტყუშბითა.)* ეს ღარიბი ჩუწნი მთხოვარების სერი მაღლიანი პურობაა და კოკოშით წმინდა ცივი ნყაროს ნყალი ესა. *(მასუკან ნვრილწვრილად ჳამას მოჳყუშბა, ზედ ნყალსა სუამს და თან ამას ამბობს.)* აი, სანყალთ სუფრა კეთილისა სანოვაგით სამსე. შენ ხარ პურობაო ჩუწნი შუშბის მომცემი ყოველს შემთხუჭვაში: ავათ რომ გავხდებით, ამან უნდა მოგუარჩინოს, ეს არის ჩუწნი სამკურნალო წამალი ჩუწნი სიმრთელის სიცოცხლე. ჩუწნი ლხინის დროსხომ დიდი ნადიმია ჩუწნი ესა, ჩუწნი სიკვდილისა შემდგომ ღვინის მაგიერათ ამით შეგვინდობენ ჩუწნს ცოდუასა, ეს არის ჩუწნი ხაზინა და ყოველი ჩუწნი დიდება. *(ამასთან უკანასკნელს ლუკმას შესჭამს და უკანასკნელს ნყალსაც დაღვეს.)* ახლა დროა, აგერ გაფოთვლილსა ჳაგის უკან დავეგდო, მძინარე არავინ დამინახოს, მიმალულსავით ვიყო, რომ არავინ არ მიცნოს. ყუშლგან არის ჩემი ქუშმაგები, მშრალი დედა მინა და ხან სველი, რომელსაცა სადაც მიღამდება, იქვე მითენდება. ახლა შუა დღეა, ეხლა როგორღაც ძილი მამიდის, ჩავიძინებ ცოტას, რომ ძილში გავატარო ეს სიმნარე ჩემი, რომელიცა ბევრჯველ ყინუასიცივისგან ვიძახი მე: ვაი, დედავ, დედავ.

ეჭ, რალა მომატებულათა მოვკლა ჩემი გული ამაებით, კმარა ესა.
(და ადგება კიდევ, მივა იმ ჯავებში, ამასაც დაიძახებს და ძილათაც
ჩაეგდება იქვე.) ოჰ! ჩუწნო სანყალთ შავობედო, ბედო....

(პატარა ხანს უკან რავდენიმე განათლებული სტუდენტები და
აქაური გაზდილები მოვლენ.)

პირუჭლი იმათგანი.

ხედავთ, სად მოვედით ამ ჩუწნს სიარულში, ამ ჩუწნს საამოსა
ლაპარაკში, რომ ვერაგავიგეთრა?

მეორე.

მართლა, სხუათა საფლავების შორის, ჩუწნი მამებისა, ბიძებისა
და მახლობლების საფლავებსა ხედავთ აქა?

მესამე.

მივიდეთ, წავიკითხოთ, რა სწერია იმათ საფლავებზე?

(მივლენ ყუწლანი.)

მეოთხე.

ამ საფლავზედ არა სწერიარა, მხოლოდ ამის ქუაზედ
გამოკვეთილია გულხელ დაკრეფილი კაცი და გუთანია.

მეხუთე.

ეგ უთუოთ მხვნელმთესველი ყოფილა, მაგას დიდათ ჰყუარე-
ბია მამულისა მუშაობა.

მეექვსე.

ამ მეორეს საფლავზედაც არა სწერიარა, ამაზე გამოკვეთილია
კაცი დოინჯ შემოყრილი; გვერდით უდგას შეკაზმული ცხენი. კარ-
საც აქუს შემოყრილი თავის საჭურველი: მუზარადი, ჯაჭვი, ხმალი,
ხანჯალი და ლახტი თავის შუბით.

ახლა კიდევ პირველი.

ეს ორი საფლავი, ვინ იცის, რა დროებისა უნდა იყოს?

მეორე.

იქნება მაშინდელი იყოს, როდისაც რომ წერა არ იცოდნენ საქა-
რთუწლოში?

მესამე.

როგორც გგონიათ, აგრე ძუწლი არ იქნება, მაგრამ ესკი არის,
რომ საქართუწლოში უმთავრესი საქმე ეს ყოფილა: ჯარისკაცი და
ხენა, თესვა, რაც რომ უფრო მშობელს მამულს ეჭირებოდა. ახლა
სხუა საფლავი ნახეთ.

მეოთხე.

ამ უქრონიკონოს მესამეს საფლავზე, აი, რა სწერია: მე, ივანე
ნურის შვილი, ასეთს სიძვირესა მოვესწარი საქართუწლოში, რომ
ერთი საპალნე კარგი ღვინო ათ შაურათ იყო, კოდი ჰური – ერთ შაუ-
რათ, ორასი კვერცხი – ნახევარ შაურათ, ოთხი ქათამი – ნახევარ

შაურათ, ერთი ცხუარი – სამ შაურათ და ერთი ლიტრა ყუჭლი – სამ ფულათა. მე ამ სიძვირეში ჩემი ცოლშვილები გამოკვებე და თუ ამის შემდგომ ამისთანა სიძვირეში სხუამ თავისი ცოლ-შვილები ასე ჩემსავითა გამოკვებოს, იმან დიდი დაიკვებოს!

(ყუჭლანი ერთიანათ გაიცინებენ.)

მეხუთე.

ნეტავი, წამოდგეს და ნახოს, რა დრო არის ეხლა, მაგან?

მეექვსე.

ეტყობა, რომ მაშინ ფული ცოტა ყოფილა?

კიდევ პირუჭლი.

უთუოთ, აგრე იქნებოდა, მაგრამ შენ ესა თქვი, მაშინდელი ია-ფობა და ან ხალხის კეთილმდგომარეობა საქართუშლოში?

მეორე.

ეტყობა, ორივე უხუად ყოფილა ღვთის მადლი ეგ საქართუშლოში. მაგრამ, აბა, ახლა სხუა მეოთხე მაგ საფლავზედ წაიკითხეთ.

მესამე.

მე, ასი წლის კაცი ზაზა მოგვერდელაშვილი ერთხელ ავათ არ გამხდარვარ ამიტომ, რომ უჯავრელი ცხოვრება იყო ყუჭლ-გან საქართუშლოში. ჩუწნი ჯავრი ჩუწნი მტრები იყვნენ ხოლმე, როდესაც რომ მოვიდოდნენ ჩუწნზე, სხუა სულ არაფერი. მაშინაც რა? – ისიც ერთი კარგი შექცევავა, რომლებიცა დიდის მხიარულებითა გავეგებებოდით ქართუშლები, სადაც ხმლითა გადავწყვეტდით ჩუწნს საქმესა. ჩემსა სიცოცხლეში ექვსჯერ ძალიანი მტერი შემოვიდა საქართუშლოში, საიდგანაც გაილაღნენ ქართუშლების მკლავის ძალის ვაჟკაცობით, მაგრამ კიდევაც არ მოგვეშვნენ ის წყეულნი. მეექვსეთ რომ შემოვიდნენ, მაინც კიდევ დაამარცხეს მძლავრი ჯარი მტრისა ჩუწნმა ჯარმა და გარეკეს სამძლუარს გარეთ, მაგრამ ხედავთ ბედსა ჩემსა, იმ მამულის დავაში რომ ვერ დავესწარი მოხუცებულობისაგან მოუძღურებული. ვაი მე, რომ იმ დღეს იქ არ ვიყავ ჩემს მამულის ძმებთან. მეც იმათთან რავდენიმე ჩემი წვეთი სისხლი ჩემს მამულზედ დამექცია, მამაპაპის მონამების ჩუწნს მამულზე, რომელიცა ამის ჯავრით მოკვკედი, ჩემო მამულისა ძმებო, შემინდევით შეცოდება.

ერთიანათ.

ახ! აი, კაცი!.. *(და გულხელდაკრეფით ერთობ მდუმარებით და-იჩოქებენ იმის წინ, მერე ემთხვევინ ზედა და შემდგომ წამოდგებიან.)*

შემდეგ პირუჭლი.

ეს ოთხი საფლავები ღირსი სახსოვარი არის! აბა, იქით საფლა-

ვეები ვნახოთ, ეხლანდელი დროჲს საფლავები, ჩუჴნი მამებისა, ბი-
ძებისა და მახლობლებისა.

(ერთიანათ წავლენ, დახედვენ.)

კიდევ პირუშლი.

ყვუშლას საფლავებზე ასე არის დანერილი: [დიდი] თავადები
აქ მარხიან, ამ ქვის ქუშშა და სხუანი...*

ერთიანად.

მითამ დიდი კაცნი (!)

მეექვსე.

ნუ ჰკიჴინობთ, ძმებო. ისეც სჯობს, რომ სწორეთა ვთქუათ
პირდაპირა [შეუკდიმად] მაგათი თვსება: ეგენი იყვნენ უსამართ-
ლო დავიდარაბების მოყუარულნი, სასამართლო სუდი მაგათჴსა
იყო სულის ზიარება, ოღონდ არზა შეეცანათ იქა, თორემ ოჯახი
რომ სულერთიან დაელუჴათ, ჩალათ არ მიაჩნდათ. ერთმანეთ-
ში გასწორება მაგათჴს ხომ იყო უბედურობაზედ უბედურებანი.
ვის რომელი მოეტყუებინა, ან როგორმე ძალით წაერთმია; თავის
გონებაში და იმისთანა მგზავსის კაცებში საკვირველი გონიერი
იყო ისა, რომლებიცა ტრაბახობდნენ კიდევ, სხუშბის მამულების
შეძინებას, უფრო სწორეთა ვთქუათ, მოტაცებას. მაგათი გონება
სულ ამ საქმეზედ იყო მიქცეული, რომლებიცა თავის საქუშყნოს
სასარგებლოს საქმეებსა ეგენი არ იტყოდნენ, საჯავრელად ჰქონ-
დათ მაგათ ესა. აი, ძმებო, ამისთანა ბატონები იყვნენ ესენი და
კიდევაცკი დღესაც არიან მაგისთანები საქართუშლოში. კარგი,
კარგი, სათაკილოდ მიმჩანს მაგათზედ ლაპარაკი, თუნდ რომ მამა
იყოს, თუნდა რა ვიცი, ვინ, ამ გუარები მე არ მომწონს ესენი.

ერთიანათ.

ჩუშნც აგრე ვართ, ძმაო.

(ამდროს პირუშლი მოიხედამს და დაიძახებს.)

პირუშლი.

კარგი, გაათავეთ. აგერ, ხედავთ, უწინდელი ძველი თავადები
მოდიან, აქედგან გავეცალნეთ, შორიდგან ვნახოთ, აქ რომ მოვ-
ლენ, ამათ საფლავებზედ, ახლა ისინი რას იტყვან?

ერთიანად.

კარგი, იქნებ წავიდეთ.

*(წავლენ და მოფარებით დაუნყებენ ყურებას. მოხუცებული
თავადი ადამ და ამის მომდევნო ხნის თავადები მოვლენ ამ საფლა-
ვებთან.)*

* თავადები ეკლესიაში იმარხებოდნენ და დღესაც იმარხებიან. მე აქ ღია ჰაერში
ვთქვი უფრო დასანახუათ.

ადამ.

აი, ძმებო, გუშინ რომ დავანყევით ამათ საფლავებთან მოსვლა. აბა, ახლა აქა ვთქუათ, ჩუწნი სვე და ჩუწნი ეტლი.

მეორე.

ნეტავი მაგათ, რომ არ დაესწრნენ ჩუწნი ყმების თავისუფლება-სა, ამ ჩუწნს უბედურობასა.

მესამე.

ნეტავი, მეც მაგათთან ვინვე, ამასკი არ მოვსწრებოდი.

მეოთხე.

არ ვიცი, რომ რა წყალობა მოუციათ ჩუწნთვს, რას გუართმევენ?

მეხუთე.

რაც წყალობა ჩუწნთვს მოეცეთ, ის წაგვართუან, ჩუწნ ყმებს რას გვემართლებიან, რომ გუაბარებენ?

მეექვსე.

ჩუწნი მამაპაპის სისხლით ნაშოვნს ყმებსა უსიკვდილოდ ჩუწნს სიცოცხლეშივე რომ გუართმევენ: ჭირზედ უარესი ჭირი არის ჩუწნთვს ესა.

ადამ.

იძახიან: კაცობრიობის დროა ეხლა, ხელი უნდა აილოთო ყმებზედ თქუწნი ყმების ბედნიერებისთვისაო. ოლონდ ჭეშმარიტი კაცობრიობაკი [მოხ...დეს], თორემ, აჰა, შეგვინირავს დიდ სულოვნად. მაგრამ, ვაი მე, თუ კაცობრიობის მაგიერათ, რაც რომ უწინდელსა დროში უბედურობანი მოსდიოდა ქართუწლებსა, ეხლა უფრო უარესი დაგუწმართოს? – იქ ზეცასა, იმ ღმერთსა ვთხოვ გულმხურუ-ალედ, მე ვცდებოდე ამაზედ, მაგრამ იმ ჩუწნს ყმებს რომ გუამორებენ, ჩუწნს დასდილებსა ბევრის ჩუწნის ჭირნახულობითა, იმ ჩუწნს ნუგეშებსა, იმ ჩუწნს შვილებსა, იმ ჩუწნს მეგობრებსა, აბა, ახლა ამის შემდგომ რა ვქნათ ჩუწნ სანყლებმა, ნამეტნავად ამ ჩუწნს მოხუცებულობაში, ჩუწნ? – რასაც მამაპაპით შევჩუწლვართ, ყოვლის სიხარულით ასე დავიბერეთ ჩუწნი თავი იმათში, მოდით, ახლა გადვეჩუწნეთ ამას? – არ იციან, ჩემი ყმებისთვისა რამდენი რამ მწუხარება შემთხვევია, რამდენი ღამეები გამითენებია ტანჯვით, იმათ მშვიდობისა, იმათ კეთილმდგომარეობისათვს... დაიჯერეთ, ჩემს შვილებზე ამთენი ჭინახული მე არ მქონდა, რა ერთიცა იმ ჩემს ყმებზედ. აბა, ახლა ამის შემდგომ შენუხება გუამართებს, თუ რომ აქა? – რა ვქნათ, რა ვქნათ? – ამ ჩუწნს დრტვინვას, ვის რას გააგონებ, ვინ შეგვინყალებს? – მხოლოდ ამის მეტი, რომა ისევ ისინი თავიანთსა იძახიან: გაუშვითო ყმები, გაუშვითო. რახან აღარ გვეშვებიან, მეტი ღონე აღარა გუაქვს, ამის მეტი, რომა, უნდა,

ჩუწნი თავი ადრევე დავიტიროთ. მე ჩემს თავსა ჩქარა დავიმარხავ ამათთან, ამ ჩემს ძმებთან, ცუდსა აღარაფერს აღარ გავიგონებ, ძმებო.

ერთიანათ.

დავიმარხოთ თავი, დავიმარხოთ.

კიდევ ადამ.

ამათ საფლავებზედ ამ სტყუჭბით ცოტათ მოვიოხედ გული, ახლა გვიჯობს წასვლა, საიქიოსთჳსა მოვემზადნეთ, ლოცვთ, ღვთის ვედრებით.

კიდევ ერთიანათ.

მოვემზადნეთ, მოვემზადნეთ.

(და წავლენ. იმათ შემდგომ კიდევ ის ყმანვილიკაცნი მოვლენ აქა.)

პირუჭლი.

გაიგონეთ, ძმებო, რა თქუჭს საწყალთ მოხუცებულეებმა?

მეორე.

გავიგონეთ. იმათ სიტყუამ დამასევედინა.

მესამე.

შემებრალდნენ საცოდავნი.

მეოთხე.

მე ხომ მწუხარებით გული ამემღვრია.

მეხუთე.

მე ცრემლები მამერია თუალებში.

მეექვსე.

მე ტირილი ველარ შევიკავე, გული ამამიჯდა.

პირუჭლივე.

აი, სწორეთ შესაბრალნი ისინი არიან.

(ამდროს ჯავიდგან ხმა მოვიდა.)

ვაი, დედავ, დედავ. ღმერთო, მამკალ, მამარჩინე, – მამარჩინე ამთენს ტანჯუას.

(ერთიანათ და ჩუმათ გაფაცვიცებით.)

ერთიან.

გესმისთ, გესმისთ?

პირველი.

აქ, უთუოთ, რადაც დაფარული საქმე არის, წავიდეთ, კიდევ დავიმაღნეთ, ვნახოთ, რა იქნება?

(წავლენ და მერე მთხოვარა წამოდგება.)

მთხოვარა.

სიზმარი ვნახე: ფრთები მესხა, დავფრინავდი, ახლა იმე-

დი მაქუს, ჩქარა მოვკვდე, მეც აგერ, აიმ მკვდრებსავითა ვინვე უჯავრელი, მაგრამ, აბა, ახლა იმს საფლავებთან მივიდე, ზედ დავხედო, ვისი არის, რომ აქედგან ისე არ წავიდე, შენდობა ველარ უთხრა იმათ.

(მივა დახედავს და მოჰყუწბა.)

მთხოვარა.

ვნახო, რა სწერია ამ ჩემს უცნობს საფლავებზე? – ვნევარ მე, თავადი ვახუშტი აქ. *(ამასთან უეცრათ დაიძახებს.)* სუ! ვახუშტიო? – ხედავთ, საიდგან როგორ წამოვანყდი ამ საფლავსა? – ეტყობა, მამკვდარა ის. რაღა პირუშლათ ეს საფლავი შემხვდა? – ბატონო, ჩემო ბატონო, ჩემო ამკლებელო, რა ყოფა ჩემი ესა, ძონძში ვახ-ვევივარ? – მე რომ შენთან გიახლებოდი ვერცხლის ყანიმებში განწყობილი, ჩემს ტანზე და იმ ლამაზის ბრუზუმენტიანის ჩოხით, ბედაურსა ლურჯსა ცხენზე კალმუხისა ქუდით ჩაკეცილი. რა რი-გათა სიამოვნით გქონდა ხოლმე ჩემი ამისთანა ქცევა, ან მე როგორ ვინონებდი შენით თავსა? – რათ გამიქერ შენი საამო ეს, ჩემი თავის მოსანონი? – იმ ერთს საუცხოვოს სოფელში, იმ ჩემს ყოვლისფრი-თა უნაკლულოს სახლში, იმ ჩემს მამაპაპის დიდს დარბაზში, შენ რომ მენვევოდი, რარიათა ძმურად შევექცევოდით ჩუწნ? – შენ მოიკელ შენი შექცევა ეს, მეც გამგლისე დედამინაზედა. *(პატარა დაფიქრების შემდგომ.)* რას ვანბობ, რათ ვაყუწდრი ამას, ამაებ-სა? – ამას ბრალი არა აქვსრა, ეს გულწრფელი კაცი იყო, მალე ტყუვდებოდა. მოურაო ჭირაძეო, ჩემო მოშურნეო, დაუძინებელო მტერო. მე რომ ქრთამსა არ გაძლევდი, ჭირაძეო, არაცა არაფრა-თა ჩაგაგდებდი, იმისთჳსა გძულდი, განა? – ღვთისგან დანყევლი-ლი გუწლი ისა, კაცი ხომ არ. თავის სამსალიანისა ენით სისინებდა თურმე ჩემზედ ბატონ ჩემთან: თავისაო სიმდიდრესა გაუამაყებია, სულში ჩივილს გიპირებსო, მითამ ყმა არ იყოს ის შენო. იქამდისინ ესისინა, ესისინა, რომ ბოლოდროს სულ ამიკლო თვთონ იმ ჭირაძემ ბატონისა სიტყვთ ასე უეცრათა, როგორც მეკობრეები ქარვანზედ მიესივნენ თარეშულად. მოულოდნელს ამისთვინა ამბავზედა ჩემს საყუარელს ცოლსა, იმ სუსტ დედაკაცსა უეცარი ელდა ეცა, იქვე გადაბრუნდა, მმოკვდა. იმ წამს გიჟსავითა გამოვარდი შინადგან გარეთ, ვნახე, ქუწყანა ბნელი იყო ჩემს თუალ წინ, საიდგანაც წაფ-ელ ხეტებითა, განა ვიცი, სადა? – ბოლო ღამემ მისწრა; ვარსკვ-ლავებიან ზეცაზედ როგორღაც თუალი რომ მოვავლე, ღმერთი დავინახე!.. დავიჩოქე იმის წინა მწარეს ცრემლით ერთს მაღალსა მთაზედ ამის დაძახებით: გმადლობ, ღმერთო მეთქი. რომელმაცა დამიმშვიდა გული მყუდროდ. მაგრამ როდესაც რომ ჩემი მკვდარი ცოლი წარმამიდგა, ამასთან ჩემი ოთხი წვრილი შვილი დაობლე-

ბულები, ის ტიტვლები, ის მშივრები და ოჯახიც ნაცარ განიავებული, კიდევ მოკვდა გული. (და კიდევ გადიქცევა. პატარახანს უკან ისევ წამოდგება და შენუხებით დაიძახებს.) აი, ამის შემდგომ ოთხი წელიწადი არის, საქართუწლოში გარეთ სხუა სოფლებში ამ სახითა ასე დავნრნი ყუწლგან, ლუკმა პურისთვისა, როგორც სახლიდგან გაგდებული მუნიანი ძაღლი, ისე მე ვარ ეხლა, ოჰ, ჭირაძეო – ჭირაძეო.

(გულხელს დაიკრეფს და ღრმათ ჩაფიქრდება. ამდროს ერთი თექვსმეტის წლის ქალი მოვა თაღხად ჩაცმული და დაუძახებს.)

ქალი.

მთხოვარაო, მწუხარებით ნუ იკლავ თავს, ღმერთი ნუგეშია შენი.

მთხოვარა.

ჭეშმარიტად, ღმერთი ნუგეშია ჩემი. (მასუკან მოიხედავს.) ვინა ხარ შენ, ქალო, აქ ვის ეძებ ამ მკვდრებში?

ქალი.

კეთილს სინმინდესა.

მთხოვარა.

აქ ვინა ქნა ეგა, აქ იკითხე, რითაც წასულან ეს მკვდრები საიქიოს.

ქალი.

როგორ არა, ვიცი კარგათ, რა ტვრთიცა წაუღიათ ამათ საიქიოს...

მთხოვარა.

ქალო, თუ ეგეც იცი, მაშ, რაღათ მოხველ აქა? – დაეხსენი ამათ, ამისთანა სიჩუმეში იყვნენ მკვდრები ესა.

(გაჩუმების შემდგომ ხელის განპყრობით.)

ქალი.

ღმერთო დიდო! მხოლოდ შენ ერთს გესმის, ეს ამათი ხმანი...

მთხოვარა.

მართლა, ქალო, იმას ესმის ერთსა!..

ქალი.

მთხოვარაო, ახლა შენც მითხარი, აქ რათა ხარ შენა?

მთხოვარა.

უეცრათ მოველ ფიქრში როგორღაც.

ქალი.

მერე აქ რას ხედავ?

მთხოვარა.

აი, ამ ჩემს ბატონს ამ საფლავში, ქარის მოსატაცსა მტვერსა ამას.

ქალი.

მასუკან იცნობდი შენ მაგას ახლო?

მთხოვარა.

დიახ, კარგათ. დიდი სიყუარულიც მქონდა, დღესაც დიდი ერთ-გული ვარ მე ამისი.

ქალი.

მაგ შენს ბატონთან ვინ გინახავს?

მთხოვარა.

პირუცღათ, მერომ ამან მომიყუანა სახლში, ამის ცოლი მკვდარი იყო, თურმე ზეციური სული ყოფილიყო ისა. იმას დარჩენოდა ერთის წლისა ქალი მშვენიერი, მეტათ მშვენიერი, რომელსაცა ამის-გამო მომატებულს სახელს უძახოდნენ იმას: ქალთჴელმწიფას! შემდგომ ის რომ გაიზარდა, იყო სავსე კეთილითა. მე ამ ორის მეტ-სა არა ვიტყვი: თავის მამას ჯიბიდგან ფულს აცლიდა ჩუმათ და დავრდომილს გლახებს ურიგებდა. მამაც ბევრს აძლევდა, მაგრამ იმ ქალისთვის ცოტა იყო ხოლმე ის ფულები საწყლებისთვის. და მეორე, ესეც ვნახე იმისაგან, რომ იმ ქალმა ერთს კვირა დღეს ერთი ახლად შეკერილი ღირებული კაბა ტანზედ ეცვა, საღამოსკი ერთსა დიახ ღარიბს საწყალს დედაკაცსა მისცა. როგორ მოვთვლი იმის კეთილმოქმედებას, ამთენია... იმის წმინდა ქცევის მაგალითებითა მეც ვისწავლე იმის წმინდა ზნეობანი და კეთილი, რაც რომ უნდა იყოს ამ სოფელში კაცობრიობისთვის...

(ამასთან მთხოვარა ატირდება და ქალიც ეგრეთვე.)

მთხოვარა. *(თუალებს მოინმენდს.)*

ქალო, მე რომ ვტირი, მაქუს მიზეზი, შენს ყმანვილსა ქალობასკი უნდა გაუფრთხილდე, არ ეწყინოს შენს გულსა, თორემ ფერსა იკრთობს დასაჭუნობად.

ქალიც. *(თუალებს მოინმენდს.)*

რა იცი, რომ მეც არა მაქუს მიზეზი რამ, ჩემი თუალებიდან გამდმოვყარო ეს ცრემლები?

მთხოვარა.

ეხლა შენის წელიწადებითა შენა ზეცას უნდა შეხაროდე, წუხილს შენთან რა ხელი აქუს?

ქალი.

ჩემი სუსტი ღმობიერი გული რომ ამას ინუცვს შენუხებულთათს, როგორ დავაბრუნო ჩემგნით ესა?

მთხოვარა.

როგორ, რაო, ქალო! როგორღაც ექვში შემიყუანე. მე იმ ქალისაგან ბევრჯუწლ გამიგონია ეგ: ჩემი სუსტი ღმობიერი გული მანუცვს მეო. ნუ დამალავ, შენს გაზდასა, თუ ის იყო ჩემი ბატონის

ქალი, ანღელიკა? *

ქალი.

მე რომ ნელან გითხარ: კეთილს სინმინდესა ვეძებ მეთქი. აი, გპოვე დაჩაგრულო პეტრე. ეხლა აღარ დაგიმაღავ, მე ვარ სწორეთ ისა.

მთხოვარა. (დაემხოზა.)

შენს უნმინდეს კეთილმოქმედების წინა დავემხოზი, შენ, ანღელიკავ, შენი კეთილმოქმედება, ღმერთთან წინ მიგიძღვის... მაგრამ, ანღელიკავ, სახეზედ გამოცვლილხარ, ველარ გიცან.

ანღელიკა. (ხელსა დაავლებს, წამოაყენებს.)

ბევრმა ავანტიყოფობამ გამამცუალა სახეზედ.

მთხოვარა.

თუ ბევრმა ლოცვის ღუანღმა, ანუ ღარიბების შემწეობამ: ბევრჯველ არას ავდარს რომ არ დაერიდებოდი და ცხარეს ცრემლით მიმართავდი იმათ შესანევენლად, იმან გამოქცევალა სახეზედ შენ?

ანღელიკა.

ახლა მაგას თავი დავანებოთ, ეს სჯობს, რასაც ეხლა გეტყვი. მახარობელი ვარ შენთან, მოგილოცავ ერთობ თქუწნი ყმობის თავისუფლებასა.

მთხოვარა.

მე ეგ ვიცი, მაგრამ მე არ მამწონს ეგა ამიტომ, რომ ბატონი და გლეხი ერთმანეთსა დავშორდებით.

ანღელიკა.

არა, პეტრე, ეხლანდელს დროს ასე სჯობდა, რომ ჩუწნი ყმები ჩუწნგნით გასულიყვენ, მაგრამ ყოველი კეთილგონიერი ეხლა ამას უნდა შეეცადნენ, ისინი იმისთანას გზაზე დააყენოს, ახლანდელი განათლება მისცენ იმათ. მე ბევრს უთხარ ესა, ჭკუაში მოუვიდათ. განათლება არამც ერთმანეთს დაგუაშორებს – უფრო მკვიდრად შეგვკვრამს ბატონს და გლეხს.

მთხოვარა.

ეგ დიახ კარგი, მაგრამ მცირეს ბატონებისთვისა რაღას იტყვოთ, უკანასკნელს სიღარიბეში რომ ჩაცვივიან, ლუკმა გაუწყდებათ?

ანღელიკა.

მეტი ღონე რომ არარის, გლეხკაცობას ჳელი უნდა მიჰყონ

* რაც თვსება აქ სწერია ამ ქალისა, მე ამისთანა ქალი ვიცი, მაგრამ შესანუხებლად აღარ არის და ამისთანა კაციც ვიცი ბატონისგან აკლებული. გარდა ამებისა, ეს მთელი თხზულება ჩუწნში არის მოკრეფილი და აქ რიგზედ შეწყობილი. თუ რომ წამდვილიდგან გადავსულვარ რასმე, დიახ ცოტას-მცირეს, ისიც ჭრაზები სურათისთვის, რომელიცა უამისოთ არ იქნებოდა, თორემ აქ ხსენებულს საგნებს, ანუ აზრებს და ანუ საქმეებსა, ვიცი, ჩუწნში გაუვლია.

იმათ, ანუ ვაჭრობასა რასმე, მაგრამ გლექკაცობა იმათთჳსა უფრო ადვილია. ეს არარის სათაკილო, იმათში ის ბატონი კიდეც ის იქნება, რაც რომ ადრე იყო, როგორც ვიცი, ერთი ნამდვილი მაგალითი გონიერი ღარიბის თავადისა: თვთონ საქონელსა მოუვილიდა, რომ ბევრჯველ მოჯამაგირესაც არ გასჯიდა, თვთონ გუთანს დაიჭერდა, ხნამდა, გუთნის დედა იყო. თვთონ გლექკაცებთან ურემზედ დადიოდა ყველგან ქირაზედ და სხუანი... რა დააკლდა იმას? – იმან ის შეიმატა, რომ ყოვლისფრით უნაკლულოდ იყო. გლექკაცების სიყუარული იმისთჳს ხომ დიდი ჯილდო იყო ხოლმე.

მთხოვარა.

რალა მეთქმის, სრულო კეთილგონიერო, რასაც ამბობ, მართალია. მაგრამ ახლა მე ეს მითხარი, ანლელიკავ, ეხლა შენ ხომ ქმარი უნდა გყუანდეს, რატომ ისიც აქ არარის შენთან?

ანლელიკა.

მე, თექვსმეტის წლისამ, რათშევიერთო ქმარი?

მთხოვარა.

როგორ რათა, დედის ერთავ? – დაემურე, დამიჯერე.

ანლელიკა.

ვისაც უნდა, დარჩეს ჩემი მამაპაპის მამულეები, ანლელიკა ის იქნება, ჩემი საქმე ეხლა ღმერთთან ის არის, რომ იმას მივართვი ჩემი თავი, იმას ვევედრები მტკივნეულობისა ცრემლით, *(ამასთან ატირდება და მასუკან.)* თავის უხვი მოწყალება მოსცეს ჩუწნს ქუწყანას. ეხლა ასეთს უმანკოსა ხანში ვიმყოფები, უთუოთ ღმერთი ისმენს ამ ჩემს მტკივნეულობისა ცრემლსა. რათ დავკარგო ეს დრო ჩემი – ჩუწნის ქუწყნისთჳსა ღმერთთან, რომელთანაც იმის წინაშე ვარ დაჩოქილი მარად ცრემლით და ვთხოვ ამას გულმხურვალედ. სწორეთ გეტყვი, მე ვეკუთვნი მხოლოდ ღმერთსა და არა კაცს, რომელსაცა ჩქარაც ვიახლები, იმ ჩემს ღმერთსა!

(ამ სიტყუაზედ კიდეც დაემხობა.)

მთხოვარა.

კიდეც როგორ არ დავემხო შენ წინ, წმინდავ ანლელიკავ.

ანლელიკა.

დაჩაგრულო პეტრე, – დაჩაგვრითა მოგდის ეგ მაგდენი დაჩოქება. კარგი, ადექ. *(ადგება.)* სწორეთ პირისპირ დავდგეთ ჩუწნ, რომ ჩუწნს გულში ხუანჯი აღარ იყოს.

მთხოვარა.

აგრე, ჩემო წელმწიფაო, ღმერთმა ნუ ქნას, ჩემს გულში მცირედი რამ ხუანჯი იყოს თქუწნზე.

ანლელიკა.

დაჩაგრულო პეტრე, ოთხი წელინაღია, მე შენ გეძებ; ყუწლგან

საქართველოში მე კაცები დავატარე, მაგრამ შენი კუალიც ვერ გაიგეს, ეხლა აქ ჩემს სოფელს, იქ ჩემს სახლში უეცრათ მითხრეს: მამი თქუშნის საფლავისა ახლოს საცოდავი პეტრე ზისო, ნყალობა-სა ითხოვს მგზავრებისაგანაო, რომელიცა საჩქაროთ გამოვიჭერ აქ, მომესწრა შენთვის. ველარ ნახუალ ველარსადა, პეტრე.

მთხოვარა.

არა, შეინჭიმე, მე ამ ჩემს თრევაში ასე მინდა, სული ამოვირთო, რა კაცი ვარ ეხლა, ნახდენილი, დაცემული.

ანღელიკა.

მე ამ მამიჩემის საფლავის ხმას არ გავცემ, ოღონდ წამო ჩემთან.

მთხოვარა.

ღვთის პირისაგან შეჩუშნებული ვიყო, თუ მე ამას ვემდუროდე. გვედრები, ამ საფლავსა დაუჩოქო, მაგ სიტყვსთჳს მოტევება სთხოვო მამას.

ანღელიკა.

სწორეთ გეტყვი. შენის აკლებისა შემდგომ, ორკვირაზედ მამაჩემიც მოკვდა, მერე შემოვწყერი ამ საფლავსა, მამი-ჩემისაგან იმის გაუჩხრეკელს საქმეს შენზედ და უსამართლოდ შენის შენუხებისთჳსა.

მთხოვარა.

ანღელიკავ, მაგას ნუ ემდური, ღმერთი გადღეგრძელებს, კიდევ გვედრები, მამი შენის საფლავს შეურიგდე, გვედრები, აი, მუხლდავრდომით.

(დაუჩოქებს, ანღელიკა მივარდება, წამოაყენებს.)

ანღელიკა.

რახან აგრე გულით გინდა, აი, შევრიგდები. *(მამის საფლავს დაუჩოქებს.)* ამ პატიოსანის პეტრეს თხოვით, აღარ მოვიგონებ ამის ამდენს მნუხარებას, მამავ. *(საფლავს ემთხვევა და მასუკან პეტრესაკენ წამოდგება.)* ახლა მაინც წამო ჩემს სახლში.

მთხოვარა.

კიდევ უნდა ვნახო მე ჭირაძე? – არა, მე არ შემიძლიან, კიდევ თუალით დავინახო ის უგრძნობო ადამიანებზედ.

ანღელიკა.

ამ ორის წლის წინათა დასნეულდა ასეთისა სნეულობით, რომ მგელსავითა ჰყეფდა, ღმუოდა, რომელიცა ამისთანა ტანჯუაში მოკვდა ისა.

მთხოვარა.

ცრუს და ცუდკაცებსა, – ცუდკაცობა არავის არ შერჩენიათ, არც შერჩებათ. ასე არის მომართული ეს სოფელი.

ანღელიკა.

მაშ, წამოდი, წავიდეთ შინ, იქ სიხარულს გეტყვი დიდსა!

მთხოვარა.

რა სიხარულს, ოჯახდაქცეულს მე მთხოვარასა?

ანღელიკა.

ის შენი ოჯახი კიდევ ისე უძრავია, როგორც შენს დროს იყო. როცა მითხრეს ის შენი აკლება, ერთი ყოფა უყავ მამას, რომელმაცა მაშინათვე დაგიბრუნა შენი ყოველი ქონება თავის სიცოცხლეში.

მთხოვარა.

შენუხებულთ დედავ. რა ვთქუა მაგისტუსა? – *(პატარა დაფიქრების შემდგომ.)* ჩემი სული თუ რომ ჩემგნით გარეთ გამოვიდეს, მხოლოდ იმას შეუძლიან ის გამოთქუას, რასაც რომა მე ეხლა ვგრძნობ შენს მადლობას. მაგრამ?... *(ამ სიტყუაზე დალონდება და ხმას გაჰკეენდს.)*

ანღელიკა. (საჩქაროთ.)

ვიცი, პეტრე, შენი დალონება. შინ რომ მივსულიყავ, იქ მინდოდა მეთქუა, მაგრამ ახლო სიხარული უფრო შესაფერი არის, მინამ დაგვიანდეს. შენი ცოლიც ცოცხალია, შენი შვილებიცა. იმ სოფელში, იმ შენს მდიდარ სახლში ეხლა იქნება ისინიცა გრძნობდენ ამ შენ სიხარულსა.

მთხოვარა.

როგორ, რაო, ქალთა ჴელმწიფაო! ეგ რა გავიგონე? – *(და სიამოვნის აკანკალებით თრთოლას მოჰყვება.)*

ანღელიკა.

არც აგეთი სიამოვნე უნდა, რომ რიგიანს გონებაზედ აღარა ხარ. შამამხედე, რას უყურებ აქეთ იქით და კანკალებ? – გული დაიმშვიდე, – დაიმშვიდე, კაცო – კაცი ხარ.

(ამ სიტყვაზე პეტრე ატირდება.)

კიდევ ანღელიკა.

კარგათ გულით ამოტირდი, პეტრე, შენი ამოფსკენილი გულის ცრემლი კარგი არის შენი სიმრთელისთვის. ცოტათ კიდევ მოიდინე, ნუ შეინყუშტ ემაგ სიხარულის ცრემლსა. ეხლა ცხადათ ვხედავ შენს ბედნიერს სვესა შენს ცოლშვილში.

(ამით დაამშვიდებს და მასუკან მთხოვარა.)

მთხოვარა.

ღმერთის წყალობავ, ეგ რა მითხარ? – ჩემი ცოლი მოკვდა, ჩემი თუალთ ვნახე.

ანღელიკა.

არა, ვერა გაგეგორა, გულს შემოჰყროდა, შენკი გიჟსავითა

გავარდნილხარ, ვინ იცოდა, სადა?

მთხოვარა.

რამდენი შენ უბედურნი, შენგნით გამოსხნილნი გლოცენ, ეგე შენი მადლი ღმერთთან არის, განუქრობელს ლამპადათა, ბრწყინ-უალებით, ჩუშნის ქუწყნისთჳსა მარად...

ანღელიკა.

მაშ, წავიდეთ შინა, იქ გელის განახლებული ბედნიერება, უფრო კიდევ პირუცღზედ მეტი.

მთხოვარა.

მუხლებ დახუთული, ქარებისგან დაჭერილი, ამ ყოფით როგორ წამოვიდე და ან ამ ძონძისა ტანისა მასითა.

(ტანისამოსზე ჴელს დაიდებს.)

ანღელიკა.

კარგს აქიმსა დაგაყენებ, მალე გამთელდები, დაგარწმუნებ. კარგს პატივსა, მოვლას ბევრი შეუძლიან კაცზე, იმის ხანიერსა სიცოცხლეზედ.

(ამასთან ხელს დაუჭერს, წყნარწყნარა ჯოხზე ბჴენით წაიყუანს.)

მთხოვარაც. *(ძახილით მისდევს.)*

ოჰ! ღმერთო დიდო, რა ვარ ეხლა! ქალო ანღელიკავ, გულით სავეე წყალობითა, ანღელიკავ: ყოველი უბედურება და ბედნიერება, თავიანთსა ყრილობ[ასა] გიგალობენ ქებას, ანღელიკავ, ყოველთჳსა.

(და გავლენ. ამდროს ის ყმანვილი კაცნი გამოვლენ.)

ახლანდელი განათლებულები.

საქართუცლოს დედავ, დედავ, აი, ჩუშნი დედა ანღელიკა?

მასუკან პირველი.

ახლა ჩუშნც წავიდეთ, ჩუშნ ყმანვილი კაცნი, შეუდგეთ ჩუშნს კეთილს აზრებსა, ჩუშნის ქუწყნის, ჩუშნის ხალხისთჳსა.

კიდევ ერთიანათ.

გასწით ჩქარა კეთილისა აზრისთჳსა: ჟამნი მეფობენ...

დასრულდა

18 ივნისს 1868-სა წელსა, ქ. ტფილისს
თ. ა. ალექსანდრე ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

1866-ს წელსა, ზაფხულს, ს. კაზრეთს.

[1866-1868]

თანამშრომლები

გორაციოსაგან რომაელებთანა (რუსულიდან ნათარგმნი)

რომელიცა განშორებულს მეგობარსა მორყვნის (ამბობს გორაციო),
რომელიცა განსაცდელში შთავარდნილსა არა შეეწევა,
რომელიცა არავისა დაინდობს,
რომელსაცა ენასა ზედა გადმოსდის ჩაგესლებულნი სიტყვანი,
რომელიცა ათასობით იცრუებს და არასცხვენიან ამისი.
და დასასრულ; რომელიცა საიდუმლოსა ვერა დაიცომს:
აი, რომაელნო, ვისა ჰქვიან უბილნოესი კაცი,
რომლისათვისაც გირჩევთ, რათა ამისთანასა კაცსა არა არნ-
მუნოთ. –

თათრულითგან

დასწერ შენ, შენ,
მოშლი შენ, შენ,
ვინ გეტყვის, თუ ტყუი შენ, შენ.

ვარნიანტაბი

შენიშვნაბი

კომენტარაბი

ტექსტისათვის

ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის ხუთტომეულის I ტომი მოიცავს მწერლის მიერ შექმნილ მხატვრულ თხზულებებს: ოცდათერთმეტ ლექსს, ერთ პოემას, ოთხ ეპიტაფიას (აქედან ორი ლექსი, ორი პროზად დაწერილი), ხუთ მოთხრობას, ერთ მინიატურას, ერთ ჩანახატს, ხუთ პიესას და ორ თარგმანს. ნაწარმოებთა მცირე ნაწილი ავტორის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელაა გამოქვეყნებული ჟურნალ „ცისკარში“. ესენია: „საქართველოს გაზაფხული“, „მოგონება“, „სიყრმით უბედური“, „კავკაზიის მთები მაშუკის მთიდან“, „ეპიტაფია საქართველოს მეფის ირაკლის მეორისადმი“, „რუსთაველ!“, „ხუნდი მტრედისა“. ლექსი „მთოვარე“ დაბეჭდილია ჟურნალში „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“. რამდენიმე ლექსი გამოქვეყნდა მწერლის გარდაცვალების შემდეგაც, დანარჩენი ლექსები ტომში პირველად იბეჭდება. ასევე, პირველად იბეჭდება ალექსანდრე ორბელიანის პოემა „ქურციკის სიყვარული“, მოთხრობები: „ლამის კაცი“, „უცნობი“, *** („დედმამისაგან ობოლს...“), მინიატურა „სიყვარული“, ჩანახატი „შემთხვევა“, პიესები: „რომაელი ქალი აარია“, „კეთილი ბერიკაცი“, „ჟამნი მეფობენ“ და ორი თარგმანი: „გორაციოსაგან რომაელებთანა“ და „თათრულითგან“.

ტომის შედგენისას დამუშავდა უამრავი წყარო: ალ. ორბელიანის სიცოცხლისდროინდელი ჟურნალ-გაზეთები, მწერლის თხზულებების ცალკეული გამოცემები (მათ შორის, სიცოცხლის შემდეგდროინდელიც), ასევე, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნული არქივის ფონდებში დაცული მასალები. ერთი ლექსი მიკვლეულ იქნა მწერლის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში.

ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის I ტომის მთავარი ღირსება ისაა, რომ მასში პირველად იბეჭდება მწერლის მხატვრული შემოქმედების უდიდესი ნაწილი. გარდა ამისა, ალ. ორბელიანის ბიოგრაფიის გათვალისწინებითა და თხზულებებში არსებული რეგალიების მიხედვით, დათარიღდა რამდენიმე თხზულება ან მიენიჭა სავარაუდო თარიღები, რომლებიც მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში. ასევე, კვადრატულ ფრჩხილებში ჩავსვით ის სიტყვები და ფრაზები, რომლებიც ხელნაწერთა დაზიანების ან სხვა მიზეზთა გამო ვერ ამოვიკითხეთ. დავასათაურეთ თეკლე ბატონიშვილისა და მარიამ (მაიკო) ორბელიანის ეპიტაფიები, რომლებიც მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში.

ტომში მასალა განლაგებულია ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით: ლექსები, პოემები და ა.შ. თხზულებათა ტექსტები შეჯერებულია ავტორისდროინდელ ყველა ხელნაწერ და ნაბეჭდ წყაროსთან. დადგენილია ძირითადი ტექსტები, გათვალისწინებულია ავტორის ყველა ნება, კერძოდ: დაცულია მწერლის მართლწერა, უცვლელადაა დატოვებული სიტყვებისა და კომპოზიტივის ფორმები. თანამედროვე გრამატიკული ნორმების მიხედვით გასწორებულია მხოლოდ პუნქტუაცია, თუმცა ზოგიერთი ავტორისეული სასვენი ნიშანი ხელუხლებლადაა დატოვებული, მაგალითად, მძიმე კავშირ „და“-ს წინ; ტირეები, რომლებსაც მწერალი ხშირად იყენებს წინადადების ბოლოს, ზოგი მოვსხენით, მაგრამ ზოგიერთ ადგილას დავტოვეთ იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციას ასრულებდა ეს ტირე ტექსტში. პუნქტუაციის თანამედროვე ნორმა არ შეხება, ასევე, თხზულებათა სათაურებს, კონკრეტულად კავშირ „ანუ“-ს. მივიჩნით, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ შევინარჩუნებდით ავტორისეულ მართლწერას და „ანუ“-ს წინ არ ჩავსვამდით მძიმეს სათაურში, მაგალითად: „ყარიბი ანუ ორენბურღის ღამე“, „აღმოსავლეთი ანუ სიყვარულისგან დაჩაგრული“ და სხვ. ტექსტებში ყველგან გახსნილია ქარაგმები, დატოვებულია მხოლოდ ხელმოწერებში.

თხზულებათა ძირითად ტექსტებად ავიღეთ ალ. ორბელიანის სიცოცხლისდროინდელი ნაბეჭდი წყაროები, მათი არარსებობის შემთხვევაში კი – ავტოგრაფები. გამონაკლისს წარმოადგენს პიესა „დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“, რომლის სიცოცხლისდროინდელი წყარო არ მოიპოვება. ამიტომ აღნიშნული პიესის ძირითად ტექსტად ტომში აღებულია მწერლის გარდაცვალების შემდეგ, 1891 წელს წიგნად გამოცემული ბეჭდური ვერსია.

მოდებული მასალებიდან ტექსტოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო წყარო ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული ალ. ორბელიანის პიესის „ბატონის-შკლის ირაკლის პირველი დრო“ სტამბური გამოცემის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ეგზემპლარია. 1864 წელს გამოცემულ წიგნში ავტორის მიერ გაკეთებული შენიშვნებისა და ჩასწორებების გამო წყარო ავტორიზებულია, ამიტომ თხზულების ოთხი წყაროდან იგი ძირითად ტექსტად მივიჩნით.

მიუხედავად იმისა, რომ თხზულებათა სრული კრებულის მომდევნო ოთხ ტომში ძველი ასოები ამოღებულ იქნა, ისინი ხელუხლებლადაა დატოვებული წინამდებარე ტომში, რადგან ითვლება, რომ მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში, განსაკუთრებით პოე-

ზიაში, მათი ამოღება ან შეცვლა არღვევდა ლექსების რიტმსა და საზომს.

თხზულებებში გასწორებულია ზოგიერთი სტამბური შეცდომა და კალამლაფსუსი, რაც მითითებულია შენიშვნების სათანადო ადგილას. რთული გადასაწყვეტი იყო სიტყვებში ორი „ა“-ს საკითხი, მაგალითად, „გათავა“ – გაათავა, „სათი“ – საათი და სხვ. აზრთა ურთიერთშეჯერების შედეგად გადაწყდა, რომ ავტორისეული მართლწერა, ანუ აღნიშნული შემთხვევის პარალელური ფორმები დაგვეტოვებინა ტექსტებში. გამოცემის I ტომს ახლავს მდიდარი ისტორიულ-ლიტერატურული და ტექსტოლოგიური შენიშვნა-კომენტარები, რომელთა შედგენისას ძალიან დაგვეხმარა მწერლის მინაწერები, რითაც გამორჩეულია ალ. ორბელიანის შემოქმედება. ტომს ერთვის მრავალფეროვანი საცნობარო-სამეცნიერო აპარატი: პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და ანბანური საძიებლები, ასევე, სარჩევი ტექსტისა და კომენტარის გვერდების მითითებით.

ელისაბედ ზარდიაშვილი
მაია არველაძე

პირობითი ნიშნები

A ლიტერი აღნიშნავს იმ წყაროს, რომლის მიხედვითაც დადგენილია ძირითადი, ანუ ტომში წარმოდგენილი ტექსტი.

K – (S – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი და – საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ფონდი) კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ალექსანდრე ორბელიანის ხელნაწერები.

T – გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი.

Z – საქართველოს ეროვნული არქივის საცენზურო კომიტეტის ფონდი

სტამბ. შეცდ. – სტამბური შეცდომა.

ბაიათი (გვ. 47)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1659ა, გვ. 83r (B); ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 1r (A).

სათაური: უეცარი შეხვედრა (B).

თარიღი: 1821, მაისი (A).

ხელმოწერა: თა. ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი (A).

A წყარო წარმოადგენს ალ. ორბელიანის ხელით ჩაწერილი საკუთარი ლექსების (1821-1866 წლებში დაწერილ) კრებულს (ჭვირნიშანი – 1833), რომელშიც შესულია ალ. ორბელიანის 23 პოეტური თხზულება და რუსული ენიდან ნათარგმნი ტექსტი „გორაციოსაგან რომაელებთანა. მე-9r გვერდზე ალექსანდრეს ხელით ჩართულია ძმის, ვახტანგ ორბელიანის, 1834 წელს დაწერილი ლექსი „საწყალი ბუღბული“. კრებულს შიდა ყდაზე ფანქრით აწერია: „საყუარელს მეუღლეს უცხოებიდგან“. მასში ლექსთა ქრონოლოგიური განლაგება დაცული არ არის. ლექსი „ბაიათი“ მოთავსებულია აღნიშნული კრებულის პირველსავე ფურცელზე და თარიღი „1821-სა წელსა. მაისის დამდეგს“ ავტორს ფანქრით გადაუხაზავს და გვერდით ფანქრითვე მიუწერია შენიშვნა: „ეს ლექსი მაშინა ვთქი, როდესაც პირველათ ჩემი დანიშნული ეკატორინე ვნახე ბალის ლობესთან უეცრათ, და ჯერ არ ვიცოდი, ვინ იყო ეს. ამ უეცარმა სიყვარულმა ასე მალზედ გააღვიძა ჩემი გრძნობა, რომ ეს ლექსი პირველი ქმნილებაა ჩემი. თა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი“.

B წყაროში ტექსტი, სათაურით „უეცარი შეხვედრა“, ჩართულია ალ. ორბელიანის ვრცელ (124 გვერდიან), ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულებაში „ბედნიერება და უბედურება, ანუ ჭეშმარიტი სიყვარული“. აღნიშნულ ლექსს ორბელიანის ამავე სახელწოდების ერთსტროფიან ლექსთან არავითარი საერთო არ აქვს და წარმოადგენს ლექსის „ბაიათი“ ვარიანტს. B ხელნაწერში თხზულების დასასრულს არის ავტორის მიერ ფანქრით გაკეთებული შენიშვნა: „ეს აღწერილობა დავასრულე 1838-ს წელსა ქ. ორენბურღში. ამ წელს, 2-ს ნოემბერს წამოველ იქიდან კავკაზის ლინიაზე, 7-ს ლინეინის ბატალიონში გადმამიყვანეს“. ტექსტს ასევე გაკეთებული აქვს ჩამატების ნიშანი „=“ და მინაწერი: „და მეტმა სურვილმა ეს ლექსიც მათქმევინა ბაიათის ხმაზედ“.

47. ნუგეშათ] ნუგეშად B.

ეკატერინე – ეკატერინე ბარათაშვილი (1808-1873), დავით დიმიტრის ძე ბარათაშვილის ქალიშვილი, ალ. ორბელიანის მეუღლე. ეკატერინემ და ალექსანდრემ იქორწინეს 1823 წელს.

თ. ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი – ალექსანდრე ვახტანგის ძე (1802-1869), პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ქართველ რომანტიკოსთა უფროსი თაობის წარმომადგენელი, ერეკლე მეორის შვილიშვილი. სწავლობდა კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ – პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელში. 1828 წელს აირჩიეს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად. მონაწილეობდა სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1829 წელს მსახურობდა მრჩევლის თანამდებობაზე გუბერნიის სამმართველოში. იყო 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, რისთვისაც დააპატიმრეს და გადაასახლეს ორენბურგში. სამშობლოში დაბრუნებისთანავე (1840) ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მონაწილეობდა ჟურნალ „ცისკრის“ აღდგენაში, ზრუნავდა ქართული თეატრის აღორძინების, ჟურნალ-გაზეთების დაარსებისა და სკოლების გახსნისათვის. შექმნა ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედება, რომლის ძირითადი თემატიკა ქართველთა „დაცემული ვინაობის“ გარკვევაა.

უცარი შეხვედრა (გვ. 47)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 2r.

თარიღი: [1821].

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 459.

ლექსი კრებულში მიწერილია 1834 წლით დათარიღებული ლექსის „მოწვევა“ ტექსტის მარჯვენა კუთხეში ირიბად და ერთვის ავტორის მიერ ფანქრით გაკეთებული შენიშვნა: „ესეც ჩემს ეკატერინეზედ არის, პირველათ რომ ვნახე და ჩვენი თვალები ერთმანეთს ეცა, მაშინა ვთქვი“. მომავალ მეუღლეს ალ. ორბელიანი პირველად 1821 წელს შეხვდა, რის მიხედვითაც ლექსი პირობითად 1821 წლით დავათარიღეთ.

ეკატერინე – იხ. კომენტარი ლექსისა „ბაიათი“, გვ. 480.

მშვენიერას ქართველას (გვ. 48)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 3რ.

თარიღი: 1821, აგვისტო.

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. წინამდებარე ტომის გვ. 479.

ხელნაწერში ტექსტის ბოლოს ავტორის მიერ ფანქრით მიწერილია: „1821-სა წელსა. აგვისტოს. ესეც მაშინა ვთქვი, ჩემს ეკატერინეზედ ჯერ ჯვარ დანერილი არ ვიყავ“.

რაქაილი – რაფაელ (სანციო) სანტი (1483-1520), რენესანსის ეპოქის იტალიელი ფერმწერი და არქიტექტორი.

ეკატერინე – იხ. კომენტარი ლექსისა „ბაიათი“, გვ. 480.

თეჯლიში (გვ. 49)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 1რ.

თარიღი: [1821].

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

ხელნაწერში ლექსს კიდევ მიწერილი აქვს: „ესეც ჩვენი დანიშნის შემდგომ ბაღში ვიყავით ჩემი მოყვრებისაგან მიწვეული სტუმრათ, სადაც ნათესავნი ქალნი და კაცნიც იყვნენ იქა. იყო ცოტა ჟინჯლიანი დღე და ეს ლექსიც, შინ რომ მივედი, ჩემს დანიშნულზედვე ვთქვი“. ამ მიწაწერიდან გამომდინარე ლექსი პირობითად დათარიღდა 1821 წლით; იხ. კომენტარი ლექსისა „უცარი შეხვედრა“, გვ. 480.

კუფხვილია – კუფხალი, ყურძნის უმცირესი მტევანი.

„დანიშნულზედა ვთქვი“ – იგულისხმება ეკატერინე დავითის ასული ბარათაშვილი, იხ. „ეკატერინე“, წინამდ. ტომი, გვ. 480.

საქართველოს გაზაფხული (გვ. 49)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 6v (B); ავტოგრაფი K – S-1659-ა, გვ. 63 r (C).

ნაბეჭდი: უ. „ცისკარი“, 1864, 4, აპრილი, გვ. 179-180 (A).

თარიღი: 1824 (B, A).

ხელმოწერა: თ. ალ. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი (A); 1824-სა წელსა ქ. ტიფლისს. თ. ალ. ორბელიანი (B).

A წყაროში ტექსტის ბოლოს წერია: „1824 წელსა“.

ორივე ხელნაწერის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 149.

B წყაროში ლექსს სათაურად ეწერა „გაზაფხულის სიმღერა“. ავტორს ჯერ სიტყვა „სიმღერა“ ფანქრით გადაუხაზავს და კალმით დაუწერია „საქართველოს გაზაფხული ანუ წალკოტი“, შემდეგ სათაურში „ანუ წალკოტი“ ფანქრით წაუშლია. ტექსტის ბოლოს ავტორის მიერ ფანქრითვე არის მიწერილი „1824-სა წელსა ქ. ტიფლისს. თ. ალ. ორბელიანი“.

C წყაროში ლექსის სათაური მითითებულია სქოლიოში.

ასქოდელი – ბალახოვანი მცენარე.

49. ნაზათ] ნაზად C. ყნოსვენ] ჰყნოსვენ C. დააკვდებათ] დააკვდება BC. შარავანდი] შარავანდნი BC. მხიარული] მხიარულნი BC. 50. ისვრიან] ისვრნიან C. სულიერი] სურიელი C. დროს რომე] დროს ცივი B, დროსაც კი C.

მთოვარე (გვ. 50)

ხელნაწერი: ასლი K – H-2684, გვ. 12 (B).

ნაბეჭდი: უ. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1832, № 2, 25 იანვარი, გვ. 38-39 (A).

თარიღი: [1832].

ხელმოწერა: ა. ... (A); თ. ალექსანდრე ორბელიანოვი (B).

1828 წლიდან სოლომონ დოდაშვილის (1805-1836), ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846), ალექსანდრე ორბელიანისა (1802-1869) და სხვა საზოგადო მოღვაწეების თაოსნობით დაიწყო მუშაობა პირვე-

ლი ქართული სალიტერატურო ჟურნალის გამოცემისთვის. ჟურნალი თვეში ორი ნომრის პერიოდულობით უნდა გამოსულიყო. 1832 წლის პირველ იანვარს დაიბეჭდა ჟურნალის „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანის“ პირველი ნომერი. ჟურნალი დამოუკიდებელი გამოცემა არ იყო, ის ითვლებოდა რუსულენოვანი გაზეთის «Тифлиские Ведомости»-ის ლიტერატურულ განყოფილებად. სამწუხაროდ, დაიბეჭდა ჟურნალის მხოლოდ ხუთი ნომერი, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში (ფონდი 234, საქმე №№ 103-107). ხუთივე ნომერი საქმეში აკინძულია საერთო ნუმერაციით. ჟურნალის მეორე ნომრის რუბრიკაში „სტიხთ ქმნილება“ დაიბეჭდა ალ. ორბელიანის ლექსი „მთოვარე“. როგორც 1832 წლის შეთქმულების დაკითხვის მასალებიდან ირკვევა, რომ ავტორს ლექსი სპეციალურად აღნიშნული ჟურნალისთვის დაუწერია: „მე სტიხი დავწერე ჟურნალისათვის, რომელსაც დოდაევი გამოცემდა ხოლმე, მთოვარესა ზედა“ (Z, ფ. 1457, რვეული XII, ფურც. 2233). სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით ლექსი პირობითად დათარიღდა 1832 წლით.

В წყარო წარმოადგენს უყდო რვეულს (XIX საუკუნის ლექსების კრებული) ჭვირნიშანი – 1833.

დოდაევი – სოლომონ დოდაშვილი (1805-1836), ფილოსოფოსი, პედაგოგი, ჟურნალისტი, პროზაიკოსი, ლიტერატურის ისტორიკოსი და თეორეტიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე. განათლება მიიღო გარეჯის მონასტერში, კეთილშობილთა სასწავლებელში და პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე. 1827 წლიდან მსახურობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენისა და გეოგრაფიის მასწავლებლად. მისი მოსწავლე იყო ნ. ბარათაშვილი. როგორც, ზემოთ აღვნიშნეთ, სოლომონ დოდაშვილის თაოსნობით იბეჭდებოდა პირველი ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“ (გამოვიდა მხოლოდ 5 ნომერი). 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის გადაასახლეს ქ. ვიატკაში. იქ დაავადდა ქლექით და 1836 წლის 20 აგვისტოს გარდაიცვალა საპყრობილეში. ს. დოდაშვილმა დატოვა მრავალფეროვანი შემოქმედება, როგორც მეცნიერული, ისე ლიტერატურული (ფილოსოფიის კურსი, „რიტორიკა“, „შემოკლებული ქართული გრამატიკა“, მოთხრობა „ელენა“, მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობა და სხვ.).

50. ბრწყინდა] ჰბრწყინდა B. ვჭვრეტდი] ვჰსჭვრეტდი B. შვნება] ჩვენება B. ვნატრი] ვინატრი B. მოშლილ, იყო] 51. მოშლილიყო B. ვსთქვი] ვთქვი B.

ბნელში ბყრობილი
(გონებაში თქმული 1833-სა წელსა) (გვ. 51)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 14v.

თარიღი: 1833.

ხელმწიფრა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

ხელნაწერში ბოლო ორი სტრიქონი ფანქრით არის გადახაზული.

ერთი ვინმე (გვ. 52)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1664, გვ. 3v (B); ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 14v (A).

სათაური: ერთი თავხედი (B).

თარიღი: [1833-1835].

ხელმწიფრა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

A წყაროში ლექსი მოთავსებულია ლექსების „ბნელში ბყრობილსა“ და „რობესპიერი რევალუციის დროებში“ შორის. ამათგან პირველი დათარიღებულია 1833 წლით, ხოლო მეორე – 1835 წლით, რის საფუძველზეც ლექსს „ერთი ვინმე“ მივეციტ პირობითად ფართო თარიღი [1833-1835]. ლექსის გვერდზე, სავარაუდოდ, მიწერილი იყო ადრესატი, რომელიც ავტორს საგულდაგულოდ გადაუშლია.

წყარო წარმოადგენს უყდო რვეულს, სადაც აღ. ორბელიანის პროზაული ნაწერებია ჩანერილი ავტორის ხელით. ლექსის ვარიან-

ტი, სათაურით „ერთი თავხედი“, მოთავსებულია რვეულის ბოლო ფურცელზე უკუღმა და იკითხება შემდეგნაირად: „ერთი კანპანია. / თავზედ ზის გიჟი, / ბოლოსაც (აქ ეწერა: მის „ბოლოც, გადახაზულია – შემდგ.); გიჟი / სულ გიჟზედ გიჟნი“ (აქ ეწერა: „ყველა არს გიჟი“ და „სუყველა გიჟი“, ორივე გადახაზულია – შემდგ.).

შორიდგან (გვ. 52)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 2r.

თარიღი: [1834].

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

ლექსის თავში ფანქრით ავტორის შენიშვნაა გაკეთებული: „ესეც ორენბურლიდან მოვწერე, პირველად რომ მიმიყვანეს“. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის აღ. ორბელიანი გადაასახლეს ორენბურგში, სადაც ის 1834 წელს ჩავიდა, შესაბამისად, ლექსი პირობითად დავათარიღეთ 1834 წლით.

მონვევა (გვ. 52)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 2v.

თარიღი: 1834.

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

ტექსტის გვერდზე, მინდორზე, ავტორის მინაწერია ფანქრით: „ესეც კასპიის ზღვის გაღმით ალექსანდროვკადგან მოვწერე [მეუღლეს] 1834-სა წელსა“.

მოგონება (გვ. 53)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 6r (B).

ნაბეჭდი: უ. „ცისკარი“, 1857, 2, თებერვალი, გვ. 4-5 (A).

სათაური: უეცარი მღერა (B).

თარიღი: [1834-1835].

ხელმოწერა: . (A).

K – S-1640-ა კრებული ალწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

B წყაროში ტექსტის ბოლოს ავტორს მითითებული აქვს დანერის ადგილი „ქ. ორენბურღს“, რაც გვაძლევს საშუალებას, ლექსს მივცეთ პირობითი თარიღი – 1834-1835 წწ.

53. ჰს(ცემდა] ს(ცემდა B. აფენდნენ] აფენდენ B. ღამემან გასნია] ღამემა გასნია B. ჩემმან] ჩემან B. 54. ჭორტოფიანსა] ჭორტუფიანსა B. გვიღდა] გვიღდი B.

საყუარელს მეუღლეს უცხოებიღგან (გვ. 54)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 19r.

თარიღი: 1835, 17 აგვისტო,

ხელმოწერა: შენი ალექსანდრე.

K – S-1640-ა კრებული ალწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

ლექსის ტექსტი ფანქრით არის დანერილი. ლექსის ბოლოს მინერილია: „შენი ალექსანდრე. 17-ს აგვისტოს, 1835-სა წელსა, ქ. ორენბურღს.

ქ. ტფილისის ჩემ ცოლშვილებთან (გვ. 56)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 5v (B); ავტოგრაფი T-16332 (A).

თარიღი: 1835, 23 აგვისტო (B); 4835, 24 სექტემბერი (A).

ხელმოწერა: შენი ალექსანდრე (A).

K – S-1640-ა კრებული ალწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

A წყარო წარმოადგენს ალ. ორბელიანის მიერ მეუღლისადმი მიწერილ პირადი ხასიათის წერილს ქ. ორენბურგიდან. სწორედ ამ წერილშია ჩართული ლექსი, სადაც იკითხება მეუღლის – ეკატერინეს (კატინა) და შვილების – დარიას (დარეჯან, დარიკო) (1828-1884), დავითის (დათიკა) (1832-1835), მაიასა (მარიამი, მაიკო) (1833-1855) და ელენეს (1835) სახელები. წერილს ბოლოში ერთვის დაწერის თარიღი: „24 სექტემბერს. 1835-ს. ქ. ორენბურლით“. ჩვენი ვარაუდით S-1640-ა კრებულის შედგენა ალექსანდრემ გადასახლებიდან დაბრუნების (1840 წ.) შემდეგ დაიწყო, ამიტომაც ტექსტის A წყაროდ პირადი წერილის ტექსტი მივიჩნით.

B წყაროში ლექსი მოთავსებულია ლექსის „ყარიბი ანუ ორენბურლის ღამე“ მარჯვენა კიდეზე ირიბად და მიწერილი აქვს დაწერის თარიღი: „23 აგვისტოს 1835-ს წელსა, ქ. ორენბურლით. B წყაროს ტექსტი A წყაროს ტექსტის ვარიანტია და ასე იკითხება: „მარად დაემღერ ნაზმუზიკა ტინაბანს, / ვიტყვი, მოვედ სად არია ჩემსა ბანს, / როს და, ვით ვჭვრეტ ხავსით გულსა წამს გაბანს, / ჯმაი ამის ვით მასხურებს თვს ნაბანს“.

სიყრმით უბედური (გვ. 56)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 10v-12v (B).

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1857, 3, მარტი, გვ. 4-7 (A).

თარიღი: 1835, 13 აპრილი (B).

ხელმოწერა: . (A).

K – S-1640-ა კრებული ალწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

B წყარო წარმოადგენს საკმაოდ ნასწორებ ტექსტს. ჩასწორებები განსაკუთრებით უხვად არის ლექსის პირველ და ბოლო სტროფებზე. მე-12v გვერდზე კალმით არის მიწერილი და ფანქრით გადახაზული: „კასპიის ზღვა კაიდაკის ყურეს პირზე“, ხოლო ტექსტის ბოლოს კალმით მიწერილია: „კასპიის ზღვის პირს კაიდაკის ყურეზე, ახალ ალექსანდროვის ციხეში, 13-ს აპრილის 1835 წელსა“. იქვე ავტორს ფანქრით დაუმატებია: „მეტი შენუხებისგან ვთქვი ეს ზევითი ლექსი“. სიტყვა „ზევითი“ იმიტომ გამოიყენა ავტორმა, რომ ამავე გვერდზე, ბოლოში წერია ლექსი „ექსპრონტი“.

56. პირს ხეს ქუღმუ] პირზედ B. დაჰსჯდა] დაჯდა B. ჰსჯის] სჯის B. უღრმესსა] უღრმეში B. განჰსჯის] განსჯის B. და მას ღუთაე-ბას] ამასა მღვთაებას B. ჰგავს, რომ] გავს, რო B. 57. ამძოვრებულ-სა] აყროლებულსა B. დაეძულდება] დაეგველება B. გამოსქდება] ჩამისქდება B. ჭექება] ჭაქება B. ფურჩქუნილს] ფურჩქვნილს B. მო-მიფრინობენ] მიმოფრინობენ B. სასმელს] სასმელ B. 58. არ გულთ მქონეთ] გულ თარ მქონეთ B.

რობესპიერი რევალუციის დროებში, ჯერ რომ არ ამაღლებულიყოს (გვ. 59)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 14v-16r.

თარიღი: 1835, 21 დეკემბერი.

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

ტექსტს ბოლოში მიწერილი აქვს: „21-ს დეკემბერს, 1835-სა წ. ქ. ორენბურღს“.

რობესპიერი – მაქსიმელიან ფრანსუა მარი ისიდორე დე რობესპიერი (1758-1794), საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი, თანამედროვეთათვის ცნობილი, როგორც „მოუხსიდავი“. სიცოცხლე დაასრულა გილიოტინაზე.

მეოტი – ლტოლვილი.

ზოსტერი – ქამარი, მღვდლის სამოსის სარტყელი.

ხვანჯი – მზაკვრობა, სკანდალი.

არაკი ვირისა (გვ. 61)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 9v-10v.

თარიღი: 1835.

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

კრებულის მე-9v გვერდის სქოლიოდ გათვალისწინებული მიწნაწერი „წამკითხველს მიუთავაზებ 1835-ს წელს დაწერილს არაკს“ ავტორს გადაუშლია, ლექსის დაწერის თარიღი კი ტექსტის ბოლოს მიუწერია: „ქ. ორენბურღს. – 1835-სა წელსა“.

ლექსში ავტორს ვირად გამოყვანილი ჰყავს სომხური წარმოშობის აზერბაიჯანელი პოეტი მირზაჯან მადათოვი, რაც გამოკვეთილად იკითხება ტექსტის 47-ე და 48-ე სტრიქონებში: „**მირზამან შენმა, დათო ვეზირმა, / ჯან** ბარაქალა გვაძახა ვირმა“.

მირზაჯან მადათოვი – მირზაჯან-ბეკ მადათოვი (1797-1851), სომხური წარმოშობის აზერბაიჯანელი პოეტი, პოდპოლკოვნიკი, თბილისში საცხოვრებლად გადმოვიდა 1816 წლიდან. ფლობდა აზერბაიჯანულ, ქართულ, რუსულ, არაბულ, სპარსულ, და თურქულ ენებს. თარჯიმნად მუშაობდა რუს მთავარსარდალთან ალექსეი ერმოლოვთან (1777-1861) და საბრძოლო ლაშქრობებშიც დაჰყვებოდა მას. მ. მადათოვი წერდა აშუღური სტილის ლექსებს და იყო მოქეიფე და მხიარული ადამიანი. გრიგოლ ორბელიანმა (1804-1883) მას მიუძღვნა ლექსი „მირზაჯანას ეპიტაფია“.

ექსპრონტი (გვ. 63)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 12v.

თარიღი: [1835-1839].

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

ლექსი კრებულში შეტანილია იმ გვერდის ბოლოში, სადაც მთავრდება ლექსი „სიყრმით უბედური“. ეს უკანასკნელი დაწერილია 1835 წელს. მომდევნო ლექსი – „სისხლმძებნელი ქართველი“ დათარიღებულია 1839 წლით. ამიტომ ლექსი „ექსპრონტი“ შეგვიძლია, პირობითად დავათარილოთ 1835-1839 წლით.

ყარიბი ანუ ორენბურღის ღამე (გვ. 63)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 5რ.

თარიღი: 1836, ივნისი.

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

ღმერთსა (გვ. 64)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 5რ.

თარიღი: [1836].

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

ეს სტრიქონები მიწერილია ლექსის „ყარიბი ანუ ორენბურღის ღამე“ მარცხენა კიდეზე, ამიტომ მას პირობითად 1836 წლით ვათარილებთ.

აღმოსავლეთი ანუ სიყვარულისაგან დაჩაგრული (გვ. 65)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 7რ-8ვ.

თარიღი: 1836.

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

ლექსი საკმაოდ ნასწორებია და ტექსტის ბოლოს ავტორის

ხელით აქვს მინაწერი: „1836-სა წელსა. ქ. ორენბურღს. ესეც ჩემს ეკატერინეს მოვწერე ორენბურღიდგან“ (გვ. 8v.), ხოლო კრებულის 3v-4v გვერდებზე ლექსის გადახაზული ვარიანტია. თხზულების ძირითადი ტექსტიც საკმაოდ ნასწორებია.

ენერა: 65. **ბნელი** – ავტორმა ჩაასწორა: ზეცის;
66. **ზედმეტი** – ზედზედი;
ცხარითა – მკრთოლვარე;
მოსასხარითა – ბრწყინვალეობითა ელვარე;
მკვეთრის – ბასრის;
ხარ ჩემი მკვლელი, სულ შენა – ჩემი მტანჯველი ხარ შენა;
მდინარ – ჩემს;
ნაღვლიდგან – ცეცხლებრივ აღმოვადინებ დამწვარსა – აღ-
მოვადინებ დამდგარსა;
როს – რომ;
სევდით – ცრემლით;
დაალებულსა – დადაგულზედა;
67. **მკლავს მერე** – და მომკლავს;
შენ, სიყვარულო, ძლივს მიგხვდი, / გულის გზაზედა სულს
შევხვდი, / მითხრა, რად ეძებ, რაშია? / გეტყვი, აქვია, გულშია –
გადახაზულ ვარიანტში არ არის;
დასევდებული, გულწყლული – უღრმესათ დასევდებული.

კავკაზიის მთები მაშუკის მთიდგან (გვ. 67)
(ქანტაზია, როცა ახლად გათენდება)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1861, №12, იანვარი, გვ. 320-324.
თარიღი: 1839, 15 სექტემბერი.
ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

წყაროში ლექსს ხელმოწერის შემდეგ თარიღად მიწერილი აქვს:
„1839-სა წელსა. 15-ს სექტემბერს. ქ. პიატიგორსკს“.

70. ალექსანდრე – სტამბ. შეცდ. გასწორდა: „ალექსანდრე“.

სისხლმძებნელი ქართველი (გვ. 71)
(მეფის თეიმურაზის მეორის დროინდელია, ოსმალებს
ქიზიყი რომ ეჭირათ)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 13r-14v.

თარიღი: 1839, 7 ნოემბერი.

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებული ალწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

ლექსს ბოლოში აქვს ავტორის მინაწერი: „7-ს ნოემბერს 1839-ს.
წ. ქ. პიატიგორსკს“.

ენერა: 71. **მოჰმადდეო** – ავტორმა ჩაასწორა: თურქა ხალილ;

დევს – თურქსა;

ვერცხლი ინებე, ქვეყნის შხამი – ოქროს მონავ, მყრალო, მძო-
რო;

72. **წუნკლავ** – ცუდო კაცო;

იგი – თურქი.

თეიმურაზ II – (1700-1762), კახეთის მეფე 1709-1715 წლებში, გამგებელი 1733-1744 წწ., ქართლის მეფე 1744-1762 წლებში, ერეკლე II-ის მამა. თეიმურაზის პოლიტიკური მოღვაწეობა ირან-ოსმალეთის ომის მძიმე პერიოდს დაემთხვა. იგი ირანის შაჰს ნადირს მიემხრო, რომელმაც 1738 წელს კახეთის მეფედ დაადგინა. 1744 წელს ნადირ-შაჰმა თეიმურაზს ქართლი მისცა, ხოლო კახეთში მისი ვაჟიშვილი ერეკლე გაამეფა. ქრისტიანი მამა-შვილის ერთდროული მეფობა ქართლ-კახეთში ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება იყო. თეიმურაზ II ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. იყო პოეტი, მთარგმნელი. XVIII ს-ის ქართული მწერლობის ე. წ. რეალისტური სკოლის გამგრძელებელი. მან საკმაოდ ვრცელი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა: „სარკე თქმულთა, ანუ დღისა და ღამის გაბაასება“, „კიდურწერილობა“, „გაბაასება რუსთაველთან“, „ხილთა ქება“, „ანბანთქება“ და სხვა. ასევე, სპარსულიდან მთარგმნა იგავ-არაკთა კრებული „თიმსარიანი“. გარდაიცვალა 1762 წლის 8 იანვარს პეტერბურგში. მისი ნეშტი წამოასვენეს საქართველოსკენ, მაგრამ გზის გაძნელების გამო დაკრძალეს ასტრახანში.

ცრუს (გვ. 72)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1664, გვ. 3v.

თარიღი: [1840].

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1664 ხელნაწერის აღწერილობა იხ. წინამდებარე ტომის გვ. 484.

ლექსი დაწერილია რვეულის ბოლო ფურცელზე უკულმა ლექსის „ერთი ვინმე“-ს ვარიანტის („ერთი თავხედი“) შემდეგ. რადგანაც კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღწერილობის თანახმად, რვეული დათარიღებულია 1840 წლით („ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ – S, ტ. III, შემდგენელი ლ. ქუთათელაძე, თბ., 1963, გვ. 127), ლექსს ვანიჭებთ პირობით თარიღს – 1840 წელი.

ჩემს ქალს დარიას

(გაუთხოვარი იყო, ბალიდგან მორთული მოდიოდა საღამოზე)

(გვ. 73)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 18r.

თარიღი: [1840-იანი წწ.].

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

ლექსის ბოლოს არის ავტორის მინაწერი: „ამის მესამე ლექსი ვეღარ მოვიგონე. ეს პირუჭლათ თქმული – კი. არ ვიცი, სად დამეკარგა ორივე ეს ლექსი? ეს მაიკოს ლექსი მოვიგონე“.

ლექსები „ჩემს ქალს დარიას“ და „ჩემს ქალს მაიკოს“ დათარიღებულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ ერთ-ერთი შემდგენლის ლ. ქუთათელაძის მოსაზრებაზე დაყრდნობით (იხ. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ – S, ტ. III, თბ., 1963, გვ. 114).

დარია – (1828-1884), ალ. ორბელიანის ქალიშვილი.

მაიკო – (1833-1855), ალ. ორბელიანის ქალიშვილი.

ჩემს ქალს მაიკოს
(ეს ყმანვილი იყო. დილის გამოღვიძებაზე კარზე მოაჯირზედ
რომ გამოვიდა) (გვ. 73)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 18r.

თარიღი: [1840-იანი წწ.].

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.
იხილეთ კომენტარი ლექსისა „ჩემს ქალს დარიას“. გვ. 493.

მაიკო – იხ. კომენტარი ლექსისა „ჩემს ქალს დარიას“, გვ. 493.

ვერის სასაფლაო (გვ. 74)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 16r.

თარიღი: 1848.

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

ლექსს ტექსტის ბოლოს უზის ავტორისეული თარიღი; „1848-სა
წელსა“.

რუსთაველ! (გვ. 74)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1853, №1, იანვარი, გვ. 3-5.

თარიღი: 1852, 9 ივლისი.

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

ლექსს ერთვის დაწერის თარიღი და ადგილი: „9 ივლისს 1852-სა
წელსა. ალგეთის ხეობაში წ. სამეხის მთაზე“.

74. გაბრწყინვებულო – სტამბ. შეცდ. გასწორდა: „გაბრწყინ-
ვებულო“.

მოითხრობდი – სტამბ. შეცდ. გასწორდა: „მოუთხრობდი“.

რუსთაველ – შოთა რუსთაველი (XII-XIII სს.) – პოეტი, სახელმწიფო მოღვაწე, ავტორი ქართული პოეზიის მწვერვალის „ვეფხისტყაოსნისა“. პირდაპირი ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ თითქმის არ შენახულა. მრავალი ხალხური და ლიტერატურული გადმოცემის თუ სამეცნიერო ჰიპოთეზის შეფასების შედეგად დგინდება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, სახელად შოთა, თამარ მეფის თანამედროვე დიდგვაროვანი პირი, ჰერეთის ან მესხეთის რუსთავის მფლობელი (აქედან ზედწოდება რუსთაველი) და საქართველოს სამეფო კარის მეჭურჭლეთუხუცესი იყო. მან ხანდაზმულ ასაკში შეაკეთებინა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და მოახატვინა სვეტები. ამ დამსახურებისთვის მონასტრის საალაპე ნიგნში შეიტანეს მისი სახელი, ხოლო მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე, მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის ფრესკათა შორის, მისი სურათი გამოსახეს. რუსთაველის სხვა ნაწარმოებს, გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, ჩვენამდე არ მოუღწევია. ვარაუდობენ, რომ ეს პოემა 1189-1207 წლებში უნდა იყოს დაწერილი. ცხადია, რუსთაველი მხოლოდ ამ ერთი პოემის ავტორი არ იქნებოდა.

უბედური მაიკო (მარიამ) (გვ. 75)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1663, გვ. 45r.

თარიღი: [1855-1862].

ხელმოწერა: მშობელი.

წყარო წარმოადგენს ალ. ორბელიანის 48 გვერდისგან შემდგარ ჩანაწერების რვეულს სათაურით „ჩემი ქალი მარიამ (ყმანვილობისა მაიკო)“, რომელიც ეძღვნება ქალიშვილს – მაიკოს (1833-1855). რვეული 35-ე გვერდამდე მწერლის მეორე ქალიშვილის, დარიას ხელით არის დაწერილი, დანარჩენი გვერდები კი – უცნობის ხელით. რადგანაც მთლიანად ხელნაწერი ალ. ორბელიანს ჩაუსწორებია, ის ავტორიზებულად ითვლება. ლექსი „უბედური მაიკო“ ხელნაწერის 48-ე გვერდზე თვით ავტორის მიერ არის ჩაწერილი. ლექსის წინ ავტორის მინაწერია: „ამ დამდეგს წელს ძლივ გავათავე ესა, 27-ს იანვარს, 1862-სა წელსა, ქ. ტფილისს“. ჩვენი ვარაუდით რვეულში ჩანაწერების გაკეთება ავტორს მაიკოს გარდაცვალების (1855 წ.) შემდეგ უნდა დაეწყო. ამიტომ ლექსს პირობითად მივეციტო ფართო თარიღი: 1855-1862.

მაიკო (მარიამ) – იხ. კომენტარი ლექსისა „ჩემს ქალს დარიას“, გვ. 493.

ხუნდი მტრედისა (გვ. 76)

ნაბეჭდი: უ. „ციცკარი“, 1857, 11, ნოემბერი, გვ. 11-13.

თარიღი: [1857].

ხელმოწერა: .

ლექსი თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

შიმშილით გამხრჭვალა ძალკაცი (გვ. 78)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 17რ.

თარიღი: 1866, 29 თებერვალი.

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

ლექსი ავტორმა მიუძღვნა ივანე კერესელიძეს (1827-1892) (იხ. ლ. ქუთათელაძე, „ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები (ანბანური ბიბლიოგრაფია)“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, 1947, გვ. 277). კერესელიძის გვარი იკითხება ლექსის 67-ე და 68-ე სტრიქონებში: „მამ, შენს ნევრთათუს **შეკერე სელი / ძერა...**“

ლექსის ტექსტის ბოლოს ფანქრით მიწერილია: „29-ს თებერვალს 1866-ს წელსა. ქ. ტფილისს“.

ლექსის მე-20 სტრიქონის ბოლოს ავტორს სქოლიოს ნიშანი – (*) გაუკეთებია და ფანქრით გადაუშლია. ასევე ფანქრით არის გადაშლილი ამ სქოლიოს ტექსტი მე-17r გვერდის ბოლოს: „ასე რომ, თავ დარჩა ძალისა, ტანსავ მიეცა ფორმა კაცისა“.

აზარქარი – ზარმაცი, გაურჯელი.

**მოსუცებული ყმანვილკაცს
(ექსპრონტად) (გვ. 81)**

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 2r.

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. წინამდებარე ტომის გვ. 479.

ტექსტის ბოლოს ავტორს ფანქრით მიუწერია: „ესეც ხნიანს დროში ვთქვი“.

პოემა

ქურციკის სიყვარული (გვ. 85)

ხელნაწერი: ავტორიზებული K – S-1640-გ (B); ავტოგრაფი K – S-1640-ბ (A).

თარიღი: 1834.

ხელმოწერა: არა აქვს.

A წყარო წარმოადგენს უყდო, 22 ფურცლიან რვეულს, რომელშიც მთლიანად ავტორის მიერ ნასწორები პოემა „ქურციკის სიყვარულია“ შესული. B წყაროც, ასევე, წარმოადგენს უყდოდ აკინძულ 19 ფურცელს, სხვისი ხელით დაწერილ და ავტორის მიერ ნასწორებ ტექსტს.

ორივე წყაროში ტექსტის ბოლოს მითითებულია პოემის დაწერის თარიღი და ადგილი: „1834. კასპიის ზღვისპირი, კაიდაკის ყურე“ (A, გვ. 22r; B, გვ. 19r).

ეპიტაფიები

ეპიტაფია განსვენებულის ჩემი სიმამრის დავით დიმიტრის ძის ბარათოვისა (გვ. 115)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 16v.

თარიღი: 1840.

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებული ალწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 479.

წყაროში ლექსს მიწერილი აქვს თარიღი: „1840-სა წელსა. ს. ალ-გეთს“.

დავით დიმიტრის ძე ბარათოვი – (1779-1839) ბარათაშვილი, ალ. ორბელიანის სიმამრი.

115. „დღესა ძე შენი დავით ... გვერდით გიმარხია“ – სა-ვარაუდოდ იგულისხმება ალ. ორბელიანის ვაჟი დათიკა (1832-1835), რომელიც მცირე ასაკში გარდაიცვალა პოეტის გადასახლე-ბაში ყოფნის პერიოდში.

ეპიტაფია საქართველოს მეფის ირაკლის მეორისადმი (გვ. 115)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1858, 5, მაისი, გვ. 9-11.

თარიღი: 1845, 12 თებერვალი.

ხელმოწერა: თ. ალ. ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

ალ. ორბელიანმა ლექსი მიუძღვნა დედას, თეკლე ბატონიშვილს, რაც აღნიშნული აქვს სქოლიოში. იქვე მიუთითებს დაწერის თარიღსაც: „12-სა თებერვალს, 1845-სა წელსა“.

მეფე ირაკლი მეორე – ერეკლე II (1720-1798), კახეთის მეფე (1745-1762), ქართლ-კახეთის მეფე 1762 წლიდან 1798 წწ. მის დროს სამხრეთ კავკასიაში პირველობა მოიპოვა ქართლ-კახეთის სამეფომ. ერეკლე მეორის მოხარკეები იყვნენ ერევნის (1749 წელს ქართველები დაეხმარნენ ერევნის ხანს, დაამარცხეს მაჰმად-ხანი

და ერევანს ყოველწლიური „ხარკი განუწესეს“), ნახიჩევანის (1749 წელს ქართლ-კახეთმა ნახიჩევანის ბამან ხანის მფარველობაც იკისრა და ეს სახანოც თავის გავლენაში მოაქცია), განჯის (1750 წელს ერეკლე II-მ დაამარცხა განჯის ხანიც და შავერდი ხანმა ერევნის ხანის მსგავსი ხარკი და მორჩილება იკისრა) და ყარაბაღის სახანოები. ერეკლეს სახელს უკავშირდება გარდაქმნები ეკონომიკის სფეროში, სამთამადნო წარმოების გაზრდა, სამონეტო რეფორმა, მორიგე ჯარის შექმნა, ადმინისტრაციული და საეკლესიო რეფორმები (ერეკლე II-ისა და ანტონ კათოლიკოსის განჩინება 1767-1768 წწ. სარწმუნოებისა და ეკლესიის მოშლილი საქმეების მოსაწესრიგებლად), სტამბის დაარსება თბილისში 1749 წელს, რომელმაც იარსება 1802 წლამდე და დაიბეჭდა 28 დასახელების წიგნი. ერეკლე II მიისწრაფოდა ქვეყნის ევროპულად გარდაქმნისკენ. გადაიხადა უამრავი ბრძოლა: 1751 წელს ყირბულახის ბრძოლაში დაამარცხა აზატ ხანი, 1752 წელს თულქითეფესთან გაანადგურა შაქელთა ჯარი, 1754 წელს მჭადიჯვართან და 1755 წელს ყვარელთან დაამარცხა ხუნძახის ბატონი ნურსალ ბეგი, 1770 წელს ასპინძის ბრძოლაში დაამარცხა ოსმალთა და ლეკთა გაერთიანებული ლაშქარი და ა.შ. 1783 წელს რუსეთთან გააფორმა გეორგიევსკის ტრაქტატი. 1795 წელს დამარცხდა კრწანისის ბრძოლაში ალა-მაჰმად-ხანთან. გარდაიცვალა 1798 წელს თელავში. დაკრძალულია სვეტიცხოველში. „ერეკლე II-ს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიულ მოღვაწეთა მრავალრიცხოვან გალერეაში. იშვიათია პიროვნება, რომლისთვისაც ხალხს ამდენი ლექსი, მოგონება, ლეგენდა თუ თქმულება მიეძღვნას. თანამედროვენი, ქართველებიც, უცხოელებიც ერთხმად აღნიშნავენ, ხოლო სასახელო საქმეები ამტკიცებენ, რომ ის იყო ბრწყინვალე პოლიტიკოსი, არაჩვეულებრივი ნათელი გონების პიროვნება, აღმოსავლეთის და დასავლეთის საქმეებში განაფული მოქნილი დიპლომატი, დიდი სტრატეგი, უნიჭიერესი სარდალი და უებრო მეზობლი“ („საქართველოს ისტორია“, ტ. III, თბ., 2012, გვ. 481).

თეკლე ბატონიშვილი (1766-1846) - ერეკლე მეფის ასული, ალ. ორბელიანის დედა. ყურადღებას იქცევდა როგორც განათლებული და გონიერი ქალი. მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა დახმარებისა და მხარდაჭერისთვის გადაასახლეს კალუგაში, სადაც ერთ წელზე მეტი დაჰყო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კვლავ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. ჩვენამდე მოაღწია თეკლე ბატონიშვილის რამდენიმე ლექსმა: „რად გიკვირს პატიმ-

რის მწუხარებანი, ანუ პასუხად ქეთევან ბატონიშვილს“, „ყოველ-
თა მოდასეთა დაისრეს გული“, „მოვახსენებ ყოველთა აზიელთ
ერთა“. მის ლექსებში გამოხატულია პროტესტი რუსეთის ხელისუ-
ფლების მიმართ და ღრმა სევდა დაკარგული დიდების გამო. თეკლე
ბატონიშვილის ლექსებში, ისევე როგორც სხვა ბატონიშვილების
პოეზიაში, ქართული რომანტიზმის ძირებს ხედავენ. გარდაიცვა-
ლა 70 წლის, 1846 წლის 11 მარტს. დაკრძალულია სვეტიცხოველში,
მამის – ერეკლე მეორის გვერდით.

ლორდი ბაირონი – ბაირონი ჯორჯ ნოელ გორდონი (1788-
1824), ინგლისელი პოეტი, რომანტიკოსი.

ვალი ირაკლი – ერეკლე მეორე, იხ. კომენტარი ამავე ლექსისა.

ნადირშა – ნადირ-შაჰ ავშარი, იგივე თამაზ I ყული-ხანი (1688-
1747), ირანის შაჰი 1736-1747 წლებში. დამპყრობლური ომების შე-
დეგად ნადირ-შაჰმა შექმნა უზარმაზარი სახელმწიფო, რომელშიც
ირანის გარდა შევიდა სომხეთი, აზერბაიჯანი, აღმოსავლეთ საქა-
რთველო, დაღესტანი, ავღანეთი, ბელუჯისტანი და ხივისა და ბუხ-
არის სახანოები.

ნადირ – იხ. ნადირშა.

თეიმურაზ II – იხ. კომენტარი ლექსისა „სისხლისმძებნელი ქა-
რთველი“, გვ. 492.

[თეკლე ბატონიშვილის ეპიტაფია] (გვ. 116)

ხელნაწერი: ავტოგრაფი, K – S-1658. ფ. 1.

თარიღი: [1846].

თხზულება დასათაურებულია I ტომის შემდგენლების მიერ.

ეპიტაფია თარიღდება პირობითად თეკლა ბატონიშვილის გარ-
დაცვალების (1846 წ.) მიხედვით.

ეპიტაფიას ბოლოში აქვს ავტორის მინაწერი: „ბატონიშვილის
დედი ჩემის საფლავის ეპიტაფია, მაგრამ ველარკი დავაწერეთ“.

თეკლე ბატონიშვილი – იხ. კომენტარი ლექსისა „ეპიტაფია
საქართველოს მეფის ირაკლის მეორისადმი“, გვ. 498.

[მარიამ (მაიკო) ორბელიანის ეპიტაფია] (გვ. 117)

ხელნაწერი: ავტოგრაფი, K: S-1663. ფ. 2.

თარიღი: [1855].

ეპიტაფია თარიღდება პირობითად მარიამ (მაიკო) ორბელიანის გარდაცვალების მიხედვით (1855 წ.).

ეპიტაფიას ბოლოში აქვს ავტორის მინაწერი: „სწორეთ ასე დახატული და ასე დაწერილია ამის ნამდვილი მარმარილო თეთრი: სიგრძე აქვს **ერთი** რუსული ადლი და **ექვსი** ვერშოკი. სიგანე **სამი** ჩარეჩი და **ნახევარ** ვერშოკი, რომელიცა ზის თლილს რურჯის ქვაში და საცოდავს საფლავზედ აძევს, ფერისცვალების ეკლესიის კარზე ეზოში. – ქ. ტფილისს, ავლაბარს“.

ეპიტაფიის ტექსტი „ჩასმულია ფერადებით შესრულებულ ორნამენტულ ჩარჩოში, თავსამკაულიც ყვავილოვან-ფოთლოვანია, ორსავ მხარეს ბულბულის გამოსახულებით („ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა – S“, ტ. III, შემდგენელი ლ. ქუთათელაძე, თბ., 1963, გვ. 127).

მარიამ (მაიკო) ორბელიანისა – იხ. „მაიკო“, ამავე. ტომის გვ. 493.

პროზა მოთხრობები

ჟმანკო სისხლი (გვ. 121)

ნახეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1857, №8, თებერვალი, გვ. 19-39.

თარიღი: [1857].

ხელმოწერა: თ. აღ. ვახტანგის – ძე ჯ. ორბელიანი.

მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

მკვლევარ ნინო ვახანიას თავის ნაშრომში მოხსენებული აქვს ამ მოთხრობის ავტოგრაფი (ნ. ვახანია, „პროზა ალექსანდრე ორბელიანისა (ალექსანდრე ორბელიანის ბელეტრისტიკა)“, თბ., „ლომისი“, 1998, გვ. 47), თუმცა ძიების მიუხედავად, ის არქივებში არ მოინახა.

„უმანკო სისხლი“ ისტორიული ხასიათის მოთხრობაა, რომელშიც მოთხრობილია შაჰ-თამაზ პირველის შემოსევის შესახებ საქართველოში 1541 წელს. მტერი თბილისს გამთენიისას მოადგა, როცა ყველას ეძინა, ყიზილბაშებმა დახოცეს მოსახლეობა და ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს (იხ. ნ. ვახანია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 47).

მოთხრობაში ნახსენები ლუარსაბ მეფე იყო ქართლის სახელოვანი მეფე ლუარსაბ I (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 46).

131. „...ლუარსაბ მეფე: დღეს დილას მე ვნახე, თავის შვლს რომ მარხევდა მცხეთის ეკკლესიაში...“ – ლუარსაბ I-ის გარდაცვლილი მცირეწლოვანი შვილი რომ დაასაფლავეს მცხეთაში, სწორედ იმ დღით შეესივნენ ყიზილბაშები ქ. თბილისს.

შაჰთამაზი, შათამაზი, შათაბასი – შაჰ-თამაზ I (1514-1576), ირანის შაჰი 1524-1576 წწ.

ლუარსაბ მეფე – ლუარსაბ I (1502-1556), ქართლის მეფე 1527-1556 წწ.

129. ბზინვალე – სტამბ. შეცდ., გასწორდა: „ბზინვარე“.

126. ხოცისაგან – სტამბ. შეცდ., გასწორდა: „ხოცისაგან“.

127. სარწმუნოების – სტამბ. შეცდ., გასწორდა: „სარწმუნოების“.

**არაკი ტარტაროზისა, ანუ კუდიანების ღამე (გვ. 133)
(მოხუცი კაცისაგან ნაამბობი 1859-სა წელსა, ერთს ღამეს
ვახშმის შემდეგ)**

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1860, №12, დეკემბერი, გვ. 487-517.

თარიღი: [1860].

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

მოთხრობა თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით.

ეს თხზულება არის ლიტერატურული ზღაპარი.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (H-1995) ინახება უცნობი პირის მიერ ჟ. „ცისკრიდან“ გადანერგილი თხზულებების ტექსტები, რომელთა შორის „არაკი ტარტაროზისა...“ არის შეტანილი (გვ. 6r). მსგავს გადანერილ ტექსტებს წყაროდ არ მივ-

ინვეთ.

134. გედაკაცი – სტამბ. შეცდ., გასწორდა: „დედაკაცი“.

144. ადამიანისთვის – სტამბ. შეცდ., გასწორდა: „ადამიანისთვის“.

ხასია – სტამბ. შეცდ., გასწორდა: „ხასიათს“.

დაუსრულებელი მოთხრობები

(„დედმამისაგან ობოლს...“) (გვ. 149)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1634, გვ. 39r-42v.

თარიღი: [1858].

ხელმოწერა: არა აქვს.

ხელნაწერი წარმოადგენს ალ. ორბელიანის ფანქრით შესრულებულ სხვადასხვა ხასიათის ნაწერებისგან შემდგარ უყდო, დაშლილ რვეულს.

ტექსტს უზის თარიღი „1858“, რომელიც გადახაზულია.

151. მიმიყვანა – ეწერა „შემინვია“, გადახაზულია.

მე კიდევ – „კიდევ“ გადახაზულია.

ბევრი მოუსვენებელი – „მოუსვენებელი“ გადახაზულია.

152. „...მაგ ჩემს თოფს, ყმანვილო კაცო ზაქარია... – „ყმანვილო კაცო ზაქარია“ გადახაზულია.

„...როცა საჭირო იყოს, მაშინ მოდი...“ – „მოდი“ გადახაზულია.

„...მელირსა ამის ნახვა. რალა ბევრი თავი შეგანყინოთ“. – „რალა ბევრი თავი შეგანყინოთ“ გადახაზულია.

„...ვკითხულობდი ხშირად და ყოველს სოფელში ეკლესიაშიც...“ – „ყოველს სოფელში ეკლესიაშიც...“ გადახაზულია.

ლამის კაცი (გვ. 154)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1634, გვ. 38rv.

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1634 კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 503.

უცნობი (გვ. 155)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1634, გვ. 35rv.

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1634 კრებული ალწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 503.

თხზულების ტექსტი დაწერილია ცალკე ფურცელზე შავი ფანქრით.

155. „ჩათეთქილი დაჩაგრული“ – „დაჩაგრული“ გადახაზულია.

„ვინა ხარ, შენ კაცო, ვის ეძებ, კაცო? – „ვინა ხარ, შენ კაცო“ გადახაზულია.

„...გასწია, კიდეც დიად სიჩქარითა და თუალით მიმ...“ – „კიდეც დიად სიჩქარითა და თუალით მიმ...“ გადახაზულია.

მინიატურა

სიყვარული! (გვ. 159)

ხელნაწერი: ავტოგრაფი T-16293.

ხელმოწერა: ა. ორბელიანი.

ტექსტი შესრულებულია თაბახის ზომის ქალღმრთის ორივე მხარეს შავი ფერის მელნით. ქალღმრთი დაზიანებულია, კიდე მოხეული აქვს, რის გამოც გარკვეული მონაკვეთები ვერ ამოვიკითხეთ და ასეთი ადგილები ძირითად ტექსტში კვადრატულ ფრჩხილებში მოვათავსეთ.

ჩანახატი

შემთხვევა (გვ. 163)

ხელნაწერი: ავტოგრაფი Z – ფ. 2, ანაწერი 1, საქმე 2115, გვ. 207v-210r.

თარიღი: [1832 წლამდე].

ხელმოწერა: არა აქვს.

საქმე წარმოადგენს სხვადასხვა ზომის ქალაქებზე რამდენიმე ავტორის თხზულებებისა და პირადი წერილების ხელნაწერების შეკვრას (სულ 323 ფურცელი). თავფურცელზე გაკეთებული წარწერის – „Бумаги отобранные у Поручика Грузинского Гренадерского полка Князя Григория Орбелиани“ მიხედვით ეს ხელნაწერები გრიგოლ ორბელიანის (1804-1883) კუთვნილება იყო. გრ. ორბელიანი საქართველოს გრენადერთა პოლკში პორუჩიკად მუშაობდა 1828-დან 1832 წლამდე, ვიდრე შეთქმულებაში მონაწილეობის გამო გაასამართლებდნენ. სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს ჩამოართვეს მას ზემოაღნიშნული შეკვრა. აქედან გამომდინარე ალ. ორბელიანის თხზულებას „შემთხუშვა“ შეგვიძლია, მივანიჭოთ თარიღი – 1832 წლამდე.

ჩანახატი შესრულებულია თაბახის ზომის ფურცლებზე. მხოლოდ ბოლო ფურცელია (გვ. 210vr) მომცრო ზომის. ხელნაწერში გაკეთებულია ავტორის ჩასწორებები.

პიესები

რომაელი ქალი აარია (გვ. 173)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1639.

თარიღი: 1840, 17 იანვარი.

ხელმოწერა: თქვენი ძე თა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი.

ხელნაწერი შესრულებულია რვეულში შავი ფერის მელნით. ავტორის მიერ ჩასწორებები გაკეთებულია როგორც მელნით, ისე ფანქრით.

პიესა ალ. ორბელიანმა მიუძღვნა დედას – თეკლე ბატონიშვილს. მიძღვნა წინ უსწრებს ძირითად ტექსტს (გვ. 1v), რომელიც უცვლელად დავტოვებთ. ხელმოწერა და დაწერის ადგილი ავტორს მითითებული აქვს მიძღვნის ბოლოს, იმავე გვერდზე: „თქვენი ძე თა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი. 17-ს იანვარს. 1840-სა წელსა. ქ. პიატიგორსკს თბილწყალზე“.

თეკლა – იხ. „თეკლე ბატონიშვილი“, გვ. 449.

173. სხვადასხვა აზრის + მქონებელნი.

„წარადგენენ, ვითამ დიდ სწორეს სამჯავროში...“ – ჩასწორე-

ბულია: „წარადგენენ მითამ დიდ მართალს სამჯავროში“.
სამართლის + გადაწყვეტი.

დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი (გვ. 178)

ნაბეჭდი: თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, „დავით აღ-
მაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“, გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან, 1891.

თარიღი: 1846.

ხელმოწერა: თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.

პიესაში აღწერილია მე-12 საუკუნის 20-იანი წლების ისტორი-
ული ამბები – მეფე დავით IV აღმაშენებლის ბრძოლა თურქ დამპყ-
რობთა წინააღმდეგ, თბილისის განთავისუფლება სელჯუკ-მაჰ-
მადიანთა ბატონობისგან 1122 წლის დამდეგს და ამიერკავკასიის
განთავისუფლება დამპყრობელი მტრებისგან.

თხზულების ხელნაწერებმა ჩვენამდე არ მოაღწია. გვაქვს
მხოლოდ ავტორის სიცოცხლის შემდგომი ნაბეჭდი ტექსტი, ზ.
ჭიჭინაძისაგან გამოცემული ცალკე წიგნად, 1891 წელს ე. ხელა-
ძის სტამბაში დაბეჭდილი. სწორედ ამ წიგნში შეტანილი ტექსტი
ავიღეთ ძირითად წყაროდ. წიგნის სატიტულო ფურცლის თავ-
შივე გვაუწყებს გამომცემელი ნაწარმოების დაწერის თარიღს:
„დაწერილია 1846 წ.“ პიესას ბოლოში ერთვის ავტორის მინაწერი,
სადაც მითითებულია ნაწარმოების დაწერის თარიღი და ადგილი:
„ბატონიშვილი დედა ჩემი თეკლე, მეფის ირაკლის მეორის ასული
რომ გარდაიცვალა 1846-სა წელსა, 11 მარტსა, მწუხარების გამო
დავწერე ეს თხზულება, იმავ ზაფხულს, ჩემი მეუღლის ეკატერინეს
სოფელს კაზრეთს“.

193. ნაკრი – სტამბ. შეცდ., გასწორდა: „ნაკერი“.

249. ხოლამდი – სტამბ. შეცდ., გასწორდა: „ხომალდი“.

დავით აღმაშენებელი – დავით IV აღმაშენებელი (1073-1125),
საქართველოს მეფე 1089-1125 წწ., გიორგი II-ის ძე. უდიდესი სახელ-
მწიფო მოღვაწე და ძლევამოსილი მხედართმთავარი. გამეფდა 16
წლისა. ებრძოდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე
დიდგვაროვან ფეოდალებს. გაატარა საეკლესიო, ადმინისტრაცი-

ული და სამხედრო რეფორმები. რუის-ურბნისის კრებით მან ეკლესიიდან გააძევა უღირსი მღვდელმთავრები, გაზარდა სახელმწიფოს გავლენა ეკლესიაზე, დააწესა მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობა, რომლის ხელში თავმოყრილი იყო როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლება. ბრძოლით შემოიერთა ზედაზენი, სამშვილდე, რუსთავი, გიში, ლორე, ჰერეთი და კახეთი. 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ძლევა მოსილი ბრძოლის მოგების შემდეგ მან სრულად განდევნა თურქ-სელჩუკები საქართველოდან და სატახტო ქალაქი ქუთაისიდან კვლავ თბილისში გადმოიტანა (ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, თურქ-სელჩუკთა კოალიციური ჯარი 300 000 მეომრისგან შედგებოდა, ფრანგი გოტიე 600 000-ს ასახელებს; ხოლო აღმაშენებლის ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის ცნობით, ქართველთა ლაშქარში შედიოდა 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაყი, 500 ალანი და 100 ფრანგი მეომარი). აღმაშენებლის სახელთანაა დაკავშირებული გელათის ტაძრის მშენებლობა, გელათის აკადემიის დაარსება, მონეტების მოჭრა, სასამართლო დანესებულების – სააჯო კარის შექმნა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ მას საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად, მან მოახერხა საქართველოს გამთლიანება და გაძლიერება. უამრავი დამსახურების გამო ქართველმა ხალხმა მას აღმაშენებელი უწოდა.

დედოფალი გურანდუხტი – დავით IV აღმაშენებლის მეუღლე. ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარალანის ძის ასული. დავით აღმაშენებლის მოყვრობამ ათრაქა შარალანის ძესთან ხელი შეუწყო ყივჩაყებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას და გარკვეული როლი შეასრულა საქართველოში მათ ჩამოსახლებაში.

არსენ იყალთოელი – (XI ს-ის მეორე ნახევარი – XII ს-ის I ნახევარი), ფილოსოფოსი, მთარგმნელი. განათლება კონსტანტინოპოლის (მანგანის) აკადემიაში მიიღო, შემდეგ შავ მთაზე მოღვაწეობდა. მთარგმნელობითი საქმიანობა ეფრემ მცირეს ხელმძღვანელობით დაიწყო. 1114 წელს დავით აღმაშენებლის მონვევით დამკვიდრდა ახლად აგებულ გელათის აკადემიაში, მერე კახეთში გადავიდა და იქ იყალთოს აკადემია დააარსა. იყო დავით აღმაშენებელთან დაახლოებული პირი. 1123 წელს, „ხელმწიფის კარის გარიგების“ ცნობით, არსენს დაუწერია ოთხტაეპოვანი ეპიტაფია დავითის გარდაცვალების გამო. მეფის სიკვდილის შემდეგ (1125) დიდხანს აღარ უცოცხლია. უკანასკნელი წლები შიო მღვიმის მონასტერში გაატარა. ნათარგმნი აქვს ბევრი თხზულება, მათ შორის დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული „დოგმატიკონი“.

ივანე ტაიჭის ძე / იოანე ტაიჭისძე – იოანე ტარაიჭისძე (XII ს. I ნახევარი) – ფილოსოფოსი, თეოლოგი, მთარგმნელი. განათლება

მიიღო ათონის მონასტერში. 1114 წელს საქართველოში დაბრუნდა. მისი თარგმანებიდან ჩვენამდე შემონახულია V-VI სს. ნეოპლატონიკოსის ამონიოს ერმისის „მოსახსენებელი ხუთთა ხმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსახსენებელი ათთა კატილორიათადმი არისტოტელისათა“.

ეფრემ მცირე (მცირი) – XI საუკუნის მეცნიერი, მწიგნობარი, მთარგმნელი, ათონის სალიტერატურო სკოლის გამგრძელებელი და განმავითარებელი. არსებობს ვარაუდი, რომ გვარად კარიჭისძე იყო. დაიბადა XI ს-ის I ნახევარში. განათლება კონსტანტინოპოლში მიიღო. მოღვაწეობდა მცირე აზიაში, ანტიოქიის მახლობლად, შავ მთაზე. როგორც ჩანს, შავი მთა სიკვდილამდე არ დაუტოვებია. 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების აქტები მას უკვე მიცვალებულად მოიხსენიებს. მისი სამწერლო მემკვიდრეობა ორგვარია: ორიგინალური თხზულებანი და თარგმანები. ეფრემ მცირეს ქართულად ნათარგმნი აქვს უმდიდრესი ფილოსოფიურ-თეოლოგიური, დოგმატიკურ-პოლემიკური, ასკეტიკურ-მისტიკური, ჰომილეტიკურ-ეგზეგეტიკური, ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიული ლიტერატურა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ხუთივე თხზულების თარგმანი მის მიერვე დართული სქოლიოებით, იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, ბასილი დიდის „ასკეტიკონი“, მეტაფრასული რედაქციის ჰაგიოგრაფიული „ცხოვრებანი“, „წამებანი“ და სხვ.

პეტრიცი ჭირჭიმელი (პეტრიცი ჩირჩიმელი) – ავტორი უნდა გულისხმობდეს იოანე ჭირჭიმელს (XII ს-ის II ნახევარი - XIII ს-ის დამდეგი) – ფილოსოფოსი, მთარგმნელი. თამარ მეფის ისტორიკოსი. მას დემეტრე მეფის შესხმასაც მიაწერს. თარგმნა რამდენიმე ეგზეგეტიკური ნაწარმოები: „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმვირნელ მიტროპოლიტისაჲ“, „თარგმანებაჲ მარკოზის სახარებისაჲ“, „თარგმანებაჲ ლუკას სახარებისაჲ“, თეოფილაქტე ბულგარელისა და სხვ., რითაც იოანე ჭირჭიმელმა დიდი მონაწილეობა მიიღო სატერმინოლოგიო მუშაობაში, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა პეტრინონის სალიტერატურო სკოლამ. ზოგიერთი მკვლევარი იოანე ჭირჭიმელსა და იოანე პეტრინს ერთსა და იმავე პიროვნებად მიიჩნევს.

თარგამოსი, თარგამოზი (თორგომი) – ბიბლიური ნოეს შვილის, იაფეტის შვილიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნარქი.

ათრაქა შარალანის ძე – ყივჩაყთა მთავარი XII ს-ის I ნახევარში. მისი ასული გურანდუხტი ცოლად ჰყავდა დავით აღმაშენებელს, რომელმაც ათრაქა შარალანის ძე თავისი ოჯახითა და ტომით საქართველოში გადმოასახლა (1118-1120 წწ.). შემდგომ მეფემ ყივჩაყ-

თავან 40 ათასიანი მუდმივი ლაშქარი შექმნა.

დავით მეფე – იხ. დავით აღმაშენებელი, გვ. 506.

მეფე დავითი – იხ. დავით აღმაშენებელი, გვ. 506.

ბრძენი პლატონი – იგ. კლასიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ. წ. 427-347), არისტოტელეს მასწავლებელი.

გიორგი ჭყონდიდელი – გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესი (გარდ. დაახ. 1118 წ.) – საქართველოს სამეფო კარის ვაზირი დაახლ. 1104-1118 წწ. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს პირველი მფლობელი, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების აქტიური მონაწილე და მეფის პოლიტიკის გამტარებელი. მონაწილეობდა ქვეყნის მართვაში. მისი მცდელობით და ხელმძღვანელობით სამეფოს შემოუერთეს სამშვილდე (1110 წ.) და რუსთავი (1115 წ.). საქართველოში ყივჩაყლთა ჩამოსახლების ერთ-ერთი მოთავე. ამ მისიით გაემგზავრა იგი აღმაშენებელთან ერთად ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც გარდაიცვალა. ვარაუდობენ, რომ დაკრძალულია გელათში, მეფეთა საძვალეში.

ანდრია მოციქული – პირველწოდებული, ქრისტეს მონაფეთაგანი, XI ს-დან ანდრია მოციქული საქართველოში ცნეს, როგორც ქართველებში ქრისტიანობის პირველი მქადაგებელ-გამავრცელებელი.

ვახტანგ გორგასლანი – ვახტანგ გორგასალი (ვახტანგ I გორგასალი) (442-502) – სარდალი. „გორგასალი“ (სპარსულად „მგლისთავა“) იმიტომ შერქმევია, რომ მუზარადზე მგელი ჰქონია გამოსახული. იღვწოდა ქართლის განთავისუფლებისათვის ირანელთა უღლისგან, ქვეყნის ცენტრალიზაციისთვის. პირველი იერიში ეკლესიაზე მიიტანა, ჩაატარა რეორგანიზაცია და დაანესა კათალიკოსობა, გააცოცხლა კავშირი კონსტანტინოპოლთან. გაამაგრა ციხეები და ქალაქები. მიჩნეულია თბილისის დამაარსებლად (დედაქალაქი მისმა შვილმა დაჩიმ გადმოიტანა თბილისში). 482 წ. დაიწყო აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ. ვახტანგ გორგასალმა მოაკვლევინა ქართლის ოპოზიციონერ ფეოდალთა მეთაური ვარსკენ პიტიახში. აჯანყების პირველ წელს შეძლო ირანელთა განდევნა ქართლიდან, მაგრამ ვერ მიიღო დახმარება ჰუნებისგან და ბიზანტიელებისგან, ამას შინაური აშლილობაც დაემატა და უკან დაიხია. მთებში მას შეუერთდნენ აჯანყებული სომხები ვაჰან მამიკონიანის მეთაურობით. შეერთებული ძალებით ირანელებს შეებრძოლნენ ჭარმანაინის ველზე, მაგრამ ირანელებმა გაიმარჯვეს. ვახტანგ გორგასალი შემდგომშიც განაგრძობდა ბრძოლას ირანელთა წინააღმდეგ და საბოლოოდ სიცოცხლეს შესწირა მას. გარდაიცვალა ბრძოლაში მიღებული მძიმე ჭრილობისგან უჯარმაში.

ორხუა – ორხოვა, ხაოიანი საფენი, ნაბადი, ქვეშსაფენი.

რუსი – წითელი კაცი.

კანკლელი – ფანჯარაზე გასაკეთებელი, რკინის ან ხისგან დამზადებული, გამჭვირვალე ბადე.

თავრიზი – ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ირანში.

კეთილი ბერიკაცი (გვ. 261)

ხელნაწერი: ავტორიზებული ასლი K – S-1644.

თარიღი: 1852.

ხელმოწერა: არა აქვს.

პიესაში აღწერილია მე-18 საუკუნის 30-40-იანი წლების ამბები, კერძოდ საქართველოში 1735 წლის მომდევნო მოვლენები (მეფე ერეკლე მეორის მიერ ნეიშნის მინდორზე ლეკების წინააღმდეგ გამართული ბრძოლა, რაც ალ. ორბელიანს დაწვრილებით აქვს აღწერილი თავის პიესაში „ბატონის-შკლის ირაკლის პირველი დრო, ანუ თავდადება ქართველებისა“ (იხ. ამავე ტომის, გვ. 332, 511).

ხელნაწერი წყარო წარმოადგენს მელნით შესრულებულ ნაწერს 65 ფურცლიან უყდო და დაშლილ რვეულს, სადაც გარკვეული ნაწილი სხვისი (რამდენიმე სხვადასხვა) ხელით არის დაწერილი, მაგრამ ჩასწორებები ყველგან ალ. ორბელიანს ეკუთვნის. განმარტებები ფურცლების თავისუფალ სვეტებშიც ალ. ორბელიანის ხელით არის გაკეთებული. ამიტომ ხელნაწერი წყარო მივიჩნით ავტორიზებულად. თხზულებას სათაურად ჰქონია „კეთილი მოხუცებული“. ავტორს სიტყვა „მოხუცებული“ ფანქრით გადაუშლია და დაუწერია „ბერიკაცი“. იქვე ალ. ორბელიანს ნაწარმოების დაწერის თარიღი და ადგილი მიუწერია: „1852-სა წელს ქ. ტფილისს“.

ხელნაწერის ტექსტი იწყება „პირველი ანბავით“ (გვ. 2), მე-12 გვერდის ჩათვლით სხვისი ხელით, შავი მელნით არის შესრულებული; აქედან 3r და 3v გვერდების ნახევარი გადაშლილია ფანქრით. „მეორე ანბავი“ (გვ. 13r) ასევე შავი მელნით არის შესრულებული ალ. ორბელიანის მიერ, თუმცა 24-ე გვერდიდან ისევ სხვა ხელწერა შეიმჩნევა. გვერდები 53 და 55 ასევე გადაშლილია კალმით. პირველი და მეორე „ანბები“ იმდენად ნამუშევარია, რომ ტექსტი თითქმის არ იკითხება. „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ (ტ. III, შემდგენელი ლ. ქუთათელაძე, თბ., 1963, გვ. 117) მიხედვით

ნაწარმოების დასაწყისი, სადაც მოთხრობილია თბილისის საზღვრების შესახებ, სწორედ ავტორს გადაუშლია ხელნაწერებში და ცალკე სტატიად დაუნერია, რომელსაც ეწოდება „ძველი მოზღლდვილობა ქ. ტფილისისა“ (K – S-1634, გვ. 17) (იხ. ამ გამოც. ტ. III).

„მეოთხე ანბავის“ ტექსტშიც საკმაოდ ხშირია ავტორიზებული ჩარევები და შესწორებები, რომელთაგან რამდენიმეს გვერდი ვერ ავუარეთ:

ფისოსი – სანყაო ჭურეჭელი.

სალფარდა – კედლის ფარდაგი.

286. „ჩვენი ნადირშა საქართველოს მეფეს დამეგობრებიაო“ – იგულისხმება ის შეთანხმება, რომელიც ნადირ-შაჰსა (1688-1747) და თეიმურაზ II-ს (1700-1762) შორის დაიდო მე-18 საუკუნის 40-იან წლებში (ნ. ვახანია, „პროზა ალექსანდრე ორბელიანისა, თბ., 1998, გვ. 126).

ნადირშა – იხ. ამავე ტომის გვ. 500.

328. „სრულიად დაჰფარა ის საკვირველი მთები + და სასიამოვნო სიზმარი (ნაშლილია ფანქრით).

326. „კარგი ირაკლი დააგდებს იმათ“ – ალ. ორბელიანს „ირაკლის“ მაგივრად ჯერ „მეფე თეიმურაზი“ დაუნერია, გადაუხაზავს და შეუსწორებია: „ირაკლი კი ჩქარა მოვა“. ბოლოს ესეც შეუცვლია.

327. „რას ამბობენ ხალხი?“ – ავტორს ეწერა: „რას ამბობს ხალხი?“ გადაუხაზავს და შეუცვლია.

327-ე გვერდზე წინადადება „ახლა ეს იცოდეთ, ჩემო ძმებო, რომ კაცობრიობის რჯული კლდეში არის და არა ქვეყანაზედ, ეს იცოდეთ ყველამ და ასე გეუწყოსთ“ ხელნაწერის ტექსტში გადახაზულია. ჩავთვალეთ რა შინაარსი მისაღებად, იგი ძირითად ტექსტში აღვადგინეთ.

328. „ბედნიერებით ვყანდეთ კაცობრიობა“ – სიტყვის „ყანდეთ“ მაგივრად ეწერა „იყავნეთ“, რომელიც ბევრჯერ ჩაუსწორებია ავტორს ფანქრით.

ბატონის-შკლის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა (გვ. 332)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1642ა (C); ავტოგრაფი K – S-1642ბ (D).

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1864, №3, მარტი, გვ. 1-53, №4, აპრი-

ლი, გვ. 55-111 (B); ავტორიზებული ეგზემპლარი: „ბატონის-შკლის ირაკლის პირველი დრო“, ტრაგედია ოთხ მოქმედებად, თხზ. ალექსანდრე ვახტ. ჯ. ორბელიანისა, კერესელიძის ტიპოგრაფია, ტფილისს, 1864 (A).

თარიღი: 1862 (C).

ხელმოწერა: თავადი ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი (C, D).

პიესაში აღწერილია ერეკლე II-ის პირველი ბრძოლა ლეკების წინააღმდეგ ნეიშნის მინდორზე ქიზიყში 1735 წელს.

B წყაროში, ჟურნალ „ცისკრის“ მე-3 ნომერში შესულია პიესის I და II მოქმედებები, ხოლო მე-4 ნომერში – III და IV მოქმედებები. ავტორის ხელმოწერა მოთავსებულია სათაურის ქვეშ (გვ. 1) და იქვე წერია: „1864 ტფილისს, კერესელიძის ტიპოგრაფიაში“. ჟურნალის მე-4 ნომერში პიესის სათაური მხოლოდ სარჩევშია მითითებული.

თხზულების C წყარო წარმოადგენს თაბახის 63 ფურცელზე ფანქრით ნაწერ შავ პირს, ტექსტი უსათაუროა და იწყება პირთა ჩამონათვალით: „პირნი“. ტექსტში არ არის წინასიტყვაობა, რომელიც ახლავს პიესას დასაწყისში A, B და D წყაროებში. პირთა ჩამონათვალში „მელანისა“ შემდეგ „ვარდუასა (მელანისა თანა-შეზრდილი მოახლე)“ და „ზაქარიას (მოძღვარი მეფისა და სასახლეებისა)“ მაგივრად წერია: „ილარიონ მოხუცებული ბერი“, თუმცა ტექსტში მოქმედ პირებად ვარდუა და ზაქარია არიან გამოყვანილები. ასევე, პირთა ჩამონათვალში „დაფარული ვინმეების“ შემდეგ წერია: „დაფარულად ყმები, ქართულებს და ოსმალთა ომი“, ხოლო „თელავის კაცნი და დედაკაცნი“-ის შემდეგ წერია: „ზეცის სვეტი ნათლისა, მიწის ძვრა ანუ რყევა. მეფის სასახლის დაქცევა თელავში. თელავს სახლების დაქცევა და მცხოვრებთა შიშით მიმორბენა“. ტექსტის ბოლოში (გვ. 61v) ფანქრით არის გადაშლილი თარიღი და თხზულების დაწერის ადგილი: „1852 წელსა ამ წელს [C...]-ს კაზრეთს.“

პიესის D წყარო წარმოადგენს თაბახის 48 ფურცელზე შესრულებულ ნაწერს, სადაც 1r გვერდზე, ტექსტის თავშივე წერია საცენზურო კომიტეტის დასკვნა: „Дозволенно цензурою цензурного комитета, Цензоръ КЫМТОМОРОВ. 14-го января 1864 года“. ტექსტში წინასიტყვაობა წინ უსწრებს მოქმედი პირების ჩამონათვალს, A და B წყაროებში კი პირიქით – მოქმედ პირთა ჩამონათვალს მოსდევს წინასიტყვაობის ტექსტი. D წყაროში პირთა ჩამონათვალში, „თელავის კაცნი და დედაკაცნი“-ს მაგივრად ავტორს დაუწერია: „ქართ-

ველებს და ოსმალთა ომი. მიწის ძვრა ანუ რყევა. მეფის სახლის დაქცევა თელავში. თელავის სახლების დაქცევაცა და მცხოვრებთა შიშით მიმორბენა“, რაც შემდეგ თვითონვე ფანქრით გადაუხაზავს. აღნიშნულ წყაროში წინასიტყვაობის შემდეგ წერია: „თავადი ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი. 1862-სა წელსა. ზაფხულს. ს. კაზრეთს“.

A წყარო წარმოადგენს 1864 წელს თბილისში კერესელიძის ტიპოგრაფიაში დაბეჭდილ წიგნს – „ბატონის-შულის ირაკლის პირველი დრო (ტრაგედია ოთხ მოქმედებად)“. წიგნი დღეს ბიბლიოგრაფიულ იმვიათობას წარმოადგენს და ხელმისაწვდომია მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარი, რომელიც იოსებ გრიშაშვილს შეუძენია 1925 წლის 10 ივნისს ი. მიქელაძისგან და დღეს ის ინახება ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში. აღნიშნული წიგნის ტექსტი ძირითად ტექსტად იმიტომ ავირჩიეთ, რომ მასში ავტორის ხელით არის გაკეთებული 100-მდე ჩასწორება, როგორც ცალკეული ასოების, სიტყვებისა და ფრაზებისა, ასევე მე-100 და 101-ე, 102-ე და 103-ე გვერდებს შორის ჩაკრულია ფურცლები (აღ. ორბელიანის ხელნაწერი) გარკვეულ ადგილებში საკმაოდ მოზრდილი ტექსტების ჩასამატებლად. ავტორს წიგნის გვერდებზე სპეციალური ნიშნებით ზუსტად აქვს მითითებული ხელნაწერი ტექსტების ჩასამატებელი ადგილები. გარდა ამისა, წიგნის მეორე ფორზაცზე აღ. ორბელიანს ხელით მიუწერია საქართველოსადმი მიძღვნის ტექსტი, რომელიც ძირითად ტექსტს დასაწყისში დაჯეროთ. „მიძღვნის“ ბოლოს ხელმოწერა ავტორს იმავე მეღნიტ გადაუშლია. ჩვენ ეს ხელმოწერაც აღვადგინეთ და კვადრატულ ფრჩხილებში მოვათავსეთ. წიგნზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ავტორმა, სულ ცოტა, სამჯერ მაინც იმუშავა ტექსტის ჩასწორებაზე. ამაზე მეტყველებს მის მიერ გამოყენებული ორი შავი (სხვადასხვა მეღანი) და ფანქარი.

A წყაროში ავტორის მიერ გაკეთებული ჩასწორებები მოიცავს როგორც სტამბურ შეცდომებს, ასევე ფრაზებისა და მთელი პასაჟების დამატებასაც.

მოქმედი პირების ჩამონათვალში და ტექსტშიც „ზაქარა“ გადახაზულია და წერია: „ბერი გერმანე“.

აღ. ორბელიანმა ჩაასწორა მთელი რიგი წინადადებებისა და ცალკეული სიტყვებისა:

337. „კარგი მოსავალი მოდი, რომ...“ – ავტორმა შეცვალა: „იქ

კარგი მოსავალი მაინც მოდი, ჩვენი მიწის მოსავალი, რომ...”

„ჯარი“ – ავტორმა შეცვალა: „ჯარბი“ და სქოლიოს სახით დაურთო განმარტება: „ჯარბი არის მძვინვარე გველი“.

339. „ხორცსა“ – ავტორმა შეცვალა: „ხორბალის“.

353. „საშუალსა შემთხვევაში“ – ავტორმა შეცვალა: „საშინელსა შემთხვევაში“.

354. „ამდროს“ – ავტორმა შეცვალა: „ამდროულ“

357. „ჩრდილო“ – ავტორმა შეცვალა: „ჩრჩილი“.

361. „ნამოდგება“ – ავტორმა შეცვალა: „ნარდგება“.

371. „ებრძვით“ – ავტორმა შეცვალა: „ებლაუჭებით“.

384. „ამძვინებულის“ – ავტორმა შეცვალა: „ამძოვრებულის“.

ბევრგან ავტორმა ჩაამატა წინადადებები და მოზრდილი პასაჟები:

344. „...ირაკლის რომ დავებარებინე ეხლახანს“ + „იმ დროს ჩუჭნი ახალი ... ზეციურის გადმოვლენილს მადლის სიყვარულითა“.

„...ვერ დავმალავ შენთან,“ + „ჩემი გული წრფელი არის“

390. „შენს გამჩენსა, ირაკლი!“ + „ეს ღმერთსაც მოეწონება... მე ირაკლის. ეს ხომ ასე,“

391. „ორივესათვის უარი მიყვია“ + „ჩემო ბატონო ... რომ ჯოჯოხეთის კარებთან გელით“.

392. „ჩემ სამართალს მე გადავწყვეტ“ + „ამისათვის რომ ქეშმარიტების მოსამართლეობა არ არის არსად“.

394. „კიდევ შევიყრებით ერთად“ + „(ზეცაში შეხედვით გაიქცევა) მოვდივარ, სარიდან, მოვდივარ“.

395. „...გულ მხურვალეს ვედრებით“ + „(მოსულან ჩაჩაიქებით – ჯელით მალლა) ღმერთო, შემინყალე შენს ტაძარში სარიდან“.

ზოგან ალ. ორბელიანმა მთლიანად გადაშალა წინადადება და ის ახლებურად გამართა:

392. „თუ ღმერთზე ... სამართალი მიყავ“ – გადაშალა და დანერა: „სამართალი ჰქმენ დაჩაგრულზედ“.

„ხანჯალ მოვა და ... (დედამინაზე დაცემა) – გადაშალა და დანერა: „სატევარი სისხლიანი მოდის... (აქ ჩაიშვება, ჩაჯდება და ორსავ ჯელებს გულზედ დაინყობს)“.

395. „ჩახა-ჩუხით“ – „ჯახა-ჯუხით“.

398. „უცვლელი“ – „უცოდველი“.

ასეთი მრავალრიცხოვანი ჩასწორებების მიუხედავად, ავტორს რამდენიმე სტამბური შეცდომა მაინც გამოჩენია, რომლებიც ჩვენ გავასწორეთ:

332. „მწყემსები“ – გასწორდა: „მწყემსები“

378. „დაურტაშზე“ – გასწორდა: „დემურტაშზე“

379. „დედოლო“ – გასწორდა: „დედოფალი“.

383. „გაღზდილობა“ – გასწორდა: „გაზდილობა“

ირაკლი – ერეკლე მეორე, იხ. კომენტარი ლექსისა „ეპიტაფია საქართველოს მეფის ირაკლი მეორისადმი“, გვ. 498.

მეფე თეიმურაზი – თეიმურაზ II, იხ. კომენტარი ლექსისა „სისხლისმძებნელი ქართველი“, გვ. 492.

დედოფალი თამარ – (?-1746), მეფე თეიმურაზ II-ის (1700-1762) მეუღლე.

გივი ჩოლოყაშვილი – თეიმურაზ II-ის სახლთუხუცესი, ერეკლე II-ის გამზრდელი.

ზაქარია გაბაშვილი – (დაახლ. 1705 - დაახლ. 1780), საეკლესიო მოღვაწე და მწერალი. მამა ბესიკ გაბაშვილისა. იყო თეიმურაზ II-ის კარის მოძღვარი. ებრძოდა ანტონ I-ს კათოლიკობისადმი მისწრაფების გამო. ანტონ პირველი რუსეთში გააძევეს (1756). თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ (1762) ზ. გაბაშვილის გავლენა სამეფო კარზე დაეცა. ერეკლე II-მ ანტონი საქართველოს ეკლესიის მეთაურად აღადგინა (1764 წ.). ზ. გაბაშვილმა ბრძოლა გააჩაღა ანტონ I-ისა და ერეკლე II-ის წინააღმდეგ, რის გამოც დააპატიმრეს. პატიმრობიდან გაიპარა და 1768-70 წლებში იმყოფებოდა მოსკოვსა და პეტერბურგში, მაგრამ იქ სინოდმა მხარი არ დაუჭირა. იმედგაცრუებული ზაქარია გაბაშვილი იმერეთში დაბრუნდა (1771 წ.) სოლომონ პირველის კარზე. ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ქუთაისსა და გელათში. იყო გელათის კალიგრაფიული სკოლის ფუძემდებელი.

ანა – (1720-1788), ერეკლე მეორის და.

ქეთევანი – (1722-?), ერეკლე მეორის და.

333. „მაგრამ რაც სახელი იმ დროს, იმ საშინელებაში, იმ თხუთმეტის წლისამ შეიძინა, მგონია, იმტოლა ყმანვილისაგან სხუა მაგალითი არ იყოს არსად ქუჭყანაზედ?“ – ავტორი გულისხმობს ერეკლე მეორის პირველ საბრძოლო ნათლობას, პირველ დიდ ბრძოლას, რომელიც მოხდა 1735 წელს ნეიშნის მინდორზე ლეკების წინააღმდეგ. 15 წლის ერეკლემ კახეთის სამეფოს ჯარით

სასტიკად დაამარცხა ლეკთა გაერთიანებული რაზმები და მოკლა მათი ბელადი ალისკანტი. ამ ბრძოლაში გამარჯვების წარმატება იმაშიც მდგომარეობდა, რომ ხალხში მოხდა ფსიქოლოგიური გარდატეხა და დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი.

ჟამნი მეფობენ (გვ. 399)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – H-473.

თარიღი: [1866-1868].

ხელმოწერა: თ. ა. ალექსანდრე ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

ნაწარმოებში აღწერილია საგლეხო რეფორმისადმი თავადაზნაურთა დამოკიდებულების საკითხი.

ხელნაწერი წყარო წარმოადგენს ალ. ორბელიანის ხელით სუფთად შესრულებულ ავტოგრაფს თაბახის ფურცლებზე, უმნიშვნელო ჩასწორებებით. ხელმოწერა, ნაწარმოების დაწერის ადგილი და თარიღი ხელნაწერში ორ ადგილას მიუწერია ავტორს; პირველი მოქმედების დასასრულს: „18-ს ივნისს 1868-სა წელსა ქ. ტფილისს“ და ტექსტის ბოლოს 70-ე გვერდზე: „თ. ა. ალექსანდრე ვახ. ძე ჯ. ორბელიანი. 1866-ს წელსა, ზაფხულს ს. კაზრეთს“. ამის გათვალისწინებით, პიესას პირობითად მივეციტო ფართო თარიღი – 1866-1868.

„აგერ... დავითს აუხდებით სახლში, კარგათ უნდა ვათრიოთ, ღირსი არის ისა.“ – ამბაკო გაჩეჩილაძის ვარაუდით დავითში ალ. ორბელიანი უნდა გულისხმობდეს დიმიტრი ყიფიანს (1814-1887), რომელსაც ჰქონდა დავალებული „ბატონყმობის გაუქმების პროექტის შედგენა და მის მიერ გამოთქმული აზრები თავადაზნაურთა უკმაყოფილებას იწვევდა“ (იხ. ნ. ვახანია, „პროზა ალექსანდრე ორბელიანისა, თბ., 1998. გვ. 133).

ყიშტი – სავაჭროთა იჯარა.

თარგმანები
გორაციოსაგან რომაელებთანა (გვ. 471)
(რუსულიდან ნათარგმნი)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1640-ა, გვ. 16v.

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1640-ა კრებულის აღწერილობა იხ. წინამდებარე ტომის
გვ.

თათრულითგან (გვ. 471)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K – S-1634, გვ. 7v.

თარიღი: [1846].

ხელმოწერა: არა აქვს.

K – S-1634 კრებულის აღწერილობა იხ. ამავე ტომის გვ. 503.

ლექსი მიწერილია ალ. ორბელიანის ჩანაწერთან: „1834-ს წელსა რუსულის ჩტენიესამა სმესში“, რომელსაც ხელმოწერასთან ერთად მითითებული აქვს თხზულების დაწერის დროც: „1-ს სენტებერს 1846-ს წელი“. შესაბამისად, ლექსი პირობითად დათარიღდა 1846 წლით.

საკიებლები

პირთა საკიებელი

ა

ა. – იხ. ალ. ორბელიანი

ათრაქა შარალანის ძე – 508

ათრაქა შარალანის ძის ქალი გურანდუხტი – 184, 507

ალექსანდრე – იხ. ალ. ორბელიანი

ალ. ორბელიანი (ა., ალექსანდრე, ალ. ჯამბ. ორბელიანი, თა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი, თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი) – 47, 50, 51, 55, 56, 70, 75, 116, 132, 145, 173, 260, 332, 467, 475-480, 482-487, 491, 193-196, 498, 499, 501-503, 505, 506, 510-514, 516, 517

ანა (ერეკლე II-ის და) – 332, 339-341, 367, 368, 515

ანდრია მოციქული – 235, 509

არსენ იყალთოელი – 179, 213-215, 507

ბ

ბეიდელ ალავერდელი – 213, 214

ბრძენი პლატონი – 201, 509

გ

გამზრდელი გივი (გივი ჩოლოყაშვილი) – 339-341, 343, 345, 352, 355, 361, 367, 372, 377, 381, 385, 386, 406, 424, 515

გიორგი ჭყონდიდელი – 213-215, 507, 509

გურანდუხტი (დედოფალი გურანდუხტი) – 178, 215, 226, 240, 507, 508

დ

დავითი (დიმიტრი ყიფიანი) – 438, 516

დავითი (ალ. ორბელიანის ვაჟი) – 115

დავით აღმაშენებელი (დავით მეფე, მეფე) – 178, 179, 182-184, 189-191, 194, 198-201, 209, 210, 213-216, 218-221, 223, 227-259, 459, 476, 506-509

დავით დიმიტრის ძე ბარათოვი – 115, 498

დავით მეფე – იხ. დავით აღმაშენებელი
დარია (აღ. ორბელიანის ქალიშვილი) – 73, 487, 493-495
დედოფალი თამარ (თეიმურაზ II-ის მეუღლე) – 332, 333, 337,
338, 342, 368, 381, 397, 515
დოდაევი – 483

ე

ეკატერინე (ეკატერინე, კატინა) ბარათაშვილი – 260, 479-481,
487, 491, 506
ერეკლე II (ერეკლე, მეფე ერეკლე) – 284, 294-301, 319, 348, 355,
364, 365, 398, 413, 415, 423, 480, 492, 498-500, 510, 512, 515
ეგრემ მცირე (მცირი) – 179, 214, 215, 252, 253, 507, 508

ვ

ვალი ირაკლი (ერეკლე II) – 115
ვახტანგ I გორგასლანი – 245, 509

ზ

ზაქარია გაბაშვილი – 503, 512, 515

თ

თავადი რევაზ ბებურიშვილი – 332, 336, 346, 347, 355, 356, 361,
362, 365, 367, 372, 373, 377, 395-397
თარგამოსი – 179, 210, 217, 218, 257, 508
თ. აღ. ორბელიანი – იხ. აღ. ორბელიანი
თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი – იხ. აღ. ორბე-
ლიანი
თდი ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი – იხ. აღ. ორბელიანი
თევდორე კლდეკარელი – 178, 213-215, 230, 231, 253, 269
თეიმურაზ II (მეფე თეიმურაზი) – 71, 283, 293, 294, 301, 332, 333,
336-338, 343, 352, 364-366, 368, 369, 374, 379, 492, 500, 511, 515
თეკლა – იხ. თეკლე
თეკლე (ბატონიშვილი) – 115, 116, 173, 260, 475, 498-500, 505, 506
თეოფილე – 179, 213-215

ი

ივანე კერესელიძე – 496
ივანე (იოანე) ტაიჭისძე (ტარიჭისძე) – 178, 179, 210, 211, 213-217, 231, 350-352, 356, 362, 507
ილია – 116
იოანე ბერი ალავერდისა (ბერი იოანე) – 332, 347, 350, 351, 356, 361, 362
ირაკლი (ერეკლე II) - 115, 116, 151, 152, 173, 260, 293, 301-303, 326, 330, 332-348, 352-369, 371-374, 376-390, 397, 475, 476, 498, 500, 506, 510-515

კ

კათალიკოსი იოანე (იხ. ივანე ტაიჭისძე)

ლ

ლორდი ბაირონი – 115, 500

მ

მაიკო (მარიამ) – 73, 75, 117, 475, 487, 493-495, 501
მეფე დავითი – იხ. დავით აღმაშენებელი
მეფე თეიმურაზი – იხ. თეიმურაზ II
მეფე ირაკლი მეორე – იხ. ირაკლი
მეფე ლუარსაბი – 123, 131
მეფე სოლომონი – 149, 151, 152
მირზაჯანა მადათოვი – 62, 489
მშობელი (ალ. ორბელიანი) – 76, 495

ნ

ნადირშა (ნადირ, ნადირშაჰი) – 115, 265, 284, 286-288, 301, 314, 318, 319, 327, 329, 333, 378, 380-382, 492, 500, 511
(ალექსანდრე ორბელიანი) – 78

პ

პეტრიცი ჭირჭიმელი (ჩირჩიმელი, იოანე ჭიმჭიმელი) – 179, 213, 215, 252, 508

რ

რაჭაილი (რაფაელი) – 48, 481
რობესპიერი – 59, 484, 488
რუსთაველი – 74, 75, 475, 492, 494, 495

ს

სოლომონ პირველი – 515
სოფრომ ბერი – 178, 182-185, 187, 188, 193, 195, 196, 210-212, 218,
219, 221, 226, 227, 235-237, 240, 245

ფ

ფილოსოფოსი იოსებ – 179, 213-215, 252

ქ

ქეთევანი (ერეკლე მეორის და) – 332, 339, 341, 342, 367, 368, 515
ქრისტე – 60, 79, 214, 252, 282, 328, 348, 509

ლ

ლვთისმშობელი – 264

გეოგრაფიულ სახელთა საკიბელი

ა

ავლაბარი – 27, 194, 381, 383, 501
ალავერდი – 332, 333, 346, 347, 349, 351
ალაზანი – 297
ალგეთი – 115, 498
ალგეთის ხეობა – 75, 494
ალექო – 184, 201
ალექსანდროვკა – 485

ანატოლია – 184
ანტიონი – 184
არაბეთი – 223
არარატი – 70, 304
ახალციხე – 12, 334, 382

ბ

ბალდადი – 185, 239, 268, 303, 360, 373, 434

გ

გურია – 339

დ

დალისტანი – 374
დიდგორი – 191, 194, 199, 200, 507
დილომი – 212

ე

ევროპია – 164
ეჭრატი – 218

ვ

ვაშლოვანი – 383
ვერა – 74, 494

თ

თავრიზი – 182-184, 201, 281, 282, 510
თბილისი – 122, 125, 126, 128, 130, 131, 480, 483, 489, 499, 502, 506,
507, 509, 511, 513
თეირანი – 306, 314
თელავი – 151, 333, 355, 362, 363, 366-369, 379-382, 389, 499, 512,
513
თურქეთი – 186, 203, 204, 211, 218, 221, 223
თფილისი – 264

ი

ივერია – 207, 245
იმერეთი – 149, 151, 152, 215, 216, 399, 442, 515
ინდოეთი – 115, 179, 247, 248, 271, 277, 278, 289, 319, 321, 323,
326-330

კ

კავკაზი (კავკაზია, კავკასია) – 67, 68-71, 135, 178, 180, 241, 242,
244, 254, 255, 318, 328, 329, 373, 379, 383, 475, 479, 491
კაზრეთი – 260, 267, 506, 512, 516
კაიდაკის ყურე – 111, 488, 497
კასპიის ზღვა – 85-111, 216, 485, 488, 497
კასპიის ზღვისპირი – 111
კახეთი – 151, 284, 305, 341, 350, 354, 389, 492, 498, 508

მ

მაშუკის მთა – 67, 491
მოსკოვი – 164, 315
მტკვარი – 123, 179, 194-196, 305, 318, 395
მცხეთა – 123, 131, 132, 179, 237, 245, 258, 502

ნ

ნეიშენის მინდორი – 510, 512, 515

ო

ორენბურლი – 55, 56, 61-63, 67, 476, 479, 480, 485-491

პ

პიატიგორსკი – 72, 173, 491, 492, 505
პეტერბურგი – 315, 480, 483, 492, 515

რ

რუსეთი – 165, 499, 500, 515

ს

საბერძნეთი – 181

სამგორი – 296, 297

სამეზის მთა – 75, 494

საფრანგეთი – 279, 488

საქართველო – 105, 115, 124, 125, 128, 135, 137, 140, 142-144, 173, 178-180, 183-187, 189-191, 194, 197, 201, 203, 204, 208, 209, 214, 223, 224, 253, 261, 265, 269, 272, 279, 282-284, 286-288, 294, 296, 297, 301, 302, 318-320, 326, 327, 329, 330, 332, 333, 336-338, 345, 347, 349, 352, 359, 360, 363, 367, 379, 381, 475, 476, 478, 483, 492, 493, 495, 496, 498-500, 502, 505-511, 513

საქართველო – 49, 332, 333-335, 337-341, 343, 345, 348, 349, 354, 355, 362, 366, 378, 379, 381, 382, 389, 390, 395, 400, 405, 407, 410, 412, 420, 426, 433, 434, 436, 438, 442-444, 449, 452, 455-457, 461, 465, 467, 475, 482

საქართველო – 343

სომხეთი – 248, 500

სომხეთი – 333, 354, 382

სპარსეთი – 104, 125, 261, 266, 270, 275, 276, 278, 284, 285, 289, 294, 305, 306, 315, 325, 378, 381, 480

ტ

ტიფლისი – 482, 487

ტროადის მთა – 115

ტიფლისი – 56, 109, 135, 154, 178, 181, 183, 184, 187, 189, 201, 210, 211, 215, 217, 222, 223, 231, 237, 259, 274, 336, 378, 380, 381, 412, 426, 467, 475, 482, 483, 487, 495, 496, 501, 510-512, 516

უ

ურალის მდინარე – 63

ფ

ფშავი – 284, 301, 333, 360

ქ

ქართლი – 123, 151, 265, 333, 350, 351, 354, 375, 381, 382, 492, 502,
509

ქართლ-კახეთი – 149, 498, 499

ქიზიყი – 71, 305, 333, 341, 354-356, 362, 374, 389

ყ

ყარაიაზი – 296, 423

შ

შავი ზღვა – 179, 210, 216, 218, 220, 223, 248, 258, 442

ჭ

ჭარბელაქანი – 334

თხზულებათა ანბანური საძიებელი

ა

არაკი ვირისა ----- 61-489

არაკი ტარტაროზისა, ანუ კუდიანების ღამე -----133-502

აღმოსავლეთი ანუ სიყვარულისაგან დაჩაგრული ----- 65-490

ბ

ბაიათი ----- 47-479

ბატონის-შკლის ირაკლის პირველი დრო ანუ

თავდადება ქართველებისა ----- 332-511

ბნელში პყრობილი ----- 51-484

გ

გორაციოსაგან რომაელებთანა ----- 471-517

დ

დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი

საქართველოსი ----- 178-506
*** („დედმამისაგან ობოლს მე...“) ----- 149-503

ე
ერთი ვინმე ----- 52-484
ეპიტაფია საქართველოს მეფის ირაკლის
მეორისადმი ----- 115-498
ეპიტაფია განსვენებულის ჩემი სიმამრის დავით
დიმიტრის ძის ბარათოვისა ----- 115-498
ექსპრონტი ----- 63-489

ვ
ვერის სასაფლაო ----- 74-494

თ
თათრულითგან ----- 471-517
[თეკლე ბატონიშვილის ეპიტაფია] ----- 116-500
თეფლიში ----- 49-481

კ
კავკაზიის მთები მაშუკის მთიდგან ----- 67-491
კეთილი ბერიკაცი ----- 261-510

მ
[მარიამ (მაიკო) ორბელიანის ეპიტაფია] ----- 117-501
მთოვარე ----- 50-482
მოგონება ----- 53-486
მონვევა ----- 52-485
მოხუცებული ყმანვილკაცს ----- 81-497
მშვენიერას ქართველას ----- 48-481

შ
შამნი მეფობენ ----- 399-516

რ
რობესპიერი რევალუციის დროებში, ჯერ რომ არ
ამაღლებულიყოს ----- 59-488
რომაელი ქალი აარია ----- 173-505
რუსთაველ! ----- 74-494

ს

| | |
|-------------------------------------|---------|
| საქართველოს გაზაფხული ----- | 49-482 |
| საყუარელს მეუღლეს უცხოებიდგან ----- | 54-486 |
| სისხლმძებნელი ქართველი ----- | 71-492 |
| სიყვარული! ----- | 159-504 |
| სიყრმით უბედური ----- | 56-487 |

უ

| | |
|------------------------------|---------|
| უბედური მაიკო (მარიამ) ----- | 75-495 |
| უეცარი შეხვედრა ----- | 47-480 |
| უმანკო სისხლი ----- | 121-501 |
| უცნობი ----- | 155-504 |

ქ

| | |
|------------------------------------|--------|
| ქ. ტფილისის ჩემ ცოლშვილებთან ----- | 56-487 |
| ქურციკის სიყვარული ----- | 85-497 |

ლ

| | |
|------------------|---------|
| ლამის კაცი ----- | 154-503 |
| ლმერთსა ----- | 64-490 |

ყ

| | |
|----------------------------------|--------|
| ყარიბი ანუ ორენბურღის ღამე ----- | 63-490 |
|----------------------------------|--------|

შ

| | |
|------------------------------------|---------|
| შემთხვევა ----- | 163-504 |
| შიმშილით გამხრჭვალი ძაღლკაცი ----- | 78-496 |
| შორიდგან ----- | 52-485 |

ჩ

| | |
|------------------------|--------|
| ჩემს ქალს დარიას ----- | 73-493 |
| ჩემს ქალს მაიკოს ----- | 73-494 |

ც

| | |
|------------|--------|
| ცრუს ----- | 72-493 |
|------------|--------|

ხ

| | |
|----------------------|--------|
| ხუნდი მტრედისა ----- | 76-496 |
|----------------------|--------|

ISBN 978-9941-8665-7-4



9 789941 866574